ვისრამიანი

რედაქტორობით

ილ. ჭავჭავაძის, ალ. სარაჯიშვილის და პეტ. უმიკაშვილის

ტფილისი
ექვთიმე ხელაძის სტამბა
1884

4502

[illegible]
(„[illegible]“ 1860 წ. № [illegible] გვ. 357.)
[illegible]

[illegible]
[illegible] 1745 [illegible]
[illegible]

ნ. [illegible]
[illegible] „ვეფხისტყაოსანი"
[illegible] (გვ. 210)
და [illegible] „Известия Академии"
1935 წ. № 2

ი. [illegible]

[illegible] (1933 წ.)

[illegible]

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Іюля 1884 г.

სათაური და დასაწყისი ასოები ამოსჭრა გრიგოლ ტატიშვილმა

Типографія Е. И. Хеладзе. Тифлисъ.

ვისრამიანის დაბეჭდვის გამო

ვისრამიანი, — ეს ყოველ მხრით შესანიშნავი განძი ქართულის ლიტერატურისა, — არ ყოფილა დღევანდლამდე დაბეჭდილი სრულად. მხოლოდ ზოგიერთი კარი ბატ. ჩუბინოვის ქრისტომატიებშია ჩართული. არც მისი ხელნაწერებია ისე ხშირი ჩვენში, როგორც თვით თხზულების ღირსება სამართლიანად ითხოვს.

ეს თხზულება ეკუთვნის დიდებულს დროს თამარ მეფისას, ამას ჰმოწმობს თვით ენის სიკეთე, სიცხოველე და კილო. დამწერად სარგის თმოგველს ასახელებენ, თუმცა მტკიცე საბუთი ამისი, ჩვენდა სამწუხაროდ, ვერას გზით ვერსად ვიპოვეთ. ეს კი ცოტად თუ ბევრად საფიქრებელია, რომ ვისრამიანი ვეფხვის ტყაოსანზედ ადრე დაწერილი, იმიტომ რომ რუსთაველი რამდენსამე ადგილას თვისს პოემაში იხსენიებს ვისრამიანის გმირთა: ვისსა და რამინსა; იმათი ერთმანერთის სიყვარული და ტრფიალება მაგალითებსავით მოჰყავს.

VIII

არ ვიცით, ვისრამიანი საკუთარი ქართული თხზულებაა თუ ნათარგმნია. ამ საგანზედ ჩვენში სამ გვარი აზრია გავრცელებული.

ზოგნი ამბობენ, რომ საკუთარი ქართული თხზულებაო და ამას ამყარებენ, პირველ, იმაზედ, რომ მეტად თვალსაჩინო მაგალითებია წმინდა ქართულის ჩვეულებისა შიგ მოყვანილიო; მეორე, იმაზედ, რომ ენა მეტად ფაქიზია, მკაფიო, სიტყვების გაწყობა ფრაზაში თითქმის არ ჰღალატობს წმინდა ქართულს ენასაო და თუ თარგმანი იყოსო, რაც უნდა ნიჭიერი მთარგმნელი ყოფილიყო ამის გადმომღებიო, არ შეიძლება, ბევრგან არ აჰყოლოდა უნებლიედ იმ ენის წყობილებას და თვისებას, რომლიდამაც სთარგმნიდაო.

ზოგნი, ამბობენ რომ თუმცა თვითონ ამბავი ვისისა და რამინისა სპარსულია, მაგრამ ეს ამბავი ქართველს მწერალს მხოლოდ გაუგონია, თვითონ მხოლოდ შინაარსი აუღია და თავისით დაუწერია, და არა გადმოუთარგმნია სპარსულის ტექსტიო. ამ აზრსაც ისევ ის ზემოხსენებულის აზრის საბუთები უდგება მოწმად და ეს აზრი პირველზედ უფრო დასაჯერებელი უნდა იყოს, რადგანაც ნამდვილად ცნობილია ევროპის მეცნიერთაგან, რომ ვისისა და რამინის ამბავი სპარსელებს ეკუთვნისო, და შესაძლოა ჩვენს მწერალსაც გაეგონოს და მერე თავისით ახალი თხზულება დაეწეროს.

მესამე აზრი ის არის, რომ ვისრამიანი თარგმანია და არა საკუთარი ქართული თხზულება. ამას ამტკიცებს თვითონ პირველი კარი ამ თხზულებისა, სადაც მოხსენებულია რომ ამბა-

ვი ფაჭლაურიდამ სპარსულად გადმოთარგმნილია. ამ გარემოებას მით უფრო მეტი ძალა ეძლევა, რომ დღესაც სპარსულად დარჩენილა «ამბავი ვისისა და რამინისა,» ქილილა და დამნასავით ლექსად და პროზად შერევით დაწერილი მეთერთმეტე საუკუნეში. ამბობენ სპარსულითგან ეს თხზულება ნემენცურადაც გადაუთარგმნიათ.

ეს სპარსული, ნემენცური და ქართული «ვისრამიანი» რომ ერთმანერთს შეუფარდეს, მაშინ საბუთი მოგვეცემოდა ან ერთს, ან მეორეს, ან მესამე აზრზედ დამყარებულვიყავით. ჩვენდა სამწუხაროდ, ამისათვის მასალა ვერ მოვიპოვეთ, ვერც სპარსული ვიშოვეთ და ვერც ნემეცური, რომ ენის მცოდნე კაცთათვის გადაგვესინჯებინა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგში ამ შესანიშნავის თხზულების სრული ვითარება გამოუძიებლად არ დარჩება, მით უფრო, რომ ეს თხზულება ამისი ღირსია და, ჩვენის ფიქრით, სასახელოც იმ ერისათვის, რომელსაც იგი პირველად შეუქმნია.

საჭიროება ვისრამიანის დაბეჭდვისა ქართულის მწერლობისათვის აუცილებელი იყო. მაღალი პოეტური მისი ღირსება, მაღალი ნიჭიერების ბეჭედი, ძლიერი გამომხატველობა ადამიანის გულის მოძრაობისა, თვით პროზაული ენა, მაჩვენებელი ლიტერატურის შემუშავების ხარისხისა, ყოველივე ესე ამ თხზულებასა ხდის ძვირფასს საუნჯედ ჩვენის მწერლობისას. ამ გვარი ღირსება ყოფილა მიზეზი ვისრამიანის დარჩენისა, რომ ჟამთა ვითარების დაუდგრომლობას არ წაუშლია, სხვათა მრავალთა თხზულებათა მსგავსად. მართალია ჩვენში ვეფხვის

არ ვიცით, ვისრამიანი საკუთარი ქართული თხზულებაა თუ ნათარგმნია. ამ საგანზედ ჩვენში სამ გვარი აზრია გავრცელებული.

ზოგნი ამბობენ, რომ საკუთარი ქართული თხზულებაა და ამას ამყარებენ, პირველ, იმაზედ, რომ მეტად თვალსაჩინო მაგალითებია წმინდა ქართულის ჩვეულებისა შიგ მოყვანილიო; მეორე, იმაზედ, რომ ენა მეტად ფაქიზია, მკაფიო, სიტყვების გაწყობა ფრაზაში თითქმის არ ჰღალატობს წმინდა ქართულს ენასა და თუ თარგმანი იყოსო, რაც უნდა ნიჭიერი მთარგმნელი ყოფილიყო ამის გადმომღებიო, არ შეიძლება, ბევრგან არ აჰყოლოდა უნებლიედ იმ ენის წყობილებას და თვისებას, რომლიდამაც სთარგმნიდაო.

ზოგნი, ამბობენ რომ თუმცა თვითონ ამბავი ვისისა და რამინისა სპარსულია, მაგრამ ეს ამბავი ქართველს მწერალს მხოლოდ გაუგონია, თვითონ მხოლოდ შინაარსი აუღია და თავისით დაუწერია, და არა გადმოუთარგმნია სპარსულის ტექსტიო. ამ აზრსაც ისევ ის ზემოხსენებულის აზრის საბუთები უდგება მოწმად და ეს აზრი პირველზედ უფრო დასაჯერებელი უნდა იყოს, რადგანაც ნამდვილად ცნობილია ევროპის მეცნიერთაგან, რომ ვისისა და რამინის ამბავი სპარსელებს ეკუთვნისო, და შესაძლოა ჩვენს მწერალსაც გაეგონოს და მერე თავისით ახალი თხზულება დაეწეროს.

მესამე აზრი ის არის, რომ ვისრამიანი თარგმანია და არა საკუთარი ქართული თხზულება. ამას ამტკიცებს თვითონ პირველი კარი ამ თხზულებისა, სადაც მოხსენებულია რომ ამბა-

ვი ფაჭლაურიდამ სპარსულად გადმოთარგმნილია. ამ გარემოებას მით უფრო მეტი ძალა ეძლევა, რომ დღესაც სპარსულად დარჩენილა «ამბავი ვისისა და რამინისა,» ქილილა და დამნასავით ლექსად და პროზად შერევით დაწერილი მეთერთმეტე საუკუნეში. ამბობენ სპარსულითგან ეს თხზულება ნემენცურადაც გადაუთარგმნიათ.

ეს სპარსული, ნემენცური და ქართული «ვისრამიანი» რომ ერთმანერთს შეუფარდდეს, მაშინ საბუთი მოგვეცემოდა ან ერთს, ან მეორეს, ან მესამე აზრზედ დამყარებულვიყავით. ჩვენდა სამწუხაროდ, ამისათვის მასალა ვერ მოვიპოვეთ, ვერც სპარსული ვიშოვეთ და ვერც ნემეცური, რომ ენის მცოდნე კაცთათვის გადაგვესინჯებინა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგში ამ შესანიშნავის თხზულების სრული ვითარება გამოუძიებლად არ დარჩება, მით უფრო, რომ ეს თხზულება ამისი ღირსია და, ჩვენის ფიქრით, სასახელოც იმ ერისათვის, რომელსაც იგი პირველად შეუქმნია.

საჭიროება ვისრამიანის დაბეჭდვისა ქართულის მწერლობისათვის აუცილებელი იყო. მაღალი პოეტური მისი ღირსება, მაღალი ნიჭიერების ბეჭედი, ძლიერი გამომხატველობა ადამიანის გულის მოძრაობისა, თვით პროზაული ენა, მაჩვენებელი ლიტერატურის შემუშავების ხარისხისა, ყოველივე ესე ამ თხზულებასა ხდის ძვირფასს საუნჯედ ჩვენის მწერლობისას. ამ გვარი ღირსება ყოფილა მიზეზი ვისრამიანის დარჩენისა, რომ ჟამთა ვითარების დაუდგრომლობას არ წაუშლია, სხვათა მრავალთა თხზულებათა მსგავსად. მართალია ჩვენში ვეფხვის

ტყაოსანსავით გავრცელებული არა ყოფილა ყოველს ოჯახში და, როგორც ამბობენ, ქალებს სულ არც კი აკითხებდნენ, მაგრამ შესწავლულ კაცებში, უმაღლეს საზოგადოებაში მიღებული ყოფილა ვეფხვის ტყაოსნის დაწერის წინადაც; ამას გვიმტკიცებს თვით ვეფხვის ტყაოსანში რამდენჯერმე მოხსენებული ვისის და რამინის სახელი.[1] ამ პროზაულს თხზულებას რომ ზედმოქმედება ჰქონია ჩვენს მწერლობაზე, ამას გვარწმუნებს ის გარემოება, რომ იმისთანა დიდს პოეტს, როგორც რუსთველია, ყურადღება მიუქცევია და სამაგალითოდაც გასდომია. ზოგი ადგილი ვეფხვის ტყაოსნისა მოგვაგონებს მსგავსებას ვისრამიანისას და ზოგის აზრის გამეორებას, თითქოს რუსთველს ვისრამიანიდამ ამოეღოსო, რასაკვირველია, უმეტესის მშვენებით და გამოსახვით. წერის კილო ორისავე თხზულებისა, თუმცა ერთი ლექსია და მეორე პროზა, ერთმანერთს უახლოვდება, რადგანაც თითქმის ერთსა და იმავე დროს ეკუთვნის. ამ საფუძვლით აიხსნება საჭიროება ვისრამიანის დაბეჭდვისა.

ტექსტის სინამდვილით დაბეჭდვისათვის რედაქციას მხოლოდ ოთხი ხელნაწერი ჰქონდა. ამათგანი ერთი «წერა-კითხვის საზოგადოების» ბიბლიოთეკისა, მეჩვიდმეტე საუკუნეში ან,

[1] ხანა 182: «იგი შვირი არ უნახავს არ რამინს და არცა ვისსა.» ხანა 1074: «და ფატმანს ჰკლვიდა უმისობა, რამინისა ვითა ვისსა.» ხანა 1536: «და ნუ ეშვ მიჯნურად მათებრსა ნუმცა თუ რამინს და ვისსა.» ვეფხვის ტყაოსანი, გამოცემული დ. ჩუბინოვისაგან. ს.-პეტერბურღს, 1860 წ.

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში მშვენიერის ხელით ნაწერი, დანარჩენ სამს დედანზე უკეთესი აღმოჩნდა სისრულით და შეურყვნელობით. სხვა მეორე ხელნაწერი სრულებით ეთანხმებოდა უცვალებლად პირველსა, მხოლოდ აკლდა რამდენიმე დახეულ-დაკარგული ნაწილი. დანარჩენი ორი დედანი აღმოჩნდა დამახინჯებული: ერთის შეცვლილი, თითქოს გადმომწერს ძნელად გასაგონის აზრების თარგმნა დაუწყია, წყობა წინადადებათა, სიტყვათა და თვით სიტყვები შეუცვლია; და მეორე— წერლობის უმცოდინარს გადმოწერის დროს თვისის უმეცრების ბეჭედი დაუსვამს. ორივე ეს უკანასკნელი დედნები ამ შერყვნილების გამო სავსეა უაზრობით, ანუ ძლიერი აზრი, ძლიერად გამოხატული, დაუძლურებულა და სიცხოველე დაჰკარგვია. ამ ოთხს დედანს უნდა დასჯერებოდა რედაქცია, რადგანაც მეტი ხელნაწერი ვერ მოიპოვა. ბატონ ჩუბინოვის ქრისტომატიებში დაბეჭდილი, მეტადრე პირველი გამოცემის ნაწყვეტი, ვისრამიანის არც ერთს, ოთხ მოხსენებულ დედანს, არ ეთანხმება; ეტყობა ძლიერი ცვლილება და ამიტომ მისი ვარიანტების მოხსენება არ მოხერხდა. ტექსტი დაიბეჭდა პირველის დედნიდამ, ზოგიერთს იშვიათ ადგილებს გარდა, და ცვლილება-ვარიანტები დანარჩენის ხელნაწერ ეგზემპლარებითგან სხოლიოებად იქმნა მოხსენებული. ამ სხოლიოებშივე ზოგი საჭირო განმარტება რედაქციამ შემოიტანა.

ტექსტის ბეჭდვის მართლწერა რედაქციამ დაიცვა ძველის ხელნაწერის დედნისა, ზოგი იქნება შეცთომილებითურთ, იმ საფუძვლისაგამო, რომ ამ ძველ ნაწერ თხზულებას რამდე-

ნადმე მიეცა მასალა სასაუბრო ენის გამოთქმის, მეტყველების და ხმათა ცვლის ისტორიისათვის. მაგალითად ჳ დაუტევეთ და არ შევცვალეთ ეხლანდელ ვ—ინად, და არც მეთვრამეტე საუკუნეში შემოღებულ ამ ორ ასოთა აღსანიშნელ ჳ (უ ბრჯგუდ).

ტექსტს დაერთვის ლექსიკონი, შედგენილი საბა ორბელიანის ლექსიკონის თანახმად ცოტაოდენის დამატებით ანუ შეცვლით და სხვათა ენების ლექსიკონთა და კარტათა დახმარებით ისტორიულ-გეოგრაფიულ სიტყვათა ახსნისათვის.

შესასწორებელნი შეცდომანი

პირი	ტრიქონი	დაბეჭდილია	უნდა იყოს
25	16	მუნ	მუნე-
—	17	ქტიკმან	ტიკმან
193	8	სიუარ·ულითა	სიყუარულითა
212	11	ღაწვ·უ	ღაწვ
229	9	მფინველი	მფრინველი
230	2	კრმალთა	კრმალითა
—	13	მოჴლავ	მოჴკლავ
236	5	მიზემი	მიზეზი
278	1	თობასა	თმობასა
369	2	მტირლმან	მტირალმან
382	3	დ	და
383	1	ო	ოდ
417	9	მოადს	მოაბადს
423	16	შეუგურად	შეუგუარად

ლექსიკონის შესწორება

ნ ა ს ი, პერ კეთილი, ნავ'სი, გონჯი. ცეცხლის მსახურობის სწავლით—მკვდრის გვამი და მისგან გაუწმინდურება, წაბილწვა, დევის (ეშმაკის) ნამოქმედარი.

ხ უ ა რ ა ზ მ ი, კასპიის ზღვის აღმოსავლეთის იქით მდებარე ქვეყანა, რომელსაც ევროპიელები ახლა ხივას, ხივის სახანოს უწოდებენ.

ჯ ა ა ნ გ ი რ ი, ჯეანგირი, ჯანგირი—საკუთარი სახელია. სპარსულად ჯან—სული, გირ—მპყრობი.

ვისრამიანი

კარი პირველი

დასაწყისი ვისისა და რამინისა

იყო დიდი და მაღალი სულტანი ტუღლურბეგ ქუეყანასა ხვარასნისასა და ადრაბადაგანისა, ლაშქარ მრავალი, მოვლენილი, მორჭმული და აღსრულებული ყოველსა სპარსეთსა ზედა. ავლდა სამეფოსა მისსა ქალაქი ასპაანს.

შეიყარნეს ყოველნი დიდებულნი და წარჩინებულნი მისნი, მოახსენეს: «ვინათგან მაღალი და დიდად გათქმული სულტანი ტახტსა და სამეფოსა თქუენსა ზედა მოვლენით და მორჭმით დაუმკვიდრებიხარ და ნება და გამორჩევა მისი ესე არს, რომე ყოველი მუსულმანობა ბრძანებასა თქუენსა მორჩილობდეს და მზესა თქუენსა ფიცევდეს,—აწ ჩუენ ამას გკადრებთ მეფობასა თქუენსა, რომელ შეიყარნეთ თქუენითა ლაშქრითა და მიმართოთ ასპაანისა ქალაქსა. ვინ-მე იყო არა მორჩილი მბრძანებლობისა თქუენისა, რომელიცა არა ქებნეს მშვიდობა თავისა და არამცა წა-

მის ყოფით დაამოხსნეს თავნი მათნი მბრძანებლობასა თქუენსა?! და უკეთუ ვინმე იკადროს მბრძანებლობისა თქუენისა ურჩობა, შეუნდობელი რისხვა მივიდეს თქუენგან მას ზედა და აგრეცა იქმნას ნება და წადილი თქუენი.»

მოუსმინა მეფემან, უსმო სამსავე სამეფოსა. მერმე განყო ლაშქარი და გაგზავნა ერთი ქირმანს, ერთი მუსლის,[1] ერთი ჭავაზს; ერთნი თემნი სომხითს, ერთნი საბერძნეთს. და ყოველნი ყოვლგნით შემოიქცნეს და მოვიდნეს ძლევა შემოყრილნი და გამარჯუებულნი.

მერმე მოვიდა მოციქული არსლან-ხანის მზახალთათუის და მოიღო ურიცხუი ძღუენი. და მასვე ჟამსა მოვიდა ბერძენთა მეფისა მოციქული და მოართო ძღუენი ტურფა შესამოსელი. და მას ძღუენსა შიგან იყო თუალი ერთი, წითელი იაგუნდი, წონა დრამისა ოც-და-ექუსისა. იგი შესამოსელი, ბერძენთა მეფისა გამოგზავნილი, ტანსა შეიმოსა ასპაანს და თაყუანისცა ყოველმა მუსულმანმა, კელმწიფეთა უცხოთა და თვით მისთა წარჩინებულთა; და ქება შეასხეს ყოველთა ესრე ყოველთა კელმწიფეთაგან შეწოვნებისა, ძღუნობისა და დარბაზობისათვის.

და თუით სულტნისა მსახურნი და მონანი ესეთნი იყუნეს, რომელ ყოვლისა პირისა მიწისასა ეგეთნი არა იყუნეს. და მათგანი იყო ერთი სახელოვანი, უხვი, გონება ბრძენი, კაცობა სრული, გულოვანი, ფრთხილი, მხიარული, სიტყუა მიუმცდარი, მკნე და სიბრძნისა[2] მომებარი, ყოვლითა სიკეთითა სრული, ნატიფი; აქიმობისა კარგად მცოდნელი იყო; ყოვლისა კაცისა

---

[1] ვარიანტია ზოგს ხელნაწერში: «მუსულს.»

[2] ვარიანტი: «სიმკნისა.»

მოყუარე, ღმრთის კაცი და დიდისა ქუეყანისა პატრონი იყო. ლა, ამა ზნეთა განაღამცა, მძებნელი იყო უცხოთა ამბავთა და შაირთა.

რა სულტანმან ქალაქი ასპაან აიღო, აიყარა ლაშქრითა, წარმოვიდა და იბდალ-მელიქ-კაზირი ასპაანს დაადგო. მგზავრად მივიდა და ჯორჯანელი ნახა და მოეწონა კაცი და ამბავთა ნახულთა დაიწყო თქმა. მას ღამესა მას გუერდით იყო და სმასა შიგან ჰკითხა:

— არა იცია ამბავი ვისისი და რამინისი? დია მინდა ამბავისა მათისა შეტყობა და აღრითგან ვეძებ; მასმია სიკეთე მათი.

ფახრვურ პასუხი მიუგო:

— მე ყუელა ვიცი და მასმია სიკეთე და სეფისპირობა მათი, რომე კარგი ამო ამბავი ბრძანეთ, მეცნიერთაგან თქმული და შეწყობილი ფალაურითა ენითა; და ფალაური თუ დიდად არვინ იცის, ვერავინ თარგმნის. აწ თუ შენ მიბრძანო, მე გამოვაცხადო ამბავი მათი და ვთარგმნო სპარსულად.

ესე დაიმადლა მისგან იბდალ-მელიქ-აბუნასარ და იმედი წყალობისა უთხრა. მერმე ფახრვურ ეგრე თქუა: «ვინათგან ესრეთ არს და ამბავი მათი ბუნებად უყუარს და მონდომია მოვახსენო, სიტყუა შეწყობით ვთქუა და ვთარგმნო. თუცა სახელი მათი დიდია ქუეყანათა ზედა, ჩემიცა სახელი დარჩეს ამისითა მიზეზითა ქუეყანასა.»

ბ

ამბავი ვისისა და რამინისა და უსუცესისა ძმისა მისისა შაჰი მოაბადისი

იყო დიდი და მაღალი კელმწიფე ადრაბაგანისა და ყოვლთა თემთა და ქუეყანათა მპყრობელი და დიდთა საჴურჭლეთა პატრონი. ჰქონდა ხორასანი, თურქისტანი, ერაყი, ადრაბადაგანი, ქოისტანი, ხუარაზმი; კმელთა და ზღუათა პატრონი იყო და ყოველსა სპარსეთსა ზედა მორჭმული. მრავალნი კელმწიფენი ჰყუეს სვიანი და შეუვრობელი და მას ყამსა შიგან მისი სიტყუისა უმორჩილო არვინ იყო. ცეცხლისა მსახური იყო თვით მეფე და საკელმწიფო სრული. ესე კელმწიფე ქრისტეს მოსვლასა წინათ იყო და სახელი მისი შაჰი მოაბად.[1] ესვა ძმა ერთი, ერქუა სახელად ზარდი და ვაზირი იყო შაჰი მოაბადისი.

ვითა წესია სპარსთა შექნეს ვაზირობა დიდი და ეზოდ დიდი ნავროზი გარდაიხადიან, რომე კაცთა გონებისაგან არ მიიწთომვის. ჩუენ ზოგი რამე ვახსენეთ მათისა ბაირამ-ნავროზობისა ზარი. მას დღესა მოვიდეს მეფენი, რომელნი მისსა მბრძანებლობასა ქუეშე იყუნეს, და დიდებულნი დედა-წულითურთ მათითა სიხარულად და სამსახურად: შირაზელნი, ასპაანელნი, ერაყით, ჯორჯანით, გელანით, არდაველით და ბარდაველითა;

[1] ხშირად ხელნაწერებში «მოაბად» იცვლება ასე: მოვაბად, მუაბად, მუვაბად.

შაჰოფურ გელასნელი და თუით ფარდი, ძმა ვაზირი შაჰი მოაბადისი და ყოვლისა ქუეყანისა დიდებულნი დედაობითა მივიდეს შაჰი მოაბადისასა ხუარასანს, მარავს ქალაქსა. გამოვიდეს და უბრძანეს თავის თავისთა ფარეშთა მას ველსა დადგომა კარავთა და ოთაღთა: მოჰკაზმეთ მინდორნიო. ამის ყოვლისა სიკეთისა გონება მიუწუდომარეა. გამოვიდეს მინდორად, შემოივლნეს სარა-ფარდანი, შეჰკაზმნეს ფარეშთა და სხუათა მსახურთა წალკოტნი და აავსნეს საქონლითა და საჭურჭლითა. დააშურეს სპილონი და აქლემნი საჭურჭლეთა ზიდვითა. ვითა თუით მისსა ჴელმწიფობასა ხუდებოდა, ეგეთნი გაემართნეს.

ყოველნა ჴელმწიფენი და დიდებულნი მისნი; ვინცა ქუე სხდომასა ღირს იყუნეს, ქუე დასხნეს. და სხუანი რომელნიმე იყუნეს, ზე ადგნეს თავისა ჴლისა მქონებელნი.[1] დედოფალნი და ხათუნნი აწვივნეს, საპატიოთ დასხნეს, მოასხნეს მრავალ ფერნი და კარგნი მუტრიბნი, ცალკერძ და ცალკერძ იმღერდიან, ვარდისა მიჯნურნი ვარდსა ზედან დასჭიკჭიკებდიან და მუტრიბთა შეუკმობდიან. დასხდეს მზისა და მთუარისა მსგავსნი ჴელმწიფეთა ცოლნი და ხათუნნი. და ჰქონდა დედათა ორი ლალისა მსგავსი[2] ფერი, შუენიერი, ერთი—პირისა და ერთი ღვინისა. დააკუმევს ალვა, მუშკი და ამბარი და მათ სურნელთა ეგზომ დიდი კუამლი შეიქნა, ვითა ღრუბელი და ფერი,—ვითა მათ ხათუნთა თმა. დავლა და ბედი, ლარი და საჭურჭლე მათი მთისაგან უმძიმესი იყო, და შეწირვება ზღვისაგან უსუბუქე. და ყოვლისა ქუეყნისა დედანი ჭურეტად მოვიდეს, მათადღა სმლი-

---

[1] ვარიანტი: «ზე ადგნეს თავსა ხელთა არგნისა მქონებელნი.»

[2] ვარიანტი: «ლალისა ფერნი ბაგენი.»

სა ჭურჭლად. ახალ სძლისაგანცა უკეკლუცესნიცა იყვნეს; მათისა მოგნისათვისცა მრავალი სისხლი დაღვრილიყოს. იყო შარო მაჰდუსტ არაბადგანელი, მანოშ ასფზურგანელი, ნასლაქით დეჰისტანელი, დინირგეს და ზარნიგეს მთის მირელნი, შირინი და გურგესი ასპაანელი, ორნი მზისებრნი კეკლუცნი, აბანოზნი, აბანოქედ; ორნი კეკლუცნი ქალნი მწიგნობართა ასულნი, ჯალაბი და ისამან-გაზირისა ასული მაქარლაბ, და აბანოშ ერაყელი, მონაზი ადრაგუნი და გულგუნოი, შირაზელნი მაინამ და ხაიბლა, და შაჰი მოაბადის ცოლნი. იყვნეს: ჩინელნი, თურქნი, ბარბარელნი, ბერძენნი, აზნაურისა ასულნი; ამა დედოფალთა ხათუნ ხუარაზმი იყო. ყველა ერთმანერთისაგან უკეკლუცესი იყო. მათი ქება არავისგან მიიწუთომვის, პირად და ტანად ყოვლითურთ სრულნი და უკლებნი იყვნეს. ყველა სხდა შაჰი მოაბადის წინაშე.

იყო კელმწიფე შაჰი მოაბად დედათა მოყვარული, უჭვრეტდა, ისარებდა და გასცემდა, და მუტრიბთა ამღერებდა; ზოგთა ასპარეზთა აცემინებდა, ზოგთა მუზითა ამღერებდა და კეკლუცთა ქალთა მუშპართა აქნევდა.[1]

კუირასა ერთსა გაიხარნა დიდითა სიხარულითა. რაცა მის სმისა და სიხარულისა მეჯლიშში თუალი, მარგალიტი და საჭურჭლე იყო, ყველა გასცა. აავსო დიდი და პატარა, არავინ დარჩა იქი უშოვარი. ამაზედან პირმშომან შაჰრომ მოცინარის პირითა ზმა უთხრა შაჰი მოაბადს. რა ესე ესმა შაჰროსაგან შაჰი მოაბადს, ეგრე არქუა:

— ჰე ვარდო, მოცინარედ მოუბარო! მიწყითმცა მხიარულად

---

[1] ვარიანტი: «აქნევინებდა.»

გნახავ! რადგან სიბერისა ჟამსა ასეთი გულისა წამღებელი ხარ, ნეტარ სიყმისა ჟამსა ვითარი ყოფილხარ? რადგან ვარდისაებრ ნახევარ დამჭკნარი ესეთი ხარ, წინას მნახველთა შენთა სიცოცხლე ანუ გონება ვით ჰქონებია! აწ რადგან გული დამიბნელე და უიმედო მყავ, ბარე შენისა გვარისაგან ნუ კიდეგან-მიქმ; ასული შენი შემრთე, რომელ ნაყოფი თესლისაებრ იქნას, და ასული შენი შენებრვე არს. ბედი ჩემი და წაღმართი მაშინ უფრო სანატრელი იქნების, რა შენისა გვარისა, შენებრივე მზე, ჩემსა სრასა შინა ნათობდეს. და თუ ვპოვებ მიწისა მზესა, არ ვეძებ ცისა მზესა.

პასუხად ეგრე არქუა შაჰრო მშვენვარემან:

— ჰე ჴელმწიფეთა უჴელმწიფესო! შენისა სიძობისაგან უკეთესი ჩუენ არა წაგუეკიდების, თუმცა ღმერთი მწყალობდა და ასული მესუა; გარნა, შენმან მზემან, მე ასული არა მივის, და თუმცა მესუა, მოგახსენებდი. აქამდის მე ქალი არა მიშობია და თუ აწ მომეცეს, ულონიოდ თქუენ მოგახსენებ.[1]

მერმე შაჰი მოაბად აფიცა:

— შემომფიცე, რომელ თუ ასული მოგეცეს, ჩემგან კიდე არავის შერთო.

მათითა საფიცითა ყარანის ცოლმან და ვიროს დედამან მტკიცედ ესე შეჰფიცა:

— თუ ქალი შვილი მომეცეს, შენ შეგრთო და შენი ცოლი არი.

შაჰროს ქმარი ყარან იყო. მაგრა შაჰრო უფრო გუარიანი იყო ყარანისაგან. ჯიმშედ მეფე, რომელ ადამს აქეთ

---

[1] ვარიანტი: «ულონიოდ თქუენ მოგცემ ცოლად.»

მესუთე კელმწიფე ყოფილა, შაჰრო მისი ნატამალი იყო.

მუშკი ვარდისა წყლითა შეზილეს და მით საფიცი წიგნი დაწერეს და ჰაემანი შეუქნეს ერთმანერთსა: «შაჰროს ასული მიეცეს,—შაჰი მოაბადის ცოლი იყოს.»

ნახელა თუ რა ჭირი ნახეს ორთავე: მან უშობელი შეირთო, და დედამან უშობელი გაათხოა.

ბ

ჭაქიმათი—განგება ღმრთისა და შეგონება

საწუთროსა საქმე და მუხთლობა დაუთუალავია. საწუთრო ასრე ნასკუითა შეჰკრავს, რომელ ათასი ცნობა და გონება იყოს, ველარ გახსნის. აგრე გამიჯნურდა შაჰი მოაბად, რომელ უშობელსა შეირთვიდა.

შეგონება: ცნობამან ესე ხუაშიადი მისისა გულისაგან გამოაცხადა, რომელ დიდებისაგან მისი ფათერაკი იშობებოდა.

რა ორთავე დაასკუნეს საფიცი წიგნი და სიმტკიცე მზახლობისათვის მისცეს, საწუთრომან დაიწყო მისებურად ხლათვა, საკურველებასა ზედა საკურველისა მომატება.

მათსა ჰაემანსა ზედა გარდაიარა მრავალი წელიწადი და ყოველსა კაცსა დაავიწყდა; მათი ამბავი დაძველდა, მათი

საქმე აღარავის მოეგონებოდა. ამაზედა მოესმა შაჭი მობადს დაორსულება მეოცდაათესა წელსა შაჭროსი მის ძვირფასითა მარგალიტითა. რა ცხრა თვე გარდავიდა, მისგან გამოვიდა ელვარე მთუარე. არ მუცელი იყო, გარნა[1] აღმოსავლეთი იყო და მისგან გამოვიდა მნათობი მზე. ესეთი ასული შობა შაჭრომან, რომე მისითა შობითა ბნელი ღამე ნათლად შეიქნა. გარდიკადეს მეობა და დაარქუეს მას მნათობსა სახელი ვის. და მაშინვე მიაბარეს კაი გვარიანს გამდელსა გასაზრდელად.

ესვა მობად კელმწიფესა ძმა, სახელად რამინ, ვისისავე ყამთა შიგან დაბადებული. უყუარდა მობად მეფესა შვილად და წალმართად მას ხედვიდა. და საზრდელად ხუზისტანსვე გამო-გზავნა ჭაერისა და ქუეყნისა სიკეთისათუის. ვისი და იგი ერთსა ქუეყანასა შიგან იზრდებოდეს, ვითა ერთსა ბაღსა შიგან ორნი ყუავილნი—ადრაგუნი და ნასრანი.

ვინ იცოდა, თუ ამათი საქმე სად მიაწევს? რა არს ესე, ანუ ყამი წინა რას მიუდებს!?.. ვინ მოისმენდეს ესე ამბავნი, სცნეს სოფლისა ამის აუგნი, უსანობა და მუხთლობა, რომელ არცა ჭირსა, არცა ლხინსა არავის გაუსრულებს. მისი ჭირი და ლხინი წამ ერთ არის. ცოტასა ჟამსა ჰგავს, სხვითა გაი-ცინებს[2] და მოგუცემს რასმე; ატირებნის, და რაცა მოეცეს კელთავე, მოგთხოვს. ვის-რამიანს უყედრება არ უნდა, მით რო-მელ ღმრთისა განგებისა სიბრძნითა არ შეიკურის.

ესე რამინ იზრდებოდა და რა მოიწიფა, ამას იტყოდეს: არა არს პირსა ქუეყანისასა რამინისებრიო. ქება გაგაგონო,

---

[1] ბევრგან «გარნა-ს» ნაცვლად არის «განა.»

[2] ვარიანტი: «გაიცნებს.»

რომელ ენა-გონება კეთილ მოქმედი უკლებობითა თანა ცოტა რამე გამოვაჩინო: სასე უმსგავსოდ ტურფა ჰქონდა ყოვლისა თანა საკამსოდ; პირად მზესა ჰგვანდა, თუალ-წარბ შავი, თმანი მდიდარნი და გრუზნი, შავნი წუერნი—მერცხლის ბოლო; ტანად საზომიერი, ერთი მისებრი არცა მსატვართაგან დაისახოდა; ძალად და გულად ვითა ლომი, სიფიცხედ ვეფხისაგანცა უფიცხესი; ცხენოსანი, მონადირე, მონავარდე, მოჭადრაკე მხიარული; სწადდის[1],—ძალისა კმისა ყუელასა უებროდ მცოდნელი იყო; მშვილდსა მისსა ვერვინ მოზიდვიდა, შუბითა და ასპარეზითა მისებრ ვერავინ იმღერდის, ესრე რომელ ჭურეტასა მისსა შეექციან; მას გუერდით მომღერალნი და მსმელნი არად გამოჩნდიან; ამას ყუელასა ზედა, წყალ-ჯავარი თუ სთქუა, იმასა აქუს ყოვლისა სოფლისაო. არცა ვინ მათ ჟამთა შიგა მისი შემბმელი კაცი იპოებოდა. მისისა მნახველისა ჯალაბი ესეთი შეიქნის, რომელ იგი მიდამო ველი და ფოლორცნი ველარ იტევდიან და ყუელა ჴელ-აპყრობით მისსა მზე გრძელობასა ღმრთისაგან ითხოვდიან. რა რამინის ესეთისა მოწიფება ესმა შაჰი მოაბადს ვითა მართალი იყო, ეგრე გაეხარნეს, ღმერთსა მადლი მისცა და გლახათა ზედა დია გასცა. გამოგზავნა საბატიონი დიდებულნი ხუზისტანს და წაიყუანეს შაჰი მოაბადის ძმა, რამინ, და მას წინაშე მარავს მივიდეს.

---

[1] ვარიანტი: «საწადისი.»

დ

აქა ვისის მიმისა წიგნი მაჭროს ვისის დედასთანა მიწერილი

მიუწერა, ვითა «ესე მიგვიწერს, მუცლითგან რომელ რა გიშობია და ჩემდა საზრდოდ მოგიცემიათ, არცა გინახავს, არცა გიკითხავს და არცა ჩემად რა გიბრძანებია; არცა ძიძასა მისსა მოიგონებ, არცა საყუარელსა შვილსა ექცევი და არცა უებროსა პირისა მისისაგან იქადიო. ვითა ეგების ესეთი გულ ქუიანობა, რომელ ესე დაივიწყეო? რა გიშობია და ჩემად მოგიცემია, მისსა შესაფერსა აღარას ღირსა ქცეულხარ. აწ გაზრდილსა მრავლითა ნებიერობითა და მავარდნისა მართვესა ამაღლება დაუწყია. აწ ამის მეშინიან, ესრე ამაღლდეს რომე ესე ბუდე აღარა მოეწონოს, ანუ წავიდეს სადმე და თავისაებრი ძებნოს. უებრობა და სიმარტოვე ძნელია.

«მრავლითა ნაზობითა გამიზრდია და აწ ჩუენი აღარცა ტანისამოსი მოეწონების, არცა სასმალ-საჭმელი, თუცა ყუელა თანაშეწევნითა ღმრთისათა, ჩუენ გუაქუს. გარნა ამის ნებიარობასა ჩუენი ძალი ვერ გასძლებს; რაზომცა უსწორო ტანისამოსი შეუკერო, სამოცსა ფერსა აუგსა დასდებს: ყუითელი თუ მივართო, ამას იტყუის, ეგე სნეულთა სამოსია; თუ წითელი მოვიღო, ესე საბოზოსაო; ლურჯი—მგლოვიარეთა ჰფერობს; თეთრსა—ბერთა სამოსად იტყუის, და ორფერსა—მწიგნობართათ. რა

დილასა გაიღვიძოს, მონათა და მჴევალთა ითხოვს სამსახურად და ჭარირისა ტანისამოსსა; რა შუადღე იქნას, ოქროქსოვილსა ითხოვს და საღამოდ ოქსინოსა, წამსა და წამსა თუითო ფერსა ითხოვს და ათასსა ვმანავსა ტარსა. ზურისა ჭამისა ჟამი იყოს, ჟამსა და უჟამოსა ოქროსა ჯამ-დაბაკითა მთხოვს; მჴევალთა კეკლუცთა და მონათა სამსახურად, ორმოცდაათ-ორმოცდაათსა ოქროსა სარტყლითა და ატლას-ოქსინოთა მოსილსა; ნადიმად ოთხმოცი ქალი გუარიანი კეკლუცი ჰმოუნდების, ამის უმცროსნი არ მინდაო.

«მე ამის მეტად ველარ გავსძლებ მისსა ნებიარობასა და ვერცა სით მოვართომ, რასაცა მთხოვს. მე ვინ ვარ, რომე ჴელმწიფისა ასულსა ვზრდიდე ვითა მას უნდეს? აწე რა ესე წიგნი წაიკითხო, ადრე თათბირი ქენ და ქუეყნისა დამაშვენებელი შენი ასული წაიყუანე.

«არაკი: ათისა თითისაგან ერთისა თავისა ოდენი საკრმობა[1] არა გამოვა, არცა ათასისა მასკულავისაგან ერთისა მზისა სინათლეო.»

მისცა წიგნი ფარსადანსა და გაგზავნა შაჭროსთანა. რა წიგნი მიმისა მივიდა ვისის დედასთანა და ცნა ასულისა ქება და გაზრდა, მწიგნობარსა ოქროსა თავი მისცა და სხუა საქონელი დიდი და ესრე გაამდიდრა, რომე საქონელი შვილი შვილთამდე ეყოფოდა. მერმე გაუგზავნა შაჭრო ასულსა, ვითა ჴელმწიფეთა წესია, ეგრე ზარიანად მარავს კუბო ოქროთა, თუალითა და მარგალიტითა შეკაზმული, მრავალი ხოჯანი, მჴევალნი, მსახურნი. ეზომნი საქონელი და ოქრო გაუგზავნა მიმა-

[1] ვარიანტი: «საკმარობა.»

ხაცა, რომე აქლემნი და ჯორნი საჭურჭლესა ქუეშე დაამჴრეს. და ხუზისტანისა ქუეყანით საყუარლად და ნებიერად ეგრე მოიყუანეს ჭამიანს ქალაქს.

მ

აქა ხუზისტანით მოიყუანეს ვისი ჭამიანის ქალაქსა

და მოიყუანეს და შაჰრომან ნახა, შვილობისაგანცა უფრო საყუარელი პირი და ტანი მისი ასულისა გაოცადა. ჴელ-პყრობით მადლი მისცა ღმრთისა და მისითავე სახელითა შეულოცა და პირსა შეჰბერა, რომე თუალი არ ეცესო. მერმე გლასსათა ზედა ურიცხვი ოქრო და საქონელი გასცა და თავისა წინა ტასტსა ზედა დასვა, შაჰრო უშვერეტდა, მზესა და მას შუა საცილობელი შექნა, თუ რომელ რომელიაო და ვითა მოყუარულისა მშობლისა წესია, ეგრე დაუწყო კაზმა: სცხო მუშკ-ამბარი და მრავალ ფერი სურნელი, და შემოსნა ოქრო-ქსოვილიანი შესამოსელნი, ალვა და მუშკი უკმივა და ესრე შეჰკაზმა, ვითა მანეჩინელისა სახე; რაზომცა უაუგო, სრული და ჰკვლეული ჰყოს და ვინცა ნახოს, ყუელასა მოეწონოს და რა კაზმა დაუწყონ ოქროთა და მარგალიტითა, დამშვენდებისო, და ვისის ფერის მიცემისაგან ოქრო გაწითლდების.

რა დედამან ესრე შუენება მოჭარბებული ნახა ასული, ეგრე არქუა:

— ჰე ყოვლისა ქუეყნისა მაშვენებელო! შენი კელმწიფე ხუასროვი [1] და კელმწიფე შენი დედა დედოფალი გუარიანი (იყოს), შენ ესეთი უებრო იყო, და მე შენი შესაფერი ქმარი მიწასა ზედა არა ვიცი; და რადგან შენი სწორი შესაფერი ქუეყანასა ზედა არავინ არის, ჩემგან უფროსსა ზედან შენი გაცემა არ ეგების. არა რომელსა ქუეყანასა არის შენი ჯუფთი და სწორი ჩემისა ძისა ვიროსაგან კიდე. შენ ეცოდე მას ჲ ნატამალი გაგუიმრავლე ჲ ამა მზახლობისაგან მე გამახარე. ვიროს ცოლი იყავ—საქებარი და მისი, სძალი ჩემი იყავ—შვენიერი ასული ჩემი. ჩემსა საწუთროსა ჩემთუის სისრულე და სიამე მაშინ აქუს, რა ჩემისა გულისა სანდო სანდომსა შვრთო და შევკედრო.

რა ესე სიტყუა ესმა ვისისა, დიდისა სირცხვილისაგან გაწითლდა და გულსა ცეცხლი ჩაეგზნა ძმისა სიყუარულისათუის და პასუხი აღარა გასცა, მინდა თუ არაო. უგრძნეს სხუათა დედათა და ვისის დედასა არქუეს შაჰროს, ვითა სულისა დალება ქალისაგან ნდომის ნიშანი არისო. დედამანცა შეუტყო მით, რომე ბერი მოხსნული დიაცი იყო და სიყმესა მისსა იგივე საქმე წაეკიდებოდა ქმრისა შერთვისა ყამსა.

რა დაუდასტურდა ქალისაგან ნდომა ვიროსი, მასვე წამსა უხმნა რაცა მისსა ბრძანებასა და ფარმანსა ქუეშე მუნეჯიმნი და მეცნიერნი იყუნეს ამიანით, გორაბით და ყუელგნით, მათისა ეტლისა და საწუთროსათვის, თუ რა წაეკიდების, ანუ ვით

[1] ვარიანტი: «შენი კელმწიფე მამა და კელმწიფე შენი დედა.»

გაიხარებენ ასული ჩემი და ძე ჩემი გირო მათისა ქორწილისა-განო? გამოარჩიეს მუნეჯიმთა კარგი დღე და ყოველნი ერთგან დასხდეს. ძებნეს და გამოარჩიევეს, ნახეს ბედი და ეტლი მისისა ასულისა გისისი და ძისა მისისა გიროსი და სვიანი დღე უპაემნეს, და მათსა ეტლსა და პაემანსა ზედა მივიდა შაჭრო, და უკმო ძე თვისი გირო და ასული გისი დარბაზსა მისსა. ზედა კოშკი იყო აგებული და მას კოშკსა შიგან სხდეს სამნი-ვე: დედა-სიდედრი, ძე-სიძე, ასული-სძალი. დედამან-დედამთილმან გამოუღო გისის კელი და ძმასა მისსა გიროს კელსა ჩაუდვა და შეჰკვედრა, ვითა მათი წესი იყო, დალოცნა და ცოლად შერ-თო, და ეგრე არქუა:

— თქუენ არცა უცხონი ხართ და არცა უმეცარნი ერთმან-ერთისანი. არცა სძალსა შეკაზმა უნდა—თუით ღმერთისა შეუკაზ-მავს; არცა ზითევი უნდა. თქუენ ორნი ერთნი ხართ, არცავინ მოწამე გინდა, არცა შუამდგომელი,—ღმერთი კმას თქუენად მოწ-მად და ანგელოზნი მისნი.

შევედრნა მან მარტომან ერთმანერთსა, დალოცნა და ეგრე უთხრა:

— ღმერთმან დამბადებელმან განგახარნეს ერთმანერთისაგან და მრავალი თქუენი შვილი მიჩვენოს და გამაზრდევინოს, ვითა მე მინდა.

ვ

აქა ქორწილი ვისისა და ძმისა მისისა ვიროსი და მოაბადის ძმისა ზარდის მოციქულად მოსულა

ხე რა მართლად არა დანერგულიყოს, სიმრუდე მაშინვე აჩნია. ბოლოსა ჟამსა საქმე რა გაირყუნებოდეს, თავსავე ზედა გამოჩნდების.

არაკი: რა ავი წელიწადი გუალვისა მოვიდოდეს, ზამთარსა შეეტყობის და დააჩნდების.

შეგონება: ისარი რა არ მართლად მივიდოდეს, მშვილდისა მოზიდვასა შეეტყუების. რა ხესა ზედა ნაყოფი ცოტა გამოვიდოდეს, გაზაფხულ მისსა აყუავებასა ზედა გამოჩნდების.

აგრევე ვისის საქმე მასვე დღესა გამოჩნდა, სიმწარე და არ-სვიანობა; ამად რომელ, რა დედამან მათმან შაჰრომან კელი ერთმანერთსა ჩაუდვა და საქორწილოდ გაზმა დაუწყო და შეყრილიყუნეს ყოვლის ქუეყნისა დიდებულნი და ლაშქარნი, და პურისა ჭამასა ლამოდეს და სუმასა და სიხარულსა,—ანაზდად მასვე წამსა ზღვისაგან შავი ღრუბელი გამოვიდა. ნათელი დღე იყო, მზიანი, ჭამო და მაშინვე, თუ სთქუა, შეღამდა, ასრე დაბნელდა ქუეყანა, და ქარი დიდი ადგა და მტუერი დიდი შეიქნა, რომელ ერთმანერთსა ვეღარ ხედვიდეს. მექორწილენი აიშალნეს და აიყარნეს.

მასვე ჟამსა გზასა ზედა მოვიდოდა კაცი შავითა შეკაზ-

მული, შავსა ცხენსა ზედა მჯდომი, უნაგირი და აბჯარი მისი შავი იყო, და სახელი ზარდი იყო. და კუბო მოეტანა ისფრითა შეკაზმული და შაჰი მოაბადის წიგნი. თუცა მოციქული იყო, მაგრამ ძმა და ვაზირი იყო მოაბადისა. წამოუდგა ვიროს ზედა და შაჰროს ცხენიდაღმა მისცა წიგნი დაბეჭდული ოქრო-ბეჭდითა. მოციქულმან შენდობა ითხოვა ცხენით მოდგომისათვის და ეგრე მოახსენა:

— მე ბრძანება შაჰი მოაბადისაგან ასრე მაქუს: დღე და ღამე მივლია, არ მძინებია, მრავალი ცხენი დამიყენებია მოსწრაფებისათვისო, და სხუა წიგნმან მოგახსენოსო.

რა ბეჭედი აიღეს, გახსნეს წიგნი. თუცა ამონი სიტყუანი ეწერნეს, შაჰრო ეგრეცა, ვითა მოკირთული[1] ვირი ტალახსა შიგან, აგრე სირცხვილისა და შეჭირვებისაგან თავისა გზა გაუღებელი დარჩა, ამით რომე მისგან დაწერილი საფიცი მოაბადის წიგნსა შიგან იცნა თავისა დაწერილი და ეზომი ფიცი, რომელ პირველ სახელი ღმრთისა, სამართლისა მოქმედისა, ეწერა, რომე მიწყით სამართალსა იქმს და სამართალსა უბრძანებს კაცთა. ცა და ქუეყანა დაბადა სიმართლეედ, ერთისა თმისოდენიცა სიმრუდე არა დაგვამცნო: ვითა ქუეყანა სიმართლითა შეამკო, კაცთაგან ეგრევე მართლისა ქნა და თქმა ითხოვა. ვინცა სამართლით მატებასა ეძებს, გამარჯუება მიწყით წინამძღვარ ექმნების. სიმართლისებრი ქუეყანასა ზედა არა რა არის, მით რომე სიმართლისა მატებასა დაკლება არა აქუს.

«შაჰრო, მე შენგან სიმართლესა ვეძებ, რომელ მიწყით სიმართლესა იქმოდე და მართალსა ეძებდე. ჩუენ ორნივე სიყუა-

---

[1] ვარიანტები: «მოტვირთული» ან «მოკართული».

4502
აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили

რულისა პირსა ზედა და მზახლობასა ზედა ვიფიცენით. ღმერთი და ანგელოზნი მისნი შუამდგომლად დაგუიყენებიან, და გუიფიცავს, წიგნი დაგუიწერია საფიცი,—აწ რად დაივიწყე ღმერთი, აღთქმა გამიტეხე, მე შენი ასული მაშინ შემირთავს, რომელ მეოცდაათესა წელსა გიშობია. ასული ღმერთმან თვით ჩემსა ბედსა ზედა მოგცა, თუარა შენ კულა ასული არა გიშობია. აწ მე დია მხიარულად ვარ, რომელ შენ ქალი შობე. დიასაქონელი გამიცემია გლახათათვის ამით რომელ, ღმერთმან შეგიწყალნა და ჩემი იმედი, რომელ მისითა მოწყალებითა გქონდა, გაასრულა.

«აწე რადგან ღმერთმან ეგე მთუარე მე მიბოძა, თუ ჩემი არის, მე მანდა ყოფა აღარ მწადიან, ამით რომელ თქუენსა ქუეყანასა უფროსნი ბერნი და ყმანი ყუელანი დედათა მოყუარულნია; თავსა და სულსა გასწირვენ მათზედა; მიწყით თქუენებურნი კაცნი დედათა მაღორებელნია და უკანა უდგებიან; ლამაზად კელად უჩნსვე ამის ქნა. ღმერთმან ნუ რომელსა დიაცსამც[1] უჩვენოს მაგისი პირი, რომელ მათივე აგი ზნე არ ასწავლონ. დედანი გულ ნაზუქნი და გულ ჩვილნი არიან: ვითაცა ვინ გაზარდოს და დააჩვიოს, ეგრე დაჩვევის. გაიზრდებიან დედანი გულ მართლობითა, მამათა საუბარსა დაიჯერებენ და ამოთა სიტყუითა თავსა მათ მისცემენ. დიაცი რაზომც ფრთხილი და გონიერი იყოს, ეგრეცა ამოსა კაცისა ენითა მაბუნი იქნების. დედათა ფათერაკი ამით არის, რომელ ეგრე მშვენვარე და მკვლუცი ვიშოვო: «მიჯნურობისა და სიყუარულისაგან ვკუდები, დღე და ღამე ვტირი დაღრეჯილი, ვითა შმა-

[1] ვარიანტი: «ღმერთმან თუ რომელსა დიაცსა უჩვენოს».

გი და მტერნი ვცურავ შენისა გონებისაგან. თუ არ შეგებრალები, მოვკუდები და მას საუკუნესა კალთასა მოგეკიდები. რად არ შეგებრალები! შესებრკე ყმა კაცი და ადამის შვილი ვარ.» ამაზედა დიაცი რაზომცა მოღმრთე და პატიოსანი იყოს, ამა სიტყუითა მოღორდების და ვერ გაიგონებს, თუ უკანის მოვიყვნებიო.[1] აწე, რაზომცა ღირსი, წმიდა და პატიოსანი იყოს, ამა საქმისათვის მოშიშ ვარ, ნუ დაიჭირავ მაგას მანდა და მარავს გამამიგზავნე დაუყოვნებლად და მხიარულად.

«ნუ შეიჭირვებ მზითევსა, ოქროსა, თუალსა პატიოსანსა და მარგალიტსა, მით რომელ მე ეგე მინდა არ ზითვითა. მაგას ურცხვენობურად[2] გავზრდი და დავიჭირავ. და უკელსა ჩემისა საჭურჭლისა კლიტესა კელთა შევვედრებ და შენცა ეზომსა თუალსა, ოქროსა და მარგალიტსა გამოგიგზავნი, რომელ თუ გწადდეს, ერთი ქალაქი ოქროსა ააგო და ზღუდენი თუალისანი. შენ თუით განაღამცა საბატიოდ დაგიჭირე და თქუენს ქუეყანასა მამულობით, მორჩმით და აზატად დავიწერ. ვიროს ძმისაებრ დავიჭირავ და ჩემის გვარისა ცოლსა მივცემ და მას ეგრე ვემზახლები, რომელ საუკუნემდი თქუენისა სახელისა სახსენებელი იყოს.»

მაჭრომ რა ესე წაიკითხა და მისი ცოლისა მებნა სცნა, ათრთოლდა და თავს ბრუ დაესხა, თავი ჩამოაგდო და ზე აღარა აიხედნა სირცხვილისაგან და ყელსა იგრეხდა ვითა დაკოდილი გველი; შეშინდა ღმრთისაგან და მოაბადისაგანცა და გულსა შიგან ეგრე თქუა: მე ვითა რა მიქნია? პირველ ღმერთი გა-

---

[1] ვარიანტები: «მოვიყივნოო» ან «მოვიყვანო».

[2] ვარიანტი: «შეურცხვენელად».

მიწირავს და ფიცი გამიტეხია, და მერმე ასეთისა დიდისა კელ-მწიფისათვის ცოლი წამირთმევია და გამითხოვებია! ზენაარისა გამტეხი კაცი უფლა ასრე გაწბილებული და ენა დაბმული იქმნე-ბის, ვითა აწ მე ვარ დაღრეჯილი და უჭკო!

რა ვისმან შემოხედნა და თავისა დედა ნახა ათრთოლე-ბული და გაყუითლებული, გაუწყრა დედასა და ეგრე უთხრა:

— ნეტარ აგეთი რა წაგეკიდა, რომელ ფერი წაგსულია და გული აღარ გიძს. ან ღმერთმან ეგრე ცნობა ვითა წაგიღო, რომელ წასხვედ და უშობელი ასული გაათხოვე! ცნობილსა კაცსა შენი ნაქმარი არ მოეწონების. ჯამს რომელ ყოველი კაცი შენზედა იცინოდეს.

მერმე ზარდის მოციქულსა, მმასა და ვეზირსა შაჰი მოა-ბადისასა, ეგრე არქუა ვითა, შენ სით მოხუალ, სახელი და გუა-რი შენი რა არსო?

ზარდმან ეგრე უთხრა:

— მე ნატამალი ვარ შაჰი მოაბადისი, მას წინაშე საპატიო ვარ და სადაცა მივიდოდეს, წინამძღუარი მე ვარ მისითა ლაშ-ქრითა.[1] სახელად ზარდი მქვიანო.

რა ვისმან მოისმინა მისგან პასუხი, გული გაუფიცხდა და ეგრე არქუა:

— ყუითელმცა არის, ვის გამოუგზავნიხარო, ეგზომ სა-კუირველი და მაგალითი. ეგე თქუენი წესი არის საძაგელი და მოსაყივნებელი, რომელ გათხოვილსა ცოლსა შეირთავთ. ბრმა ხარ, ვერ ხედავ მაემანსა და სმასა ქორწილისასა, რომელ მუ-ტრიბთა მღერა და ჴმა ცად გაიწევის და ყოვლისა ქუეყანისა დი-

---

[1] ვარიანტი: «მისთა ლაშქართა».

დებულნი, აზნაურნი და ლაშქარნი აქა შეყრილან, დარბაზი ასრე შეკაზმულია, და ყოველი კაცი ამას გვილოცავს: სვიანმცა არის ესე ქორწილი, რომელ სძალი ასული არის და სიძე—მე. აწ რა ესე ჩუენი ქორწილი ნახე და მუტრიბთა კმა გესმა, სიძისა და სძლისა ქება მუტრიბთაგან მოისმინე,—რაღ არა შეიქეც? აწ სით წამოსულხარ, მუნვე წადი და ჩემითა იმედითა კულა ნუ მოხვალ, მით რომელ შენისა იმედისა კელი ჩემისა წაყუანებისა-თუის დია მოკლე არის. ნუცა წიგნითა და ქადილითა გუაში-ნებთ; თქუენი ქადილი, წიგნი და ქარი ჩუენ სწორად გუიჩნს. აქა რაღასა სდგახარ? ასრეა. ჩემი ძმა და ქმარი ვირო აწვე ნადირობით მოვა, გნახავს და მე დამემდურვების და შენ და-გემტერების. ადრე წადი, რომელ არცა მდურვა იყოს და არცა მტერობა. მაგრა ჩემ მაგიერ ეგრე მოახსენე მოაბადს, ვითა შენებრ ფრთხილი არავინ ეგების, სიბერისაგან ტვინი წა-გსულია და შენისა დარჩომისა დღე გარდასრულა. დამპალო ბე-რო! თუმცა ყოლა ცნობა გქონდა, სიბერისა ჟამსა არ ესე-გმართებს, რომე შენ ბერი გარდასრული ყმასა ცოლსა ეცილე-ბოდე. თუმცა კაცი იყავ, საუკუნოსა საგზალსამცა იურვოდი სიბერითა, არა ყმისა ცოლსა. ჩემი ქმარი ვირო არის ლომი ახალ-მოწიფული და მაჭრო დედა ჩემი. მე ვირე აქა ამასთანა ვიყო, მარავი და მოაბადი გვიანად მომაგონდების. ვირემდი ვირო ჩემი გვერდსა მწოლია, ჩემი თავი და პატრონი, მოაბადს და მარავს გვიანად დავნატრდები. **ჭუქუმათი**: ვირე მაქუს ნამვი ნაყოფიანი, არ ვეძებ ანწლსა მყრალსა, დამპალსა და დამჭკნარ-სა.—ღარიბობისა დამთმო მისი გული არის, ვისიცა საქმე მინათ გაუმართავს-მორჭმული იყოს. მე, ვითა ჩემი სიცო-ცხლე, მიყუარს ჩემი ვირო და ვით თუალი არ გამეშვების ჩემი

შაჭრო. ამათ დავემორჩილები, ვითა შაქარი შევეტკბობი, არ მომინდების ღარიბობასა შიგან ბერი მოაბადო.

რა ესე სიტყუა მოისმინა ზარდმან ვისისაგან, მასვე წამსა პირი მარავისაკენ ქნა და ცხენსა მათრაკი იკრა. ასრე ფი-ცხლად წავიდა, რომელ მტუერსა მისსა ნიავი ვერ მიეწევოდა. დღე და ღამე იარა. და მოაბად მიელოდა და აგრე თქუის: «ნეტარ აწ ჩემი ზარდი სად არის, ნეტარ აწ რა უქნიაო?» ჰქონდა თუალი და ყური ზარდის გზისაკენ. ანაზდად მტვერი გამოჩნდა, გამოვიდა ზარდ მტვერისაგან. აშფოთებული და მაშურალი გასხლებულიყო, რომელ სიკუშტითა ავსა კარგისაგან ვერ გამოარჩევდა. მასვე წამსა მოვიდა და მოეგება მოაბად ზარდსა. ეგრე არქუა:

— ზარდო, ლომი ხარ ანუ მელიო?

ზარდი ცხენიდამა გარდახდა, თაყუანისცა და მას წინა-შე მიწასა აკოცა; ეგრე მოახსენა:

— ღმერთმან ბევრ წელ გყოს, ღმრთისაგან და ბედისა-განმცა მხიარულნი ხართ და თქუენი მტერნი თქუენითა კრმლი-თა მოკლულნი და დამონებულნია! და მიწყივთმცა მათსა ქუეყა-ნასა პურ-ქვირობა და სეტყუაა, მათიმც ქარი ჭირისა, და მთუა-რე ბოროტისა, და მზე მათი სიკუდილისა, და ღრუბელი უწვიმო, და მათი მიწა უნაყოფო! მივედ და ვნახე მათი ქუეყა-ნა შემკობილი და შეკაზმული ვითა სამოთხე და ყოვლისა ქუეყნისა დიდებულნი ლომნი ჭაბუკნი და მათი ცოლები, ვითა მზე და მთუარე; და სიკეკლუცითა მათი დარბაზი ესრე შეკაზ-მული იყო, ვითა ცა ვარსკულავითა და ვისი მათ შუა ჯდა დე-დოფალი, ვითა ვარსკულავთა შუა მთუარე ვავსილი. ჰქონდა ქორწილი და სიხარული, რომე ერთიცა კაცი მათსა ქუეყანასა ში-

გან არა იყო დაღრეჯილი, ყუელა მხიარული და მოცინარე. ამღე-რებდეს მუტრიბთა და მგოსანთა კმა-მაღლად ამოთა კმითა. და მე, თქუენმან კეთილმან მზემან, მათი ქორწილი ზრუნვად მიჩნდა და მათი სიმღერა მოთქმად და ტირილად. მისისა სი-ძობისაგან თქუენი სახელი და ნატრა ოდენ დაგრჩომია. და ვი-სის გუერდით სხუა ვინმე ზის და მისგან სხუა ვინმე გაიხარებს. რუ სთხარეთ, ჭირი თქუენ ნახეთ; მაგრა წყალს სხუანი ვინმე სმენო. არაკი: დიდი და მცირე სწორად უჩნს უმეცარსა, ვი-თა ბრმისა თუალსა დღე და ღამე სწორი არის.—ამად უქნია მათ ესე შეუწონელი საქმე, რომელ თქუენგანმცა მათ არა შისე-ბოდა. მაგრა ვირემდინ მათ თქუენგან ავი არ წაეკიდების და არ გარდაკდევთ, ჩუენ მათგან აუგსა და მოყივნებასა შიგან ვართ, რომელთაცა უსუცესი და უფროსი ვიროა სირეგუნითა და ამპარტავნობითა. ეგრე ჰგონია, თუ წურილნი მთანი მე დამიბადებიანო და მუნ თავისა სახელი შაჰი უკმია და შაჰი კელ-მწიფესა ჰქუიანო. ზოგნი მუნებურნი თვით თქუენ არ გიცნო-ბენ და ყოვლისა ქუეყანისა პატრონი ვირო ჰგონია, და არცა თვით სხუა კელმწიფე ჰგონია. თქუენ ზოგნი დამპალობით გი-ყივიან, ზოგნი ძოაბად ყოფილობით.

რა ესე ამბავი მოახსენა შაჰი ძოაბადს ზარდმან, გაყუი-თლდა პირი მეფისა და გასწყრა. პირსა მისსა, ძოწისა მსგავს-სა, ზაფრანის ფერი დაედვა წყრომისა და სიმძიმილისაგან; მტერობისა და ჯავრისაგან ათრთოლდა ვითა ქარისაგან მეწნი და ვითა წყლისაგან მზისა შუქი. ჰკითხა ძმასა:

— ესე რომელ მიამბობ, შენ გინახავს შენის თუალითა ანუ ყურითა მოგისმენია სხუაგან? იგი მითხარ, რაცა გენახოს, და არა იგი რაცა გასმიოდესო. ჰქუქუმათი: ამბავი დასტურს არა

ჭგავს და არცა ნახვა—საეჭუსა.—ნასმენსა ნურას მითხრობ და რაცა ცხადად გინახავს, იგი მიამბეო.

მამამან ეგრე მოახსენა:

— მაღალო კელმწიფეო, მე არა იგი ვარ, რომელ რაცა არ მენახოს, მოგახსენებდე და მეტსა ვმოუბარობდე. ჩემითა თუალითა მინახავს, რაცა მომიხსენებია და ყურითა ჩემითა ნასმენი თქუენგან დია დამიმალავსო. აქამდი შაჰრო ჩემად დედად მიჩნდა, და აგრეთვე ვირო ჩემად მამად. და თუალნი არ მისხენ მათნი შესახედავნი, მით რომელ თქუენითა გზითა ვემტერებო. თავსა და ტანსა ჩემსა სული არ მოუნდების, თუ გულსა ჩემსა თქუენი სიყუარული და მონობა მოაკლდეს. თუ მიბძანებდა გწადიან, შემოგფიცავ ღმრთითა და მზითა თქუენითა, რომელ ქორწილი თავისა თუალითა მინახავს; მაგრა მუნ არცა მიჭამია და არცა მისუამს, მით რომელ მათი აწინდელი სმა, სიხარული და სიმღერა მე ჩემად ომად მიჩნდა; და მათი სამოთხისაებრი შეკაზმული დარბაზი მე, თქუენმან მზემან და კეთილმან, ბნელად საკნად მიჩნდა; მუტრიბთა კმა წყენისაგან გინებად შემესმოდა. მე რაცა მინახავს, იგი მომიხსენებია და თქუენ ვითალა ბრძანოთ და გამოარჩიოთ, ჩუენ მონანი და მიწანავართ მბრძანებლობისა თქუენისა მომსმენელნი და მიმყოლნიო.

რა მეორედ მოდასტურებით ესე ამბავი ესმა შაჰი მოაბადს, მოემატა ზურგსა შეჭირვებისა ტვირთი ტვირთსა ზედა. ზოგჯერ[1] ვითა გული თავ დანაყილი იღულაჭნებოდა, და ზოგჯერ ტბილისა ჭურისაებრ გული აუდუღდებოდა.

---

[1] ერთს უფრო სანდო ხელნაწერში ბევრგან ხმარებულია ზოგჯერ-ის ნაცვლად «ზოგჯირ».

დიდებულნი, ვინცა მას წინაშე იყუნეს, შეჭირვებითა ყუე-ლასი კბილთა იღრჭენდეს და იტყოდეს: «შაჯრომან ვით იკადრა ესე, რომელ ეზომ დიდისა კელმწიფისა ცოლი სხუასა კაცსა შერთო, ანუ თვით ზირო შემძართა შერთვაო?!» სხურ-ჩვნიდეს ერთმანერთსა დიდებულნი.

შეიქნა ლაშქართა შიგან საუბრად ვითა, «აქათგან აო-კრდების შაჯროს ყარანის და ზიროს სახლი, აქათგან აღარ ნა-თობს მათსა ქუეყანასა მზე და მთუარე. აწ ასრე მოსმულდეს შაჯროს ზირო, რომელ მესისხლედ უჩნდეს,—აღარა შვილადო. დაეცა თუალი ყარანისი და შაჯროს სახლისა და საყოფლი-საო.» ჰქონდაყე ხუაშიადი მოაბადისი დიდებულთა და იტყო-დეს: «არ მათი ოდენ აოკრდებოდენ სახლი და საცხორებელი, მაგრა მრავალი დიაცი სხუაცა დაქურივდების. შაჯი მოაბადის წყრომა მათ ესრე დასწვავს, რომე მტერი და ნაცარიცა აღარა დარჩეს მათიო. აგეთი ღრუბელი დადგეს მათსა ქუეყანასა ზე-და, რომელ მისისა წუიმისა ღუარი სიკუდილი იყოს. მუნე-ჭტიკმან იყივლა ღმრთისა განგებისაგან მათზედა, ვითა «გა-ამანის საქონელი—გაამანისა არისო.» ფათერაკისა წვიმა მივა მათსა ქუეყანასა. ნეტარმი, ვინცა არ ახლავს მათ! მრავალი სისხლი დუღს მათთა ასოთა შიგან და მრავალსა უფეთქს გუ-ლიო».

ესე გუარსა რასმე უბნობდეს ერთმანერთსათანა მოაბა-დის დიდებულნი და ლაშქარნი. მოაბადის გული საგონებლისა ცეცხლითა იწოდა და ვერ დაიდგმიდა ადგილსა, და უკმო მასვე წამსა მწიგნობართა და გულისაგან ნაღვლისაებრი სიტყუა ამო-უარა. და მიუწერა ყოველგან ყოველთა კელმწიფეთა და დიდე-

ბულთა წიგნი, და შესჩივლა შაჭროსაგან, ვითა რჯული და-აგდო შაჭრომან და ზენაარი გატეხსა.

და გაგზავნილნი წავიდნეს ქარისაგან უფიცხესად ყოველგან ვითა: შევიყრებით—შევკეკაზმენით მათზედა მისავლადო ტაბრისტანით, ჯორჯანით, დეისტანით, ხუარაზმით, ხუარასანით, ქოისტანით, სინით, ჭინდოეთით, თობითით, ჩინით, მაჩინით, სუღდით და თურანითაო. ამაზედა მარავის მინდორი ესრე გაკდა ლაშქრისაგან, რომელ საუკუნოსა განკითხვისა დღესა ჰგვანდა კაცისა სიმრავლითა და ზარითა.

ზ

აქა შაჭი მოაბადისაგან საომრად გამართვა ვიროზედა

[illegible]ა სცნა ვირომან ამბავი შაჭი მოაბადისი, ვითა მასცა ემტერების და შაჭროსაცა, და ყოვლისა ქუეყანისა დიდებულნი და ლაშქარი მივიდეს მისსა და შეყრილნი ვიროსასაცა მრავალნი სახელოანი აზნაურნი საქორწილოდ მისრულიყუნეს: ადრაბადაგანელნი, რაჱლნი, გმლანელნი, ხუზისტანელნი, ასტაბახრელნი,[1] ასპანელნი. ესე ყოველნი დიდებულნი ამა ქუეყანათა პატრონნი ვიროსასა იყუ-

[1] ვარიანტები: «ასტაბარელნი» ან «ასტარაბასრანელნი».

ნეს სტუმრად და ამათი ცოლები შაჰროსასა იყუნეს. ჰქონდა სიხარული და სმა.

რა მოაბადისა ამბავი მიესმა და შეყრა სცნეს, დიდებულთა ყუელამან წიგნები გაგზავნეს და თავის თავისი ლაშქარი უკმეს.[1] ეზომი ლაშქარი შეიყარა ვირომ სხუა, რომელ მინდორი და ველი ვერ იტევდეს. ყოვლისა ქუეყანისა ჭაბუკნი მივიდეს ქვეითი; დელამი და არაბი ცხენოსანი ეზომი შეიყარა მისსა, რომელ ქვიშისაგანცა უმრავლე იყუნეს; ყოვლით ქუეყნით ბერძი კაცები, მონახულნი და მეცნიერნი ომისანი მოიყუანნა. შეიკაზმნა ლაშქარნი, წინა მავალნი ლაშქართა მისთანი გააჩინნა ვირომან.

მუნით აგრევე შაჰი მოაბად შეჰკაზმნა ლაშქარნი და გამოემართა მარავით. რა მისთა ლაშქართა სიარული დაიწყეს, მიწამან ძვრა დაიწყო მათ ქუეშე სიმძიმითა მათითა და სიმრავლითა; მათი მტუერი ასრე ამაღლდა, რომელ გუანდა თუ მთუარე და მტუერი ხუაშიადსა იტყუიან; ერთგან ლაშქარნი მისნი მტვერსა შიგან ასრე ჩნდეს, ვითა თხელსა ღრუბელსა ზედათ მასკულავნი; ესეთი ღუარი მოვიდოდა ხუარასნით, რომელ მზე და მთუარე მისითა შიშითა ცასა ზედან დამალულიყუნეს. ეგზომ ჯავრით მოდიოდეს მოაბადის ლაშქარნი, რომე მთა მინდორად შექმნა და მინდორი მთად. ასრე მოდიოდეს ლაშქარნი აშფოთებულნი და კელმწიფე გულ მწყრალი. ორნივე ლაშქარნი დაეპირისპირნეს ერთმანერთსა და ჭაბუკნი გულოანნი აშფოთებულიყუნეს, ვითა დიდისა და ძლიერისა ქარისაგან ზღუა.

[1] ვარიანტი: «ლაშქარი იკმეს».

ც

აქა ომი მაჯი მოაბადისი და ვიროსი დიადი

და აღმოსავლეთით გამოვიდა მზე, რომლისა ვაზირი მთუარე და საჯდომი დილისა, ადრე ორთავე ლაშქართა რაზმი აწყუეს და ორთა კელმწიფეთა წინაშე ორთავე ლაშქართა მოდენა დაიწყეს ომად და გასამჩუენებლად. ორგნითვე დაიწყეს ცემა ქოსთა და ყვირილი ბუკთა და ყვიროსტვირთა კმა იყო, თუ სთქუა, ეშმათა კმა არისო, რომელ ვისცა იგი კმა ესმა, ყუელა ერთმანერთსა დაემტერა მისითა მოსმენითა, იყო ეგეთი ზარი, რომელ მკელნი მკუდარნი, მიწა ქმნილიცა ათრთოლდებოდეს მიწასა შიგან, მათითა შიშითა.

შეუტევეს ერთმანერთსა და მათი შეტევება ჰგვანდა შემოდგომათა ქართა, რომე ხეთაგან ფურცელთა ჩამოჰყრის. ორი ეგზომი მათისა შეტევებისაგან შეკაზმული კაცი ჩამოიჭრა და ორგნითვე ქოსი და ბუკი ამას ყვიროდა: «ისწრაფეთო, ჰე სულისა წამღებელნო!» იცოდა თურმე ბუკმან მათი სიკუდილი, წინასვე მათზედა მით ტიროდა. მეომართა კელთა შიგან მახვილი-კრმლები იცინოდა ელვისაებრ, მათსავე სულსა ზედა. გულოვანნი მინდორთა შიგან ლომთაებრ იყუნეს და მთათა შიგან ფიცხელისა ვეფხისაებრ იყუნეს, და რომელიცა მათ შუა ცნობილი კაცები იყო, ომსა შიგა იგინიცა გახელებულ-

იყუნეს, უცილოდ შმაგნი და მტერიანნი იყუნეს, რომელ არცა ცეცხლისაგან ეშინოდა და არცა წყლისაგან; არცა კრმლისა, შუბისა, ლახტისაგან და ისრისაგან; არაცა ლომთა და პილო-თაგან. მას ომსა შიგან ეგეთი ჭაბუკები იყუნეს, რომელ სა-ხელისათვის ტკბილნი სულნი გაეწირნეს და სიკუდილისაგან არ ეშინოდა. აუგსა და გაქცევნას ეკრძალვოდეს. ჰაერი ტყესა ჰგუანდა შუბისა და დროშისა სიმრავლითა, ქუეყანა ნაძვისა ტყესა ჰგვანდა მრავალფერისა დროშისაგან; ზოგსა ზედან ლო-მი ზის, ზოგსა ფარშამანგი, ზოგსა არწივი, ზოგსა დეორ-ბი.[1] მიწა ერთობით მტვერ ქნილიყო ცად გასრული და ლაშ-ქარსავე თავსა ჩამოსდიოდა. მრავალი ყმა კაცი დაბერებულიყუის და შავი ცხენი გაჭარმაკებულიყუის. ჯაბანნი და გულოანნი ამით გამოჩნდებოდა, რომელ ჯაბანი დაღრეჯილიყუის და გულოანი მხიარულ. გულოანსა პირი ბროწეულისა ყუავილსა უგვანდის და ჯაბანსა სიყუითლითა — ღრიანკალსა.

ორთავე ლაშქართ ერთმანერთსა შეუტევეს, თუ სთქუა, ორნი მთანი ბასრისანი ერთმანერთსა შეეტაკნეს. მათ შუა მო-ციქულად ქორაფისა ისრები არწივისა ფრთოსანი, პირ-ბა-სრნი მიდიოდეს და მოდიოდეს; აგზომ საყუარელნი მოციქულნი იყუნიან, რომელ გულსა შიგან დაესობდიან და თუალთა ზედან, სხუა ადგილი არ მოეწონებოდა, და რომელსაცა სახლსა ში-გან მისთანა მოციქული მივიდოდის, მის სახლისა პატრონ-სა და მასპინძელსა კიდე წაიყუანდის. ასრე გაძნელდა ომი, რომელ საუკუნო თუალად ნახეს ცხადად. ძმა ძმისაგან აბეზარ იქმნა და მას ყამსა თავისა მკლავისაგან კიდე მწე და მეშველი

[1] ვარიანტი: «ორბი».

არავინ იყო. ვისცა მკლავი ძლიერი ჰქონდა, მოიკმარა კრმალი თავისა წადილისაებრ. მეომარნი უენოთა ჰგუანდეს ომისა ქარისა[1] და ბუკისა კმისაგან. სხუა არა ისმოდა. ზოგჯერ ჯაჭუსა შიგან კრმალი შევიდის ვითა წყალი, ზოგსა თუალთა შიგან ისარი შეეპარის ვითა ძილი, ზოგსა გულსა შიგან შუბი შეეპარის ვითა სიყუარული; ზოგსა თავსა აფთი შევიდის,— ტვინი, თუ სთქუა, მხიარულმან იცოდა, თუ ღმერთმან სული კაცისა ტანსა შიგან სადა დაამკუიდრა; მასვე კუალსა მახვილი შევიდის და მის კუალისაგანვე სული გამოვიდის. ღრუბელსა ჰგუანდა ლურჯსა ბასრის კრმალი, მაგრა წუიმდა და ღუარი მისი წითელი იყუის. ომსა შიგან ისარი მკერვალსა ჰგვანდა, მკერვალისაებრ შეაკერის კორცი უნაგირსა.

სალამომდინ გაუგრძელდა ორთავე ლაშქართა ომი. მას ომისა სიხშირესა შიგან ერთი ავაზად იქნა, და ერთი ველურ თხად. საყუარელისა ვისის მამა ყარან მოკლეს მტერთა მისთა და ყარანის მიდამოსა მოკლეს სხუა დიდებული, ჭაბუკი ას ოცდაათი, ვიროსი. თუ სთქუა, წვიმდა წვიმისა ცვარი, სიკუდილი იყო. აზომი კაცი მოკლეს, რომე მკუდრისა გორი გორსა ზედა იდვა და მას გარეშემო დიოდეს სისხლისა ღუარნი.

რა ვირომან ნახა მამა მისი ყარან მოკლული და ეგზომი დიდებული მისსა მიდამოსა სულ-გაწირული, არქუა თავისა დიდებულთა:

— ძმანო! გულოვანთაგან ომსა შიგან სიზანტე დუხჭურობა და აუგი არის. თქუენ არა გრცხვენიან ეზომთა ნატა-

[1] ვარიანტი: «ქოსისა».

მალთა თქუენგან, რომელ დაკოცილან და მტერთა გახარებია! ყარანისაგან არა გრცხუენიათ, რომელ თეთრი წუერი მისი გაწითლებულა სისხლისაგან! (და ესეთი კელმწიფე ბედითად მოკლული მეს!... ეზომთა ლაშქართა მისთაგან სისხლისა მძებნელი არვინ არის. ჩაივსო მზე ჭაბუკობისა და სახელისა მებნისა, რომელ აღარვინ სახელსა და არცავინ ჭაბუკობასა ეძებთ! მე ჯერეთ მისი სისხლი არ მიძებნია და მტერთა მისთა ზედა არა გამიხარებია. აწვე ზედა შეღამებულა და დაბნელდების. ლაშქარნი უკუიყრებიან. თქუენ დილანდლითგან დია ჭაბუკობა და ომი გარდაგიკდია და აწ მე შეუტევებ და თქუენი გოლიათობა აწ მოიკმარეთ და მიშველეთ მამისა ჩემისა სისხლისა მებნასა. და ყუელა ვეშაპთა დაემსგავსენით სისხლისა მებნითა და სიკუდილოვნითა, ამით რომელ ჩემსა გუარსა მე არა მოვაყივნებ. აწვე ჩემისა კრმლისაგან სიკუდილისა დღენია. თუალად უჩვენებ საწუთროსა და ქუეყანასა. აუგისაგან და მოაბადის დამპალისაგან დავხსნი და ჩემისა მამისა სულსა გავახარებ მისითა სიკუდილითაო!

რა ესე თქუა, ერთობით მისითა დიდებულითა, მონითა და ხასაგიანითა შეუტევა, ვითა ცეცხლი მოედვა და თავ-უწევარ ქნა. მოაბადის ლაშქარნი მთისაგან მიმავალსა ღუარსა ჰგუანდა ჩაღმართსა შიგან, რომელ აღარათა ღონითა არ შეიოვარვოდა. მათი ალერსი შუბი, კრმალი და ისარი იყო. ერთმანერთისა მოკლვისათვის მოყუარე მტერსა უარე იყო, მამა მისაგან აბეზარ იქმნა, ძე მამისაგან და მოყუარე მოყურისაგან. ვინცა ვის მისუდის, საკლავად არ შეიწყალის. ასრე დაბნელდა, რომე თუალთა წინა აღარა ჩნდა. მმამან ძმა მოკლა და მამამან შვილი. შუბები შანფურსა გუანდა, მწუადისა ნაცულად კაცი ეგის და მიწა სი-

სხლისა მდინარეობითა საწნახელსა. თუ სთქუა, სიკუდილი ძლიერი ქარი იყო, რომე კაცისა თავსა ვითა ხისა ფურცელსა ჩამოჰყრიდა; მეომართა თავი ბურთსა ჰგუანდის მოედანსა შინა და მათი ტანი ტევრთა შიგან წაქცეულთა ხეთა. რა მზე ერთობ ჩაივსო, თუ სთქუა, მოაბადის ბედი ჩაივსო მზესავე თანა და საწუთროსაგან იმედი გარდასწყუიტა მოაბადის ჴელმწიფეობისაგან.

გაიქცა მოაბად ისპაანისა და ხუარასნისაკე. და რა მისთა ლაშქართა იგი გაქცეული ნახეს, ყუელა გაიქცა. უფროსი მისთა ლაშქართა დაიკოცა და თუმცა არა შელამებულიყო, ვერცა მოაბად დაეხსნებოდა. მაგრა ვირო და მისთა დიდებულთა აღარა სდიეს. ეგრე ეგონა, თუ მოაბად გაიქცა და ვირე ცოცხალიყოს, მათზედა აღარ ილაშქრებსო.

მისი საეჭვი სხუაებრი იყო და ღმრთისა განგება სხუაებრი.

რა ვირომან მოაბად გაქცეული ნახა, გაიხარნა. და ჯერეთ ცხენისაგან არ გარდასრულიყო, დაეხსნეს ვიროს დელამნი და გელანი და ქიამანი,[1] უთვალავნი ვითა ქუიშანი, პირუტყუთა თმა, წვიმა და ხეთა ფურცელნი. ვიროს ლაშქარნი და თუ გარეგანი, ვინ ჰყუა უცხო, ყუელანი გაიქცნეს გელანთა და დელამთა შეუბმელნი, მით რომელ იგინი საკვირველად მრავალნი იყუნეს და მათი პატრონი ჭაბუკობითა გამოჩენილნი. რა ვირომან ცნა მათი მოსვლა და თავისა ლაშქართა გაქცევა, გაუკვირდა საწუთროსა საქმე, რომელ უხანო არის, მისი სი-

[1] ვარიანტები: «გელანნი და ქირმანნი» ან «გელანელნი და იამანელნი».

მმიმილი და სიხარული ჯუფთნია, ვითა დღისა სინათლე და ღამისა სიბნელე. **საწუთროსა** შიგან შეჭირვება ლხინთაგან უფრო არის და ბრძენ-გონიერთა გული მისთა ჴელთა შიგან მაბუნი არის. **რა მოაბადს** ზედა გაახარნა საწუთრომან, სხუითა მტერითა მანვე საწუთრომან დაღრიჯნა. ჯერეთ პირი ოფლიანი და მტვერიანი ედგა, ჴრმალი მისი სისხლიანი ქარქაშსა არა ჩაეგო, ჩაუგებელითავე ჴრმლითა დელამთა მეფისა ომად მიმართა ცოტათა ლაშქრითა.

რა მოაბადს ესე ამბავი ესმა, ვითა ვირო მიმართა დელამთა და გელანთა, მასვე წამსა გარე შემოიქცა, და რომელ სიმაშურალითა ვერ იძვროდა, ასდენ ფიცხლად შემოიქცა, რომელ ქარი მისსა ტუერსა ვერა მიეწეოდა. გორაბს მოვიდა დაშქრითა, სადა ვისის სახლი და სადგომი იყო.

თ

აქა მოაბადისაგან ვიროს ციხის გარ შემოდგომა და ვისის საუბარი

და ვისმან, ყოველთა კეკლუცთა პატრონმან, თავისი თავი ნასა ბადითა დაბმული, მამა მოკლული, ძმა სხუაგან ომად წასრული,—დარჩა ღვიძლ-დამწუარი და გულ-წყლული. ფრჩხილითა პირსა იგლეჯდა, ტირილი და ზახილი დაიწყო და მტირალი ძიძასა ეუბნებოდა:

— დღეს ლურჯსა ცასა ქუეშე და შავსა ქუეყანასა ზედა ჩემგან უფრო საბრალო და გულ-წყლული არავინ არისო და არ ვიცი თუ ჩემი ჭირი ვის მოვახსენო, ანუ ჩემი ღონე ვისგან ვეძებნო; ასეთსა ჟამსა სამართალი ვის ვთხოვო და უსამართლოს მოქმედის საწუთროსაგან ვის შევსჩივლო? თავი ჩემი ვიროსთანა ვით მივაწიო და ბერისა დამპალისა მოაბადისაგან ვით ვიხსნა? რას დღესა და რათა ეტლითა მშობა დედამან, რომელ რა დაბადებულვარ, ჭირსა შიგან ყოფილვარ!.. რად არა მოვკუედ მამისა ჩემისაგან წინეთ, რომელ იგი მტერისა კელითა მოკლული ვნახე? მამა მომიკლეს, ძმა მამშორდა და დავრჩი მე ესეთი უღონო ქმნილი, სნეული გულ-მტკივნეული. თუ ავტირდე და ვიკუნესნე, კუნესასა და ტირილსა ჩემსა არავინ მომისმენს, არცავინ მეშველი-მწე და მარგებელი მიჩანს. რა შობილვარ, ჭირი და ფათერაკი ბოროტი დია მინახავს და წაღმართისა თვით არა ვიცი რა, თუ რას ვნახავ. ამის

უარესი არა წამეკიდების, რომე უნებლივ ჴელთა მივხუდე ჩემსა მტერსა და მესისხლესა. თუ მოაბადს მივხუდები და ყოვლისა გულის ნებისაგან კიდეგან ვიქნები, მტერთა მივხუდები და მოყუარეთა მოვშორდებიო.

ესე გუარსა ეუბნებოდა ვისი, კეკლუცთა დედოფალი, მიძასა და წითელითა ღაწუთა მარგალიტისებრითა ცრემლთა ღუარულებრ ადენდა.

მივიდა მასთანა მოციქული შაჰი მოაბადისი და შეთულილობა ესე ჰქონდა: დადევ გული, ჰე მზეთა მზეო და ყოველთა ცისა მნათობთაგან უნათლესო! ღმრთისა განგებასა ვერსით აჰკდები და რაცა ეტლსა გიწერია, მას ვერ დაეხსნებიო. ნუთუ გულსა საეჭვი ჩაიგდო, რომელ მოვერევი ღმრთისა განგებასა? თუ ღმერთმან და ბედმან ჩემმან შენი თავი მომცეს, შენ ღმრთისა განგებასა ბრძოლა არას მოგეკერძების. ღმრთისა განგება იქმნა ესე და დაიწერა შენსა თავსა ზედა. აწ შენი ღონე დათმობისაგან კიდე არ რა არისო. მე შენითა გზითა მოსულვარ აქ ამით, რომელ შენისა სიყუარულისაგან თმობა არა მაქუს. თუ მემორჩილო და უნებლი ჩემი არ იყო, მე მრავალი გულის ნება აღვისრულო, ასრე აგავსო თუალითა პატიოსნითა და სამკაულითა ფას დაუდებელითა, რომელ მზესა და მთუარესა შურდეს შენი შუენება. ჩემისა სულისა და გულისა წამალი შენ იყავ და ჩემისა დარბაზისა და ქუეყანისა დედოფალი ნებიერი. მე შენგან ნება ამისრულდეს და ჩემგან შენ სახელი და დიდება ჰპოო. ვირე ტანსა შიგან სული მედგას, შენ და სული ჩემი სწორად მიჩნდეთო.

რა გულისა წამლებელმან ვისმან ესე გაიგონა მოაბადისაგან შეთულილობა, ვითამცა ყუელა თრევად და გინებად სმენო-

და. თავსა მიწა და ნაცარი ისხა, ორისავე ჯილვითა პირი დ მკერდი ლილის ფერად გაიკადა, საყელონი გარდისივნა, მკერდი ბროლისა გამოუჩნდა და ასრე აშფოთდა და გასხელდა, რომელ არცა მოციქულისაგან შერცხვენდა დ ბაგითა, შაქრისაებრ ტკბილ-თა, ნაღულისაებრ მწარე პასუხი შეუთვალა და სიყუარულისა ნაცვლად მტერობისა ლახუარი ჰკრა, და ეგრე უთხრა მოციქულსა:

— აწე ესე ავი შეთულილობა მოვისმინე, გემოდ გულისა ზარსა გავს. შენ წავედ და დამპალს მოაბადს უტვინოსა ეგრე უთხარ ჩემმაგიერ თუ, ფათერაკისა მოედანსა შიგან ნუ ჩა-იგდებ ბურთსა ჩემითა იმედითა. უსარგებლოსა ჭირსა ნუ ნა-ხავ და შენსა საჭურჭლესა ცუდსა საქმესა უკანა ნუ წაავებ. შენისა საქმისაგან შენი კაცობა მიცნია და შენი ნივთიანობა შემიგნიან და ნუთუ შენ ესე გეგონოს, თუ ვისის ამა ციხი-საგან ცოცხალსა ჩამოვიყუანო, ანუ მოვიკლებ? ანუ დღეთა შენთა შიგან ჩემგან რას გაიხარებ? თუ ყოველთა გრძნეულთა ოსტატი შენ ხარ, ვირო ჩემი პატრონი და ქმარი არის, ნა-კუთად ნაძვი და ზირად მთუარე. ამა საწუთროსა შიგან შენ ჩემგან ვერას გაიხარებ და ვერცარას მისებრსა მე ვნახავ. მის უკეთესი სხუა ვინ გამოვირჩიო? დღეთა შენთა შიგან შენ ჩემგან ვერას გაიხარებ, თუ უკუნისამდისცა აქა დასდგებიო, მით რომე რა ჩემისა ძმისა ვიროსდა შეყრილვარ, ყოვლისა კაცისა სიყუარულისაგან აბეზარ ქნილვარო. მე ვირე მქონდეს ნაძვი მართალი, არ ვძებ ტირიფსა მრუდსა და თუმცა ვირო ჩემი ქმარი არ იყო და გაუთხოველი ვიყავ, შენი ცოლობა დ სიყუარული არცა მაშინ ეგების ჩემგან, ამით რომელ მამა ჩემი ჯარან მოჰკალ უწყალოდ და არ შეგებრალა საბატიობისა და

სიბერისათვის. ჩემი პატრონი, ჩემი მამა შენ მოჰკალ და აწ ჩემი ცოლად ძებნა შენგან სულური არის. შენი ქრმობა ვითმინდეს მე, რომელ პირე სულნი მედგნენ, შენისა ნასხვისაგან შეჭირვებული ვარ; გიროსებრი მე არავინ მივის საწუთროსა შინა და შენთა საქმეთაგან და ჩემისა მგლოვიარობისაგან არცა თავი მისდა მიმიცემია, აწ შენ ვით მოგცე თავი ჩემი სიბერითა დამპალსა და საპყარსა. მე, ამა ჩემითა სიყმაწვილითა ღმრთისაგან საუკუნოსათვის მეშინიან. შენ შენითა სიბერითა ღმერთსა რად დაივიწყებ... მე ტანისამოსი, თუალი, მარგალიტი, ქალაქი და ქუეყანა დია მაქუს; ღმერთს ჩემთვის უამრავი [1] უბოძებია ყუელასთანა. შენი არა მინდა და თვით პირე მამისა ჩემისა ყარანისა სიკუდილი მომაგონდების, მე თუალსა, მარგალიტსა და სამკაულსა ველარას კელსა ვყრი და არცარად მოვიკმარებ. მერმე დედოფლობა თვით სიდაღმა მშვენის, თუ შენი სტავრა, თუალი და მარგალიტი მომაღორებს? ანუ ქსურად მიჩანს, რომელ მაქუს და მიყუარს რად? არამცა ჩემისა გუარისა შვილი ვარ? აწ ნუ ხარ ჩემგან იმედიანი, ამით რომელ შენი იმედი ჩემგან ნაყოფსა არ გამოიღებს. თუ სხუისა საქონლისა იმედითა სძებნი, უიმედობისაგან დიდი უპატიობა წაგეკიდების. ჩემისა ნასხვისათვის ნურად ისწრაფვი, შენ ერთობ გუიანად მომიკელთებ. და თუ საწუთრომანცა მიმუხთლოს დ უნებლივ ჩემი თავი შენ მოგცეს, ნაყოფსა ვერცა ეგრე აიღებ და არცა წამსაცა ერთსა ჩემს გუერდით მხიარული დასჯდები. გამორჩეული ძმა და ქმარი ჩემი რომელ არის, ჯერეთ მას ჩემგან გულის ნება არ უპოვნია, შენ ნებასა ვით ეძებ?! თუ მჴეცა ხარ,

[1] ვარიანტები: «უჰამრავი» ან «უმრავლე».

ტანი ჩემი უჩსადო ძმისად არ მიმიცემია, რომელ მე და იგი ერთისა დედასა უშობივარ. შენ ბერსა და მოდრეკილსა ვით მოგცემ, რომლისა კელითა ჩემი სისხლი აოკრებულა? რა შენსა სახელსა მოვიგონებ, ავთრთოლდები. ამა სიყუარულითა შენ ჩემგან თავისა ნებასა ვით ქმებ? რაზომცა კელმწიფე და ნებასა ჩედან მოვლენილი ვარ, მტერისაგან მოყურისა შექნა არა შემიძლიაო. არაკი: «მწარისა ხისაგან მწარე ნაყოფი გამოვა.» თუ ჩუენცა შაქრისა წყლითა ვრწყევდეთ,[1] მოყურობა ერთმანერთისა არ გაქრების, მით რომელ ერთი ჭიქა არის და ერთი რკინა. სიყუარულითა მე მაშინ დაგემორჩილები, რა ქორნი და გავაზნი ერთმანერთსა დაემორჩილნენ. ამა გულითა სიყუარულისა მებნა ნადულისა ჭამისა სწორია. ესე შეგონება შენ გემწარების დ თუ მოისმინო, მისი ნაყოფი შაქრისებრია. თუ ბრძენი ხარ გაიგონე და დაისწავლე, რომელ ჩემი ნათქუამი აგრე მოგეგონოს; რა შენმან ავცნობობამან ავი გიყოს, უგანის ნანა არას გარგებს.

რა შაჯინ-შას გაცმან ესე მოისმინა, ვისისგან სიყუარულისა ნიშანი არა ჰოვა. მისთანა მივიდა, მისი ამბავი და გულ-გრილობა წვრილად მოახსენნა მოაბადს, რაცა მისგან ასმიოდა. და მოაბად გულსა უფრო გასქელდა მისისა სიყუარულისაგან დ მეთულილობა მისი ყველა უკუდავებად მოისმინა და ყოვლისა საქმისაგან ესე უფრო იამა, რომელ ვისის ეგრე ეთქვა, თუ ჯერეთ ჩემგან ძმასა გულის ნება ვერ უპოვნიაო, და გაეხარნეს რომელ ჩემი ცოლი ქალწულიაო.

და მათი საქმე აგრე იქნა, რომე მას დამესა რომელსა

---

[1] ვარიანტი: «ვრწყვიდეთ».

მათი ქორწილი იქნა, ვირო იყო მხიარულად; ერთგან დაწოლისა ჟამსა, ღმრთისა განგებისაგან, რა ვისმან საწოლსა მიმართა, მასვე წამსა დიაცობისა საქმესა ზედა დადვა. დანაღულდა ვიროს ახალ-სიძობა. მაგრა ღონე არა ჰქონდა, მით რომელ წესი არის ცეცხლის მსახურთა, რა დიაცი არა წმიდა იყოს, ქმარი მისგან აბეზარ იქმნების ჟამამდი და ურიისებრ თანა არა დაეკარების; და თუ დიაცმან დაუმალოს, ცოლ-ქმრობისაგან გაიყრებიან. ამის მიზეზითა ერთმანერთისაგან კიდეგან დარჩნეს. და მერმე მოაბადის ლაშქარნიცა მოვიდეს გილანელნი და დელამნი.

რა ცნა მოაბად მისი ქალწულობა, უშჯულოდ შეიქნა და ისწრაფდა დაუთმობელად მისისა მოხელებისათვის და ეძებდა ყოველსა ღონესა, თუ ვით გამოიყუანოს ვისი. თუცა სძალი მეტისმეტად კეკლუცი იყო, ქორწილი მოაბადისი დია მწარე იყო და ეგრეთვე ვიროსთვის მწარე იყო, რომელ გულის ნება ვერ ეპოვნა. და საწუთრომან ომი ომსა, ბრძოლა ბრძოლასა და ჭირი ჭირსა მოუმატა. ვერ გაისვენა წამი ერთი. მისსა ახალ მოწივულობასა შინა ეზომი დაეჭირა, რომელ მეფობაცა დაავიწყდა. ვიროს და ეგრეთვე მისთა ლაშქართა მისჭირდა. ყუელამან თავისა სიხარული დაივიწყა, თუ სთქუა, ვიროს სიხარული ანთებული სანთელი იყო და ანაზდად ქარმან დაავსო.

რა დაუდასტურდა მოაბადს ვისის ქალწულობა, თავისა გზა ველარა შეიგნა მიჯნურობისაგან.

ძმანი უსხენ მოაბადს: ერთსა რამინ ერქუა და ერთსა ზარდი. ორნივე იკმნა, თავისა წინა დაისხნა და უამბა მათა ვისის საქმე.

რამინ სიყმაწვილითგან მიჯნური იყო ვისისი: ოდეს

ორნივე ხუზისტანს იზრდებოდეს ძიძისასა, მაშინ ყმაწვილსავე შეჰყუარებოდა ვისი; მაგრა ვერ გამოეცხადა და გულსა შინა ჰქონდა. სიყუარული მისი და სურვილი გუალვისაგან გამკმარსა ყანასა ჰგუანდა, ნაყოფისა არ მოსულისათვის იმედ გარდა-წყუეტილსა. რა მეორედ ძიძასა გუერდით გორაბს მოვიდა რამინ და ვისის სახელი ესმა, კულა მოირწყო მისი მიჯნურობა, და ვითა გამკმარი ყანა წყლისაგან, გამწუანდა და რამინ იმედოვნად შეიქმნა ნაყოფისა ჭამისათუის. დია გაუყუმდა[1] გული დაბერებული სიყუარულითა ვისისათვის, გაუახლდა მიჯნურობა რამინს. ვერცალა ენამან დაუთმო უთქმელობა და ფიცხელი სიტყუა მოახსენა ძმასა მისსა შაჰი მოაბადს.

არაკი: ვისაცა გულსა შინა სიყუარულისა ცეცხლი ეგზებოდეს, ვედარცა ენასა დაებამს, წასძლევს სათქმელად. გამოუცხადა ენამან საპატიმროებისაგან ხუაშიადი. პატრონისა უნებლივ ღმერთმან ნუვინ გაჰკადოს, ამით რომელ დიდი აუგი ჰრთავს ამას. ენისა შემნახავი გული და საწუნელი სიტყუა უგულოდ არ ითქმის.

რა რამინს გული აუღულდა ვისის სიყუარულისაგან, კუშტად ეგრე მოახსენა ძმასა მოაბადს:

— ჰე ჴელმწიფეო! რად იჭირვი ეგზომსა ვისის მებნისათვის? ნუ წაავებ საჭურჭლესა უსაქმოდ ცუდისა საქმისათუის, ამით რომელ დიდსა ჭირსა ნახავ და პაშტასა საჭურჭლესა უსაქმოდ გაანქრევო.

«არაკი» რაცა მლაშესა ადგილსა დასთესო, თესლისაგანცა

---

[1] გაუყუმდა—გაუყურმდა, გაუყმაწვილდა.

უნაწილო დარჩე და ნაყოფისაგანცა.—ვერცა ოდეს ვისის შენ შეუყუარდე და არცა შენსა საქმესა წაღმართი ჰქონდესო.

«შეგონება: თუალსა პატიოსანსა ეძებდე, რაზომცა დიდად სძებნო, ვერ ჰპოებ, თუ ადგილსა მისსა არ მისვიდე.—აწ ვითა ეძებ სიყუარულსა და მზახობასა მისისა შვილისაგან, რომლისა მამა შენ მოგიკლავს. არცა შეშინდების ვისი ლაშქრისა სიმრავლისაგან და არცა მოღორდების თუალითა, მარგალიტითა და სამკაულითა. დიდითა ჭირითა ჰპოვო ვისი შენ. მაგრა მისგან ჭირი, რომელ შენ ნახო, ვერ გასძლო. რა თავისა სისხლსა შიგან მტერი გიჯდეს, ვითამცა საკელსა შიგან გული გიზის. წყალი თუ გარეთ შემოგივიდეს, მისი რგება ეგების; მაგრა თუ შინათ აღმოჰკდეს, მისი რგება აღარ არის. უარესი საქმე შენი და ვისისი ესე არის, რომე შენ ბერი ხარ, და იგი ყმა. თუ ცოლსა შეირთავ, სხუა ვინმე შეირთე. ყმისათვის ყმა თქმულა და ბერისათუის ბერი. ვითა ბერსა ყმა მოუნდების, აგრევე ყმასა ყმა მოუნდების.

«არაკი: შენ სთველი ხარ და ვისი გაზაფხული დ̃ თქუენი ერთგან შეყრა ძნელი საქმეა. თუ მისად უნებლად მას გუერდით სჯდე, გულსა ჩაითხარ, რომელ მისგან სიხარულსა ვერა ნახავ, მიწყივ თავისა საქმისაგან ინანდე. თუ გასლვიდეს, ჭირსა და ბოროტსა მისსა ვერ გაუძლებდე, და თუ გშორვიდეს და კიდეგნად იყო, არცა მისი ღონე და გაძლება გქონდესო.

«შეგონება: სიყუარულისა ასაკი ზღუისა მსგავსია. მისი ძირი და ნაპირი არა ჩანს. თუ გწადდეს, ზღუასა ადვილად შესუალ. მაგრა თუ აღარა გწადდეს, ძნელად დაეხსნები.

«ჰუქუმათი-შეგონება: აწ შენისა თავისათუის შენ აგეთსა

სიყუარულსა ქმებ დღეს, რომელ ხუალე შენთუის ფათერაკად მოჰკლდების. თუ იცი, რომელ მე მართალსა ვიტყუი,—ამა ჩემისა ნათქუამისაგან შენსა სარგებელსა ჰქმებ,—მოისმინე ჩემგან ესე შეგონება. და თუ არა მოისმენ, შენ შენთუის იქმ ზიანსა.»

მოაბადმან რა რამინისაგან ესე სიტყუა მოისმინა და შეგონება, ემწარა სნეულებისაებრ. იყო ხელი მიჯნურობისაგან, რომელ პირსა შიგან შაქარი ემწარებოდა. თუცა რამინის მცნება სიყუარულისა წამალი იყო, მაჯინ-მას მისისა შეგონებისაგან სიყუარული მოემატა. მიჯნურობითა გატეხილი გული შეგონებასა არა მოისმენს, ფათერაკი ლხინად უჩნს ნებისა ძებნაჲსა შინა. რა კაცსა უყუარდეს ვინმე, რაზომცა ვინ აძულვებდეს, უფრო და უფრო შეუყუარდების. ვითა დაბერებითა გუელი გემპად შეიქნების, აგრეთვე მიჯნურობა რა გახანიერდეს, გაძნელდების. კაცთა ყუედრება თუ მახვილიცა-კრძალი იყოს, კაცი მიჯნური ფარად ღუიძლსა მიუპყრობს; თუ მიჯნურობასა ზედა შავი ღრუბელი დგეს, თავსა მისსა ყუედრებისა ქუა წუიმდეს, არცა მაშინ შეშინდების მიჯნური. ყოველსა საქმესა შიგან კაცსა ზიანი დაუმძიმდების, მაგრამ მიჯნურობისაგან გაეხარების. რაზომცა აუგი უთხრან მიჯნურსა მიჯნურისა, მიჯნურობასა მისისა გულისაგან ვერცა ეგრე აღმოიღებენ. არუნდა მიჯნურსა კაცსა ყუედრება. ვინცა მიჯნური არაა, არცა კაცია.

მოაბადის გული ასრე ავსილიყო ვისის სიყუარულითა, რომელ რამინის შეგონება მაშრად უჩნდა. მალვით მეორესა ძმასა ზარდსა ჰკითხა:

— მებნე თუ ღონე ჩემი რა არის ვისისა მოკლებისათუის: რა ვქნა, რომელ ჩემისა გულისა ნება ვპოვო და სასე-

ლიცა ჩემი არ წაკლეს. თუ უვისოდ ამა ციხისაგან გარე შე-ვიქცევი, მოვუვივნდები ამა ქუეყანასა შიგან და საარაკოდ გა-ვხდებით.

ქმამან ზარდმან ეგრე მოახსენა:

— ჰე ჴელმწიფეო, ღონე ესეა, რომელ დიდი საქონელი, ოქრო, სამკაული და ყუელასათანა შაჰროს გაუგზავნე და სა-ქონლითა მოაღორე და სხუაცა ურიცხუი უქადე და ენითა ამო-თა მით საუკუნოითამცა შეაშინე და ეგრე ჰუთხარ: შაჰრო, იცოდი რომელ საუკუნო არის სამკუიდრო კაცისა და მას სა-უკუნოსა განკითხუა იქნების რაცა ვის აქს ავი ექნას. შენ ღმერთსა რას პასუხს გასცემ, თუ შეცოდებული იყო და ზე-ნაარისა გამტეხელი? თუ ღმერთმან გკითხოს, თუ ჩემი ღთეებს შეჰმევიცე მოაბადს და გაუტეხე ფიცი, — რას პასუხს გასცემ? მაშინ არ გაწბილებული დარჩები ღმრთისა წინაშე? არცაღა შვილი მოგეკერების და არცავინ სხუა თქუა. ესე გუარი სიტყუა შეუთუალე. ფრთხილნიცა მოლორდებიან ოქროთა და ტკბი-ლისა სიტყუითა.

იმა საუბარი ზარდისი შაჰინ-შასა და მასვე წამსა უკმო-მწიგნობარი და მიუწერა შაჰროს წიგნი, მრავალფერი ქება შეასხა და საღორებელი სიტყუა მიუწერა.

ი

მოაბადის წიგნი მაჭროსთანა

ამა უსანოსა ნათხოვისა საწუთროსათუის ნუ ჩაიგდებ შენსა თავსა აუგსა, ამა საქმისათუის ღმრთისაკე. ზურგსა ნუ იქმ და პირსა დევისა საწადლისაკე. ნუ ხარ ზენაარისა გამტეხელთა თანა, რადგან ღმერთი ზენაარისა შემნახავია. თუით შენ იცი, რომელ ვითა სიყუარულისა პირსა ზედა ვიმზასხენით,[1] ვითა ვიფიცენით ღმრთითა და ანგელოზითა. შენ შენი ასული განაღა მაშინ შემრთე, რომელ ოცდაათი წლიწადი გამოვიდა და მაშინ შობე. ღმერთმან იცის, არა სააუგო სიძე ვარ, სასახელო ვარ და ესრე ჩემგან რად აბეზარ იქმნები, ჩემთა მტერთა რად მიერთვი? თუით ჩემსა ბედსა ზედა გიშობია, რად შერთე სხუასა ვისმე? ასრე ჩემისა ბედისაგან ქნილა, რომელ სიძემან მაგისაგან გუ-ლისა ნება ვერ ჰპოვა; ღმრთისა მოსამართლეობისაგან არ სა-კამსო იქმნებოდა, თუცა სხუასა ვისმე აეგო ნება. თუ კარგად გაიგონებ, შეიგებ, რომელ ესე ყოფილა განგება ღმრთისა და შემრთე შენი მზისა მსგავსი ასული და დახსენ მტერობისაგან შენი ქუეყანა. რაზომიცა სისხლი ქნილა, მას საუკუნოსა ყუე-ლა შენ გეკითხუის, და თუ ეშმა[2] შენდა არ მორეულა და ყოლა ღმრთისაგან შიში გაქუსლა, ესე სჯობს რომელ მტერობა და-

---

[1] ვარიანტი: «ვიმზახლენით».

[2] ვარიანტი: «თუ რა უჩნს ეშმა».

აგდო და ერთი დიდი სამეფო ერთითა დიაცითა იყიდო. თუ არა და მისი ქუეყანა ჩემითა მტერობითა აოკრდების. და ღმრთისა პასუხისა გაცემა შენ გინდა. **ხ**ირეგუნითა ჩემი მტერობა ცოტა ნუ გგონია, აწ მტერობისაგან სიყუარულად მოიქეც; და შენს შვილს ვიროს დიდსა კელმწიფობასა მივსცემ, **ქ**ოისტანისა სრულისა დედოფალი შენ იქნები და **ხ**უარასანისა სრულისა დედოფალი შენი ასული ვისი. თუ ყოლა რაზომნიცა დღენი გისხენ, ესე საწუთრო ამოთა და სიყუარულითა გარდავიკადოთ. **ყ**ოველნი ქუეყანანი ჩუენგან მორჭმით იყოს და ლაშქარნი და ქუეყანანი დასწყნარდესო. **რ**ადგან ქუეყანა ამოთა იჭმების, უმეცრობა არის ყოვლისა კაცისაგან მტერობაო.»

რა შაჴინ-შაჴ ამის წიგნისაგან მოიცალა, საჭურჭლე ლარისა და ოქროსაგან დასცალა. ეზომი საქონელი გაუგზავნა **შ**აჴროს, რომელ თვით კაცისა ენისაგან არ ითქმის. ასი აქლემი კუბოთა შეკაზმული, სამასი აქლემი ლარ-კიდებული, ასი ტაიჭი ცხენი და სამასი თუხარიგი, ყუელა სრულითა აკაზმულობითა შეკაზმული. ხუთასი ჯორი კიდებული ყუელა თუალითა, მარგალიტითა და გუირგუინითა შეკაზმული იყო. მღუენსავეთანა თავსაბურავი ოქროქსოვილი ორასი ზანდუკი და დიდი ერთი ზანდუკი ოქროსა ფასს დაუდებელითა სამკაულითა გატენილი იყო; ჯამი ბროლისა შვიდასი, ყუელა ეზომ მშუენვარე, ვითა ცათა შიგან ვარსკულავი იყო. ბერძულისა სტავრისა თვითო ფერისა სხუა საპალნე ორმოცი, ამისგან კიდე სხუა მრავალი ფერი რამე იყო საკელმწიფო, რომელ სიუცხოითა კაცთაგან არ ითქმოდა. გუანდა თუ ყოვლისა ქუე-

ყანისა თუალი და მარგალიტი ყუქლა **მოაბადს შაჭროსათვის** გაუგზავნია და სხუაგან აღარსად არისო.

რა შაჭრო ნახა ეგზომი თუალ-მარგალიტი, ოქრო ჲ ყუქლასთანა საკელმწიფო ძღვენი, ეგზომ მრავლად კიდებულნი აქლემნი და ჯორნი ლარითა, მთურალისაებრ ცნობა წაუვიდა ჲ დაავიწყდა ძეცა ჲ ასულიცა. **რა** შეღამდა ციხისა კარი გააღო ჲ ელვარე მთუარე **მოაბადს** კელთა მისცა, **ღმრთისაგანცა** შეეშინდა ჲ **მოაბადისა** წიგნისაგანცა ბუნება მოექცა. **მას** ციხესა ზედა დაიწყო საწუთროულად ქცევა ჭაერმან. **შაჭროს** ესწავლა ეტლთაგან წამსა ჲ წამსა სხუაებრად ქცევა. **რა** კარი გაალო ციხისა, **მოაბადს** ქალი კელთა მისცა, სიბნელითა წეროს ფერად შავი იყო. **მოყუარულთა** გაყრა დია მწარეა. ცასა ზედა მთუარე ჲ მარსკულავნი აღარა ჩნდეს, ქუეყანა ლილის ფერად ქნილ-იყო, ცა შავსა ფარდაგსა ჰგუანდა მთუარისა სათვარად ამოკრულსა; ჭაერმან, თუ სთქუა, საგლოველი შეიმოსა მისისა საქმისათუის; მზემან ჲ მთუარემან თავისა ლაშქრითა დასავლეთისაკე ილაშქრეს, მუნვე დაიმალნეს ჲ უჩინო იქნნეს; ლაშქარნი თავის თავისთა ადგილთა განიადაგდეს; ეტლნი რგინისა კლდეთა გუანდეს ჲ კარსკულავნი მათგან აბეზარ ქმნილთა; პერძნი ჲ მოზუერნი, დაღრეჯით დამალულნი, თრთოდეს ლომისა შიშითა და თვისა ადგილი დაეგდოთ; თუ სთქუა, ლომი უსულო დგას ჲ მეტყუბარი ორთა მოყუარეთაებრ მწოლთა. დაჭქედით უძრავ ქნილიყუნეს; კირჩხიბი გამწყრალი, კუდ-ამობზეკილი, ლომისა ჯანგთა ქუეშე იყო; ქალწული დიაცისაებრ დგა, კელთა ტევანნი დაეჭკირნეს; სასწორი დაშლილი ჲ დახლათული უკმარ ქნილიყო; ღრიანკალი ერთგან მოდრეკილიყო ვითა გველი გაცივებული; მშვილდოსანსა, ვითა კერპსა, მშვილ-

დითა ომი არ შეეძლო; თხა ისრისაგან უშიშრად ქუე დაწო-ლილიყო; წყლის საქანელი ჭასა შიგან ჩაჭრილი და მისი მზი-დავი ბედითად მომცდარი; თევზი ბადისაგან დაბმული და ვითა კმელთა ზედა გაჭრილი დაღრჩომისაგან უიმედო ქნილიყო. ასე-თითა ავითა ეტლითა და უბედურითა ნახა შაჰინ-შაჰ თავი-სა ცოლი. ღმერთმან სხუასა ნუვის ზედან მოიღოს ესეთი ეტლი.

რა ციხესა შიგან შევიდა მოაბად და ამა ეტლითა ნახა, ღამისა სიბნელისაგან თუალით წინა არ რა ჩნდა, მაგრა ვისის პირისა სინათლემან და სულნელებამან აპოვნინა უებროდ მოსა-წონელი ცოლი. მივიდა და მოჰკიდა[1] კელთა ბროლისა მსგავსთა და ციხისაგან თრევითა ჩამოიყუანა, ამით რომელ ნებით არ მოჰყუებოდა და იგი ქუე აღარ დააგდებდა. ჩამოიყუანა და შე-ვედრა თავისა მისანდოთა კარგთა მეაბჯრეთა და სოჯათა. მასვე წამსა შესვა კუბოსა და გამოემართა ესრე ფიცხლა, რომე ვერცა ქარი ეწეოდა. კუბოსა მიდამო ეჭირა სასვიანთა სოჯათა. სცემდეს ბუკთა და ქოსთა და მიმართეს ხუარასანს, მარავს ქა-ლაქსა, სამყოფსა შაჰი მოაბადისასა. ესრე მხიარულად იყო მოაბად, ვითარ მშიერმან ლომმან კანჯრისა ჯოგი დაინახოს, ანუ ვითარ გლახამან კაცმან საჭურჭლე ჰპოვოს და სიხარულსა მართალ იყოს; რადგან მისი ნანადირები ქუეყანასა ზედა ცისა მზისაგან უკეკლუცე იყო, ჰკამდა მისთუის დიდის ჭირის ნახვა, ამით რომე ანასდა შეუნებისა საჭურჭლე ჰპოვა და მაშიგან მო-ცინარე იაგუნდი.

---

[1] ვარიანტი: «მოეკიდა».

ია

ცნობა ვიროსაგან ცოლის წაგურისა და ტირილი

რა ვიროსმან ცნა მოაბადის საქმე და ცოლისა მისისა მისგან წაგურა, საყელონი გარდაიგლიჯნა, თავსა ჴელნი იკრნა და უცნობო იქმნა. რა ბუნებად მოვიდა, მასვე წამსა შემოიქცა ფერამით. რა შინ მოვიდა, შაჰინ-შა წასრულიყო და ღონითა ცოლი მისი მას წაეყუანა, ასი ათასი თუალი პატიოსანი [დაეგდო და მისად ნაცულად ივას დაუდებელი თუალი წაეყუანა; შაჰროს ზენაარი გაეტეხა და არა შებრალებოდა ვიროს საქმე. ვიროს მგზებარე ცეცხლი მოედვა გულსა და თუცა ვერას ჰკადრებდა დედასა, უწყრებოდა და ემდურვოდა დასცა. ნაყოვისა იმედი მისისა სისაგან გარდასრულიყო, საწოლისა მისისაგან მზე მიწისა წარსრულიყო. ციხისა კარი დაკლიტული ნახა და ციხისა მაშუენებელი მგზავრ ქმნილი. თუცა სადავი მისი მარგალიტისაგან ცარიელი იყო, თავისა თუალისაგან ათასი გრივი მარგალიტი გარდმოყარის; ზოგჯერ სისხლი გარდმოსდიოდის თუალთა მისთაგან და ზოგჯერ გული მისი შეჭირვებითა დაიწვის. ასრე გაყუითლდა და ფერი წაუვიდა, რომელ უსულოსა ჰგუანდის. დასწყია საწუთრო და მისი მუხთლობა რომე წამსაცა ვერ გაიხარნა თავისა სიყმისაგან.

თუცა მას დაამძიმა საწუთრომან, შაჰი მოაბადს დია გა-

ახარნა: ერთსა წაუღო გულისა წამლები და მეორესა მისცა და აღარცა მას შეარჩინა, სხუასა ვისმე მისცა და გაახარნა; ერთსა დარბაზი შეუმკო სიხარულითა და მეორესა ბაღი გაუკმო უკარ-დობითა; ერთმან ქუა აიღო და მკერდსა იცემდა, და მეორემან ჭიქა აიღო და ნებისაებრ სმიდა.

რა გაუნათლდეს მოაბადს თუალნი ვისის წაყუანითა და ხუარასანს მიჰყუანდა მზე, გზა-გზა მიმავალი მოაბად მხიარულობდა და ყოველი ჭირი, რაცა ენახა, დაავიწყდა. მივიდოდის და რა ნიავი შეიძრის, ვისის კუბოსაგან ქუეყანა გასურნელდის. თუ სთქუა, კუბო ვისისი კოშკი იყო ოქროსა მუშკითა და ამბრითა გატენილი და შიგან მზე ჯდა, ოქრო-ქსოვილი ოქსი-ნო ჩამოებურა. ზოგჯერ ვისის პირისაგან ვარდი ჩაცვივდის, ზოგჯერ მუშკი და ამბარი. კუბო მისი სამოთხესა გუანდა და ყოვლისა კაცისაგან აგრევე სანატრელი იყო. მოეწია რამინს განგება ღმრთისა, რომელ დაელიოს ლხინი და სიხარული და მოემატოს ჭირი.

იი

რამინისაგან ვისისთუის გამიჯნურება

ტივილოდეს მოაბად და მისნი ძმანი და ლაშქარნი და ვისის კუბოსა სოჯანი მიჭყუებოდეს. ანასდათ ღმრთისა განგებისაგან ადგა დიდი ქარი და მოგლიჯა კუბოსა სასურავი ფარდაგი. თუ სთქუა, ღრუბლისაგან ელვა გამოჩნდა ანუ ანაზდა მზე ამოვიდა, გამოჩნდა ვისის პირი და მისისა გამოჩენისაგან დატყუევდა რამინის გული. თუ სთქუა, გრძნეულმან მოწამლა რამინ, რომელ ერთითა ნასუითა სული წაუღო.

რა რამინ ვისის პირი ნახა, ვითამცა გულსა უტევანი ისარი სცემოდა, ცხენისაგან იაურცელის ოდნად საუბუქად ჩამოიჭრა, მოედვა მიჯნურობისა ცეცხლი გულსა, დაუწუა ტვინი და გონება წაუღო, წამსა თუალისასა დაუმკუიდრა მიჯნურობა, წაუღო სიყუარულმან სული და გული. მისისა მიჯნურობისაგან სე ქსეთი გამოვიდა, რომლისა ნაყოფი ველად გაჭრა და განხელება იყო. რა ცხენისაგან ჩამოიჭრა, დაბნდა და დიდხან უჭკოდ იდვა. პირი მისი, ვარდისა მსგავსი, ზაფრანად გარდაექცა და ბაგე, წითლისა იაგუნდისა მგზავსი, ცის ფერად შეექნა; სიცოცხლისაგან უიმედო იქნა. ვინცა დიდებულნი და მოყმენი ისხლნეს, ქუეითნი და ცხენოსანნი მოეხუივნეს რამინს, ზედა უჭვრეტდეს და ვერავინ შეატყუა თუ ესრე უგრძნეულოდ რა წაეკიდაო. მისისა ასრე გასულისათუის ყოველი კაცი

ტიროდა და მისისა ჭირისათვის ყუელა მისგან უმძლეს იყო.

რა დიდხან აგრე უსულო ქნილი იდვა, არცა ყივილი შეესმოდა, არცა სურნელთა კმევა და ვარდის წყლის სხმა ერგებოდა. მერმე შეიწყალა ღმერთმან და ცოტად ცნობად მოვიდა, ენისა კმარებისა ძალი არა ჰქონდა და ცრემლნი სდიოდეს. მერმე ქალი უგუიელო და კაცთა სირცხვილითა კუნესა დაიწყო. მოახლე მნახავსა ყუელასა ასრე ეგონა, უღონიოდ მტერიანი იყო რამინ და აწ მტერმან დასცა. რა კულა რამინ ცხენსა შეჯდა, მეტისა გონებისაგან ებნელებოდა ნათელი დღე. გზა-გზა მივიდოდა ხელივითა, გული მისი ქმავსა ესუთა და თუალნი მისნი ვისის კუბოსაგან დარჩომილიყუნეს, ვითა მპარავი რომელ მიწყითა უქეთესსა ლარსა უმზერდეს. სულთქმით ცრემლიანი ამას იტყოდა: «ნეტარძი ჩემთვის, თუმცა ერთხელ კულა ვნახე მისი პირი და ანუმცა ღონე იყო, მეკუბოობა მისი ამასა გზასა მე მამსუდებოდა,—აჰა იქმნებოდამცა და ერთხელ ჩემი კუნესა ესმა და წამსა შემომვრნა თუალნი და შემომხედნამცა, აჰა იქნებოდამცა და მწე ვინ შემექნებოდა მადლისა მქებნელი. და წურილად ჩემი საქმე ვისსა გააგონა და სალამი ჩემი მას მოახსენა, აჰა იქნებოდამცა და სიზმრად ვეჩვენე და კალთა ჩემი, ჩემისა სისხლისაგან შეღებული, ნახა, ნუთუმცა მაგარი გული მისი ჩემთვის მორელბა და ჩემისა მიჯნურობისა ცეცხლსა ზედა მორეტვა,[1] აჰა იქნებოდამცა და იგიცა ჩემებრ გამიჯნურდებოდა და მე ვითა მისისა სიყუარულისაგან ვარ, იგიმცა ნა-

---

[1] მორელბა — მოლბარე, მოლბამცა; მორეტვა — მოთბარე, მოთბამცა.

ხეკრად ჩემთუის იყოს. ნუთუ რა მიჯნურობისა ჭაშნიგი ნახოს, არ უწყალოდ ამპარტავან მექნას.»

ზოგჯერ რამინ ქსრე გუარსა იგონებდის და ზოგჯერ სულ დაღებული დაღრეჯით იყვის თავ ჩამოგდებით, და დათმობა გამოარჩივის და ეგრე თქუის: «ვაი გულო ჩემო, რა წაგვკიდა, რასა მოკდები და უსარგებლოსა ნატრისაგან პატიჟსა იმატებ? რასა მოელი ანუ ეზომსა რას იჭირვი მის მთუარისა სიყუარულისათუის, რომელსა ყოლე შენ არა მოეგონები? რად მოელი ვისის შეყრასა? მუნით[1] აქამდინ კორციელი მზესათანა ვინ შეყრილაო? რად უმეცრულად იმედიანი ხარ მისგან, რომლისაგან ლხინისა ეჭვი ყოლა არა გაქუს?

«არაკი: შენ გწყურიან და წყლისა მძებნელი ხარ, მაგრა რას გეყრების, რადგან კმელსა მინდორსა შიგან ხარ. შემცაებრაელები შენსა დამბადებელსა მით, რომელ დიდად ძნელად არის შენი საქმეო.»

რა კარგად მაგრად დაება რამინ მიჯნურობისა ბადესა და გაკდა ჳიმედოდ გულ-გატეხილი და გულ-წყლული, არცა თავისა ნებისა ძებნა შეეძლო და არცა დათმობისაგან კიდე სხუა ღონე იცოდა. უნდოდა თუ არა, არა გული დადვა და მგზავრობა დაიწყო მათვე თანა უნებლივ და მუნ მყოფისაგან ჭმის მეტი სარგებელი არ მიხუდეს, რომე ხანდახან ვისის კუბოსაგან სურნელი სული ეცემოდის. თუცა სული და გული მისი ვისის პირი იყო, იგი მისისა კუბოსა ჭურეტითა დაჯერებულიყო. მიჯნურობისაგან უარესი არა არს საქმე, მიჯნურისაგან უფრო საბრალო არავინ არის!

---

[1] ვარიანტი: «დასაბამით აქამდინ».

შეგონება: თუ კაცსა გააცხროებს, მისად ნახვად მივლენ და გაცხროებისაგან მისსა სიკუდილსა იშიშვიან, და მიჯნურისა გუ-ლი წელიწადითა წელიწადამდის ცეცხლსა შიგან იწვის და მისად კითხვად არცავინ მივა, არც არავინ იკითხავს:[1] «ჰე ცნობილო!» ამის უფრო უსამართლო რა ეგების, რომე მიჯნურსა კაცსა მიჯნურობისაგან წაეკიდების. სჯობს თუ ყოველსა კაცსა მი-ჯნური ებრალებოდეს მით რომე დაუშრეტელი ცეცხლი ეგზების გულსა.

არაკი: მიჯნურსა ჭირად ესე ეყოფის, რომე მიწყით ჭირსა შიგან არის და მოყურისა ნატრასა, ნიადაგ სჳაშიადსა გულსა შიგან შენახვა უნდა, ვერვის გლახ მიანდობს თავის გულისა სიტყუასა.

ვითა იყო სიყუარულისა მომატებული რამინ, ეგრე გუან-და ქორის ჭანგთა შიგან მყოფსა ზურგ დაკოდილსა კაკაბსა, არცა ცოცხალი იყო და არცა მკუდარი. ხასე ოდენ იყო, უსუ-ლოდ მიმავალი, მთისა ოდენისა ტანისაგან ნიშანი ოდენღა დარჩომილიყო და ნამვისა ნაკვეთიანობისაგან—მშვილდი. ამა ულხინობითა და შეჭირვებითა, რომელ მითქუამს, მოიმგზავრა და ერთობით გზა მისი საკნად უჩნდა.

---

[1] უფრო სანდო დედანში არის: «არცავინ გააკუირვებს: «ჰე ცნო-ბილო!»

იე

აქა ქორწილი მოაბადისი და ვისისი

და მოაბად მარავს შევიდა, იყო მისთანა დედოფალი მზევითა ვისი, მარავი ქალაქი შეეკაზმა ერთობით და ცისა მნათობთა მსგავსნი მჭურეტელნი ბანითა ზედა წამოდგომილიყვნეს, დიდებულთა მათთა ოქრო, თუალი და მარგალიტი თავსა გარდააყარეს და უმცროსთა ვერცხლი; საწუთრო სიხარულითა სრულქნეს და მიწისა ნაცულად ყუელა ოქროსა ზედა იარებოდეს. სამოთხე მას დღესა მარავი ქალაქი იყო, რომელ შიგან თუალსა და მარგალიტსა წვიმდა წვიმა. ყოველთა ბანთაგან ქ'ზომთა კეკლუცთა პირი ელვიდა, რომელ ამას ვერ შეატყუებდეს თუ არ ცისაგან ვარსკულავნი ელვენის, მუტრიბთა მრავალ ფერთა სიმრავლითა და კეკლუცთა ჭურეტითა კაცი გამხიარულდის და ჭურეტითა თუალთა ბრუ დაესხის. რა ლაშქარსა შიგან ესეთი ნიშანი იყო, შაჰინ-შას დარბაზისა თვით იცი, ვით იქნების: სიდიდითა მინდორსა გუანდა დარბაზი, სიმაღლითა ცასა კოშკი მისი, რომელ მჭურეტლად ვარსკულავნი სხდეს მისსა ბანსა ზედა, კარი და კედელნი ყუელა ოქროთა მოხატული იყო. სიამოვნითა ვითა ბედნიერთა ბედი და სიმშვენვარითა ვითა ვისის პირი, შაჰინ-შა ჯდა ტახტსა ზედა მხიარული, გულ-დარეჯილობისაგან გამოწმედილი ვითა გამოწურვილი ვერცხლი. მისნი დიდებულნი აზნაურნი და ხასაგიანნი ნებისა ღრუბლისაგან ოქრო-

ზსა და მარგალიტსა აწვიმებდეს. ეზომი ოქრო და მარგალიტი შემოეყარა რომე მარგალიტისა აგუმი მთათა ოდენი შექნილიყო. იხარებდა მოაბად, სმიდა და გასცემდა.

შეგონება: გაიხარე, სვი და ჭამე, გაეც რომელ სახელი დაგრჩეს.

ჯდა დედოფალი ვისი სადედოფლოსა შინა და იგი დარ-ბაზში წალკოტ ქნილიყო მისისა პირისაგან. თუცა შაჰინ-შა მხიარულობდა, ვისი დედოფალი დია დაღრეჯილი ჯდა, ზრუნ-ვიდა დღე და ღამე, ღრუბლისაებრ მტირალი იყო რომელ ვინ-ცა ეგეთსა ნახვიდის, მისოდნადვე იტირის მისთანა. იგი ზოგ-ჯერ დედისა სიშორისათვის ტიროდის და ზოგჯერ ვიროს სიყუარულისათვის და წილნი ყარნის; ზოგჯერ სულღებით თუალთაგან სისხლისა ცრემლთა იდენდის, ზოგჯერ ხელთაებრ ზასხილი დაიწყის. არცა სიტყუა თვით თქვის და არცა პასუხი გასცის, ვინცა რას ეუბნებოდის. თუ სთქუა, ყოველსა წამსა გულსა მისსა შიგან შეჭირვებისა ქარავანი მოვიდის. სიმჭლითა ნემსისაებრ გაწულილდა და შეჭირვებითა ზაფრანისაებრ გაყვითლ-და. ჴელმწიფეთა და დიდებულთა ცოლნი ყველანი მისდა ნა-ხვად მოდიოდეს და მას გუერდით სხდიან, მოზრუნავთაებრ იქნებოდიან და ამოდ ეუბნებოდიან ვითა, ზენაარ, დასწყნარდი, ცოტად გამოისვენე და ნუ სტირი. მან არათ ლოსითა სული არ დაიღის, არცა პასუხი გასცის და ოდეს მოაბად შორით დაინახის, საყელოსა დახევდის, ნაცვლად პირი დაისოჭის, არცა მისი საუბარი მოისმინის, არცა პირი მისი მას უჩუენის, მიწყით პირი კედლისაკენ ქნის და სისხლიანისა ცრემლისაგან ტბა დააყენის. ესრე იყო ვისი გზა-გზა და მარავსაცა, რომელ

ერთსაცა დღესა შაჰინ-შა მისგან ვერ გაისარა. ვენაკსა ჰგუანდა ვისის პირი, მაგრა ვენაკისა კარი მაგრა ხშულიყო.

იდ

ძიძისაგან მოთქმა და ტირილი ვისის წაყუანისათვის

რა ძიძამან სცნა ვისის ამბავი ვითა მოაბად მოვიდა და ესრე უნებლივ წაიყუანა, ქუეყანა დაუბნელდა და, თუ სთქუა, სული კუამლად შექნა მისსა ტანსა შიგან. ტირილისა და მოთქმისაგან კიდე აღარა საქმე ჰქონდა. ტირილითა მინდორი მტკურად შექნა და მოთქმითა მთა გაავაკა. ეგრე თქუის: «გავსებულო მთუარეო ელვარეო, მეკლუცთა ჴელმწიფეთა სანატრელო, რად დაგემტერა საწუთრო, რომელ ქუეყანასა შიგან საარაკოდ გაგკადა? ჯერეთ რძისა და ძუძუსა სული ამოვა პირისა შენისაგან, რად აივსო ყოვლისა კაცისა პირი შენის ხსენებისაგან; ჯერეთ ბროწეულისაებრ კოკობი და არ დამწიფებული ხარ,[1] და შენი სიყუარული აღმოსავლეთითი დასავლეთამდის რად დამწიფდა? შენ ცოტა და შენი სახელი დიდია; შენ ველური თხა, შენი მიჯნური ავაზა არს, მისებრვე უნებელი. შენ ყოვლისა შეუცოდებელი და საწუთრო

---

[1] ვარიანტი: «და არ დამწიფებული და შენი».

გარდამკდეველისა. ღმერთმან შენი ნახუა ჩემად სულად დაჰბადა, და მე უსულო ვითალა ცოცხალ ვიყო! ჩემიმცა ნიშანი ნუ დარჩე-ბის ქუეყანასა ზედა, თუ მე წამსაცა უშენოდ სიცოცხლე მინ-დოდესო.»

მაშინვე ოცდაათი ჯამა შეჰკაზმა ფიცხლა მავალი და მრა-ვალ ფერი საკელმწიფო ლარი და ძღუენი აჰკიდა. რაცა საკამსო იყო, თანა წაიტანა გისისთუის, დღისით და ღამით იარა და ერთ კვირამდინ მარავს მივიდა და ვითამცა უსულოსა სული ჰპოვნა. რა გულ-დაწყლულებული გისი ნახა ძიძამან; მისისა ნახვისა სიხარულითა აივსო. თუცა გისი ესეთი ნახა ნაცარსა ზედა მჯდომი, პირ დასოჭილი, თმა დაგლეჯილი; ნიადაგ მტი-რალი, ავსა ყოფასა შინა, თავისა სახლისა და სიყმისა ვერ გამახარებელი, ზოგჯერ თავსა ნაცარსა ისხმიდის, ზოგჯერ სი-სხლისა ცრემლითა კალთანი დაისოვლნის. პირი ვითა დაყან-გებული სარკე შექნოდის ხოჭითა დაწყლულებული, გული მი-სისა პირისაებრ დავიწრებოდა და ტანი მისისა თმისაებრ და-სწლობოდა.

რა ძიძამან ესრე გასრული ნახა, გული შეჭირვებისა ცე-ცხლითა დაეწუა და ეგრე არქუა:

— ჰე სანატრელო ყოვლისა კაცისაო! რად მოიკლავ თავსა, რად ეგრე უწყალოდ ქნილხარ თავისა ულხინობითა!

«შეგონება: რად დაიცლები სისხლისაგან?[1] რად დაღური მას, რომლისაგან სულთა ეგნების? შენ ხარ ჩემთა თუალთა ჩენა და შენ ხარ ჩემისა ბედნიერობისა ბედი და იმედი! ნუ იქმ მაგას, რასაცა შიგან ხარ. ნუ ებძვი ბედსა ესრე ძნელად,

---

[1] ვარიანტი: «სულისაგან».

ამით რომელ დიდისა შეჭირვებისაგან სარგებელი და ღხინი არა იქნების; დამჭლდები და შეავდები, დაჭყუითლდები. შენ შენმან დედამან მიგცა მოაბადს. აწ დიდისა კელმწიფისა ცოლი ხარ და მას სულისაებრ უყუარ. მასთანა ამოდ იყავ, ნუ შესცოდებ და დაამძიმებ. ამით რომელ კელმწიფეთა ბრძენი და გონიერი არვინ შესცოდებს. რაზომცა კელმწიფე და კელმწიფის შვილი ხარ, ვირო მორჩმულობითა, კელმწიფობითა და სიმდიდრითა ამისებრი ვერ არის.

«არაკი: თუ ერთი დრამა დაგიკარგავს, ნაცულად ღმერთისა თუალი პატიოსანი მოუცემია. და თუ ვიროსაგან მოწყუეტილხარ, ესეთისა დიდისა კელმწიფისად შეერთებულხარ. ძმამან თუ ვერ გიშველა, ღმერთი მეშველად გეყოფის და ბედი ძმად. თუ საწუთრომან ერთი ვერცხლისა ვაშლი წაგიღო, ნაცვლად ოქროსა თურინჯი მოგცა. ცოტა კარი დაგიხშა ღმერთმან, დიდი გაგიღო; და ზეთისა ბაზმა თუ წაგიღო, ცვილისა სანთელი მოგცა. რა უქნია შენთუის საწუთროსა ესეთი, რომლისათუის ეზომი ტირილი გინდეს? ღმრთისაგან თუ მადლობა არა გკამს, ამით რომელ ვინცა ღმერთსა არ მადლობს, სინანულად შეექნების. დღესა ჟამი შენისა სიხარულისა არს, არა ტირილისა და გლოვისა. აწ თუ მოისმენ, მიწისაგან ზე ადეგ და სადედოფლო ტანისამოსი შეიმოსე, შენი შესაფერი ოქროსა გუირგუინი დაიდგი თავსა და შეჭკაზმე მზისა მგზავსი პირი შენი, შეამკევ დარბაზი შენითა პირითა და სადედო წალკოტად შექმენ; შაქრისა მსგავსითა ენითა საუბარი დაიწყე და ვარდისა ფერითა ბაგითა ნადიმი გარდაიკადე; გიშრისა ფერისა თუალითა გული წაუღე მხედავთა და მოაბადს ამოთა კოცნითა გული გაუმხიარულე. ელვარითა პირითა შენითა ღამე დღეთ შეჭქმენ

და გრძნეულნი თავისა შენისა თმითა შეჰკრნენ; მზე მოშურნედ გაჰკადე, შენითა სიცილითა შაქრისა სიტკბო გააბედითე და თმითა შენითა ამბარი უპატიოდ გაჰკადე; მამათა გული დედათა-თუის გააგრილე და ლომთა პირი შენისა მიჯნურობისათუის გააყჳითლე; თავისა ტანისამოსი თუ ტანსა შეიმოსო, ასრე იქნები, ვითა მომისხენებია. უკეთუცა შენ ყოველთა კეკლუცთა გასწბილებ, ყოველთა დაღრეჯილთა გაამხიარულებ, რა შეეკაზმო. ხიუმე გაქუს, სიკეთე, სიკეკლუცე და გუარიანობა. ამის მეტი რომელ ღმერთსა მოუცემია, რასაღა ეძებ?

«შეგონება: ღმრთისა განგებასა ნუვინ ემკლავების, ამით რომელ მოწყენადსა ვერვინ შეაქცევს.

«არცა შენისა ზახილისაგან შეშინდების განგება და არცა მოწყენადი აგკდების.[1] აწ ეგზომსა ბედითსა რას აზახი და თუალთაგან ცუდად შეუშრობელსა ცრემლსა იდენო?»

ძიძამან ესე მრავალ გუარად რამე შეაგონა და ეძენს ჭი-ხის. გარნა მას ძიძისა შეგონება და ქარი სწორად ესმოდა, ეგრე არქუა ჭისმან:

— ჴე ძიძაო, შენი საუბარი ხესა ჰგავს უნაყოფოსა; ჩემი გული გამაძღარა ამა საწუთროსა სიცოცხლითა; არად მინდა, არ ჩავიცუამ ტანისამოსსა, არცა დავჯდები ტახტსა ზედა. ჩემი ტანისამოსი ფლასია და ტახტი მიწა, ნადიმი ჩემი—მოთქმა და მეხუაშიადე—-სიმარტოე. გერცა მოაზად რა გაიხარნეს ჩემგან და არცა მე ოდეს ვპოო მისგან კარგი და სახელი. მე ოდეს ჭიროს ვესხლე, ვარდი ვიყავ უკეკლო და აწ ეკალი ვარ უვარ-დო. ყოველსა კაცსა თავისა ნება ჰამების დ მე უნებლობა უფრო

---

[1] ვარიანტი: «აგცდების».

მიამების; რადგან ვირო ჩემგან გულის ნება ვერ პოვა, სხვასა ნუვის აპოვნინოს ჩემგან მისი ნებაო.

ძიძა ენად კარგი იყო და კულა დაუწყო საუბარი, წყრთა და შეგონება. ეგრე თქუა:

— ჰე თუალთა სინათლეო დედისაო! არ უკამსია თუ ვიროსათვის შეწირვებული იყო, ამით რომელ ძმაცა იყო შენი და საყუარელი ქმარიცა; თქუენ ერთმანერთისა მოახლეობასა შიგან თავისა ნებისა ჟამი ვერ მოგხუდა. გარნა დია იქნების ესე, რომელ მოყუარულნი ორი წლამდინ ერთგან იყუნენ, ერთმანერ-თისაგან ნება ვერ პოვონ, და ეგეთნი გაიყარნენ, რომელთა შეყრა აღარა ეგონებოდეს; მაშინ ინანდეს უგუნისამდე აღარა მომლოდენი.»

«არაკი: ვითა გლახა კაცი რომელ ანასდად მაჯანსა სა-ჭურჭლესა შეჰკდეს, იზანტოს, მუნით არ რა აიღოს, ყუელა თავისი ეგონოს, და რა მუნით სხუაგან მივიდეს, მუნ ვერ პოვოს და უგუნისამდის ინანოს,—ესრევე შენთანა ვიროს საქმე ყოფილა და დია ძნელია მისი საქმე.

«არაკი: წავიდა იგი ჟამი და დღე, ოდეს ერთმან კუ-მან ორი შარუხი დასცეს.

«შეგონება: წარსრული მოყუარე გარდასრულსა დღესა გავს.

«თუ ფრთხილი ხარ, გარდასრულსა ნუ ინანი. აწ უმე-ცრულად ნუ კუშტობ და ნუ იბრძვი. ჩემი მოისმინე. მიწასა ზედა ნუღარა ზი, აბანოსა შედი, ვარდის წყლითა მუშკის ფე-რი თმა დაიბანე; საჭურჭლითა სათქუენო ტანისამოსი გამოი-ღე, ტანსა შეიმოსე და შუენებითა შენებურად ტახტსა ზედა დაჯედ და თავსა გჳრგჳნი შენი დაიდგი. ამით რომელ აქ

დია კარგნი და გუარიანნი დედოფალნი, ზოგნი დიდებულთა ცოლნი მოვლენ, ზოგნი თვით მზისაებრ კეკლუცნი და მთუა-რისაებრ ელვარენი, და ყოველნი საკელმწიფოთა შეკაზმულნია. მე არა მწადიან მათგან შენი ეგრე ნახუა, შენითა სათნოთა იგინიცა შენსა გუერდით ნაცართა ზედან დასხდებიან. ეზომ უმე-ცარი და რეგვენი არა ხარ; აწ ესე იცი, რომელ უცხოთა ში-გან ხარ და არა თავისა სახლისა. კაცსა თუ არ ჰქონდის, ნა-თხოვითა შეეკაზმის უცხოთა გასაჩუენებლად.

«შეგონება: კაცისათუის უკეთესი საქმე არის სახელისა მებნა და უცხოთა კაცთა ენისა დაბმა.

«ვინცა შენ ესრე გნახოს, არას გზრახავს უკანის ავი-საგან კიდე. ზოგნი ამას იტყუიან: არა პატივი დაგუდვა და არ მოვეწონენითო. სხუანი ამას იტყუიან, თუით იგი ვინ არის, რომელ გავაკვირებდეთო! საკამსო ესე არის, თუ ყოლა ცნობა გაქუს, რომელ მათი ენა სათავისოდ შეინახო. ვინცა კაცთა უპატიოდ ნახავს, იცოდი, რომელ მას კაცნი დაემტერებიან. და რომელიცა დიდი საგემოა,[1] რაზომცა კეკლუცი და კარგია, მოახლენი მას გუერდით ამოდ ვერ გაიხარებენ. ამას შეგაგო-ნებ, დააგდე ესე სამულველი და ავი ზნე ამა კაცთა გზითა[2] და აღარ მოაბადისთა, თუარა შაჯი მოაბადის შენი დუხჭირება სიკეკლუცედვე უჩანს, ამით რომელ შენი მიჯნური არისო.»

რა ესე საუბარი მიმისაგან მოისმინა, ვისის იამა და მოეწონა გულსა შიგან, და აღარცა მიმასა დაუმძიმა მოუსმენ-

---

[1] ვარიანტი: «რომელნიცა დიდისა ზვავობითა იქცევიან, რა-ზომცა».

[2] ნიშნავს — ამა კაცთა მიზეზითა.

ლობითა. მაშინვე ნაცრისაგან ზე ადგა, აბანოს შევიდა. მიმამან-
კაზმა დაუწყო, დაბანა თავი და ტანი; პირსა ზედა შეჰკაზმა,
სათმენი შეუყარნა ფას დაუდებელნი, სამკაულითა თუალითა
პატიოსნითა შეკაზმული სამისო შესამოსელი შეჰმოსა ტანსა;
საყრნელნი უგმია, შეულოცა სათვალენი სიტყუანი და შეუბერა.
მიმა ვითარცა ჰკაზმიდა, გისი ამაშიგან ტიროდის, მოსთქმი-
დის, ეგრე იტყოდის:

— ჰე თავჩაღმართო და უკუღმართო ბედო ჩემო! რად
გამწირე და აბეზარ იქმენ ჩემგან? ცისა მფრინველნი, ჰაერი დ
ქარი ჩემსა უბედურობასა ზედა მოწმობდენ!

რა ამა ტირილითა დაშურა და მორეწყნარდა, სული
დაილო, ესრე დაშვენდა, რომელ რაზომცა-ვინ ბრძენი და გო-
ნიერი იყოს, ნაასალსაცა ქებასა მისსა ვერ მიხუდების. ესრე
მეკლუცი იყო, რომელ თუ მლაშითა წყლითა პირი დაიბანის,
მასვე წამსა მას მადამოსა მიწისაგან საშაქრე ლერწამი ამოვი-
დის. თუ ამარტა ლაწუთა და ბაგეთა მოსდვის-ვინ, მაშინვე
წითლად იაგუნდად შექნის. თუ მკუდარსა, მიწა-ქნილსა სამა-
რესა ზედა დაჰყივლის, მანცა პასუხი გასცის. რაზომცა მე-
კლუცნი და საქებარნი მისად ნახვად მოვიდიან, მიუარესა გვან-
დის იგი და მოსულნი მისთანა ვარსკულავთა. შვენოდა ყელ-
ყური სამკაულიანი და თუით შუენოდა ერთობით უებროდ,
ვითა ჩინური სახე ოქროსა[1] შიგან!

მოაბად მას დღესა აზომი გაუგზავნა, თვითო თვითო-
ვინ ასსენოს: მრავალი ზანდუკი ოქროსი, თუალითა და მარ-
გალიტითა სავსე; მრავალი შესამოსელი დიდ ფასისა, ყელსა-

[1] ვარიანტი: «ოქსინოსა შიგან»

თანა ურიცხუი სტავრა, კიდის-კიდე შეკრული; მრავალი ბროლისა ჯამი, ტაბაკნი და ოქროსა ჭურჭელი, ყუელა თუალითა შეკაზმული და მრავალფერი სურნელი და ყუელასთანა ტყავი და მრავალნი მონა-მკევალნი: ბერძენი, ჩინელი, ბალხური, ყუელანი კეკლუცნი, ვითა ველურნი თხანი სიქსუითა[1] და ჯერეთ სიჩჩალითა და სიშვენიერითა ვითა ფარშამანგნი ლამაზნი.

ჯდა ვისი დედოფალი ტახტსა ზედა და მისისა შვენიერებისა მკაზმავი ბედნიერობა. ყოველი ქუეყანა მისგან მხიარულ იყო და იგი დაღრეჯილი ჯდა, კაცთა ლოცვა და ქებას მას სევდად და მოთქმად უჩნდა. ერთსა კვირასა ამის საქმისა სიხარულითა მოაბად ზოგჯერ სმიდის და გასცემდის, ზოგჯერ ასპარეზობდის. მერმე კვირასა ერთსა ნადირობად გავიდა; ერთიცა ისარი არ დააცდუნვა და არცა სუმასა შიგან ოქრო და ლარი დარჩის, არცა ნადირობასშიგან სულიერი ნადირი წაუვიდის; რა ყუანწი ბურთსა ჰკრის, მის ყუანწისაგან ბურთი ცად გავიდის; რა დიდებულთა მისთა თანა ღვინო სვის, ერთსა დღესა ყოვლისა ქუეყანისა მოსავალი სადოსტაქნოდ არა ჰკვირდის. დრუბელი მისისა ნებისა იყო და მისგან ოქრო სწვიმდა. რა ძიძამან შეჰკაზმა ვისი, ტირილისაგან არ გამოისვენებდეს, თუ სთქუა, წამსა და წამსა ჭირი მოემატებოდა.

---

[1] ვარიანტი: «სიქუსითა».

იე

ვისისა და ძიძისაგან მოაბადისა მამაცობისა შეკრვა

მერმე ვისი, საწუთრო-მოწყენილმან, მალვით კაცთაგან ძიძასა უთხრა და შეეხვეწა:

— ჩემი ბედი მებრძვის დღე და ღამე; გაძლა გული ჩემი სიცოცხლისაგან და გამშრა ძირი ჩემის სიხარულისა ხისა. არა ვიცი, თუ ჩემი ღონე რაღაა თავისა მოკლვისაგან კიდე, რომელ ნუთუმცა სიკუდილითა დავეხსნე ჩემსა ყოფასა! აწ თუ შენ ჩემსა ღონესა არ ქმნ და ამა ჭირისაგან არ მიხსნი, მე ვითა მითქუამს, აგრე ადრე თავსა მოვიკლავ; ამით რომელ, რა მოაბადს დავინახავ, ვითამცა ცეცხლსა შევდგებოდი. სიკუდილისა დახსნა და მისი — სწორად მიჩნს. ღმერთმან მოაბადის საწუთრო ასრე მწარე ქნას, ვითა ჩემი. თუცა ჯერეთ დათმობისა წყლითა გული დაუბანია და გულის ნება ჩემგან არ უქმნია, ამისა მეშინიან, რომე ვერ გასძლოს და ხუაშიადი დამალული გამოაცხადოს. აწე ვირე იგი ჩემგან ნებაჲსა ქმნიდეს, შენ გზასა ზედა მახე დაუგე. ესე იცოდე, რომე მე ერთ წლამდის თავსა არ მივსცემ და მე თვით სიკუდილისათუის თავგაწირული ვარ. მამისა ჩემისა ტკივილი ამისგან უმცრო არ ეგების. მუნამდი მე ესრე ვიქნები, ერთ წლამდი მოაბად არ დამთმობს და არცა მიმიშვებს, ამით რომელ მას ჩემგან არცა რცხუენიან და არცა ეშინიან. აწ შემიწყალე, შენებურად

დაიურვე, მისი მამაცობა შეჭვარ ჩემზედა. რა წელიწადი ერთი გარდაჭვდეს, მაშინ ნუთუმცა გონება მომექცა, გული დარევდევ[1] და უკანის რა მოაბად გასხნა, იგი შენად მონად იქნების, რა მის საქმისაგან დაეხსნას. იგი რომელ მითქუამს, თუ არა იქმ, ვერცარა შენ გაისარნე ჩემისა ბედისაგან, ამით რომელ, მე სი-ცოცხლე უნებლი არ მინდა, არცა სისარული აუგითა. მოაბა-დის ნებისა გასრულებასა სულისა ჩემისა ამოსვლა მირჩევნია, მისგან უნებლივ ამისსა თხრობასა თუ, «ნება ჩემი ქენი.»

რა ესე სიტყუა ესმა ბერსა ძიძასა, თუ სთქუა, ისარი ეცა გულსა. თუალნი გამოაჭყირნა ძიძამან, დაუწყო ჭურეტა კუშტად და ეგრე უთხრა:

— ჭე სინათლეო და თუალო დედისაო! ცნობისა და სა-მართლისა ნაწილი აღარ არის შენშიგან. საძულველი ეშმა შე-მოგდგომია, სიმართლისა და სიყუარულისა გზა შეუკრავს. შენ მეტისა შეჭირვებისაგან გაგულშავებულხარ და სათსა სიშავე არათ წაელების. მაგრა რა დაუთმობელად მისრულხარ, ერთობით თავსა ცნობა დაგივქცია. აწ რადგან ესრე არს, აღარა ღონე ვიცი შენისა ნებისა ძებნისა შენზედა შეკრვისაგან კიდე, ამით რომელ ეგე დევი რომე შიგა შემოგდგომია, ყოვლისა სიხარუ-ლისა გზა შეუკრავს შენისა გულისათუისო.

მერმე ძიძამან სპილენძი და ძვალი მოიღო და გრძნეებითა რათმე ტილისმი შექნა: ორი მოაბადის სახე და ერთი ვისი-სი; შეულოცა რამე და რკინითა ერთმანერთსა ზედა მაგრად შეაჭედნა. ძიძა მაგალითად გრძნეული იყო და ესე ორი ჩასხიბი ასრე ვითამე შექნილი იყო, რომე ვირემცა იგი ერთგან დაჭე-

[1] დარევდევ—დავდევრე, ესე იგი დავდევმცა.

დილი იყუნენ, მოაბად ვისსა ზედან შეკრული იყოს და თუ ვინ გახსნიდა, მასვე წამსა გაიხსნებოდა.

რა მიმამან ესე საქმე დაიყურვა, წავიდა დილასა ადრე ცისკრისა ჟამსა და წყლის პირსა ჩავლა. შემოიქცა, ვისის უჩვენა იგი ადგილი, ასწავლა თუ სად დაეფლა და ეგრე უთხრა:

— თუცა შენი მზობა არ მომწონების რაცა მიბრძანე; მე ეგრეცა მიქნია შენისა გულისა ამოვნობისათუის. შენისა საწადლისა ასრულებისა ღონე მიმებნია, ესეთი უსწორო კელმწიფე შემიკრავს. და აწ რა ესე თუე გარდაკდეს, მაშინ შენ ესე ზნე დაავდო და გამახსნევინო. მაშინ აღარ მითხრა თუ ესრეთე იყოსო. რა გული დასდვა და მოაბადსთანა ამოდ იყო და სიყუარულით, მე მას ტილისმსა მუნით გამოვიღებ, დავლეწ, გავხსნი და ცეცხლითა დავსწუავ და თქუენ ორთავე გაიხარნეთ. ვირემდის იგი ნამსა შიგან არის, მოაბად შეკრული იქნების. წყალი სიგრილისა კრძო არის და სიგრილითა შეიკრვის მამაცი. ჭუდა რა მას ცეცხლითა დავსწუავ, გაკურდების მოაბად და გაიკსნებისო.

ესე რა მიმამან დააჯერა ვისის, ვითა ერთ თვემდის იქნების, მერმე შენცა გული მოგექცევის და გავკსნიო,—დრო აიღეს ერთმანერთისაგან. დასჯერდა ვისი.

აწ ნახე, ღმრთისა განგებამან რა ქნა, შაქარსა ზედა სამსალა ვითა მოაყარა. ამა მათსა პაემანამდის ერთსა დღესა ამოვიდა ზღუისაგან შავი ღრუბელი და ესეთი წვიმა მოვიდა, რომელ ყოველი მინდორი ღუარითა აივსო და მარავისა წყალსა ჯეონისა წყლისა ოდენი მოემატა. არ დარჩა ერთი ბაღი-ვენაკი, არცა სხუა ნაშენები წაუღებელი; ქალაქისა ნასხევარი წაიღო,

საოკრა და, იგი ადგილი რომელ ძიძასა დაესწავლა, დათხარა და წაიღო ტილისმი მოაბადისა. დარჩა გლახ უკუნისამდის მოაბად შეკრული!

არაკი: დარჩა მოაბადის თუალთა შიგან ვისი, ვითა მდი-დრისა დრაჰკანი გლახსასგან სანახავად, ვითა მშიერსა ლომსა ტოილოთა დაბმულსა წინა განჯარი წუნარად მავალი.

ჯერეთ მოაბად ცოცხალიყო და მკუდართა ნატრიდა, სი-ხარულისა გზისაგან მოსცდა და სიმწარესა მიხუდა. მტერთა გაეხარებოდა და მოყუარეთა დაემძიმებოდა. მისგან საეჭუო[1] საწოლი საკნისებრ საჭირო იყო მისთუის: ღამით გუერდით უწვის, მაგრა ასრე აშორვიდა, ვითა თუისა სავალსა. ორნი ქმარნი შეირთნა ვისმან, ორთაგანვე ქალწული დარჩა. ვერცა ვირო მიხუდა მისსა ნებასა და ვერცა აწ მოაბად.

ნახე, თუ საწუთრომან ვისსა ზედან რა ქნა: გაზარდა ნე-ბიერად, აუგსა აკრძალა, სხეული მისი ნაკუთად ნაძვისა მგზავ-სი იყო. დავსებული მთუარე მისი მსახური იყო, აყუავდა პირ-სა ზედა ვარდი, მოიწითვა სრულად და უკლებად; გარნა ბო-ლოსა რა წაეკიდა შაჭი მოაბადს, ძიძასა და რამინს თანა, რო-მელ რა მიჯნურმან მისი ანბავი ცნას, თუალთაგან სისხლისა ცრემლსა იდენს! არავის ასმია მიჯნურისა ეზომი ჭირი და სხუა და სხუა მიზეზი.

---

[1] ვარიანტი: «სატრფიალო საწოლი».

ივ

ამბავი რამინის მიჯნურობისა

რა გულ-წასრულსა რამინს გაუძნელდა საქმე და უღონო იქნა, გაუბედითდა მიჯნურობისაგან ბედი, მიწყით უკაცურსა ადგილსა ქებდის და მარტოდ დაჯდის; ტიროდის შეუსვენებლად დ ღამით ძილი არა ჰქონდის, არცა თავი სასთაულსა ზედა მიდვის. ვარსკულავთა უჭვრეტდის და ფილაქთა სამისოდ მოქცევისათუის ღმერთსა ქაჯებოდის. არა ჰქონდის მოსვენება, არცა დღისით და არცა ღამით. ვითა ხელი ცურვიდის; ვითა განჯარი დ ვითა ველური თხა კაცთა ფრთხებოდის. ვისის ნაკუთისა მიმსგავსებითა სადაცა ნაძვი ნახის, თუალნი ვერ მოსწყუიტნის; სადაცა წალკოტსა შიგან წითელი ვარდი ჰპოვის, მისისა პირისა მიმსგავსებისათვის მას კოცნიდის; ყოველთა დილათა ია ჰკრიფის და მისისა თმისა ნაცულად გულსა ზედან დაიდვის. მიწყივ მისი არიფი, რა ტირილისაგან მოიცალის, ორმალი იყუის და ნადიმი.

სადაცა დასწავლებული[1] მიჯნური იყუის, მრავლითა და უცხო ფერითა რათმე ჴმითა ბებლუცად სიმღერა თქუის, ყუელა მოყურისა სიშორისათუის. რა სულთქნის, ზამთრეული ქარი ააქროლის. მისითა კუნესითა კაცსა გული ეგრე გაუკდის, რო-

[1] ვარიანტი: «დასაწყლებული».

მე იადონსაცა მტოსაგან ჩამოაგდებდის. ეზომის სისხლისა ცრემლითა ტიროდის, რომელ მუკლთამდის ტალახსა შიგან ჩაეფლის. მისსა თუალსა დღე ნათელი ბნელად იყუის. მას ქუეშე სტავრისა ამო საგებელი ვითა გუელი იყუის. ასრე საბრალო იყო და მოუსვენებელი მიჯნურობისაგან; ღვინოსა ყოლა არა დაიახლებდა ამისითა შიშითა, რომელ რა სვის, სრულად თმობა წაუღის ღვინომან. ესე ვერავინ ჰკითხის, თუ რას ჭირისაგან ხარ ეგრეო? სანთლისებრ იწვებოდა, დნებოდა და წყლული გული მოყურისათვის შეეწირა. მისთუის სიცოცხლე გაბედითებულიყო და სიხარული მისსა გულსა ერთობით გაეწირა.

ტირილისაგან ტანისამოსი მისი სისხლითა დასვრილი იყუის და კუნესისაგან პირი მისი—ოქროს ფერი. მიჯნურობისა ჭირისაგან სულნი ბაგემდის მოსულოდეს და მიწყით თავისა სიცოცხლისა დ მოყურისაგან იმედ გარდაწყუეტილი იყუის. მოყურისა მისისა სახე თუალთა შიგან გამოესახა და თუალთა მისთაგან მილი[illegible]კიდეგან ქმნილიყო. სიდიდე ქუეყანისა მტკავლითა გასაზომლად უჩნდა. მეტისა გონებისაგან მთურალთა და ხელთაებრ უცნობო იყუის. საწუთროსა საქმისა ზოგჯერ ღონედ მოიგონის და წილნი ჰყარნის მოყურისა სახელსა: ბოლოსა ჟამსა ჩემი და მისი საქმე ვით ერთგან იქნებისო? ზოგჯერ მაჭინ-მას ბაღსა შევიდის, ბრუნვიდის, ყოველნი ხენი მოწამედ დაიყენის და ეგრე უთხრის: «ჰე ყოველნო ხენო! მოწამენი იყავით ჩემნი; ასრე მტირალი მნახეთ. რა მხიარული ვისი აქ იყოს, მას მოახსენეთ, ნუთუ გული მისი უსამართლოსა ქნისაგან გასწმიდოთ!» ზოგჯერ იადონთა ეუბნებოდის, ეჩხოდის მრავლითა საყუედურითა დ ეგრე უთხრის: «თქუენზე-

და რა მოსრულა ქუეყანასა ზედა ეზომი ავი, რომლისათუის თქუენ ეგზომსა იზახით? რა წაგკიდებია, თქუენთა მოყუარეთა გუერდით მტერთა ზედა სხდეთ, არ ჩემებრ აშორავთ და გაშტერებულხართ საბრალოდ!

«არაკი: თუ ათასფერი წალკოტი და სიმხიარულე გაქუს, მე გულსა ზედა ათასფერი დაღი მაქუს. რადგან თქუენ მოყუარეთა გუერდით ასე იზახით და კუნესით საბრალოდ, მე რაღა ვქნა, რომე არცა ნახვისა მოლოდნა მაქუს! მე მშუენის ყამსა და უყამოსა კუნესა და ზახილი, ამით რომელ ჩემმან სულისა წამლებულმან ჩემი ჭირი არ იცისო.»

ესე გუარსა რასმე კუბნებოდის და იარებოდის მას ვენაკსა შიგან თუალცრემლიანი და გულდადაღული. დღესა ერთსა მოარებად ჩამოსრული ძიძა ემთხუია წინა და ნახა ეგრე მბრუნავი. რა რამინ დაინახა ძიძა, სულისაებრ საკმარი და თუალთაებრ სანდომი, სიხარულისაგან სისხლი აუდუღდა და დაწუმან მისმან, თუ სთქუა, ყაყაჩოსა ფერანგი ჩაიცუა. ძიძისა სირცხუილისაგან ოფლი სდიოდა. გაზაფხულ წალკოტი თუცა კეკლუცია, რამინის პირი ათასჯერ მას უტურფე იყო. ყურისა ძირნი წმიდასა ვერცხლსა უგუანდეს; სუმბულთ ჯერეთ შავი არ ჩაეცუა და მუშა-ვაზნი მუშკისა ყუანჯად შექმნოდა. ნიკაფსა ჯერეთ ცოტა ქაფურისა ფერობა ჰქონდა, ბაგენი ლალსა უგუანდეს და კბილნი მარგალიტსა; ნაკუთი და სიგრძე მოარულსა ნაძუსა უგუანდა; მაგრა ამა ნაძვისა ნაყოფი წითელი ვარდი იყუის, სახედ მთუარე გავსილი ქუეყანასა ზედა სანახავათ მოსაწონებელი. კაბა და ქუდი უებროდ შუენოდა. თუით გუარად ადამისითგან სახელოანი ჴელმწიფე იყო, სახედ მიწასა ზედა სულიერი მზე, ყოვლითა ფერითა საჭაბუკოთაცა სრული.

ვისცა რამინის ჭურეტა განცდით მოუნდის, მასვე წამსა საკუთრად გული შემოსწირის. გუარიანობითა და ჭაბუკობითა ორ გუარად იყო ქუეყანაზედა. მეფის შვილი იყო და ძმა მოაბადისი[1] და მისა ქუეყანისა პატრონი იყო. რა თუალი მისი გრძნეულმან ნახის, დასჯერდის და შეიწამის, თუ ესე უფრო კაცის წამლებიაო ჩუმგანო, და რა ქაჯმან მისი პირი ნახის, ეგრე თქუის, კელმწიფობითა შენ უკეკლუცე ხარ ყოველთა კეკლუცთა ზედაო.

რამინ ასეთითა შუენიერითა პირითა ვისის პირისაგან უსულო, უგულო და გაშტერებული ბრუნვიდის. ყოველთა ფილოსოფოსთად წაჯობინებული თავისა გზასა უმეცარ ქნილიყო, და რა მარტოდ ნახა წალკოტსა შიგან ძიძა, ვითამცა ყოვლისა სოფლისა სიხარული მიმხუდარიყო, ასრე გაეხარნეს. თაყუანისცა და ქება შეასხა. ძიძამან განაღამცა აგრევე უმაგიერა, მოიკითხეს ერთმანერთი და მოეხუივნეს ვით ძველითგანცა მოყუარენი. მერმე ერთმანერთსა კელნი დაუჭირნეს და უჩინარს ადგილს მივიდეს. იუბნეს მრავალ ფერად რამე და ესე საუბარი მათი რამინის წყლულსა გულსა ემალამებოდა,[2] რამინ სირცხვილისა ფარდაგი დახია, ამით რომელ გული მისი სირცხუილსა დაეტყუევა და ძიძასა ეგრე უთხრა:

— ჰე ჩემო სულთაგანცა უფრო საკმარო! აჰა თავი ჩემი შენსა წინაშე მონისაგან უმონესია, შენი საუბარი და ნახუა ჩემი მაცოცხლებელი! ბედნიერობასა ვითხოვ, ამით რომელ შენ ჩემი დედა ხარ და ვისი პატრონი. მიწყით ჩემი საფიცი მისი მზე

[1] ვარიანტი: «მეფე ძმა იყო და შვილი, მოაბადისი და მისა».

[2] ვარიანტი: «ემალმებოდა».

არის. მისად ოდნად, მზისა მგზავსად შუენიერი და ჴელმწიფე გუარიანი დედოფალი სხუა არ დაბადებულა და არცაღა დაიბადების. ვისიცა ჯუფთი ვისი არის, მისი შესაჭირვებელი არაა. თუ სთქუა, ამად შობილა დედისაგან, რომელ ყოელსა გულსა ცეცხლად მოედვას და მეტად გლას ჩემსა, რომელ ცეცხლისა მსახურთა სალოცავად გაუკდია გზნებითა. თუცა მე მისისა უსამართლობისაგან ვენთები, მისიმცა გული ასეთსა ცეცხლსა ზედა ნუოდეს ენთების. თუცა ბედმან ჩემმან მე გამწირა, ბედნიერობისა ბედი მასმცა ნუ მოეშორების. მე ნიადაგ მისისა სიყუარულისა და მიჯნურობისაგან ვკუდები და ვიწვი, და ეგრეცა ამას ვიტყუი: მისიმცა ყოვა-დღე ჩემებრსა ნუმცაოდეს მიეცემის. რაზომსაცა მისისა სიყუარულისათვის ჭირსა ვნახავ, ეზომჯერცა ღმრთისაგან მისსა უჭირველობასა ვითხოვ. თუცა მე მისგან დაღრეჯილვარ, იგიმცა მიწყით მხიარულიაო!

იამა ესე მიმასა. რა მისგან საუბარი და პასუხი მოისმინა, მანცა სირცხვილითა ეგრე არქუა:

— რამინ, მიწყითმცა მრთელი მივი! ღმერთმან შენი უბედურობა და ჭირი ნუოდეს მასმინოს. შენითა ბედითა გარეგათამცაა ჩემიცა გაზრდილი, რომელ სინათლითა მთუარესა ჰგავს და მისითა სიკეთითა ყოველთა ასარებს. მისისა პირისაებრ მშუენვარე არის მისი ბედი და საქმე. მისთა თმათაებრმცა დაგრეხილია მისისა მტერისა ზურგი. მე საუბარი შენი ყურადა მესმა და გამიგონია უაუგო შენისა ნახვისაებრ სანდომი. ნუ უზრასავ მას უსამართლობისა ქნასა; არ დავიჯერებ რომელ შენ არცა მისი მცოდნე ხარ და არცაღა მნახავიო.

ბულაცა დაუწყო რამინ საუბარი და ეგრე არქუა:

— ყოველთა უბედურთაგან მიჯნური უფრო საბრალო

არის, რომე მისი გული მისი შინაური მტერი არის და ყოველთა დღეთა მისსა ავგსა ქმნს. ზოგჯერ კუნესის მოყურისა სიმძრისათუის, ზოგჯერ იწყის გაყრისათუის. რაზომცა მისისა მიჯნურობისაგან ჭირი ნახოს, ლხინად უჩნს; და სულისაგანცა აბეზარ იქნას მოყურისათუის, არა ეჭირვების.

«არაკი: რაზომიცა მიჯნურობასა შიგან ფათერაკი დაემართოს, ეგრეცა ყუელასა თავის ნებითა მას გამოირჩევს. კაცისა თუალსა მოყუარისა გონებისა ცრემლი გააკმობს და ძილსა გააქრთობს; მიჯნურობისა ტუირთისა ზიდვასა დაიწყებს და ჭირსა ლხინად დასთუალავს. მაგრა მისი ნიამოვნე სიმწარისა ჯუფთია და მისი სიმხიარულე ჭირისაებრ ბედითია. მიჯნური მიჯნურობისაგან მთურალსა ჰგავს, ამით რომელ დუხჭირი მოყუარე კეკლუცადვე უჩნს; მთურალისებრვე შფოთითა მღვიძარე მძინარესა ჰგავს. ამით გამოირჩევის ავი კარგისაგან, რომე, რა მოყურისა სიყუარული მოვა, ცნობა წავა. მძლე ეშმა სძლევს, მიწყით თუალთა დაუბრმობს. ცნობა და სიყუარული ერთმანერთსა ვერ მორჩილობენ, ამით რომელ ცნობასა სიყუარული მოერევის, აღარა მიუშვებს გამორჩევად საქმისად და ყოველი ხუაშიადი მისგან გამოცხადდების.

«მე მიჯნურობისაგან ამეკადა საოვარველი, გულისაგან თმობა და სულისაგან ცნობა წამივიდა. მაშინ ერთსა დღესა ადგა ანაზდეულად ქარი და მიჩუენა ანაზდეულად ქაჯისაგან უტურფესი პირი. ოდიდგან ჩემმან თუალმან სამოთხისაებრი სანდომი ნახა, მუნითგან მხიარული გული ჩემი ჯოჯოხეთისა მგზავსითა ჭირითა ავსილა. იგი არა ქარი იყო, ფათერაკი იყო ჩემი და უგრძნეულოდ ჩამაგდო ფათერაკსა. სიყმაწვილესა შიგან შენ გაგიზრდივარ და მას აქეთაცა გინახავ, მაგრა ესრე

დასაწყულებული არაოდეს განახავ. აწ არცა მკუდარი ვარ და არცა ცოცხალი. ლომისა მსგავსი ძალი ჩემი გამელებულა და მეჭირვებისაგან მთა ჩემი გავაკებულა; ტანი ჩემი მთისაებრ დაწლობილა და პირი ოქროსაებრ გაყვითლებულა; წამწამნი თუალთა ზედა ლურსმად შემქმნიან და თმანი ტანსა ზედა გველად. რა ერთსა დღესა არიფთა თანა სმად ვჯდი, ვითამცა მტერთა ვეომოდე, და თუ თამამად წალკოტსა შინა ვიარებოდე, მინდორსა შიგან გზა დაკარგულსა ვგავ, ღამით საგებელსა ზედა მწოლი—ზღვას შიგან მამრჩვალსა. რა კაცთა ჩემთა მოყუარეთა ვეახლო, უთაოსა ბუთსა ვგავ უცნობობითა; ცხენოსანთა ყუანჭსა შესწრობილსა სიხარულისა ჟამსა ასრე დაღრეჯილი ვარ, რომე მტერთაგანცა შესაბრალებელად. ნიადაგ ესრე ვტირ, ვითა ცისკრისა ჟამსა ვარდსა ზედან იადონი და ვითა დილასა მთათა ზედა გაზაფხულისა ღრუბელი. მე მისთა ლამაზთა თუალთაგან გულსა ასი ათასი ისარი მარჭუია და ფერკთა დაუკსნელი ემუდა მიყრია; დაკოდილსა კანჯარსა მივგავ, მინდორთა შიგან რა სასისხლესა წამლიანი ისარი სცემოდეს; ცოტასა ჟამსა ვგავ ობოლსა, საწყალსა, ძიძისა და მშობელთაგან მოწყუეტილსა. აწ შენგან ზენაარსა ვითხოვ და შენსა მოწყალებასა ღონედ ვემებ. მგზებარისა ცეცხლისაგან გამომიყუანე, კაცისა მჭამელისა ლომისა ჭანგისაგან მიჴსენ. ჯომარდობა და უსწორობა შენი აწ გამოაჩინე ჩემზედა. ესე უგულო ყმა-კაცი შემიბრალე. უცხოთა შეიწყალებს მოწყალე გული შენი და შმაგნი გებრალებიან, ერთად მათ თანად მე დამიჭირე. ეგეთივე შმაგი მე ვარ და ყოვლითა საქმითა საბრალო, ამით რომელ წითელისა გულ-ვეშაპისა, კაცისა სისხლისა მსმელისათუის, დაპყრობილვარ. ფიცი კაცი ხარ კარგი და შეგონებითა შენითა მომა-

მატე საჩემო სიბრალული. მოახსენე ჩემმავიერ ნამუსა ლამაზ-მოარულსა, ბუთსა მოუბარსა, მთუარესა ტულიერსა, ქაჯსა მიწისა მზესა, სიტყუა-ტკბილსა კაცთაგან ულევსა, უკლებად ტურფასა, თმა მუშკსა, ბაგე იაგუნდსა, აყუავებულსა სიხარულისა წალკოტსა, ესე მოახსენე: ჵე კეკლუცთა დასაბამო, რომელ შენსა წინაშე ყოველთა კეკლუცთა და მნათობთა შუენება უჩინო ქნილა, ორისა კურისა მთუარე შენგან მეშურნეობს და მისი სიელვარე შენდა შემოუწირავს; გრძნეულთა ლაშქარი შენისა უებრობისაგან გაქცეულა, ჩინელნი კეკლუცნი შენგან აშფოთებულან, ბარბარული ბუთი შენგან გაწბილებულა და მისი მთლელი მისგან აბეზარ ქნილა. შენნი ბაგენი კელმწიფეთა მონად გაკდიან და შენი ჰირი მკუდართა გააცოცხლებს. დადნა გული და ტანი ჩემი შენითა გონებითა, ვითა მთისა თოვლი მზისა სიცხისაგან, ჩაიჭრა გული ჩემი შენისა სიყუარულისაგან უნებლივ, ვითა ნადირი ბადესა; ცნობა და სიწყნარე წამსვლია; გული ტანსა შიგან იავარ მქნია; არცა მძინარესა და არცა მღუიძარესა ჭირი ჭირად არა მიჩნს და ლხინი ლხინად; არცა რად კელმწიფობა ჩემი მიხარის, არცა საჭურჭლე და დიდება; აღარა მაქუს სიხარული, არცაღა დიდებულთა თანა მოედანსა ასპარეზითა ვიმღერი; არცა მინდორთა შიგან ავაზითა ვნადირობ და არცა მთავართა ქორითა—კაკაბსა; არცა მონადიმეთა თანა ღვინისა სმითა გავიხარებ და არცა კეკლუცთა თანა დავჯდები მათსა სიახლესა; ვერცავის ქუეყანათა ზედა შენგან კიდე საჭურჭლეს გამოვირჩევ და არცა ჭირისაგან წამსაცა აზატი ვარ; ვერცა შენისა გონებისაგან კიდე სხვითა რათ გავიხარებ, არცავინ მოყუარე და გულის პასუხის შემწე მივის. თავისა სასლსა შიგან მეოვი ტყუესა ვგავ, შელამებით გათენებამდის ვკუნესი და ვა-

დუღარჭუნები ვითა დაკოდილი გუელი. ტანისა ჩემისა წამალი შენი საუბარი არის და გულისა ჩემისა მაცოცხლებელი შენი ნახუა. მე მაშინღა ვჰპოვებ ჩემისა ცნობისა ჭკუასა, ოდესცა შენი ამო ჴმა მესმის. თუცა წელიწადის შენგან ჭირს შიგან ვარ და სიხარულის გარდაქცევისაგან ცრემლი დამწითლებია, პირი გამყუითლებია, ეგრეცა შენი მიჯნურობა სულთა მირჩევია. სულთა მებრძვის შენისა სიყუარულისაგან, არ ვქმებ უშენოდ სიცოცხლესა და არცა უშენოდ სიხარულსა. ოდესცა ჩემი გული შენისა სიყუარულისაგან ჴამლეს, თავსამცა ჩქდან თმა ჴრმლად შემექნების, დღისა სინათლე შენისა პირისაგან მაქუს და ღამისა სიბნელე შენისა თმისაგან. ესე იცოდი, ვირე ცოცხალვარ, შენთა მონათაგან უფრო საკუთარი ვიქნები და შენი მონა ვარ. შენი თეთრფეროვანი პირი ჩემი სიხარულისა მამცემია და ჭირისა მაქარვებელი. ჩემი მზე შენისა პირისაგან ნათობს და ჩემი მუშკი შენისა თმისაგან სურნელობს, შენისა ტანისაგან ჩემი ბროლი უტალო და შენისა საუბრისაგან ჩემი სამოთხისა შუენებაა; და მუნ შიგან მკვიდრ-ქნა ჩემი იგია, ოდესცა შენი პირი, ჩემი მაცოცხლებელი, ვნახო. დავლა და წარმართი ჩემი მაშინღა იქნების, ოდესცა შენისა პირისა ჭურეტა მამხუდეს; მე ღმრთისაგან დღე და ღამე ამას ვითხოვ, რომელ ერთხელ შენსა შემოხედვასა მაღირსოს. მაგას მაგარსა გულსა ჩემსა თუ შეგეწყალო და სიბრალული ჩემი მოიღოს, წაზიდვა და ამპარტავნობა არ დაიწყოს. თუ მემტერებოდეს, სიშორესა ქმნდეს და თუ გამწიროს, უცილოდ დაღუაროს სისხლი ჩემი. მაგრა არა კამს, შენმან მზემან, არა კამს, ესეთისა ყმისა კაცისა სისხლთა დაღურა და მოკლვა, რომელსა დღეთა მისთა შიგა შენდა არა შეუცოდებია. ასრე უყუარ მას გულითა მართლითა,

რომელ სიცოცხლისაგან ათასჯერ შენ ურჩევიხარ, თავისა სულ-სა გასწირავს შენთუის და შენისა ფერჴისა მტუერსა თუალთა იყიდის, ამით რომელ შენ გული ჩემი ესრე გიხუთავს, რომე მე მისგან ნაწილი არა დამრჩომია. მოწყალე იქმენ ჩემ ზედა. ტანიცა შენვე შემოგწირო და გაისაკუთრე, თუარე სულსა თანა ტანიცა გავწირო.»

არაკი: რა ესე საუბარი ესმა ბერსა ძიძასა, ვითამცა გულ-სა მოწამლული ისარი სცემოდა. შეებრალა დია გულსა შინა რამინ, მაგრა მას არა გამოუცხადა და ეგრე არქუა:

— რამინ, ამოო სახელო ვისი, ვითა შენი სახელი, არ დაამდებისო. ნუთუ შენ გულსა შიგან მისგან იმედი გაქუნდეს? იგი მზე შენზედა ვეროდეს ნათობს. არა გავა მისთანა ეგე შენი მაღორებლობა და ბიჭობა, ამით რომელ ერთ-სახე ქსუ დ̃ არავისი დამსხედავია. ნუცა აზრი ამისი გაქუს, თუ ძალითა რათმე და ღონითა შეეყარო შაჰროს ასულსა. იცოდე შენ ეს გიჯობს, რომე გულისაგან კიდეგან ჰქნა ეგე საქმე; ამით რომე ცუდი ოდეს ნატრა დაგრჩების. კაცისა გონებისა სისრუ-ლე, ცნობა და სირცხუილისა უფლობა ასეთისა ჟამსა მოქმა-რების, დუსხირი კეკლუცისაგან დ̃ ავი კარგისაგან გამოარჩიოს და გულსა შიგან ესეთი რამე საქმე გამოარჩიოს, რომელ მი-სუდებოდეს. თუ შენ ცა ერთგან შეჰკეცო დ̃ ზღუა ჭაბუკობი-თა შენითა ამოაშრო, მინდორთა შიგან მტკუარი ადინო, ქუისაგან ნაყოფი ამოიყუანო, ერთი ქუეყანა ახალი ააგო და მიწა მისი თმასა ზედა დააყენო გრძნეულობითა ესეთითა და კელმწიფობითა,—ვისის საქმესა ვერცა ეგრე შემართებ. შენ მას მაშინ შეუყუარდე და მისი გული მაშინღა ჰპოო, ოდესცა ფი-ჭუისა ხისა მტოსა სურმა გამოესხას. ვინ შემართებს მას წი-

ნაშე ესე ბუარსა კადრებასა, ანუ ვინ შეიწამებს მასთანა? არა იცნობ მისსა ბუნება-საკჳრველობასა, რომლისაგან თჳთი იგი-ვე მიწყით იჭირვის. თუ ათასისა ლომისა გულოვნობაცა მაქუს, ვერცა ეგრე შევიწამებ. რასაცა ჟამსა ამას სცნობს და მოვასხსენებ, ჯამიწყრების და პირის წყალი წამელების. თჳთ შენ არ გეკადრების და არცა გეკამსოების, რომე სიბერისა ჟამსა მე მოყვანებული დავრჩე. ჩემი გაზრდილი დიდის გემო-ობითა თავსა ცასა მოუსუამს და ადამის ტომსა ამპარტავნობითა სიტყუასა არავის მიუგებს. არცა დიდისა საქმისაგან შეშინდების და არცა დიდისა საქონლისაგან მოღორდების. აწ თჳთ ძნე-ლად დაღრეჯილია, სიმარტოისა და ღარიბობისაგან მოწყუედი-ლი და თავისა ქუეყანისაგან მოშორებული, კაცთა სიხარული-სა ყუელასაგან დამფრთხალი და მკრთალია. ზოგჯერ თუალთა-გან ცრემლსა იდენს და ღაწუთაგან სისხლსა, ზოგჯერ ეტლსა და ბედსა უჩივის. რა მმა და მშობელნი მოიგონნის,[1] ვითა-ალვა[2] ცეცხლსა ზედა დაიწვების. დასწყევს დაბადებისა მისისა დღესა და შობისა მისისა თუ, ეზომ უბედური რად დავიბადეო. ღმრთისაგან ქენებით ეთხოვა შაჯრის და ათასითა ნებიერობი-თა გაეზარდა. აწ შეუსვენებლად კუნესის და ტირს ღარიბო-ბისა და მისისა ყუელასა კიდე-ქნისათჳს. მას წინაშე ვინ იკადრებს შენსა ხსენებასა და ამა შენსა ბედითად შეთუღილო-ბასა? თუმცა წვიმისაგან უმრავლესი ენა მედგა, ერთსაცა ამა შეთუღილობისათჳს ვერ გავსწირავ და ესეთსა სამსახურსა ნუ მიბრძანებ; მით რომელ თავმან ფერკულად სიარული არ იცისო.

---

[1] ვარიანტი: «მოგიშორნეს».
[2] ვარიანტი: «ალავა».

რა უგულო ქნილსა რამინს ესეთი საუბარი ესმა, ცრე-მლისაგან მიწა დაატალახა, სიყვარულისა ცეცხლი ფეჴთად ტუჴნამდის გაუკდა, საყელონი გარდაიხივნა, მოწყულისა მსგავსი ფერი ზაფრანად გარდაექცა, ათრთოლდა ვითა თავ-მოკვეთილი მფრინველი, ენისა მომორჩილებისა ღონე არა ჰქონდა, არცა საუბარი შეეძლო. ასრე დაღონებული მიჯნურია საბრალო. რა დიდხან ესრე იყო სულღებითად, გული მორეუწყნარდა. მერმე ძიძასა კულაცა დაუწყო საუბარი, დიდისა ტკივილისა დაუთმობლობისაგან ექენებოდა და ეხუეწებოდა. ძიძა ეგრეცა უწყალოდ იყვის სამისოდ. რაზომსაცა თავსა აბრალებდის და ეხუეწებოდის, ძიძამან ეგრეცა უიმედო ჰყვის. მერმე ბოლოსა ჟამსა რამინ მოეხუია, დასვარა ძიძა სისხლიანითა ცრემლითა და ეუბნებოდა საბრალოდ; ეგრე უთხრა:

— ჰე ძიძაო! ზენაარ, ზენაარ, — სრულად სულისაგან იმედსა ნუ გარდმიწყვეტ, სიამისა სიცოცხლისაგან ნუ მომწყვედ, ნაღვლისაგან საწუთროსა ნუ გამიკდი. რა გგავა[1] თუ შემიბრალო, უბედურობისა ჯანგისაგან დამჴსნი, წყალობისა კარი გამიღო და ვისის პირი მიჩვენო მადლისათვის? მე თუ შენგან უიმედოდ გავკდები, უსაჭოთა სიკუდილითა აქა შენსა წინა მოვკუდები. აწ შენად მონად შექნილვარ, მიმონე და ამა ჭირისაგან ჩემი ხსნისა ღონე მეძნე. შენ ხარ ჩემი წამალი. ქუეყანასა ზედა არავინ ვიცი ჩემი მღხენელი. ჩემი გულისა პასუხი მასთან გამოაცხადე, ჩემი მოხსენება ჰკადრე მას ტურფად ანაგებსა. მეტად ნურას მიზეზობ. ღონითა რა არ ეგების, რომელ ქარსა ზედა წისქვილსა აგებენ, ჰაერთაგან მფრინველსა ჩამოი-

[1] ვარიანტი: «გაგუა».

ყუანებენ, ჴურელითგან გუელსა გამოიყუანებენ, შელოცვითა დაამშუიდებენ. შენ თუით შელოცვა უკეთე იცი. ყოვლისა კაცისაგან ღონისა აგება მიწყით შენი ჴელია. საუბრისა ჟამსა ენად შენებრი არავინ არის და არცავინ საქმით. ქნისა ჟამსა გსწორავს. აწ საუბარი და ღონე ერთგან შეყარე და ორითავე ვისი მოიმორჩილე. მე თუცა ბედნიერი არ ვიყავ, ეზდენ უაზროსა ადგილსა შენ ვერ გპოებდიო.

ესე უთხრა, ატირდა და მოეხუია; კოცნა დაუწყო, მასვე წამსა . . . . ვითამცა სიყუარულის რამე წამალი ექნა, ასრე შეუყუარდა ძიძასა.

არაკი: რა ერთხელ დიაცისაგან ნებასა აიღებ, პირსა ავშარა ამოდებულსა დაამსგავსებ.

რა ძიძისაგან მოიცალა და რამინ ზე ადგა, ძიძასა მაშინვე გული რამინისკე მოექცა, დახია სირცხვილისა ფარდაგი, მისი კუშტი საუბარი მოალმობიარა და ეგრე უთხრა:

— ჰე მაღორებელო, რომელ ყოველსა კაცსა შენითა ენა მაგალითობითა აჯობებ! აქამდინცა მიყუარდი, მაგრა დღესითგან წაღმა გაწყდა ჩუენ შუა მიზეზი აქათგან, ამით რომელ ჩემი საქმე გააადვილე. აწ რაცა გწადდეს, მიბრძანებდი და მე შენისა მბობისა სიტყუასა არ გარდავალ. ავასრულებ შენსა ნებასა ვისისგან და მოვავლენ, ვითა შენ გინდა, ეგრეო.

რა ესე ესმა გულ-წყლულსა რამინს, ეგრე უთხრა:

— ჰე თუალთა ჩემთა სარჩეო! თუით ნახე დღესითგან წაღმა, როგორ გმსახურო სულის ჩემის ამოსვლამდინ. თუით შენ იცი, რაშიგან ვარ? შეღამებით განთენებამდის არა მგონის სიცოცხლე და გათენებით შეღამებამდის არ ვეჭუ დარჩომასა. მას ვგავ, ზღუასა შიგან მარტო კაცი დიდსა ქარსა და

ზუირთსა ხედვიდეს ⁊ წამსა ⁊ წამსა მორჩობასა მოელოდდეს. მე ვისის შეჭირვებისაგან აგრე ვარ, დღესა და ღამესა კიდის-კიდე ვერ შევიგებ. აწ ჩემი იმედი და ღონე შენ ხარ, ამა ჭირისაგან მიშველე და შენი ჴომარდობა საქმითაცა გამოაჩინე, თუარა თქმა და არა-ქნა ბედითია. ესე მიბრძანე, კულა ოდეს მიჩუენებ შენსა სუიანსა პირსა? ჩემად ნასუად ოდეს მოსუალ, მე აწ წამსა ვიანგარიშებ და თუალნი შენსა გზასა ზედან მაქუს. ვირემდიცა მხიარულად მეორედ არ გნახავ, მუნამდის ცეცხლსა ზედა ვიწუები.

ძიძამან გრძნეულმან სიცილით ეგრე უთხრა:

— შენ ესა-დიდად-მაგალითი ხარ; ამა ეზომითა ქენებითა და ამოთა საუბრითა შენთა მტერთაცა შენკე გარდაიყენებ. ჩემი გული დაგიწულულებია ეზომითა მუდარითა; ზენაარითა ანდერძობითა შენთა ფერკთაგან ბორკილი გამოგიღია და ჩემდა შეგიგდია. აწ ნულარას შეიჭირვებ, მოვიდა ჟამი ჭირთაგან შენისა ხსნისა. შენ თუით ნახო შენი საწადელი, ვითა აღგისრულო ⁊ შენი დაღრეჯილობა სიხარულად მოგიქციო. ვისის სადავენი ვითა ჴელთა მოგცნე, რომელ, ვითარცა გწადდეს, შენსა ფარმანსა ქუეშე იყოს. შენ ყოველთა დღეთა აქა მოხვიდოდი ამა-ჟამ, აქა მამელოდდი. მე თუით გაცნობებ, რასაცაღა ვიქმოდე.

რა ორთავე პაემანი შექნეს, ერთმანერთსა შეჰფიცნეს, ჴელი გამოუღეს, აკოცეს ერთმანერთსა ⁊ გაიყარნეს.

იზ

მიმისაგან რამინის გაყრა და ვისის წინაშე მისულა

რა მიძამან ვისი ნახა, გრძნეულობითა დ͞ ორგულობითა საღორებელნი სიტყუანი შეჰკაზმნა და ბიჭობისა სიამოვნობითა შეამკუნა. რა გულ-წყლული ვისი ესრე დაღრეჯილი ნახა, რომელ ცრემლთაგან სასთაული დაესოველა, დედისა და ძმისა სიშორისათუის სამკაული კიდე შეეხსნა, ეგრე უთხრა მიძამან:

— ჰე სულთა ჩემთაგან სარჩეო, არ სნეული ხარ, ნიადაგ ქუე რასა სწევ; შენი ტანი ისრისაებრი მშვილდად შეგიქნია. რა ეგრე ხარ, ვითამცა საკანსა შიგან ზი და არა მარავს ქალაქსა. მორეისუბუქე შეწირვებისა ტუირთი. კაცსა დღეთა დაულევს დიადი შეწირვება და დაღრეჯილობა. შეწირვებისაგან უარესი ჭირი არ არის რა და დათმობისაებრი სამისოლონე არავე არის. მე თუ მომისმინო, მხიარული დასხდე; თავისა და ბედისაგან იქადოდე. კაცისათუის ღმრთისა მინდობა კარგი ზურგია და მისი მიუნდობელობა და შეწირვება მესისხლეა კაცისა.

რა ესე საუბარი მოისმინა, ვისი ცოტად დარესწყნარდა, შეწირვებისაგან თავი მუკლთაგან აიღო, პირი გამოუჩნდა ვითა ამომავალი მზე. მისთა თმათაგან ქუეყანა ასურნელდა და ჭაერი ამბრად შეიქნა; მიწა მისისა პირისაგან — სამოთხედ და დარბა-

ზი დამკენდა. პირი მისი გაზაფხულისა ღრუბელსა გუანდა, რომელ მისთავე თუალთაგან ზედა სწუიმდის; თუალთა უმილოთა და მტირალთაგან უკეკლუცე იყო ნარგისისა ნადიმიანსა. მიძასა ტირილით ესრე უთხრა:

— ესე როგორი ჟამი და დღე არის, რომე, თუ სთქუა, ცეცხლი არს დაიმობისა დამწუელი? ყოველთა დღეთა, ვითაცა ახალი დღე მოვა, ჩემთვის ეტლთაგან ახალიცა ჭირი მოვა, ბრალი ამა მარავისა, ანუ მასკულავთა, ანუ თვით უსამართლოსა მოქმედისა ეტლისა. ესე ქუეყანა არა მარავია, ტანისა გამადნობელია, ესე არა ქალაქია, მაგარი ღრმა და ბნელი ჭაა, ესე დარბაზნი მოკაზმული და მოხატული ვითა სამოთხე, ამოა, მაგრა მე ვითა ჯოჯოხეთი მებნელების და მეძნელების. დღისით ჭირი მომემატების და ღამით ფათერაკი. წამსა და წამსა უარე და უარე ვარ. საწუთრო, არა მომმულვებია რომე თავი ცოცხლად არა მჩანს და თვით იმედიცა გარდამიწყუედია სიცოცხლისაგან. მე ვითა სიზმრივ ვიროს პირი მინახავს, ესრე იყო, რომელ ცხენსა ზედა ჯდა, ნადირობით შემოსრულიყო, წელთა ჴრმალი ერტყა, ჴელთა შუბი ჰქონდა და დია ენადირა. მხიარულად ცხენითა მომიდგა, დია ქება შემასხა & ამოდ ესრე მითხრა: «ვითა ხარ, ძმისა მოყუარეო და სულო, უცხოთა ქუეყანათა შიგან? როგორად ხარ უჩემობითა მტერისა ჴელთა შიგანო?» მერმე ვნახე ვითამცა ჩემსა გუერდით მწოლად, მომესუის, მაკოცებდა პირსა და თუალთა, და გული ჩემი წყლული გამიმრთელა. მე რომელ წუხელის მეუბნებოდა, თუ სთქუა, აწცა მესმის მისი ჴმა, ჯერეთ მისი სურნელი სული მეცემის. რადგან ჩემი ეტლი ეზომსა ჭირსა მიჩუენებს, აღარცა ჩემი სულთა დგმა მინდა. მე ვირე ცოცხალ ვიყო, ესე ჭირად მეყო-

ფვა რომელ სული ჩემი მკუდარი და ულხინოა და ასონი ცოცხალნი. თუით შენ გინახავს, ძიძაო, თუ ამა მარავსა ქალაქსა სხუა ღმრთის დაბადებული გიროსებრი კეკლუცი ვით არავინაო.

ესე ჯუარსა კუბნების და თუალთა სისხლის ცრემლსა ადენდა. ძიძისა კელი მისსა თავსა ზედა დაიდვა და ძიძა ეგრე ეტყოდა:

— ჰე დედისა თუალთა სინათლეო, შენს წინათმცა მოკუდების შენი ძიძა და შენსამცა ჭირსა ღმერთი ნუ მიჩვენებს. მესმის ეგე შენი ბრძანება და ვითა რკინა და რვალი მემძიმა. ნუ შეიჭირვებ ეზომსა, ცუდად ნუ დაიმწარებ ამა ტკბილსა საწუთროსა. გული მხიარულად დაიჭირე რაზომცა შეგეძლოს, მით რომელ სიხარულისაგან დღენი მოემატებიან კაცსა.

«არაკი: საწუთრო ვითა მოგზაურთა სადგომი ფუნდუკია და ჩუენ მოქარავნენი ვართ. მოქარავნეთა ფუნდუკსა შიგან ცოტა ხანი მიუხუდების. მისი სიმძიმილი და სიხარული გარეული არის და წამსა ვერ დაზმენ ერთგან ვითა ღრუბლისა აჩრდილი.

«თუ ერთი სიხარული და ნება წავიღო საწუთრომან, ათასი უკეთესი გაგისრულა. შენ ყმა კეკლუცი და კელმწიფე ხარ და კელმწიფობითა ყოველსა ქუეყანასა ზედა ბრძანება გაგივა. ნუ გასწირავ ერთობით სიხარულსა და ნუ ჩაიგდებ ცუდსა ჭირსა შიგან გონებასა. რაცა ქუეყანასა შიგან ყმა კაცია, ყუელა თავის თავისა ნებისა და გამოსვენებისა მძებნელია: ზოგსა სხუა და ზოგსა სხუა ფერი საქმე სჭირს და ამით გაიხარებენ. ზოგსა ვისმე ლაშქარი უყუარს, ზოგსა ცოლი და სახლი, ზოგსა მონები დაკაზმულები, ზოგსა მოწიფებული ქალი. აგრევე

რანიცა ფარდაგსა შიგან მყოფნია კელმწიფეთა ცოლნი ჲ ასულნი და აგრეცა დიდებულთანი მრავალ-ფერითა საქმითა იხარებენ. რაზომცა კეკლუცი და კელმწიფე, ქრმები ჰყვის, მალვით სხუანი ეგრეცა მიჯნურობენ და შეუყუარდებიან. შენ ოდენ დღე ჲ ღამე იჭირვი და თავსა მოიკლავ ცუდად, ვიროსგან კიდე არცავინ მოგეგონების და არცა მოგინდების. იგი თუცა კელმწიფე და კელმწიფისა შვილია, ანგელოზი არაა; სამოთხესა შიგან გაზრდილი. წელან ეგრე მკითხე, თუ მარავს ქალაქსა შიგან სხუა ვიროსებრი კეკლუცი არსცა ჲ ანუ გინახავსმცაო? ღმერთმან იცის, მარავს შიგან კეკლუცი მოყმე კაცები მზისა მგზავსი დიდად მინახავს, რომელ კაცისა თუალნი მათისა ჭურეტისაგან ვერ გაძღების. ნაკუთად ყუელა საროსა ჰგავს, სახელდ უკლებნი და კეკლუცნი და გულოვნობითა ყოვლისა ქუეყნისაგან გამორჩეულნი ჲ ქებულნი. რა შემტყუე კაცი ამათ ნახავს, ვიროსაგან ყუელა უფრო მოეწონების ჲ მათ შუა, თუით რომელ, ერთი არის ლომი ჭაბუკი რომე კაცისა გონება მისსა ქებასა, ვითა მართებს, ეგრე ვერ მიაგებს. ვითამცა იგი სხუანი ვარსკულავნია, და იგი მთუარე; და იგი სხუანი ვითამცა ვენჯნია და იგი იაგუნდი. ესრე ჩანს მათ თანა გუარად ადამისითგან კელმწიფე მოაბადის საყუარელი ძმა, სვიანი და ბედნიერი. სახელად რამინ ჰქვიან, მიწასა ზედა ანგელოზი ჲ ომსა შიგან დევი. სახელ ვიროს დია გავს. ყოველი კაცი და აქაურნი დედანი მისნი მიჯნურნი არიან. ყოველი გულოვანი ჭაბუკი მას აქებს ჲ მოედანსა შიგან მას ვერავინ აჯობებს. არანსა შიგან მისებრი ცხენოსანი არ არის შუქნებითა, შუბითა თმასა გააპობს. თურქეთს და ხუარასანს მისებრი მშვილდოსანი არ არის, მისითა მზობითა მრავალი მფრინველი უსულოა, ბრძო-

ლიითა ვითა ლომი გამწყრალი და გაცემითა ვითა მაისისა წვიმა, ეზომითა კარგითა ზნითა, რომელ მას სჭირს, გულსა ზედა იგივე დაღი აზის, რომელ გულჩუილობით შენვე გგავს. ჰე სანატრელო საყუარელო ყოვლისა კაცისაო, თუ სთქუა, ერთი ვაშლი ორად გაყოფილნი ხართ. ნახე, თუ შენ ვითა ხარ, იგიცა აგრე. შეჭირვებისაგან თმასა გავს, ოქროთა შეღებულსა. მას შენი პირი უნახავს, გამიჯნურებულა შენითუის და შენისა სიყუარულისა იმედსა იგონებს. მისნი შუენიერნი ნარგისისა მგზავსნი თუალნი დღე და ღამე ღრუბლისაებრ წვიმან, პირი მისი რომელ მთუარისაებრ ელვარე არის, უგულობისა და ჭი-რისაგან ბზის ფერად შექმნია. გულსა მისსა მიჯნურობისა ჭირი დიდად უნახავს და სამსალისაებრ სიყუარულისა სასმელი დიდად უსუამს. შენ მებრალები მიჯნურობისაგან და იგი მით, რომელ კეკლუცი პირი ჭირსა შიგან ყოველსა კაცსა ეწყალვის. თქუენ ორნივე მინახავთ მიჯნურნი ნებისაგან, მოშორვებულნი, ორნივე უგულონი და ორნივე ულხინონი.

რა ვისმან მოისმინა ძიძისაგან ესე ბედითი საუბარი, დიდხან პასუხი არ გამოსცა და საშინელითა ცრემლითა სტიროდა. ძიძისა სირცხვილისაგან თავი მოიდრიკა. ბაგე პასუხისა და სირცხვილისათუის შეკრა. მერმე თავი აიღო, ეგრე არქუა:

— კაცისა უკეთესი სათავნო სირცხვილია.

«არაკი: რა კარგი არქუა ხუასრომან მოლაშქრესა: «რაღ-განად სირცხვილი არა გაქუს, რაცა გწადიან, იტყოდიო.»

«აწ თუცა შენ ცნობა და სირცხვილი შეგწევდა, არ ესრე საუბარი გმართებს. ჩემგანცა და ვიროისაგანცა დია გრცხვენოდეს, რადგან ჩუენ დაგუივიწყენ და რამინ მოგეგონა. თუცა ჩემსა ფერხილზედა თმა გამოსულიყო, ეგრეცა მასვე ვაგონებ. ამას

შენგან არ მოვლოდნივარ. თუ შენ ჩემი დედა ხარ და მე შენი ასული, შენ უხუცესი ხარ და მე უმრწემესი,[1] მე ლამაზობასა და უსირცხვილობასა ნუ მასწავლი, მით რომელ დედათა უწრივე-ლობა მოაყივნებს. ჩემი გული თვით ვით არილა მხიარული და წყნარი, რომელ შენ კულა მოსალორებელსა ყამსა ქებდე. მა-გამიგან აუგითა საუკუნოთა დავისვრები და შენდობისა და სა-მოთხისაგან კიდეგან ვიქნები. თუ რამინ სიგრძითა ნაძუსა გავს და ჭაბუკობითა როსტომს უფროა, მე არად მომინდების, რა-ზომცა გეკლუცია. ძმა ჩემი არ არის, თუცა ვირის გავსო. ვერცა იგი დრაჭკნითა მამალორებს და ვერცა შენ შენითა საუ-ბრითა. შენ თვით რად მოისმინე მისი საუბარი და თუ მო-ისმინე, მე რასთვის მკადრე. იგი რად არ ავად გაჭკადე. ვითა მართებდა მისსა ბედითსა საუბარსა, ეგრე პასუხი რად არ გაეც!

«არაკი: რა კარგი არქუა მოაბადმან ოშანგს: დედანი ნე-ბისაგან უფრო იზიდვენ ვირე სახელისაგანო; დედანი უსრულად დაბადებულნია, მით მიწყივ თავისა წადილი მორევს, საწუთრო და საუკუნოსა გასწირვენ ერთისა წადილისა გასრულებისათვის და ამას აღარ გაიგონებენ, თუ ბოლოსა ყამსა მოვყივნდე-ბითო.

«მე ათასისა ზნისა და უხსნობისა მცოდნელმან რად მი-ვსცე გული? მამაცისა ნადირი მიწყით დიაცია. ერთსახე ადრე შეიპყრობს და ადვილად ათასითა ქენებითა დ სიტყვითა მოალორვებს, შეჭფიცავს დიაცსა და რა გულისა ნებასა აისრუ-

---

[1] ვარიანტი ყველა ხელნაწერებში: «მე უმრწემესი თუ შენ ესე მითხარო, მე ლამაზობასა და».

ღების მისგან, მოირჩმის, აღარად გაიკჳირვებს, სხუა მოუნდე-
ბის. რაცა წინას ქჱნას, უკანის ნებიერობს და კმა მაღალ იქმნე-
ბის. შეუპოვრობისაგან დიაცი გლახ უკანის გაუბედურდების
და მამაცი მისგან კრთობ აბეზარ იქმნების. გლახ მაშინ დიაცი
ბედისა დაბმული იქმნების, აიღებს ნებასა, გასცემს პატიოსნე-
ბასა, არცაღა მერმე პატივსცემს მამაცი და არცა მისგან შე-
რცხუენდების. აღარ ემოყურების, ეკიცხეუს,[1] არა აქებს და აუგსა
მოუთუალავს. დიაცი გლახ იმედის მოლოდნითა დნების ვით-
თოვლი მზისაგან, სიყუარულსა შიგან ვითა ნადირი დაკლული
იქნების: არცა დადგების და არცა გაქცევა შეუძლია. ზოგჯერ
სასმელთაგან შეშინდების, ზოგჯერ ქმრისაგან, ზოგჯერ დნე-
ბის მათისა შიშისა და სირცხუილისაგან. ამა საწუთროს
შიში და მოყივნება და საუკუნოსა რისხუა ღმრთისა!... და
სადაცამე ოდეს ვიქმ მე ეგეთსა საქმესა, რომელ კაცთაგან ვი-
რცხოდი და ღმრთისაგან ვიშიშოდი? თუ ქმმან წადილითა აქა
მოვსცდე, საუკუნესა ღმერთი დამწუავს და თუ ჩემი ხუაშიადი
კაცთა ცნან, ყოველსა კაცსა წინა გავბედითდე. მერმე ზოგნი
ჩემსა მებნასა ეცდებიან, მათისა წადილის გასრულებისათჳს
თავსა გასწირვენ, ზოგნი ჩემისა მოყივნებისათჳს იჭირვიან
და ავისა ზრახვისაგან კიდე არას მიდგებიან და რა ყოველსა
კაცსა ნება ჩემგან აუსრულდეს, მე ჯოჯოხეთისაგან კიდე აღარა
რომელი ადგილი მემართების. ჩემიმცა მიწყით ღმერთი არის,
რომელ მან მართალსა გზასა ზედა დამიფაროს, ჩემიმცა იმედი
მიწყით ღმრთისაგან აღსრულდების, მით რომელ მისგან კიდე
არავისგან კამს წყალობისა მოლოდნა.»

[1] ვარიანტი: «ჰკიცხავს».

რა ესე სიტყუა ესმა ძიძასა ვისისაგან, რამინისა იმედისა კელი მოკლე ნახა მისგან; სხუისა კარისა პასუხი გამოსცა, ეგრე უთხრა:

— ყოველი კაცი ეტლისაგან იქნების ბედნიერი და უბედური, ღმრთისა განგებისაგან მოვა კაცისა თავსა ზედა, რაცა მოვა; მით რომელ კაცთა სახელად მონა ჰქვიან.

«შეგონება: შენ ეგრე გგონია, თუ ძალითა, თუ ჭაბუკობით ლომსა ლომისა ბუნებასა დააგდებინებს ვინმეო, ანუ დიდებითა და კელმწიფებითა კაკაბსა ქორისა ბუნება მიეცემისო. ღმრთისაგან ყუელა ჩუენსა თავსა ზედა განგებაა დაწერილი და სიცოცხლესა შიგან ვერ ავკდებით ღმრთისა განგებასა და ჩვენგან არ იქცევის წერილი, თუ ვტიროთ და თუ ვიცინით. აწ შენცა იგი წაგეკიდების, რაცა ღმერთსა გაუგია, არ მოგემატების და არცა დაგაკლდების.»

ეგრე უთხრა ვისმან:

— ყოველი საქმე ბედისაგან მოვა კაცსა ზედა, მაგრა ვინცა ავი ქნა, ავი წაეკიდა! მრავალი არის რომე ერთსა ავსა იქმს და ასსა უარესსა ნახავს. პირველ ავი საქმე შაჰრომან ქნა, რომელ მოაბადის ცოლი გიროს მისცა. ავი მან ქნა, ჩუენ არა გუიქნია და ნახე თუ რაზომი ჭირი ჩუენცა გუინახავს: მეცა მოყივნებული ვარ და ქმარიცა ჩემი, მეცა უიმედო ვარ და მოყუარეცა ჩემი. თუით მე რასათუის ვიქ ავსა და მერმე ბედსა ვაბრალობ? მე უბედურისა ბედისაგან განაღა ბედითი ვიყო, რა ავისა საქმისა მიმდგომი ვიყო.

კუალა ძიძამან ეგრე არქუა:

— ჰე ნათელო ჩემო, არ ჩემი შვილია უსწორო რამინ რომე მე ჩემისა შვილობისათუის უშველდე და ჭირისაგან ვი-

ხსნა. თუ ღმერთი და ბედი მას უშველის, ქტლთა და საწუ-
თროსაგან ავი აღარა წაეკიდების.

«შეგონება: განაღა გასმია მეცნიერთა სიტყუათაგან თუ,
ღმრთისაგან წადილი მისი ყოველივე შესაძლებელ არს, სოფე-
ლი და საწუთრო მბობით დაუბადებია და ყოველი მაშიგან
მოძრავი და მათი საკმარი კამსისაებრ გაუგია: ველნი და მოე-
დანნი ვენაკად და ნაშენებად შეიქნებიან და დია დარბაზოანნი
გაველდების, მრავალი დიდი დამცირდების და ცოტა გადიდდე-
ბის. თუ მიჯნურობისაგან ჭირი და სიმწარე გაქუს, შენ ჩაუ-
ქობითა შენითა ვერ დაეხსნები. თუ ღმრთისა განგებაა, გაგი-
მარჯუებს, იცოდი ვერ აჰკდები მისსა საქმესა. არცა კუშტობა
გერგების, არცა სიდიდე, არცა მკლავი, არცა საჭურჭლე, არცა
გონებიანობა, არცა კელმწიფება, არცა კრძალვა და პატიოსნე-
ბა. რა სიყუარულისა საქმენი მოვლენ, უნებლივ ემორჩილებიან
კაცნი ავთა და კარგთა. მაშინ საყუედურისა მოსმენისაგან კიდე
ღონე აღარაა. აწ გამოჩნდეს ჩემი სიტყუა დია ადრე. რომე ამა
ცეცხლისაგან კუამლი ამოვიდეს, რა უჩნს? თუ რაზომცა ვინ
შეგიყუარდეს, ჩემსა სიტყუასა მაშინღა აქებ. ცხადად შენცა
ნახავ და მეცა, თუ შენი მოყუარე ვარ ანუ მტერიო.»

იტ

ძიძისაგან მეორედ რამინისთან მისულა

შეორესა დილასა სადა პაემანი დაედვა, მივიდა. დასხდეს იგი და რამინ. ნახა რომე ძიძა მხიარულობდა და ნიშტიანად იყო, ეგრე უთხრა რამინ:

— ჰე გასადიდებელო ძიძაო, გუშინდიდგან ვითა მზობა? შენ მართლად მხიარული ხარ, რომელ ვისის პირი გინახავს და მისგან ამო სიტყუა გასმია.

ჰკითხა რამინკე ვით არის იგი მზე, რომე რამინის დღენი მას წინათმცა დაილევიანო:

— განაღა მოახსენე მას ჩემი მოციქულობა-შეთულილობა, და საბრალოობა და გააგონე მიჯნურობისაგან ჩემი უბედურობა?

ძიძამან საქმიანმან ეგრე უთხრა რამინს:

— მივედ მას მშუენვარესა და მოვახსენე შენი შეთულილობა; მე ავად გამკადა, მაგინა და პასუხი ესე შემოუთვალავს, ამას მოგახსენებს: რამინ, მართალსა მრუდი ნუ გირჩევია, რომე არ გამრუდდეს შენი საქმე. შენ რასათვის ეძებნები, ჰმშვიდობით ქუე დაჯედ. მეტის მოურაობა არავისთვის არის სუიანი; ნუოდეს მოელი ჩემგან შეყრასა, ნურცარას ამისით იმედითა იჭირვი. წადი შენი საქმე იურვე. თუ მიჯნურობა გწადიან, ქუეყანასა ზედა დია დიაცსა ჰპოებ; ვითამცა თუით ჩემი სახელიცა[1] არ გასმია, ნუ ხარ ეშმასა მიმდგომი და ნუ შესცოდებ

[1] ვარიანტი: «ჩემი სიხარულიცა არ გასმია».

პირველ ღმერთსა და მერმე ძმასა შენსა. შენ თუ ერთხელ ჩემგან შენი ნება ჰპოო, ვიცი რომე ესრე მოგძულდები, რომელ ჩემისა სახელისა მოსმენაცა გაუგებოდეს. დამეხსენო, მე თუით ესრე მიბრძანა. ზე ადეგ, ძიძაო, შენთამცა დღეთა შიგან ნუ გიკადრებია მაგისი შეწამება; და თუ კულა შენგან მესმისლა ეგეთი სიტყუა, ვირე ცოცხალიყო ჩემსა პირსა ვერა ნახავო. მე რა მისგან ესე მესმა, მე აღარა შემიწამებია, ვეღარცარას ვკადრებ; ამისთუის შეგშინდი, ნუთუ ჩემგან აბეზარ იქნას და მე ველევიო.

რა ძიძისაგან რამინ ესე მოისმინა, მიჯნურობისაგან ესრე ათრთოლდა, ვითა ტირიფი ქარისაგან. გული აუძგერდა და მეტისა სიმძიმილისაგან დაყოვნითრე უთხრა პასუხი; ეგრე არქუა ძიძასა:

— შემიწყალე კულადაც და მეორედცა მოახსენე ჩემმაგიერ ვითა, ჰე ელვარეო მთუარეო და მზისაებრ ნათელო! მამაცი უუალა არა სწორია. ნუ ხარ ჩემთუის უწყალო. ზენაარ თუ მიბრძანო, მე ათასითა პაემნითა შემოგფიცო, რომელ, ვირე ვცოცხალვიყო, შენი მიწა ვიყო, შენი მიწისაგანცა უფრო.[1] შენი სიყუარული არასოდეს დავივიწყო, სულთაგან უფრო მიყუარდე და ჩემისა ტანისაგან შენი სიყუარული და ჩემი სულნი სწორად გამოვიდენ. არასოდეს მივიცვალო მონობა შენი, არა ლხინსა და არა ჭირსა შიგანო.

ესე თქუა და სისხლისა ცრემლნი ღუარულად ადინნა. თუალნი მისნი მაისისა ღრუბელსა გუანდეს წვიმისა დაულევნელობითა.

---

[1] ვარიანტი: «მიწისაგანცა უმდაბლესი».

შებრალა ძიძასა უგულო რამინ, მით რომელ დაღონებუ-ლობისაგან დია საბრალოდ იყო. ეგრე არქუა რამინს:

— ჰე ჩემთა თუალთა სინათლეო, მიჯნურობასა შიგან თმობისა იალმაგი ჩაიცვი ტანსა. მიჯნურსა ტირილი გამოაცხადებს და ავად მოუკდების: ცხადსა მიჯნურსა დია ფათერაკი სდევს. ვისის ნაცულად, თუ გწადდეს, ჩემი სული გიძღუნა. წავიდე მოვავლინო და ვისსა გულსაცა შევება; ტანსა უსირცხუილობისა ჯაჭუი ჩავიცო. მე ვირე სულნი მიდგან, შენ ვერ გაგწირავ. ჩემი სული და სიცოცხლე შენდა შემომიწირავს. ამისგან უფრო გული მართალი არ ვიცი, რომელ ჩუენია. ნება ასრულდების, რა გული მართალი უძს კაცსაო.

მივიდა ძიძა ვისსა წინაშე, ათას ფერი სიტყუა ზეპირ დაესწავლა. ნახა რომელ თავ ჩამოგდებულივე ჯდა. შეჭირვებისაგან გული მწუადსა უგუანდა, თორნესა შიგან შემწუარსა; თუალთაგან დაუწყუედელად ცრემლისა დენა ნოეს რღნობისა ღრუბელსა უგუანდის; დღე და ღამე მოუსვენებელსა ჭირსა შიგან იყო. ძიძა ერთობ ენად მარჯუე იყო და გულსაცა დაუწყო საუბარი; ეგრე არქუა:

— ღმრთისაგანმცა მიწყით დაღრეჯით იგი ზის, ვინცა შენ აგრე დაგღრიჯა! ღმერთმან მისი ჭირი და ბოროტი ქნას, ვისგანცა შენ აგრე შეჭირვებული და დამძიმებული ხარ! თავისა სახლისა ნატამალთაგან მოგიშორა და კიდეგნად ტყუეურად დაგაბა; შუენიერთა დედისა და ძმისაგან მოგაშორა, რომელ ერთი სულსა გიგუანდა და ერთი გულსა. მაგრა აწ ამა უცხოთა შიგან შენცა მიწყით შმაგსა რასა ბაძავ; რასაღა გერგების ეგ ცნობა, რომელ ღმერთისა მოუცემია? რადგან შენითა ცნობითა თავსა ვერას ირგებ, მე შენითა ჭურეტითა ვიწუი და

დაღრეჯილი ვარ შენისა დაღრეჯილობისაგან. ბუნებიანი კაცის ცნობილობითა ქმებს თავისა წამალსა და ამით გააქარვებს შეჭირვებასა.

«არაკი: შენ ღმერთმან გონება და ცნობა მოგცა, მაგრა ცნობისა დ გონებისაგან სიხარული არა გინაწილა. ვირსა ჰგავ, რომელ ზურგსა კრმალი ჰკიდოს და რა ლომი ემთხუიოს, ვერად მოიგმაროს.

«აწ ეზომსა ვირემდინ შეიჭირვებ და ასრე ბეჭედსა[1] ოქროსა ზედა ჩამოჯყრი?

«შეგონება: **ნუ** იქმ, შეიბრალე სიყმე შენი. **ჭირსა** ჭირსა ზედა ნუ მოიმატებ. **უცხოთა** შიგან ნიადაგ ნუ იზახი, ბედსა და დიდებასა ნუ სწყევ; მოისმინე, ანგელოზი შენი მიწყით გასხლავს დღე და ღამე და ესმის შენგან ღმრთისა უარის-ქნა და წყევა დღისა დაბადებისა შენისა. **შენ** ერაყისა და **ხუარა**სნისა დედოფალი ხარ ყოველთა კეკლუცთა მზე და უხუცესი. **სიყმესა** ზღუასა შიგან ნუ ჩააგდებ და მაგა ტანსა ჭირსა შიგან ნუ დაადნობ. იცი, რომელ დღენი ჩუენნი ნათხოვნია და გარდასრულნი გარე აღარა შემოიქცევის. **სული** დია საყუარელი და აზიზია, შენსა წინა რად ეზომ უპატიო და საძულველია? **სიყუარულსა** შენებრ არავინ დააბამს ჭირსა შინა და მიწყით არავინ დაღრეჯს-დააწყლულებს. **შენ** თუ მიწყით ესე ზნედ გჭირს, რომელ საყუარელთა ამძიმებ, შენსა სულსა შენ დიაუყუარ. **შენ** იგი რასთუის გძულს? **რამინ** შენსა სულსა გავს; მას შენ უყუარ დ იგი შენ გძულს. **ნუ** იქმ, მოყუარეთა თანა უამე იყავ; ვენაკისაებრ ნაყოფიერი ხე იყავ. შეიბრალე იგი გლახ-

[1] ვარიანტი: «მარგალიტსა».

ყმა-კაცი, ნუცა მას დაადნობ და ნუცა შენსა ტანსა უზამ მიწყით გაუხარებლობასა. ნუ უწყალო ექმნები ამას უსწოროსა ჭაბუკსა. გაზარდე მისი სიყუარული, ვინცა შენსა სიყუარულსა ზრდის. თუ შენგან არავინ გაიხარებს, შენი პირი კუპრისა სწორია.

რა ესე სიტყუა ესმა გისსა, აშფოთდა, აგინა, კუშტად ავი სიტყუა მიუგო ძიძასა და ეგრე არქუა:

— ჰე საძაგელო და ღმრთისაგან დაწყეულო! ნუმცა შენ, ნუ გისი და ნუ რამინ. ამცაოკრდების ხუზისტანი, სადაურც ხარ; ნუმცა შენი არჯალი პირი და უბედური; შენისა ქუეყანისაგან მაჭკალის მეტი არა გამოვა და შენისა გუარისაგან გრძნეულისაგან კიდე არა იშობების. თუ შენისა გუარისაგან ათასი შვილი გამოვა, ყუალა ბოზი გრძნეული ჲ მატყუებლობასა უკანა-მდგომი იქნების. ნურავის არწმუნოს ღმერთმან, რომელ თავისი ასული საზრდელად მისცეს ძიძასა, რომელ ავითა და არა წმიდითა ძუძუთა გაზარდოს; მით რომელ მას წმიდასა გუარსა ჲ პატიოსანსა შვილსა აუგითა დასრვის, ვითა თავისა შვილსა გარყუნის. თუ შენი ძუძუ მზისაცა შვილმან წოოს, მისისა სინათლისა მოლოდნა ბრალი არის. ღმერთმან ჩემს დედასა გარდააკდევინოს, რომელ ჩემი წმიდა გუარი დასვარა შენითა ძიძობითა და შენებრივსა გრძნეულისა და უსირცხუილოსა კელსა მიმცა, რომელ არცა ცნობა გაქუს და არცა სირცხუილი! შენ მტერი ხარ ჩემი, — არ ძიძა. აწ უღონიოდ წავიდია და წაცაიღებ ჩემსა პირის წყალსა. მე ღმერთმან მისი სათვარველი დამდვას და შენებრივისა უწრფელობისაგან მიკსნას. შენ არა იგი ხარ, რომელ თავისა თავი გეფრთხილების მიწყით და პატიოსნობასა აქებ. აწ ამას შმაგურითა საუბრითა ჲ უსირცხუი-

ღობითა შენითა ყუელა შენი სახელი გააქარვე და შენისა სა-ყუარულისა ჭირი ჩემისა გულისაგან ამოგიგდია. შენ აქათგან აღარავინა გდებს პატივსა, მისგანვე კიდე, რომელ შენებრ ბო-ზი და გრძნეული იყოს. შენი საუბარი და სიკუდილი სწორად მიჩანს.

«არაკი: ვითა შემოდგომათა ხისა ფურცელი ჩავიჭრები და ეგრე მასწავლი, მოკლეთა დღეთა რად არ გაისარებ სიმვი-თაო? ნეტარ თუ სიცოცხლესა ჩემსა ყუელა მადლი ვქნა, უარესა სიმვასა. სამოთხე და ღმრთისა ნასყუა მაგა აგრე ქცევითა არ მიხუდების კაცსა. საწუთრო და ლაღობა მეცნიერთა სწორად უჩნს; ლაღობა არსად გრძლად არ იხარებს.

«შენ ძიძაო, სულითა შენითა ნუ იბრძვი მით, რომელ მე შენსა საუბარსა არ მოვისმენ და არცა ოდეს შენსა ბედსა დავებმი![1] არ ცოტა ყმა ვარ, რომელ ჭრელითა რათმე მოვღორდე, ანუ მფრინველი რომე ქუითა დავგორდე. რეგვენისა რამინის რომე შეთვლილობა[2] მოგიღია, ჩემსა ყურსა, ზღაპარია ცუდი. თუ კულა ოდესცა შეიწამო ჩემთანა, ანუ ოდესცა ქმმაკთა წადილი-საკე მიმზიდო, არ თურე ჩემის გუარისა ვარ და შენგან ეგე საუბარი მიამების. მე ამა საწუთროსაგან აბეზარ ქნილვარ და ჩემსა სულსა ზედა მცუელად გონება დამიყენებია. ესე კაცმან ყუელა-მან იცის, რომე ღმერთი და რჯული სჯობს ხუზისტანელსა ქმმასა და რამინსაო.»

რა ძიძამან წყრომა ნახა ვისისი და საუბარი ღმრთისა და სჯულისაგან მოისმინა, გულსა შიგან იგონებდა, თუ აწ რა

[1] ვარიანტი: «შენსა ბადესა დავებმი».
[2] ვარიანტი: «შეთუალულობა».

ტკბილად დაუწყო ლაპარაკი და საუბარიო. ეგრე თქუა: მე ამა ქალსა ვერათ მოვალორებ და ვერცა მოვერევი მისსა გულმაგრობასაო. აწე ჩემი ღონე გრძნეულობა არის, რომე შელოცვითა ნუთუ რამე ვქნაო. დაუწყო კულაცა საუბარი ძიძამან, მოიკმარა თავისა მაგალითობა ენითა და ეგრე მოასხენა:

— ჵე ჩემთა სულთაგან ჴუვრო საყუარელო და ყოველთა შვენიერთაგან უშვენიერესო! მიწყითმცა სამართლისა მთქმელი და სამართლისა მოქმედი ხარ და მიწყითმცა მოკრძალი და პატიოსანი. მე რა დამეჭირების ეგეთი, რომელ შენებრსა გუარიანსა და წმიდასა მოვაცთუნვებდე? რასთუის გეუბნები ილათითა სხუათათუის, არ უღონო ვინმე დაჭირვებულვარ. რამინ არცა ჩემი შვილია, არცა ნატამალი, არცა მზახალი და არცა პატრონი. ამას არ მიბძანებ, თუ მან კარგი რა მიყო, რომელ მისად მოყურად შემქენ და შენად მტერად? მე საწუთროსა შიგან შენი წადილი მომინდების და რაცა შენ გიამების, მე იგი მიამების. აწ ხუაშიადსა ბუკითა შენთანა გამოვაცხადებ, რადგან ღონე არა მათქმევს. რაზომცა სიმდიდრესა გემოობდე, ეგრეცა ადამის შვილი ხარ, არცა ანგელოზი, არცა ქაჯი და არცა დევი. ასეთსა ქმარსა მოსწყდი, ვითა ვირო არის მაგალითობითა. ესეთი ჴელმწიფე შეგირთავს, ვითა მოაბად არის. შენგან აქამდის არვის გახარებია ამით, რომელ საგებელთა შიგან არავისდა შეურილხარ, არცა ვისგან გაგიხარებია და არცა ნივთი იცი.

«არაკი: ორი ქმარი შეგირთავს და ორთაგანვე მოწყუედილხარ. შენ და დიდსა[1] წყალსა ზედა კიდი სწორნი ხართ.

---

[1] ვარიანტი: «და ორ წყალთა ზედა».

თუ ყოლა გაგიგია-ლა კაცთა გუერდის წოლა, ამა საწუთროსა შიგან რამინისებრსა ვერა ჰპოებ. რა სარგებელია, თუ შენ მზისაებრ კეკლუცი იყო და შენგან ნაყოფი არ გამოიჭმოს? შენ ესე არ იცი, რომელ მიჯნურისა უმოყუროდ საწუთრო არ ამოა. ღმრთისა მფრინველიცა დედალი მამლისათვის დაუბადებია. არ შენ დედალი მამალსა შუენი? მამაკაცი ცოლსა მით შეირთავს, რომე ერთმანერთისაგან გაიხარნენ. თუ ერთმანერთისაგან არ გაისარებენ, საწუთროსა ნივთთა უკანა რას უდგებიან? აწ თუ ესე იცი, რომელ მე მართალი მითქუამს, მაშ შენგან ჩემი წყევა და გინება არა პირიანია. მე ესე მითქუამს ამით, რომელ მიყუარ. შენი დედა და ძიძა ვარ. რამინ შენი შესაფერია და შენ მისი; მას შენ უყუარ და იგი შენ გიყუარდეს; შენ მზე ხარ და იგი უსწორო მოყმე. სიყუარულსა შიგან ერთმანერთსა ნუ გასწირავთ. რა მე ორთავე ესრე ერთად გნახავ, ქუეყანასა შიგან ჩემი შესაჭირვებელი არარა არისო.

რა ძიძამან ესე ყუელა მოიუბნა და მოასხენა, ვისის მოსაცთუნებელად ეშმაცა ეშველა, მისითა ლაშქრითა ათასი ბადე დაუგო, ძიძამან ვისსა ათასი ჭა უთხარა გზასა ზედა. მერე უთხრა:

— ესე ხელმწიფეთა და დიდებულთა ცოლები ნახე, ყუელა მხიარულობს, ყუელასა მალვითა მოყუარე უვის, ყუელა ცხადად და მალვით გაიხარებს, და შენ მიწყით სტირ და ბედსა უჩივი. ანასდეულად სიბერე მოგესწრების და სიყმისა სიხარულისაგან უწილო დარჩები. არცა ქუა ხარ და არცა რკინა, ეგზომსა ჭირსა ვითა გაძლებ?

რა ესე საუბარი ესმა ვისის ძიძისაგან, მეტის ძიძის საქმობისაგან აუდუღდა სიყუარული, მოილბა გულქუობა მისი,

დაება მახესა ყოველი ასო მისი ენისაგან კიდე და ენა შეუნახვიდა ხუაშიადსა. მერმე ამოთა სიტყუითა ეგრე უთხრა მიმასა:

— აჰა, მართალხარ რომელ დიაცი მამაცისათუის დაბადებულია. რაცა გითქუამს, უყალა მართალი გითქუამს და არა გისლათავს სიჭრელითა. დედანი რაზომცა უსუსურნი და ჯაბანნი არიან, მაგრა ლომთა ჭაბუკთა გულისა და ძალისა წამღებნია. ათასი ავი ზნე სჭირს დედათა სიყუარულითა, ესე სჯობს თუით არავინ დაებას მათსა სიყუარულსა. მე ესეცა რაცა ვთქუი ამად, რომელ დედათა ადრე გაწყრომა ზნედ სდევს. ესე შენი სიტყუანი ძალიან ვითა მოწამლული ისრის პირი მეცა გულსა, ამით გავკუმტდი, რომელ დასამძიმებელი სიტყუა შესმა, ენა გამრუუნია ავის თქმითა და ამით დია მიხსნია. არა მემდა შენი ავად გაკდა; თუმცა დამეთმო, ჩემთუის უფრო სახელი იყო. თუ მე სიტყუასა არავისსა მოვისმენდე დ პასუხსა არ გავსცემდე, მას ჭირად ეყოვის. აწ მე ქენებით ღმრთისაგან მშუიდობით დაცვასა ჩემსა ვითხოვ და ავისა თქმისაგან ენისა ჩემისა შენახვასა, ვირე ვცოცხალვიყო ჩემსა სიწმიდით დაცვასა ვითა მოყუარეთა გაუხარდებოდეს და მტერთა დაუმძიმდებოდეს; და შაჭროს ღმერთმან შენებრი ავის შემნდობელი დ ეზომ უბედურისა საქმისა მაწვეელიო.

ით

ძიძისაგან ვისის გაყრა და მესამედ რამინის ნახვა

მა მეორესა დღესა დილისა ჟამსა მზე ამოვიდა, მივიდა მუნვე ძიძა, სადა ვისის პასუხსა მოელოდა რამინ. ძიძა დია დაღრეჯით იყო და ეგრე უთხრა:

— რა ცუდად იჭირვი? ცეცხლსა შიგან წყალსა ვირემდინ ეძებ? არ ეგების ქარისა შეპყრობა, არცა ზღუისა ერთითა კელითა ამოშრობა, არცა ვისის ქუიანისა გულისა მოლბობა, ვითა მას გვერდით საგებელსა შიგან წოლა. ტინისა კლდისაგან სიყუარულისა წყალი გამოედინების და მისგან არა. სიყუარულსა შიგან მთაცა აჯობებს. თუ კლდესა შეჭყივლოს, იგი პასუხსა გამოსცემს კაცსა და ესე ავცნობობითა პასუხსა არ გამოსცემს და არ იტყუის, ღრიანკალსა გავს. შენი მოციქულობა მოვასხსენე, შენთუის პასუხი არა მასმია. მაგრა მე დია მაგინა. და ესე უფრო მიკვირს მისგან, რომელ არცა გრძნეულობითა, არცა შელოცვითა, არცარათ კელოვნებითა[1] რათი იქნების. მისთანა ჩემი მაღორებლობა ასრე გავა მას გვერდით, ვითა მთურალსა თანა აქიმობა. ვითა წყალი ქუითა არ დაიკოდების, აგრე ჩემი ხუაიშანი და შელოცვა მას არა დაეკარების.

---

[1] ვარიანტი: «კელმწიფობითა».

რა ესე სიტყუა ესმა უბუდოსა რამინს, ვითა შავარდნისა ჭანგთა შიგან მყოფი დაკოდილი კაკაბი, თავისა უწევარ იქმნა, საწუთრო დაუბნელდა და იმედი გარდაუწყდა; სიკუდილი მიახლდა და ფათერაკისა ღრუბელსა დაემსგავსა, თუალთა ნამი ჰქონდა და გულსა ელვა; უიმედობისაგან გული უმცირდებოდა, ათასი ისრის პირი გულსა უმსჭუალვიდა, ჴმა მაღლად იძახდა და ყიოდა:

— ჰე ძმაო! ზენაარ, ზენაარ! ერთხელ კულა მეწიე. ქუეყანასა ზედა შენს მეტი არავინ მივის. შენსა კალთასა და კისერსა მოკიდებულვართ; მე და ჩემი სიხარული შენი ზენაარი ვართ. თუ შენგან უიმედო ვიქნები, აწვე სიცოცხლე დამელევის. ვეღარა ვსთმობ, სრულად გავხელდები, გულისა ჩემისა ხუაშიადსა გამოვაცხადებ; სასაკო და მოყივნებული დავრჩები ქუეყანასა შიგან. თუ ერთხელ კულავ მოიჭირვო, შემიწყალო და ჩემი უბედურობა მას მზესა გააგონო, ვირე ცოცხალვიყო, სულნი შენად მონაცემად მქონდეს. აროდეს დავივიწყო შენი მონობა: რა უჩნს,—ნუთუ მოლბეს მაგარი გული მისი ჩემზედა და მოიღოს მოწყალება და აანთოს სიყუარულისა სანთელი. ნუთუ ინანდეს ავცნობობასა, მაშინდელსა შენთუის გაწყრომასა, არა დაღუაროს მისთუის შეუცოდებელი სისხლი და არა წამიღოს მისთა დედათათუის ჩემგან უშურველად შესამატებელი სული. ჩემაგიერ დია თაყუანისცემა ჰკადრე და ეგრე მოახსენე: «ჰე იმედო ბერთა და ყმათაო! გული ჩემი, ვითა ცუილი, საზელად, გაქუს და შენვე გმართებს მისი ქონება, მით რომელ გულისა შენახუა იცი. ჩემსა თავსა და ტანსა ზედა ჴელმწიფე ხარ და ესეთი ჴელმწიფობა შენვე გშვენის და გფერობს. და თუ მე ერთხელ გულსა მიჩუენებ, დღეთა ჩემთა შენსა სამსა-

ხურსა შიგან დავლევ. შენცა იცი განაღა, რომელ მონობასა მივაგებ თუ მაღირსებ და მონად შეიწირავ თავსა ჩემსა. ერთხელ შემიყუარო სიყუარულითა, მაშინ შეიგებ, თუ სიყუარულივით ამოა. თუ ასი ათასი მოყუარე გესუას, ერთი ჩემებრ შენთუის სულგაწირული ვერ ჰპოვო მათთანა. შენ მზე ხარ და თუ ჩემზედა ნათობ, სიყუარულსა[1] იაგუნდად შემიქმ. ნუ გინდა ჩემი შენთუის არ-მონობა, ნუ გიჩნს აუგად ჩემი მოყურობა, დამხსენ ნიადაგის ჭირისა და უბედურობისაგან; მაცოცხლე, რომელ დღენი ჩემნი შენსა სამსახურსა და ნების მყოფლობასა შიგან დავლიენ. თუ ჩემი სულთა ამოხმა გწადიან, მაშინ ასრე ადვილად ქვების ვითა? და თუ უწყალობასა მოიღებ ჩემზედა, მე აწვე უღონო ქნილვარ. ვერ გავსძლებ შენისა ჯავრისაგან: ანუ დიდსა კლდესა, ანუ დიდსა წყალსა თავსა ჩავიგდებ, რომელ დავეხსნა ჩემსა ყოფასა. მას საუკუნოსა ჩემთა ბრალთა შენა გთხოვ და იგი შენ გკითხავს, რომელ მე მას ღმერთსა, ყოველთა დამბადებელსა და მოსამართლესა წინაშე მითქუამს და მოწმად იგი დამიყენებია.»

ამა საუბარსა ზედა მეტის ტირილისაგან ცნობასა მიეკადა, ძიძასა ექნებოდა და ძიძასა გულაცა შეებრალა. მივიდა ვისისა წინაშე რომელ რამინისგან გული კულა მას უფრო სტკიოდა. მივიდა დაჯდა გულითა მდუღარითა სულ დალებით და გულსა შიგან შეჰკაზმა სიტყუა რამინის საქმისათუის; ვერე მოახსენა:

— ჰე ჴმჴლუცთა ყოველთა ჴელმწიფეო! შენთუის კუდებიან, ვინ გასულენ და ვინ გამორჩენ ეგინიცა. მე ერთი ხუა-

---

[1] ვარიანტი: «ნათობ, გაზათვრანებულსა იაგუნდად».

შიადი მიძს შენს წინაშე ჲ შენისა სირცხუილისაგან დაბმულია ჩემი ენა. მეშინიაცა შაჭი მოაბადისაგან, ამით რომელ ავთაგან ყუელასა ქმნიან. ყუედრებისა და აუგისაგან ვიკრძალვი, ამით რომე ნუთურა ავი წამეკიდოს. ჯოჯოხეთისაგანცა მაქუს შიში, რომელ შეცოდებული ვიწვებოდე მას შინა, მაგრა რა ვქნა? რა რამინის საქმესა მოვიგონებ და მისსა პირსა ზოგჯერ გაყუი-თლებულსა ჲ ზოგჯერ გაწითლებულსა, ნიადაგ ცრემლითა ბა-ნილსა, მისთუის ნიადაგ ცნობისა ჩემისა თუალი შეიპყრის და გული ჩემი აენთების. ეზომისა ზესაარისა თხოვნა ჩემთუის შიშსა მიმაცილვებს და საწუთრო მომძულვების მისისა ბრალი-საგან. მე იგი ასრე მებრალების, რომე არცა სული მშურან მისად სარგებლად. დია მინახავს საწყალი მიჯნური გულ ცე-ცხლიანი და თუალთაგან სისხლ-ცრემლიანი, მაგრა ამისად არა-გად საბრალო მიჯნური არვის მინახავს. ათასსა მიჯნურსა მისი ოდენ სულთქმა დასწუავს. სიტყუა მისი მკუეთია და თუალნი მიწყით ცრემლიანი. ჩემი თმობა მისისა ჴრმლისაგან მოკუეთილია და მისთა ცრემლთა ღუარისაგან სახლი ჩემი დაქცეულა. თუით დია მეშინიან, ნუთუ ანაზდა მოკუდეს და ღმერთმან მე მკითხნეს მისნი ბრალნი. არა სარგებელია მის-თუის უწყალოობა შენი. ნუ იქ, ნათელო ჩემო, შეიბრალე მი-სი ულონო ქნილობა; შენსა კალთასა ნუ დაისვრი მისითა სისხლითა. რა დაგაკლდების თუ იმა ჭირითა არ დაელევნენ დღენი? და რა გვავა[1] თუ მისგან არ გაიქცე, რადგან საშინოა: ღმერთი სხუასა მისებრსა არ დაბადებს და არცა დაუბადებია. ესე ყოვლითურთ უკლები კეკლუცი მისთუის დაჰბადა, რომელ

---

[1] ვარიანტი: «და რა გაგუა თუ».

იგი შენი შესაფერი და უებროა. ღმერთმან მით მისსა საფარკელსა ქუეშე დაგიცვა ქალწულად, რომელ შენი თავი რამინს მისცეს; იგი და შენ ჩუენი კელმწიფენი იყუნეთ და მან აიღოს შენი ბეჭედი. ამისგან კიდე არა იქმნების, რომელ შენი უხუცესი იგი იყოს, სიყუარული ცოლობისა მისთუის გამოსცადო და ქრიამანერიისაგან ისარებდეთო.

ამას ვითა ძიძა უბნობდა და ფიცვიდა, ვისი გულსა შიგან იდასტურებდა და შეუყუარდა გულსა შიგან რამინ, დაუწყო წყალობა და დაუგდო მტერობა. სიყუარული გამოჩნდა და მოიმატა მისისა ცეცხლისა კუამლიცა. მოვიდა ჟამი რამინის სიხარულისა და დაუბლაგუდა მახვილი ენა საპასუხოთ. სულისა დადება ნიშანი იყო ძიძისა სიტყუისა დაჯერებისა და მიზეზსა ეძებდა დაუჩნეველობისასა. მიდამოიხედვიდა სირცხვილისაგან, პირისა ჭაერი მრავალ-ფერად ექცეოდა, ზოგჯერ გაყუითლდის და ზოგჯერ გაწითლდის; ვითა წყაროსა, თვალთა ცრემლი სდიოდა და ოფლი. აუგისა შიშითა იწოდა.

არაკი: მოყუარულისა გული ტანისაგან გულსა ესრე გამოსტაცებს, ვითა მაღნიტი-ქუა—რკინასა. ცალკერძი სიყუარული ესრე არ გაიზრდების, ვითა ცალსა ტუირთსა ვირი არ დაივიდებს.

იცოდა გრძნეულმან ძიძამან, რომელ ისარი მართლად შესტყორცა, მფრინველი კანჯარი ბადესა შეაბა, გრძნეებითა და შელოცვითა ქარი დაებორკილა.

კ

ვისისაგან რამინის ნახუა მოაბადის დარბაზთა შიგან და მისთუის გამიჯნურება

რამინის ბედისაგან შაჰი მოაბად დარბაზნი შეკაზმინა. რამინ უკმო და სრულად დიდებულნი და აზნაურნი ყუალანი ერთობით სმად და სიხარულად დასხდეს. მუტრიბთა ამღერებდეს, ცისებრ ავსილიყო დარბაზი მზისა, მთუარისა და ვარსკულავთაგან. სიხარული ჰქონდათ დიდი.

მოაბადის ამირსპასალართა შიგან რამინ ესრე ჩნდა, ვითა მასკულავთა შიგან მთუარე. გაზრახვით მოჭარბებით შეკაზმულიყოცა. მუშკი და ქაფური ვარდრეული ამშვენებდა. მიწუითისა გონებისა და შეჭირვებისაგან გული მისი წელთავე დამსგავსებულიყო სიწლოთი და საწუთრო დანაღვლებოდა. სმად ნადიმად და სიხარულად მჯდომი მუტრიბთა თანა წყალსა შიგან მრჩვალსა გუანდა. მიჯნურობისა და ღვინისაგან ორფერი სიმთურალე ჰქონდა. ღვინისაგან პირი ყაყაჩოსა დამსგავსებოდა, მიჯნურობისაგან გულ-მძინარესა. ვისის გონება ტუინსა გასჯდომოდა და სახე მისი თუალთაგან არ მიეფარებოდა. ვისი თუით ძიძასა მოეყუანა, მალვით სარკმელითა აჭურეტინებდა მსმელთა დიდებულთა და რამინს. თუით ძიძამან განაღამცა ეგრე მოახსენა ვისის:

— ჰე თუალთა ჩემთა სინათლეო. ნახეცა ვინ რამინისა უკე-კლუცესი ლაშქართა შიგან? მიბრძანე, შენსა მზესა, არ წყლია-ნია და უმიზეზოა? არ დია გავს რამინის პირი ვიროს პირსა? არ ღმრთისა წყალობაა, რომელ მაჴი მოაბადის დარბაზი მისგან ელავს? ჯამს თუ ისი უსწორო გიყუარდეს და ერთმანერთისაგან გაიხარნეთო?

ვისი, ვითაც უჭურეტდა რამინს, ეგრევე სიყუარული მო-ემატებოდა. რა კარგად გაიცადა რამინ, ვიროს სიყუარული სრულად დაავიწყდა. გულსა შიგან ამასა იტყოდა: აჰა, ნეტარმი მას, ვისცა ესეთი ქმრად მიხუდა! ნეტარ რას უბედურობასა მომახუედრებს მისი ნახუა, რომელ ვირო იმან ისრე სრულად დამავიწყა. აწ რადგან ძმისა და დედისაგან მოწყუედილვარ, მი-წყით რად ვიწვი, რაღა სარგებელია? რად ვზი მარტოდ ეზომსა ხანსა? ვირემდის ჭირი გავსძლო? არ რკინა ვარ. ამისსა უკეთესსა მოყუარესა ვერა ვჰპოვებ. მიჯობს მისი წადილი ავა-სრულო.

ესე გუარსა რასმე იგონებდა გულსა შინა და მათ დღეთა ცუდათ წაკდომასა ინანდა. მას სიყუარული არა გამოუცხადა, თუცა მისისა მიჯნურობისაგან გახელებულიყო და ცეცხლი ეგზე-ბოდა. ეგრე უთხრა:

— ეგეთია რამინ, ვითარსა იტყოდი, დია კეკლუცი და წყლიანი არის. გუარიანობაცა აჩნდა და ჩემსა ძმასა ვიროსაცა გავს. მაგრა რასაცა ემებს, ესეცა იცოდი, ვერ ჰპოებს. თუცა ჩემი პირი მზეცა იყოს, მას ზედა არ ნათობს. არცა თავსა ჩემსა მისებრ გავჰკდი და ვაჭირვებ, არცა აუგითა ავივსები და არცა ჭირსა შიგან ჩავიჭრები. მას ღმერთმან ჩემად ნაცულად

სხუა ვინმე მისცეს და ჩემი სახელი და სიყუარული დაავიწყოსო.

რა გისი სარკმელთაგან ქუე ჩამოვიდა, თავისა დარბაზსა შევიდა, თუალითა აღარ უჩნდა რამინის სიყუარულითა და გონებანი აღარა ჰქონდეს; ფერი ჰკრთებოდა და გული ერთსა ალაგსა ვეღარ ეჭირა. მძლე ქმმა მისად ომად მისულიყო, მისსა გულსა შიგან ჭანგი ჩაემაგრა და მითვე ჭანგითა წაელო პირისაგან ფერი, ტანისაგან ძალი და გულისაგან თმობა. გისი თუით ჯაბანი იყო და რა საქმე საზომსა გარდაჰკდა, გული წაუვიდა, აღარცა ფერი დაადგა. ზოგჯერ ცნობა მოიკმარის, თმობა და პატიოსნობა გამოარჩივის. რა კარგადრე იგონა, ღმრთისა შიში ჩაიგდო გულსა; რა გონებამან მისმან პატიოსნობა გამოურჩია, აუგისაგან იკრძალოდა და სიყუარულისათუის ნანა დაიწყო. მიჯნურობასა სიწმიდე და მოღმრთეობა გამოარჩია. დადვა გული, რომელ არათ ღონითა არ იავქცეოს და არ დადვას თავი მისი სასთაულსა, რომელი არა კამდეს; არცა უნდეს რამინ და არცა თავისა კრძალვა დააგდოს.

ესე მიძამან არ იცოდა, თუ გისის გული ექცა და მოსმულდა მიჯნურობათ.

კა

მიმისაგან რამინის გუერდსა მისულა

მივიდა მხიარულად მიძა და რამინს ეგრე მოახსენა:

— შენისა ჭირისა ბოლო მოჰკლა მგონია: ფრთხილი ვისი ცოტად დასწყნარდა, კუშტობა დააგდო და დამშვიდდა. შენისა შეჭირვებისა ხმან ნაყოფად სიხარული გამოიღო.

რამინ ასრე გამხიარულდა ვითა ნასყვარ მკუდარმან კაცმან, რა სიცოცხლე დაისკუნას მეტისა სიხარულისაგან, ცრემლნი გარდმოსცუივდეს. თაყვანისცა მიძასა და მასწინა მიწასა აკოცა და ეგრე არქუა:

— ჰე ყოველთა გონიერთა უგონიერესო, ჩემგან მაგის მადლი არ მოიგონების, რომელ სიკუდილისაგან ჩემი უშიშობისა ღონე გიძებნია. თუ სულიცა ჩემი მოგცე შენისა ჭირისა ნაცულად, არცა იგია. მაგრა ღმერთმან სამოთხით გარდაიკადოს შენი. ჩემი მაცხონებელი და პატიოსანი[1] ხარ. თავსა ჩემსა შენთუის არა ვსწყალობ და მბობასა შენსა არ ვაქცევ, ტანი და თავი შენისა სამსახურისათუის არა მშურსო.

რა ესე გუარი მადლი დია გარდაიკადა, ათი ათასი დრაჰკანი წინა დაუდვა და სხუა ერთი სჯკელმწიფო ზანდუკი თუალითა

[1] ვარიანტი: «მაცხოვნებელი და პატრონი ხარ».

და მარგალიტითა სავსე, ორასი ოქროს ბეჭედი თუალადი და მრავალი მუშკისა უპე და ქაფური. ძიძამან ესე ერთიცა რამი-ნისაგან არ აიღო, ეგრე მოახსენა:

— ჰე ჩემო სისარულო, მე საქონლისაგან შენ უფრო მიყუარ. მე საქონელი ულევნელი მაქუს. ჩემთა თუალთა სი-ნათლე შენ ხარ, ჩემი თუალი და მარგალიტი შენი ნახვაა; შენ მომინდები, არ ოქრო.

ერთი ბეჭედი აიღო რამინისაგან იადგრად[1] და სხუა არა დაიჭირა.

ვისსა წინაშე მივიდა ძიძა და იგი დაღრეჯილად დასხდა, ცრემლისაგან მიწა დაესოველა. სარჩელი დაუწყო, ვირემდის ეგე? ანუ აწ რაღა გჭირსო? იგი გულაცა გაუწყრა ძიძასა და ღმრთი-სა და საუკუნოსა შიშისა დაიწყო საუბარი, ეგრე უთხრა:

— მე ღმრთისა საქმენი მოვიგონე, არცა რამინ მამინდების და არცაღა თავი. რად ვიქმ ავსა საქმესა რომელ ერთხელ მის-მან ქნამან მომკლას და მომაყივნოს? ამა საწუთროსა ჩემთა ნა-ტამალთა რაღა პასუხი გავცე, ანუ მას საუკუნესა, რა ღმერთი გამიკითხვიდეს, რა მიზეზი უთხრა? ესე უკადროა თუ ერთისა წადილისათუის ათასი ნატამალი მოვაყივნეო?! თუ რამინ ამო-და საყუარელია, მისგან უამესია სამოთხე და ღმრთისა წყა-ლობა. თუ რამინ მემდუროდეს, არა მგამა; ღმერთი მოწყალე მექმნების. თუ აწინდელისა რამინის სიყუარულისათუის მაშინ ჯოჯოხეთსა ვისჯებოდე, რამინის სიყუარული აღარას მამეკა-რგების. არაოდეს მიქნია ავი საქმე და არცა ვიქმ, თუ დღეცა ნათელი ჩემთუის ღამისაებრ დაბნელდებისო.

---

[1] ვარიანტი: «იედგარად».

რა ესე სიტყუა ესმა ძიძასა, მისებრად დაიწყო ენა-მელუ-რობა და ეგრე მოახსენა:

— ჰე დედისა ლონეო და ნათელო, ავცნობობისაგან კი-დე სათავნო არა გაქუს.

«არაკი: ერთსა სიტყუასა ზედა ვეროდეს დაიდგამ,[1] მბრუ-ნავი ხარ ვითა წისქუილისა ქუა, ქუეყანა ხრ იქცევის და სა-წუთრო და შენ ბრუნავ ვითა ნარდთა მლერისა ყამსა კამათელ-ნი. ვითა ფეროზი თუალი ფერსა ადრე იქცევ და ვითა რკინა ადრე სჯანგდები.

«შენ ღმრთისა ბრძანებისაგან ვერაოდეს გარდიხვეწები, ეტლთა და საწუთროსა ვერ შეებმი. თუ შენ ამა ავცნობობასა ვერ დაავგდებ, შენსა წინაშე ყოფა ვერავინ გასძლოს. მარავის ქუეყანა და მაჯი მოაბად ღმერთმან შენ გიბედნიეროს და მის ქუეყანასა და მაჭროს წინაშე ყოფა ღმერთმან მე მომცეს. მე აქა მარავს შენგან კიდე არავინ მედგა და შენცა იცი რომელ აწ შენს გუერდით ვერცა დევი გასძლებს. მე მტერთაებრ უპატიოდ დამხედავ, მიწყით მავინებ და ავად გამკდი. წავალ შენსა დედა-სა წინაშე, ამოდ დავრჩები და შენ, შენსა სიკუმტესა ვეღარ გიჭურეტ. შენ იცი და შენმან ღმერთმან და ვინცა მოგინდეს. მე შენი საუბარი და სისხლე დია მეყო.

ეგრე უთხრა ვისმან:

— ძიძაო, რასთუინ შეგიყუარდა ესრე რამინ? ერთი უცხო-შეგიმეცნაურებია და მისითა გზითა ჩემგან აბეზარ იქნები. შენ გული ვით გეტყუის ჩემგან მოწყუედასა, წასულასა და სხუაგან ამოდ ყოფნასა? მე უშენოდ გლახ ვით ვიყო? მე შენ აქა დე-

---

[1] ვარიანტი: «ვეროდეს დასდგები, მბრუნავი».

დის ნაცვლად მყავ. ვაგლახმე, რა შავად და უბედურად ჩემი ბედი! რა უკუღმართად და ყოველი ჩემი საქმე! დედის და სახლისათვის მოწყვედილვარ და ძმის და ნატამალისაგან გი-დეგან-ქმნილვარ! შენ ოდეს იყავ ყველასაგან უფრო ჩემი იმედი და იმა სიმარტოესა შიგან ჩემი ჭირის მაქარვებელი, და აწ შენცა აბეზარ-ქმნილხარ ჩემგან და ჩემთა მოსისხლეთა დამოყურებულხარ. აწ ასრე ერთობ გამწირავ და თავსა სახელსა წყალსა შიგან ჩაავდებ, რომელ შენცა შეგექმნას სინანულად. ამა ჭირისა წამალსა ქმენდე და ვერა ჰპოვო.

მიძამან უპასუხა და ესრე მოახსენა:

— მზე ხარ კეკლუცთა და არამცა მოგაცდუნა სიკეკლუცემ. ღმრთისა განგება თავსავე ზედა ქნილა შენთვის. ეგე ეგზომი უსარგებლო სიტყვა რასადა გერგების? დაავდე სიჭრელე შენი და ლამაზობა და მიბრძანე, ოდეს ნახავ რამინს და ანუ ოდესღა დაემოყურები, ანუ ოდესღა დახსნი ჭირთაგან? ერთსახე გაგიგრძელებია უსარგებლო საუბარი, ჟამის რომელ ბოლო შეუქნათ და მისი სიტყვა-ამობა და შენი ჯომარდობა ერთგან შეჰყარნეთ. სიყმისა სიამოვნე შენი მძინარე არის, გაალვიძე, გამოაჩინე გვარიანობისა კაცობა, დაანაყოფიანე სიხარულის შტო, კელმწიფობისა და სიყმისაგან ნაწილი აიღე და შენი დღენი სიხარულით დალიენ და სიყვარული უმუქფეენ. თვით ღმრთისაგან შეიშინე. არ ეგების ეგეთი უზენაობა. გვარად არცა ქაჯი ხარ და არცა ანგელოზი. ერთი ჩვენგანი ხარ, მიწისაგანი,[1] მიწყით ნებისა და სიამოვნისა მონატრე და მიწყით სიამოვნისა ბადითა დაბმული. ღმერთსა კაცთა დაბადე-

---

[1] ვარიანტი: «მიწისაგანი ვერ დაბადებული».

ზა ესრე გაუჩენია, რომელ დიაცსა და მამაცსა ერთმანერთისაგან უფრო არ უყუარს და თუცა ამისი ძალი იცოდე, მემცა ეზომსა აღარ მაქენებდი და ამას შემოგფიცავ, რომელ ესე ჩემი სათქმელი, ოდესცაღა ბოლო მოჰკდეს ამა საქმისა, მაშინ არ გემტყუვნოს.

ვისმან ეგრე უპასუხა მიმასა:

— მუენება სამოთხისა უამია მაგას, რომელ შენ მაწუევ. თუმცა შენ და შენს გრძნეულობასა დავეხსნებოდე, მე დიდად ადვილად ველევი მამაცსა. მე შენისა დამძიმებისა გონება მეძნელების, თუარა რამინის დათმობა დია მეადვილების. თუმცა შენსავე დამძიმებასა არ ვერიდებოდე, დია ჭირსა ნახვიდა ჩემისა მიჯნურობისაგან. შენი რამინ თუმცა შავარდენი ყოფილიყო, ვერცა ეგრე მამეწეოდა და თუმცა ქარი ყოფილიყო, მტუერსა ჩემსა ვერა ჰპოებდა. აწ შენ ამისთუის მოიჭირვე, რაცა ეგების, რომელ ესე ჩუენი ხუაშიადი არ გამოცხადდეს. თუით შენ იცი, მოაბად ვითარი დიდი ჴელმწიფეა, გაწყრომისა ჟამსა ვითა მნელად გამწყრომი, შეცოდებისა მნახავი ჴრმლისაებრ მკუეთია, დაუმძიმებელი და ლომისაებრ უზენარო. თუ ჩუენსა საქმესა ოდესცა შეიგებს, უღონიოდ თანავე დაგუკოცს და გამოცხადებამდინ გუაქუს სული ნათხოვრად.

კბ

რამინისი და ვისის ერთგან შეყრა

ვა კარგი წელიწადი და კეთილი მოვიდოდეს გაზაფხულვე შეეტყუების, ვითა ვისის და რამინის საქმე თავსავე ზედა მომარჯუებით იქნა. რა ვისმან სიყუარულით შეხედნა რამინს და საწუთროსა ზეინკალმან მისისა გულისაგან მტერობისა ჟანგი აღმოჰკოცა თუცა ჭირი დ გულის ტკივილი დიდად ენახა სიყუარულსა შიგან, ერთგან დიადიცა გაიხარნეს. მასვე კუირასა ერთგან შეიყარნეს, რომელ უნებელი არსად ქარი ეცა.

შაჰი მოაბად აიყარა ხორასნით და ნობათსა-კარავსა პირი ხორასნისაკენ აქნევინა, გურგანით ქოისტანს მივიდა და ქოისტანით რეს მივიდა და ხანსა დაზმიდის. თავისა ქუეყანათა შიგან იურვოდის დ ინადირებდის. დარჩა რამინ ხორასანს, მარავს შიგან ამით მიზეზითა, რომელ თავი მოისნეულა. მშამან თავისა ადგილი, ტახტი და ქუეყანა მას შეავედრა და მოსამართლეობა და სიმდაბლე დაავედრა. შაჰინ-შა წავიდა მარავით ქალაქით და დარჩეს მარავშიგან ვისი, რამინ და ძიძა.

პირველსა დღესა დაჯდა ვისი პირმზე ნებიერად, ფეროვნად და სურნელიანად სადღეოვლოსა მაღლად აგებულსა დარბაზსა შიგან, ზეით ქუეშემდისი ოქროთა მოხატულსა. ამას დარბაზსა სამნი კარნი ებნეს, ერთი დიდსა დარბაზსა გასავალსა, ერთი წალკოტისაკე და ერთი დაღმა გზისაკე. ჯდა ვისი, ვითა მზე, ტახტსა ზედა სიკეკლუცისა და სიმხიარულო-

ბისაგან თავ დაჭერებული დიდსა ჰგმობდა. თავით ფერხამდინ თუალითა და მარგალიტითა შეკაზმული იყო და ვისის შუენე-ბისაგან ყოველი კეკლუცი დადუხჭირებულიყო. ასი ათასი ვარ-დი პირსა ზედა ჰყუაოდა და ოცდა თორმეტი მარგალიტი დაცმული პირსა შიგან ჰნათობდა. ვისის სუნი ვისაც ეცემოდა, მკუდარსა გაანცოცხლებდა და წყლულსა გაამთელებდა. წალკოტსა შიგან ვარდი მისისა პირისაებრ აყუავებულიყო და მუშკისა სუნი სდიოდა და ვისისა საუბრისაგან სურნელობისა კუამლი ვითა ჰაერსა ზედა ღრუბელი დადგომილიყო, თუ სთქუა, ამბარსა და ალვასა აკუმევდეს.

სხდეს მათ წინაშე დიდებულთა ცოლნი და ასულნი ვითა მზენი, თუცა მას წინაშე არად ჩნდეს და ვარდის წყალსა ზედათ აწვიმევდეს. სამოთხესა ჰგუანდა მათი დარბაზობა. მიმა ვითა სამოთხესა, ზოგჯერ ვისსა კაზმიდის, ზოგჯერ დარბაზ-სა. რა დარბაზობა გამოიყარა და ხალვათად დასხდეს, მიმამან ზემოსა გზისაგან რამინ შემოიყუანა მოაბადის საწოლსა შიგან. ვითამცა არც იგი სახლი ენახა და არც მისი გულის წამლები ვისი გაეცადა და არც ადრიდგანი მისი საწადელი გასრულებო-და, ასრე სისარულითა უჭკო იქნა და გულსა ესე ვერ დაეჯერა, თუ ესე შენზედა ეცებისო. მისითა შეყრითა უგულდაგებისა წყა-ლი წვიმდა მასზედა. რა რამინ ქუეყანისა დამშუენებელსა მზესა გვერდით დაჯდა, მაშინვე მისისა გულისაგან ცეცხლი და კუა-მლი დაშრტა. სისარულითა ორნივე ლაწუნი უყუაოდეს და ეგრე არქუა:

— ჰე ყოვლისა სისარულისა დასაბამო, ღმერთსა ყოვლი-თურთ უკლებობა შენდა უბოძებია, ვუარსად ყოველთა დედო-ფალთა უფროსი ხარ და საყუარლობისა საქმითა ყოველთა

გრძნეულთა ოსტატი. ვარდი ხარ, ქაფურეული, მუშკ-სუნი, თმა-ამბარი, მთვარისა სახე და სარო ნაკვთი. შენ სიკეკლუცითა მზე ხარ და ნექტარძი მას, ვისცა ანათობ.

«არაკი: შენ ელვარებითა მნათობი მთვარე ხარ, მაგრა მიჯნურისა გულისა დამანელებელი. ბედსა შენდა ესეთი სინათლე მოუცემია, რომე უბედურისა ბედისაგან ჯანგსა ამოჰკოცო.»

რა ესე საუბარი ვისსა ესმა, სირცხვილითა ნელად და ლამაზად ნაზი პასუხი გამოსცა და ეგრე არქუა:

— ჰე ბედ-სვიანო ჯომარდო, მე საწუთროსაგან დიდად დიდნი ჭირნი მინახვან, მაგრა ეს თურე არა ჭირი მინახავს რომელ აწ ჩემი მოყივნება მომიადგილებია. ჩემი წმიდა გვარი და ტანი მისურია, ცნობა და სირცხვილი გამიწირავს, მაგრა ესე ავი საქმე ორისაგან წამკიდებია: მიწყით უბედურისა ბედისაგან, მერმე ჩემისა ძიძისაგან. მან ჩამაგდო მოყივნებასა მისითა გრძნეებითა და ფიცითა. ჩემზედა მოიგმარა, რაცა შეეძლო, მისი მაგალითობა, ბჭობა, ქნება და შესუეწა. მაგრა აწ ამას გკითხავ: ჩემზედა მტერთა ჩემთა გაახარებ და ვარდისაებრ ცოტასა ხანისა მოყურობასა შინა ხარ, ანუ დაიდგამ კაცობასა და იაგუნდისაებრ საგრძელო ხარ? თუ რაზომსაცა წელიწადსა ცოცხალ ვიყუნეთ, არა ინანი ამა საქმესა, რასა მიგან შესრულხარ და არა ცოტასა ხანსა ხარ, ეგრე თუით ესემცა ვიცოდე, და თუ არა, რაცა ამა საქმესა მოუთქს, მას ჭირსა და მოყივნებასა ნუ შესდგები.

«არაკი: ერთისა წამისა გულის ნების პოვნისათუის საუკუნოსა აუგსა და მოყივნებასა ნუ ჩაიჭრები. ათას წლამდის გულის ნებისა პოვნა ერთ აუგად არა ღირს, ამით რომელ ჯანგი მისი უკუნისამდის დაეკურის კაცსა. იგი ნება, რომელ

ერთისა დღისა იყოს, მისი კამს რომელ გონებადცა არ შემოუშვასო.»

კულაცა დაუწყო **რამინ** ქება:

— მერმე ესე ქუეყანა. **მაჰისა** ქუეყანისაებრი არა ვიცი, რომელსა შენებრი მზე გაზრდილაო; არცა **შაჰროსებრი** დედა მინახავს, რომელსა მე **ვიროსებრი** უშობიაო და ასული შენებრი. ათასითა კურთხევითა **ღმრთისაგან** კურთხეულმცაა უკუნისამდი გუარი შენი და მშობელნი შენნი, რომლისაგან შენებრი გამოვა! **ნეტარძი** შენსა დედასა, ნეტარძი შენსა მამასა და ძმასა; ნეტარძი შენთა მოასლეთა და მსახურთა; ნეტარძი მას, ვინცა შენსა პირსა უჭურეტს ანუ სახელიცა ასმია შენი; ნეტარძი შენსა ძიძასა და ნეტარძი მასცა, ვინცა შენი მიჯნური და მოყუარული არის! **მარავსა** ესე სახელი უკუნისამდის ეყოფის, რომე შენებრივისა მზისა სადგომი არის, დიდებად მოაბადს ესე ეყოფის დ̃ სახელად, რომელ სადედოსა შინა შენებრივ უვის! **მე** ესე სიხარული, ვირე სულნი მიდგან, **ღმრთისა** წყალობად მეყოფის. შენებრისა მზისა შეყრითა გასახელოვნებულვარ და რომლითა თუალითა შენი პირი მინახავს და რომლითა ყურითა შენი სიტყუა მომისმენია, აქათგან კარგისად სახელისაგან კიდე აღარა მესმის; აქათგან თავისა წადილისა და სიხარულისაგან კიდე აღარას ვნახავო.

მერმე შეჰფიცა **რამინ** მტკიცითა საფიცრითა ყოვლისა დამბადებელისა **ღმრთისა** ძალითა და სახელითა, ელვარითა მზითა და მთუარითა, რაცა ცასა ზედა არის, — ყუელათა; ცითა დ̃ ქუეყანითა, **ღმრთისა** სჯულითა დ̃ ყოვლითა საფიცითა, — რომელ ვირე სულნი ედგნენ, ვირე მთათა ზედა ქარი ქროდეს და ზღუათა შიგან წყალი და თევზი იპოებოდეს, ბნელსა ღამესა

სიშავე ჰქონდეს, ცათა შიგან ვარსკვლავი იშოებოდეს და კაცსა სული ტანსა შიგან უყუარდეს,—ვისის სიყუარულსა არ ინანდეს რამინ, არცა მისი ფიცი გატეხოს, არცა მისისა პირისაგან კიდე სხუა პირი მოეწონოს, არცავინ სხუა მისგან კიდე უნდეს, არცავის სიყუარულისა თუალითა შეხედოს და არცარა ვისის უნებელი ქნას.

რა რამინ ესე შეჰფიცა და შეაჯერა, მერმე ვისიცა შეჰფიცა აგრევე მტკიცედ, რომელ სიცოცხლესა მისსა შიგან რამინს არ ეცრუოს და არცა მისსა სიყუარულსა არ მოაკლდეს. ერთი იისა კონა მისცა ჴელთა რამინს და ეგრე უთხრა:

—ჩემგან ნიშნად ესე დაისწავლე: სადაცა ახალსა იასა ნახვიდე, ამა დღესა და ფიცსა მოიგონებდი! ასრემცა ლურჯი და თავ ჩამოგდებული ხარ, თუ ჩემი ფიცი გასტეხო. მეცა ვარდსა ნიშნად დავისწავლი. სადაცა წალკოტსა შიგან ვარდსა ვნახავ, ამა დღესა და ფიცსა მოვიგონებ. ვარდისაებრმცა დღე მოკლე ვარ, ოდესცა ეს ფიცი გავტეხო და ღმერთი უარ ვქნაო.

რა ერთმანერთსა ესე შეჰფიცეს, დამბადებელი მოწმად დაიყენეს.

მაშინღა ერთგან დაწვნეს, გარდასრულსა ჭირსა და ლხინსა ერთმანერთსა უამბობდეს. მიჯნურობათა სისარულითა ვისსა ვითამცა ყოველთა ჴელმწიფეთაგან უფროსი სწოლოდა გჳერდსა და რამინს, ვითამცა მზე და მთუარე ყელსა მოხუეოდა. თუმცა ანგელოზთა ენახა, ნუთუ ვერცა იგინი შეიგებდეს მას თუ, რომელ უჭკლუცეა და თუ ერთი წევს, ანუ ორნიო? საგებელი მათი ვარდისა და თუალისაგან ავსილიყო. სიამოვნისა მოედანსა შიგან ბურთი ჩამოიგდო და ასრე მაგრად შემოეჭირა ერთმანერთისათჳის, თუმცა დიდსა წვიმასა მათზედა ეწვიმა, მკერდი

არ დაუნამიანდებოდა, და პირი პირსა ზედა დაედვა. რამინის გუ-
ლი ადრიდგან წყლული იყო; მიჯნურობისაგან დია ზიანი ენა-
ხა რამინს, ვისის სიხარულისაგან სარგებელიცა დია მიხუდა.
რაზომიცა ისარი მიჯნურობისაგან რამინს სცემოდა, თუითო-
სათუის ათასი მეტად აგოცის. რა სიხარულისა მოედანსა შე-
ვიდეს და ნება აისრულა და გაკურიტა თუალი პატიოსანი
მაჯნად, დაავდების პატიოსანსა პატიოსნება,—ცნა რომელ, ვი-
თარი დედასა ქმობა, მითვე ბეჭდითა მიხუდა. მაშინ კულა მე-
ტად შეუყუარდა არა რომლისა ქმრისაგან კელმიუყოფლობისა-
თუის. რა ორთავე გულის ნება აუსრულდა, ერთმანერთისათუის
კულა მაშინ უფრო დაუხელდეს და მოემატა სიყუარული. ესრე
ორი თუე ერთგან დაჰყუეს. ყოველთა დღეთა ერთგან იყუნიან,
ღამით განაღამცა იხარებდეს ერთგან.

მერმე შაჰი მოაბადს ესმა, რომელ ძმა მისი რამინ გა-
მრთელებულიყო. გაიხარნა და მაშინვე წიგნი მოსწერა რამინს,
ვითა უშენოდ ვერა ვარ მხიარულად, არცა გულ ამოდ, არცა
ასპარეზობა და ხმა მიამებისო. აწ ადრე მოვედ, დიდხან ერთად
ვინადიროთ და გავიხარნეთ. ქუეყანა გამწუანებულა, ბევრი ათა-
სი ფერი ყუავილი მიწისაგან ამოსულა, მთამან ბერძულისა
ოქსინოსა კაბა შეიკერა და ყარყუმი ქუდი თავისაგან მოიკადა,
აზომი წყარო გამოცემულა, რომელ წყლისაგან ავაზა უნავოდ
თხასა ვერ შეიპყრობს. რა ესე წიგნი წაიკითხო, სწრაფით
წამოვედ და გაზაფხულისა ყუავილი ვისიცა თანა მოიყუანე
სწრაფით, მით რომელ დედის ნახუა დია სწადიანო.

რა მოაბადის წიგნი მივიდა რამინსთანა, მაშინვე გაზმა
დაიწყო და მიმართა. ვისიცა თანა წაიტანა. თუცა გზა დია
ავი იყო და ძნელი, მაგრა ორთავე მიჯნურთა სამოთხედ უჩნდა

ერთგან მგზავრობა. რა მივიდეს მისა ქუეყანასა, წინა მოეგება მოაბად და ლაშქარნი მისნი. მასვე წამსა ვისი დედისასა მიიყუანეს. დია რცხუენოდა ვისსა ძმისა ვიროსაგან. ვითა მართებდა ვისსა, მისულისათუის ყუელამა ეგზომ დიდად გაიხარნა. მაგრა მას სიხარული დამძიმებად მოექცა, მით რომელ რამინს მოშორდა და აღარა დია ნახუიდა კუირასა შიგან ერთხელ; ანუ მაჯი მოაბადს წინაშე ნახის, ანუ გზასა ზედა, და ეგზომ ნახუა მას ყოლა არად უჩნდა და არცა ეყოვოდა. მეტად ნახუისა ძებნამან ჭირსა ჩაუგდო თავი და მიჯნურობამან ესრე მოაღორა, რომე წამსაცა ერთსა ველარ ელეოდა რამინს და სულთაცა ერხია იგი.

ჟბ

ცნობა მოაბადისაგან რამინისა და ვისის მიჯნურობისა

მოაბადს წინაშე დაჭყო რამინ თუე ერთი და ერთგან გაიხარნეს სმითა და ნადირობითა. მერმე მუღანს ლამოდეს წასულასა, ზღუისა პირსა, ნადირობად.

მას ღამესა, რომელსა დღესა მაჯი მოაბად აიყრებოდა, ვისსა გუერდით ეწუა. ასრე უყუარდა მოაბადს, რომე ძუე არ დაეძინის მას გუერდით მყოფსა. ამას შეიჭირვებდა რომელ იგი მზისაებრ კეკლუცი მას გუერდით წვის, და მას

მისგან ერთხელცა ვერ გაეხარნეს, ამით რომელ შეკრული იყო.

წამოვიდა მალვით ძიძა, მოაბადის ძილი ეგონა და ეგრე მოახსენა ვისსა:

— ესეთსა ყამსა ვით დაგემინების, რომელ შენისა მოყურისა რამინის წასულასა იგონებდე? იგი ხუალე ხომხითისაკენ ჰლამის წასულასა ნადირობად; მუნ მტერისა ბრძოლასაცა დაემართების და ლაშქრობა და შენსა გულსა და სიხარულსა თანა წაიტანსა. აწ მისი ლაშქარი ყუელა შეყრილა ნობათი,[1] კარავი მისი გარეთ დაუდგამს და ხუალე ადრე აიყრების. აწვე ასაყარსაცა ჰკრვენ და ლაშქარნიცა გადენასა დაიწყებენ. თუ მისისა პირისა მზისა უკეკლუცესისა ნახუა გწადიან, ადრე კოშკსა ზედა გავედ და ნახე. ძილი არ ეგების მოშორვებისა მისისა გონებასა შიგან. იგი ნადირობად წავა, მაგრა ქორითა და ავაზითა შენი გული დაუჭირავს სატყუელად. ადრე რადგან გაგეშორების და შენსა გულსა და ჩემსა თმობასა თანა წაიტანს, უჭვრიტეო.

მათისა ფათერაკისაგან მოაბადს ეღვიძა, ესე მათი საუბარი ყუელა გაიგონა და ძიძისა სიტყუანი მოისმინნა. მოაბად გახელებული აიჭრა, პირი ვითა ნაცარი შეჭკნოდა; მეტისა ჯავრისაგან ვეღარა გაიგო, თუ რამცა ქმნა. ჯდა ვითა მთურალი მებრძოლი პილო. ძიძასა გინება დაუწყო და წყევა; ეგრე უთხრა:

— ჰე ბილწო, საძაგელო, ღმრთისა უარის მქნელო, ყოველისა ბოზობისა და ქმმაკობისა დასაწყისო, ძაღლისაგანცა უფრო მოყივნებულო და არა წმიდაო!

[1] შეყრილა ნობათი—ნიშნავს, შეყრილა ნობით, დათვდათვით.

უბრძანა მსახურთა:

— მომგჳარეთ ისი სამუღველი, მაღლისაებრ არს შესაწყალებელი რომე მოჰკლა და მისისა დიაცობისა მსგავსი მიაგო მუქაივა. ჰამს თუმცა ხუზისტანს წჳმისა ნაცჳლად ქჳაწჳმდეს! სადაცა ესეთი ბოზი და მაჭკალი გამოვა, უხუცესთა მოაცთუნებენ და კელმწიფეთა ღალატსა უდგებიან. ხუზისტანით თჳთ წრფელი არავინ გამოვა, ყოველნი მავალითნი და უსჯულონია. ვაგლახ მას, ვინცა მიენდოს მუნებურსა, ანუ შვილი-ვინ გააზრდევინოს! რომე მუნებური ძიძა მოიყჳანს შაჭრო, მითცა აავსო თავისა დარბაზი აუგითა. ხუზისტანელი ძიძა და ბრმა გუშაგად სწორნია. ვისაცა წინამძღჳარი ყორანია, მისი სადგური სამაროანიაო.

ესრე მოიწყრომა ძიძისათჳს და მერმედა ვისის ეგრე უთხრა:

— ჰე ღმრთისა უარის მქნელო ვისი და ქმასა მიმდგომო! არცა ცნობა გაქუს და არცა სირცხჳლი, არცა სიმართლე, არცა პატივის ნდომა. შენისა აუგისაგან მოაყივნენ ნატამალნი შენნი; სირცხჳლი გასწირე და აბეზარ იქმენ, სჯულისაგან გაბედითდი. ვინცა გივის, მათთა თუალთა წინა და ჩემთანა ასუბუქდი. არ მოეწონების შენი ნაქმარი შაჭროს, არცა ვიროს და არცავის შენთა ნატამალთა; ყოველნივე სირცხჳლეულ გიქმნიან. ვირემდინცა ძიძა შენი მოასხლუა, განაღამცა ქმა იყო წინამძღჳარი. ხუცესი რა ორძალთა უკრევდეს, დიაკონმან შუშპარისა კიდე რამცა ქნას?

მაშინვე ვიროსთანა კაცი გაგზავნა, უკმო და უჩივლა დისა მისისაგან, ყჳელა წჳრილად უამბა და უთხრა: ვითა სწჳართე ესე შენი დაა? რაცა ეგების და მისსა საქმესა მართებს, ეგეთ

საპატიჟო მივუპყრა. მიძა სასიკუდილოდ ნუ გეწყალვის. მე თუ გარდარასვაკდეგ, მეტისა გულისა ტკივილისაგან გავჰპატიჟებ: ვისსა თუალთა დავსწუავ, მიძა განაღამცა მოვჰკლა, რამინს ამა ქუეყანით გავავსებ და ვირე ვცოცხალვარ, აღარას ვახსენებ. ხამისა უბედურისაგან დავსცლი ქუეყანასა.

ვისი თუცა მორცხვი იყო, მიჯნურობისა საქმემან წაუღო სირცხვილი. აწ ნახე, თუ ამასა წინა შაჯი მოაბადს რა პასუხი გასცა; სიყუარულმან თმობა, შიში და კრძალვა ვით მოაშორა; მიჯნურობამან თავი სიკუდილად ვით დაადებინა; საწუთრო და სიყმე მისთუის ვით გასწირა? აშფოთებული ტახტისაგან მოაბადს წინა ზე აიჭრა, ვითა ასპიტი გუელი, ჴელნი მოიჭუდნა და ეგრე მოახსენა:

— ჰე ძლიერო და მაღალო ჴელმწიფეო! ჩუენ შენითა წყრომითა და პატიჟისა ქადებითა ვეღარ დაგუაშინებ. რაცა სთქუი, ყუელა მართალი და კარგი სთქუი და ესე უკეთესი ჰქმენ, რომე აუგი არ დაგუიმალე. აწ თუ გწადიან, ჩამამარჩვე ანუ თუალნი დამწუენ; გწადიან—გამამე, გწადიან—უკუნისამდე დაჭედილი გყავ. თუ გინდა, ლაშქართა შიგან შიშველი მაარე; რაცა გწადიან, იგიცა მიყავ, ყუელა ჴელ-გეწიფების. ამას ვეღარ უკუპიტყუი: მე რამინ ცასა და ქუეყანასა ყუელასა მირჩევია; თავსა და სულსა ჩემსა მისსა ჭირსა განაცვალებ, თუალთა სინათლე და გულისა ჩემისა სისხრული იგი ა, მოყუარე და პატიოსანი გულისა წამლებია, დათმობისა მომცემი და რა მგამს, თუ ერთი სული მისთუის გავსწირო! თუმცა ათი ათასი სული მედგა, ყუელა მისთუისვე მინდა. მე რამინის სიყუარულსა არ მოვსწყდები, ვირე სიცოცხლე არ მომწყდეს, მე მისი მზისა მგზავსი პირი ტანისა საროსა ნაკუთუსა ზედა მეყოფა

გონებისაგან არ მიმცილდების. იგი მირჩევის ათასსა კელმწიფესა და მისი ნახუა ათასისა კელმწიფისა და მარავისა უფროსად მიჰსნის. მზესა და მთუარესა მას ზედა ვხედავ, ჩემი იმედი და ნება იგი არის. მე რამინ შაჰროსაგან უფრო მიყუარს, მე რამინ ვიროსაგან უფრო მამინდების. შენ თუ გწადიან, მომკალ; გწადიან, დამარჩინე,—არ მომძულდების და ჯერ დავივიწყებ რამინს. შენ და ვირო ორნივე ჩემნი პატრონნი ხართ, რაცა გწადიან ჩემზედა, ყუელა შეგიძლია. თუ ვირომან მომკლას ანუ დამჭედოს, მიამების; მოვითმენ და ვჯერვარ. თუ შენმან კრმალმან სული აღმომკადოს, ამით არა მგამს, რომე ჩემი სახელი უკუნისამდე დარჩების, ვითა სული ვისმან რამინისათუის გაწირაო. თუნდა ათასითა სულითა ვიყიდი ესეთსა სახელსა. მაგრა, ვირე ღომი ცოცხალიყოს, მისთა მართუეთა დაკოცასა და ადგილისა აშლასა ვინ იკადრებს? ვირე რამინ ცოცხალიყოს და მესუას, მრუდითა თუალითა შემოხედვასა ვერავინ მკადრებს. რა დიდი ზღუა, ვითა მწადდეს, ეგრე კლდეთა მქონდეს, ცეცხლისაგან კრძალვა ბედითია. შენ ჩემი რამინისაგან მოწყუედა მაშინ შეგიძლია, რა კაცისა დაბადება შენგან ეგებოდეს. მე ამისთუის ჭირსა არად გავიკუირვებ და ამაშიგან ნახე, თუ შენი ღონე რა იქნებისო!

რა ვიროს ესე საუბარი ვისისაგან ესმა, ათასჯერ თავისა სიკუდილი ინატრა. წავიდა და თანა წაიტანა. მარტოსა ეუბნა, შეაგონებდა. ეგრე უთხრა:

— ჱე ღმრთისა მტერო, შმაგო, რეგვენო! ეგრე საუბარი ვით ეგების შენგან, ანუ შენ ჩემსა წინა რა უყავ მაჭი მოაბადს? ჩემიცა პირის წყალი წაიღე და თავისაცა. შენ ჩემგან და მოაბადისაგან რად არა გრცხუენიან, რომელ ეგრე იტყუი:

რამინ მინდა და მოაბად არ მინდაო! ამას რად არ მითხრობ, თუ რამინს შიგან ნივთი რა ნახე ქსეთი, რომელ ყუელასა იგი გამოირჩიე. საჭურჭლესა შიგან რა უმს ჩანგისა და ძალისაგან კიდე? მის მეტი რა იცის, რომელ ჩანგი მორთოს, ჩამოჰკრას და ზედა შეუკმოს? ნიადაგ მთურალი იზახის, ვითა მტერიანი. მიწყით მისი ტანისამოსი ხამართა თანა დაწინდულია, ურიანი მისნი არიფნია, სარაბათნი მისნი ნადიმნია. არ ვიცი თუ შენ სადა შეისწავლე იგი და რისთვის ესრე გამიჯნურდი მისთვის. აწ სირცხვილი და ღმრთისა შიში მოიგონე და ნუ სარ მაგაშიგან, რომე აუგით აგუავსნე. მაჰკროსებრი დედა და ჩემებრი ძმა შენითა სიავითა აუგიანნი და სირცხვილეულნი არ ვეგებით. ნუ უდგები მიწყით ემმაკისა წადილსა და ნუ გასცემ საწუთროსა, და საუკუნესა რამინისთვის. თუ რამინ უგუდავებისაებრ გიჩნს, მოიგონე, სამოთხე ღმრთისა უამეა. მე მითქუამს, რაცა შენთვის სჯობს. აწ შენ იცოდი, შენმან ღმერთმან და შენმან ქმარმან! რაცა მითქუამს, თუ არ მომისმენ, შენის აბეზრობისაგან კიდე არა ღონე მაქუს.

ვირო ვითაცა ეუბნებოდა, ვისი საბრალოდ ტიროდა და ესრე უთხრა:

— რაცა გიბრძანებია, ყუელა მართალია. მაგრა მე კარისა დასხმა რასადა მერგების? რაცა მქონია, მზარავსა ყუელა წაუღია. ჩემი სული არ ესრე ჩაჭრილა ცეცხლსა შიგან, რომელ ვისიცრა შეგონება ერგებოდეს. ჩემი გული არ ესრე გატეხილა მიჯნურობისაგან, რომელ კელოვანმან კაცმან მისი შეკრვა იცოდეს. მე გული მისთვის ასრე მიმიცემია, რომელ მე მისგან ნაწილი აღარა დამრჩომია. ღმრთისა განგება ასრულდა ჩემზედა: რაცაღა იქნა, იქნა! აწ თქმა და ნახვა აღარას გუერგების.

მე რამინ ესრე შემყუარებია, რომელ უგუნისამდე ვეღარა მო-ვსწყდები; თუ ეგრე მკითხო, სამოთხე გირჩევნია ანუ რამინო, მე შენმან, მზემან, რამინს გამოვირჩევ. ამით რომელ მისი შეხედვა სამოთხედ მიჩანსო.

რა ვირომან ვისისაგან ესე შეუწონელი სიტყუა მოისმი-ნა, მარგალიტი ღორსა წინა აღარა დაყარა; კიდე წავიდა და იგი ქუე დააგდო. მოაბადისა და ვისის საქმე ღმერთსა შეა-ვედრა.

მერმე მაჭინ-მაჭ თამაშად გავიდა და მოედანსა ასპარეზსა სცემდა. დარნი-დარნი გაიყარნეს: მოაბად და ოცნი კაცნი დარჩეული ცალკე, და ვირო და ეგრევე შერჩეულნი კაცნი ცალკე იყუნეს. რამინ მოაბადისაკენ იყო.

იწყეს ასპარეზობა, რომე უკეთე და უტურფე აღარა ეგებოდა. თუ სთქუა, ცამდი აგდიან ბურთი. მას დღეთა ყო-ველთაგან უფრო საქებარად გამოჩნდეს ვირო და რამინ. ზოგ-ჯერ მან აჯობის და ზოგჯერ მან. ვისი კოშკიდამ უჭვრეტ-და მობურთალთა ეგრე საქებურთა. რამინ და ვირო უფრო მოეწონნეს. მეტისა გონება-შეწირვებისაგან დაიღრიჯნა, პირი-საგან ფერი წაუვიდა, ტიროდა და ეგრე თრთოდა, ვითა ცხრო-იანი. გუერდსა დაუჯდა ძიძა და ამოდ ეგრე ეუბნა:

— რად მოგრევია ასრე ეშმა, რომელ თავსა სულისა დალევისათუის ესრე ებრძვი და ცრემლთაგან თუალნი დაგი-შუპიან? რად იქ? არ შენი მამა ყარან იყოა და დედა შაჭრო? არ შენი ძმა ვიროა და ქმარი მოაბად? და შენ, ვისი, დედო-ფალი ყოველთა კეკლუცთა მზე ხარ? არ არანისა[1] და ერაყის

[1] ვარიანტი: «ერანისა და».

დედოფალი ხარ? არ თურქეთისა და ხორასნის დედოფალი ხარ და ხათუნი? არ გუარიანობითა და სიკეთითა გამოჩენილი და ყოველთა ჴელმწიფეთა სასპატრონო? თუ ათასიცა ჭირი გჭირს, არ ესეთი მოყუარე გივის, რომელ რა მისი პირი ნახო, ყოველი ჭირი გაგიქარდების? ეტლიცა, ზღუა და ჴმელი შენებრსა ჴელმწიფესა ჰნატრის. თუ უჩივი ღმრთისა დამბადებელსა, მისი სამოთხე აქავე შენთუის უბოძებია; მისგან უფროსსა და უკეთესსა შენ რასაღა სთხოვ? დიდი და საკრძალავი ჴელმწიფე ხარ, ყმა და კეკლუცი ხარ, ამა საწუთროსა შიგან ნებიერი და მოსვენებული ხარ; ამისსა უფროსს რასაცა ეძებ, იცოდე რომელ ღმრთისა გაირისხებ. ნუ იქმ, მთუარეო! დასჯერდი ბედსა და რაცა ღმრთისა უბოძებია. კმა ჰყავ შენი სიკუმტე. ნუ გაიწყრომებ ჴელმწიფესა დ ნურცა ძმასა შენსა მოიმდურვებ; მით რომელ შენისა შეცოდებისა ცუარ-ცუარი რა ერთგან შეიყრების, მისგან დიდი ღუარი ადგების.

ეგრე უპასუხა ენოვანმან მთუარემან:

— ჰე ძიძაო! ცუდსა და ბედითსა ვირემდის უბნობ, ცეცხლსა შიგან წყალსა სადამდის ეძებ?

«არაკი: ნუთუ მეცნიერთა კაცთაგან არ გასმია, რომელ მჭურეტელთა ომი არ ეძნელების.

«მე ქუეითი ვარ დ შენ ცხენოსანი. შენი ცხენი მალეა დ ველი—ვაკე. ჩემი ჭირი დ მაშურალობა არ იცი. მე სნეული ვარ და შენ მრთელი. არ იცი ჩემი, რომელი ადგილი მტკივის. ჴელმწიფე ჩემი უსუტესი და ქმარი არის, მაგრა მეეჭუი, სარიდო და ავცნობა არის. თუ ვირო ძმა არის, აწ მას მოვძულებივარ. ჩემსა თუალსა, ვითა სხუისა ოქრო არის დ თუ მთუარეცაა, მე აღარას მერგების, რადგან არ ჩემია. თუ რამინ არის,

ცუდად მფერებელია. შენცა იცი, რომე მისსა ენასა ღორებისაგან კიდე არა აქუს. ენად მაღორებელია კაცისა და საგრძელოდ სიყუარულსა ზედა დაუდგმელიო. ენა მისი საუბრისა ყამსა შაქარია, მაგრა უკანის ნავღუელი დ ბიჭობითა სავსეა. მე გლახ ვარ გაწბილებული ათასისა საქმისაგან უსაქმო და ათასისა მიჯნურისა და მოყურისაგან უმოყურო. ძმაცა მივის, ქმარიცა და მოყუარეცა, და ამა სამთაგანვე ცეცხლთა ზედა ვიწუი. მე სახელი ოდენ დამრჩა ქრმოსნობისაგან, მე საყუედური ოდენ დამრჩა მიჯნურობისაგან. მე იგი ოქროსა ტაშტი არად დიდებად მიჩნს, რომელსა შიგან მტერი ჩემსა სისხლსა დაღურიდეს. თუმცა ბედნიერი ვყოფილვიყავ, ჩემი ქმარი ვიროსგან კიდე არვინ იქნებოდა. არცა რამინის პირი მენახა, არცა მოაბადისი, რომელ მოყუარესა გუანან და მტერნია სამულველნი. ერთი ვითა ჭირია, მიწყით სულისა გამპატიჟებელი დ ერთი საჩემოდ, ვითა ჭიქასა თანა ქუაა; ერთისა გული ქუისაებრი დაუდგმელია და მეორისა გული უსამართლოსა მძებნელიაო.

კდ

მოაბადისაგან ვისის წამოყუანა და მარავს მოსულა და ხუარასანსა

ხუარასანი ფალაურითა ენითა ამოსა და მომცემსა ქუეყანასა ჰქუიან. ერაყისა და სრულისა სპარსეთი-ს საჭამადი სპარსეთით და ხუარასნით მოვა; ამო მიწა-წყალი დ წმინდა ჰაერია დ თუით მარავი ქალაქი ხუარასნისა შიგან ეგზომ ამოა, ვითა თუალთა შიგან მაისი; კაცისა გასასვენებელია და სამოთხესა ჰგავს.

რა შაჰი მოაბად კარგითა ეტლითა შემოქცეული ქოისტა-ნით მარავს ქალაქს მივიდა, კოშკთა ზედა ჯდა, ვითა სოლო-მონ დ ბალავ, დ თამაშობდა: მუნით უჭვრეტდა ველთა, ბაღთა და ვენაკთა ამწუანებულთა და აყუავებულთა. სიცილითა და ლა-ღობითა ვისის ეგრე უთხრა:

— ნახენ, ველნი და ვენაკნი. შვენიან შენისა პირისაებრ. წყალი, მიწა, ბოსტანი, სათიბნი, ველნი და წალკოტნი, მთა და ბარი მარავისა ღმერთსა ვითა ედემი შეუმკიან. ამას რად არ მითხრობ, ჰე მთუარეო ჩემო, მარავი უფრო გიამების, თუ მაჰისა ქუეყანა? მე მარავისა ქუეყანა მირჩევნია ამით, რო-მელ მისი ქუეყანა ცასა ჰგავს, ვარსკულავითა შემკობილსა. თუ სთქუა, სამოთხე არის ღმრთისა წყალობითა სავსე. ვითა მა-ჰისა ქუეყანისაგან მარავი უამესია, ეგრე მე ვიროსგან უფრო

ვარ. მე მაჭისა ქუეყანისაებრი ქუეყანა დია მაქუს დ ეგრევე ზემდგომი ყმა გიროსებრი დია მყავსო.

ვისმან პასუხი რაგუარი გასცა, ნახე ვით უპატიოდ ქუბნა. მიჯნურობისაგან ვითა ლომი გაგულოვნებულიყო და ვირისაებრ აღარა შესწონდა. ეგრე მოახსენა:

— ჴელმწიფეო, მარავი და მაჭისა ქუეყანა ამოა თუ არა, ღმერთმან შენ გიბედნიეროს. მე აქა დია უნებლივ დაპყრობილვარ; ვითა ნადირი, ბადესა შიგან ბმულვარ. თუმცა რამინის ნახუისა მიზეზი არ იყო, აწმცა შენ ჩემი სახელი გარდასრულთა თანა გესმის. მაგრა რა მას ვნახვიდე, მაჭი და მარავი სწორად მიჩნს. თუმცა გული ჩემი არ მისთუის დამედვა, აქამდიმცა თავი არ მიცოცხლებია. მე იგი მეწალკოტე ვარ ვარდისა მნერგავი, რომელ ეკალსა ვემუდარები ვარდისათუის. მე შენ რამინის გზითა შეგეპოები, ამით რომელ ჩემი გული ნახუთევად მას აქუს.

მაჭინ-მა რა ესე მძელი პასუხი მოისმინა, წყრომისაგან პირი გაუწითლდა, მერმე გაუყუითლდა, გულსა ისრად დაესო და ჯავრისა მისისაგან ათრთოლდა. ესრე გაწყრა, რომელ მოკულასა ლამოდა. კულა სიყუარულმან და ცნობამან მორია. რა გაწყრის, ცნობა წინა დაუდგის, და რა გაფიცხდის მისისა სიკუშტისა ცეცხლსა ღმრთისა განგებამან წყალი დაასხის. რადგან ღმერთსა მისი სიცოცხლე გაეგო, კაცი მას მტერობითა ვით მოჰკულვიდა? ვერავინ მოერევის მტერთა თანა, ვისცა ღმერთი სცვიდეს: დაეხსნების ლომისა ჭანგთა და პილოსა ხორტუმსა. ვითა მრავალჯერ მშვიდობით დარჩა ფათერაკისაგან! საქონელსა ჰგუანდა დამალულსა ნაოკარსა შიგან ვისი, ყო-

კელთა კაცთათუის შეკრული და რამინისთუის ოდენ გახსნილი.

რა დიდსან აშფოთებული წყრებოდა, ცნობამან მოერია შაჭი მოაბადს და ვისსა ავი საქმე აღარა უყო, მაგრა გინება დაუწყო და ეგრე უთხრა:

— ჵ ძაღლისა შექმნილო, ბებლთა და გრძნეულთა გაზრდილო, წელნიმცა მოსწყდების შაჭროს, რომელმან გშობა! სახლიმცა აოკრდების ვიროს, რომელ უსჯულოსა და მაგალითისაგან კიდე არა გამოვა შენისა გუარისა! გულისა მართლე განადამცა გული იყო და ავისა ხისა ნაყოფი განადამცა მწარე იყო. ადრაბადი, ფარასიზადი, ვიპრონდი, აბანოზი, ვისი და შირინი უკულანი თუითო მამისა შექმნილნი ხართ და ბოზისა ნაშობნი და გრძნეულთა გაზრდილნი. შენ ოდენ შაგდებოდი ჯიმშედის გუარისა და შენცა მოაყივნე ჯიმშედის გუარი. აწ სამი გზა წინა გიძს, სადაცა გწადიან, მისდიოდე: ერთი გურგნისა, ერთი დევმანდისა და მესამე იამანისა[1] და ნიავანდისა. აწ იქა წამავალ, რომელსაცა გზასა გწადიან! შენიმცა წინამძღუარნი მაცდური და დევნი, და სადგურნიმცა შენნი ნაოკარნი და უწყლონია, გზათამცა ყოველგან ორმო დაგხუდების, კლნიმცა გუელთა სავსეა და მთა თოვლითა, წყალიმცა სამსალიანი, და კელთა ნაყოფი უმოკრიანი; დღისითამცა ლომი მოგეგებების და ღამით მაცდური, წყალთამცა დიდი დაგხუდების და კიდი აოკრებული. ღმერთიმცა გრისხავს, რომელ რა დაიბადე, ჭირი არავის დაუდიეო!

რა ესე ბრძანება ესმა ვისსა, შეუნებით უაუგოსა, მოა-

[1] ვარიანტი: «ამიანისა».

ბადის სიტყუისაგან მეტის მეტად გამხიარულდა, ვარდისაებრ აყუავდა, თაყუანისცა და კიდე წამოვიდა.

ქმ

მოაბადისაგან ვისის გაშვება

ქიმასსა ეგრე უთხრა:

— წავე, ძიძაო, სამასხარობლო სთხოვე შაჭრილს და ეგრეცა ვიროს გაახარე. ხაბოძვარი აიღე, ეგრე მოახსენე: «მოვიდა და შენი საყუარელი, მოყუარე შენი, ამოვიდა ელვარე მზე შენი, სით არ მოელოდი; იმედისა შენისა ნიშანი გამოჩნდა, სით საეჭუო არ გქონდა. აწყა სიმარტოვე მოგაშორა ბედმან, შენთჳის ხუარასნით ორი მზე გამოსულა-თქუა და დედასა ჩემსა გაახარენ და მოახსენე, ყეშჳისაგან მზე დაეხსნა, ბედსა სვიანსა მისსა გაელვიძა და მომართა თავისა გუარსა პატიოსანმან თუალმან. რადგან ღმერთმან მოაბადისგან გუიხსნა, ვითამცა ყოველთა ჭირთაგან ხსნილვარ-თქო.»

მერმე მივიდა, მობადს ეგრე მოახსენა:

— მაღალო ჴელმწიფეო, მიწყითმცა მხიარული და ცოცხალი ხარ ეგრე, ვითა შენთა მოყუარეთა გაეხარების! მტერნი შენნი მოგაშორნეს ღმერთმან! მე ვირე ჴცოცხალვარ და სულნი მიდგან, შენი გულითა მლოცავი ვიქნები. აქათგან ესეთი ცოლი შეირთე, რომე თქუენი შესაფერი იყოს და ჩემები ასი მკე-

ვალხი ჰყუეს. ასდენ კეკლუცი და შუენიერი შეირთე, რომელ ვინცა მტერმან ნახოს, დაუმძიმდეს და დაბრმდეს შურითა, გუარიანი მეტის მეტად, სიწმიდითა და პატიოსნობითა ქებული, ვითა მზე ყოველთა თუალთა სანატრელი და ვითა სული ყოველთათუის საყუარელი. უშენოდმცა მე ვცოცხალვარ მხიარული და უჩემოდ შენ ღმერთმან დიდება მოგცეს და მოგიმატოს; ასრე ქნას, რომე ორთავე სინანულად არ გაგვიხდეს და ნება აღსრულებით ვიყუნეთ, რომელ ერმანერთი არაოდეს ვახსენოთ.

საჭურჭლეთა კლიტენი მოაბადს ჴელთა მიათუალნა და ეგრე მოახსენა:

— სხუასა მეჭურჭლესა შევედრენ, რომელი შენსა სადედოსა შიგან ჩემსა უკეკლუცე იყოს და უერთგულესი. ღმერთმან უშენობითა მე ნურა დამაკლოს და უჩემობითა შენ ნურა დაგიმძიმოსო.

ესე თქუა და თაყუანისცა და წამოვიდა. და რაცა მონა და მჴევალი ჰყუა ნასყიდი ვისსა, ყუელა ათავისუფლა და გააზატა.

რა წამოვიდა ვისი, მოაბადის დარბაზი უმისო აიშალა და დაბნელდა. ყოველთა კუთხთაგან ტირილისა ჴმა გამოვიდოდა. შავი მოაბადის ნატამალნი დედანი დაღრეჯით შეიქნნეს დ ტიროდეს მისისა წასულისათუის. აკოცეს ერთმანერთსა და გაიყარნეს. მრავალისა თუალი ტიროდა მისთუის და მრავლისა გული იწოდა მისისა მოშორვებისათუის, მაგრა ყოველთაგან რამინ განაღამცა უსაბრალოე იყო. რა წასულა ვისისი დაისმინა, შეჭირვებითა ცნობათა მიჰჴდა, ვითა მფრინველი თავ მოკუეთილი ფრთხიალებდა. რა სულად მოიქცა, არ გამოისვენა წამსა-

ცა ერთსა შეჭირვებისა, გულის ტკივილისა და შეუშრომელად ცრემლთა დენისაგან.

კულა ავად გახდა,—პირველ გამიჯნურებისა აწ უძნელე იყო. თუცა ტირილითა არ ერგებოდა, ღონედ ეგრეცა იგივე ჰქონდა: ზოგჯერ მოყურისათუის იზასდის, ზოგჯერ გულისათუის ტიროდის. დღე და ღამე გულსა კუბნებოდა და თუალნი ვერ დაიხუჭნის. ეგრე თქუის: «უღონო ქნილო გულო! გაგიშავე-ბია ჩემი ტანი და სული, მიჯნურობისა დაღითა ნათელი დღე გაგიშავებია, სიხარული ჭირად შემცვალებია, სიცილი ტირი-ლად, სიმრთელე სნეულებად და ისრისაებრი ნაკუთი მშვილ-დად შემქმნია. აწ ნახე სიმწარე მიჯნურობისა, თუ უმოყუროდ ცოცხალიყო. ერთსა წამსა უმისოდ ყოფა ვერ გავსძლე, აწ რასაღა გლახ იქ ანუ უმისოდ ყოფა ვით ეგების? აქათგან დია ჭირსა ნახავ, აქათგან დია ნაღუელსა სჭამ უმისობითა. მოი-გონე, გულო, მარტოობისა სიმწარე, დაეჩუიე აწვე ჭირისა გაძლებასა, რადგან ანაზდეულად გაგეყარა მოყუარე, რადგან ვისსა ვერ უჭვრეტ! ჰე, დაბნელებულო ბედო ჩემო, უბედურო, რად დამაგდე უჯუფთო ჲ უმოყურო! ჰე მუხთალო საწუთროო, შენგან ვარ ამა ჯავრსა შიგან, შენ მომეც სიხარული და შენვე შეგშურდა ჲ გაგეყარე უგრძნეულოდ! საწუთროო, თუ შენი კე-ლი არ მუხთლობაა, ცოტასა უმისებრი, რაცა მოგეცა, ეგრევე უსაეჭოდ რაღად წამიღეო.» ესე გუარსა რამინ საბრალოდ გულსა კუბნებოდა და ტიროდა. გული სიხარულისათუის მოე-შორა და თავი გამოსვენებისად. დია *იგონებდა, თუ რათაღა საქმითა დაეხსნას მარტოობისა შეჭირვებასა ანუ რა ბადე და-ღონე დაუდგას თავისა საქმესა.

მერმე შაჰი მოაბადს კაცი მიუგზავნა ვითა: «ესე მე-

ქუსე თუკ არის რადგან ქუე წოლილვარ და ავად ყოფილვარ, აწ ცოტად ძალისა და სიმრთელისა ნიშანი მომცემია, ადრიდ-გან ცხენსა არ ჯდომილვარ, აბჯარი არა მცმია, ცხენნი დამსა-შებიან, ავაზანი და ძაღლნი ქუე ბმითა დარჩუნილან, ქორნი დამშავებიან, ყოფა და ქუე წოლა მამწყენია, ფარმანი მიბომე წავიდე ამულს, გურგანს და ხარავს, მივიდე, კინადირო და ხანი დავყო; სანადირონი კულა გავმართინე და წინაშევე მო-ვიდე.»

რა ესე ძმისა მოციქულობა შაჰი მოაბადს მოახსენეს, შეატყუა რომელ ბიჭობა და მაგალითობა იყო ამა საუბარსა შიგან, და ვისის სიშორე აღარა შეეძლო, არცა შინ ყოფა. გინება დაუწყო რამინს და წყევლა და ეგრე თქუა:

— ნუმცა შენი წალმართი და სიცოცხლეა, ღმერთმან წაგიყუა-ნოს, მაგრა მშვიდობით ნუღარა მოგიყუანოს, სიმრთელე და გა-მარჯუებამცა შენი ნუ. სადაცა გწადიან, წავედ. შენ შენი სული ვისის გრძნეულობისად შეგიწირავს და რა თუალად ნახო, შენთა-მცა თუალთა წინა მოკუდები, შენ ესე ავი ზნე მისსა სულსა თანა ამოგკდების და ამის ავის თესლისა ნაყოფი ჯოჯოხეთიმცა მოგკუდების! ჯერეთ ჩემი სიტყუა ყუელა გემწარების, მაგრა ყუელა საუნჯია შენი. საყუარულითა შეგაგონებ, თუ მოისმენ და ცნობა გაქუს, ქოისტანისა ჯუარიანნი და კარგი ცოლი შეირ-თე; კაცისა შუილი, მეკლუცი. ნუღარა დაეკარები ვისის და ძიძასა, თუარა განაღა ოდესმე მათითა კლითა წაგგები. შენსა ცოლსა გუერდსა გაიხარენ, მას დასჯერდი. თუ ესე არა ჰქნა, თუით ნახო რას წაგეკიდოს! კრმალსა და ლასუარსა ზედა ცეცხლსა დავაგზნებ და მაშიგან შენ და ვისის ორთავე შეგყრი. მე, რომლისა ძმისაგან აუგიანი ვარ, მისსა სიცოცხლესა სი-

კუდილი მირჩევნია. ნუთუ ჩემი სიტყუა ღალობა გეგონოს! გამწყრალსა ლომსა აღარა ეამხანაგებისო.

რა რამინ ესე ბრძანება მოისმინა, დასწყევლა გულსა შიგან ძმა და მათითა საფიცითა შეჰფიცა მოაბადის მზითა, რომელ ჩემსა სიცოცხლეშიგან მაჰისა ქუეყანასა არ შევიდე, არცა შენისა ბრძანებისაგან ბიჯი გავდგა და არცა ვისი პირად ვნახო და არცა მისთა ნატამალთა თანა დავჯდე და გავიხარნეო. მერმე ეგრე მოახსენა:

«შენ არ ესეთი კელმწიფე ხარ რომე მე შენი ორგულობა ვიკადრო და თუ შენისა მზობისა ურჩი ვიყო, თავ მოსაკვეთელი ვარ. თქუენგან ვითა ღმრთისაგან მეშინიან და ვითა მისსა ბრძანებასა მოვისმენ, ეგრევე თქუენსაო.»

ფეპირ ესრე ტკბილად შესთუალა პასუხი და გული სისხლითა ავსოდა; სხუა კალიბად იყო და ისწრაფდა გამართვასა და ვისის ნახუასა.

კვ

რამინისგან ვისის თანა წასულა

ა ქალაქისა კარნი გამოიარნა რამინ დ გამოემართა, გამრთელდა, თუცა ჭირად არცარა წინად სჭირდა. რა ქოისტანით ქარი აქროლდის, ესრე უჩნდის, ვითამცა სამოთხისა სუნი სცემოდის. ფიცხლად იარე-ბოდის, ვითა მიჯნურთა წესია. მოყურისა სანახავად არად ეჭირ-ვებოდა გზისა სიგრძე და არ ეძნელებოდა გზათა სიავე. იგი მგზავრობა თამაშად უჩნდის, რაზომცა დიდი ჭირი ნახის.

აწ აქეთ ვისი ოდეს დედისასა მისულიყო, ურამინობისა-გან შეავებულიყო და დაღრეჯით იყვის. მისი სანდომი მაჯისა ქუეყანა ორმოდ უჩნდა. უმისობითა სამკაული ერთობით კიდე შეეხსნა, ვითა მგლოიარე ჯდის, არცა სჭამდის და არცა სმი-დის; არცა გაიცინის დ არცა რამინის სურვილისაგან კიდე სხუა საგონებელი ჰქონდის. ვითამცა არა თავისა სახლსა ყოფილიყო და არა დედისათუის ეჭურიტა, ვითამცა გულისათუის ხედულ-იყო. რა ძმა ნახის, ვითამცა მესისხლე მისი ყოფილიყო, ესრე უჩნდის. არა იამებოდის ქუეყანაზედა, სისარულთა თანა სიტყუა არცავის მიუგის, არცა გაიცინის. დღისით მზესა უჭვრეტდის რამინის სანაცულოდ და ღამისა სიბნელე რამინის თმათა სიშავისა ნაცვლად იამებოდის. დღე და ღამე ბანთა ზე-და ჯდის, თუალნი ხუარასნის გზისაკენ ჰქონდის და ინატრი-დის—ქარიმცა მოვიდა ხუარასნით და რამინის სურნელი სუნი

მეცა. ღამით იტყოდის, აჰა, თუმცა დილასა მოვიდა რამინ, და დილასა იტყოდის, აჰა საღამოდმცა მოვიდაო. ეგრე თქვის: «ნეტარძი, თუმცა ცხენსა ზედა მჯდომი მაშურალი ვნახო, რომელ ჭირი ჩემკე ექნას და ზურგი მარავისაკე! ნეტარ ვერ ვნახავ ჩემთვის მოსრულსა ჭაბუკად [1] როსტომის საბატონოსა?» დღე და ღამე ჰქონდა ნატრა და შეჭირვება; მიწყით თუალნი გზისაკენ ჰქონდის.

ჯდა ერთსა დღესა ბანთა ზედა მზისა ამოსულისა ყამსა და მისთვის ორი მზე ამოვიდა: მზემან ქუეყანა გაანათლა და ხუარასნით რამინ ვისის გული. ასრე მოვიდა მისად მლხენელად, ვითა სნეულისათვის აქიმი სნეულისა ამსუბუქებლად, იგი მისთა თუალთა და სულთა, ამოსვლად მიწურვილთა, შემქცეველი იყო. რა დაინახა, სიხარულით აჩქარებული ქუე ჩამოვიდა და ერთმანერთსა მოეხუივნეს ვითა უსურვაზნი. სიხარულითა ორნივე ტიროდეს და ღმერთსა მადლი მისცეს. ერთმანერთისა სიშორითა შეჭირვებულნი, შეყრითა ვითა ვარდნი, აყუავდეს. ერთგან ხალვათსა სახლსა შევიდენ. რამინს ვისმან ეგრე უთხრა:

— შენმან გულმან ნება და თევზმან წყალი ჰპოა. არს ესე დარბაზი საკელმწიფო, დაჯედ; დია გაიხარებდი, ვითა გინა ეგრე. ნადირობად მოსვე ხორასნით დ დია ადვილად მოგხუდა ნადირი. მე შენი კოკობიცა ვარ და კაკაბიცა; ველური თხაცა და შველიცა. ამოდ დაჯე, ჩემებრითა ნადირითა იხარებდი; სჭამდი და სმიდი, თამაშობდი და იმღერდი, ვითა გმართებს. მე და შენ გავიხარებდეთ დღეს დია, ხუალისასა ყოლა ნურას

[1] ვარიანტი: «ჭაბუკსა».

მოვიგონებთ. ნებისაებრ ვიყუნეთ, ამით რომელ ერთმანერთი-სათუის ჭირნახულნი ვართ, მიჯნურნი ვართ, ყმანი და ნება პოვნილნი ვართო.

ეხვეოდეს დ̃ აკოცებდეს ერთმანერთსა, მერმე ქუე დაწუეს და დღე და ღამე ისარებდეს, ვითა სწადდა, შვიდი თუე ეგრე დაყუეს და შემოვიდა ზამთარი, მთისა სიცივე. ორნივე მი-ჯნურნი ყმანი ჴელმწიფენი მუხაერსა შიგან იყუნიან. ჰქონდა პატრონობა, სიკეკლუცე, მიჯნურობა, სიხარული. ასრე უკლე-ბად გაიხარნეს, რომელ რასაცა თანა სიხარული ეგების, არას-თანა დაიკლეს.

კზ

ცნობა მოაბადისაგან რამინის ვისთან მისულისა

და ესე ამბავი ესმა შაჰი მოაბადსა, რომელ რა-მინ გამოიჩინა ავი გუარი, მივიდა და ვისსა-თანა კულაცა დაჯდა დ̃ გაწყუედილი სიყუარული კულა გამოუნასკუა,—

არაკი: რამინის გული მაშინ ელევის ვისსა, რა ეშმა ავისა ქნასა ელიოს. ოდესცა კურდგელი გალომდეს, რამინის გული ვისისაგან მაშინღა გამდეს. ოდესცა ჩიტი ქორად შე-იქნების, მაშინ რამინ ავსა ზნესა დააგდებს,—

მაშინღა მივიდა მოაბად დედასა წინაშე და შესჩივლა რამინის საქმე. დაღრეჯით ეგრე მოახსენა:

— ეგების ესეთი საქმე გაუსწორებელისა კაცისაგან, რომელ რამინს უქნია? ვინცა ცნობასა ზედა მყოფია, ვის მოეწონების რამინის ნაქმარი? მისრულა ჩემსა ცოლსა თანა ვისსა და მოუყვარების ჩემი კელმწიფობა და სახელი. ვით მივიდენ ორნი ძმანი ერთსა დიაცსა თანა ქუეყანასა ზედა! ამის უარესი რა ეგების? მე ესე აუგი და ხუაშიადი შენთვის აღრიდგან მიმალავს და რა დამეჭირა, გამოვაცხადე. მით რომელ შენ სცნა ნაქმარი და უსამართლოდ არ მწყევლიდე; მე ასრე მოვკლავ რამინს, რომე შენი თუალნი, გაზაფხულისა ღრუბლისაებრ, იქმნენ მტირალნი. ჩემი თავი ამის აუგისაგან მაშინ იხსნების, რა პირი ჩემი რამინის სისხლითა დავიბანო. შენ ჩემი სამოთხეცა ხარ და ჯოჯოხეთიცა. ესე საჩემო ავი სახელი არცა შენ გიამებისო.

ეგრე უპასუხა დედამან:

— მეცნიერსა კაცსა თავისა კელ-ფეხი თვით აროდეს მოუკვეთია. ნუ მოჰკლავ მას, შენი ძმა არის და მისებრი ძმა სხუა არ დაგრჩების. რა ურამინო იყო, უნატამალო დარჩები. აღარ გიამების უმისო სიცოცხლე და სიხარული. რა არცა სმასა შიგან გუერდით გიჯდეს საყუარელი ძმა,—არცა ომისა დღესა ზურგად გყუეს, არცა მტერსა და მოყუარესა გუერდით საქადურად ზურგით გიდგეს. ღმერთსა შენდა შვილი არ მოუცემია ქუეყნისა საწაღმართოდ პატრონად. რა ღმრთისა განგება, ყოვლისა ადამიანისა სიცოცხლის ბოლო, შენზედა მოვიდეს, შენი სახლი და საჯდომი შენთა მტერთა მიხუდების.

დაჰხსენ, რომელ ცოცხალი იყოს და შენი ადგილი შენად შემდეგად შეინახოს.

«შეგონება: კაცი უკუნისამდე ცოცხალი არ ეგების, გარნა ოდესმე სიკუდილი მოესწრების.»

«სჯობს რომე რამინ ცოცხალი გესვას, ნუთუ შენებრი ქუეყანისა მპყრობელი და ჴელმწიფე იყოს. ძმასა ნუ მოჰკლავ, ცოლი კიდე გაამე და სიყუარულისა კლიტე სხუასა ვისმე შეჰვედრე. კეკლუცნი, მზისა მსგავსნი, დიაც არიან, რომე მათი მკერდი წმიდა ვერცხლია და თმა—ამბარი. ერთი მათგანი გამოარჩიე, გული მას მიეც და საჭურჭლისა კლიტე მას შეჰვედრე, ნუთუ მისისა სადაფისაგან თუალი პატიოსანი გამოვიდეს, რომელ სიხარული მოგეცეს და ადგილი შენი შეინახოს. რასალა გამოელი ვისისა საქმიანობასა? ამისგან კიდე კარგი რა სჭირს, რომე ჯიმშედის გუარისა არის. თუცა გუარად ჴელმწიფე და კარგია, მისსა სიკეკლუცესა ათასი ავი ზნე სდევს. ნუ იქმ, ჴელმწიფეო, ცნობა მოიკმარე დ სულსა შენსა რამინის სისხლითა ნუ დაისური. ათასსა დიაცსა ვისისებრსა ჰპოებ. მის ბოზისა სიყუარულსა გულისაგან რად არ გააგდებ? მე ესე ამბავი კულაცა მასმია და მგონია უარესიცა მასმია მის დუხჭირისა თავსუფლისა. ძმა ვირო კულაცა შეუყუარებია, დღე და ღამე მის გუერდით სმად ზის და ღუინისაგან უფროსჯერ მთურალი არის ვისისა ბედისაგან. ნიადაგ ესე უნდოდა; აწ რა მისუდა, აღარას შეიჭირვებს. შენ უბედურსა რამინს რასალა უწყრები? შენი შემცოდე ვირო არის, არ რამინ; ამიანს არის, მით არის, რომელ შენებრვე ვისისი მიჯნური არის. ერთი ზნე ბოზისა ვისის ესე არის, რომე თუითოსა დღესა თუითო კურო ჰყუეს. ეგეთი სიკეკლუცე და შუენება რა სა-

რგებელი არის, რომელ თუესა ერთსა მოყუარესა თანა არ დაზამს. ვარდსა გავს: თუცა სურნელი და ამო არს, დიდსა ხანსა არ დაზამს და ადრე წავა.»

რა ესე სიტყუა გაათავა დედამან და მოისმინა მოაბად დედისაგან, ამისათუის მაშინვე გულ-კარგად გაკდა. მაგრა ასრე გაუწყრა ვისსა და ვიროს, რომელ წყრომისაგან პირი გაუყუითლ-და. მაშინვე ვიროს წიგნი მიუწერა და სიკუშტითა კალამი კრმლისაებრ გაიმახუა და ესრე მიუწერა: «ვინ გიბრძანა, ამას არ მითხრობ, რომელ ჩემგან უფროსობასა ჰლამი? ვინაა ზურგი ანუ მეშველი შენი, რომელ ესრე გადიდებულხარ? რად არ მითხრობ ამას, თუ ესრე ვინ გაგულოვნებს, რომელ მელსა ლომისა ბუნება აგიღია? შენ ლომთა თანა რად ჰლამი ლომობასა, განჯარი სად მოერევი ანუ სად გაექცევი ლომსა? თუცა ვისი ჩემი და შენი ცოლია და ესრე მექცევი, გვერდით რად გიზის? სად გინახავს ოდეს ერთი დიაცი ორთა ქმართა ცოლი? ანუ ორნი მებრძოლნი პილონი ერთითა ბეწვითა დაბმული რამე არ მინახავს. ნუთუ მუნითგან ქუეყანასი რანიმე აგიხმან ანუ ასაბიანი დიდ მალუანი მოგიგიდებიან და მით გულოვნობ? მე შენგან კარგნი ვერაოდეს რა მინახუან, არცოდეს ვინ ჴელმწიფე გაგიქცევია, არცა მტერი ტყუედ ვინმე წამოგიყუანია, არცავისი შენისა დამამძიმებელისა ქუეყანა აგიოკრებია. რა ოდეს გიქნია კარგი, არავისგან მასმია. შენი გუარი ამაღლებისა ყამსა თავსა ჩალმა იქმს, ჯორსა გავს გუარიანობითა: რა მამა ჰკითხონ, დედასა ახსენებს. შენი უკეთესი მშვილდოსნობაა, მაგრა საგნობასა[1] შიგან და არ ომსა. ცხენოსნად კარგი ხარ,

---

[1] ვარიანტი: «მაგრა საგრობასა შიგან».

მაგრა მოედანსა შიგან უკეთ გააჭენებ ასპარეზობასა შიგან, ვირე ლაშქრობისა და შებმისა ჟამსა. ვირე დედათა ასლავ, ჭაბუკობასა დია ქცდები, თუცა ომისა დღესა და შებმისა ჟამსა, ვითა დიაცი გაიქცევი. მაჯისა ქუეყანასა მიწყით ჰლომობ, და სხუაგან მელიცა დაგიზაბუნებს. ნუთუ ჩემი შიში დაგვიწყებია, რომელ თავისაგან სული ამოგიღო და ჩემთა ლაშქართა მარღუზელთა ნაკრავიცა დაგვიწყებია, რომელ მაჯისა ქუეყანასა შიგან ჯერეთცა ყოველგან კუნესა და კაგლახი ისმის. მაშინდითგან მე იგი მკლავი და კრმალი ჯერეთ მაქუს, რომელ პირით ქუეყანისათ ჩემთა მტერთა დამკოცელია. რა ესე წიგნი წაიკითხო, ცოტად დამელოდე. ამით დღეთა ნაუზმები კრმალი ჩემი გესტუმრების. მე იგიცა მასმია, რაცა ამას წინათ დაგიქადებია და მოასლეთათუის განჩუენებულხარ. ეგრე გითქუამს: «მოაბად უგრძნეულოდ დამესხა და მით წაიყუანა გორაბით ვისი. მე დათვლად ვიყავ; თუმცა მუნ დამხუდარვიყავ, მოაბად ყოლდა ვერ წაიყუანდა ვისსაო.» აწ აღარა მთურალისაებრ მოდათვლებულხარ; თავისა ადგილსა მორჭმული კელმწიფე ჰზი. ჩემი საქმე შენთუის მიცნობებია, შენად ომად გამომართულვარ; საგუშაგოსა ზედა ყოველგან გუშაგნი დააყენე, ყოველი ადგილი გაიმაგრე, ლაშქარნი შეიყარე, ასაბიანი მოიკიდე და, ვითაცა გწადიან, ეგრე დაემზადე. თუით მეცა ადრე მოგესწრები, გავანქრევ შენთა საჭურჭლეთა, თავარ-გიქ შენ და შენთა ლაშქართა. აღარ ეგრე შეგებმი, რომე ცოცხალი სადმე დარჩე და შენებურად გარდაიხვეწო. ქუეყანასა შიგან ეზომსა სისხლსა ვადენ, რომე სისხლისა ღუარი მკუდართა იტანდეს. ვისსა გამოვიტან უპატიოდ და უზეწაროდ ლაშქართა შიგან ქუეითსა ვაცორვებ. ესრე გავჭკდი და მოვაყივნებ, რომელ აქათგან წალმა უსუცესი-

სა მტერობისა ველარავინ იკადრებდესო.»

ესე წიგნი შიკრიკსა მისცა და გაგზავნა გიროსთანა. მაშინვე ლაშქართა უფლასა აცნობა ესე საქმე და შეეკაზმნეს დიდებულნი და ლაშქარნი. შეიყარა უამრავი ზღუისა ქუიშათა ოდენი. ასაყარს ჰკრეს, თუ სთქუა ჯეონისა წყალი ქოისტანისაკე მივაო. ლაშქართა სიდიდისაგან ცისკარი დაიმალის. ესეთი ჭაბუკები იყო რომელ ღომთაებრ სისხლისა მსმელნი. მიდიოდეს ფიცხლად მოწიგნარსა შიკრიკსა უკანა ვითა ქარნი.

რა ფარანდამან წიგნი მიართუა, მოაბადის წყრომისა მიშითა ტანისაგან ძალი წარუვიდა და თუალთაგან სინათლე. ეგრე თქუა:

— მიკუირს ეზომი წყრომა რა არის, ანუ ესრე დანაქადებით საუბარი ჩემი? ვისი მისი ცოლი არის და მისსა დარბაზსა შიგან ჯდა, ზამთრის დღესა სახლისაგან გამოაძო, იგი გუცემს და იგივე ტირს. ორი უსამართლო მისგან გუჭირს. გამორჩეული ჩემი და, ვით მესისხლე, ათასითა უპატიობითა გამოაძო, ერთითა წიგნითა უკანის არცა მოიგონა და არცა უკმო. მან შეგუცოდა და იგივე გუიწყრების. შაჰინ-შა არცა ქუისსა და არცა რვალისა. რად უნდა ეზომი ქადილი და გაჩუენება? ერთხელ ლაშქარი შეყარა და მნახა; მგონია, მოეწონა ჩემი თავი. ესრე გაქცეული და გაწბილებული წავიდა აქათ, რომელ უპატიობითა ქუეყანათა შიგან არავად დაიდვა. ჩუენი ომი არ დამალული იყო, რომელ აწ ვისმე გავაგონებდეთ. მაშინ ძლივ გარდაისვეწა. აწ კულა ფერება რადღა უნდა: ორთა კაცთა ერთისა გატეხილისა მშვილდისაგან ეშინოდა.

მერმე წიგნის პასუხი პირიანი მიუწერა: «დიდო კელმწიფეო, მაღალო და მებრძოლო, ნებიერო! შენისა საცთურისაგან

რა წაგკიდა დაღრეჯილობისა და ავისაგან კიდე? შენ ჴელმწი-
ფეთა ჴელმწიფეო, მბობა გაგივა.

«არაკი: სახამსო ესე არის რომელ წყნარი იყო დ ყო-
ვლისა საქმისა მეცნიერი.

«რადგან პატრონი ხარ, კამს ესე რომელ სიტყუა უნივთო
არაოდეს ბრძანო. მეცნიერნი სამართლიანად უბნობდენ და
თავსა მიწყით მოსამართლეობითა გასახელოვნობდენ. ჩუენშუა
მტერობა უპირულია მით რომელ, მოყურობა და მტერობა
ერთგან უფერია. თქუენ ბედითსა უბნობთ და გუაგინებთ,
ჩუენ ჰერცა ეგრე გაგინებთ. თავისი ცოლი გაგიძია, სხუა-
სა ნურვის აბრალებ. ამისთუის არცა წიგნის მოწერა გინდა
და არცა ომი. აჰა შენი ცოლი, სადაცა გწადიან, წაიყუანე
და თუ მიბძანებ, აწვე ვისსა შენსა წინაშე გამოვგზავნი.
ოდიდგან აქა მოსულა, ღმერთმან იცის, სამჯრის მეტად
არ მინახავს და თუ ვნახოცა, რა საკურველია? ძმა დისა
ნახუისათუის ოდეს ვის გაუყენებია? ცოლი შენი, რა გგავა,
თუ მე გუერდით მიჯდეს, და თუ ავსა რას მეეტყუ, თუით
იცი, რომელ მე უსამართლეობა არაოდეს გამომსულია. გი-
სიცა ამასვე იტყუის და შენცა იცი, რომელ უღალატო მო-
მისხსენებია. აწ ამისად შედეგად შენ თუ არ იცი ჩემი საქმე, მე
გაგაგონო. ამა წიგნითა, რომელ მოგიწერია, შენ მარტო
მისრულხარ ბრჭისასა და ცუდად უსამართლო დია გითქუამს,
მაშინდლითა შებმითა შენ თავი გიქია, გამარჯუებული მე ვარო
და გაქცეული შენ, ეგრე გითქუამს. იგივე მკლავი და კრმალი
ბასრი არისო. არცა ჩემია ბზისა. თუ შენი კრმალი ჯაჭუ-
მუზარადსა სჭრის, ჩემი კულა ქუასა და გურდემლსა: ეგრე
გითქუამს, ჩემი შიში ნუთუ დაგვიწყებიაო. შენ თურე ჩემი

ნაკრავი სიზმრივ ნახე, რომელ მღვიძარესა აღარ გეტკივნა. რა-ცა ჩემგან სათქმელად ჩემი ქება და შენი ძაგება კამს, ჩემად ნაცვლად ყუელა შენ გითქუამს და გისწრია. თუ ესე წიგნი ლაშქართა ზედა წაიკითხო, მრავალი დამალული აუგი გამო-გაჩნდების. ესეცა დაგეყუედრა ჩემდა,—თუ შენი დედა გუარად შენსა მამასა სჯობდაო. კაცისა მამაცისა გუარი ომისა დღესა მისი მკლავი და ჭაბუკობაა. მაშინ გუარსა არ ეძებენ, შუბისა, კრმლისა და ლახტისაგან. ეშინიან თუ,—ომსა შიგან გამოვა-ჩინო, რა შევიყუარნეთ, ჩემი გუარი;[1] და საქმით ვქნა, არ ენი-თა ოდენ ვთქუა. ოქრო-გუარი და ენა-მახჳლობა ერთ დან-გად ღირან, მაშინ, რა ჭაბუკნი ერთმანერთსა შეებნენ. ეგრე საუბარი ქუე დააგდე და აწ ჭაბუკობა იკმარე. დღეს ჩუენი მე-შუელი მკლავი, კრმალი და გული არის ჵ გამარჯუება ღმრთისა ჴელთა შიგან არისო.»

ფარსანდა გარე შეაქცია ვირომან, შაჴი მოაბადს წინა მი-ეგება. რა მოაბად ესდენი ძნელი პასუხი წაიკითხა მუნვე, წყნარად კითხუა დაიწყო, სადა საეჭუო ჰქონდა რომე ვირო-ვისის გზითა ავსა პასუხსა გასცემდა და რა სრულა წიგნი წაიკითხა, სივუშტე და სიცრუე მაშინვე სინანულად გაუკდა. სხუა კაცი გაგზავნა ვიროსთანა, ვითა: «შენ გისხნივართ ყო-ველთა ჭირთაგან, დია ავად შეესმინე ჩემთანა და არა ვიცოდი რომელ უსამართლოდ იყუნეს. აწ მტერობისა რახსისაგან გარ-დაკდომილ ვარ ჵ სიყუარულისა ჭარმაგსა შევრდომილვარ. შენი სტუმარი ვარ თუესა ერთსა. ვით მოყუარეთა და მზახალთა ხუდების, აგრე იურვოდი მასპინძლობისათუის. შენსა დარბაზ-

[1] ვარიანტი: «გამოვაჩინო, რა შეიყარნენ ჩემნი გუარნი და».

სა და წალკოტსა სახელმწიფოსა შიგანა გესტუმრები, მერმე წელიწადსა ერთსა მე შენი მასპინძელი ვარ. ნუთუ რას ამა საქმისათვის მემდურვოდე, აწვე აქა ბძანე და ვისი თანა მოი-ტანე. ვისი ჩემი სულია და შენ ძმა გამორჩეული და შაჰრო ჩემი დედააო.»

რა მივიდა მოაბადის წიგნი ვიროსთანა საყუარლიანი და-დის სალამი და ძღუენი შაჰროსთანა ჰქონდა, კვლავცა დაიმალა მტერობისა ქმა და სიყუარულისა კარდი აყუავდა, სისარული-სა თუალსა გაელვიძა და მტერობა გაქარდა. მიიყუანეს დედო-ფალი ვისი ვითა მზე და მოაბადს შეჰვედრეს. ყოველსა კაცსა გაეხარნეს. თუ სთქუა, ქორწილი მაშინღა იყო: თუესა ერთსა მუნ გაიხარნეს, ინადირეს, იასპარეზეს, სმიდეს, მერმე ხორასანს მომართეს და მაჰით მარავს ქალაქსა მივიდეს.

მოაბადისაგან საცეცხლის აგზება ვისის საფიცრად

რა მარავს ქალაქშიგან მივიდა შაჰან-შა, გულ მხია-რულობდა და ვისის სისხლისაგან მზე მისი ვისის პირი იყუის და მუშკი მისი—ვისისა თმა.

ერთსა დღესა ამოდ ჯდა გულ მხიარულად ვისსა გვერ-დით და ეუბნებოდა რამინის სიყუარულისასა ჯითა, ეზომი

ხანი მაჰისა ქუეყანასა დაჰყავ და ამით გასძლე, რომელ რამინ შენსა გულერდით იყო. თუმცა იგი არ გსლებოდა ჭირისა მაქარვებელად, დილად ღამემდი მუნ ყოფასა ვერ გასძლებდიო.

ვისმან კუშტად პასუხი ეგრე მოახსენა:

— ეგზომ ავსა და ბედითსა ნუ მეეჩუ. ზოგჯერ აგრე მეტყუი, ვიროს ჭყოლიხარო და მისსა ნახუასა მანალულებ; ზოგჯერ ეგრე მეტყუი, რამინს ჭყოლიხარ. რად მაყუედრებ ეზომსა?

«არაკი: ნუ ეჩუ ჯოჯოხეთსა ეზომ ცხელსა, ვითა იტყუიან, და ნურცა დევსა ეზომ დუხჭირსა, ვითა უზრახვენ. თუცა მპარავისა კელი მპარობაარ, ტყუილსაცა დიდად უზრახვენ.

«ესე შენ თუით იცი რომელ, ვირო მონადირე არის და წამსა ერთსა შინ არ დაჰყოფს, სხუა კელი არა იცის ბურთობისა, ნადირობისა და დიდებულთა თანა სმისაგან კიდე. რამინს იგივე ზნე სჭირს, რომელ ვიროს, და მისი თუით მოყუარული არის. ამა ქუესსა თვისა ვითა ორნი ძმანი თამაშითა შექცეულან. ყმასა კაცსა ყმა კაცი ბერისაგან უფრო უყუარს, ამით რომელ უფროსი სიამოვნე სიყმე არის. კაცისა სიკეკლუცე და სიყმე ღმერთსა ვითა სამოთხე დაუბადებია. რა რამინ მაჰისა ქუეყანასა მოვიდა, მან და ჩემმან ძმამან გაიხარნეს ნადირობითა, ბურთობითა, სმითა გაგებითა. არ ეგების, რომელ ვინცა ვის შეუყუარდეს, ყუელა შემცოდე და საკლავი იყოს და არცა ესე, რომელ ვინცა მიჯნური იყოს, ყუელა ღალატსა და მოღორებასა მოყურისასა უდგებოდეს. არ ყუალასა გული მენებრ ღალატიანი არის და არ ყოველი კაცი შენებრი შეუპოვარი არისო.»

შაჰი მოაბადს გაუკვირდა და ეგრე თქვა:

— თუ ესე ესრეა, კარგია; რამინ საკურთხეველი არის, აღარ დასაწყევარი. აწ შენ შემომფიცე, რომელ შენ მუნ რამინს არა ჰყოლიხარ. რად გეშინიან? შეუცოდებელმან ფიცითა გამოაჩინე შენი სიმართლე. შეუცოდებელსა ღმერთი არ გარდააკდევს. მაძღრად უჭმელი პირი არ აყროლდების.

რა ვისსა ესე მოაბადისაგან ესმა, გულოვნად ეგრე მოახსენა:

— ჰე კელმწიფეო სამიშო! მაგა ფიცითა ვერ შემაშინებ, ამით რომელ მართალი ადვილად ჰფიცავს. კაცისა გული რა მართალია, წყლისა შესმა და ფიცი სწორია მისთუისაო.

შაჰინ-შა ეგრე ბრძანა:

— ამის უკეთესი არაა, რომელ შემომფიცო, საეჭუსა და საყუედურსა დაეხსნა და შენთუის ყუელასა მზრახისა ენა დააბა. აწ მე დიდსა ცეცხლსა დავაგზებ, ალვასა და მუშკსა დავაკუამლებ; ამა ყოველთა დიდებულთა და ლაშქართა წინა შემომფიცე ცეცხლითა, მას შუა გამოიარე, რომელ მასვე წამსა რა შემამფიცო, შეცოდებისაგან სულითა წმიდა იქმნე. ამისსა შემდგომად არცა რა საყუედურითა გკადრო და არცა უნებლი სიტყუა. მაშინ ჩემი სული და საწუთრო იქნები, სიცოცხლისაებრ შემიყუარდები, ჩემსა კელმწიფეობასა ერთობით შენ მოგცემ და შენსა სიწმიდესა გამოვაჩენ.

ვისმან ეგრე მოახსენა:

— ეგრე ქმენ, შენცა გაწმნდი და მეცა განმწმინდე მაგა საქმითა. ვირემდინცა შენ გულსა შიგან არა წმიდასა მეეჭუ, შენს სულსა და სჯულსა ყუელასა ივნებ. შეცოდებისა ნახუა და მალვა სჯობს, ვირე უნასაობა და წამებაო.

მერმე შაჰინ-შა უკმო ყუელა ერთობით ცეცხლისა მსახურნი, დიდებულნი და ლაშქარნი მისნი და საცეცხლესა შიგან დიდი საქონელი შესწირეს, რომელ თუითოსა თქუმა არ ეგების: ოქრო, თუალი, მარგალიტი და სოფლები. მუნით ცოტა ცეცხლი მოაღებინა, მოედანსა შინა დიდისა მთისა ოდენი ცეცხლი დააგზებინა, რომელ მისი სიტფო ცამდის მისწუდებოდა და მისი ალი კეკლუცსა დიაცსა გუანდა, რომელ შარიცა პერანგითა ლამაზად იარებოდეს. ანათობდეს ქუეყანასა სრულად მის ცეცხლისა სიდიდე და სიცხითა დამწუელი იყო, ვითა მოყურისა გაყრა, და კუამლი მისი აბნელებდა ჰაერსა ცისასა. და ესე არავინ იცოდა თუ შაჰინ-შას რასთუის აუგზნია ისი ცეცხლიო და ესრე ამაღლდა, რომე მთუარესა ატფობდა მისი ალი.

დადგეს ერთობით ხუარასნელნი დიდებულნი ცეცხლსა წინა. მოაბადის კოშკისაგან ვისმან ნახა იგი საშინელი ცეცხლი და რამინს უთხრა:

— ნახე იმა კაცისა საქმე, ვითარი დიდი ცეცხლი დაუგზნია ჩუენთუისო და იმაშიგან ჰლამის ჩუენსა დაწუასა! აწე ვირე იგი დაგუწუიდეს, მოე და ორნივე გავიპარნეთ აქათ. ჩუენ დავწუათ მობადის გული მისითავე ცეცხლითა. გუშინ მეუბნებოდა მოაბად, ვითა შემომფიცე, რომელ რამინს არა ჰყოლიხარო და მეცა დაუწყე საუბარი და ვალორებდი. აწ აქა მოქალაქეთა და ლაშქართა წინა დიდი ცეცხლი დაუგზნიან და მე იმა ცეცხლსა შიგან გამარებს, იმა კაცთა წინა მამაჴჭვნებს და ეგრე მეტყუის, ამა კაცთა წინა შიშველი შედი, რომელ რამინს არავინ გიზრახვიდესო.

მერმე ძიძასცა ეგრე უთხრა:

— შენ რას იტყუიო, ამა ცეცხლსა ვით დამკსნი? ჯღარ

გულოვნობისა ჟამია, აწ გაქცევისა არის. შენ დია ღონის ამ-გებელი ხარ და ფრთხილი; გჳითხარ, თუ რა არის ჩუენი ღონე, ანუ ამისგან ვით ვიხსნებით? ესეთისა ჟამსა ღონე სჯობს ჭაბუკობისა.

მერმე ძიძამან მისებურად მაგალითად ეგრე უთხრა:

— ეგე დია ძნელი საქმე წაგჳკიდებია. მე მაგისისა ღო-ნისა აგებას არ ვიცი. მაგრა ნუთუ ღმერთმან გჳიშველოს და გაგჳიმარჯჳოს. აწ რადგან ესე წაგეკიდა, აქა ნუღარა სდგათ; სადა მე მივიდოდე, თქუენცა წამომყევითო.

სალაროსა შევიდეს და მუნით დია საქონელი, ოქრო, თუალი და მარგალიტი აიღეს და აბანოსა შევიდეს სამნივე. ერთი გზა წყლისა სადინელი წალკოტსა გავიდოდა ესეთი, რო-მელ არავინ იცოდა; მას კურელსა გავიდეს სამნივე და წალკოტ-სა შევიდეს. მოაბადისაგან გულ დადაღულნი მივიდოდეს. მა-ღალი ზღუდე იყო წალკოტისა, რამინ, ვითა ვეფხი, ზედა შეხლტა და ზეწარი ჩამოუშვა; ორნივე ზეწრითა ზე გაიყუანნა და იმიერით ჩაასხნა. თვით უჭირველად ჩახლტა. სამნივე ზეწრი-თა, ვითა დედანი, პირ დაბურვილნი წავიდეს.

იცოდა რამინ ერთი ვენაკი, რომელსა შიგან ერთი კარგი მეზჳრე იყო, მოყუარე მისი. მაშინ მისასა მივიდა და მუნ მოისვენეს. მერმე ვენაკით მეზჳრე გაგზავნა თავისა ყმასა კარგსა მისანდობელსა თანა და ეგრე უბრძანა, ვითა უკეთესი ცხენნი დამიკაზმენ, ჩემი აბჯარი და თუ რა საჭმადი გაქუს, სულითა ზედა აქა მომიტანენ, რომელ ვერავინ გიგრძნასო. მივიდა და მასვე წამსა, რაცა უნდოდა, შინათ მოართვეს.

რა შეღამდა, შესხდეს და ესრე წავიდეს სამნივე, რომელ ქარი ვერ ეწეოდა. ადამიანმან ვერავინ ნახა. ესეთი მინდორი,

რომელ ვეშაპთა ოდენ სადგომი იყო, უწყლო და უსაძოვრო,—
მათ ერთგან ყოფისათვის სამოთხედ უჩნდა: ქვიშა, ქვა, სიცხე და წყურვილი მათ მიჯნურობისაგან ღმრთისა წყალობად უჩნდა და ერთმანერთისა სიახლისაგან ვერცა სიცხესა იგრძნობდეს, ვერცა სიცივესა. ვითამცა თამაშად იარებოდეს, არ ეზომ საჭიროსა ადგილსა და გზასა მიდიოდეს. ჩინეთს ქვაზედა სწერის ვითა, მიჯნურთა ჯოჯოხეთი სამოთხედ უჩანს; რა მოყვარესა ახლავს, მიჯნურსა, თუ ბილწიცაა, მას ეტრფიალების. მინდორი ვენაკად უჩანს, თოვლი წალკოტად. მიჯნური მთვრალსა გავს, რომელ, რა კაცსა ეთრობს, ჭირი და ლხინი ყველა სწორად უჩნს.

იგი მინდორი ათ დღე დალიეს და მარავით რეს ქალაქს მივიდეს. რამინს ერთი მოყვარე ესვა კარგი და მისანდობელი; რესა მას კარგი სახლ-კარი ჰქონდა და დია უხვი და კარგი კაცი იყო. სახელი ბეჰროზ შეჰროს-მე ერქუა. მისი სახლი სამყოფად ამო იყო და ყოვლითა კეთილითა სავსე. მილპირისა ჟამსა, რომელ ღამისა სიბნელისაგან გზა არა ჩნდა, რამინ მივიდა ბეჰროზის კარსა გულ მხიარული და ჭირთაგან ჴსნილი. რა ბეჰროზ ნახა რამინ, სიხარულითა არ დაიჯერა, თუ არ მეზმანებისო. ეგრე თქუა:

— ესეთსა ჟამსა რამინისებრი სტუმარი ვისთუის ეგებისო!?

რამინ ეგრე უთხრა:

— ძმაო, ესე ჩუენი ხუაშიადი შენისა სიკეთისაებრ დამალე და ნურავის უთხრობ, თუ რამინ მოსრულა ანუ სტუმარი მყავსო.

ეგრე მოახსენა ბეჰროზ:

— ღმერთმან და ჩემმან ბედმან მოგიყუანა ჩემად სტუმრად. შენ პატრონი ხარ, მე შენი ყმისა ყმა ვარ. თუ მიბრძანებ, სახლისაგან ყუელათა კიდე გავალ. დარბაზი ჩემი და რაცა მაშიგან არის, თქუენი არის და მე ღმერთმან თქუენი სამსახური გამიმარჯუოსო.

მერმე ვისი, რამინ და ბექროზ, ვითა მათ სწადდა, ეგრე იხარებდეს ერთგან ასსა დღესა, ასრე რომელ მათი ამბავი არავინ იცოდა. კარ დახშულნი და გულ გახსნილნი ღვინითა თამაშობდეს და ღამით გამოჩინებისა შედეგად რამინ ჩანგი აიღის, ცემა დაუწყის დ ზედა სიმღერა თქუის და სამიჯნუროთა შაირთა ამოთა კმითა, ვითა,

«ჩუენ ორნი ვარდნი მოყუარულნი ვართ, ერთმანერთისათუის სულთა გავსწირავთ; სიხარულისა განძნი ვართ, მაგრა მტერისა თუალთა ბოძალი ისარი; თუცა ჩუენ სიხარული და გულის ნება გუაქუს, ჩუენი მტერი ამით დის უპატიოდ არის და საწყალად; რაზომიცა ჭირი დაგუემართოს, ჩუენ ერთმანერთს არ გავეყრებით, ვერცა ოდეს სიახლითა გავძღებით; ჩუენ სიხარულისაგან კიდე ვერას ვნახავთ; ბედსა ჩუენთუის ესე მოუცემია. აჰა, ამოო ვისო, რამინს წინა მჯდომო! რამინ შენგან მხიარული, შენ რამინისაგან. აჰა, ამოო ვისო, პირ მხიარულად ბაგე მღიმარეო! არ ვინანი ჩემსა თათბირსა, არ ვინანი ამა ესრონისა ქნასა; ვიხარებ ამა მგზავრობასა, რომე ვისისებრი ნადირი ვინადირე. შაბაშ რამინ, რომელ შენი საწადელი აისრულე! აწ ვითა გწადიან, ეგრე ახარებდი გულსა,—მოყუარეთა ნება ერთგან გაქუს, სამოთხესა შინა ხარ. შენი ვარდი დაუმჭკნარია, შენი მოყუარე მზე არის, რომლისა ბედითა რასაცა ეძებ, ჰპოებ. ღმრთისაგანცა კურთხეულარს მაჭისა ქუე-

ყანა, რომელსა შინა ვისი პირმზე დაბადებულა! კურთხეულმცა არის ვისის სიცილი, რომელ საწუთროცა მისისა სიცილისა მონა არის! მიბოძე, ვისო, ბროლისა ჴელითა საჴელმწიფო-ჭიქა, რომელსა შიგან ღვინო შენისა ლაწუისაებრ წითელი დგას. მე ოდესცა შენისა ჴელისაგან ღვინოსა შევსუამ, უკუდავებად მიჩანს. ღვინო ვერ დამათრობს, შეჭირვება არ მომივა შენისა სიყუარულისაგან, მე ჭირი არ შემწონს. რა ამოდ შემამხედნე, ღმრთის წყალობად მიჩანს. ჩემი პატივი შენგან გაძლიერდე-ბის და შეჭირვება ჩემი შენგან განქარდების. გული ჩემი სადა-ფი არის და შენ შიგან მარგალიტი; ჩემი მკერდი ცა არის და შენ მას ზედან ვასკულავი. ღმერთმან ესე სადაფი უმარგალი-ტოდ ნუ გაკადოს დ ესე ცა უვასკულავოდ. მიწყითმცა შენად არის შენგან მხიარული! მოვა ესეთი ჟამი, რომელ ჩუენსა სა-ხელსა ახსენებდენ და ყოველსა კაცსა უკვირდეს ჩუენი სიყუა-რული, სახელი და სიხარული. ესეთი სიკეკლუცე კამს თუ უკუნისამდე იხსენებოდეს. გულო, თუცა დია ჭირი და სასჯე-ლი ნახე, აწ მოყურისაგან ლხინსა და გულის ნებასა ხარ. ჩე-მი გული მით სიყუარულითა სავსეა, რომელ მოყურისა პირი მზე და მთუარეა. შენ დღე და ღამე იხარებდი მისითა პირითა და მტერთა და მეშურნეთა სიკუდილსა იგონებ. ხურმა და ეკა-ლი ერთსა ხესა ზედა იქნებიან, ეგრეთვე მიჯნურთა სიხარული და შეჭირვება მისი ერთგან იქნებიან. აწ, გულო, თუ შენ სული შესწირო, მისისა ერთისა კოცნისა მუქაფა არაა. მე სული ასეთისა მოყურისათუის მინდა და საწუთრო ესეთისა საქმისათუის დაბადებულია. აწ შენ სმიდი ღვინოსა, ნუ შეი-ჭირვებ! ხუალე რაცა ღმერთსა გაუგია, იგი წაგვეგიდების. ნუ-

თუ სუალე თუით უკეთესი წარგეკიდოს მისგან, რომელსა დღესა მიელიო.»

ოდესცა რამინ ღვინოსა სმიდის, ესე გუარსა იტყოდის, იმღერდის და უბნობდის. ვისი, ვეღუცთა სანთელი, მსიარულად იყო. არა დააკლეს ორთავე გულის მონაცემი; აქათ ვისი და რამინ ესრე ისარებდეს და იქით შაჰინ-შა ჭირსა და მოყივნებასა და ჯავრსა შიგან იყო, რომელ ვისსა აფიცებდა და საეჭვისაგან გამოიყუანდა.

ოდეს ძებნა დაუწყო ვისსა, ვეღარა პოვა. საწუთრო თუალთა წინა დაუბნელდა. ერთსა დღესა და ღამესა ეძებდეს. მოაბადს ღუიძლსა ცეცხლი ედებოდა და გული თუით მისგანვე დანაგზებსა საკმილსა შიგან ეგზებოდა. რა პოვნისა იმედი გარდასწყუიტა, თავისა სიკუდილი სანატრელად გაუხდა; მერმე ძმასა მისსა ზარდის თავისა საჯდომი შეკვედრნა და მას მიანდუნა; ამად რომელ ძმაცა იყო და მისანდობელი ვაზირიცა.

კთ

მოაბადისაგან გალარიბება ვისის საძებრად

მოაბად, თავით თუისით, ქუეყანათა შიგან ვისის საძებრად წავიდა. მარტო მისთა ეზოძ ქონებათაგან ერთი კრმალი და ერთი ცხენი, რომელნიცა ბუნებად ერჩივნა, წაიტანა და წავიდა. ქუეყანათა შიგან მარტო იარებოდა. გულ ტკივილისაგან და სიყუარულისაგანცა მიუცილებელად ვისსა ასხენებდის. მოიარა ყოველი პირი მიწისა: ოკერი და შენი, ზღუა და ჴმელი, ჭინდოეთი, თურქეთი, საბერძნეთი, ჩინი-მაჩინი, რანი და ერაყი; ვისის ნიშანსა და ამბავსა იკითხვიდა. ვერცა თუით მიხუდა და ვერცარა მისი ნიშანი სხუაგან ესმა. ზოგჯერ არნისაებრ მთათა და კლდეთა ზედა იარებოდის, ზოგჯერ ლომისაებრ ლერწამთა და ტევრთა შიგან იარებოდის, ზოგჯერ გარე-თხისაებრ მინდორთა შიგან იყუის, ზოგჯერ გულისაებრ კურელთა შიგან იყუის. არ დარჩა ადგილი, სადამცა არ ეძებნა.

ხუთსა თუესა ვითა სული და მტერიანი ცურვიდა ვისის გზათა უკანა. ზოგჯერ სიცხითა მისჭირდის, ზოგჯერ სიცივითა თავუწყევარი იქმნის, ზოგჯერ მგზავრთაგან ჭამის პური, ზოგჯერ მეცხოვრებთან ჭამის პური; რაცა მიხუდის, მათითა ცოცხალიყო. ქუე ვერა დაიძინის; ჴელმწიფესა, ნანებიერებსა, მართქუნად მიწა ჰქონდა და სასთაულად მისივე მკლავი. ამა

ხუთსა თუესა ქუეყანათა შიგან იარა. ამხანაგი მისი შეჭირვება იყო ჲ ნადიმი—მგზავრობა. დია ქუა იკრის გულსა ჲ დია სისხლი დაღუარის თუალთაგან. ოდეს უგზოსა გზასა იარებოდის ანუ მარტოდ სადმე დარჩის, ეზომი იტირის, რომელ ტანისამოსი მისი დაიწურვოდის. ეგრევე თქუის:

«რა ვქნა? აჯა სადაა ჩემი ლაშქარი და საჭურჭლე დაუთვალავი, ოქრო და საქონელი? გულისათუის ყუელა გავანქრივე, დავთმე. არცა აწ გული მაქუს და არცა ჴელმწიფობა; მოყურისაგანცა კიდე დავრჩომილვარ და ჴელმწიფობისაგანცა. ესეთსა ჟამსა სიკუდილიცა ამო არის. მისსა მებნასა შიგან რა ერთი ბიჯი წავდგა, თუ სთქუა, ერთი ასო მაშინვე დამაკლდების. მე ჭირი მით მმატების, რომელ ჩემი სული ჩემგან აბეზარ-ქნილა. მე, თუ სთქუა, ქარი რკინისა მეცემის და მიწა ფერჴთა ქუეშე ცეცხლი არის. თვარა კეკლუცი ვნახო, ყუელა გველვეშაპად მეჩუენების. გული ჩემი ღრუბელსა ჰგავს ჲ ჰაერი მკლველსა. ნაღულისაგან ძალი გამომღების. მე სიბერისა ჟამსა თუმცა არ გამიჯნურვებულვიყავ, ესე მიჯობდა ჲ კმდა. ეზომი ჭირი და მიჯნურობა ერთგან არ დამეტევის. ესეთსა ჭირსა შიგან ახალ მოწიფული ყმა დაბერდების,[1] ჩემი ბერისა კაცისა ღონე რა არის? ესეთი სამოთხე მამხუდა ქუეყანასა ზედა, რომე მისგან ჯოჯოხეთი თუალად ვნახე. ესე უარესი მჭირს, რომე მისგან ავსა ნაქმარსა რა მოვიგონებ, მაშინ უფრო გავხელდები მისთუის; რა ნარგისნი მოვთუალნე, მიჯნურობასა უფრო მემატების, ვითამცა მისი აუგი მიყუარდა, ვითამცა მისგან ავის

[1] ვარიანტი: «მოწიფებული ყმა კაცი ჯერ გასძლებს და დაღნების».

ქნა შემამკობდა. მისისა სიყუარულისაგან თუალნი დამბრმობიან და გული უგუნებო მქნია. საწუთროსა ლხინი აღარად მიჩანს. მიჯნურობასა წინათ ძლიერი ვიყავ და ყოვლისა საქმისა მეცნიერი აწ დაუსუსურვებულვარ და ესრე გასრულვარ, რომელ ვერცაღა რას ავსა შევიგებ, ვერცა კარგსა. ცუდად წამიკდა აქამდისი სახელი, წამიკდა სიყუარული მოყურისა, ქარმან წამიღო ჩემი ნაჭირვები, გულსა ცეცხლი მამიდვა! აწ ქუეყანასა შიგან რას ვინ მიზრახავს? ყოველსა კაცსა აწ მოვსძულებივარ და კაცსა წინა ასუბუქებულვარ, შმაგი და მტერიანი ვგონივარ და მართალან. თუით მათცა უარე ვარ. სიხარული და კელმწიფობა დამიგდია და მარტო მინდორთა შიგან ნადირთა თანა[1] გარეულვარ. რად მოვისმინე მაშინ ჩემთა მტერთა და მეშურნეთა სიტყუა, ოდეს შუენება უკლები ჩემი ვისი კელთა მყუა? რადგან უმისობისა გაძლება არა მქონდა, მე თუ ღმერთმან შემიწყალოს და ერთხელ მისი ნახუა მოღამხუდეს, მისსა მზობასა, ვითა მონა, ვმორჩილობდე. ჩემსა კელმწიფობასა დ გვირგვინსა ყუელასა მას მივსცემ; ვირე ვცოცხალვიყო, პატრონი იგი იყოს. აწ რადგან მიჯნურობისა ძალი შემიგიან, რაცა მას იამების, მე მისი ქნა მინდაო.»

რა მოაბად ექუსი თუე იარა ქუეყანათა შიგან, ერთსახე დასაწყლდა, დასნეულდა. საწუთროსა მუხთლობისაგან შეშინდა ღარიბად სადმე უკაცურად სიკუდილისათუის: ნუთუ მტერმან ჩემი ადგილი დაიჭიროს უჩემობითა. შეიჭირვებდა თავისა საქმესა და გამოარჩივა, რომელ გარე შეიქცეს და შინა მივიდეს; აწ ვისის მებნა დაავდოს და იმედსა იყოს უკანის პოვნისა

---

[1] ვარიანტი: «მინდორთა შიგან ნადირთათუის გარეულვარ».

მისისასა. შემოიქცა და მარავს, თავისა ქალაქს, მივიდა. ყო-ველი კაცი მისითა მისულითა გამხიარულდა და სამახარობლო გასცა ყუელამან! ღმერთსა ჰმადლობდეს, შეჰკაზმეს ქალაქი და ბანთა ზედა მზისა მსგავსნი დედანი. ეზომი ოქრო და თუალი შეაყარეს ქალაქსა შემომავალსა, რომელ მის ქუეყანისა გლახა ყუელა გამდიდრდა.

მოაბადისაგან მარავს მოსულა და ვისის ამბვის ცნობა

ოდეს შაჰი მოაბად თავისა სადგომი დარბაზი, ქუე-ყანა და კელმწიფობა ქუე დააგდო და მინდორთა მიმართა, მაშინ რამინ წიგნი მიუწერა რე ქალაქით დედასა და გაასარნა თავისა სიცოცხლითა.

მოაბად და რამინ ერთისა დედისაგან იყუნეს და დედა ზარდისი სხუა იყო და ინდოსა იტყოდეს ზარდისა დედუ-ლად.

რამინის გამოგზავნილი მარავს მალვით მოვიდა, ქარისა-გან უფიცხესად; მაგრა ოდეს მოაბად და რამინ წასულნი იყუნეს, მაშინდიდგან დედისა მათისა ცრემლნი არ შემშრალიყუნეს უმათობისა შეწირვებისათუის. რომელსაცა დედასა მოაბადის და რამინისებრნი ორნი ძენი უსაქმოდ უხინო ექმნებიან, და-

ერთისა დიაცისათუის დედასა და თავისა საჴელმწიფოსა და ლაშქართა ქუე დაჰყრიან და ველთა გაჭრასა გამოირჩევენ; მისთუის შეჭირვება მართალ-ა.

წიგნი მოართუეს რამინისი მისსა დედასა. ეგრე მოწერა:

«საწუთროსან მეცნიერობასა და ძმასა მამწყუიდა ამა მიზეზითა, რომელ ძმა ჩემსა სიკუდილსა ლამოდა, ჩემთუის მკუეთისა კრმლისაებრ უწყალოა, ჩემსა და ვისის დაკოცასა ლამოდა. რადგან ქსეთია, მე ერთი თმა ვისისი მისებრსა ათასსა ძმასა მირჩევია. მე ვისის სიამოვნისაგან კიდე სხუასა ვერას ვხედავ და მაგისგან გინებისა და თრევისაგან კიდე არა მაქუს რა. ოდესცა მაგას ვშორავ, ჩემი სიხარული მაშინღაა. სიკუდილი ჩემი რად უნდა? ძმა არის ჩემი, ერთის მამის შექნილნი ვართ და ერთის დედისა ნაშობნი. ყოვლისა საქმითა მე ვსჯობ,—მოედანსა შიგან ორმოცდაათი მაგისებრი ვერ გამისწორებს. რა მარავი დამიგდია, სიცილისა და სიხარულისაგან კიდე არა მიქნია რა. მაგას ვიახლოა? ვითა ველურითსა ავაზისაგან ბილითა დასაყილი ვარ. ეზომი ჭირი და ფათერაკი მაგისგან არ გვეყოფოდა, რომელ გუჭირდა, კულა ცეცხლითა რადღა გუწვიდა? არ ღმერთია, რომელ ჯოჯოხეთსა მიგუცემდეს. აწ შენ ჩემსა ნურას შეიჭირვებ. აქა, რეს ვარ მრთლად და კარგად. ვისის სიახლითა დია ვმხიარულობ. ესე წიგნი მალვით მომიხსენებია, რომე ჩემი კარგად ყოფნა გაიხარნე. ნურას შეიჭირვებ, საწუთროსა ჭირი და ლხინი უსანოა. დღეს ჩემი ამბავი მომიხსენებია, და წაღმა ვითაცალა ვიყო, მასცა გაცნობებ. მუნამდის ქუეყანათა შიგან ვიარები ლარიბად, ვირე მოაბადის ადგილი უმოაბადისოდ დარჩებოდეს,

მერმე ღმერთი და ბედი ჩემი მისსა ტახტსა დამსვამს. არ უკუდავებისა წყალი უსვამს, არცა სული მისი მთათა ზედა დაუბამს, და თუ რაი უჩნს და არ მოკუდეს, შენმან სიყუარულ-მან, ლაშქართა შეკჭური და ტახტისაგან ჩამოვითრევ და მე და გისი დავსხდებით. დიდხან ესრე ყოფა არ შეგვიძლია. ესე ჩემი სიტყუა დაისწავლე, რომელ ესე საქმე ადრე იქნების. გისი დია სალამსა და თაყუანისცემასა მოგახსენებსო.»

რა მისმან დედამან რამინის წიგნი წაიკითხა, გახარებულმან ღმერთსა მადლი მისცა და ჯმას სიხარულსა ზედან მეორესა დღესა მოაბად მოესწრა, შინა მივიდა და დიდი გასცა. სა-წუთროსა მინდობა ასრე არაა, რომელ იგი ბერი დედა შვილთა მიზეზითა ზოგჯერ ტიროდის და ზოგჯერ იხარებდის. ნუ იქადი მისსა ლხინისაგან, ნუთუ ქადილი ცუდად წაგივიდეს და ნუცა საწუთროსაგან სჩივი; ვირე მასვე არ მოსწადდების, ჩი-ვილიცა უსარგებლოა.

რა შაჭი მოაბად კვირა ერთი შინა გამოისვენა, დარბა-ზობა შექნის და კიდევ, მალე გაყარის; ვითა მგლოიარე და-ჯდის, მიწყით დაღრეჯილი იყუის. დამესა ერთსა დედამან ეგრე მოახსენა:

— რად ხარ ნიადაგ დაღრეჯილი, რომე წამსაცა არა გაქუს სიხარული? რა გჭირს ეგეთი? ერანისა და თურანისა პატრონი ხარ, ჩინით ყიროვნამდის ყუელა შენია და შენსა ფარმანსა ქუეშე არის. ნუ ხარ მიწყით ესრე შეჭირვებით. უმხია-რულობისათუის შენი სული რად არ გებრალების? ანუ მე ბერი დედა შენისა ეგრე ხედვისათუის რად არ გეწყალვი?

«შეგონება: ყოველი კაცი სიბერისა ჟამსა გაკეთდების, რა სიყმისა სირეგუნე დააგდოს. ამით რომელ მას სიბერე

მასწავლებად ქურდვის, თმა თეთრი შემაგონებლად. ავსა საქმესა ზერი აღარ დაებმის და სიბერესა შიგან სიყმესა ვეღარ ქმენს.»

«შენ ვითაცა ჭზერდები, უარე და უარე სარ. შენითა ეგე გუართობითა გული ჩემი დაგიწყლულებია. ჯენაარ, რომე ჩემი შეიგონე და შენისა თავისა.

შაჭინ-შა ეგრე მოახსენა:

— დედაო, ჩემი საქმე ესრე არის, ვითამცა ჩემი გული ჩემი მებრძოლი იყო. ვისის სიყუარულისაგან წამსაცა ვერ გამოვისვენებ. რაჟამსაცა შევაგონებ, არ მომისმენს და არცა სიხარულად უჩანს. ექუსსა თუესა ქუეყანათა შიგან თავისა გზისა უმეცარი მარო[1] და ღმერთმან იცის, თუ რა ჭირი ვნახე. აწ შვოთი და შემჭირნე ამად არის, თუ უმოყუროდ რად ვარ ცოცხალიო. ვირე ესე გული ჩემსა ტანსა შიგან არის, სხუისა მტერისა მბრძოლად არა მცალის. მე თუმცა-სით ვისის ამბავი მესმა, შეჭირვებისა ჭირი დამიმოკლდების. ესრე ამითქუამს ღმრთისადა, თუ ვისი ვნახო, ერთობით კელმწიფობასა ჩემსა კელთა შევედრებ, მას მივსცემ და მისისა მზობისაგან კიდე აღარ გამოვალ. რაცა ჩემთუის შეუცოდებია, ყუელასა შეუნდობ. ვირე ცოცხალვიყო, არ დავაყუედრებ, არცარას რამინს უზამ ავსა. მშა არის ჩემი და იყოს აქა ჩემად იმედად და ზურგადო.

რა ესე სიტყუა ესმა დედასა მისსა, მისგან გულსა ცეცხლი მოედვა რამინის საქმისათუის. ესრე ატირდა, რომელ უბენი დაისოვლნა, კელი გამოუღო შაჭინ-შას და ეგრე მოახსენა:

— მტკიცედ შემამფიცე, რომელ ავი არა უყო რამინს,

[1] მარო—ნიშნავს მარონინა, მატარა.

არცარა ვისსა და არცარა ემტერებოდე და რაცა აწ შემომ-
ფიცო ყუელა გაასრულო, რა აქა მოვიდე; დია არ გამაწბი-
ლო ღმერთსა და კაცთანა და მე მოგახსენო სადაცა არიან და
რა ესე შემაჯერო, მაშინღა გამოგიცხადებო.

მოაბადს რა ესე ესმა დედისაგან, სიხარული შექნა და
ფერკთა მოეხვია, შეეხვეწა და ათასჯერ პირი და კელნი მოუ-
კოცნა. ეგრე მოახსენა ვითა, ვიცი რომელ ჩემი სიცოცხლე-
გინა და მე, ვითა მმართებს, აგრე შენი მოყუარული და მბრძა-
ნებლობისა ქუეშე მყოფი ვყოფილვარ, აწ გამომიყუანე მგზება-
რისა ცეცხლისაგან, მეწიე და შენითა სიკეთითა სული ჩამიდ-
გენ. მე შენსა მბრძანებლობასა არ გარდავჴდები და რასაცა ზე-
და გწადიან, შემოგფიცავ.

მერმე შეჰფიცა მშობელსა დამბადებელისა ღმრთისა ძალი-
თა და ყოვლითავე საფიცითა, რომელ რამინს ავი არა უყოს,
არცარა მისთვის მოიგონოს და სამისოსა მტერობისაგან გუ-
ლი გაიწმიდოს, არცარა დაამძიმოს და არცარა დააკლოს,
ვითა საყუარელსა ძმასა მართებდეს, ეგრე დაიჭიროს და სწყა-
ლობდეს. აგრევე ვისი საყუარლად დაიჭიროს და დედოფალი
იყოს დიდი, რაცა შეუცოდებია, ყუელა შეუნდოს და არცაღა
ახსოვდეს, არცაღა დააყუედროს და მისად საყუარლად იგრ-
უხნდესო.

რა ესე შეჰფიცა შაჰინ-მა და შეაჯერა, რომელ ვისისა
და რამინს ავი არა უყოს და არა უღალატოს, მერმე მასვე
წამსა მისმან დედამან წიგნი დაუწერა რამინს თანა და ყუელა
წურილად გააგონოს მოაბადის საქმე და სამისოდ ფიცი, და
ეგრე მიუწერა:

«ჵ მშობლისა სულო, შენი სამოთხე[1] და ჯოჯოხეთი ჩემი სიტყუა არს. თუ ჩემსა სიტყუასა არ მოისმენ, ღმრთისაგან ჭირისა და სასჯელისაგან კიდე არა მიგხუდების რა. ესე წიგნი წაიკითხო, სწრაფით წამოე, ნუთუ ვითა ცოცხალსა მამესწრა. უშენობისა ტირილითა თუალნი დამბრმობიან და სულნი ჴორცთაგან მიმწურვიან გასაყრელად. ჩემისა სისარულისა სანთული დავსილა და სულისა ჩემისა ვარდი დამჭკნარა. შენდა მოსვლამდის, ვითა მითქუამს, ესრე ვარ და შენისა ნახვისათუის ღმერთსა ვევედრები. შაჭინ-შაცა შენთუის ჩემებრ მტირალია; რაცა შეძლო შენთუის ქუეყანათა ზედა იცადა და ღმრთისაგან კიდე არავინ იცის, რაზომი ჭირი ნახა, შიმშილი და წყურვილი გასძლო და ასლა მოსრულა შინა და შენთუის დია სურიან. მისისა ჭირისა წამალი შენი ნახუაა. ჩემთუის გულმართლად შემოუფიცავს, შენ ავი არა გიყოს, შეუნდვია შენდა ყუელა შეცოდება, აქათგან ვითა თავისა სული უყუარს და ამა მისისა მეორისა ძმისაგან შენ უფრო სასპატიოდ დაგიჭირავს, აგრე მისთა ლაშქართა ზედა პატრონი და ამირსპასალარი შენ იყო და შინა პატრონი და დედოფალი ვისი იყოს და მოაბად ორთავე კარგისა მგონებელი იყოს, სიტყუით და საქმით ღმობიერი და თქუენთა წადილთა მყოლი. აწ შენებურად ნურას საკუირველობ, ნურას გეშინიან, წამოედ, მე მომენდე. უცხოთაგან ვერას გაიხარებ, თუ ყოველიცა ქუეყნისა ოქრო გაქუს. თუ ხუარასნისა პატრონობა მოგხუდების, სხუაგან სამიზეს დარი სასძლი რად გირჩევია? რაზომცა მანდა ჭირი ნახო, ესრე

[1] ვარიანტი: «ჰე მშობლისა სულო და ყოველთა ჭირთა ლხინად შემცვლელო, შენი საქმე».

ვერ გასდიდდები რომელ უჭიროდ აქა თუით ხარ. თუ ღმერთისა ადვილად შენდა თუალი მოუცემია, შენ ძნელად ერთისა კენჭისა რად ქმებო.»

ესე წიგნი გაასრულა, მაშინვე გაგზავნა. რამინ რა მოწიგნარი ნახა, შეეშინდა და მოაბადის დედისა ამბავი იკითხა. შერმე რა წიგნი წაიკითხა, ფიცისა და იმედისა, გაიხარნა და მაშინვე რე ქალაქით წამოვიდეს და მარავს ქალაქს მომართეს. ვისი ჩასვა კუბოსა, ვითა ბურჯუინსა შიგან თუალი პატიოსანი. თუცა ვისი ფარდაგსა შიგნით იყო, გარეთ ესრე ელვიდა ვითა გავსებული მთუარე, გულის ქონებასა ესრე გაესუქა და მომატებით შვენოდა, რომელ მისი ქება არავისგან მიიგებვის. ექუსსა თვესა რამინ სიხარულით ვისსა გვერდით ყოფილიყო, ვისის ასკეცი შუენება მომატებოდა.

რა მოვიდეს მარავს და მოაბად ნახა, ყოველი ჭირი მისგან გარდანაკადი დაავიწყდა. ვითა ვისსა შვენება ჰმატებოდა, ეგრეთვე მოაბადს სიყუარული მოემატა, აღარ ახსოვდა პირველი წყრომა; ძმისა ნახუითაცა გაიხარნა. დედამან მათმან რამინის ნახუისათუის ღმრთისა მადლი მისცა და ერთმანერთისა ნახუითა დაიწყეს სიხარული და სმა, მუტრიბთა მღერება, საწუთროსა ჭირთა აღარ ახსენებდეს.

ლა

რამინისაგან ვისის მოყუანა მარავს და მოაბადისაგან გამხიარულება და მეჯლიში

და მოაბად, ვისი და რამინ სამნივე ჭირისაგან დაიხსნეს, სხდეს მხიარულნი გარდასრულისა შეცოდებისა შენდობითა; გულისაგან ჯანგი მოიკოცეს. დღესა ერთსა ჯდა შაჰინ-შა მხიარული, ვისი გუერდსა უჯდა, შუენებით ვითა მზე, დ̃ ბროლისა კელითა ჭიქა ჰქონდა და წურილად სუმიდეს. მოაბად რამინცა უკმო დ̃ სამნივე ხალვათად სხდეს. რამინს სასმენლად ჩანგისა კმა იამებოდა და საჭურეტლად ვისის პირი. რამინ თვით ეზომ კარგი მეჩანგე იყო, რომელ რა რამინ ჩანგი აიღის დ̃ ცემა დაუწყის, სიამოვნითა მფრინველთაცა სულნი დაიღიან. ხამიჯნურთა შაირთა თქმა დაიწყის და ვისის პირი ვარდისაებრ აყუავდის, მისგან მისი თქმა იამებოდის. ეგრე თქუის:

«ნუ შეიჭირვებ, წყლულო გულო, არ ქუა ხარ და არცა რკინა. ნუ ემდურვი მოყუარესა და ნურცა გულსა. აწ წამსა ერთსა გაიხარებ ლხინითა, აიღე ჭიქა, დააგდე ჭირი, თუ დღე მოკლე არა ხარ. საწუთრო მბრუნავი არის და ჭირსა ლხინად მოგიქცევს. ეტლმან რომელმან დაგამძიმა, მოიქცევის, რომელ შენდობა გთხოვოს. მოვა ესეთი დღე, რომელ გულმხიარულ

გყოს, ყოვლისა ჭირისაგან აზატი. საწუთრომან გამოგიცვალა ყოფა, მისნიმცა საქმენი შეიცვალებიან.»

რა შაჯინ-შა ღვინო შესვა და ტჳნსა გაუკდა, ცნობას აშორია ღვინომან, სხუა უამესი სიმღერა მოუნდა რამინისაგან. რამინ სიმღერა კულა დაიწყო, ეგრე თქუა:

«სარო ვნახე, მავალი მთუარე გავიცადე; აშენებული და მოუბარი წალკოტი ვნახე, რომელსა შიგან სიყუარული იყო დათესული. ვარდი ვნახე შიგან შვენიერი, ზაფხულისა და ზამთრისაგან დაუჭკნობელი, რომელ დაღრეჯილთა გაამხიარულებდა და მხიარულთა სიხარულსა მოუმატებდა. მე შევედრე გული, საკუთრად მისსა სიყუარულსა საუკუნოდ მივსცემ და უჭვრეტ მის წალკოტისა ნაყოფსა ვარდსა. დღე ჲ ღამე ამით ვიხარებ. კაცსა მოშურნეთა თუალი ვერ ავნებს; რასაცა ვინ ღირსა, ღმერთი მას მისცემს.»

რა შაჯინ-შა ესე სიმღერა და სიტყუანი მოისმინნა, სიხარულითა მოემატა მიჯნურობა ვისისათუის და ვისის მირთმული ღვინო მოუნდა, რომელ მან ღვინომან გულისაგან ჭირი უკუჰყაროს. ვისმან ღვინო მიართუა და ეგრე მოახსენა:

— კელმწიფეთა კელმწიფეო! ათას წელსამც მივი, ვითა შენ გინდა. ყოველთამცა დღეთა იხარებ, ყოველიმცა შენი საქმე და საწადელი ღმრთისაგან სრულია! ამო არს დღეს ჩუენი სმა შენს წინაშე და კამს თუ, გულითა გლოცვიდე. თუ მიბრძანებ და იკადრებთ, ძიძამანცა გაიხარნეს, თქუენს წინაშე უკმე მოვიდეს, ამით რომელ თქუენი დია ერთგული და მლოცველი არისო.

ბრძანება უბოძა, უკმეს ძიძასა ჲ ვისსა წინაშე დასვეს საპატიოდ. შაჯინ-შა რამინს ეგრე უბრძანა:

— შენ მწდეობდე, ამით რომელ კაცსა მოყურისა კელითა

ღვინო უფრო იამებისო. გუსუდების მხიარულად მწდეობდე და სმიდეცა.

რა ღვინო შესვა, რამინ გულის ნადებსა ვეღარა მალვიდა. ვისსა ღვინო მიართვა და მალვით ეგრე უთხრა:

— ჵე ულეველო, მხიარულად სმიდი ღვინოსა ჩემითა ქალითა და შენითა სიხარულითა გამახარეო.

ვისსა მოაბადის მალვით გაეცინნეს, აქო და ეგრე უთხრა:

— ღმერთმან სიხარული ნუ დაგვილიოს; ვირე ორთავე სულნი გუედგნენ, ნუ მოვიკლებთ სიხარულსა. შენ ჩემსა ნუვის გამოირჩევ, რადგან მე არცა სულნი მირჩევნიან შენსა. ნუ დამივიწყებ და არცა მე დაგივიწყებ. შენიმცა გული მიწყით მხიარული არის და მოაბადის გული ღმრთისაგან საჩემოსა საქმისათუის დამწვარიაო.

მოაბად ესე ყუელა მათი საუბარი სრულად გაიგონა; ვარნა ვითამცა არ მასმიაო, აღარა თქუა, დასწყნარდა. მიძასა ეგრე უბრძანა: «მიძაო, შენ მწდეობდიო.» რამინს ეგრე უთხრა: «მეტსა ნუ უბნობ, ჩანგი აიღე და ზედა იმღერდიო.»

მიძამან მწდეობა დაიწყო. მოაბად და რამინ ეგრე ორნივე ვისისათუის გასელებულიყუნეს. რამინ ამო სიმღერა დაიწყო:

«მე მიჯნურობისაგან გამიყუითლდა პირი. აწ ღვინითა სიყუითლეთა ჩამოვირეცხი და გულისაგან ჯანგსა ვარდისა ფერი ღვინო ამიყრის. პირსა ჩემსა მხიარულად ხედავს მტერი ჩემი, ჩემსა სუაშიადსა ვერ შემიგებს; რაცა შემიძლია მოვიჭირვებ, რომელ გულისა ჩემისა ნადები ვერ შეიგნეს. დღე და ღამე ამით მთურალი ვარ, იგი უკეთ დამავიწყებს ჩემსა ჭირსა. იცის

ჩემმან მოყუარემან, რომელ მისთჳს ვარ გულდაწყუედილი. თუ მე ღრმათა სულისა წამლები ვარ, მიჯნურობასა ჩემთუინ წაუხმან სულნი. ჰე ღმერთო ულონოთა ღონეო! შეგიძლია შენთა დაბადებულთა რგება. ვითა ბნელისა ღამისაგან დღესა გამოიყუან ნათელსა, აგრევე ამის ჭირისაგან გული ჩემი სიხარულად გამოიყუანეო.»

დიდხან რამინ ესე თქუა სიმღერად, რომე მისისა სიამოვნისაგან ქუაცა დალბებოდა. თუცა სიყუარულსა მალვიდა, მრავლითა ნიშნითა ახნდა მიჯნურობა. გულისა მონაცემთა ვერ მალვიდა: ცეცხლსა შიგან მყოფი კორციელი წვასა ვერ მალავს. იგი, მას აგეთსა წვასა შიგან მყოფი, მიჯნურობისაგან თუით მთურალი და ყმა აგეთი თუით შაირთა მთქმელი, საყუარლისა მჭურეტელი და მას გუერდით მჯდომი, სიყუარულსა ველარ მალვიდა, არა საკჳრველი იყო. გუბე წყალითა რა აივსოს, განაღა სათმე გზასა შეიქს გასადენელსა; აგრევე სიყუარული რა დასაჭარბდეს: შეგონებაჲ და მეცნიერობა ცუდია მასთანა.

მოაბად რა დაითრო, მზითურთ საწოლს შევიდა. რამინ გულ დაწყუეტილი თავისა გლახ სადგომსა მივიდა, საგებელი გველიან-მყურიანად ეჩვენებოდა და საბურავი ეკლიან-ბირკიანად. მოაბად სიმთურალითა ვისსა ემდურვოდა და ყუედრება დაუწყო. ეგრე უთხრა:

— ცუდია სიკეკლუცე, რა სიმართლე არ ერთოს:

«არაკი: შენ მას ხესა გავ, რომელ შვენიერი იყოს შესახედავად და ნაყოფი მისი სიმწარითა პირსა არ ჩაიშვებოდეს.

«ნასხუა და საუბარი შენი შაქარსა გავს, მაგრა წესი და

ნაქმარი ნაღველსა მიგავს. მიჯნურობითა დია გასირცხვილობულნი კაცნი მინახვან, მაგრა თქუენგან უფრო საკჳირველნი არ მინახვან და არცა მასმიან. თქუენ ეგრე გგონია, რა ჩემსა წინა სხდეთ, თუ მარტო ორნი ვართო. მიწყით მიჯნურისა ბედი ბრმაა, ამით აღარცა თუალთა უჩნს; ყოველთაგან ნასვად აჩნია და ეგრე გონია, არავინ იცისო. ათასითა კუროთა თავი პატიოსანი გონია. მიჯნურთა კენჭი მთისა ოდნად უჩანს. თქუენ ორნივე მიჯნურობისა სიამოვნითა მოყივნებასა აღარ ხედავთ. მე, მთუარეო, ნუ მძაბუნობ ეგრე, ამით რომელ მეტისა შემართება მტერად გაჭკდის მოყუარესა. თუ დღესა ერთსა ჴელმწიფე ვირად შეიქნას, ნუ შემართებ ზედა შეჯდომასა. ჴელმწიფე და ცეცხლი დია შეუპოვარია. თუ პილოსა ძალი გქონდეს და შემართება ლომისა, დამწველისა ცეცხლისათუის ნუცა ეგრე გულოვნობ. ზღუისა სიწყნარესა ნუ მიენდობი, თუარა მაშინცა ნახე რა ღელვიდეს, რომელ კაცი ვერ დაუდგამს.[1] ჩემსა ესრე გაუკუირველობასა ნუ შემართებ, თუარა, რა გული გამიწყრეს, ველარ დამიდგამ. ნუ ააგებ ესეთსა კედელსა, რომელ, რა ამაღლდეს, შენვე დაგეცეს. მე შენისა სიყუარულისაგან დია ჭირნი მინახვან და შენისა სიშორისათუის საწუთროსა სიმწარენი გარდმიკდიან. არა სჯობს ეზომნი უპატიობა, თუარა ზიანი შენვე წაგეკიდების. გირემდის ასრე შეკრულსა მრჯი და მტერობისა ჴრმლითა დაკაფულსა სიკუდილსა მანატრებ?! რა გაგვა[2] თუ ერთხელ გამხსნა და მტერობა დაადგო, სიყუარული მოიღო და შემიბრალო,—და მე ყოველი ჴელმწი-

[1] ვერ დაუდგამს, ესე იგი, ვერ დაუდგება.
[2] რა გაგვა—რა გგავა, რა გენაღვლება, რას დასდევ.

ფობა ჩემი შენ შემოგვედრო! მე ერთი მსახურისა პური მე-ყოფისო.»

რა ესე სიტყუა ესმა, ვისსა სამისოსა სიბრალულისათუის გული დაეწვა და მართალ იყო: დიდი კელმწიფე ესრე გასრულ-იყო მისთუის, მაგრა სიბრალული ოდენ დარჩა; სხუა აღარა ეგებოდა. ეგრე მოახსენა:

— ჰე მაღალო კელმწიფეო და საპატივო პატრონო ჩემო! ღმერთმან უთქუენოდ სიცოცხლე ნუ მომცეს და წამსაცა თქუენ-გან ნუ გამაკიდეგანოს. შენი სიახლე თუალთა ჩენისაებრ მიამე-ბის, სხვის ვისიცა შეყრა ჩემზედა ჭარამია. ჩემთა სულთა შენთა ფერკთა ქუეშე მოვაგებ, ამით რომელ შენთა ფერკთა მტუერი სჯობს რამინს. ამისი საუწყი ნუღარა გაქუს, რომელ რამინ ცოცხალი მამაღოროსლა. ვით შენებრი მზე ღმერთსა ჩემად მოუცემია, სანთლისა სინათლესა რადღა ვეძებ? შენ ზღუა ხარ და ისი სხუანი კელმწიფენი რუნია; შენ მნათობი მზე ხარ და იგი მთუარენია; შენი სიყუარული ჩემისა სულისა სწორად მიჩნს; ერთი თმათა შენთა ბეწვი მირჩევნია თუალთა ჩემთა. მაშინ რაცაღა ვქენ, ეშმამან მიყო. აწ შემინანებია და აქათგან ესრე შეგვაგუო, რომელ მადრიელიყო ჩემგანაო.

გაუკვირდა შაჰინ-შას; ვისისგან ესე სიტყუა კუღა; არა-ოდეს ასმიოდა, თუცა სულთაგანცა იამა. დია იმედი დაუდვა გულ-დებითა, ამოდ დაიძინა თუით უფროცა.

ვისსა ჯერეთ ეღვიძა, მოაბადისასა და რამინისას შეიჭირ-ვებდა. ზოგჯერ მას იგონებდის, ზოგჯერ მას. მაგრა რამი-ნისოდნად არცავინ ესრე ეგონებოდა. ზედადაღმა ფერკის კმა ესმა: რამინ მათ ბანთა თურე ზედა გამოსრულიყო, სადა იგი იუნეს. მიჯნურობისაგან არ დაეძინებოდა და ღამისა სიბნელე

არა ჰკუირდა. ღრუბლიანი ღამე იყო, წვიმდა; ჭაერი რამინის-ებრვე ტიროდა, ამით რომელ მთუარე მისგან დამალულიყო და რამინისგან ვისი. რამინ გლახ ჯდა ბანთა ზედა ვისის ნასვისათვის იმედიანი; ამით თოვლი ქაფურად უჩნდა, ბნელი ღამე დღედ ნათლად, ბანი სამოთხედ და ფოცხურის უპედ ლა-მიანი გზანი. თუცა აშორვიდა, ნასვისა მომლოდნო გულსა ეგრეცა ალხენდა. არაა ესეთისა მიჯნურობისა უამესი, რომე მტერისაგან გამყლავნებისა ეშინოდეს, გამოცხადებასა ერიდე-ბოდეს და გული ეგრეცა ერთმანერთისა ულევად იყოს! რამინს არ სათავისოდ ეშინოდა, მაგრა ნუთუ რა ვისის ევნოსო; თუარა თავსა აღარად სწყალობდა. რა დიდხან ბანთა ზედა და-ყო, სიცივე ამით არ გაუგვირდა, რომელ გულსა ცეცხლი ესეთი ედებოდა. თუმცა ცისა თუითო ცვარი ას-ასად მტკურისა ოდნად შექნილიყო, მისისა ცეცხლისა ნაბერწკალსა ვერ და-შურეტდა. ნოეს რღნობასა გუანდა მისთა თუალთაგან გარდმო-მავალი ცრემლი; თოვლისა და წვიმისა ღუარნი დიოდეს. ჯდა რამინ გულ დაუთმობელი და ღვიძლ დამწვარი; ნება-ნებასა კუნე-სოდა და მოსთქმიდა:

«ჰე მოყუარეო! გკამსების ჩემთუის ესეთი საქმე, რო-მელ შენ შინა იყო და მე თოვლსა ქუეშე? შენ ზედა ყარყუმი გებუროს ნებიერად და მე აქა შიშველი მარტო მუკლამდი ლამსა შიგან ვეფლა? შენ სხუა მოყუარე გუავს და ათასითა ნებიერობითა ქუე გძინავს, და ჩემი ჭირი,—შენისა მიჯნური-სა,—არ იცი, ვით საბრალო ვტირ? აჰა ღრუბელო! ცით ცე-ცხლი დამწვიმე: უგულოსა ჭირი ყუელა იამების. თუ ვსულთ-ქმენ, შენ ღრუბელსა და ჭაერსა დავგწვავ. ჰე ქარო, გაძლიერ-დი და დააქციე მარავისა ქუეყანა, შემარ მისი საწოლი! ნუთუ

გაიღვიძოს და შევეწყალო! მოისმინე ჩემი საბრალო კუნესა, გააგონე რასა ყოფასა შიგან ვარ! მარტო ვზი, თოვლთა შიგან ვზრები, მესისხლეთაგანცა შესაბრალებელი ვარ. ვიცი, რა ჩემსა ესრე ავსა ყოფასა სცნობს, ეწყინების; ასრევე ჩუენთუის იგი ატირდებისო.»

ვისის კულაცა ესმა ფერკისა კმა, უგრძნა რამინს ყოფა და ღონესა ეძებდა. რამინ ვეღარა დასთმო, ძიძა გამოუგზავნა და ძიძისა ჩამოსვლამდის ასრე მოსწრაფებოდა, რომელ თავისა გზა არა იცოდა. ბანთაგან ძიძა მაშინვე ჩამოვიდა, უგულოსა რამინის შეთულილობა ესე ჰქონდა ვისსა თანა: «ადრე დამვიწყებულო მთუარეო, ჩემთა სისხლთა ღურიითა გაუმღომელო, რად გამწირე სრულად? რა სჭამე ჩემგან ესეთი, რომელ ადრე გასმელ? მე არ იგივე შენი ულეველი მიჯნური ვარ, რომელ გენახე? მაშ შენ ჩემთუის გონება რად დააქციე? მე ოდიდგან თოვლთა შიგან ვიჭირვი შენითა გონებითა ჭირვეული და შენ სტავრათა მრავალ ფერთა და ტყავთა შენთა შესაფერთა შიგან გამოსვენებული ხარ. მე შენთუის დაუთმობელი და შენ ჩემი ეგრე დამთმობი, შენ მხიარული და მე შეჭირვებული ვარ. და ვიყო! ნუთუ ღმერთმან ესრე ინება, რომელ შენ გაისვენო და მე ეგრევე ვიჭირვიდე! ნუთუ ღმერთმან ყოველი ლხინი შენად შესაფერად მოგცა, მე ჯერეთცა ულხინოდ მინება და მართალიცაა. შენმცა ოდენ უჭირველი იყავ, მე მმართებს შენი სამსახური, ჩემთუის კამს შეჭირვება: შენ ნაზი ხარ, ჭირსა ვერ გასძლებ. და ესე იცი, მე ვითარი საბრალო ვარ ყოველთა დღეთა და ღამეთა შენი მგონებელი და ნახვისა ჟამისათუის უკანა მდგომი ასეთსა ღამესა, ესრე დაუთმობელი, უძილო, გულ-დაწყლულებული, გულ-უწყნარო. ესეთისა ყოფისა დ სიცივისა-

გან დამკსენ, შენთა უბეთა შიგან გამათბე, მიჩვენე პირი შენი, სულთა მდგმელი ჩემი, მომისვენე შენითა ღმობიერობითა; სულნელი თმა შენი ჩემსა ოქროსაებრ დაყუითლებულსა ყელსა მომასხვიე. ჩემი გული შენისა მებნისათუის დაკარგულა და შენი სიშორე წინა ორმო მქნია და ჩაგდებს სიმარტოითა მისითა. ნუ უარ იქმ ჩემსა ესრე ყოფასა. მე თუ შენისა ნახვისაგან ესრე უიმედო ვიქნები, იცოდე თმობისა ღონისაგან გამოვალ. ნუთუ მკრავ გულსა სიშორისა ღრიანკალსა, ნუ გარდამიწყუედ ნახვისა იმედსა. ვირე ვცოცხალვიყო, შენისა კლდითა შეკრული ტყუე ვარ.»

ესე შეთულილობა ძიძამან უთხრა ვისსა და ვისის უგუამ-ლოდ ცეცხლი მოედვა. ძიძასა ეგრე უთხრა:

— რასა ღონესა ამიგებ, მოაბადისაგან ვით მიხსნი? აწ სძი-ნავს. თუ გაეღვიძების, იგრძნობს ჩემსა საქმესა და ავი წამეკი-დების, და თუ მარტო დავაგდოთ, უღონიოდ გაეღვიძების. აწ ღონე ესეა, რომელ შენ გუერდით დაუწვე. ამას სძინავს და არა იცის; ზურგი შეაქციე, შენი ტანი და ჩემი ერთმანერთსა გავს, ჭარილისაებრ რბილია და თუ ხელი მოგყოს, ესდენ მთურალი და უცნობო არის, რომელ ვერად შეიგებს.

ესე თქუა, სანთელი დაავსო და ძიძა მოაბადს გუერდით დააწვინა. თვით წავიდა რამინს გუერდით მხიარული, კოცნისა სიამოვნითა რამინის წყლულსა მალამა დასდვა ნებისაებრ. ქუე-შე დაიგეს და მრავალი ტყავი ზედა დაიბურეს ერთგან შეყრილთა. ლამიანი პერანგი აიკადა, გულისაგან შეჭირვება გააგდო. ნარ-გისი და ვარდი ზამთრისა ერთგან შეიყარნეს, შვენოდეს ერთ-გან, ვითა მთუარე და მუშთარი, ვითა ვულა გვარიანობა და

სიმდაბლე. მიწა ყუავილითა აივსო მათისა პირისაგან, ჭაერი— მუშკითა მათისა სურნელებისაგან. წავიდა ღრუბელი დ გამოჩნ-და ვარსკულავი. ორნი მიჯნურნი ერთგან შეყრილიყუნეს, ვითა მათ სწადდა, ეგრე ამოდ ისარებდეს. ზოგჯერ სასთაული რამინის ჴელი იყუის და ზოგჯერ გისისი. მათშუა ბეწვი არ დაეტეოდა. ზოგჯერ საგულისოსა უბნობდიან და ზოგჯერ სალაღობელსა. იგინი მუნ ეგრე იყუნეს.

რა შაჰი მოაბადს გამოეღვიძა, ჴელი მოავლო. გუერდით მთუარე აღარ უწვა, მისად ნაცვლად ჴმელი ლერწამი პოვა. რათამცა გუანდა მოწიფებულსა ყმასა ვისის ბერი ძიძა?! ანუ რათა გავს ისარსა მშვილდი? ჴელითა ეკალი და შარი კიდის-კიდე გამოიცნობის. მოაბად განაღამცა შეატყუა, ვითა ვეფხი საგებელთაგან აიჭრა, წყრომით იზახდა, ვითა ღრუბელი ქუხილიანი. ამა ძიძასა გრძნეულსა ჴელი ქსრე მაგრა დაუჭირა, რომელ გამოძრობისა ღონე არ იყო. შაჰინ-შა ეგრე ეტყოდა:

— ჩემსა საგებელსა შიგან დევსა რა საქმე უმსო? მე დევი ოდეს შემირთავს ცოლად? ჩემსა გუერდით შენ ეშმა ვინ დაგაწვინა?

მრავალ ჯერ ჰკითხა, ვინ ხარ ანუ რა ხარო?

ძიძამან პასუხი არა გასცა. მსახურთაგან სანთელი ითხოვა, დია უზახა და უკმნა; მაგრა არცავის გაეღვიძა, ვერცა სანთელი მოიღეს და არცავინ კიდე რამინისგან მღუიძარე იყო. მას გათენებისგან ეშინოდა, ვისის გაყრისათუისცა ნებასა[1] მოსთქმიდა და ცრემლისა მარგალიტსა ვარდისა ფერსა პირსა აყრიდა. ვისი მას დღესა მსმელთა თანა ჯდომილიყო და მას ღამეცა

[1] ნება—ესე იგი ნელად, დაბლა-ხმით.

უძილო იყო. მაშინ ქუე დასძინებოდა. რამინ შეჭირვებით სიმღერასა იტყოდა, ეგრე თქუა:

«რა ამო ღამე იყავ, ყოველთათჳს ღამე და ჩემთჳს ოდენ დღე ნათელი! შენ რა ყოველთათჳს გასთენდე, მაშინ ჩემთჳს დაბნელდები. დაემზადე, გულო, აწ გათენებისა ჟამის, აწ ისარი გეცემის სიშორისა! რა ამოა შეყრა, თუმცა ბოლოდ გაყრა არ იყო! საწუთროო, ავისა ქნისაგან კიდე ჩემთჳს არა იცი! მომცემ სისარულსა და წამსავე წამართმევ; თუ უკუდავებასაცა შემასვამ, მაშინვე ერთსა ჭიქასა ნაღველსა უღონიოდ მომცემ. ავი დღე იყო პირველ ჩემისა გამიჯნურებისა, გული უპოვარად მაშინვე დამეკარგა. რა ვნახავ, სიშორისა შიში მაქუს და სიშორე თჳით მოუთმენელია. ჩემებრ საბრალო ტყუე არავინ ვიცი და არცა დამბადებელისებრი მარგებელი, რომელ მისგან ხსნასა მოველი.»

რამინ ესრე მალვითა უბნობდა, იგონებდა გულსა შიგან და კუნესოდა. თავისა საქმესა შეიჭირვებდა, გათენებისა ეშინოდა, ვისის გაყრისათჳს გული უმცრდებოდა. ვისის ქუე ეძინა და მსახურსა მისსა რამინს ანასდად მაჯი მოაბადის ჴმა ესმა, რომელ იზახდა და მაღლად სანთელსა ითხოვდა. რამინს შეეშინა და ვისი გააღვიძა; ეგრე უთხრა:

— მალე ადეგ, იგი წაგვეკიდა, რისაცა გვეშინოდა. შენ უშიშად ქუე გძინავს, მე შენისა მოშორვებისა შეჭირვებითა და გათენებისა შიშითა მღვიძავს. ერთსა ავსა კრიდობდი და მეორე უძნელესი წაგვეკიდა. ჴმა და ზახილი მოაბადისი მესმა, რომელ ცნობანი წამივიდეს მისისა ზახილისაგან დ ესეთი გული შემექნა, ამა ტალახისაგან ქუე ჩავიდე, თავი მოვჰკუეთო დ ქუეყანა დავხსნა იმა სამულველისაგანო. ესეთი ძმისა სისხლი

ქრთისა კატისა სისხლისაგან უფრო მეადვილებისო.

ეგრე უპასუხა ვისმან:

— დასწნარდი და ცნობისაგან უცნობობასა ნუ იკმარებო. ოდესცა შენი ბედი გიშველის, უსისხლოდცა აგისრულდების შენი საწადელიო.

მაშინვე ფიცხლად ჩაირბინა ბანი. შიჰინ-შას ჯერეთ ღვინო არ მოჰქარვებოდა. მიძასავე დაუჯდა ვისი დ ეგრე მოასხენა: «ესე ჩემი ჴელი დაგიწყლულებია მეტად შემოჭირებითა, ერთსა წამსა ესე სხუა ჴელი დაიჭირე, რომელ ამა ჴელმან ცოტად გამოისვენოს და სადაცა გწადიან წამიყუანე, არ გაუენებო.»

შაჰინ-შას რა ვისის ჴმა ესმა, გაეხარნეს. მისი სიბიჭე და ილათი არ იცოდა. ორთავე ჴელთაგან მიძისა ჴელი გაუშვა და ბადისაგან დაეხსნა სამულველი მიძა. მერმე შაჰინ-შა ეგრე უთხრა:

— სულისა წამღებელო ვისო! აქამდინ რად სულდაღებით იყავ? ოდეს გიჴმე, პასუხი რად არ გამომეც, რომე ამაშფოთე და გული ესრე დამწვიო?

მიძა სრულად მასჴსა დაეხსნა. ვისი გაგულოვნდა, დაიზასნა და ეგრე თქუა:

— ვაგლახმე, რომელ ესეთისა მტერისა და მესისხლისათუის მიწყით დაპყრობილვარ, რომელ მრუდად მავალსა გუელსა ვგავ! რაზომცა მივალ, ჩემი კუალი მრუდად ჩანს. ქუეყანასა ზედა ნუვის მისცეს ღმერთმან ეგეთი ქმარი, მით რომელ მეეჭუი ქმარი ფათერაკისა ბადეა და მძებნელი. ქმარსა ჩემსა შეუჯერებელსა მე გუერდით უწევ და გატეხასა და მოყივნებასა ჴლამის ჩემსაო!

მოაბად, შენდობისა მთხოვნელმან, ეგრე უთხრა:

— ნუ მეჭუ, მთავარო, შენსა უყუარულობასა. შენ სულისა ჩემისაგან უსაყუარლესი ხარ და სიხარული ჩემი შენ ხარ! სიმთრვალითა ვქმენ ესე ავი საქმე. ნეტამცა სამსალა შემესვა და ღვინო არა. შენ მიყავ, ღვინო დია მასვი, შენსა გუერდით მიამებოდა სმა და მით ესრე გავკე, რომელ თავსაცა დავამძიმე და შენცა შეგცოდე. ღმერთმან ჩემი წაღმართი ნუ ქნას, თუ შენი საეჭუი რამცა მაქუს. თუ შეგცოდე, შენდობასაცა ვითხოვ და რადგან ვინანი, ჩემებრსა შეცაენდობის.

ლიბ



მოაბადისაგან საბერძნეთს გალაშქურა და ვისი და მიმა მმასა ზარდსა შევედრნა

დეს შაჭინ-შა შეუნდო ვისსა და რამინს, მხიარულად და ამოდ იყუნეს. კულა ჩამოეჭრა შუა მეშურნე ეშმა და დაუგსო სიხარულისა სანთელი და ძირისაგან ამოაგდო სიყუარულისა ხე.

დღესა ერთსა მოვიდეს მოჩივარნი ბერძენთა მეფისა კეისრისაგან, ეგრე თქუეს: «მოყურისაგან გჩივით, მოყურობა შენი დაუგდია და გემტერების. გაძლიერებულა, შენი ფიცი გაუტეხია, მრავალი შენი ყმა დაუჭედია და დაუტყუებია. აწ საბერძნეთით დიდი ლაშქარი გამოსრულა და რანის ქუეყანა

ნასყვრამდის აუოკრებია. სხუანი მოვიდეს ტყუისა უფალნი ხუარასანით, შეჰჩივლეს და თავსა ნაცარსა იყრიდეს, ბერძენთა მეფისა ლაშქართაგან ჩიოდეს და იზახდეს, საწუთროსა უსამართლობისაგან სამართალსა ითხოვდეს. შაჰინ-შას დაუმძიმდა. მაშინვე წასვლად კაზმა დაიწყო. უკმნა ლაშქარნი მისნი და აცნობა ჴელმწიფეთა და დიდებულთა და წიგნი მიუწერა ყოველგან. ეზომ დიდი ლაშქარი შეიყარა, რომელ მინდორნი ვეღარ იტევდეს. შაჰინ-შას ლაშქრად შეყრა ქარსა გუანდა სთულეულსა: ვითა იგი ფურცელსა არ გაუშვებს ხეთა ზედა, აგრევე მან წაუტანლად კაცი არ გაუშვა.

წასულისა ჟამსა ვისის საქმე მოეგონა, თუ რამინ ვით უყუარს და ერთმანერთისათუის ვით ულევნიაო. ერთხელ გარდამეხვეწა, წავიდა დ დაიმალა; მე მისითა გონებითა მომკლა, გამასხელა და ველთა გამაგდო. აწ გულსა თუ მას მიზამსღა და წამივა, სისხლთა ჩემთა მიისხამს. ესე სჯობს, რომელ აწვე კარგად შევინახო. მისსა ძებნასა შიგან დიდნი ჭირნი გარდამივლიან, კიდეგნობასა მისსა ვერ გავსძლებ. მაშინდელიცა ჭირად მეყოფის, ოდეს მომეშორა. ოდესცა კაცი ფრთხილად არს, ერთისა კურელისაგან გველი ორჯელ ვერ უცემსო. იგონებდა ვისის საქმესა, თუ ვითა ვქნაო. მერმე ძმა მისი ზარდი უკმო და ეგრე უბრძანა:

— ძმაო და სულო ჩემო, დღეთა შიგან ეზომ საკვირველი საქმე გინახავს, ანუ გასმიაცა რაცა მე მრავალჯერ რამინ მიყო? სიცოცხლე მომაწყინა რამინისა, ვისისა და ძიძისა საქმე და ჯავრმან. დაპყრობილვარ იმა სამთა გრძნეულთად და ჩემისა ჭირისა წამალი აღარაა. არცა რცხვენიან კაცთაგან და არცა ეშინიან ღმრთისაგან, არცავისი შეგონება ესმის და არცა და-

ჭედისაგან ეშინიან. უსირცხვილოსა რაცა მოუნდების, კეღარა დაასცილებს და შიში არა აქუს. მე თუცა ეზომი დიდი კელმწიფე ვარ, ჩემგან უფრო ბეჩარა და უღონო ქნილი არავინაა ქუეყანასა ზედა. ყოველსა ადამის-ტომსა მე სამართალს უზამ და ჩემი ბედი ათასსა უსამართლოსა მიზამს. ჯაბუკნი გოლიათნი ჩემგან გაიქცევიან და მე ერთსა დიაცსა ესრე დაუმაბუნებივარ! გარნა მე უფელა ჩემისა გულისაგან მჭირს, რომელ მიჯნურობისაგან მტერნი დამიმოყურებიან დ ყოველი ქუეყანა იმა მოყივნებულისათუის მინდა, რომელსა ჩემნი სისხლნი შესასმელად ენატრებიან. აუგისაგან პირი ესრე გამშავებია, რომელ ხუთასისა ზღვისა წყალი ვერ დამბანს. ცალკე ჩემი ცოლი დამმტერებია და მისგან მზე დამბნელებია, ცალკე ძმა მალულსა მიზის კრძალ ამოწუდილი და დროსა ეძებს ჩემზედა, რომე რა დრო ჰპოოს მტერისაებრ მომკლას. არ ვიცი, თუ რით იქნების ჩემისა საქმისა ბოლო, ანუ რას მიზამს საწუთრო. დღე და ღამე ამისისა გონებისაგან უსულო ვგავ. რაღ ვეძებ მტერსა შორს, თუით შინა მიზის მტერი. კარისა დასხშვა რას მერგების, თუ წყალი ჩემი შიგნიდამან ამოვა. სიბერისა ყამსა ასეთსა ფათერაკსა შიგან ჩავჭრილვარ, რომელ მისგან საწუთრო დამვიწყებია. აწ ამად წასულა მინდა დ ვისის აქა დაგდება. ვით შევინახო? რვალისა ციხესა და რკინისა ბორკილთა გასტეხს რამინის ნახუისათუის. ამისგან კიდე ღონე არა ვიცი, რომელ რამინ თანა წავიტანო და ვისი მტირალი აქა დავაგდო ციხესა შიგან აშქუფთიდევნისა. რა ვისიცა ციხესა შიგან იყოს და რამინ ლაშქარსა, მათი შეყრა არ ეგებისღა. მაგრა ციხესა შენ შემოგვედრებ და შენ გინდა მოუჭირვება და გაფრთხილება. შენგან კიდე გული ჩემი არავის მიენდობის, მით რომელ ყოვ

ლითა ფერითა გამორჩეული ხარ და ფრთხილი. თუით არ დაგვედრება, თუ ვითა ქმენ. ვითარცა შენ იცი და გამს, ეგრეცა შეისასხე ისი ორნი გრძნეულნი. მას ციხესა შიგან რამინცა არსით შემოიპაროს. ესრეა ორასისა დღისა სავალსა წავალ სახელისა ძებნად და თუ რამინ რათაცა ღონითა აწ ვისსა შეეყრების, ყოველი ჩემი სახელი ცუდად წახდების და აუგითა აივსების. თუ ორასი კაცი სახლისა მაშენებელი იყოს, ერთი ამაოკრებელი ცუდ იქმს მათსა ნაშენებსა. მე სამნი გრძნეულნი შინა მიდგან, რომელ თუითო მათგანი ეშმათა ლაშქართა მოერევის გრძნეულობითა. თუ ათასი დევი მათ სამთა დაესხას, საქმიანობითა იგინიცა არად ჰკუირან. ვითა იცი, მე ასრე შემკრეს და სიხარული გულისაგან წამილეს, თმობისა საფარველი დამისიეს, ყოველსა ქუეყანასა შიგან მამყივნეს. აღელვებულსა ზღუასა შიგან მრჩუალსა კაცსა ეზომი შიში არ გარდაჰკდია, რომელ ამათგან მე მჭირს და გარდამკდიაო.

ზარდს რა ესე მაჰი მოაბადისაგან ესმა, ეგრე მოახსენა:

— ჰე მზისაგან უმაღლესო კელმწიფეო, ეგზომსა ნუ შეიჭირვებ. შეჭირვება კაცსა დაასნეულებს. ვინ იყოს ქუეყანასა ზედა კაცი ერთი ესეთი, რომლისაგან შენ ეზომსა სჩიოდე და სტიროდე, ეგეთისა დიაცისაგან როგორსა ბრძანებ!? აწ თუ გრძნეებითა შავი დევიცა არის, მისგან უძაბუნესი ჩემსა კელსა არავინ იყოს. ესრე შევინახავ, რომელ ქარიცა არსით ეცეს; მზემან და მთუარემან ვერ ნახოს. ვისმან კაცისა სახე ვერ ნახოს და არცავისი ხმა მოისმინოს, მას ციხესა შიგან თქუენად მოსულამდის ესრე დავიჭირო. თუ მიბრძანო, მე იგი შენი ლამაზი ეგრე შევინახო, ვითა ძვირი კაცი ვერცხლსა შეინახავს; ესრე საყუარლად დავიჭირო, ვითა სული, და ვიდრე

ესრე არ გაუშვა, ვითა პურად კარგმან კაცმან სტუმარიო.

მაშინვე შაიჯნ-მა შვიდასითა დარჩეულითა კაცითა აშქუფ-თიდევნის ციხესა წაიყუანა ვისი დედოფალი, — ეზომ მაღალსა მთასა ზედა, რომე თავი ცამდი იყო, ღამით სანთლისა ნაცვლად ვარსკულავნი უნათობდეს და მეცისოვნენი მთუარისა ნადიმნი [1] იყუნეს და ცეცხლისა ნაცულად მზე ატფობდა. რა მოაბად ციხესა გაიყუანა ვისი, ცასა ერთი მზე სხუა მოემატა, ციხე მისისა პირისაგან დაშვენდა, ვითა აყუავებული წალკოტი. დასუეს ვისი და ძიძა ციხესა შიგან და ხუთი კარი დაკლიტეს და დაბეჭდეს, ზარდსა შეედრა; ბეჭედი და კლიტენი თანა წაიტანა. საჭურჭლე რაზომი უნდოდა, ეზომი დაუგდო და სასუმალ-საჭამადი, თუ უნდა ასისა წლისა საყოფნელი. ვისის გასვენებათა თანა არა აკლდა რამინის სიშორისაგან კიდე.

რა შაჯინ-მა ციხისა გამაგრებისაგან მოიცალა, მარავსავე მივიდა. ლაშქარსა წამავალად შეეკაზმა. აურაცხელი ლაშქარი წაიტანა და ყუელა ესრე დარჩეული, რომელ უკეთესი ქეყანს [2] არ იყო. რამინისაგან კიდე ყუელა მხიარულობდა და იგი მიჯნურობისა შეჭირვებისაგან მაშინვე გააცხროა: ვისის შეყრისაგან იმედი გარდასწყუეტოდა, სიცოცხლე მოსძულებოდა, არცა დღისით ჰქონდა თმობისა ღონე და არცა ღამით ეძინებოდა. უგულისხნებოდ გასრულსა ღვიძლი სისხლითა ავსებოდა და გული ცეცხლებრ ეწოდა, — ესრე გასრულიყო, რომელ მისთა მტერთა უსაროდა. მისი ღონე მასისავე გულისა საუბარი იყუის, ეგრე თქუის: «ესეთი სიყუარული ვისზედა მისრულა,

---

[1] ვარიანტი: «მთვარისა მონადიმენი».

[2] ვარიანტი: «უკეთესი ქუეყანასა».

რომელ წამსაცა მირიდება არა ჰქონდეს და არცა მოეშორებოდეს გონებისაგან?[1] ვირე ამა მიჯნურობისა ჭირსა შინა ვარ, ჩემი სისარული არსით ეგების. თუ მიჯნურობისაგან ეკალი ოდეს მცემია, აწ ესრე უძნელე ვარ, რომელ მოწამლული ისარი მასვია, რომლისა სიშორესა ვერცა წამსა გავსძლებ. აწ რადგან მას მოვშორდი, რაღ არა ამისსავე დასკუნსასა თანა მოვკუდე! ესეთი შეუწონელი ვარ, რომელ რასაცა ვსჭურეტ ქუეყანასა ზედა, რადგან უმისოდ დამრჩომია, ჩემთუის ესე უსანატრელესია, თუმცა უსულოცა არის. მე სიცოცხლე მისისა სიახლისათუის მინდა, მე თუალთა ჩენა მისისა ჭურეტისათუის მისარის, მე ენა მისისა საუბრისათუის მიამების, კელნი მისისა სამსახურისათუის მინდა! აწ უბედურობითა ჩემითა რადგან მოვშორდი, აბეზარი ვარ ყოვლისა ლხინისაგან.» ესრე უგუნესითა დაღონებულმან ქუე-ქუე სიმღერასცა თქუის: «გულო, თუ მიჯნური ხარ, ვუნესოდი! იცი, რომელ მიჯნურსა სამართალსა არვინ უზამს, არვის ეწყალვის მიჯნური, არვის ებრალების დაჭირებულობისათუის. თუ ვკუნესი, მართალვარ: მომაშორე სისარულისაგან, მომწყუიდე მზისა სინათლისაგან.[2] წყლულსა მარილი დამაყარეს და შარბათად ნაღველი მასვეს. თუალნო ჩემნო! წვიმდით სისხლსა, ნუღარა რომლის დღისათუის სწყალობ სულთა! შეჩემებაცა მცრობს, არა ოდენ ტირილი, რადგან წვიმისაგან ქუეყანა აშენდების, მე ჩემთა თუალთა წვიმისაგან პირი დამჭკნობია, შეჭირვებისა ცეცხლმან დამილია გული და ღაწუთა ზედა გამდნარი ოქრო დამასხა. თუცა

---

[1] ვარიანტი: «წამსაცა მირიდება არაა და არცა მოშორვება იქნებოდეს გონებისაგან».

[2] ვარიანტი: «მზისა სიმართლისაგან».

იტყუიან მამაცისაგან ტირილსა აუგად, ჩემგან ამით საკამსოა რომელ ესეთისა მოყურობისა სიშორესა ვიგონებთ.»

რა შაჰი მოაბად მოვიდა, რამინ მეტადრე დაიდასტურა ვისის ამბავი, ტკივილი ტკივილსა მოემატა დ ჭირი ჭირსა. რა თუალთაგან ცრემლნი გარდმოყარნის, ყუითლისა პირისაგან ჯანგნი ჩამორეცხის, იტყოდის მიწყით საბრალოთა შაირთა: «მე იგი გულწყლული ვარ, რომელ ყოვლისა რგებისა და იმედისაგან ულონოა. რა ჩემი მოყუარე გაცისოვნებულა, მუნითგან მე ათასითა ბორკილითა დ ჯაჭუითა შეკრული ვარ. აწ, ქარო, მიართუი ამბავი ჩემი და მოახსენე ვისსა ჩემაგიერ თუ: უშენოდ შანთთა მრავალ ფერთაგან გული დამდაღვია, თუალთა ჩემთა შენი სახე დარჩომია და ენასა შენი სახელი. შენსა სახესა მილი წაუღია ჩემთუის და შენსა ხსენებასა ყოველი ლხინი მიუცილებია. მე ამა ჭირთაგან, თუ ალმასიცა ვარ, ვით დავრჩები? უნახაობისა შენისა ჭირნი ჩემნი თუ ყოვლისა ქუეყანისა კაცსა ზედა ვინ განჰყუნეს, იგინიცა ვერ მოითმენენ და მე მარტო ესრე გაუძლივარ, რომელ თუ მნახოდა, ეგრე იტყუი, არ იგი არისო! მე ამა ჭირისაგან შენად ნახვამდი ვეღარათ ვიხსნები.»

რა ესე საქმე იქმნა, მუნითგან რამინ ტირილისა დ კუნესისაგან ესრე დამჭლდა და გაკმა, რომელ თმისაებრ დაწულდა და კუირასა შიგან ისრისაებრ ტანი მშვილდად შეექნა. შაჰი მოაბად არცა ეგრე დააგდო, შიშისაგან კუბოსა ჩასუეს და გურგანამდის წაიტანა შაჰინ-შამ. რამინ ესრე გაჰკდა რომელ მისისა სიცოცხლისაგან იმედი გარდასწყუიდეს, ვითამცა ათასი მოწამლული ისარი გულსა სობოდა. მოაბადს წინაშე დიდე-

ბულნი მივიდეს, რამინის დასაწყლება დ ეგრე ყოფა მოახსენეს. ქენებით ესე ჰკადრეს:

— ჰე კელმწიფეო, რამინ შენი ძმა არის და შვილი, ყოვლითა ფერითა მისებრივ არავინ არის და კელმწიფესა ესდენი უკლები ყმაცა მოუნდების არ ძმაცა, მით რომელ მრავალ ფერად საკმარი არის.

«შეგონება: თუ ღმობიერად ხარ და არა უწყრები, ესეთი ძმჲ ერთისა თემისა ლაშქართაგან მოსაკერებელია[1] შენთჳს. ამისითა მიზეზითა მტერობასა არა გკადრებენ[2] და მოყუარეთა ერთგულობასა მოემატების. ესე შენთჳს ციხეა მაგარი, პილო ძლიერი დ მწყრომი ლომი. თუ შერაოდეს-უცოდებია შენთჳს, შეგინდვიაცა. აწ ბარე ნუ გაუახლებ ძველსა მტერობასა და ნუ მოჰკუეთ ახალ-მოწივულსა შტოსა. ესრე გასრულა რომელ სიკუდილი არა შორავს. აწ შეიწყალე, მოულმობიერდი და ამა ბეგრისაგან დახსენ, აქა დააგდე, ნუთუმცა დარჩა. მგზავრობა მრთელთათვისცა არა ამოა და სნეულსა და უსუსურსა მეტადრე არ მოუკდების; გამოისვენოს, დია საწყლად არის და რა გამრთელდეს, შენითაკე მზობითა ხუარასანს წავიდეს, იგი წყალი და ჰაერი უფრო აშვნია. ესე ქუეყანა ხორშა და უმაშნოა.»

რა დიდებულთა ესრე შეხვეწით მოახსენეს, დააგდო გურგანს და შაჰინ-შა კიდე წავიდა. ეგი მუნ დარჩა და მაშინვე გამრთელდა, ამით რომელ არა თუით რამე სჭირდა ჭირად. ზაფრანის ფერი პირი გაუკარდა, ვისის ნახვისა ღონეთა

[1] ვარიანტი: «მოსაგერებელია».
[2] ვარიანტი: «მტერობასა გკადრებენ».

ძებნა შეექნა, გულსა უგუამლო ცეცხლი მოედვა და თმობა აღა-რა ჰქონდა. შეჯდა ცხენსა მარტო და სწრაფით წავიდა. გზასა იადონსებრითა კმითა მრავალ ფერთა სიმღერათა მოიტყოდა, ისწრაფვდა მოსავალად. ეგრე თქუის: «ვისო, უშენოდ სი-ცოცხლე არ მიამების, არცა მოსვენება და არცა გულისა ნება მაქუს. შენსა ძებნასა შიგან მე ვერა შემაშინებს. თუ საწუთ-როცა ჩემი მტერია, თუ გზანი გულითა სავსენია და კლდეთა თივა კრმალია, ქუიშა ლომი და ვეფხი, ღრუბელნი მეხიანნი იყუნენ, რომლისაგან დატეხასა მოველოდე, და ყოველი ქუეყა-ნა კრმლოსანი და ისრიანნი ჩემი მებრძოლი იყოს, მე, შენმან მზემან, შენსა მძებნელსა ვერავინ შემაქცევს; დ თუ შევიქცე, არ მამაცი ვიყო. თუ ცეცხლსა შიგან მიმხუდების შენი ნახუა, მისისა წვისა უშიში ვარ და თუ ლომნია შენნი მცველნი, ჩემი კრმალი მათი საპასუხოა. ორისა თვისა სავალი ერთ ბიჯათ მიჩნს შენისა ნახუისა მოლოდებასა შინა. არ მიკვირს, თუ შენი სანახავი გზა საშიში იყოსო, რადგან ელვა მეხიანი მთუარისა სიახლესა მოჰკლებისო.» ესე გუარსა რასმე მოუბნობდა და გზა-თა სიგრძესა ამით ამოკლებდა.

რა ვისი ცისესა მოიყუანეს და მაჯი მოაბად კიდე, წა-მოვიდა, ვისმან სრულად დაასკუნევინა გულსა რამინის მოშორ-ვება დ მისი ლაშქარს წასულა, და მისგან მისისა ნახვისა იმედი გარდასწყუიდა, დღე დაუბნელდა და სიხარული გაუარმდა. მისი ვარდის ფერობა გაამზაფრანა და თუალთა მისთა მარგალიტი ხოვრიელად ამარტასა ზედა დაასხეს.

ლვ

ვისისაგან ტირილი რამინის მოშორებისათვის

Ორითავე ჴელითა პირსა ესრე უწყალოდ იცემდის, რომელ გაუისფრდა. ტანისამოსი მგლოიარეთაებრ ლურჯი შეიმოსა მოყურისა გაყრისათვის. პირისა ხოჭამან სისხლითა ჴალთა გაუწითლა, პირი მისი ტანისამოსისაებრ გალურჯებოდა, ტანისამოსი მისისა პირისაებრ გასწითლებოდა. იზახდა და ტიროდა, ძიძასა ეგრე ეტყოდა:

— აწ რა ჰქნა, ძიძაო? ჩემი სიყმე და სიხარული, საწუთროსა გამოსვენება და ლხინი ყუელა მიჯნურობისაგან გამგვიდევნებია, რომელ სიცოცხლე ჩემი აღარ ეგების. მე გული და თუალთა ჩენა რამინის სიყუარულისათვის ესრე შემიწირავს, რომელ აწ ყოველნი ჩემზედა გარდასრულნი ჭირნი დამნატრებიან. მე ესე გულსა ვერაოდეს მივეც: თუ ჩუენი გაყრა ოდესცაღა ეგების, ანუ ვითა ჩუენ გუინდა, არ მიწყით აგრე ვიხარებთ; გარნა ღმრთისა განგებამან ვითა მაშინ სიყუარულისაგან სირცხუილისა ფარდაგი დაგვიხია, აწ ეგრე გაუგებელი გაყრა დაგუემართაო. აჰა საყუარელო მიუცილებელო რამინ, მე ვირე შენ გახლე, ჩემი სიხარული თუით იცი. შენსა სიშორესა შიგან ჩემი სულთა დგმა სიცოცხლედ არა მიჩანს. ამოდ ყოვნა თუით რას ჰქუიან, ანუ გამოსვენება? ამით უფრო არ

მიმცილდები ყამსა და ჟუამოსა, რომელ მტერისა ბრძოლისაგან მიჭირვებული მეგონები. ჯაჭვი კაბისა ნაცვლად ტანსა გამძიმებს, მუზარადი — ჩაჩისა ნაცვლად, კრმალი ჭიქისა ნაცვლად კელთა გაწყუენს, სიცხე მზისა გწუავს და აწყუენს შენსა ნაზუქობასა ესე მიჭირვება. მტერთა სისხლი ესრე დაგიღურია, ვითა მოყურისა. შენისა სიშორისაგან მე თავსა რად დავემტერე, რომელ წადილი და მზობა არ მოვისმინე და არ წამოგყევ: ნუთუმცა შენისა ცხენისა[1] მტუერი მცემოდა! მაგრა თუცა ჩემი ტანი აქაა, გული ჩემი საშენოდ არ მოწყუედილა, შენსა გუერდით მგზავრობითა იჭირვის მეჭირვებითა სისხლსა შიგან მრჩვალი. მეტად ნუღარ მიიჭირვებ, თუით რომელ დაგიმძიმებია. უშენობითა არცაღა მისი გაძლება აქუს. არ ამოა მოყურისაგან მოყურისა უსაკუთრობა. შენ მას ნუ იქ ჩემზედა, რომელ არ შენისა პირისა მგზავსი იყოს. მომიგონებდი და ჩემსა ყოფასა იხსოვნებდი. მაგრა, ოდეს მოიგონებს მდიდარი გლახაკსა?! შენ ჩემისა მიჯნურობისა ცეცხლი ოდენ გენახა, აწ კუამლიცა გამოჩნდა. აწინდელმან გრძლად სიშორისა ტკივილმან აქამდინ ჩემნი ჭირნი დამავიწყნა. ნოეს რღნობისა ღრუბელსა გავს ჩემი თავი, ამით ჯეონისებრ მდიდრად მდის თუალთა ცრემლი, გული ჭირითა ამვსია, შიგნით დატევისა ღონე არა მაქუს და გარეთ მაჩნია და სისხლისა ზღუასა შიგან ვილევებით.

მოსთქმიდა ფისი დ̃ გულისა ტკივილისაგან ერთსა ადგილსა ვერ იყო. მიძე სამისოდ მისოდნადვე იწოდა და ყუელასა თმობასავე ასწავლიდა.

---

[1] ვარიანტი: «ნავლისა მტვერი».

შეგონებს. ეგრე ეტყოდის: «დასთმე, არ ეგების მთმო-ბისა კაცისაგან, თუმცა გულისა ნება არაოდეს მიასწვდრა ღმერთ-მან. ყუელა ჭირი დაილევის კაცისაგან; დათმობისა ხე სიხა-რულისა ნაყოფსა მიწყით გამოიღებს, თუცა უგულოთა დათმო-ბისაგან საუბრისაცა ჭამა უფრო ეადვილების.

«აწ მოისმინე ჩემი მოხსენება, დასთმობდი; ნუთუ ანაზ-დეულად გულისა წადილსა მიეწიო. ღმრთისაგან კიდე შენი-რგება არავის შეუძლია, ვერცავინ ამა პატიმრობისაგან გიხსნის. გული დადევ და თმობა მოიღე, ღმერთსა ევედრებოდე და მო-ალხენდი შენთა მოახლეთა. ნუთუ ღმერთმან მოიწყინოს ეზო-მი ჭირი შენი და გულისა თქუენისა ცეცხლი დაავსოს! ანდერ-ძადცა ამის მეტსა ვერას მოგახსენებ, რომელ მიწყით თმობასა გივაზირებო.»

პასუხად ვისმან ეგრე უთხრა:

— გულმან, უკუამლოსა ცეცხლისაგან დამწუარმან, თმობა-ვით მოიღოს? იგი სიტყუა გასმია, რომელ კაცი ვინმე შეაგო-ნებდა ვისმე და მან ეგრე უთხრა: «ჰე მოყუარეო, შენ მეტად ნუ მიჭირვებ, მე გულსა ქსრე არ დამეკრვის, ვითა გუნბეთსა ნიგოზი.» რამინ ჩემგან უნახავი წავიდა და მისი მიცილევება ჩემგან ვით ეგების? შენი შეგონება და დიდსა წყალსა იქით კიდი ჩემთუი სწორნია. შენი გული და ჩემი არ ერთი არის. შენ კალთა გეწვის და მე გული. შენ რა გაგვა, თუ მე ვიჭირ-ვოდე? შენ ეგრე მეტყუი, დათმობისა კიდე ღონე არა გაქუსო. ადვილია მხედველთაგან მეომართა ჭურეტა. შენ არას გაბრა-ლებ: ცხენოსანი ხარ და მგზავრობისა ჭირი არ იცი; შენ მდიდარი ხარ და უღონობისა ჭირი არ იცი; მაძღარსა მშიერი ემთრვალების. შენ, ძიძაო, ჩემთუის დათმობასა გამოარჩევ დ

მივაჴირებ. გჭირსამცა ჩემებრ შენცა ესრე თავუწევრქნით სელობა? რამინ უფრო უთმინოდ იყო. შეგულოსაგან თმობა არ ეგების. თუ მებრძოლსა ლომსა გულსა ძალი არ აქუს, მასცა მოერევის მელი მისითა სიჯაბნითა. ნუ გგონია თუმცა ესე ჭირი და ზასილი საჩემოდ მეადვილებოდა, ანუ მიამებოდა და თუალთაგან სისხლისა ცრემლისა დენა არ საწყინოდ მიჩნდა. არავის უნდა გონებიანსა თავისა ჭირი და უბედურობა. ამა უბედურობისა ჭკა შენ მითხარე შენითა საქმიანობითა, შიგან ჩამავდე და აწლა ამოდ და შეუჭორგებლად ზედა მოჯდომილხარ და ეგრე მეტყუი, დასთმე, ღმერთსა ექენებოდე, მისგანვე კიდე შენი ღონე და ამა ადგილისაგან მხსნელი არა ვინაა. ადვილია ნაბდის წყალსა შიგან ჩაგდება, მაგრა გამოღება საძნელოაო.

შეგონება. ეგრე ეტყოდის: «დასთმე, არ ეგების მთმობისა კაცისაგან, თუმცა გულისა ნება არაოდეს მისვედრა ღმერთმან. ყუელა ჭირი დაილევის კაცისაგან; დათმობისა ხე სიხარულისა ნაყოფსა მიწყით გამოიღებს, თუცა უგულოთა დათმობისაგან საუბრისაცა ჭამა უფრო ეადვილების.

«აწ მოისმინე ჩემი მოხსენება, დასთმობდი; ნუთუ ანაზდეულად გულისა წადილსა მიეწიო. ღმრთისაგან კიდე შენი რგება არავის შეუძლია, ვერცავინ ამა პატიმრობისაგან გიხსნის. გული დადევ და თმობა მოიღე, ღმერთსა ევედრებოდე და მოალსენდი შენთა მოახლეთა. ნუთუ ღმერთმან მოიწყინოს ეზომი ჭირი შენი და გულისა თქუენისა ცეცხლი დაავსოს! ანდერძადცა ამის მეტსა ვერას მოგახსენებ, რომელ მიწყით თმობასა გივაზირებო.»

პასუხად ვისმან ეგრე უთხრა:

— გულმან, უგუამლოსა ცეცხლისაგან დამწუარმან, თმობა ვით მოიღოს? იგი სიტყუა გასმია, რომელ კაცი ვინმე შეაგონებდა ვისმე და მან ეგრე უთხრა: «ჰე მოყუარეო, შენ მეტად ნუ მიჭირვებ, მე გულსა ესრე არ დამეკრვის, ვითა გუნბეთსა ნიგოზი.» რამინ ჩემგან უნახავი წავიდა და მისი მიცილება ჩემგან ვით ეგების? შენი შეგონება და დიდსა წყალსა იქით კიდი ჩემთუი სწორნია. შენი გული და ჩემი არ ერთი არის. შენ კალთა გეწვის და მე გული. შენ რა გაგვა, თუ მე ვიჭირვოდე? შენ ეგრე მეტყუე, დათმობისა კიდე ღონე არა გაქუსო. ადვილია მხედველთაგან მეომართა ჭურეტა. შენ არას გაბრალებ: ცხენოსანი ხარ და მგზავრობისა ჭირი არ იცი; შენ მდიდარი ხარ და უღონობისა ჭირი არ იცი; მაძღარსა მშიერი ემთრვალების. შენ, ძიძაო, ჩემთუის დათმობასა გამოარჩევ დ

მივაზირებ. გჭირსამცა ჩემებრ შენცა ესრე თავუწყევრქნით ხელობა? რამინ უფრო უთმინოდ იყო. უგულოსაგან თმობა არ ეგების. თუ მებრძოლსა ლომსა გულსა ძალი არ აქუს, მასცა მოერევის მელი მისითა სიჯაბნითა. ნუ გგონია თუმცა ესე ჭირი და ზასხილი საჩემოდ მეადვილებოდა, ანუ მიამებოდა და თუალთაგან სისხლისა ცრემლისა დენა არ საწყინოდ მიჩნდა. არავის უნდა გონებიანსა თავისა ჭირი და უბედურობა. ამა უბედურობისა ჭა შენ მითხარე შენითა საქმიანობითა, შიგან ჩამავდე და აწდა ამოდ და შეუჭირვებლად ზედა მოჯდომილხარ და ეგრე მეტყუი, დასთმე, ღმერთსა ექნებოდე, მისგანვე კიდე შენი ღონე და ამა ადგილისაგან მხსნელი არა ვინაა. ადგილია ნაბდის წყალსა შიგან ჩავდება, მაგრა გამოდება საძნელოსა.

ლდ

რამინისაგან მარავიდაღმან აშქაფუთიდევანს ვისის შესაურელად წასულა

და რამინ გურგანით მარავს მივიდა, ვისი მუნ კელარა პოვა. მისისა სიხარულისა ვენაკი გამკმარინახა და წალკოტი უყუავილო. დარბაზსა შიგან ქუეყნისა მზჱ აღარ დახუდა, არცა საჯდომი მისთა თმათა სურნელობისაგან სავსე გაიცადა, არცა ქალაქი პირველისაებრ მოხარული დახუდა. თუ სთქუა, დარბაზი და მიდამო რამინის გულისაებრ უვისობისათუის ტიროდა. იგი ამო დარბაზი, მისგან გასახარებელი, საკნადა უჩნდა და შეჭირვებითა, ვითა ბროწეული ქერქსა შიგან, გასქდა, ტიროდა სულ შეუღებლად; გაზაფრანებულსა პირსა ზედა მარგალიტსა აწვიმებდა. მისსა საჯდომსა ზედა პირი დასდვის და, ვითა იადონი ვარდსა ზედა, ეუბნებოდა, კუნესოდა და საბრალოდ მოსთქმიდა. ეგრე თქუის: დარბაზო, შენ იგი ხარ, რომე ცისაებრ მზისა სიახლესა დაეშვენე, რომლისა გონებითა მე ცნობანი წამსულიან! მიწა მისისა პირისაგან დაშვენებულიყო დ ჭაერი მისითა სურნელობითა ავსილიყო, ვითა აწ გული ნაღვლითა მიწყით ავსილაო. უცხო ფერითა ჴმითა მომღერალნი მუტრიბნი მსმელთა სიხარულად იმღეროდიან. დარბაზო, შენ აღარა იგი დარბაზი ხარ, რომელ ყოვლითა ფერითა უკლები იყავ! შენსა კარსა ზედა ველისა ნადირნიცა თამამად მოვიდიან და კაცთა მონატრე-

თა კარი იყვის. მე ვეღარ ვნახავ შენშიგან ვარსკულავსა, მთუარესა და მზესა, რომლისა სიშორითა დამბნელებიან სასხე-დავნი! საწუთრომან უხსნობა შენზედა ჩემებრ მუხთლად ჰქნა, წავიღო სიხარულისა დღე, ვითა მე გულისა ნება და თმობა. სადაღაა იგი ჟამი ჩემთუის, რაოდენი აქს გამიხარებია ანუ ოდესღამცა ეგებოდა ჩემთუის, თუმცა მე ეგრე მხიარული შე-მოღავედ? აქს ესრე ყოფასა შიგან ათასსა წელიწადსა ერთი იგივე დღე ღმრთისაგან უფრო სანატრელად მიჩნსო.

მოსთქმიდა და ტიროდა. უიმედომან ეგრეცა გამოიარნა ქალაქისა კარნი და მოაპყრა პირი მას ციხესა, სადა ვისი ჯდა. ესრე სწრაფით წამოვიდა, რომელ დღე და ღამე იარა. დია ბნელი იყო ღამე, ოდეს ციხისა ძირსა მივიდა, თუცა მას და ვისსა დღისაგან იგი ღამე უფრო გაუთენდა. ვერცა გუ-შაგთა ნახეს სიბნელითა. იცოდა რამინ დარბაზი, რომელსა შიგან იყო. მუნით ძირსა მივიდა, მოიჴმარა მეცნიერობა, რო-მელ ყოველსა ქუეყანასა არ იყო მისებრი მშვილდოსანი. შე-სტყორცა ცერ მართალი ისარი მას ადგილსა და ეგრე უთხრა: «სვიანიმცა ხარ ჩუენთუის უსულო მოციქულო! ყოველგან სული-სა წადებასა მოციქულობ და აწ ჩემსა სულსა სულისა შეყრა ახარე.» ისარი მართლად წავიდა და ბანთად ვისის საწოლსა ჩაიჭრა. მასვე წამსა ძიძამან აიღო, იცნა და სიხარულითა აივსო. ვისის მიართუა, ეგრე მოახსენა:

— ნახე სვიანი ისარი მოციქული, რამინისაგან მახარობ-ლად გამოგზავნილია, რომელ ნიშანი აქუს. აქათგან ნუღარა ხარ შეჭირვებით, ღმერთსა მადლობდი და მოყურისაგან ისა-რებდიო.

ვისმან ნახა ისარი და რამინის სახელი ზედა წაიკითხა.

მეტისა სიხარულისაგან ვითა გული მოსცემდა, ეგზომცა სიხარულსა ჯერ მიაგებდა, აკოცებდა, უყუავებდა და ეტყოდა: «აჰა სვიანო რამინის ისარო და ჩემო სულთაცა სარჩელო! ყოველი კაცი შენგან დაიკოდების და მე დაკოდილობისაგან წყლულსა მალამოსაებრ შერგები. მოციქული ხარ შენ მისთა მკლავთა, რომლითა მიწყითამცა იკმარებს. იაგუნდისა პირსა დაგაგებ და ოქროსა ხალასისა კილოსა გულისა ჩემისა ქარქაშსა შეგიქმ, ამით რომელ შენი პატრონი გამხიარულდების. თუცა მისითა სიშორითა ათასითა შენებრითა ისრითა წყლული მდგმია, აწ რა შენ მოსრულხარ, მუნითგან პირ ალმასობა მათი ლხინად შემცვალებია. ისარი მკურნალი შენგან კიდე არ მინახავს, არცა შეთულილობა შენსა უამესი მასმია.»

რა რამინ ისარი გასტყორცა, მერმე საგონებელსა ჩაიჭრა: ნეტარ რა იქნა ჩემი ისარი? სად მწადდა, მუნ მივიდა? ანუ თუ უნებლივ[1] რამე დაემართა და სხუამან ვინმე აიღო? თუმცა იცოდა ვისმან ჩემი საქმე, ათასსა ღონესა ემებს ჩემისა ზე გაყუანისათუისო. მაშინ გულსა შიგან ეგრე თქუა: გულო გაწირე სული, ნუვისგან გეშინიან! ღმრთისა ყოვლისა დამბადებლისა ძალმან, აქათ არ შევიქცევი ვირემდინცა ანუ არ მოვკუდე, ანუ გულისა ჩემისა წადილსა არ მივხუდე. თუმცა ამა ციხისა ზღუდე რკინისა იყოს, ჩემისა გულისაებრ გაკურვებული, მიდამო ყუელა მოწამლული, კაცისა თუალნი[2] ასპიტისა გუელისაებრნი, მეციხოვნენი მათნი დევთაებრნი, ვერცა ეგრე შემაქცევენ. შეწევნითა ღმრთისათა და მკლავისა ჩემისა მინდობითა

---

[1] ვარიანტი: «მივიდა? ვითა ანუ ნუ უნებლივ».
[2] ვარიანტი: «კაცი სათოანნი, ასპიტისა გუელისა მეციხოვნენია».

ეგრეცა ვეცდები ვისის გამოყუანასა და ჩემისა გულისა წამლების გულა შეყრასა. მე ვირე ვცოცხალვარ ვისისა ძებნისაგან კიდე არა საქმე მიძს. მე რაზომცა დიდნი მტერნი მებრძოდენ და მათი გული საჩემოდ მოაბადისა და ზარდისაებრნი იყოს, არცა ეგრე დავერიდები. მაგრა იგინი ცეცხლნია. ერთისა გუარისანი ვართ და შეატყუებენ კაცსა სიკეთე-სიავესა.

აქათ რამინ ღონეთა ძებნითა საგონებელთა ჩაჭრილიყო და იქით ვისი ბადესა დაბმულ იყო სიყუარულითა. მისი ენა რამინს იზახდა და აგრევე უთმობად მისი გული ეძებდა რამინს. მუნ სიცივეთა შიგან ყოფა და მისგან მისი მუნ ვერ სიახლე გულსა ლახურად-შანთად ესობოდა და მისისა შეყრისა ილათსა ეძებდა.

ძიძამან ეგრე მოახსენა:

— ჰე დედისა სულო, ეტლი და ბედი, ყუელა შენ გიშველის და ესეცა შენისა ბედისაგანაა, რომელ ისეთი სიცივეა, რომელ ყინვისაგან კაცისა ველთა ყოფა არ ეგების. გუშაგთა და ციხისა მცველთა ყუელათა შიგან შეურიდებია სიცივისაგან. ორჯელ ოდენ გარდმოდგომილან გუშაგნი და შინავე შესულან ყინვისაგან. რადგან ესრეა და გუშაგნი ბანთა ზედან არა სხენან, ჩუენგან ყუელა ადვილად ეგების. რამინ აქა ჩუენსა სიახლესა არის, თუცა სიბნელითა არა ჩანს. მან იცის, რომელ ჩუენ ამა დარბაზსა შინა ვართ. დია ყოფილა ამა ციხესა შიგან უმოაბადოდ და ათასი გზა იცის გამოსავალი. ეგე სათამაშო სარკმელი ერთი გავაღოთ და სანთელი ავანთოთ. იგი გარედამან გუნახავს და ჩუენსა სიახლესა მოვა. და მაშინ მისი გამოყუანა ეგების.

რა ესე თქუა, სანთელი აანთო ძიძამან, მისითა გრძნე-

ბითა დევნიცა დააბორკილნა. რა რამინ სანთელი დაინახა, გამხიარულდა და მიმართა. შეიგნა, რასათვისცა აენთო სანთელი და ვითა შავარდენი კლდესა ზედა გავიდა. ბრძენსა უთქუამს, ასრე იქნების მიჯნურისა გული: არცა ჭირი ეჭირვებოდა და არცა ზიანი ზიანად. მოყურისა მებნისათუის სჯულსაცა დაავგდებს, მიიქცევის. მზისა სიგძე მოკლე და კუშტი ღომი მელად უჩანს. მიჯნურობისა სიხარბე ასრე გაჰხდის, რომელ უნაყოფო მინდორი ვენახად, მთა თმად უჩნს და ზღუა რუდ. არშიკობისა გულისაებრ მისყიდული არავინაა, მით რომელ გულსა საბჭოსა არავინ წაიყუანს. მიჯნურობამან სიკეკლუცე და სიდუხჭირე არ იცის, მით რომელ ცნობა მიჯნურობასა ბრმობით უყუავის.

რამინ რა ახლოს მივიდა კლდესა ზედან, ვისმან დაინახა ზეიდამან და ბერძული სტავრა ორმოცი და სხუა, რაცა პოეს, დაგრიხეს ორკეცად და მაგრა ერთმანერთსა გამოაბასხუეს, ჩაუშვეს. მოვიდა რამინ და ზე გავიდა ვეფხისაგანცა უკისკისედ. რა ციხესა ზე გავიდა, მზე და მთუარე ერთგან შეიყარნეს და ერთმანერთსა ასრე მოეხუივნეს, ვითა ერთითა ჭიქითა სძე და ღვინო,[1] ოქრო და მარგალიტი ერთგან გაერია, მუშკი და ამბარი ერთად შეეზილა, ღამე ბნელი განათლდა, ვითა დღე და ზამთარი გაზაფხულდა მათთვის. ორთავე მიჯნურთა გულმან გაისვენა შეჭირვებისაგან. გულისა მონაცემთაებრ მოეხუივნეს ერთმანერთსა, მოჰკოცნეს ერთმანერთი და მერმე საწოლს შევიდნეს; საჭამადი და ღვინო მოიღეს. ზოგჯერ თავისა გარდანაკადსა უბნობდეს, ზოგჯერ ერთმანერთსა ეხუეოდიან. ღამე

[2] ვარიანტი: «ვითა ერთსა ჭიქასა შიგან სძე და ღვინო».

ბნელი და ცივი იყო, გარნა მათთვის სამგვარი სანთელი ენთებოდა: შეყრისა სიხარულისა, მათისა პირისა სინათლისა და ღვინისა სიწითლისა. სამნი მოყუარულნი ერთგან შეყრილიყუნეს, სმიდეს და იხარებდეს მათისა ნებისაებრ. გარეთ კარი დახშული იყო, მორჭმით და გულ დადებით იყუნეს. არცაღა ამისი საეჭუო ჰქონდა, თუ გუიგრძნობს ვინმე; არცა ამისი შიში, თუ ჩუენი გაყრა ოდესმე იქნებისო და სიხარული შეჭირვებად მოგუექცევისო. მათ ერთი ღამე ეგრე ყოფასა შიგან ერჩიათ შორის ყოფასა შიგან ათასისა წლისა სიცოცხლესა. რამინს რა გულისა საწადელი აუსრულდა,—ვითარი სწადდა, ეგეთი ყოფა პოვა,—დაიწყო სიმღერისა თქუმა მისუბურითა ამოთა ჴმითა და იტყოდა:

«რა ვგავა გულო, თუ მიჯნურობითა ჭირი ნახე და უნებელნი საქმენი დაგემართნეს! უჭიროდ ლხინი არ ეგების და არცა უმისოდ ესრე ამოდ ჯდომა ეგებოდა. სიხარული მწუხარებისა უნახავად არ იქნების და ჭირ-უნახავად კარგი სახელი არ იპოვების. თუცა მიჯნურისა მებნისათუის ზღუა გაიარე, შეყრითა თუალი პატიოსანი ჰპოვე; სიშორითა თუცა ნავღელი[1] არა გაკლდა, აწ ნაყოფი ლხინისანი გაქუს. გულო, გივაზირებდი, დასთმე, ყოველისა ჭირისა ბოლო ლხინი იქნებისო. რა კაცმან ჭირსა შიგან დიდი ხანი დაყოს, მერმე ლხინისათუის ღმერთსა უფრო მადლობს. აწ მე კარ ჯოჯოხეთისაგან ხსნილი და სამოთხესა მხიარულად მჯდომი. სიყუარული დავსთესე და სიხარული მოვიმკე, ელვარე მთვარე სიყუარულითა მომექცა. არა გამწირავ-ვექმენ და არ მივიცილვე წამსაცა მოგონება. ყოვლითა

[1] ნავღელი—ნაღველი. ხშირად ხმარებულია დედანში.

საქმითა გაუსაკუთრე თავი და მითცა საწუთრომან მე არ გამწირაო.»

ამა სიტყუასა ზედა ადგა ვისი და მოყურისა სახელსა ზედა აივსო ჭიქა, ჴელთა დაიჭირა და ეგრე თქუა:

— ჩემისა რამინის სახელზედა ვსვამ ამას, სიყუარულისა მძებრისა, მოყურისა არ გამწირავისა, ჩემისა იმედისა, თუალთა ჩენისაგან უფრო ნათელსა! მე მისგან ესრე იმედიანი და მხიარული ვარ, რომელ ადამისითგან არავინ ყოფილა ესრე მოყურისაგან იმედიანი. სიკუდილისა დღემდინ ვიქნები მოუწყუედლობისა მისისა მკვალი, მისსა სახელსა ზედა გულისა ზარი უკუდავებად მერგებისო.

მაშინვე შესვა იგი ჭიქა და რამინს აკოცა. იამებოდა რამინს ვისის საუბარი, სალჯათად სმა და მუშკისაებრ სურნელისა მოყურისა თმათა მოკიდება. იასპსა, ლალსა და ბროწეულისა [1] უყუავილსა სჭურეტდის. მწარე აკაკი დაავიწყდა ტკბილისა იავუნდისა სიხარულითა. ყოველთა ღამეთა ცისკრამდის საგებელი ვარდიანი და სასთაული მზიანი ჰქონდა. დილასა რა გაიღვიძიან, სუმითა, სიხარულითა და სიმღერითა დასხდიან. რა ვისის ჭიქა ჴელთა ჰქონდის, რამინ სიმღერად ეგრე თქუის:

«ფეროსანი ღვინო გულისაგან ჯანგსა ამოკოცს, მოყურისა სიახლესა შიგან მისგან მოციქული ღუინოა! ფეროსანი ღვინო სიყუითლესა ფეროვნებად შემიცულის; მიჯნურობისა ჭირისა წამალი არის, მიჯნურობა მტერი არის და ღვინო

---

[1] ვარიანტი: «მოკიდება. არწივისა მუშკსა-ბროლსა და ბროწეულისა».

წვიმა ჭირისა გამაქარვებელი, სიხარულისა მომმატებელი. დღეს ბედნიერობა ჩემსა ჭქუიან. მე მიშველის ღმერთი და სვე ჩემი, რომელ გულისა ჩემისა წამლები წინა მიზის. ზოგჯერ დავწუებიასა და ვარდსა ზედა, ზოგჯერ სოსანსა, ამბარსა და მუშკსა შუა ბაგე ჩემი ფეროვნისა მუშკისაგან და შაქრისა უტკბოსა ლალსა ინადირებს. წალკოტსა ჩემსა შიგან წითელი ვარდი უყავის, ნებისა გზასა მოსლვითა მე დია ვმხიარულობ. მე იგი შავარდენი ვარ, რომელ მაღლად ფრინვითა ცისა მზისაგან ვიდე არას ვინადირებ. ჩემი ნიშატი ლომი არის ჭანგ-ოქრო, რომელი ჩემსა სულსა შეიპყრობს. ყოველთა დღეთა მოყურის პირსა და თმათაგან საპალნითა ვარდსა, სუმბულსა, მუშკსა და შაქარსა ვკურევ. არ მომინდების წალკოტი მისისა ელვარისა პირისაგან, არ მომინდების თმაში მით, რომელ ეს ადგილი ჩემთვის სამოთხესაცა უამეა. რაცა ღმერთისა სიამოვნე დაუბადებია, უყელა ჩემთვის აქა არის. მზე არის ნადიმი ჩემი და მწდე ჩემი მთვარე და მით ვარ მხიარულიო.»

მერმე ვისსა ამოთა სიტყუითა ეტყუის:

— მასვი ღვინო შენითა კელითა ვარდისა ფერი, შენისა ღაწვისა მსგავსი, შენისა პირისაებრ სვიანდ! ამის უამესი ჟამი აღარ ეგების, აღარცა შენისა პირისაებრი გაზაფხულიო! რა ვიცით ხუალისა წინამდებარე? მოვედ რომელ თავისა კერძი სიხარულისა ნაწილი ავიღოთ დღეს, ხვალე დღესისა ვერ მივეწევით. არცა შენ გწადიან ჩემი მოწყუედა და არცა მე შენსა მიჯნურობასა გავეყრები. ჟამს სიხარული და გულისა ნება! რა ვიცით, ღმერთსა ჩუენსა თავსა ზედა რა გაუგია, — ასრე რომელ მოაბადს შენ აქა ციხესა შიგან დაუწყედიხარ და მე სნეული გურგანს დაუგდივარ ამისსა არ მცოდნელსა, რომელ ღმერთ-

სა ჩუენი მეყრა ცათავე შიგან გაუგია. ვის შეუძლია დამბადებ-ლისა ღმრთისაგან კიდე ამისი ქნა?!

იგინი ცხრასა თუესა ამაშიგან ჲყუნეს, ჟამსა და უჟამო-სა მხიარულნი და ნიშტიანნი; არ დაშვრეს სიხარულითა და სმითა. ჰქონდა შიგნით თუნდა ასისა წლისა გასასვენებელი სასმალ-საჭმალი; გარეთ არა მოუნდებოდა კარისა გასაღებლად. ნახეთ რაზომსაცა ხანსა გულისა ნება და სიხარული გამოიწყუა-დეს. გულისაგან დაიყარეს ჯანგი. არცა მოისმულდა რამინს ეზომი სიხარული და არცა ვისსა რამინის სიხარულითა ნი-შტიანობა მოეწყინა. ერთი სული ორთა ტანთა შიგან დამკუი-დრებულიყო, რომელ არა იყო მათი შესაქცევარი ერთმანერთი-სა საუბრისა, მიჯნურობისა და სიყუარულისაგან კიდე. ისა-რებდენ ერთმანერთითა; ეჯობნა მობურთალთად და ღვინითა მოერწყო სიხარულისა ნერგი.

ცისისა კარი ვითა ჭირსა დაეხშა, მათი ხუაშიადი ქუეყა-ნასა შიგან არავინ იცოდა, რომელ მარავს შიგან ზარნავეს ხაყანის ასულმან იცოდა. გუარიანი იყო და სიკეკლუცითა ტურფათა საპატრონო. პირი მისი მზესა გუანდა და გრძნეულ-თა უხუცესი იყო. მისითა კლოვნებითა და გრძნეულობითა ეზომ მაგალითი იყო, რომელ ბასრისა გურდემლისაგან ვარდსა ააყუავებდა.

ოდეს რამინ მარავს ქალაქს მოვიდა, მოაბადის დარბაზი მოიარა და ყოველსა კაცსა ვისის ამბავსა ჰკითხვიდა. რა მისი ცისესა მყოფობა ცნა, ვითა ზემო მითქუამს, ეგრე უცნობო იქნა, თუალთაგან დიჯილა იდინა, პირი ცრემლითა დაიბანა. რა არცა თვალითა ვისის მშვენვარე პირი გაიცადა და არცა ამო საუბარი მოისმინა, ვისის მებნითა გახელებული შმაგურად

ტურვიდა ქალაქსა შიგან და სწრაფით სადა ვისი იყო, მას ცისესა მიმართა. ვეფხსა ჰგუანდა სიფიცხითა და მიჭირვება არად უჩნდა, კლდესა შიგან ქორისაებრ აღმა-ჩაღმა რბოდა, ზოგჯერ ესრე მთასა გავიდის, რომელ თავი ღრუბელსა მიუწვდის და ზოგჯერ ქუე ჩავიდის, ვითა იოსების ორმოსა.

ესე გრძნეულმან ზარნაგესმან იცოდა, რომელ რამინ მუნ წავიდა და მისისა ჭირისა წამალი ვისის ნახვისაგან კიდე არა ეგებოდა; გულსა შიგან მოაბადის საამბობლად დაისწავლა ხაყანის ასულმან.

ლე

მოაბადისაგან ცნობა ვისისა და რამინის ერთგან შეყრისა

და კელმწიფე შაჰი მოაბად გამარჯუებული და მხიარული ლაშქრობისაგან შემოიქცა, მას ვითა სწადდა, ეგრე ქნილიყო მისი საქმე. მოვიდა თავისა სახლსა ხუარასანს, და მარავს ქალაქს შემოვიდა. ერთობით რანის ქუეყანა და სომხითისა წაელო, და მძევალნი და ხარაჯა ბერძენთა მეფისა კეისრისაგან აელო, ყოველთა კელმწიფეთად მორჭულიყო, მტერთა ზედათ მოქცეულიყო. სიხარულითა ერთობ ცათა გასწუდებოდა მისი ზარი და ზეიმი, მიწა მისთა ლაშქართა სიმრავლესა ვერ იტევდა. რა ღარი

მისი ერთგან შეყარა, მთათაგან უმაღლესი გორი შეიქნა ლა-რისა, თუ სთქუა, ცათად მიდგმულაო მისითა სიმაღლითა. თავისა და სილაღითა ბედისათა კელმწიფეთად ბურთი წაელო, ჴელა მისი იყო და ჯობნა ყოველთა კელმწიფეთად. ყოვლისა ქუეყნისა ლაშქარნიცა იყუნეს მისსა კარსა ზედა და მძევალნი-ცა; ყოველთა კელმწიფეთა კელმწიფედ ქნილიყო და მისისა თა-ვისა სწორი სხუა არავინ იცოდა ქუეყანასა ზედა.

რა ასდენ მხიარული და გამარჯუებული მივიდა მარავს ქალაქსა, სისარული ზრუნვად მოექცა: ზარნაგესგან რამინის ამბავი ესმა, გული სისხლითა აევსო და ტვინი მისი გულ-ჯარბობისა კუამლისაგან დუღდა. დიდხან ეგრე გატეხილი ჯდა. მერმე ჯავრისაგან გაყუითლებული ზე აიჭრა, ლაშქართა აცნო-ბა, წასვლად გულაცა აწვივნა, კაზმა დაიწყო. ასაყარსა ჰკრეს. დიდებულთა და ლაშქართა შეიგნეს გზასა წასულა. ბუკმან მო-აბადის დარბაზსა ტირილი დაიწყო თუ, «კელმწიფეო, ეზომი მგზავრობა არავის შეუძლიაო.» აგრევე დუმბულმან ზახილი და კუნესა დაიწყო ვისისი და რამინის გაყრისათუის: «ვაი თუ მოყუარულნი გაიყრებიანო.» ცისესა შიგან, თუ სთქუა, რამინის გულმან უგრძნა, რომელ ეგდენ ამო ყოფნა დაუმწარ-დებოდა.

შაჰინ-შა მივიდოდა სწრაფით რამინის სიკუდილისათუის მოსწრაფე და ლაშქარი ყუელა მისთუის მისი მომდურავი, რო-მელ ჯერეთ ნახევარნი არ მოსულიყუნენ შინა; ერთისა წლისა ბეგარ-ქნილთა ჯერეთ სარტყელი არ შეეხსნა და მეზარადი არ მოეკადა, რომელ კულა ცისისა სამნელოსა გზასა აწვივნეს. ზოგნი ასრე უზრახვედეს: აწინდელი ბეგარა რად არ გუეყო-ფოდა, რომელ აწ სხუაგან გვაწვივნესო. ზოგნი ამას იტყო-

დეს, თუ მუნამდის მგზავრნი ვართ, ვირემდის ვისსა რამინი-
საგან დავსცვიდეთ, დია ცხენოსნობა გვინდაო. ზოგნი ეგრე
იტყოდეს, ვითა დია უჯობს, თუმცა რამინის ნაცვლად ათასი
ბერძენთა მეფეთაებრი უჩნდაო. ათასსა რასმე იტყოდეს.

მივიდოდა შაჰინ-შა ფიცხლად ლაშქრითურთ, ვითა ქარი.
მისთა ლაშქართა მტუერი ღრუბელთამდის გაიწეოდა. ციხესა
საგუშაგოდ გუშაგმან მტუერი დაინახა, მივიდა და ზარდის
მოახსენა: «მტუერი ჩანს, რომელ ცად გაიწევისო და უღონიოდ
შაჰან-შა მოვა; თუარა ეზომ დიდი მტუერი სხუაებრ არ ეგე-
ბისო.» ციხესა შიგან კმა და შფოთი შეიქნა და ბრუალი შე-
ქნეს, ვითა ტარიფის ხეთა შიგან ქარმან. ზარდი ჯერეთ წინა
არ მიგებებულიყო მოაბადისთუის. მოაბად რა ციხისა კარსა
მოვიდა, გული მტერობითა და ნაღვლითა სავსე ედგა, შეუზახნა
წყრომით ზარდსა და ეგრე უბრძანა:

— ჰე ჩემთა ჭირთაგანცა უფროსო ჭირო! ჩემთუის
ღმერთმან დამბადებელმან მიხსნას თქუენ ორთა ძმათაგან! კაცო-
ბისა ყამსა ძაღლიცა გჯობსთ: ძაღლი პურსა მოიგონებს კაცი-
საგან და თქუენ არცა ამას. ოდეს ღმერთმან თქუენ დაგბადნა,
არ ვიცი, თუ მაშინ რა ეტლი ყოფილა? ერთი გრძნებითა ეშმა-
სა სწორი, და ერთი სირეგუნითა ზროხისა მზგავსი და ვი-
რისა. შენ ნაზირსა შუა ჰკამ, ზროხათა შიგან. ვისსა რამი-
ნისგან ვით დასცევდი? მე ღირსვარ რაცა აუგი წამეკიდოს,
ყუელასა, რადგან ციხისთავად ზროხა დამეყენე. შენ ლაფლად
ჰზი, გარე კარი დაგიხშავს, ეგრე გგონია თუ კარგი მიქნია
ანუ ჩემისა სამსახურისათუის მოგიჭირვებია. შენ მანდა ჰზი
და ზროხისაებრ ჰყური სირეგუნითა. ესე ვერ გიგრძნია,
რომე მალვით შიგნიდამან შენზედა იცინის, ვითა სწადიან,

რამინ ეგრე იხარებს; და გარეთ ყოველმან ქუეყანამან იცის ესე ამბავი. ხაშურველია შენთჳს შენი საჯდომით!

ზარდმან ეგრე მოახსენა:

— ჵჱ სვიანო ჴელმწიფეო, კამად ბრძანებ, მრავალი წელიცა გზისაგან მხიარული მოხუალ, ნუ დაიღრეჯ ცუდისა საქმისათჳს, ნუ შეუშვებ ეშმაურს საქმესა გულად. შენ ჴელმწიფე ხარ მორჭმული და ავისა და კარგისა თქმა შეგიძლია. თუ მართალი იცოდე, ვერასავინ გკადრებს, და თუ ათასჯერცა მრუდი ბრძანო, ვერცარასა-ვინ ეგრე შეგეცილების, თუ არ ეგრე არსო. შენ ეგეთსა რასმე მაბრალებ, რომელ საგონებელად არ მომსულია. თქუენ რამინ აქათ წაიყუანეთ, მე რა გლახ ვიცი, თუ რა იქნა? არ შავარდენი იყო, რომე საბერძნეთით აიმაღლოს და აქა ჩამოფრინდეს; არცა ისარი, თუმცა ამას ციხესა მით გამოსრულიყო ვით გამოვიდა რამინ. ნახე თქუენითა ბეჭდითა დაბეჭდული კარი დაკლიტული; ერთისა წელიწდისა მტუერი ზედა მეს. ასეთსა ციხესა, რომე კარი და ზღუდე ყუელა რვალისა არის, რამინ ვით გაგიტეხდა? ყოველთა შემოსავალთა და გზათა გუშაგნი დღე და ღამე დამიყენებიან, ეგრე მიცავს. თუ რამინ გრძნეულიცა არის და ათასი ღონე იცის, აქა შემოსულა არცა ეგრე შეუძლია, და თუ ესე კარები გაალო და დალეწა, თქუენითა ბეჭდითა კულა ვინღა დაბეჭდა? ნუ დაიჯერებ, ჴელმწიფეო, ესეთსა ცუდსა სათქმელსა. ნუცა თქუენ დაიღრეჯთ და ნუცა ჩუენ დაგუკოცთ. ეგეთსა ნურას ბრძანებთ, რომელ ცნობილთა არ მოეწონოს და ცნობამან ერთ ქრთილად არ იყიდოს იგი ჴონებაო.

შაჰინ-შა ეგრე უბრძანა:

— ზარდო, ბედითსა რას უბნობ? კარისა და ბეჭდისა

მიზეზსა კირემდის იტყვი, მე რასაღა მერგების ამისი სიმაგრე? შენ არ გაიფრთხილებულხარ. ცისისა და კარისა მცველნი ფრთხილო-ნი დია სჯობიან კლიტესა და ბეჭედსა. თუ ღმერთმან ცა მაღლად დაბადა, ზედა ვარსკვლავნი ეგრეცა მცველად დააყენნა. მე ესე ბეჭედი რას მერგების, რომელ ნივხავსა სონჯარი არ მიგდია? სონჯარსა რას ირტყამ, თუ ნივხავი არ გაცვია? რად-გან ესე შენებრსა უგუნურსა შევვედრე, რაცა ერთსა წელიწადსა სახელი ვქენ კრმლითა, ყუელა შენითა ნაქმარითა ჩემად აუგად დამაჩნდა. დია ნათელი იყო ჩემი დარბაზი ჩემის სახელოვნობი-საგან, მაგრა აწ კარი და კედელი მისი ყუელა დაამავე და და-აბნელო.

რა მოიწყრომა, ცოტა ხანი გამოჰკლა; მოგუასაგან კლი-ტე ამოიღო, ზარდსა მიუგდო, ეგრე უბრძანა:

— გააღე კარი, თუცა ამისი ქონება ჩემი წყალსა იქით კიდისაებრ უსარგებლო არისო.

კარისა რეხუება ესმა შიგნით მიმასა, ყური მიუპყრა, მო-აბადისა და ზარდისა ჴმა და საუბარი ესმა, შიშითა ათრთოლ-და, მივიდა ვისსა და რამინს ეგრე მოახსენა:

— აღმოსავლეთით ჩვენთვის უბედურობისა მზე აღმო-ჰკდა, — მაჰკინ-მა მოვიდა შავთა ღრუბელთაებრ, ჩვენთვის ელვა-ქუხილი გამოჩნდა და ჭირისა მათისაგან ღვარი დაიწყებს დენა-სა. აწ ვნახავთ ცეცხლსა ქვეყანისასა დამწველსა, რომელ მის-მან კვამლმან დღე ნათელი დაგვიბნელოს და ჩვენი საქმე მასთან არად გავიდოდესო.

შიშითა გატყდეს ადგილსა ზედა სამნივე და აღარა იცო-დეს, რამცა ქნეს. ამისგან კიდე ღონე ვეღარა მოიგონეს, რო-მელ რამინ მუნითვე ქვე ჩაუშვეს, სით ამოეყუანა. თუცა მას

ვისის მოშორვებასა მუნვე სიკუდილი ერჩივნა, გულითა შემინებულითა და სახელიითა აუგიანითა მივიდოდა კლდეთა შიგან, ტიროდა მოყურისა გაყრისათვის და თმობისა კიდე ღონისა აღარსა ქონებისათვის. ცალკე ვისისათვის ეშინოდა მოაბადისაგან და ცალკე თავისა. გზა არა იცოდა, რამცაღა ქმნა. გულსა ეუბნებოდა: რას მიზამ გულო, რას მიზამ? რაცა არ საგრძელოა ჩემი, ყუელასა მას მაქნევ. ნუ ებრძვი ჩემსა ბედსა, კრმალითა ზოგჯერ სისხლსა ჩემსა ღური, ზოგჯერ სულთა მამაშორებ და ზოგჯერ ყოფასა დამამწარებო!

«არაკი: მშვილდოსანსა ჰგავს საწუთრო: მიწყუით გაყრაა მისი ისარი და სული ჩემი სასაგნო.[1] თმობა ჩემი გატეხილსა ქარავანსა გავს და სული ჩემი დაონავარებულსა ქალაქსა.

«აწ კელმწიფე ნებიერი ვიყავ და აწ არნი ვარ კლდესა შიგან მავალი. ღრუბელსა გუანან მთასა ზედან მავალსა თუალნი ჩემნი და გულსა ჩემსა ზედა ათასსა ჭირსა წუიმს. სტიროდი, რომე შემომიკმოს კლდემან და ცრემლითა ვიდენდე, რომელ წითლად ვღებვიდე ქუათა. ჩემსა ოხრვასა არა გავს ქუხილი, მით რომელ იგი ქარისაგან იქნების და ესე ცეცხლისაგან. ჩემთა თუალთა არა გავს ღრუბელი, მით რომელ მისგან ცუარად წუეთს და ამათგან ღუარად დის. მაგრა რა ვქნა ესეთი, რომელ მმართებს? აჰა, აწღა გულიცა კელთა მქონდა და გულის ნებაცა; აწ აღარცა გული მაქუს და არცა გულის წამღებელი მყავს. ჩემი ყოფა ამას ჰგავს, ვითამცა ცა ვყოფილვიყავ და აწ მიწად ვქნილვიყავ. გაზაფხულისა ყუავილისა უხანობასა ჰგუანდა ჩემი ლხინი.»

[1] საგანი — ისრის ნიშანი.

რა დიდი ხანი იარა რამინ კლდეთა შიგან, გონება, ტირილი, ვისის გაყრისა შეჭირვება, სამისო ამისი გონება თუ რაშიგან ვარო,—ყუელა ერთგან შეეყარა და ფერკნი ვითა ბორკილიან-ნი ვეღარ წადგნნა. თავისა გულსა და მოყუარესა ზედა ტირო-დის. რა ტირილითა გული იკუის[1] ჟანგი გულისა მისისაგან აიკოცის, ვითა მოწვიმული ქუეყანა გამხიარულდის. სადაცა რამინ დაჯდის, თუალთაგან რუ ადინის მას ადგილსა. ესრე საბრალოდ მოსთქმიდის, რომე მტერთაგანცა შესაბრალებელად ეგრე იტყოდის:

«არ იცი გულისა წამლებო, თუ რას ყოფვას შიგან ვარ ჵ ანუ უშენოდ სიცოცხლე ვით გამარმებია![2] მე მახესა დაბმულსა კაკაბისაცა ვებრალები შენისა სიშორისათუის შეჭირვებული. თუ რა ჭირი გინახავს, მოაბად, შენ ლხინი გმართებს და სიხარუ-ლი. მე ვარ ღირსი ჭირისა, რომელ თავისა სიცოცხლისა ღონე ვძებნო. მაგრა, შენმან მზემან, შენისავე საქმისათუის ვქმენ. მე ღმერთმან უშენოდ წამი სიცოცხლისა ნუ მომცეს. მე შენი სახე გულსა ჩემსა ზედა გამომისახავს. თუ შენი სი-ტურფე თვითო დავთუალო, დღენი არ გამიძლებენ სათქმელად და მისდომა[3] არა მაქუს. თუ ტიროდენ თუალნი ჩემნი, მარ-თალ-ან, რადგან შენებრ ტურფასა ვეღარ ნახვენ. ათასითა ქენები-თა ვითხოვ ღმრთისაგან, რომელ მუნამდის არ მოვკუდე, ვირე შენი პირი კულა არ ვნახო. მაგრა რადგან უშენო ვარ, არ მეწყუ რომელ ხუალემდინ ცოცხალი დავრჩე!»

---

[1] ვარიანტი: «იუხვის».

[2] გამარმებია — არამად გამხდომია.

[3] ვარიანტი: «მიწდომა».

რა გულისა წამღებელი ვისი რამინს გაეყარა, ვითამცა-ვეშპისა პირსა დარჩომილიყო, ესრე გაკდა და სათავისო მი-ში და ჭირისა გონება დაავიწყდა. რამინის საქმისა შეჭირვები-საგან, ვითა შმაგი ბრუნევდა სახლსა შიგან და რას იტყოდა ანუ რამცაღა ექნა, არა იცოდა. ბროლისა ჴელითა უებროსა პირსა საბრალოდ იცემდა, ზოგჯერ პირსა ისოჭდა, ზოგჯერ თმათა იგლეჯდა, ქუეყანა მუშკითა აავსო მისთა თმათაგან, ჭაერი ცეცხლითა აივსო მისისა სულთქმისაგან. რა სულთქმნის, თმათა იგლეჯდის, ცისესა შიგან ვითამცა მუშკსა და ალვასა აკუამლებდის. პირი და მკერდი დაელურჯა ცემითა და თუალთა-გან მკურვალედ ეფრატი სდიოდა, გული გაკურვებულსა შანთსა უგვანდა, რომელ, რა მკერდსა იცემდის, ნაბერწკალი სცვიოდის. სამკაული შეეხსნა და დაეწყუიდა. მიწა მისისა სამკაულისაგან ცასა ჰგუანდა, ზედა ვასკულავთაებრ თუალი და მარგალიტი ელვიდა. ოქრო-ქსოვილი შესამოსელი აეკადა, მგლოვიარეთაებრ შავი შაემოსა, გული შეჭირვებითა ავსოდა და პირი მტუერი-თა. არცა მოაბადის შიში მოეგონა და არცაღა ზარდისი, ყუელასა შეიჭირვებდა რამინისთჳს და ამასვე იგონებდა, რომელ უაზროდ მისგან გაყრა დაემართა უნებელი.

რა შაჰი მოაბად ვისის დარბაზს შევიდა, ვისის პირი დახოჭილი ნახა და ორმოცი სტავრა და ატლასი ერთმანერთი-ზედა გამონასკული ნახა, ვისის და მიმასა წინა ედვა, ჯერეთ ნასკუი ნასხვერამდის ვერ გაეხსნა და მოაბად ზედა შემოესწრა. მიმა მოაბადის შიშისაგან ფიცხლა დაიმალა, მით რომელ ყოვ-ლისა ფათერაკისა და უნასისა მოქმედი იგი იყო. ვისის დე-დოფალსა თავისა ტანისამოსი გაეხია და მკლავნი თავისითა კბილითა მოეჭამნეს, მუშკის ფერნი თმანი დაეგლიჯნეს ერთობ

და თუალთა სისხლისა ღუარი ჩამოსდიოდა. შაჰინ-შაჰ ეგრჱ უთხრა:

— ვისო, დევისა მობილო და ყოვლითა წყევითა დაწყეულო! სულსა შენსა ცნობა აშორავს და თუალთა შენთა სირცხუილი, შენსა ზნესა სიმართლე მოშორვებია და ქცევისა პატივი გაჰქედ უზენაროდ და მოაყივნე თავისი თავი და ჩემი კელმწიფობა. ამას არ მითხრობ, თუ ჩემგან რა კამს საშენოდ მაგისად სამუქფოდ? ანუ სიკუდილისაგან კიდე სხუა რა გმართებს? აზომ მაგალითი და გრძნეული ხარ, რომელ ეგზომ მაგარი ციხე და კაგე ადგილი სწორად გხანს. შენისა გრძნეულობისაგან არცა ესე საკურველია თუ ცათაგან გარსკულავნი ჩამოასხნე. არცა ცემისა გაგვა, არცა შეგონება გესმის, არცა ზენაარი და ფიცი არის შენი. ამას წინათცა გამომიცდიხარ ამოთა და მწარითა და შენსა უმეცრობასა თანა ყუელა ურგები ყოფილა. არცა ჩემითა სიამოვნითა გამხიარულდები ოდეს და არცა ჩემის წყრომისაგან გეშინიან.

«არაკი: ნუთუ მგელი ხარ, ყოვლისა მავნე, ნუთუ დევი ხარ, კარგისაგან აბეზარ ქნილი? სახედ და შვენებით თუალსა ჰგავ პატიოსანსა ნივთად და საქმედ ბედითსა კეცისა ნალეწსა. სიტურფითა და შუენებითა დიას სანდომი, სასურველი და საყუარელი ხარ და გამწირაობითა და უსახობითა საწუთროსა ჰგავ. ვაი ესეთი შვენიერი და კეკლუცი სახე შენი და მრავლითა ავითა ზნითა და აუგითა დასურილი!

«დიას მიმუდარების შენდა ამით შეგონებითა, დიას დამიკედრების შენდა იდუმლად, კითა ნუ იქ ვისო, ნუ მაწყენ ეგზომსა, რომელ შეცოდებისა ჩემისა ნაყოფი სიკუდილი არის შენი; და შენითა სირეგუნითა დასთესე ჩემისა შეცოდებისა თესლი.

აწ შენგან დათესულისა მომკისა ჟამი მოვიდა. ვეღარ ვეძებ შენსა სიყუარულსა და ვეღარ გავსძლებ! არ რკინა ვარ და არცა ქვა.

«არაკი: ჩემგან შენისა კაცობისა მოლოდნა და წყალსა ზედა ჭრელისა წერა სწორია.

«შენი შეგონება იგი არის, რომელ მლაშესა ადგილსა თესლი დავთესო. ვით შენგან სიხარული არაოდეს მინახავს და სიმწარისაგან კიდე შენგან არათ გამომისვენებია, ეგრევე მე უზენარო გექმნა; ასრე გაგამდო სიმწარითა, რომელ რამინის სახელი გერაოდეს მოიგონო, არცაღარა-ოდეს რამინ შენგან გაიხარნეს, არცა შენსა გულსა რამინის სახელი ახსოვდეს, არცა მან შენსა წინა ორმალსა და ჩანგსა სცეს და მას შენ გვერდით დაჯდე მთურალი სიყუარულითა! ეგზომი მიგაჭირვო ორთავე, რომ ვერცა ტინი კლდენი გასძლებდენ. ვირე თქუენ ერთმანერთისა მოყურად ხართ, მე მტერისა ძებნა გარეთ არ მინდა. ოდესცა თქუენ ერთად შეიყრებით, ჩემისა სიკუდილისასა კიდე არას იგონებთ. აწ მე იგი გიყო, რასაცა თქუენ ჩემთვის იგონებთ და მოვიცალო ჩემთა მესისხლეთაგან.

«არაკი: თუ ჩემთანა გული და გონება მეცნიერთა არს, რად ორნი მტერნი უბეთა შიგან მისხენ? მტერისა შინა ყოლასა ღომისა გზასა ზედა წოლა სჯობს; მტერისა გუშაგად დგომა, ველისა ფარდაგსა ჯდომა სწორია კაცისათვისო.»

მერმე მოეკიდა მუშკისა ფერთა თმათა მოაბად ნებიერსა ვისსა და მიწასა ზედა ითრევდა, ვითა მპარავსა კელნი უკუღმა შეუკრნა, უწყალოდ მათრაკითა თავსა და ტანსა ეზომი ყოველგან სცა, რომელ სადაცა სცემდის, კორცნი დახეთქოდეს და სისხლითა შესურილიყო. ბროლისა ტანი მისი სისხლსა

ეგრე შობდა, ვითა მთა ღალსა. სადაცა მათრაჯი ვერ მიმკუდარ-იყო, ღილასა დამსგავსებოდა, ტანი ჲ კორცნი მისნი თეთრ-წითელი ზაფრანსა, ღილასა და ყაყაჩოსა დამსგავსებოდეს. ქუ-ლა ძიძასა ასი ეზომი სცა უჟელა თავსა და პირსა. არ შე-ბრალა სასიკუდილოდ, ნუთუ ანუ მოკუდეს, ანუ გრძნეულობა და მჩხიბაობა ათქმევინოს, ადგილსა ზედან დაბნიდნა. ვისი და ძიძა წითლითა მოსილთა ჰგვანდეს სისხლისა დენისაგან. აღარავინ ეჭუდა თუ მათი სიცოცხლე ანუ დარჩომა ეგებისო. მერმე იგინი ეგრე გასულნი ერთსა საკანსა შიგან ჩაყარნა და გული დადვა სამათოსა სიცოცხლისათვის და ზედა კარი მაგრად დაბეჭდა. სამათოსა საქმესა ყოველი ადამიანი და ამა ამბვისა მსმენელნი შემჭირნეობდეს. მაჭინ-შა ძმა მისი ზარდი-ცა გარდაავდო ცისის თაობისაგან და სხუასა კაცსა შევედრა ციხე. თუით კუირასა ერთსა ფიცხლა იარა და მარავს ქალაქსა მივიდა. შეიჭირვებდა მათსა საქმესა და თავსა დია ახანდა ვი-სის ცემისათვის. თავისა გულსა ეუბნებოდა:

«რაა ესე ბუნება ჩემი, რაა ესეთი კუამლი რომე სული-სა ჩემისაგან ამოვიდა საწუთრო და სიმრთელე მამამულვა? რა იყო ჩემი აზომი წყრომა და დაუთმობლობა აგეთისა მოყური-სათვის, რომელ სულთაცა მერჩივნა? თუცა ყოველთა კელმწი-ფეთა კელმწიფე ვარ, მიჯნურობისაგან ესრე ძაბუნი ვარ, რომე მტერთაგან საშუროდ გასრულვარ. რად [დავეკუშტვი ესეთსა საყუარელსა, რომლისა მიჯნურობითა ხელი ვარ? მეტითა უცნო-ბობითა თავისა სულთაცა ვებრძვი. დღეს ნახავ სახვალეოსა, საქმესა აღარ გაიგონებ რეგუნობითა: დღეს ერთსა საქმესა იქ, რომლითა სუალე გული გეტკივნების. ნუმცავინ მიჯნური გუ-ლის ურჩია,] რომელ მისი ურჩობა მასვე გულსა ცეცხლად მო-

ქდებოდეს. რად ექუშვი, მიჯნურო, მას, რომლისა ლევა წამსა-ცა არ შეგეძლოს?»

ლვ

შაჰროსაგან ვისისთუის მოთქმა და ტირილი

და შაჰი მოაბად ცისით მოვიდა, თანა პირმზე ადარა ჰყუა. შაჰრო, ვისის დედამან, თვრმნა და მტირალი წინა მიეგება, პირსა ხოჭა დაიწყო და თავსა ცემა, იზახდა: «ჰე დედისა სულო და ყოველთა ჭირთა ლხინად შემცვალებელო! რად არ მოგიტანა მოაბად? რა წაგე-ვიდა ამა უზენაროსა დევისაგან, ანუ რა გიყო? ბედისა შენი-სა ქონებითა რაღა ჭირი მოგხუდა ამისგანო?» მერმე მოაბადს ეგრე არქუა:

— რას მიზეზსა მითხრობ ჩემის ვისისა არა მოყუასნი-სასა? რა უყავ ჩემი მზე? რად გაჰკადე უმთუარეოდ ცა? შენსა დარბაზსა აწვე ნაოკარსა გაჩვენებ, შენსა სამოთხესა ჯოჯოხე-თად გასრულსა, თუ ჩემსა ასულსა დაუყოვნებლად აწვე კელთა არ მომცემ; დავიზახებ ასეთსა, რომელ კლდეთაცა შეებრალო და ჩემთანავე შეჭირვებულნი იზახდენ, ყოველი კორციელი გა-ვაკვირვო. დავიდენ სისხლისა ღვარსა თვალთაგან, თუ ჩემსა ვისსა არ მიჩვენებ. აწვე დავანაღულებ შენსა კელმწიფობასა;

თუით არ გაგიმარჯუებს ღმერთი უბრალოჲსა ვისისა სისხლთა, ასრე რომე თუით შენვე თვალნი მტერ გექმნებიანო.

რა მოაბადს წინა ესე საუბარი და სარჩელი ტირილით დაიწყო, შაჰი მოაბადცა საბრალოდ ატირდა და ეგრე უთხრა:

— თუ სტირ და თუ იცინი, თუ მწყევ და თუ მლოცავ, ვქენ რაცა ვქენ და ნეტამცა არ მექნა და ღმერთი არ შემრისხებოდა! ჩემი სიხარული და ჩემი პატივი გავაქარვე! შენ ვისის პირსა უმისოჲსა ვეღარ ნახავ, თუმცა მიწას არ მისგან დაშვენებულსა ჩახავ, კუიპაროზისა წაქცეულსა გაიცდი და სიყმაწვილესა მისსა მაზედა მტირალსა, ელვარესა პირსა მისსა დაბნელებულსა, სისხლისა ჯანგისაგან შეცულილსა და თმათა დაცვივნულთაო.

რა ესე სიტყუა მოაბადისაგან შაჰრო მოისმინა, მიწასა ზედა დავარდა, თავსა და პირსა ცემა დაიწყო. დარბაზი მისისა ტანისაგან გასურნელდა და ცრემლთა მისთაგან სისხლისა ტბა დააყენა: გულისა შეჭირვებისა ისარი სცემოდა და მოსთქმიდა:

— ჰე საწუთროო მუხთალო, მომპარე ჩემი თუალი პატიოსანი! შენცა ნუთუ ჩემებრ გიყუარდა იგი თუალი, საწუთროო, რომელ ანგართა ოქროვითა[1] დაჭვალ და დამალე მიწასა! ნუთუ შეგშურდა, კიპაროზისებრი წამიღე და საუკუნესა ვენახსა დარგე! რად გაზარდე, საწუთროო, ეზომ შუენიერი და თუ გაზარდე, ეზომ უგრძნეულოდ რად წააქციე! აწ ოდესღა იზრდების მიწასა ქუეშე ამბარი სურნელი! ჰე მიწაო, აქამდის

---

[1] ვარიანტი: «რომელ ვითა ანგარმან ოქრო დაჰფვალ».

შენ კაცთა ოდენ სჭამდი და აწ მზისა და მთუარისა[1] დაგიწყია. რად არ გეყოფოდა, აქამდის რად არ გასძღე? რადღა წამიღე ჩემის გულისა გამამხიარულებელი მზე? რადგან წმინდასა ჰეცხლისა მიწა სცუეთის, აწ მეშინიან, რომელ ტანსაცა შენსა ავნოს მიწამან, მით დამიბნელა დღე ჩემი; ნათელი დააბნელა. ნულარამცაა ნაყოფთა მისთა ზრდა, რომელმანცა მიწამან მას დაფარვა ჰკადრა. აქათგან მთუარესა ელვარებისა ნათელი აღარა აქუს, რადგან ჩემი მთუარე დილეგსა შიგან დაიმალა. მე მიზრუნე, ცაო და ქუეყანაო! მით შეყრილხართ, ვარსკულავნო, რომელ მე მტიროდეთ! ჰე დედისა ნათელო, ნაკუთ საროო, პირ მზეო, ლაწვ იაგუნდო, თმა ამბარო, შენ იყავ ჩემი ჭირისა მაქარვებელი, შენ იყავ ჩემი სიქადული და სიხარული, აწ შენ აღარა მყავ! ვისითა ვიშვებდე, ვისითა ვლხინიანობდე! მე ესდენ უსამართლო ჩემი დაჭირებულობა ვისთანა ვიჩივლო, ანუ ვისთანა ვქებნო, ვინცა შენ მოგკლა? ყოველისა კაცისა სისხლნი მან მოისხნა, მაგრა მე უფრო მომკლა ყუელასაგან. ბრძენთა მოვასხამ საბერძნეთით და ინდოეთით, ნუთურავინ იცოდეს ღონე და სარგებელი ჩემი. ჩემო შუენიერო, შენ მარტო იყავ ამას ქუეყანასა და მით მოგეწყინა უჯუფთობა. ნუთუ სამოთხესა ჰპოო შენი მგზავსი, თუარა აქა არავინ არს სულო ჩემო. მე ოდიდგან შენი სიკუდილი მსმენია, მუნითგან ჩემი სიცოცხლე შენთანა მამკუდარა. აწ ვის ერგების შენეული სამკაული? ვინღა იკმარნეს შენეულნი შესამოსელნი? ვინ ჰპოვო შენისა სახისა შვენებითა? აწ ვინღა იკადროს შენისა ძმისა ჭიროს ცნობება? ვინ შემართოს ამისი თხრობა, თუ შაჰკრო ვი-

---

[1] ვარიანტი: «მთვარისა ჭამა დაგიწყია».

სის სიკუდილისათუის ტირსო. წავიდა კეკლუცთა მზე, დავრჩი ვისის მძებნელი და მისი მხსენებელი. ამა ღორისა უზენაროსა ნუცამცა ციხე დარჩების და ნუცა მთა, რომელ ჩემისა ბედისა თუალი მუნ დაბრმობილა, მუნ დაშრტა ჩემი მთუარე და მოკლული მე აღარ მიჩუენს. აწ ისარებენ ეშმანი და ქაჯნი, იციან თუ რაზომი ფათერაკი იქნების ამა სისხლისა სანაცვლოდ, თუ რაზომი კელმწიფე და დიდებული მოკუდების. მე ვისის სისხლისა ნაცულად ჯეონსა ვადენ მისისა მტერისა სისხლთაგან და ჩემთა თუალთაგან. თუ ათასის ჯეონისა ოდენი სისხლი დავღუარო და მოაბადისნიცა, ერთსა წუეთსა სისხლსა ვისისა არ ენაცვალებიან. რა ვქნა? მიუგებელი და მიუმხუდარი არის ვისის სისხლთა მებნა. ჰე მარაო ქალაქო, ხორასნისა თავადო, ნუ იადვილებ ეზომსა უსამართლოსა. წულსა წყაროსა ნაცულად ფათერაკი მოკა შენსა მიწასა ზედა, ხისა ფურცელთაგან უმრავლესსა შუბსა და კრმალსა ნახავ მეომართასა. ვეღარ გაისვენოს შენზედა შაჰინ-შა, სისხლისა ღუარი კადინო შენზედა. ჩაიცმიდენ აბჯარსა ვისის სისხლისა მძებნელნი. ხორავით ბახოთარამდის ცხენოსანი მებრძოლნი ეზომნი მოვიდენ შენზედან რომელ ცხენთა ფერკთა იავარ-გყონ. ქუეყანა მოუოკრდა მოაბადს ჩემისა საყუარლისა ასულისა მიზეზითა. აწ აღარა აქუს სიტკბო შაქარსა, რადგან თუალთა სანასავად მიითვარა მოწყული იაგუნდი; აწ აღარ იზრდების ნაძვი, რადგან ჩემი სე ვალსამოსა წაიქცა.[1] აწ აღარ სურნელობს მუშკი და ამბარი, რადგან უჩინო იქმნნეს მათ ფერნი თმანი. ვარდსა სიწითლე აწყა არღარა აქუს, ვინათგან ღაწუთა მისთა ფერი წაკდა. ეგეთი ციხე რომელ დევთა

[1] ვარიანტი: «ხე ბალსამისი წაიქცა».

სადგომი იყო ჲ ქაჯთა, მზე რად გაიყუანეს მას ზედა? ვაი ჩემო ვისო, რანისა დედოფალო! ვაი ჩემო ვისო, თურქეთისა ხათუნო! ვაი ჩემო ვისო, ხორასნისა მზეო! ვაი ჩემო ვისო, ქოისტანისა მთუარეო! ვაი ჩემო ვისო, ჴელმწიფეთა იმედო! ვაი ჩემო ვისო, კეკლუცთა შვენებისა წამლებო! ვაი ჩემო ვისო, ლაშქართა მნათობო! ვაი ჩემო ვისო, დედის იმედო! რად გშობე მზე ყამისა სიბერისასა?! ესდენ ადვილად [1] რად ჰემზასლე ულმრთოსა დევსა, რად გაგზარდე, რადგან ბოლოდ უწყალოსა ქაჯსა მიგცემდი?! აწ წავალ, სიკუდილამდის ვტირ გულითა დამწურითა, შევალ აშქაოფუთიდევანს ჲ მყნითა ჩამოვიქცევ თავსა; ლხინად მიჩანს მუნ სიკუდილი. გულის ნებასა ვერ ვპოვებ, ვირემდის უმისოდ ვარ, უგულისხმოდ ცოცხალი ვით ვიყო? მაგრა რაზომცა სიკუდილი სანატრელად მიჩნს, მუნამდის არა მოვიკლავ თავსა, ვირემდის მაჯინ-მას ზედა გულის წადილი ავისრულო ჲ ჩემგან უწინ მაჯინ-მაჯ არ მოკუდეს. ვერ მოვითმენ ამას, თუმცა ჩემი ვისი მიწათა შიგან მეგონებოდეს და მაჯინ-მა წალკოტსა შიგან სმად ჯდეს. არ ეგების ჩემი ვისი მიწა ქმნილი და მაჯინ-მა ცოლსა გვერდით მხიარული. წავალ ფვათერაკსა გავაღვიძებ, ქუეყანისგან დამალულსა სუაშიადსა გავამჟღავნებ. წავალ ქარსა მოვახსენებ: შენ იგი ქარი არა ხარ, რომელ მალვით ვისისაგან სურნელობასა იპარვიდი და ქუეყანასა ზედა მოჯფენდი? აწ მისსა სიყუარულსა გაფიცებ, მისსა მტერსა ზედა მიშველე! მივალ მთუარესა მოვახსენებ: შენ იგი მთუარე ხარ, რომელ სიკეკლუცე გშურდა ჩემისა ვისისათვის,—მისსა შესწავლასა გაფიცებ, რომელ შენგან კიდე მისი მგზავსი არვინ

---

[1] ვარიანტი: «ესდენ უდავლო რად».

იყო, — მიშველე მისსა მესისხლობასა ზედა! წავალ ღრუბელთა გეუბნები: შენ იგი ხარ, რომელ ჩემის ვისის თმათა სახობდი, აწ მე მიშველეთ, დააწვიმეთ მისისა მესისხლეობისათვის ფათერაკი მეხი, ელვა-სეტყუა და ქუხილი და მისისა მოყურისა ქუეყანა აშენეთ ნელითა წვიმითა! მივალ მზესა მოვახსენებ: განაღა მისგან კიდე შენი მგზავსი არავინ იყო, მასვე შენებრსა დამაღლე, — მისისა მტერისა ქუეყანასა ნუ აღმოსუალ და მისთა მოყუარეთა ქუეყანასა ნათობა ჰმატე! წავალ ღმერთსა დამბადებელსა შევეხვეწები, მას წინაშე პირსა მიწასა დავსდებ: უფალო მოწყალეო, ძლიერო! მოაბადის თავსა ზედა ცეცხლი წვიმე რისხვისა შენისა! რად მიეც მორჭმა ამას უსამართლოსა, რომელ ყოველთა დღეთა უფრო და უფრო უწყალო არის შენთა დაბადებულთათვის, არ შეიბრალებს შენთა მონათა და შენგან შექმნილსა ქუეყანასა სისხლითა აავსებს. კრმლისაებრ საქმე მისი გაკუეთაა და მგლისაებრ კელი მისი ტაცებაა. უფალო ღმერთო, მიძებნე სისხლნი ჩემნი და უმისობითა აოკრე დარბაზი და ტახტი მისი! ვითა ამან უსამართლოსა მოქმედმან ჩემისა გულისაგან კუამლი ამოადინა, აგრე რისხვისა შენისა ალთაგან სული და გული მისი დაავლეო!

რა შაჰი მოაბად საბრალო ტირილი ნასა და ესრე მოთქმა მოისმინა შაჰროსი, მისგან შერცხვენდა და ვიროსაგანცა შეეშინა. ეგრე უთხრა:

— ჰე ჩემთა თუალთაგან უფრო საყუარელო და ჩემგან ქმნილთაგან დიდად ჭირ-ნახულო! შენ ჩემი და ხარ საყუარელი, ვირო ჩემი ძმა და ვისი, ჩემი დედოფალი და გულისა წამლები, — ჩემთა თუალთა სინათლე არის და ჩემთა სულთა და კელმწიფობისაგან უფრო სანდომი. ვისი ჩემი მტერი ასრე

მიყუარს, რომელ სიცოცხლესა ჩემსა ვისი მირჩევია და თუმცა თავისისა ნებისა მიმყოლი არ იყოს და ჩემისა სიკუდილისაგანცა უფროსისა სააუგოსა და უსამართლოსა არ მიზმიდა, ჴელმწიფობისა ჩემისაგან დიდსა ნაყოფსა ჰპოებს. აწ მისი საქმე შენთვის დამემალა და ხვაშიადი ჩემი შენთვის მართლად არ გამომეცხადა:[1] მე ეგეთისა კაცისა მოკლვა ვითამცა შევმართე, რომლისა სული მერჩიოს ჩემსა სულსაო? თუმცა მე ტყუე ვარ მისი, მას არ ვეწყალვი. ეგრეცა ესე მირჩევია, რომელ მას წინათცა მოვკუდე. აწვე გაგზავნე ციხესა კაცსა და ვისსა მოვაყუანინებ. მე წამსაცა ვერ გავძლებ უმისობასა, დ მოვსცეთ. კარგა ვიცი, რა წამეკიდების მისგან. სხუასაცა მრავალსა სიმწარესა ვჰპოებ და დიდსა უნებლობასა და სიძნელესა მივეცემი მისგან. ვირემდინცა ჩემსა სადედოსა შიგან ვისი არის დედოფლად, მისისა ხლათუისა დ ორგულობისაგან კიდე სხუასა გამოსვენებასა არ მოველიო. რადგან ერთსაცა დღესა ჩემითა გულითა მხიარული არა ვარ, თუ ვისისგანცა არ მიხაროდეს, არა საკურველი არისო.

მერმე ძმასა მისსა ეგრე უბრძანა:

— წავედ ციხესა და ქარისაგანცა უმალე მიდი ორასის კაცითა, ორი ცხენი თან წაიტანე და ვისი სწრაფით აქა მამგუარეო.

მივიდა ზარდი ციხესა ორასითა კაცითა და წამსა მოგუარა ვისი მოაბადს და შაჭროს. მერმე მოვიდა რამინ ზარდისასა და მისსა სახლსა შიგან თუე ერთი დაჭყო მალვით.

---

[1] ესე იგი: აწ მისი საქმე შენ დაგიმალე და ხვაშიადი ჩემი შენთვის მართლად არ გამომიცხადებია.

მერმე შეესვეწა ზარდი მოაბადს რამინის საქმისათუის და შეუნდო კულაცა მოაბად. რამინის გასუული ბედი მისი შეკრა, მტერობისა დევი კულა ქუე დაიმალა და სიხარულისა წალკოტი აყუავდა. ახლად კულა აელვდა დარბაზი კელმწიფეთა კელმწიფისა მთუარეთა უმთუარესისა ვისის პირისაგან. ამო იყო მოაბადის ყოფა სიხარულითა და სუმითა და პირმზისა ვისის ჭურეტითა. ბროლის კელი ვისისი შელებული იყო ფეროანითა ღუინითა. მხიარულმან მოაბად სმა დაიწყო და გულუხვად გასცემა ლაშქართა ზედა. დიდსა ხანსა ესრე სიხარულით იყუნეს. გავიდა ამბავ ყოველსა ქუეყანასა შიგან მათი ამბავი და მოაბადის მოსამართლეობისა სახელი. დაივიწყეს პირველი ჭირნახულობა. არცა სიხარული დარჩების საწუთროსაგან, არცა სიმძიმილი, ბოლოსა გაასწორებს ჭირსა და ლხინსა. კაცმან გული მხიარულად დაიჭიროს, რომელ დღენი არ შეუმოკლდენ, რადგან კაცსა ბოლომდინ არ შერჩების; უსარგებლოა ცუდი დაღრეჯა.

მოაბად ცოტათა დღეთა დასაზმელად გურგანს წავიდა. მუნით სრად მხიარული შემოვიდა მარავს, ვისის სიხარულითა გაიხარნა, მერმე თავისი დარბაზი ესრე გაიმაგრა: სადაცა სარკმელი, ანუ გზა შემოსავალი იყო, ყუელა დააჭედინა ინდაურითა ბასრითა რკინითა, რომელ ნიავი ვერსით შემოვიდოდა, ბერძულითა კლიტითა დაკლიტნა, თავისა ბეჭდითა დაბეჭდა, კლიტე ყუელასი ძიძასა შევედრა და[illegible]ეგრე უთხრა:

— ჱე გრძნეულობითა კლოვასნო დევო, მე შენგან უზენარობა დია მინახავს, მაგრა აწ ზენარობითა შემოგვედრებ ამას, შეინახე კარი და შესავალი ყუელაი, რომელ რამინ არსით შემოვიდეს. მე ზაულს წავალ ნადირობად და საურავად, ერთი

თუ მუნ დამეყოვნებით. შეინახე დარბაზი ჩემი, ესე კარნი, რომელ დამიბეჭდიან, ვირე მეე არ გავხსნე. ყულაცა გითხრობ, ზენარობით გვედრებ, თუით იცი, რომელ მინდობილისა მიუნდობლობა უკამსია. გამოგიცდია, ჩემი ერთგულობა სცნობს, და თუ არა, თუ ჩემსა ულალატობასა ზედა გპოებ, აგავსებ გულის ნებითა. ვიცი ესე, რომელ თავისა ჭირსა უმატებ, ოდესცა გამოცდილსა გამოვცდი კულა, მაგრა აწ მით გამომირჩევიხარ ამა კელსა ზედა, რომელ მეცნიერთაგან ესრე მასმია: კაცმან თავისა საქონელი მპარავსა შევედროს, უკეთ შეინახავსო.

დია შეავონა მიძასა, მიანდო და კლიტენი მისცნა. თვით იგი კარგსა დღესა გამოვიდა მხიარული, ქალაქისა კარსა სიახლესა დადგა და ერთი დღე მუნ იდგომა და ვისის საქმესა იგონებდა, მოშორვებასა შეიჭირვებდა და ნაღვლობდა თავისა კელმწიფობასა, რამინსცა სათანაო ნადირობა ეწვია და მას წინაშე იყო. საღამოდ რამინ ქალაქს წამოვიდა და მასვე საღამოსა მოაბად სმისათვის მებნა რამინ. ეგრე მოახსენეს: «მარავს წავიდაო.» უგრძნა, თუ მისისა წასულისა მიზეზი რა არისო. რამინ რა დარბაზისა კარი ეგრე შეკრული ნახა, მოაბადის წალკოტსა ჩავიდა, რომელ დარბაზისა სიახლესა იყო და ვისის უნახაობისათვის გახელებულივითა იარებოდა, გული უდუღდა, იზახდა და ეძებდა ვისის:[1]

«მოყუარეო, ოდიდგან მომაშორე შენსა პირსა, მუნითგან ჩემნი მტერნი იხარებენ. ერთხელ ბანთა ზედა გამოჰე, რომელ გნახო. შეჭირვებისა კელი ერთი თავსა ჰკრდა მიძს და ერთი

---

[1] ვარიანტი: «იზახდა, ეძებდა ვისის და იტყოდა: მოყვარეო».

გულსა. ამა ბნელსა ღამესა ესრე ვარ, ვითა უფსკრულსა ზღუასა შიგან ვირჩობი. თუცა აწ ვენახსა შიგან ვიარები, მაგრამ ჩემთა ცრემლთაგან ვითამცა ზღვათა შიგან ვცურავ. მომირწყავს ბოსტანი ცრემლითა და სისხლისაგან მიწა დამიტალახებია, მაგრა რადგან შენ ჩემი აქა ყოფა არ იცი, რას მერგების მე ესე ტირილი და ზახილი. თუ ვსულთქნე ამა მდუღარისა გულისაგან, დავსწუავ მაგა დარბაზსა და კლიტეთა, მაგრა მე იგი ადგილი ვით დავსწვა, სადა გულისა ჩემისა წამლებია. შენ ცეცხლი კალთასა მოგეკიდოს, მე თვით დამწვარსა გულსა სრულად დამავლებს; მე შენი თვალნი მიწყით უწყალოდ სულისა წამლებელად მესრიან, წარბისა მშვილდად მკმარებელნი წამწმისა ისრითა გულსა მიმსჭვალვენ. თუცა ბედსა ჩემსა შენგან მოუმორებივარ, შენი სახე ეგრეცა თუალთაგან არ მიმეფარვის, ზოგჯერ ძილსა მიკრთობს და ზოგჯერ სისხლისა ცრემლსა მადენს. ძილი ვით მიამოს, შენგან შორს მყოფსა, ანუ სულნი ვით მედგნენ შენსა უჭვრეტელსა!»

დიდხან მოიტირა და ცრემლთა დენისაგან მაშურალსა ვარდსა და ყუავილსა შუა ძუე მიეძინა, თუცა ვერცა ეგრე სრულად ემინა გულსა ჭირითა სავსესა და თუალთა — ცრემლითა. იგი წალკოტი ჯოჯოხეთად უჩნდა. ვისის ეგრე იხლა და არცა სისხლისა ღონე ჰქონდა. კულა ვისმან რამინის მუნ მყოფობა იცოდა და არ მოასხლურობისა მისისათუის ვითა გახელებული დარბაზსა შიგან ბრუნვიდა, პირსა იხოკდა, სისხლისა ცრემლნი სდიოდეს. მისი ვერ-ნახვისა გონება უმისოდ მანთივითა სდაღვიდა გულსა. ათასითა შესვეწითა იაჯებოდა ძიძასა, თითონა უქნევდა:

— აჰა შენდა ღმერთი, მოიგონე შენგან ჩემი გაზრდა და

ჩემგან შენი სიყუარული, ერთხელ კულა ამიგე ღონე, მეწიე, ჩემისა გულისაგან და კარისაგან ბეჭედი აიღე და ამა ბნელსა დამესა შიგან ვითა მთუარე რამინის პირი მიჩვენე. შორსა გზასა წამავალია, რომელ სიცოცხლისა ჩემისა იმედსა მას თანავე ჩემგან მოშორებულსა ვიგონებ. ესე ღამე ბედისა ჩემისა მგზავსად ბნელია და მე ჩემისა გულისა წამლებსა ჩემითა გზითა ბნელთა ვიგონებ. ასრე მოასლედ მყოფი, ესრე მაგრად დაბეჭდულთა კართაგან ნასვისა ულონო, რომელ ნეტარძი ჩემთუის თუმცა ასისა დღისა სავლითა მაშორვიდა, თუ ესრე ულონო ვიყავ მისისა ნასვისაგან! მოვე ძიძაო, შემიბრალე მე, თუ ვით ღმერთისა თავითგან უბედური და უგულისხმო დაუბადებივარ და ათასითა კლიტითა დაუკლიტავს გულისა ჩემისად სიხარულისა კარი. მე მისგან ესრე დაღრეჯილობა და მიჯნურობისა ჭირი მეყოფის, ეზომი დაკლიტული კარი რადღა უნდა ჩემსა სიხარულსა და ყოფასა? მე რა კარი დამიხშეს, დაკოდილი ტანი და სული ჩემი კულა დამიწყლულეს, მაშინვე უიმედო ვიქმენ სიცოცხლისაგან. რა მოყუარემან ჩემმან თმანი დამიგრუზნა, მუნითგან მით სურნელითა ტოილოთა გული ჩემი დაუბამს მაგრად. მაგრამ ოდიდგან შვენიერი სახე მისი მამეშორა, მუნითგან მასვია თუალთა შიგან პირ-ალმასი ისარი და არა მაქუსღა ღონე სიცოცხლისა გაძლებისა. შეიბრალე ჩემი სიყმე, რომელ გაუხარებელი დავრჩე და გამიღე წამსა ერთსა კარი, რომელ რამინ ვნახო.

ძიძამან ეგრე უპასუხა:

— აღარ ეგების, რომელ ნიადაგ აკკაცობა და უზენარობა ვიკმაროდა. შაჭინ-მასებრი კელმწიფე წუხელის აქათ წასრულა და ჩემთუის ეგზომჯერ ზენარობით შემოხვეწილა, ანდერ-

ძივითა მოუცემია, ამას ღამე მე მისი ზენარი ვით გავტეხო, მისგან დაბეჭდული კარი ვით გავაღო ანუ წყრომასა მისსა წინა ვით დაუდგე? თუ ასი ათასი კაცი დაკაზმული მყუეს, მე მას ვით გაუმაგრდე? თუით ქსელა უძებნია ჩემგან სამისო ერთგულობა და აწვე სამსახური მისი ვით დავაგდო, ანუ უზენარობა ვით ვქნა? ნუღარა ეჭუ ჩემგან მან-მას გაწირვასა. ჯერეთ თუით ქალაქისა კართა ზედა დგას; არცა თუ დღისა ერთისა სავლითა მოგუშორვებია. ამას ვეჭუ, ღმერთმან იცის, რომელ ამას ღამევე მუნ არ დაიდგნეს და აქა მოვიდეს. არ ივადრების და არცა კამს ჩემგან მისი ეზომ დიდი შეცოდება. მეშინიან, რომელ ავის ქნისაგან ავი წაგვეკიდოს. ბრძენისა ვისმე ნათქუამია თუ, ავისა მოქმედსა უგრძნეულოდ ავი წაეკიდებისო.

რა ძიძამან ესრე გუარი სიტყუა უთხრა ჴ უიმედო ჰყო, ეგრე მოახსენა:

— პირ მთუარეო სულო, აწ შენცა კიდე წავედ თავისა საგებელთა ზედა. შაჰინ-შას ნუ შესცოდებ, ამასღამე დასთმე, მოიჭირვე და მერმე თმობისაგან დიდხან გაისარჯენ. დია მეშინიან, შენმან მზემან, ამასღამე უგრძნეულოდ მოაბადისაგან მოსვლასა და მისგან საშენოდ ავისა რასმე დამართებასა. მომისმინე აწ და ეშმასა თუალი დააბრმე ამას ღამეო.

ძიძა კიდე წავიდა. ვისი უიმედო გახდა. საბრალოდ ბრუნვიდა დარბაზსა შიგან, გულისა მჯიღუსა იცემდა და ეძებდა ღონესა და გზასა რამინის სანახავად. გარნა არცა-სად სარკუმელი ჰპოა ღია და არცა სით გზა ბანთაგან გასავალი. მიაჭირვა მიჯნურობამან, დათმობისა გაუძლებლობამან და აუდუღდა გული სიყუარულითა. იგონებდა და ესე ჰპოა ღონედ, რომელ სადა ფარდაგი იყო დარბაზსა შიგან გაბმული, ცალი წვერი

კლდესა ზედა იყო დაბმული მაგრითა თოკითა, მას თოკსა ზედა უკამურითა ფერკითა გავიდა, ვითა მოშაითი, რომელ დარჩომისა ღონე უსაეჭო იყო. რა კაცსა მიჯნურობა დასჭარბდეს, საქმე საზომსა გარდაჰკდეს. თავი ასრე არ ეწყალვის, ვითა მას. რა თოკსა ზედა შევიდა, ვითა მფრინველი ბანთა ზედა გავიდა. ქარმან თავისა საბურავი მოჰკადა, ყელისაგან საყელო მოსწყუიდა, იალქანი თუით დარბაზსავე დარჩომოდა. რაცა ყურთა შიგან სიყური ეგდო, ზოგი დაელეწა და ზოგი გამოსცუივდა. დარჩა ბანთა ზედა შიშველი და უკამური. ეძებდა მუნით წალკოტსა ჩასავალსა გზასა. ამისგან კიდე ვერა ღონე აიგო, რომელ კაჩასა მისი ზეწარა გამოუნასკუნა სამე ხესა ზედა და მას მოეკიდა და მუნით თავი ჩამოიქცია. რაცა ტანისამოსი ეცვა, ყუელა ლუსმარსა ზედა ჩამოეკიდა, დახია. მუნით ვენაკშიგან ჩავდა. თუცა ადგილი ლბილი იყო, ფერკნი ორნივე იტკივნნა, მუქასარი დახია. ხადა დაცემულიყო, მის ადგილისაგან ზე ადგა სრულად შიშველი და დანაყილი. შუაღამეზ ბრუნვიდა წალკოტსა შიგან, მოყუარესა ეძებდა, თუალთა ცრემლი სდიოდა და ფერკთა სისხლი.

კუნესით თავისა ბედსა ემდურვოდა და ეგრე იტყოდა: «სადა ვმებნო შუენიერი, ჩემი გულისა სიხარული ანუ სადა ვპოვო ჩემი საყუარელი ყუავილი?» მერმე ეგრე თქუა:

«ჵე სვეო, თუ უგულო ვინცა გეწყალვის, ერთი შესაბრალებელი მე ვარ. შენ არ დაშურები და ჩემებრ ფერკნი არ გეტკივნებიან, მოიარე ესე წალკოტნი შიგან და მებნენ ორფერნი ნარგისნი: ერთი უსულო დ ერთი სულისა ჩემისა თმობისაგან გამომყუანებელი. ჩემგან დამალული ნახე, თუ სად ჰპოვო ესეთი კაცი, რომელ ჩემებრ მრავალი ცნობათაგან შეუცვალებია, ათასი

სავარძელიანი უსავარძელო უქნია და მოყუივნებია, ათასი გული იავარ-უქნია და ცეცხლითა დაუწვავს. ჩემსაცა ყოფასა ხედავ მისისა სიყუარულისა და მებრისათუის ვით გასრულვარ. გულ ტკივნეული დაღრეჯილი, თმობა უქონებელი და ათასთა ფათერაკითა დასწორებული, გამტუერიანებული ვცურავ მისისა მიჯნურობისათვის. აცნობე ნიავო მას, რომლისა პირსა ზედა შეიყრების ყოველი შვენიერება, ნუ იმალვის, გააღვიძე! მისგან მომართვი მუშკი, რომელ ვისუნო და ჩემგან მას მიართვი ამბარი და სცხე ზუმბულსა ზედა. მოახსენე ჩემაგიერ: «ჵ აყუავებულო წალკოტო, თავით ფერჴამდის სისრულო და შვენებაო, მზეო გულისა წამღებელო, სიტურფითა ყოველთა ტომთა პატრონო! რად მომიდევ გასელებულსა ცეცხლი და მაცურვებ ქსეთსა ბნელსა ღამესა? მე თუით გული შენგან ვერაოდეს მინახავს, ვითა მწადების; ეგრე მორჭმით ვერაოდეს მამისვენია შენთანა. უბედურსა ბედსა ჩემსა გაუწირავ: ყოველსა ადამიანსა სძინავს და მე ოდენ მღვიძავს. მე თუ კაცთა ტომი ვარ, რად უწყალო მქნია ესრე ღმერთი და ბედი, რომელ აღარავის გვავს კაცთა ტომსა და ვიხარებ უგულობისაგან. ნუთუ თვით დედამან უგულო და უბედო მშობა და ნუთუ დედამან დამწყევა, თუ რასაცა ქმებდე, შენგან შორს იყოსო.[1] აწ ჩემი სანატრელი ჩემგან შორსა ხარ და თუ უიმედო ვიქნები შენისა ნახვისაგან, დამრჩების წამლიანი ისრის პირი გულსა, შენისა პირისა ნაცულად. და თუ თუმბუთური მუშკი ვისუნო, უბნისა მიწად მიჩანს. ჩემი სული შენ ხარ, არ მუშკი და არცა ამბარი. ჩემი წამალი შენ ხარ და უგუდავება. შენისა სიშორისა გულსა უგბენია ჩემთუის გულსა

[1] ვარიანტი: «შორს არისო».

და ღვიძლსა. დაკოდილი სული ჩემი პირამდი მამსულია და ჩემი წამლისა წამალი და თერიაყი შენი ბაგე არისო და ჩემისა ბედისა მზე—შენი პირი. სადა ხარ, რად არ გამომიჩნდები? ვაი უბედურო ბედო ჩემო, ამას ღამე რადღა მეტად აბეზარ მექმენ? მე ჩემთა სჯა-მოუსვენებლობათათჳს მტერთაგანცა საბრალო ვარ. შენ ქსრე ვით თმობა-მექმენ!» კულა მთუარესა დაუწყო ამოსულისათჳს მუდარა. ეგრე თქუა: «ჵე მთუარეო! მას ღმერთსა გაფიცებ, რომელსა საყუელაოდ გასამხიარულებელი გასანათებლად დაუბადებიხარ. ამოდი, ყამია შენისა ამოსულისა! მე სულნი ამოსულად მიმწურვიან. ამოყუენ შუქნი მთისაგან, ნახე გულსა ჩემსა ზედა მთათა ოდენი შეჭირვებისა ტჳრთი. საწუთრო და ღამე ჯანგიანსა რკინასა გვანან და სიბნელე საწუთროსაგანცა უფრო უზენარო მქმნია. გული აღარა მაქუს და გულისა წამლები ვერავე მიპოვნია. ზენაარ მთუარეო! შეიბრალენ ორნი ერთმანერთისაგან ხელ-ქმნილნი უერთმანერთობისათჳს! კულაოზ [1] გუექმენ, შეგვიხუეწენ, შეგვიბრალენ. თქუენ ორთა მთუარეთა კიდეგანობასა შიგან ჩემთჳს განაღამცა ბნელიყო აერი და არა მქონდა თვალთა ნათელი და ხედვა, რომე ერთისა საჯდომი მაღალი ცა არის და მეორისა ტახტი და უნავირიაო.»

ამა საუბარსა შიგან შუაღამე იქნა და მთუარე ნათლად ამოვიდა, ცისაგან სიბნელე და ვისის გულისაგან შეჭირვება გააქარვა. რამინის შეჭირვებისა და მიდამო სიარულისაგან მაშვრალსა ცრემლიანსა ვარდსა და სოსანსა შიგან ქუე მიემინა და მოყუარემან მუნ ჰპოვა მძინარე. რამინს გულმან უგრძნა;

---

[1] ვარიანტი: «ყულაოზ».

აისედნა. რა დაინახა, ზე აიჭრა, მოეხუივნეს ერთმანერთსა: მზე და მთუარე ერთგან შეიყარნეს, მუშკი და ამბარი ერთგან შეიზილნეს; ვარდი, სუმბული და ნარგისი ერთად შეირია. ორთავე პირთაგან დღისაებრ განათლდა ღამე, ჭირთა აღარას ასხენებდეს საწადელ ასრულებისათუის, მფრინველნი შტოთა დ იადონნი ვარდისა დაუბნებითა სიყუარულ ულექარობასა მათსა აქებდეს; მათისა სიხარულისათუის წალკოტსა შიგან ყუავილნი მოცინარობდეს, ვარდი მათგან ითხოვდა სურნელობასა და ნარგისი სანდომობასა.

ამაზედან საწუთრომან და მათმან ბედმან კულა გამოუცხადა ხვაშიადი.

ლზ

ცნობა მოაბადისაგან ვისისა და რამინის ერთგან შეყრისა

საწუთრომან ჭირისა ნამგლითა სისარულისა ყანა მომკო. ნუოდეს მოელი საქმისა მისგან სისრულესა, მით რომელ ყოველი ადამიანი და სოფლად მოსრული მისგან უპატიოა.

რა მოაბად რამინის ამბავი ცნა და მუნ მის წინაშე ადარა ყოვა, იგრძნა მიზეზი წამოსვლისა მისისა. გაუასლდა მტერობა სამათო, იგონებდა თუ, «ვირემდის გავსძლო მათგან ჩემი ეზომი დაუსჯდაობა, ვირემდის ვიყო ამა ჯავრსა შიგან? ვირეცა ქუეყანასა შიგან კაცი იპოების, მუნამდინცა დაიდების ესე სირცხვილად ჩემი ამბავი; საუკუნოდ და საარაკოდ ქნილვარ. თუ ვისი მზეცსა ცისა დ სამოთხისაებრ მლოცავთა საიმედოდ საგონებელი, ჩემთუის ეზომად—ჭირად და აუგად. არცა იგი ღირს, თუმცა ბაგენი მისნი უგულდავებისანი იყუნეს ჩემთუის, ეგრეცა შხამია; დ თუ ტანი მისი კაცთაგან წყლისაებრ სანდომია, ჩემთუის სიკუდილისაებრ მოუთმენელია. რა სარგებელია ჩემთუის ვისი სულისა ჩემისა მავნებლობისაგან კიდე!

«არაკი. ჩემგან ვისის შეგონება და ალიზისა რცხსა—სწორად სარგებელნია. მათი მინდობა დ გამოცდისათუის ნაღვლისა ჭამა გავს ერთმანერთსა.

«მაცთურისაგან ყოლაუზობა და ბრმისაგან გუშაგობა ვმებნე და ჭირი ჭირსა მოვიმატე. გამოცდილი კულა გამოვცა-

დე. რად ვეჭუდი ვისისგან ჩემს სიყუარულსა, ანუ რად ვძებნე გამზრდელისა მისისაგან ჩემი ერთგულობა და მისი შენახვა? კარნი დავბეჭდენ, ბეჭედი მათსა ძიძასა შევვედრენ! რა უგუნური ვარ, რომელ ვერ შევჯერდი მათსა საქმესა?»

შაჰინ-მა ამა საგონებელსა შიგან იყო: ზოგჯერ დათმობა გამოარჩივის და ესე, თუ ეზომი მოიყვანებს კმაა, ნუღარ გაამყლავნებ; და ზოგჯერ გონებასა აცნობობს მოერიის. ადგა ცხენსა შეჯდა და მაშინვე მარავს შემოვიდა და დარბაზისა კარსა მომართა.

ძიძამან ბეჭედი და კლიტე უღელა წინა მიართუა; არცარა ძიძამან იცოდა ვისის საქმე. შაჰინ-მა კარი უღელა თავისა ბეჭდითა ნახა კელ-მიუყოფელი. რა შინა მივიდა, ვისი ვეღარა ჰპოა. სძებნა საცხადოსა და სამალავსა შიგან ყოველგან. ძიძასა ეგრე უბრძანა:

— რა უყავ ვისი? ესე კარი ჲ სარკმელი უღელა ესრე შენახულია, რომე მფრინველიცა ვერსით გავა; იგი რა ქნილა? თუ არტვაზსა თანა სწავლად წასრულა, თუით ესე არ უნდოდა მას; ათასისა არტვაზისებრი მოწავე ბედითად უჩნსო.

რა ვეღარ შეიგნა, ძიძასა ეზომი სცა, რომე უსულო იქმნა და სიკუდილსა და მას შუა აღარა იდვა. ზოგან იალქანი ჰპოეს, ზოგან საყელოს ნაწყვეტი, ზოგან პერანგთა ნახევი. ვინამცავინ იაზრა, თუ მუშაითურებ თოკსა ზედა გასრულა და მუნით ბანთა ჲ მერმე წალკოტსა ჩასტომილაო? შაჰინ-მაჲ მრავლითა სანთლითა და მაშხალითა დარბაზითა მას წალკოტსა ჩავიდა. ვისმან შორით მაშხალისა სინათლე დაინახა, შიშითა სული კორცთაგან გაეყარა, რამინისთუისვე შეეშინა, ეგრე უთხრა:

— ადგე, შაჭინ-შა მოვიდა ულონოდ და შენ კიდე წაედ სწრაფითი, მტერისაგან მოკრძალვა არ უკამსია. აწ ჩემად მოკულად მოაბად მოვა. გარნა მე რაღა გინდა წამკვიდოს, ჩემთვის იგი მშიერსა ლომსა გავს ირმისათვის გამოჭრილსა. შენ ღმერთმან მშვიდობა მოგცეს და საშენო ჭირი და საძნელო საქმე რაცა გაგებულია, მევე მანაცვალოს. წაე, შენ გარდაიხუეწე. მე ვიყო აქა ფათერაკისა ღუარისაგან წალებისა მომლოდნე. მე თვით უბედურობისათვის საარაკოდ დაბადებული ვარ ქვეყანასა ზედა. ერთისა შენისა კოცნისაგან ესეთი სისარული არაოდეს მომსლომია, თუმცა მისი ნაცვალი ასი მათრაკი იმისგან არა მცემოდა. ერთსა ხურმასა უკვლოდ ვერაოდეს ვჭამ და ვერცა უჭიროდ გავიხარებო.

რამინ ესრე გაკდა, რომე ღონე აღარასი ჰქონდა საკლავად შეყრულსავითა. წაუვიდა ძალი გულისა და კმარება კელთა და ფერკთა; მართ სასკლი ოდენ დარჩა ვისის მოშორვებისა დასკუნითა და სრულად სიკუდილისა მნატრელი იყო. მერმე სხუა არა ეგებოდა, ადგა და ესრე ფიცხლად წავიდა, რომელ თვალი არ ეწეოდა. ბადისაგან წასრული ორმოსა ჩაიჭრა. უვისობისა ჭირთაგან საგონებლიანი თავისა დასხნა ვისის მუნ დაგდებისათვის აღარად უსაროდა. შეჰკდა მიუჭირვებლად კარგად მაღლისა ზღუდისაგან და წავიდა ფათერაკთაგან დახსნილი.

ვისი მასვე ადგილსა მიწვა და თავი მოიმძინარა. კელი თავსა შემოიგდო, გულსა სისხლი თუალთა უწვიმებდეს.[1] შაჭინ-შა ზედა წამოადგა, ქუე მწოლსა უყივლა და ფერკითა

---

[1] ვარიანტი: «გული სისხლისა თუალნი უმწუდებოდეს».

სძრვიდა. პასუხი, ვითა უსულომან, არ გამოსცა. რამინის სამებნელად ყოველგან კაცნი გაგზავნნა ცხენოსანნი და ქუეითნიცა და ვერა სადა ჰპოვეს. არცარა მას წალკოტსა შიგან სურიელი იყო მფრინველთაგან კიდე. შაჰინ-შაჰ ვისის თმათა მოეკიდა, კრმალი ამოიღო და ეგრე უბრძანა:

— მითხარ მართალი, თუ რათა ილათითა გამოხველ აქა? ესრე შენახვით დამეგდო კარი და სარკმელი. ანუ რამინ რა გიყო, ერთსა ღამესა ვერ შეინახე ჩემი მცნება და წურთა! მფრინველი არა ხარ და თუ დევი ხარ ანუ გრძნეული, რკინითარად არ შეინახვი. არა ღონეა დაჭირვისა შენისა. ცნობა ასრე გამორავს, ვითა ცა. წადილითა ასრულებს ასრე გასლავს, ვითა სულნი. უბედურისა გონებისა უფალი ხარ; ორთა თვალთა ხედვება და ორთა ყურთა სმენა შენთვის უკმარია.

«არაკი. შენი შეგონება ასრე უსარგებლოა, ვითა უღონოსათვის ქოთანი და მგზავრისათვის იალქანი.

«მე ოდეს გწრთვი და შეგაგონებ, ცნობისაგანცა აბეზარ იქნები. რგებისა ნაცვლად მე შენგან ეგზომი ავი და უპატიობა მომითმენია, რომე თვითო ეგზომ ასად მიჩანს. შენ ეშმა ხარ, რომე კარგსა სახელსა მიწყით ფრთხები. თუ მორით-სიმართლე დაინახო, სული ესრე ვერ გაგიძლებს, რომელ ზახილსა დაიწყებს მისისა ჭურჭლისაგან; წმიდასა გულსა დანასა-შესცემ და კარგთა შეარცხვენ. თუ დევად გთქვა, მეტურფები; თუ ეშმად, იგი შავი მასმია. ყველა პატიოსანი ავგიანი გიქნია და ყოვლისა კაცისა სახელი გაგიტეხია. შენითა უსირცხვილობითა არავინ მინახავს და არცავინ ჩემებრ შეუჯერებელი. შენისა აგეთისა სიყუარულითა სირცხვილი წამსულია. შენნისისხლნი დასაღურელად ალალნია, მით რომე შენი სული მრა-

კალთა სულთა შესაჭირვებელია. შენისა მოწყრთნისა წამალი ამა კრმალისა შენისა მოკლვისაგან კიდე არა ვიციო.»

თავისა მოკვეთასა ჰკლამოდა და მას მის კრმლისაგან ქზომი შიში არა ჰქონდა, ვითა ურამინობისა შეჭირვება. მერმე ზარდი მისი ძმა მივიდა და ეგრე მოახსენა:

— მაღალო კელმწიფეო, ღმერთმან გაამრავლნეს სიმხიარულესა დღენი თქუენნი! თუით შენი საქმე გაიგონე, თუ აწ მაგისითა მოკლვითა უკანის რას ჭირსა მიეცემი. გამოგიცდია ერთხელ მაგისი სიშორე და რა წაგეკიდა. ქუეყანისა ყოვლისა და ლაშქართაგან ვით აბეზარ იქმენ მაგისთუის. თუით იცი, თუ რაზომნი ცრემლნი დაღვარენ. ამისისა სახე-თუალადობისა მგზავსი სხუა არა იპოვების ქუეყანასა ზედა, არცა ღმერთსა დაუბადებია. თუ [illegible] იცოდე რომელ სინანულსა ჩაიჭრები და უკანის აღარა გერგების. იგი მაშინდელი ფერი თუ გექეთა აწ, მერმე კელი ეგეთითავე შეიღებე. ოდეს მოგეშორვა, გინახავს მაშინცა, რომე ზოგჯერ კელურთა თხათაებრ მინდორსა იარებოდი უცნობო და ზოგჯერ თევზთაებრ ზღუათა შიგან ცურვიდი. არ დაგრჩა ადგილი ესეთი, სადაცა მისისა მებნისათუის მისრულმან ჭირი არ ნახე. აწ ადრე დაგვიწყებიან იგი ჭირნი, რომე მისისა მიჯნურობისათუის გარდაგიკდიან და ჩუენ შენთა მონათა სათქუენოსა გონებისაგან სიცოცხლე ჩუენი არად გუხარების. აწ მოიგონე შაჰროს პატივი, ვიროს სიყუარული და სამსახური და თვით შენი ფიცი, რომელ შეგიფიცავს ღმრთისა და ყოვლთა მისთა წმიდათა, ნუ გასტეხ ფიცსა, რომე ფიცისა გატეხა არს რომელსა ყოვლსა კაცისათუის უვნებია. თუ გულსაცა რაოდენს შეუცოდებია, აწ ულონიოდ შეუცოდებელია. ხედავ რომე მარტო წევს ამას ბაღსა შიგან და

ესე არა საკჳრველია. თუმცავინ ხლებოდა, აქათ გარდასხვეწა არავისგან იქნებოდა ესრე მაღალთა ზღუდეთაგან. ნუ გაჰკჳრდი უბრალოსა შეცოდებულად. კარნი რკინისანი შეხვმით გვიპოვნიან. თუმცავინ ამასღამე აქა ყოფილიყო, არა დაგვეფარვოდა. კაცისაგან აქათ გარდასხვეწა არ ეგების. ჰკითხე, ნუთუ-რა ვითარა ათქმევინო, რომე მართალი სცნა დ ეგრე შეანანო. თუარა უბრალოსა მაგისისა სიკუდილითა თავსა უფრო ავნებო.

ამა ზარდისა მოხსენებამან აჯითა მოაბადს გული მორეულბო, კელსა მოეკიდა და შინა წამოიყუანა. ვისის ეგრე უბრძანა:

— ვიცი, არცა დევი სარ და არცა ეშმა. თუ გრძნეულობითა რათმე არ გარდასხვედ, რათ საქმითა შესუედ ამა ბაღსა შიგანო?

აფიცებდა დამბადებლისა ღმრთისა ძალითა და ცეცხლითა მართლისა თქმისათუის. მერმეღა ვისმან პასუხი გამოსცა და ეგრე მოახსენა:

— ჩემზედა ღმერთი მიწყით მოწყალეა. იგი არაოდეს გამწირავს და მოურავის ჩემისა საქმისა. აღარა მგამა შენისა წყრომისა, მით რომე მას ჩემად შემწედ ვიგონებ. შენ მიწყით ჩემზედ უღმრთობასა მოიღებ, უბრალოსა მაჭირვებ, მიწყით ჭირსა შინა გყავ, დამპატიმრებ, დამჭედ, დამღრეჯ, მცემ, უპატიოდ დამიჭირავ დ სიკუდილისა მომლოდე ვარ შენგან ნიადაგ. მე ჩემი დამბადებელი მიხსნის ყოველთა ჭირთაგან; იგი გამამიხსნის, მალხენს, გამომიყუანს, განმკურნებს, გამამხიარულებს, შემინახავს, დამიცავს და მატებულმყოფს. შენ რასცა ჩემთუი იქმ, მას ღმერთსა ზედა იქმ; მას ემტერები, არა მე. ღმერთია ყოველთა დაღონებულთა ღონე და კელის ამპყრობელი. მე იგი

ნუგეშინის-მცემელად მეყოფის და მხსნელად. მე წუხელის შენისა პატიმრობისაგან მიჭირვებული, მტირალი, გულითა წყრულითა შევეხვეწე ღმერთსა, რაცა შენგან უსამართლობანი მჭირდეს; ტირილით ვიკადრე და ეგეთსა მასვე ადგილსა ზედა მიმეძინა. მოვიდა შვენიერი ანგელოზი მწუანოსანი, გამომიყუანა შენისა საკნისაგან და ესრე მომიყუანა, რომე თმისაოდენიცა არ მტკივნებია. ამოდ მეძინა, აქა ლბილად ვწევ. ჩემი საწყენელი სამძიმარი გულსა შიგან აღარა არ ჩამაწვევდა და აღარცარა ჩემი უნებლი მჭირდა. ყოველნი ჭირნი ლხინად შემცვალებოდეს, ყოველნი საწადელნი ამსრულებოდეს. რა კმა და სინათლე ვიგრძენ, კუალა ჭირად მომექცა ჩემი საქმე. შენ შემოგხედენ, დაგინახე ჩემზედა წამოდგომილი, კრმალ მოწუდილი. ამის მეტი არა ვიცი. შენ გწადიან, დაიჯერე ესე და თუ არა—ნუ. ჩემი საქმე ესრე იყო. შენ ვითა გწადიან, ეგრე დაიჯერეო. შენი ნაქმარი ჩემზედა თუ არ ყუელა უსამართლოა, ღმერთი ასრე არ მიხსნიდა, არცა ეგრე-რად მძინარე შემცოდე ეგებისო.

შაჰინ-შა ესე ვისის სათქმელი დაიჯერა, მართალსა მიაფერა, შეიჭირვა დია. ღმრთისაგან შეეშინა; მისსა ნაქმარსა ინანდა, შენდობა სთხოვა და ვისის და ძიძასა დიდი უბოძა თუალი და მარგალიტი, ოქრო და ლარი. დაამდეს ერთგან, დაივიწყეს საერთმანერთო ავი ნაქმარი და მხიარულობდეს.—ასეთია გული ადამის-ტომთა, რომე გარდასრულისა ჭირისა ლხინსა შიგან დამვიწყებელია: არცა შეჭირვება გუშინდელი დარჩების ჱ არცა მოლოდინი ხუალისა. თუ ათასსაცა წელიწადსა მხიარული იყო, ვითა ერთი დღე, ეგრე გარდავა; და თუ შეიჭირვებდე ერთსა წამსა, ას წელიწადად გაგიკდების. თუ იხარებდე, თუ

შეიწირვებდე, შენ იგი დაგრჩების. მხიარულად იყავ, რომელთა თავისა დღისა ნაწილი სიხარულითა აღთა.

ლვ

მოაბადისაგან შაჭროსა და ვიროს წვევა და ნადიმის ქნა

ზაფხულისა ჟამი იყო: დღე ამო; მინდორნი, ველნი და წალკოტნი სამოთხესა გვანდეს; ხენი ნაყოფიანნი, წყალნი მდინარენი და მფრინველნი ზედა დამღეროდეს; ნარგისნი მწდეთა გუანდის და იანი თავ ჩამოგდებულობითა მთურალთა; მტონი ნაყოფისაგან—ნოშრევანისა გუირგუინსა სიტურფითა; ველნი სიმწუანითა ზურმუხტსა და მთანი ბეჟმედსა; ყოველი ქუეყანა ყუავილითა, სიტურფითა და სულნელობითა ავსილიყო. საწუთრო ახალ სძლისაებრ ნაზობდა.

ჯდა წალკოტსა შიგან შაჭნ-შაჭ და უჯდა გუერდით პირმზე ვისი; მარჯუნით უჯდა ვირო, მარცხუენსა მჴარსა შაჭრო, პირისპირ ჯდა რამინ და წინა სხდეს ხასნი მუტრიბნი, იმღერდეს, სმიდეს და გაიხარებდეს. იყო დიდებულთა ჯალაბობა. მგოსანმან სიმღერა თქუა ვისისა და რამინის მიჯნურობასა ზედა, ვინცა კარგად გაიგონებდა, შეეტყუებოდა მალოსათქმელსა. იამა შაჭნ-შასა, ეგრე უბრძანა:

—ამოდ თქუი ეგე სიმღერა. აწ ვისის და რამინის მი-

ჭნურობასა ზედა სხუა სიმღერა თქუი და გამოაცხადე მათი საქმეო.

ვისი რა ესე მოისმინა, მუტრიბსა საზომვარი უზომა და ეგრე უბრძანა:

— რადგან შაჰინ-შას ჩემისა საქმისა გამოცხადება სწადიან, ვისღა უმალავ, თქუიო.

მუტრიბმან იგივე სიმღერა თქუა ვითა, «ვნახე ხე დიდი და თავი მისი ცათამდის, ჩრდილსა ქუეშე დაეფურა ქუეყანა და მზისაებრ ნათობდა. ქუეშე წყარო კეკლუცი დიოდა და მიდამოია და ვარდი ყუაოდა, სუმბული და სოსანი. მისსა სიახლესა მოზვერი იყო მსუქანი, ზოგჯერ სათიბსა მოსძოვს. მიწყითმცა წყარო იგი მდინარე დაულევნელი, სათიბი მწუანედ, მოზვერი მსუქნად და მძოვნელად, ხე ნაყოფიანად!» ხედ შაჰინ-შა ეთქვა, წყაროდ — ვისი და ლაღი მოზვერი რამინ იყო. რა ესე სიმღერა გამოცხადებითა კარგად გაიგონა, მოაბად ზე აიჭრა საჯდომთაგან და რამინს თმანი შესტაცნა, მოიწვადა დანა და ეგრე უთხრა:

— შემომფიცე აწვე, რომე ვისის სიყუარული აღარ გქონდეს და არცაღა ოდეს დაეკარო, თუარე აწვე ავიღებ თავსა შენსა ტანისა შენისაგან, რადგან ტანი ჩემი შენისა აუგისაგან უთავო იარებისო.

რამინ ეგრე შეჰფიცა მათითა საფიცითა მტკიცედ, — პირველ ღმრთითა, მერმე ცეცხლითა, მზითა და მთუარითა, რომელ «ვირე სულნი მედგან, არცა დავაგდებ და არცა მისისა ძებნისაგან მოვისვენებ. ჩემთა დღეთა მას შევაწევ, ასრე არ გავსწირავ. თქუენ სალოცავად მზე გიჩანს ცისა და მე ვისის პირი. იგი სული არის ჩემი და ფავისა ნებითა კაცისაგან სულთა-ლევა არ

ქცების. შენ თუ გწადიან, მომკალ, და გწადიან, დამარჩინე. მე მისსა სიყუარულსა ვერ ვჰლევიო.»

შაჰინ-შას რა ესე ესმა, მეტად გაუწყრა და გინება დაუწყო; ქუე დადვა, თავისა მოკუეთასა ჰლამოდა და სადაცა ეზომ ძნელი სიყუარული სჭირს, მის ადგილისა დანითა გამოკუეთასა. რა რამინ მოკულა დაისკუნა, ორნივე კელნი დაუჭირნა მოაბადს, კელთა დანა გამოუღო და წამოვიდა.

მოაბადს თუით ეთრო და ამას ზედა სმა გაიყარა, დაეძინა. დილასა აღარ ახსოვდა მოაბადს, თუ რა წაჰკიდებოდა, მიჯნურობისა და სიმთურალობისაგან კიდე ცნობა გაჰქცეოდა. სიმთურალესა შიგან შეეტყუების კაცსა, თუ რას ზნისა მქონებელია. მოაბადს თუ ესე ორი ზნე არა სჭირვებოდა, არცა-რა ავი წაეკიდებოდა იმასა.

ლთ

ბეგოსაგან რამინის შეგონება კარგი

მეორესა დღესა ვინცაღა მოყუარენი იყუნეს, მივიდეს რამინის ნახვად და დარბაზობად. ნახეს იგი ეგეთი დაღრეჯილი, ჰკითხეს, რა გჭირსო და მან მიზეზი უთხრა. იყო მაშინვე ხორასანს მეცნიერი კაცი ყოველთა მეცნიერთა საპატრონო ენად დ გონებად კარგი, სახელად ბეგო ერქუა. სიბრთხილითა მუნ მისებრი არავინ იყო. ჟამსა და უჟამოსა რამინისასა მივიდოდა და შეგონებისა წყლითა რცხიდა რამინის გულსა, ეგრე ეტყოდა: ესე ჴელმწიფობა შენ მოგხუდების სრულისა ხუარასანისა, ერაყისა და რაცა შენსა სულსა უნდა, უეჭლა შენი საწადელი ასრულდების და ყოვლისა ქუეყნისა ჴელმწიფე იქნებიო.

მას დღესა რომელსა მოაბად გამწყრალიყო, დილასა ეგრე უთხრა: სრულისა არანისა და თურქეთისა პატრონი ხარ და ყმა კაცი, გვარად თვით ჴელმწიფე და ამის ორისა უკეთესი რა გინდა, რომელ გჭირს? შენი ტანი ღმრთისა წინაშე იჩივლებს, რომელ ეზომსა აჭირვებ. ამა უხსნოსა საწუთროსა შიგან სხუასა რად რას უკანა უდგები სიხარულისაგან კიდე? თუ ღმრთისა განგება გარე არ შეიქცევის, ჩუენ შეჭირვებითა ვერ შევინახავთ თავსა. ამით არ გინდა უსარგებლო დაღრეჯა დ შეჭირვებაო.

რამინ ეგრე უთხრა:

— ვითა შენსა მეცნიერობასა ხუდების, ეგრე იტყვი. მა-

გრა, რა ეტლი ეზომსა უნებლსა უზამს, კაცისა გულმან ვით გასძლოს; რადგან არცა რკინაა და არცა სიპი ქუა, ერთმან ტანმან რაზომი მოითმინოს და ერთმან გულმან ვირემდის მოიჭირვოს?

«არაკი: ღმრთისა განგებამან საყუელაოდ სწვიმა, მაგრამ მე ოდენ წამიღო ღვარმან. არ მოვა ერთი დღე ესეთი ჩემთუის, თუმცა ღვიძლი არ დამიწყლულდა. თუ ერთსა წამსა საწადელი ამისრულდეს, მასვე გვერდით ბადედ მასე დამეგების. საწუთრორა თავსა ვარდსა მაყრიდეს, თვითოსა ფურცლისათუის თუალსა თუითოსა ეკალსა ჩამასობს. თავისა ნებითა ერთი ჭიქა ღვინო ესრე არაოდეს შემისვამს, თუმცა უკანის მისი სწორი ნაღველი არ შემესვა.

«შენ ესეთსა ყოფასა დაპყრობილხარ, მხიარულსა ვის ნახავ? მე გუშინ ოდენ მოაბადისაგან რომელ წამეკიდა და ვისის წინა ვით უპატიოდ გასულვარ, რაღა ვისგან შევიგონო? მართ. დავსტიროდე თავისა ბედსა, რომელ მოვკუდე და დავეხსნა ჩემსა ყოფასაო.»

უამბო წურილად, ვითა რაცა ყოფილიყო მას ჟამსა შიგან და ეგრე უთხრა:

— მე ესე ყუელა წამკიდებოდეს, ჩემგან სიხარულსა ვით ეჭუ? ჩემი ესეთი უპატიობა ვისსა წინა და რაზომჯერ თრევა, გინება და ნიადაგ თუალთაგან სისხლისა ცრემლთა დენა, ყოფისა დამწარება სიკუდილსა დამანატრებს. ყუელასა ჭირსა მოვიჭირვებ, მაგრა უპატიობასა ვერა.

ბეგომ ეგრე მოახსენა:

— ჱე თავისა ბედისაგან მჩივანო, შენ ლომი ხარ, ტურათაგან რას ჩივი? შენ შენი ბედი გიშველის ბოლოსა ჟამსა.

ფაგრა მაშინღა რა, ეგე გურება მოიწყინო? ვირემდინცა მიჯნურობა შენ გიამების, მუნამდინცა შენი ტანი მიწყით ჭირისა მიმზიდავია. მოყუარესა გულსა რად მისცემ, თუ ჭირსა და უპატიობასა ვერ გასძლებ. არ იცოდი რომე, რა მიჯნურობასა დასთესავ, მისგან უპატიობასაცა მოიმკი. ვინცა ვარდსა დასთესავს და მოჰკრებს, ჴელსა ეკალიცა დაესობის. შენ მიჯნურობითა ვაჭარსა ჰგავ, ზოგჯერ ზიანი გეცემის და ზოგჯერ სარგებელი. ნუ გგონია, თუმცა სარგებელი უზიანოდ მოგხუდა, ანუ ცეცხლი მოგხუდა უკუამლოდ. ვინცა თესლსა სთესავს, გალეწვამდინ მისისა საქმისა ჭირსა შინაა. შენ მიჯნურობისა თესლი გულსა შიგან დაგითესავს და მუნით ვისისებრსა მომკასა ჰლამი, მუნამდინ დია ჭირისა ნახვა გინა. მე ათასჯერ მომიხსენებია შენთუის, თუ ნუ დაიჭირვებ თავისა ტანსა და სულსა ცუდითა საქმითა. გულის ნება აღელვებულსა ზღვასა ჰგავს, რომე მაშიგან შესვლა არა მეცნიერისა საქმეა. მიჯნურობა გულსა შიგან შესრული და ცეცხლი თვალთა ზედა სწორია მოსათმენელად. შენ გინდა თუ არა, დათმობისაგან კიდე არააღონე; და თუ არა, დია ჭირსა ნახავ. გინდა, — ტანი შენი წყენისა ადგილი იქნების. შენ მწყრალისა პილოსათუის შემბულხარ, და გაჯავრებულსა ლომსა ეომვი. ჯაბუკობა გეკმარების და, არ ვიცი, ვით იქნების შენი საქმე. ზღვასა შიგან ზი უნავო, შიგან თუალსა პატიოსანსა ეძებ და აღარაოდეს მოელი მშვიდობით გამოსვლასა. მის ვეშპისა დაპყრობილი ხარ, რომელსა ვერცა მოყუარე და ვერცა მტერი ვერ დაეხსნების. და თუ ერთსა დღესა ესრე გაგიწყრეს, რომელ მოგკლას, მეშინიან შენთუის და არ ვიცი, შენი საწუთრო რას გიზამს. შენ სახლი აგიგია-

ღვარისა გზასა შიგან, დაგიმინებიან მთურალისა; ნუთუ [1] შეიქნას უგრძნეულად რღვნობა და შენ სახლითურთ წაგიღოს ღვარმან. ბადესა ასჯერ უფრო შებმულხარ, მაგრა შენსავე ბედსა უშვე-ლია და დაუხსნიხარ, და ნუთუ ესრე დაება ერთხელ, რომელ ვეღარათ ღონითა დაეხსნა, მოუივნებული ცუდად წაჰკდე. იგი უპატიობა ამა უპატიობასა დია უარეა, რომელ შენნი სისხლნი-თვით შენვე მიისხნე, ამა საწუთროსა შიგან ყოველი კაცი გგმობ-დეს და მას საუკუნოსა ჯოჯოხეთსა შინა ისჯებოდე უკუნი-სამდე. ამისგან უფრო რათ დასჯი შენსა სულსა? თუ ჩემი მოისმინო და დათმობა გამოარჩიო, მრავლისა ჭირისა ნაცვლად სარგებელი ჰპოვო. არა რომელი ჭაბუკობა და მამაცობა დათმო-ბისაებრი არა არის და მეტად—რა გულის ნებასა აშორვიდეს; მაშინ თუ მამაცობა იკმარო და დათმობა, გულისაგან ამოიკო-ცო ჯავრი. მიჯნურობისა მარგებელი სხუისა შეუყვარებისაგან კიდე არა არის, არცარათ ამისგან კიდე გული გარდაელების კაცსა. თუ ერთსა წელიწადსა დასთმო, უმისობა ესრე დაგა-ვიწყდეს, რომე ვითამცა ყოლა არაოდეს გენასა. რა მიჯნურო-ბა მოერიოს კაცსა, თუ სხუა ღონე არა იყოს, მოშორვები-საებრი არაა, მით რომე სიყუარული თუალთა აქუს: ვინცა თუალითა აშორავს, გულითაცა აშორავს. კაცსა მრავალფერი რამე ძნელი საქმე დაემართების, მაგრა თავისა გონებითა, სი-ფრთხილითა, თათბირითა და ომითაცა ჰპოვებს ღონესა. შენ ერთი გჭირს ჭირი და არცა მისი ღონე იცი და არცა თათბი-რი. გაბედითებულხარ და საარაკოდ გასრულხარ. ამა დაგიმტე-რებია, დიდი და ცოტა შენსა აუგსა იტყუის; რა პირველ

[1] ნუთუ, ესე იგი, გაძთუ, ეგების.

სმად დასხდებიან, შენსა ზრახვასა დაიწყებენ და სახელად ნაჯომარდსა გიჴმობენ; თუ ვისი მზეცაა, რამინისგან მისისა ძმისა უპატიობა ვით ეგების!

«არაკი: რა კაცმან გვარი დაისვაროს, ასისა ზღვისა წყალიცა ვერ გარცხის. ვითა ავისა მოქმედისა სახელი უკუნისამდის დარჩების, ეგეთი კაცსა სარგებელი არა დარჩების. ერთჲ მოყუარე კარგი მსწავლელი კაცისათვის ერთსა ქუეყანასა სჯობს და ერთი მართალი გული ერთსა თუალსა პატიოსანსა.

«შენ შენი საწადელი ეზომსა ხანსა ვისისაგან აგისრულებია და სიყუარულისა მტოსაგან ნაყოფი გიჭამია. თუ ათას წელსაცა ახლავ, მეტსა რასა იქმ? არცა მზეა სინათლითა და არცა ბუთი შვენებითა, თვალად ვისისებრი ქუეყანასა შიგან დიდად იპოების და ესეთისა დიაცისათვის შენი სიყმე უკანა რად დაგილევია. თუ სხვისათვისცა ვის დასდვა გული, ვისი ყოლა აღარა მოგეგონების. შენ ჯარისკულავი მით მოგწონებია, რომელ მთუარე არაოდეს გინახავს. გააგდე მომცდარისა გულისაგან მიჯნურობა, გამოიცადე თავი. ინდოეთითგან დაუწყე, ჩინი, ბარბარი, საბერძნეთი, არანი ხუარასანამდის შენ და შენსა ძმასა მორჩილით გაქუს,—სხუამცა ვისისებრი დედოფალი ვერა ჰპოვეა? ძებნე მანამდის ქუეყანასა შიგან, ვირე მისგან უკეკლუცესიცა არა ჰპოო, თავისა დღენი უშიშობასა შინა სიხარულით გარდავლენ. ვირემდის, ვირემდის აჭირვებ თავსა! აჰა, აწ მოსრულა ჟამი შეირცხვინო, ძმისაგან პატივი სძებნო და ლაშქართაგან უაუგობა. აჰა, კარგი ჟამი, რომელ სიყმისაგან გაიხარნე, მოყუარეთა გაახარნე, მტერთა დაამძიმო, ჭაბუკობითა სახელი სძებნო. ჟამია რომელ შეგწონდეს ავნი და კარგნი. სხუანი ჴელმწიფენი, შენნი სწორნი, ჴელმწიფობასა და დიდებასა ეძ-

ბენ და შენ მიწყით ვისსა და მიძასა ქმებ; წაგიღია თავისათვის პირის-წყალი. ვირემდისია შენი აჴქცეობა? წავიდა შენგან მღერისა და ლაღობისა ყამი. ვირემდინაა ლაღობისა მოედანსა შიგან ცხენისა რბევა შენი? რა არის ესეთი ემმა, რომელ ესრე დაუმაბუნებიხარ, საკიცხლად გაუკდიხარ და მისისა სამსახურისაგან საღმრთო დაგიგდია? მეშინიან შენთჳს საბოლოოდ, რომელ მტერთა გაახარნე შენზედა. თუ ჩემი, შენისა მონისა, შეისმინო, ეზომსა ზრახვასა და ბედითობასა დაეხსნა, შენი შეჭირვება სიხარულად მოგექცეს და ფათერაკი ღმრთისა წყალობად. და თუ არა გამამღარხარ ეგეთისა ყოფისაგან, ვითამცა არცარა მე მითქუამს და არცაღარა შენ მოგისმენია. მუნამდინ რომელ ანუ რა მოგივიდეს, შენ მყა დაეპყრობი და ჩუენ ნაპირსა დავრჩებით. მჭურეტელთა ზედა ჭურეტისაგან კიდე არა მივა ჭირი. ამისისა კადრებისათჳს მუდარასა ვითხოვ; მე, რომელ მცოდნია, მითქუამს, და შენ ვითა გწადიან, ეგრე ქენი.

რამინ რა ესე ბეგოსაგან საუბარი და შეგონება მოისმინა, მისისა უგულობისაებრ ლამსა შიგან დათვლულსა მოკართულსა ვირსა დაემსგავსა და ულონო იქმნა. ზოგჯერ ზათრანისაებრ გაყუითლდის, ზოგჯერ დაიღრეჯდის. ეგრე უთხრა ბეგოს:

— ვიცი რომელ ჩემისა სარგებლისათჳს იტყჳ მაგას. ჩემი უმეცარი გული წყლულია და მით მებრძვის. აწ მოვისმინო ამიოთვანდი შენი და შევიგონო კარგი წყრთა შენი. ამის საწყლისა გულისაგან მოვიწყუიდო და აქათგან გული ჩემი აღარ იყოს ნებისა მმებნელი, არცაღა დაწყნი ჩემნი ცრემლთა ჩემთა რუსა გზანი. ხუალე ერაყისა და მაჴისა ქუეყანით პირსა ვიქმ და სადა მიჯნურნი იყუნენ, არცაღა გუნებით დავეახლები, სიყუარულ-

სა გულად აღარავისსა ჩაუშვებ და არცალა ქსეთსა საქმესა უგანა უდგები, რომელ უგუნისამდის აუგიანი დავრჩე.

მ

მაჭი მოაბადისაგან ვისის წურთნა, შეგონება და მცნება

რომელსა ჟამსა ბეგო რამინს შეაგონებდა, მაშინვე მოაბადსაცა მოსწავდა ვისის წურთა. ამოთა და ლბილთა სიტყუათა შეაგონებდა, ეგრე უთხრა:

— ჰე კეკლუცო პატრონო, ჩემო სულთა მომცემო! თუით იცი, მე რაზომი ჭირი შენთუის მინახავს, შენითა მიჯნურობითა რა დამმართებია და შენ რაზომჯერ გული გიტკივნებია. შენის აგრ ქვეყნისაგან გამიგრძელდა ჭირი და გამკადრე საარაკოდ. არაა სიკეკლუცე, რომელი შენ არა გაქუს და არაა დიდება, რომელი მე არა მაქუს. ჩემს უფროსი კელმწიფე მიწასა ზედა არაა. მე მეფეთა მეფე ვიყო და შენ კეკლუცთა დედოფალი, მოდი ვიყუნეთ ერთად. ნუ გიმძს გული გიდის-გიდე. ვირე ვიყუნეთ, ერთმანერთისა მოყუარენი ვიყუნეთ, ავიღოთ სიყუარულისა ნაწილი. შენ იყავ ქუეყანათა, ქალაქთა, ლაშქართა, საჭურჭლეთა და დარბაზთა პატრონი; მე გარეთ მარტო სახელი ოდენ მეყოფის მეფობისა, სხუად ყოველსა საქმისა მოქმედი შენ იყავ: რაცა გწადდეს,

იქმოდი; სადაცა გეგლოვცი ადგილი იყოს, თამაშობდი, ისარებ-დი, გასცემდი და აჰრჩოდი. რაცა მე მაქუს, ყუელა შენია, თუით რომელ ასი ათასისაცა ეგზომისა ღირსი ხარ. ჩემნი ვეზირნი შენნი იყუნენ, მწიგნობარნი შენნივე იყუნენ. რაცა გწადიან, შენ უბრძანებდი და აქნევდი. შენ გშვენის ხელმწიფო-ბა, დიდება და მე არა; ესრე შენი მიჯნური ვიყო, მოყუარუ-ლი ნების მყოფელი და წადილთა შენთა მყოლი. სხუა ქუეყა-ნათა ზედა ესეთი ვინღა ვებნის, რომელ არა შენი მონა იყოს და ბრძანებისა მორჩილი? მოისმინე ჩემი შეგონება და ნუღა-რა ხარ ესრე დაუჯერავი, ვითა გუმბათისა ზედა ნიგოზი. მე შენთუის კარგი მინდა და კარგსა გასწავლი ყოველსა. არა შე-ნებრი გულ მანკიანი ვარ, რომელ გულსა სხუა გიძს და ენასა სხუასა ათქმევ. ჩემი სული სიმართლისა მოწადინეა და ენა მართლისა მთქმელი. მიწყით გული ჩემი სიყუარულისა მძებნე-ლის და ენა მშვიდობისა მთქმელი. ასრევე მართლად შენ იქცეო-დი. ნუ ხარ ჩემთუის ორ-ენა და გულ ღალატიანი. თუ მო-ისმინო ესე სათქმელი ჩემი, დააგდო სამყოფელი ეგე ქცევა და ბუნება შენი, დამმორჩილდე, — ესრე გავხდე სანატრელად, რომე დიდნი ხელმწიფენი დარბაზისა შენისა სამირკვლოსა ეთხუელოდენ შენისა ზარისაგან. და თუ მერმე იქცეოდე, თუით მე მერე დაგემტერო, რომე სხუანი უფრო მტერნი არავინ ეგებოდენ. ნუ იქმ, მოყუარეო, დამდევ პატივი, ეკრძალე ჩემსა მტერობასა, რადგან პირუტყუთაგანცა საშიში ვარ. შენ ჩემი სიყუარული გერჩიოს სიკუდილსა. შეირცხვინე საპატიოსა მაჭროსაგან, მოიგონე უსწორო ეშხი შენი, დახედე შენისა ძმისა სიკეთე-სა, რომელ მიწყით შენგან რცხვენილნი და პირშავნი არიან. შენ თუმცა ღმრთისაგან და ანუ მაჭროს და გიროსაგან გრცხვე-

ნოდა, აგრემცა იქცეოდე, ვითა კამს და მემცა პატივსა მდებდი. მაგრა რადგან ეგეთისა მშობლისაგან რიდი არა გაქუს, ვითა შაჭროა, და ეგეთისა ძმისაგან კრძალი, ვითა ვიროჲ, მემცა რად გამასხარენ? ანუ ჩემსა შეგუილსა რად მოგელი, თუ ცამდისცა გავიდეს ჩემი ზარი და დიდება. მაგრა აწ მითხარ მართალი უტყუვრად, ღმრთითა გაფიცებ, საჩემოდ რა გიძს გულსა: მოყუარობა ანუ მტერობა? აღარ შემიძლია ამა ყოფასა შიგან სიცოცხლე, მოიწყინე შენცა ეგე შენი ბუნება. ჩემგან ბოლოდ იცოდე შეგონება და თუ მაგასავე შიგან ხარ, შეგონებითაცა გამაძღარვარ. შენთა საქმეთაგან გამჟღავნებულსა ჩემი ხვაშიადი და ვეღარა ვსთმობ ამასა და ვეღარც გემუდარებიო.

ვისის გული ღმრთისა განგებითა, ვითა ქუა, ცვილურად მოლბა. ამა საუბარსა შიგან ზე ადგა, და პასუხი ეგრე მოახსენა:

— ჵ მაღალო კელმწიფეო, სიმაღლითა ცამდი ხარ და სიმდაბლითა მიწამდის; გული გიძს უხუი, კელი შენი—თუალისა პატიოსნისა გამცემად და გონება—სიფრთხილითა სხუათაგან მიუწდომელი. ღმერთსა შენდა ესეთი საქმე მოუცემია, რომელ სხუათა კელმწიფეთა არცა გონებად მოუა. შენი ნაქმარი ყუელასა ზედა მზისაებრ გამცდარია, ღმერთმან თქუენთა წადილთაებრ გყოს და თქუენი ბრძანება სრულქმნას. იცით თქუენცა, რომელ კაცსა ზედა ეტლი წამსა და წამსა სხუა კბილად[1] იქცევის და შობასავე თანა დაებადების. წინამდებარე ჩუენ კაცნი ღმრთისა განგებასა და ეტლსა ვერასადა გარდავეხვეწებით, ვერცა სადა დავემალვით ღმრთისავე წადილისაგან

[1] ვარიანტი: «სხუა ყალიბად იქცევის».

კიდე. ყოველივე მისგან განაგებია, რაცა დაემართების ვის სიკუდილისა დღემდი. რაცაღა ვარ, მას ზედა ღმრთისაგან ანაგები ვარ; ბუნება წმიდა ჳვარ, თუარა შენ ღმერთსა ბედნიერი დაუბადებისარ და მე თურე ესეთი. მე ამით უბრალო ვარ, რომელ არაოდეს მნდომია ჩემისა თავისათუის ავი, რაცა ყამსა არ მოუცემია; არა მწადებიან სათავისოდ ეზომნი ფათერაკნი; არ მკეთებია საჩემოდ ეზომი ჭირი; არცა მინატრიან, თუ მიჯნურობისაგან ეზომნი ჭირნი მამხუდენ და ამისი ხუაშიადი ჩემთა მტერთა სცნან. არცა საჩემოდ ესე მიყუარს, რომელ ოდესცა ლხინსა მოველი, ჭირად მომექცევის. შობითგან ჭირსა შიგან ვზრდილვარ! ღონე ჩემი რაა, რადგან გული ჩემი ესეთთა საქმეთათ შეუსწრია ჩემსა სკესა? ვითამცა ეტლი ჩემი სულსა ჩემსა ებრძვის, ესრე ვარ, და თუით ესრე მამწყენია, რომელ ლომისაგანცა შეჭმა სანატრელად მაქუს. ბედი ჩემი აბაშსა მუშასა გავს მზისაგან შემწუარსა და თმობა ჩემი ქაჯთაგან წაღებულისა. ფრჩხილითა გულისა სირცხვილისა ფარდაგსა ვხევ და კბილითა სულისა მკედსა ვსჭრი. აქათგან იცოდე, მაჯი მოაბად, შენი დამამძიმებელი არცაღა სული მინდა და არცაღა გული. მე მათგან ყოფილვარ ჭირსა. არცა ოდეს გული გამიმხიარულდებოდა და არცა ტანსა შიგან სული ჩემი ოდეს გაისვენებდა. ჩემი საქმე ერთსახე შავოთად ყოფილა. აქამდის ბედსა ჩემსა თურე სძინებია. აწ აღარა ვარ ესეთისა სიყუარულისა ვისისაცა მქებნელი, რომელითა საუკუნო სირცხვილითა მომხუდეს, ანუ შენებრი მოწყალე და მძლე პატრონი უწყალო მექნას და დამემტეროს. რადღა მინა ეზომ ძნელი სიყუარული, რომლითა ეზომ დიდი აუგი მამხუდების? რად მინდა ესეთი მიჯნურობა, რომლითა ეზომი საყუედური და

უპატიობა დამემართოს და საარაკოდ დავიდვა ქუეყანასა შიგან. აწ ჩემისა ბნელისა გულისა კარი გამღებია, მართალი გზა მოპოვნია, თუალთა ამჩენია და გონებისა და ცნობისდა შემეცნებულვარ. აწ დამიგდია მიჯნურობა. აქათგან შემიგიან, რომელ ჩემისა ბუნებისაგან ზიანი მცემია და ყმაწვრილობისაგან სამუნაოდ და სააქაოდ ავი საქმე მიქნია. მიჯნურობა ღრმისა ზღვისა მსგავსია და მაშიგან შესულა არა მეცნიერთა წესია. თუ დღეთა ჩემთა ვჯდე, აღარა ვეჭუ რომელ, მისი პირი დავინახო, და თუ ათასისა მათუსალას დღენი მქონდენ, აღარა მგონია, რომელ მუნით ერთიცა სული მშვიდობით გამოვიყუანო. რად გლახ ვებრძვი საბრალოსა სულსა ჩემსა, რად დავღური უბრალოსა სისხლთა ჩემთა, რად არ მომისმენია ბრძანება თქუენი, რასათვის სათავისო მშვიდობა არ მიძებნია? მაგრა აქაიგან რაცაღა თქუენი შეცოდება და ავქცეობა ნახო, რაცა გწადიან, მის რისხვისათუის სიტყუა არა მაქუს. თუ ლომიცა არის, აქათგან ველარ მამერევის რამინ; თუ ქარათცა შეიქნას, სული ჩემი აღარ ეცეს, ჩემსა სიახლესა ველარ იქროლოს. და აწ რომელ თქუენთუის ამითქუამს, ეს პაემანი და პირი აღაროდეს გავტეხო. თუ მკევლად და მსახურად გინდე, დღესითგან წაღმა შენი მორჩილი ვარ. შენ ერთხელ ჩემთუის კულა გამართე გული დ მე ესრე გმსახურო, ვით თავით შენ გინდა. აწ დამტკიცებულია ჩემთანა სიმართლისა სულიო.

მაჯინ-მაჯ პირი და თუალნი მოუკოცნა, ესრე დაამუდეს[1] საერთმანერთოდ, საეჭუისა და სიმულვილისა ჯანგი ერთმანერთისაგან ამოიღეს.

[1] ვარიანტი: «დაამდეს».

მა

ვისის და რამინის ერთმანერთის წყრომით გაყრა

ცა მოიღრუბლოს, აერი დაბნელდების; ქუეყანა ფიცხლისა ქარისაგან აშფოთდების. აგრევე მოყუარეთა რა საწუთრო გაჰყრიდეს, წინასვე დაუწყებს მუხთლობასა; ეძებს მიზეზსა და გამოაჩენსცა. რასაცა გააცხროებდეს, პირველ პირი გაუცხელდების. რა რამინს მოეწყინა ნიადაგ ჭირის ნახუა და გაძლა დღე და ღამე ვისისა უკანა დგომისაგან, თვითო წამისა ბადესა შებმისაგან და ყოვლისა კაცისა ყუედრებისაგან, ბევრს საუბარიცა გულსა ჩაუკდა, მაჭინშას კაცი მიუგზავნა, ეგრე მოახსენა:

«ესე აქაური აერი არ დამაშუნდების, უფროსჯერ თვითავად ვარ. თუ ბრძანოს მეფობამან შენმან და დიდებასა მაღირსებდე, ერაყს წავიდე და გმსახურო მუნაურთა ლაშქართა თავადობითა. შემიწყალეთ, რაცაღა სამსახური იყოს, ვიქმოდე; ოდესცა მიბრძანოთ, განაღამცა სირბილითა მოვიდოდე თქუენს წინაშე. ნუთუმცა ამა სნეულობასა და სევდიანობასა დავეხსენ თქუენითა წყალობითა. მთასა და ბარსა ნიადაგ ნადირობითა ვისარებდე, ზოგჯერ ავაზითა, ზოგჯერ ქორითა და ძაღლითა გამოვსცადო სანადირო ყუელაი. ცხენნი დამხამებიან და აბჯარი ჩემი ამა ექუსსა თვესა შიგან არად მიკმარებიან მისა ყოფითა. აწ წავიდე და ოდესცა მიბრძანოთ, მონურად წინაშე ვიყო.»

რა მოახსენეს შაჰინ-შას, ესმა ესე და გაეხარნეს. გაასრულა რამინის მოხსენებული: რე, გურგანი, ქოისტანი, ჰამიანი და სრული ერაყი მას უბოძა. ტანსა შემოსა, მანაშური ბრძანება გასხნით უბოძა. მოეთაყუანა, კარავნი გარეთ დაადგმევინა. შინამყოფი უგრძნეულოდ გაემგზავრა. ვისსა, ამისა მსმენელსა, თავი ცოცხლად აღარად უჩნდა, გული უმცირდებოდა და გულისა კუნესა შეჰქონდა.

რამინ მივიდა წამავალი ვისის გამოსათყვანებლად, შეჯდომისგან კიდე არა აკლდა, შეკაზმულიყო. ვისი ტახტსა ზედა ჯდა. შევიდა მასვე გვერდით ტახტსა ზედა დაჯდა. ვისმან ჴელი გაუქნია და ეგრე უთხრა:

— ადეგ, სეფეს ტახტსა ზედა ნუ დასჯდები. რა ყმა იყო, პატრონისა ადგილსა ეკრძალვოდე. ჯერეთ მეადრების შენგან მაგა ტახტისა მებნა, რასაცაღა მოუცთუნვებისარ; რეგვენობაა მგეო.

დაუმძიმდა რამინს, დიდად დაღრეჯილი ადგა და წავიდა. დასწყია თავისა დაბადება და ინანდა რაცა ვისისათვის ჭირნი ენახნეს. ეგრე თქუა გულსა შიგან:

აჰა, აწ ვნახე თავისა ჩემისა საქმე, თუ რათა გულითა არის საჩემო ვისი; ბოლოსა ყამსა რა მითხრა გამყრელსა. ნუმცავინ ქმნის დიაცისაგან მოწყალეობასა, ნუმცავინ სთესავს მლაშესა ველსა ზედა ვარდსა. ვირისა კუდსა გავს მათი სიყუარული, ზომითა ვერ გაგრძელდების. მე ვზომდი დიდხან ვირისა კუდსა დ მიუდგებოდი დევისა კუალსა. აწ მადლი ღმერთსა, რომელ თვალ ხილული და გულ მრთელი ვარ, შემიგნიან სახელი და აუგი. რად დავჰკარგე აქამდის ჩემი სიყმე ცუდად? რად გავინქრიე საწუთრო და დღენი ჩემნი? ვაი იგი გარდა-

სრულნი დღენი და ჟამნი, ვაი იგი გული ჩემი სიყუარულისა მომლოდე! რას მიზეზისათუის დავიკლე აქამდისი სიამისა სიხარული, რადგან ბოლოდ იმისგან გამწირაობა დამრჩებოდა?! კაცსა თავისავე ჴელითა თავისა სიკუდილი [illegible]უჯობს ესეთისა სიტყუისა მოსმენასა. ბარე კარგსა ჟამსა მოვისმინე ეზომ გრილი სიტყუა, რომელ გული გამამაგრდეს. ვაშად გამიდრკა გული [illegible]სამისოდ; მაგრა, რადგან მისი კიდეგნობა დამედვა გულსა, რა მგამს რაზომიცა რა ავი მოვისმინო. ხასლი რომელ უბედური იყოს, რაზომცა ადრე აოკრდეს, ესე სჯობს. მე კიდეგანობისა მიზეზი მამცა ღმერთმან, ბოლოდ ნაცვალი გამოჩნდა ჩემისა ჭირისა. მე თუმცა ცნობანი მქონდეს, ათას თვალ პატიოსნად სყიდვა მინდოდა ესეთსა სიტყუასა. აწ ღმერთმან მაჯნად მამასმინა. აჰა გულო, შესჯერდი და გაიქეც ამის სიძნელისაგან; გაიქეც, გულო, საწუთროსა ფათერაკისაგან; გაიქეც გულო, აუგისა დავიწყებულისაგან; გაიქეც, ნულარავის აძლევ სისხლთა, შესჯერდი და გარიდე! და თუ აწ არ გარიდებ, მაშ ოდესღა გარიდებ?» რამინ ამა საგონებელსა შიგან იყო და გული პილპილითა გატენილსა უგვანდა.

ვისმან რა ესრე დაღრეჯილი ნახა რამინ, თავსა ბრალება დაუწყო, რად დავამძიმე ჩემითა უთმენელობითა? გული მახვილითა ეჭრებოდა მისისა დამძიმებისათუის. მერმე ას ოცდაათი არტასხი მოატანინა, რომელსა შიგან ოცდაათ-ოცდაათი თავი სტავრა ეკრა, ყუელა ოქრო ქსოვილი, ჩინური, ბაღდადური ოქსინო და ყუელასთანა ყუელა ერთმანერთისა მჯობი. რამინის მეჭურჭლესა შეკედრეს. თუით რამინ მრავლითა ტურფითა შემოსილითა შემოსა, კაბა-ლაფანჩებითა და ქუდებითა და რიდე-

ბითა. მერმე ამა სიტყუისათუის შენდობა ითხოვა და ეგრე უთხრა:

— არ ეგრე შემომფიცეა, თუ სულდგმული არ გაგწირავ და არცა დაგაგდებო, აწ რად ჰქმენ ეგეო?

მან მიზეზი უთხრა, რადცა ექნა და რასათუისცა წავიდო-და. მერმე კელი კელთა დაუჭირეს ერთმანერთისა და წალკოტსა შევიდეს მარტოდ, მოეხვივნეს ერთმანერთსა. მათისა პირისა-გან წალკოტი აყუავდა და მათისა თმისაგან ნიავი გასურნელდა. ზოგჯერ ერთგან ყოფისათვის მხიარულობდიან და ზოგჯერ გაყრისათუის ტიროდიან. ვისი პირ შვენებიანი თვალთაგან სისხლსა იდენდა; ღაწვნი ოქროსფერ ჰქონდეს, თვალთაგან ათასისა ღრუბლისა ღვარნი გარდმოსდიოდეს და ერთისა სუ-ლისაგან ათასი ფერი შეჭირვება გამოვიდოდა; პირსა და მკერდ-სა იხოჭდა და ეგრე უთხრა:

— ჰე საყუარელო მოყუარეო, ჩემსა ნათელსა რად დამი-ნელებ შენითა წასულითა? არ შემომფიცე მას პირველსა დღესა? აწ მუნითგან რა ხანი გარდასრულა, რომელ ესრე გასმელ ჩემი-თა სისხლითა? გითარია გულისა ეგეთობა? ეგე თქუენ მამათა წესია, რომელ გულსა უჩვენებთ კაცსა და გულისა ჩვენებითა მასცა გულსა დაუწყლულებთ, მერმე გულსა გაიმაგრებთ. გული-სა სიმაგრე ომსა შიგან კამს, არა მოყურისა ცრუებისათუის. ღმერთსა თანა ბრალად რად არ გიჩნს? მე იგივე ვისი ვარ, მზისა მგზავსი, პირით თეთრი, თმა მუშკი, ტან კიპაროზი. შენისა მოყუარულობისაგან კიდე ჩემგან არა გინახავს, რომელ გულისაგან გაგდო ჩემი სიყუარული. თუ ახლა-ვინ მოყუარე გიშოებია, ჩემსა ძველსა სიყუარულსა ზღუასა ნუ ჩააგდებ და ნუ გამწირავ. რამინ, ნუ გაახარებ ჩემთა მტერთა, ნუ იქ მაგას.

ვიცი ადრე შემოიქცევი და ინანი, თუ გასწყუედ სიყუარულსა. არ ჩანგისა ძალია, თუმცა გულსა გამოინასცუა. ესე დღე მოგე-გონების. რა კუნესა დაიწყო, ჩემსა წინა შენებურად პირსა მი-წასა დასდებდე და ეგრე მეხვეწებოდე; ვერ გასძლებ უჩემობასა და მერმე სინანული აღარას გარგებს, რა ჩემსა ნახვასა ეძებდე და ვერა ჰპოო. აწ ამაყობისა და სირეგუნობისაგან გამაძღარხარ და მაშინ დაგლახავდები. ნახო მაშინ, რაცა შენზედა ვქნა. ავი-სა და კარგისა უმუქფობასა ნუ მეეჭუ. მაშინ ნაჭსა შემიქ და განმანებიერებო.

რამინ პასუხად ეგრე გასცა:

— ჩემისა გულისა ღმერთმან იცის და შენცა, რომელ წამ-საცა ვერ დავსთმობ უშენობასა. მაგრა მე შენთა მტერთაგან მეშინიან და ვერიდები. ყოველი ადამიანი დაგუმტერებიან, ასრე რომე ჩემი პერანგნიცა მტერად შემქმნიან, თაგუნიცა ვეფხთაებრ მმძლავრობენ და თევზნი ვეშაპთაებრ მექუშვიან; მზე უპატიოდ ელავს ჩემზედა, ღრუბელი საბრალოდ მწვიმს. ეზომი საყუედური მესმის ყოვლისა კაცისაგან, რომე თავისა თვალითა ჯოჯოხეთ-სა მახედვენ. მისთვის მიმიმართებია მოახლეთა, და მოყუარე-თაგან ესრე მეშინიან, ვითა მტერთა და მესისხლეთაგან. ვისი-საცა კელისაგან წყალსა შევსუამ, მოწამლისა მეშინიან. შაჭინ-შასთანა ესრე შესმენილივარ, რომელ ნუთუ მუხთლობით მო-მაკლევინოს და რა მამკლან, მაშინ არცაღა შენი ვარ, არცა ჩემი. ესრე გამომირჩევია, რომელ გული ეგრეცა შენი მოშორვებულია და სადაცა წავიდე, ცოცხალი ვიყო. სიცოცხლე თვით ამით უფრო მინდა, თუ სულნი არ მედგნენ. შენებრივი მოყუარე საუკუნოდ გამეყრების. ამას რა უამეს, რომე სულნი მედგნენ და შენებრი სულიცა მეახლოს. აწ დავსთმოთ, ამა წელიწადსა ერთ-

სა ვიყუნეთ კიდის კიდე და მერმე დღეთა ჩემთა უშიშად ერთგან ვიყუნეთ. მასმია, ღამე მაკეა და არავინ იცის, თუ დილა რასა შობსო. საწუთრო ხრიკიანია, ვინ იცის რას გამოაჩენს. რა იცი, თუ ბნელსა ამას კიდეგანობასა რაზომი სინათლე მოუდგს შეყრისა. თუცა საწუთროსაგან სნეული ვარ, მისისავე მკურნალობისაგან მაქუს იმედი: მე რაზომცა ნისლი მომხვევია, დარისა კარგისა და მთუარისა ნათლისაგან იმედსა არა გარდავსწყუედ. აწინდელი ჩუენი გაყრა ესე არის, რომელ გულითა კულა უფრო შეყრილვართ; ნუთუმცა დაილია ჭირისა დღე და მოგუესწრა სიხარულისა და ლხინისა ჟამი? მე ვირე სულნი მიდგან, შენსა და ჩემსა საკუთრობასა არ გარდავსწყუეტ. შენ ჩემი მზე ხარ და თუ შუქი შენი არ მახლავს, საწუთრო ჩემთა თუალთა წინა შენისა თმისა ფერად მიჩნს. ჵაი, ჵაი რაზომი უნებლობა წამკიდებია საწუთროსაგან და ყუელასა მიზეზი შენი სიყუარული ყოფილა! აწ ამას ვეჭუ, რომელ ბოლო მოჰკლდეს ჩუენისა ჭირისა, აქათგან სიხარულისა ნაწილი მოგუხუდეს. დიდისა შეჭირვებისა ყუელასა ბოლო სიხარულია. კარი არ დახშულა, რომელ არ გაიღებოდეს; შეღმართი არსა, რომელ ჩაღმართიცა არ დახუდეს; გაზაფხული მაშინ მოვა, რა ზამთარმან მთა შეკრასო.

ვისმან ეგრე უთხრა:

— ეგე ეგრე არის, მაგრა ჩემისა ბედისაგან იმედი არა მაქუს. ჩემი ბედი არ ეგრე მეტერების, თუმცა, რა მოყუარე წამგუარა, მისი პირი მიჩვენალა. მეშინიან შენისა ბუნებისაგან, რომელ გორაბს კეკლუცი ქალი ჰპოო და შეგიყუარდეს. მუნებურნი ნაკუთად კარგნი კეკლუცნი და ლამაზნი მოჰკლდებიან და შენ რა მათ ნახავ, მე დამივიწყებ, გულსა მათ მისცემ და გამ-

წირავ. ხათამაშოდცა მიხუალ გორაბს და გული ბრუნვასა დოლაბივითა დაგიწყებს. ეზომსა კეკლუცსა ნახავ, რომელ ველარ შეიგებ თუ რომელი გამოირჩიო. რა მუნებურნი დედანი მამაცსა პირსა უჩვენებენ, მაშინვე გულსა წაუღებენ მათითა თმითა, პირითა შვენიერითა და ლამაზობითა. ვითა შემოდგომათა ქარი ხისაგან ფურცელსა იტაცებს, აგრევე მუნებურნი ქალნი მოყმეთა გულსა შეიპყრობენ თუალითა გრძნეულითა. თუ ათასიცა გული გურდემლისებრ მაგარი გიძს, მათითა ნახვითა ეგრეცა უგულო დარჩები. თუ ეშმასაცა შეკრვა შეგიძლია, თავსა მათგან ვერცა ეგრე იხსნიო.

რამინ ეგრე უთხრა:

— თუ მთუარე თვესა ერთსა ჩემსა მიდამოსა იარებოდეს, სამკაულნი მისნი ვარსკულავნი იყუნენ და გვირგვინად მზე ებუროს და ყოველი შუენება მას ჰქონდეს, ყოველი გრძნეულობა მან იცოდეს კაცთა გულისა მიმზიდაობისათუის, კოცნა მისი უკუდავება იყოს და შეხედვა მისი სამოთხისაებრ საყუარელი, ნახვა მისი ბერთა გამაყმობელი და ბაგენი მკუდართა გამაცოცხლებელნი,—მე, შენმან მზემან, შენი სიყუარული ვერ დამაგდებინოს, იგი არად მომინდეს, არად მოვიგონო მისი ეგეთისა უებროსა სიყუარული შენისა გულისათუის, შენი ძმაცა მისგან უფრო საყუარლად და პატიოსნად მიჩნდესო.

მერმე მოეხუივნეს და აკოცეს ერთმანერთსა და გაიყარნეს. დაწყუთათუის ზათვრანი ეკალა და მარგალიტსა ხვავრიელად აწვიმებდის. მათი სულთქმისა კუამლი ცად ავიდის, აერი ჯოჯოხეთსა დაამსგავსეს და მიწა მათთა ცრემლთაგან ომაინისა ზღუასა. ორნივე უბრალონი მისქინნი იყუნეს და დარჩეს ვითა შლუნი. რა რამინ ცხენსა შეჯდა, ვისსა თმობისჲ საფარველი

აკადა განგებამან ღმრთისამან, ვისის ნაყუთი მშვილდად შექნა და ისრისაებრ რამინ მისგან შორს გასტყორცა. ეგრე მოსთქმიდა ვისი და ტიროდა.

«ჰე ჩემგან წასრულო, რა შენ წახველ, თმობაცა ჩემი წავი-და შენდა მოსვლამდინ. ღმრთისა განგებისაგან შენ გამგზავრე-ბულხარ და მე გულისა ნებისა ორმოსა ჩაჭრილვარ. გინემდინ შენ მგზავრი ხარ, შენი მოყუარე ტირილისაგან მოუსვენებელი-ა. რაა ესეთი ბედი ჩემი?! დამცაიკარგვის, რომელ ზოგჯერ ტასტ-სა ზედა დამსვამს და ზოგჯერ ნაცართა. ქშომითა ჭირითა გატენილია ესე ვიწრო გული ჩემი, რომელ დიდსა მინდორსა სამოცისა დღისა ეჯსა შიგან არ დაეტევის, თუალი ჩემი ზღუასა ნამისა სიმრავლითა და გული ჯოჯოხეთი ჭირთა დაულეველო-ბითა. არ მებრალების უთმინობა და უძლობა. ნიადაგ ზღუა-სა შიგან ვინ დაჰყოფს, ანუ ჯოჯოხეთსა შიგან ვინ გასძლებს! ამის უარესი რა წამკიდების, რომელ ამის უარესსა წყევასა მტერისათვის ვერ მოვიგონებ.»

რამინ გაემართა. მისთა ბუკთა ცემა ცად გაიწეოდა, მი-სისა ლაშქრისა მტუერი ღრუბელსა გუანდა, მაგრა მათი წვიმა რამინის ცრემლი იყო. თუცა იგი სიტყუა გულსა შიგან და-ესწავლა და უმძიმდა ვისის გაყრა, ეგრეცა შესჭირდებოდა, გული ენასკვოდა და პირსა ზედა აჩნდა დაღრეჯილობა; ვერავინ ნახავს თუ ყუალა მიჯნურია, თუმცა მეტად სიშორესა შიგან არ დააჩნდა მიჯნურობისა შეჭირვება. თუ კიდეგნობასა შიგან თმობა აქუს; მან კაცმან მიჯნურობა არ იცის და არცა შუენის.

თუცა რამინ ქუეყნისა პატრონად გაკდა და ძმისა ლაშ-ქართა ზედა უსუცესად, გული კელმწიფობასა შინა უვისობი-სათვის ეგრეცა ასეთი ედვა, ვითა უწყალოდ თევზსა. მოიარა

თავისა ქუეყანა, ყოველგან მოირწყუნა და ამაღლდა; სადაცა ბრძა-
ნება მისი მივიდა, ყოველგან ავის მოქმედობა ამოაგდო. ესრე
უშიშად გავლა გურგანი, რომელ ცხუარნი და მგელნი ერთად
იყუნიან და ცხუართა მგელნი უწობნობდიან. ეზომსა სმიდიან
და იხარებდიან, რომელ, თუ სთქუა, მის ქუეყანისა მდინარე
ფუქლა ღვინისა იყო. მისისა მოსამართლეობისაგან ყოველი
კაცი მუტრიბითა ჯდის, მისისა შიშისაგან ყოველი მტერი და-
მონდებოდა. ზირუტუუთაცა თმობით მისცემდა ავის მოქმედთა-
გან. და ისპაანი სახლად დაიჭირა, ჯორჯანი, რე, ჭავალი და
ბაღდადი მისი იყო. მისგან უკეთესნი და უფროსნი ლაშქარნი
არავის ჭყუეს. მისითა სიკეთითა და მოსამართლეობითა გა-
მოუსვენა ყოველსა სურიელსა. აშენდეს ქუეყანანი, გამოიღეს
ხეთა ნაყოფი და ყოველი კაცი მის ქუეყანისა მადლობდა ღმერთ-
სა მისისა ეკეთობისათუის.

მზ

რამინისაგან გულისათჳს გამიჯნურება

რამინ დაიწყო ყოველგან თავისა ქუეყანათა სიარული საურავად, ნადირობად და თამაშად. ამიანს მივიდა და გორაბს მუნებურნი დიდებულნი და ჴელმწიფეთა სწორნი, შაჭვურ და რაფედ, წინა მოეგებნეს. მის ქუეყანისა დიდებულნი და გვარიანობით სახსენებელნი იგინი იყუნეს. უმასპინძლებდეს ეგრე, ვითა მართებდა: დღისა ნადირობად გავიდიან და საღამოდ სმად და სიხარულად დასხდიან. ვითა ნადირობასა შიგან ლომისა და ვეფხისათჳს მიწყით ჴრმალი ჴელთა ჰქონდის და ნადირთათჳს ისარ-მშჳლდი, ეგრე შინა მეყოფთა—ჴელთა ჭიქა. ესრე ამოდ ისარებდიან, მაგრა ვისის გონება გულისაგან არცა ეგრე მირიდებოდა, არა ჴელსა შინა მეყოფსა და არა შინა.

დღესა ერთსა ნადირობით მოვიდოდა და, ვითა მზე, ქალი ნახა. გულ[1] ერქუა. სახედ და შუენებით უგლები იყო, გაზაფხულისა უყავილი იყო გულისა გამამხიარულებელი, ჭირისა მაქარვებელი, სამართლისა მოქმედი და გულისა წამის ყოფით წამლები, კეკლუცთა ჴელმწიფე, მოყმეთა ჴლოვნად მიმზიდავი, სნეულისა გამამრთელებელი, ჭირვეულთა მალხენელი. პირი ვარდიანსა წალკოტსა ეგვანდა და თმანი შავნი და გრუზნი

---

[1] გულ—სპარსულად ვარდი.

სიხშირითა შაქრისა ლერწამსა. კოჭთამდის თმისა მისისა ყალბი [1] მიჯნურთა ტოილო იყო და ფათერაკსა მისთუის არ ესუნა. ბაგეთა მისთა სიმტროსა ზედა გემო ყანდისა ჰქონდა და ამა იაგუნდსა შიგან მარგალიტი ჩნდა დაცმული. წამწამთა მისთა მშვილდოსნობა აფხაზთაგან ესწავლა, ამბარი ფერსა და სულსა მისგან ისახებდა. წარბი მისი მთუარესა ზედა მშვილდოსნობდა, მისი არყი მუშკი იყო და წამწმისა ისარსა მოყმეთა გულსა დაასობდა. ერთი ბაგე ვარდსა ზედა მუშკ მოცრილსა გვანდა და მეორე უგუდაებასა. მისისა გულისა ყმა იყო ქუა და მისისა ლამაზობისცა მონა ბასრი რკინა. მოწეულისა [2] ყუავილი მისთა ღაწუთა სახე იყო და ტანი მისი—გიისა კორცისა და სისხლისა; მისებრი არა ინახოდა, ტანისა სითეთრე ბროლსა უგვანდა ყასაბ გარდაფენილსა. იგი ასეთი მიჯნურთა მამჭლობელი დიდის გემოვნობითა თავ ალებულობდა. სამკაულისა მეტად შეკაზმულობითა საჭურჭლესა გვანდა, თვალ-მარგალიტისა სუავრიელობითა—გაუშობელსა სადაფსა. მისსა გუირგუინისაგან მთუარე ელვიდა, პირისაგან მზე, კბილთაგან ვარსკულავნი და ყელისაგან მთიებნი. სიამაყითა ყმაწვრილსა კელმწიფესა გვანდა და სწადლობითა სიცოცხლესა; შუენებითა გაზაფხულისა წალკოტსა და დიდის გემოობითა მარტორქასა. მკვავლნი ჰყუეს მისებრვე მშუენვარენი: ჩინელნი, თურქნი, ბერძენნი; დგეს ოთხმოცნი გულისა მიდამოსა, ვითა მთუარისა მიდამოსა ვარსკულავნი.

რა დაინახა რამინ ნაძვი მავალი და მთუარე სულიერი, რომელ ვითა მზე ციმციმებითა არ გაიცადებოდა, გული შეუ-

---

[1] ვარიანტი: «ყალიბი».
[2] ვარიანტი: «ბროწეულისა».

სუსტდა; ვითა რეტი უჭვრეტდა, ჴელთაგან ისარი დავარდა. არ ჯერიყო მისსა ადამის-ტომობასა: «ესე მისნი ლაშქარნი ვითა ვარსკულავნია და მათი პატრონი ნუთუ მთუარეა? და თუ ესენი მთუარენია, მათი პატრონი ნუთუ მზეა?» ამა საგონებელსა შიგან იყო რამინ და უჭვრეტდა. მერმე გულ, მოყმეთა თმობისა წამლებელი, რამინს წინა წამოდგა ქსრე სალამად, ვითა ადრინდელი მოყუარე, უსალამა და ჴელსა ქმთხუია; ეგრე მოახსენა:

— სახელოვანო ჴელმწიფეო, ჩუენი ქუეყანა შენგან ელავს, ვითა მზისაგან ცა. აწ შეღამებულა, ბრძანე, ჩუენსა გარდაჭკედ, გამოისვენე; ამას ღამე ჩუენი სტუმარი იყავ. გიმასპინძლებთ, სანუკუარსა ამოსა მოგართუამთ, მფრინველთა და ნადირთა სიმრავლითა გაგისვენებ, ღვინოსა მურავაყიანსა მოგართუამ, წინა იასა და ვარდსა დაგიყრი, მეჯლისსა შეგიკაზმავ შენსა მგზავსსა, სულისაებრ საყუარლად გიმასპინძლებ. თუით ჩუენი წესი სტუმართ მოყურობა არისო.

რამინს ქსრე შეუყუარდა, რომე ვისის გული და სიყუარული დავიწყებოდა, თვალთა ხედვამან საწუთროსაებრ უმუხთლა. ვისის გლას შიში და ზარი არ გაუმტყუნდა. ვაი მას გულსა, რომელი ესეთსა უხსნოსა მოყუარესა მიენდოს და ვაი მას მამაცსა, რომელ ესდენ უხსნო და უზენარო იყოს, სიყუარულ უმტკიცო და ფიც გაუსრულებელი. რამინ გულსა პასუხად ეგრე უბრძანა:

— ჵე მთუარეო, ესე ხოლო მითხარ, თუ სახელი რა გქვიან ანუ რომლისა გუარისა ხარ? ჯერეთ შენი შუენიერი თავი გაგიცემია, ანუ არა? მე ქრმად გინდი, თუ არა? ვინ ცოლად შეგირთვიდეს, შენი მშობელნი მისგან შეჭარსა რას ითხოვენ? შენ-

სა კოცნასა რაზომ გასცემ? თუ ათას სულადცა გასცემ, ჩემგან ეგრეცა უშურველიაო.

პასუხად ეგრე გამოსცა მზემან ენოვანმან და ბუთმან კორციელმან:

— ვითა მზე არ დაიმალვის, ეგრევე მე და ჩემი სახელი დამალულნი არ ვეგებით. არცა ამისი თქმა მინდა, თუ ვჭამანი ვინმე ვარო. დედა ჩემი გოჭარ არის და მამა რაფედ, ამა სამეფოსა თავადი არის და აგრევე ძმა ჩემი პატრონი არის ადრაბადაგანისა. მრავალნი ძმანი მისნი, ყუელანი გოლიათნი ჭაბუკნი. გუარიანობითა და სიკეთითა, ერთსახე ცხადნი ვართ და ქებულნი; დედულად და მამულად უზადო ვარ. ერთი გორაბელია და ერთი ამიანელი. მე თუით სახელად გულ მქვიან. სახელისაებრ ვარდისფერი, ვარდისებრი საყუარელი ვარ და ვარდისა მასუნებელი. დედისაგან ვეკლუცად შობილვარ და ძიძისაგან წმიდად გაზდილი ვარ. ნაკუთად მამისაებრ კარგი ვარ და სახედ დედისაებ ტურფა. მკერდი ჩემი ვერცხლისა არის და ყელი ბროლისა; ყარყუმისაებრ რბილი ვარ და მუშკისაებრ სურნელი. რას მკითხავ ჩემსა გვარსა და სახელსა, რომელ ყოველმან ქუეყანამან საქებურად იცის? შენ თუ ჩემი სახელი არ იცი, მე კულა შენი დიდად კარგად ვიცი. შენ რამინ ხარ, შაჰინ-შას ძმა და ვისის მიჯნური, რომელ მისსა გამზრდელსა მოუჩხიბავ და იგი სულსა და გულსა გირჩევნია.

«არაკი: თუ ბაღდადისაგან ეგების, რომელ დიჯილსა[1] ელიოს, მაშა შენგანცა თურე ეგების უვისოდ.

«მაგრა რას ვიტყუი? შენ ვისის მიჯნურობა ასრე არ გამო-

---

[1] ვარიანტი: «დილაჯს».

ვერცხების, ვითა ზანგსა სხმავე. შენი გული სავისოსა სიყუარუ-
ლისათჳს შეუკრავს ზერსა ძიძასა, რომლისა ტოილო და ლუსმარი
მისი გრძნება და შელოცვაობაა. შენ არ შეგიძლია მისი კიდეგანო-
ბა და ჩემბრთა გვგლუცთა თანა ყოფა. და რადგან უმისობასა
ვერ დასთმობ, იყავ მისი ოდენ. მას შენ მოუყუნებიხარ და
იგი შენ, და ორთავე შაიჭნ-შა აუგითა აგივსია. არაა ქუეყანათა
ზედა მეეთი ადგილი, სადა თქუენი ამბავი არ იყოს და არ
გეგიცხოდენო.

რამინ ეგრე უთხრა:

— მოუარეო ზეანდანო, ნუოდენ აყუედრებ მიჯნურსა,
ფათერაკსა შესწრობილია; რა კაცი ნახო, ღმრთისაგან შენდობა
ითხოვე. აწ მე ვსწყევ მაშინდელსა ჩემსა გონებასა და თავსა,
მაგრა ყოველი ღმრთისა საქმე კაცთაგან დაფარულია. ღმრთისა
განგებისა საქმე ჩუენზედა გრძელია. ნუ მაყუედრებ. თუ ჩემი
საქმე ესრე საძაგლო იყო, ეტლმან ჩემმან ქნა ჩემზედა. გარდა-
სრულსა ვეღარავინ მიეწევის, გუშინდელსა ხსენება არ უნდა.
აწინდელი ცან, რომე შენისა შეგებისათჳს ეზომი მოვიჭირვო,
რომე ჩემსა ნახულსა ყუელასა მერჩიო. ღმერთსა უნდეს, სი-
ნანულად არ გაგიკდეს ჩემი ცოლობა. შენ იყავ ჩემი მზე და
ჩემისა გულისა მოსასვენო შენი პირი. მე ვიყო შენი საკუთა-
რი და მე ვეძებდე ყოვლისა შენისა საწადლისა ასრულებასა.
თუ სულნიცა ჩემნი გინდენ, უშურველია. შენგან კიდე დარბაზისა
ჩემისა მანათობლად სხუა არავინ ვმებნო და სულისა ჩემისა წამალი
შენგან კიდე არავინ იყოს. მას გარდასრულსა გარე ვეღარ შე-
ვაქცევ, რომელ შენგან მე და ჩემგან შენ გეწყინების. გარნა აწ
თუ შენ ჩემი ცოლი ხარ, შემოგფიცავ რომელ შენგან კიდე

აბეზარი ვარ ყოვლისა სიყუარულისაგან და არცაღა ვისისა სახელსა ვახსენებო.

გულ ძგრე უპასუხა:

— ნუ დამიფენ, რამინ, გრძნეულობისა ბადესა; მე არ იგი ვარ, რომელ შენსა მახესა ესრე ადვილად დავებმოდე. მე შენგან არცა კელმწიფობა მინდა და არცა დიდება, არცა მინდორი ლაშქრითა სავსე, არცა საჭურჭლე საქონლითა. ერთი წადილია ჩემი ჲ თუ მას შენთანა ვიპოებ, შენისა ბრძანებისაგან არ კიდეგანვიქნები. თუ რა უჩნს და ჩემსა სიყუარულსა ბოლომდინ გაიტან და არ გამწირავ, ჰერცა შენ ჰპოებ ჩემებრ საკუთარსა შენსა, და თუ არ უხსნო მოყუარე ხარ, არცაოდეს ხუარასანსა წასულა მოგინდეს, არცა ვისის სიახლე, არცაოდესღა ახსენებდე, ამად რომე სხუისა საქონელი სხუისა არის. შენ მოაბადის ცოლი დედოფლად სად მოგეკერების? არცაოდეს მიუწერო, არცა კაცი გაუგზავნო და არცა შენსა გულსა მისი სიყუარული იყოს. და თუ ამას პირსა ზედა შემამოვიცავ, მაშინ ჩემსა ტანსა ზედა ორი თავი იყოს და სული ერთიო.

რამინს გაეხარნეს ესე, აღარა პასუხი გამოსცა, კელი გამოუღო და შინა წავიდეს რაფედის სახლსა. გულის კელი კელთა ჰქონდა რამინს. ასი ჯამი თუალ-მარგალიტითა სავსე რამინის[1] ფერკთა თანა დაყარეს, ოქროსა ტახტსა ზედა დასვეს. რაცა მათნი ნათესავნი იყუნეს დიდებულნი და აზნაურნი, ყუელანი უკმნეს, მხიარულობდეს. საქმისა სიმტკიცისათუის რამინ მათებურითა საფიცითა მტკიცედ ფიცა ღმრთითა და ცეცხლითა, რომელ «ვირე ქუეყანა ეგოს, დიჯლად ჯეონი დიოდეს,

[1] ვარიანტი: «რაფედის».

ზღვათა შიგან თევზი იშოვებოდეს, მზესა და მთუარესა ელვა ჰქონდეს, ღამე დაბნელდებოდეს, მთათა ზედა ქარი ქროდეს და მინდორთა ზედა ნადირნი ძოვდენ,—სხუა ცოცხალმან გულისაგან კიდე არავინ ვმებნო, არცავინ სხუა ცოლად მინდეს, არცა მოყურად, არცაღა გრძნეულისა ვისისა სასხენებელი ვახსენო, არა თუმცა მიყუარდაო. ვირე სულნი მედგნეს, გულ იყოს ჩემი გული. სხუათა სიყუარულისაგან კიდეგანი და აბეზარი ვარ. ვარდი, ვარდ სახელად, ჩემი არის, ჩემი ცოლი და გორაბი საყოფი ჩემი. ვირე ვარდი მაქუს, იასა არ უსუნებ; ვირე მთუარეა, ვარსკულავთა სინათლესა არ შევეპოებიო.»

ამა ფიცისა სიმტკიცესა ზედა ვინცაღა გულისა ნატამალნი მისრულიყუნეს, ყუალგნით, გურგანით, რეთ, ყუმით, ისპაანით, ქოისტანით, ხუზისტანით და რანით, ჴელმწიფენი და დიდებულნი იყუნეს. ავსილიყო დარბაზი სინათლითა. ქნეს ქორწილი, მისცეს გულ რამინსა.

მვ

აქა ქორწილი რამინისა და გულ-ვარდისა

ორმოცსა ქჳსა ადგილი შეკაზმული იყო და მჭურჭელნი დგეს ბანთა ზედა. ჭელთა ფეროვნისა ღვინისა ქონება ამას უგვანდა, ვითამცა ველნი ყაყაჩოთა სახენი ყოფილიყუნეს. ღამით სანთლისა სიმრავლითა ქუეყანა ცასა ვარსკულავიანსა დამსგავსებულიყო, მწუანისა ნაცულად ყოველგან სტავრა მოეფინა, სიხარულისა და მუტრიბთა ჴმისაგან სხუა ყურთა ჴმა აღარ ისმოდა. მფრინველნი მუტრიბობდეს, სურნელთა კმევისაგან აერსა ზედა ალ-მური გასრულიყო. დიაცი და მამაცი თუესა ერთსა სიხარულისა და სმისაგან დაშურეს. არა სიხარული დარჩა, რასაცა შიგან არ იყუნეს; საქუეითოთა და საცხენოსნოთა სიხარულითა უკლებლად იხარებდეს. გულსა მათსა არა იყო შეჭირვება. ქუეყანა უჭირო არ იქნების, მაგრა მას ქუეყანასა ჭირი აღარ იპოებოდა.

ცოლ-ქმარნი მოყუარულნი და მოყმენი შეყრილიყუნეს, დღივ და ღამე სიხარულისაგან არ მოისვენებდეს. დაიწყეს გაცემა ხელმწიფეთა და დიდებულთა და ყოველსა ერსა ზედა. იყო მგოსანთა და მუტრიბთა რამინის სახელსა ზედა მკირად სყიდა და მოშაირეთაგან საქებართა და სალოცავთა შაირთა თქმა. რამინის საქმე სახელოვან ქმნილიყო და ამაღლებულიყო სახელი მისი. ნადირობად მოსრულიყო ხორასნით და გარდა-

ქვიდა პირ-მზე უებრო ნადირი. ეგრე ეტყოდეს: «აწ სიკეკლუცისა ვარდი და ყუავილი ყუავის შენთა საგებელთა შიგან, მიწყით უსუნებდი სამოთხისა ვარდსა, რომლისა მეწალკოტე ორისა წლისა გავსილი მთუარეა. შენი გული ზამთრისაცა ყუავის და მიწყით უკლო ვარდი გაქუს. გისაროდეს, შენი ვარდი ზამთრისა და ზაფხულისა დაუჭკნობელია! შენსა ვარდსა ორნი გუშაგნი ნარგისნი უდგან, შენისა ვარდისა ფერისაგან ბერი კაცი გაყმდების და მისისა სულისაგან მკუდარნი გაცოცხლდებიან; შენისა ვარდისა გულითა კამს მებნა და შენსა ვარდსა სულითა უნდა სუნება; შენი ვარდი ანგელოზისაგან დარგულია და ღმრთისაგან დაცული. მისსა მიდამოსა ამბრისა მახე ჰგია. რომელ მიწყითამცა ორნივე ცოცხალნი ხართ, ასრემცა არს, ვითა გუითქუამს და თქუენთამცა წადილთაებრ იქცევის საწუთრო!»

რა თუე ერთი გარდაკდა, ქორწილობისა ჯალაბი გაიყარა. დადგა რამინ გული ყამად გულისა შესაგუარად. იხარებდა, ინადირებდა, ისპარეზებდა, სმიდა და თამაშობდა.

გავიდეს გორაბისა ციხესა. რა გულ შეეკაზმა და ზე გარდმოდგა, ესრე გაანათლა ქუეყანა, რომე მზესა და მას შუა საცილობო ჰქონდა მხედველთა. ხამკაული იყო საკელმწიფო და მას ქუეშე ელვიდა ტურფად. გრძლად რაღა ვთქუა, რიცხვი არ იყო მისისა შუენიანობა-სახე და წყობილობისა. რა რამინ უშიშად თავისა საკუთარსა ესეთსა სჭურეტდა და უკლებსა, რომელ თმანი ღრუბლად აუჩნდეს, რომლისაგან წვიმა მუშკისა გამოვიდოდა და საყურნი ვარსკულავთაებრ უჩნდეს ბროლისა ყურის ძირთათ, რამინ მოხარული ღმერთსა და თავის ბედსა მადლობდა და უზენაროსა ვისის ზენარი დავიწყებოდა.

დღესა ერთსა საწოლსა ხალვათად სხდეს. რამინ გულსა უჭვრეტდა და ეგრე უთხრა:

— ქუეყანასა ზედა არაა პირი შენებრი, არცა თუით ვისი, მაგრა ეგრეცა ვითმე ჰგავთ ერთმანერთსა. თუცა შენ მთუარე გაგიბედითებია და შენ ხარ გულისა ჩემისა წამალი, მას ჩემსა გულისა წამლებსა ჰგავ, რაზომცა მე შენთანა აღარა მა-ხსოვსო.

გულსა დაუმძიმდა ესე სიტყუა რამინისგან, გაწყრა და ეგრე უთხრა:

— ჰე უპირულო, ღმრთისა უარის მქნელო! ჴელმწიფისა-გან ეგრე ჴამს სიტყუა მართლობა? ღმერთმან მტერი ჩემი ყოს მისებრი, მემცა მას რად ვგუანდი? იგი ჯადოა, ავისა მქნელი, ავისა მთქმელი, უსირცხვილო, თავისა უფალი! ნუმცავინ ღმერთ-მან მისისა მიჲსებრ ყოს მხიბლავი, გრძნეულთა წინამძღუარი, ბოზი და მაჭაკალი! შენ მით გაუკდიხარ აგრე თავისა გზისა უვიცად, რომე ვერცა ოდეს თვით გაიხარებ და ვერცა შენთა მოასხლეთა გაახარებ. არ ეგრე შემომფიცეა, თუ ვირე ცო-ცხალვარ, ვისის სახელსა აღარა ვახსენებ? აწ თუმცა მისი მი-ჯნურობავე არა გჭირდა, ამა ფიცსა არ დაივიწყებდიო!

მდ

რამინისაგან გამწირაობის წიგნი ვისისთანა

რა რამინ ესე ნახა, რომელ გულსა მისგან ვისის ხსენება ესრე დიდად დაუმძიმდა, მისისა თმენისათუის შენდობისა სათხოვლად, მასვე წამსა მას წინა მჯდომმან საწერელი და ქაღალდი მოაღებინა. თუცა მელანი მუშკითა შეეზილა, მტერობისა მახუილი კრმალი შეირტყა, რომლითა სიხარულისა ხისა შტო მოჰკუეთა. ვინცა ესე ამბავი ცნას, გული შეინახოს მოყურისა მიუცემლობისა და არა გამიჯნურებისათუის; თუარა ვისისებრ დარჩეს უიმედო გულდაწყუედილი. მიუწერა წიგნი უზენარომან რამინ საკუთარსა ხანიერსა მოყუარესა, არ გამწირავსა ვისის. ეგრე მიუწერა:

«ვისო, თუით შენ იცი, თუ შენითა სიყუარულითა რაზომი აუგი, უპატიობა და ზიანი წამკიდებია, რომელ აქამდინ თქუენითა საქმიანობითა არად შემწონდა. ღმერთი მოვიმდურვე და კაცთაგან ესეთსა საყუედურსა შიგან ჩავიჭერ, რომელ ქუეყანასა შიგან სასხენებლად დავიდევ და ესეთი კაცი არ ვნახე, რომელსამცა ჩემი საქმე ექო. მრავალთა შემაგონეს, მრავალთა დამაყუედრეს და მრავალნი მეკიცხვიდესცა შენითა მიზეზითა. ვითამცა ჩემგან შენი სიყუარული მათი მტერობა ყოფილიყო, ეგრე სწყევდა დიაცი და მამაცი ყუელა ჩემსა საქმესა. თუ არცავინ იცნობდა, მასცა ჩემი სახელი ესმოდა. ყუელა მგმობდა;

ლაშქართა თანა ასუბუქებულვიყავ. გამოსვენება ესე მქონდა:
ზოგჯერ თავსა ჩემსა ზედა კრმალი ვნახი ჩემად საკლავად,
ზოგჯერ გზასა ზედა მშიერი ლომი. რა მინახავ, მუნითგან
არა გამომისვენებია წამსაცა ერთსა და არცა გულსა შიგან ნი-
შატი ჩამჭრია. რა გიახლი, უარე ვიყუ ნიადაგ სისხლისა
ცრემლითა ვიტიროდი და შიში სიკუდილისა მქონდის; არაოდეს
გაყრილვარ ესრე, თუმცა თუალთაგან ჯეონი არა მდენოდა.
და არაოდეს მინახავს პირი შენი ესრე, რომელმცა ათასი სა-
ტკივარი, საყუედურიანი სიტყუა არა მასმიოდა და ამა ყუელა-
სა ზედა ღმრთისა შიში და მისისა გარისხებისა მოლოდნა
მქონებია. მიცნობდი მიჯნურობათა წინადცა, ვითა მხიარული და
სახელოვანი ვიყავ: მტერნი შემეშინნეს, მოყუარენი გამომეჩინ-
ნეს და მკეცნი ამომეწყუიდნეს; რა გავწყრი, ლომნიცა იშიშვო-
დიან ჩემგან და რა გავფიცხდი, კრმლისაგან უმკუეთე ვიყავ; რა
სიყმისა ჩემისა შავარდენი გავაფრინვი, ცისა მთუარე ეკრძალვო-
დის და ჩემისა ნებისა ცხენი მუნამდის გაიქცის, რომელ გო-
ნება ვერ მიეწივის. სიხარულითა და ნიშატითა სავსე იყო სუ-
ლი ჩემი, სადაფი ჩემი თვალითა პატიოსნითა გატენილი, სიხა-
რულისა წალკოტსა შიგან სარო ვიყავ და ომისა ველსა ბასრი
მთა; ჩემისა მთისა ქუა ოქრო იყო და ჩემისა მტკურისა—
მარგალიტი. რა ვნახე და შეგისწავლე, მუნითგან, თუით იცი,
ვით გავკე. იგი ბედი, რომელ მე ძაბუნად მყუა, მან მე დამი-
ძაბუნა. ჩემი ნაკუთი გრაკისა ხესა დაემსგავსა და ორისა კუი-
რისა მთუარეობა ჩემი გაავარსკულავა მიჯნურობამან. საწუთრო-
მან ცისა სინათლე დამიბნელა და ჯოჯოხეთისაებრ გამამწარა.
რა მიჯნურობისა ცეცხლმან კელ მყო, ნიშატი ასისა დღისა
ეჯითა გამექცა, ცნობა გულისაგან წამივიდა და დავრჩი უღონო

ქნილი? ყოველი კაცი გამშვილდოსნებულიყო ჩემთუის საყუე-
დურისა ისრითა, მესროდეს. თუით დაკოდილი ვიყავ მიჯნუ-
რობისაგან და ზედა საყუედურისა მარილსა მასხმიდეს. მე
თუით მთურალი ვიყავ უგულობითა და მთურალსა წაქცევა და-
მემართა. აწ ეგრეცა სალამსა მოგახსენებ, თუცა შენისა სიყუა-
რულისაგან აბეზარ ვქნილვარ და ჩემიცა საქმე გაგაგონო. ჩემი
ყოფა ღმრთისა ძალითა დია ამო და უკლები არის, აღარა
აკლია ჩემსა ლხინსა. იცოდე ჯისო, რომელ ღმერთმან შემიწყა-
ლა და მე შენ დაგეხსენ. უშენობითა ყოველი გულის ნება მი-
პოვნია, მოძისა [1] წყლითა გული გავირეცხე. ვითარი მინდოდა,
ეგეთი უებრო ცოლი შევირთე. ვარდფერი სიყუარული დავსთე-
სე გულსა შიგან და შეჭირვებისა ჯანგი ამოვიგდე. სამოთხი-
საებრსა ყოფასა ვარ, მიწყით ვახლავ ჩემსა გულსა, მიწყით
დაუმჭკნარი ვარდი მაქუს. საგებელი და სასთაული ჩემი ვარდითა
სავსეა, რომელ თუალთა და სულთა მირჩევნია. ვირე მქონდეს
ესე, სოსანსა არ ვეძებ, ვირე მანათლობს მთუარე, ვარ-
სკულავსა არ ვეძებ და არ შევეპოები. რომელ შენგან ჭირნი და
ნაღველნი გარდამიკდიან, ათასი ეგზომი ამისგან შეგუილი და
ნებისყოფლობა მინახავს. მე თუმცა ერთსა წამსა შენგან ესეთი
შეგუილი მენახა, სიხარულითა ცამდის ავფრინდებოდი. მე რა
გარდასრულნი დღენი მომეგონნეს, ჩემივე თავი შემებრალდე-
ბის, — ვითა გავსძლნე შენითა გზითა ეგზომნი ჭირნი და ნა-
ღველნი. მე თავისა გზა არა ვიცოდი, ვითა მომცდარმან
ძაღლმან. აქამდის მძინარე ვიყავი და აწყა გავიღვიძე, მთურა-
ლი ვიყავ და გავფხიზლდი. ფათერაკისა ბორკილი აწყა დავლე-

[1] ვარიანტი: «ძოწისა წყლითა».

წე, უბედურობისა საკნისაგან ახლა გამოვე. აწ მართლითა გონებითა შემიფიცავს გულისათვის დამბადებლითა ღმრთითა, მზითა, მთვარითა, სჯულითა, ცეცხლითა, მეცნიერებითა და იმედითა, რომელ, ვირე ცოცხალვიყო, ვარდისა გაუყრელი ვიყო და წამსაცა მოუწყუედელი მისი. აქათგან ესრე იცოდე, დადევ გული, რომელ მარავი — შენ ჲ მაჭი — მე; მოაბად შენ ჲ გულ მე. მას შეაგუე.[1] მე წამსა ერთსა აქა ყოფა და მხიარულად გულისა სიასლე ათასსა წელიწადსა შენსა სიასლესა მირჩევნია, რომე საკანსა გვანდა ჩემი სიყმე. შენ აქათგან თვეთა და დღეთა ნუ სთვალავ ჩემისა მოსულისათვის, ნუღარ მელი ჲ ნურცა გზათა ჩემთა უჭვრეტ, მით რომელ დაგეყოვნების ჩემად ნასვამდის. რა კაცსა ესეთი საქმე დაემართოს, საპალნითა ოქროსაცა თმობა უჯობს.»

რა რამინ ესე წიგნი გაასრულა, ოქროსა ბეჭდითა დაბეჭდა, ფვაიკსა მისცა და ეგრე უბრძანა:

— ესრეთ სწრაფითი წავედ, რომე წამსაცა აჶსად დაიყოვნო და ვისის მიართვი ესე წიგნიო.

შიკრიკმან გამოუღო წიგნი და ქარისაგან უმალე იარა, ესრე რომელ სამ კვირას მარავს შევიდა; მასვე წამსა შაჭინშას მოახსენეს მისი მოსულა. მას წინაშე მიიყვანეს, წიგნი გამოუღო და წაიკითხა. ეგეთნი სიტყუანი ვისისთვის მოსაწერლად დია გაუკვირდეს და გაეხარნესცა. რა სრულად წაიკითხა, ვისის მიუტყორცა წიგნი და კიცხვით სამახსრობლო სთხოვა, ეგრე უთხრა:

— აწე ღმერთმან თვალნი აგიხილნეს, რომელ რამინ და

[1] ვარიანტი: «შენ მას შეაგუე გული შენი».

გულ ცოლ-ქმრად არიან ერთმანერთისა მოყუარულად გორაბს, და შენ დაკოდილი დაუგდიხართ.

მე

რამინის წიგნი მოუვიდა ვისის

რა რამინის შიკრიკი და წიგნი ნახა ვისმან, მაშინვე გულმან თრთოლა დაუწყო და ზახილი, იგრძნა რომელ არ გამწირავი მოყუარე უზენაროსა რამინს გაეწირა. რა მოახლად ვისსა წიგნი მისცა, შეჭირვებისა ცეცხლი თავით ფერკამდის მოედვა, სისხლი ტანსა შიგან აუდუღდა და გულმან თავისა მოკლვა აწვია. მაგრა მას წამსა მოახლის შიშითა, კაცთა სირცხვილითა და რამინის ჯავრითაცა დაიტია გამოუცხადებულობა. ყაყაჩოსა ამით გუანდა, რომელ გარეთ მისებურად მხიარულობდა და შიგნით ეგრევე გული გაშავებოდა, გარეთ სამოთხესა გვანდა და გულისა დაღრეჯილობითა ჯოჯოხეთსა, სიცილითა მალვიდა შეჭირვებასა და თუხსარიგად წაღარებდა.[1] შეჭირვებასა თუცა მალვიდა, პირი ეგრეცა გაუყვითლდა წიგნისა კითხვასა შიგან. მოახლეს ეგრე მოახსენა:

— მე ფუით ღმრთისაგან ამას ვითხოვდი, რომელ ჩემთა

---

[1] ვარიანტი: «სხვა რიგად წაღარებდა».

მტერთა ენა დაამოკლოს, რათამცა საქმითა შენ აღარ მაყუედრებ და წამსა და წამსა მიზეზსა აღარ ეძებ ჩემზედა. ამისითა სიხარულითა დია გლახათა მივსცემ საქონელსა და სოფელთა შევსწირავ საცეცხლეთა, რომელ დავეხსნა ჭირსა და შენისა საეჭვისაგან გამოვიდე, მტერთაცა მოისვენონ ზრახვისაგან. მე ერთსაცა ღამესა შენისა შიშისაგან ამოდ არ მძინებია, აწ ბარე ამოვისვენო, აღარაა ჩემი შესაჭირვებელი. თუ მთუარე წამივიდა, მზე დამრჩომია. ყოველი კაცი მზისაგან არის იმედიანი. ჩემნი თვალნი შენის ჭურეტისაგან განათლდებიან. რაღამცა გამივიდოდა რამინის აღარ სიახლოვე.

ვისი ესრე უბნობდა, მაგრა გული და ენა ერთმანერთსა ასრე არ ემოწმებოდეს, ვითა ავისა მუტრიბისა ხმა და ჩანგი. მოაბად რა გარე გავიდა, ვისი გააცხროა რამინის კიდეგნობისათუის, სულნი პირთამდის მოუვიდეს; გული ესრე უფეთქნა, ვითა კაკაბი შავარდნისა ჭანგთა ქუეშე; ცივნი ოფლნი სდიოდეს, ვითა ღამისა ნამი ვარდსა ზედა; ნარგისთათ იაგუნდსა ზედა ცრემლთა ადენდა; მუშკისა ფერითა თმითა დარბაზისა მტვერთა გვიდა, თავსა ნაცარსა ისხმიდა და მჯიღვითა მკერდსა ილებებდა; მოსთქმიდა და იტყოდა:

«რა ვქნა? რაა ესე ისარი, რომე მხამიანი დამესვა თვალთა? რაა მახვილისა ესეთი მკუეთობა, რომელ პირ-აღმასი მჭრის გულსა? როგორი ბედია ესე ჩემი, რომე ნათელი დღე დამიბნელა? როგორია ესე მიჯნურობა ცალკერძი, რომელ სული დამიხსნეულა? მიშველე, ძიძაო! მოე, სცან ჩემი ჭირი, ნახე რომე უგრძნეულოდ ნოეს რღნობისა ღვარმან წამიღო, ოქროსა ტახტისაგან ნაცართა ზედან დამსუა და ბირკი და ეკალი გამამივიდა თმობისა გზასა ზედა. თუ არ გასმის, გიამბობ,

რამინისგან რა წამკიდებია, რამინ მივიდა გორაბს, ცოლი შეირთო და ამას აღარ დამაჯერა და მერმე სამახარობლო წიგნი მომწერა, — ვითა მე ვარდი დავთესე და მისგან ნაყოფი მომივიდა: აწ ბედითსა მყრალსა წალიკსა აღარ ვქებო. აწ მე რა ვქნა? მარავს შიგან რა ვინ თქუას ჩემთუის? კამს თუმცა დიაცი-მამაცი ყუელა ჩემზედა ტიროდეს. ღონე ამისი მიძებნე, ძიძაო, თუ ამა ჭირისაგან თავი ვით ვიჴსნა! რადგან ეს ამბავი მესმოდა, ნეტამცა ჩემთუის, თუმცა წინავე მამკუდარვიყავ. მე აწ არცაღა საწუთრო მინდა, არცა სიცოცხლე, არცა დედა, არცა ძმა, არცა ოქრო და სამკაული, არცაღარა სხუა ლხინი, რადგან რამინ წამივიდა. ჩემი სული იგი იყო და უსულოდ კაცი ვერას გაისარებს საწუთროსა შიგან. წავალ, ყოვლისა ცოდვისაგან ვიბანები, ღმრთისა შევეხვეწები, გლახათა ზედა საქონელსა გავსცემ, ნუთუ ღმრთმან შემიწყალოს და ამა ქნებითა რამინს ცოლი მოსძულდეს, ამა საქმისა ნანვა დაიწყოს, შუაღამე გორაბით მარავს მოვიდეს, წვიმისაგან დასოვლებული და სიცივისაგან გაყინული, ვისის და ძიძისაგან ზენარსა ითხოვდეს, ასეთივე სიძულვილი მან ჩემგან ნახოს, რომელ აწ მე მისგან ვხედაო.»

ღმრთისა შესტიროდა და ეგრე იტყოდა: ჱე დამბადებელო ღმერთო, ჩემებრ შენ გაჰკადე უთმინოდ და შემჭირნედ ჲ შენ მიძებნე ნაცვალი რამინს ზედაო.

ძიძამან ეგრე მოახსენა:

— ნუ შეიჭირვებ ეგზომსა, არა კამს. აწე სულ დაღებულობითა ჲ დათმობითა გულისაგან ჯანგი ამოიყოცე, ჴელმწიფესა ბედნიერსა და ნატიფსა ტანსა ეგზომსა ნუ აწყენ, გამოსვენებულსა გულსა ცუდად ტირილსა შიგან ნუ იტკივნებ,

უსამართლოსა ნუ უზამ სულსა და სიყმესა. მაგა სიცოცხლე-ჲსა სიკუდილიცა უამეა.

ვარდისა ფერსა ლაწუსა ზედა რომელი კბილი ჰქონდა, კბი-ლი დაჰკრა და ეგრე თქუა:

— შენ რომელი მუშკის ფერთა თმათა იგლეჯ და პირსა ღმრთისა წყალობისაგან უკეკლუცესსა იხოჭ, ბერსა დევსა დამსგავსებულხარო სიდუხჭირითა. ყოველი ქუეყანა ჰქონდეს კაცსა, უფროსი და უფროსი მოუნდების; მაგრა ყუელა თავი-სათუის უნდა. ოდესცა სულნი აღარ გიდგან, ნუმცა მოაბად არის და ნუმცა რამინ და ნუცა ძიძა. რა მე წუურვილმან მო-მკლას, ჩემად შედეგად ნუმცა სადა იპოებიან ცუარნი წყალნი. რა ქუეყანა უჩემოდ დარჩეს, ჩემად შედეგად მტერი და მოყუა-რე სწორად მიჩნს. ყოველი კაცი ცოლისა შერთუისათუის გუ-ლოანია, მაგრა რამინისებრ ადრე გაძღების და კრმლისაგან უმაკვილესი ენა მისი გაცვილდების. თუ ჰპოოს რამინ ათასი ვარსკულავი და მთუარეცა, მას ყუელასა ერთისა მზისა სიმშვენვარე არა აქუს. გორაბელი ვარდი, თუცა პირმზე არის, შენი კბილი ერთი უკეკლუცე არის მისგან. რადგან რამინ მო-გშორდა და შენგან კიდეგნად დარჩა, ცოლისა შერთვასსა არას ვაბრალობ. ვისცა მურაკაყიანი ღვინო არ მიხუდებოდეს, თხლის სმა არ ებრალების.

ვერცხლ-მკერდმან ვისმან ეგრე არქუა:

— ძიძაო, იცი შენ, რომელ დავჰკარგე სიყმე ჩემი და-თმობასა და მეჭირვებასა შიგან. დედათა ქმარიცა უვის და კუ-როცა. ჩემი თუ ქმარი არის, ბერი და მეეჭუი არის, და თუ მოყუარე არის, უსანო და გამწირავი არის. თავისა პატივი მე-ვე წავაკდუნვე, რომელ დავჰკარგე სარგებლისა ბედითა სათავნო,

დავაგდე ვერცხლი ოქროსა გზითა და აწ დარჩომილვარ უარა-რაო, შემწირნე. ნუ შემაგონებ, ძიძაო, დათმობასა ნუ მასწავ-ლი. ვერა რომელი დამთმო დაიძინებს ცეცხლსა ზედა. ჩემი საგებელი და სასთაული ცეცხლი არის დ҃ მიჯნურობისა ჩემისა ეშმა ცეცხლსა ზედა მჯდომი არის. ცეცხლსა ზედა ჯდომა ვით დავსთმო, თუ სული ჩემი ბასრიცა იყოს, ანუ რვალი? ამის მეტსა დათმობასა ნუ მენუგევ; ცუდად გაბიწითა ქარსა ნუ სწყავ. ჩემი წამალი არა რომელმან ვონიერმან დ҃ არა რომელმან აქიმ-მან არ იცის. იმა შიკრიკმან ათასი მოწამლული ისარი ფრთამ-დის გულსა დამასო მისგან მოღებულითა წიგნითა. რას იტყვი, ძიძაო, ამა სულისა წამღებელმან ფარანდამან ჩალხისა ისარი მკრა გულსა მუშკითა დასურილი, რამინის წიგნი მოი-ღო და ვისისგან სისხლითა დასურილსა პასუხსა წაიღებს, ავტირდე საბრალოდ და წყლულსა გულსა ჩემსა ზედა სისხლი-სა ცრემლი ღუარულად ვადინო. ჰე მიჯნურნო, სიყუარულისა მძებნელნო! დღეს მე ვარ მიჯნურთა თავადი; მე გასწავლი უშე-ლათა და შეგაგონებ. მაჯნად ვუბნობ დაჭირებისაგან, მოისმი-ნეთ მართალი ჩემი სიტყუა: მე მნახეთ და ნუვისთუის გამი-ჯნურდებით, მე მნახეთ და ნუვის მისცემთ გულსა, ნუ დარგავთ გულსა შიგან მიჯნურობისა ნერგსა და თუ დარგავთ, სულსა წაიწყმედთ და ნაყოფსა ვერა სჭამთ. თუ ჩემი საქმე თქუენ არ გასმია, სისხლითა პირსა ზედა დამიწერია და იგი წაიკითხეთ. ვაი, ვაი თუ მიჯნურობისაგან რაზომნი ჭირნი გარდამსვლიან! მე მიჯნურობამან ესეთი ცეცხლი მამიდვა გულსა, რომელ რაო-დენცა ვავსებდე, უფრო და უფრო აენთების. მე მიწაცა ცრე-მლითა დავათიკე დ҃ მას შურეტა ვერ შეუქმენ. ესე როგორ კორ-ცისა თუალია, რომელ არ დაეძინების, რა ცეცხლია ესე, რომელ

წყალი არ დაავსებს? მე კვლად მიჩნდა ქორისა ზრდა და დაგება, გავზარდე ერთი მართუე ათასითა ნებიერობითა. რა[illegible]იგაპოქტა, ახალი ნაკრტენი მოიწყო, ალაღდა და აფრინდა, კაკაბთა დევნა დაიწყო. მე ჩემთუის მონადირე მეგონა, ანაზდა ესრე წამივიდა, რომე ჭაერთა შიგან უჩინო მექმნა. აწ დამაშურალვარ დევნითა და დაკარგულისა მებნითა. ვაი ჩემნი ჭირნი ეზდენნი, ცუდად წაკდომილნი! ვაი საწუთროსაგან უიმედობა ჩემი! ვაი ეზომი გულ წყლულობა ჩემი, რომლისაგან ულხინო და უნაყოფო დავრჩი! გავიჭრები და ვიარები ქუეყანათა შიგან, ვითა მოქარავნე, ნუთუ კუალი ვითა ვპოო, დაკარგულისა ნიშანი. მე მოყუარესა თანა გულიცა წამივიდა, აქა უგულო და უმოყურო ვერ დავდგები. მის გულქუისა ჯავრისაგან თავსა ქუიითა ცემასა დავიწყებ და ეგრე დავიწყებ მთათა ზედა სიარულსა. ვისგანცა გული წამედო, თუ მისსა სადა ნიშანსა ვჰპოებ, სულთა სამსხარობლოდ მივსცემ. ვირემდინცა ესრე ცეცხლ მოდებული ვიყო! ჩემისა ბედისა უმდურავი ვით ვიყო? მე ვარ მოყურისა და ბედისაგან, ორისაგანვე გაწირული. მე თუით მკუდარი, ძიძაო, შენგან ვარ, რომე სიყუარულსა შემამეცნიერე და მიჯნურობისა ცეცხლი დასთესე გულსა ჩემსა შიგან. შენ იყავ ამა გზისა ჩემი ბრმა ყოლაუზი, შენ ჩამაგდე ორმოსა შიგან და აწ შენვე ამომიყუანე. თუცა ჭირი შენგან დიდი მინახავს, მით დავსთმობ, რომე რგება შენგანვე იქნების. ადეგ, ნულარა ზი, გზასა იკაზმევდი, მიართვი რამინს ჩემი მეთულილობა, ეგრე მოახსენე:

«ჵჰე გამწირაო, უწრფელო! შაბაშ, ჳკაცობისა მშვილდსა კარგად გარდაგიცვამს, სიმართლისა თუალი შენ დაგიბრმია და კარგ კაცობისა ბედი შენ გაგიბედითებია. გუარად ღრიანკალ-

სა ჰგავ, თუ ქუაცა დაგხუდეს უცემ და გუარსა არ გაირყუნი. შენ გუელი ხარ, ცემისაგან კიდე არა იცი; შენ მგელი ხარ, რომელ გნებისაგან კიდე არას იქმ. შენისა გონებისაგან ეგრევე ნაქმარი კამდა, რაცა გიქნია, რომელ შენისა მინდობილისა ზენარი გაგიტეხია. თუცა მე შენგან გულ ტკივნეული ვარ, მე ესე აუგი შენთუისვე მიმძიმს. ავსა ნუ იქმ და ნუცა იგონებ; მით რომე, თუ ავსა იქ, ავი წაგეკიდების. თუ სრულად ჩემი სიყუარული დაგვიწყებია, მიჯნურთა თანა გაწბილებული დარჩე-ბი. მაშინ წამავალმან იმედი არ ესრე დამიდევ, თუმცა აწ დაი-ვიწყე. ყაყაჩოსა ფურცელსა გიგავნდა საუბარი: ზედათ წითლად ჩნდა და ქუეშეთ შავი გული წყა. შენ თუ ახალი ცო-ლი შეგირთავს, სვიან ჰყოს ღმერთმან, მაგრა მე ეგრე უიმე-დოდ ნუ შემიქმ. ვინცა ოქრო ჰპოვა, ვერცხლი არ გააგდო. შენ თუ ახალი რუი გითხრია გორაზს, ძველსა რუსა მარავს ნუ გარდააგდებ. თუ ქოისტანს ახალი სახლი აგიგია, მარავს ძველსა დარბაზსა ნუ აოკრებ. თუ წალკოტსა შიგან ვარდი გითესავს, სვიანმცაა, მაგრამ ძისსა მიდამოსაგან იასა ნუ და-გლეჯ. ახალი ცოლი და ძველი მოყუარე ორნივე შეინახენ, მით რომე თვითოსა ხისაგან თვითო ფერი ნაყოფი მოვა.»

ესე გუარსა საბრალოდ სთულიდა ვისი და თუალთაგან სისხლისა ცრემლთა ადენდა. ებრალებოდა ძიძასა დიდად, იგიცა ტიროდა და ეგრე მოახსენა:

— კეკლუცთა დედოფალო, მე ცეცხლთა ზედა ნუ დამსუამ და ვარდის წყალსა ბროწეულის ყუავილსა ზედა ნუ დაასხამ. მე შენთუის არ მეჭირვების, აწვე გორაზს წავალ და უტევნისა ისრისაებრ მალე მივალ. რაცა ღონე ვიცი, მოვიჭირვებ რამინს

თანა, ნუთუმცა მისი გული საშენოდ მოვაქციე და შენ მაგა ჭირისაგან გიჴსენ.

ესე თქუა და ძიძა ფიცხლად წავიდა.

რა გორაბისა ქუეყანასა მივიდა, რამინ ნადირობით მომავალი წინა ემთხუია, ეზომი ნადირი დაეკოცა, რომე მთა და ბარი ველარ იტევდა, ავაზისა და ძაღლისაგან მიწასა ზედან ნემსი აღარ დავარდებოდა; ქორისა, გავაზისა და შავარდნისაგან ჭაერი ავსილიყო. რა რამინ ძიძა დაინახა, ესრე დაუმძიმდა და გაწყრა, რომე ვითამცა იგი ნადირთაგან დასურილი ისარი მას გულსა სცემოდა. არცა თუით დიაცი მოიკითხა და არცა ვისის ამბავი ჰკითხა; არცა მოაბადის, არცა თუით მისისა ქუეყანისა. კუშტად ეგრე უთხრა:

— ჰე ეშმაო უწრფელო, ავისა მქნელო და ავისა მთქმელო, შენისა გრძნეულობითა ათასჯერ უფრო მოგიღორებივარ და ცნობანი წაგიხმიან ჩემთუის. აწ კულა მოსრულხარ და ჩემსა მოცთუნვებასა ლამი. ველარ ნახოს ქარმან შენმან მტუერი ჩემი და ვერ მოეკიდოს კელი შენი სადავესა ჩემსა. აქათვე შექცევა გინდა და ფიცხლად წასულა. უსარგებლოა თქუენთუის აწინდელი აქა სიარული, წაე და ვისსა უთხარ, რა გინდა ჩემგან ანუ რას მნუკევ კიდე? რად არ დამეხსნები, ანუ რად არ გასძეღ ისდენისა ცოდვისა ქნითა? გულისა ნებისა უკანა დგომითა ბრალი დია გიქნია და ავისა სახელისაგან უპატიობისა ფათერაკიცა დია გარდაგიკდია. აწე ყამია, თუ აუთქუა ღმერთსა, მოინანო და კარგისა ქნა დაიწყო და პატიოსნობასა შეუდგე. სიყმე ორთავე ცუდად წავაგდუნვეთ და კარგი სახელი გულის ნებასა უკანა გავაქარვეთ. ამა საწუთროსა ორნივე მოვსწუუდით და მას საუკუნოსა დასასჯელნი ვართ. აწე შენ თუ

არ აუთქუამ ღმერთსა, და თრობასა არა იქმ, მე უღონოდ სა-
შენოდ ამა გზისა მდევარი არა ვარ. თუ ათასსაცა წელიწადსა
ამა საქმესა შიგან ვართ, ცოდვისა და ქარისაგან კიდე ჴელთა
არა დაგურჩების. მე ,ამითქუამს და გონებიერთაგან შეგონება
მასმია, მივიცავს, რომელ აღარა შევსცოდო ღმერთსა და
აღარცა ეგრე ვისსა შევეუარო ამისგან კიდე. ოდესცა ღმერთ-
მან ჟამი მოგუცეს, მაშინ ხუედრიანად შევეურები, რა მაჭის
ქუეყანასა ჴელმწიფობა მამხუდეს, და ვინ იცის თუ მადამდის
რაზომი წელიწადი გამოვა? მუნამდისი ქუიშათა ზედა, არა
პაშტა წყალი დაედინების და ესე საქმე მას არავსა ჭგავს, თუ,
«ვირო, ნუ მოჭკუდები, აღავერტნი ამოვლენო.» მე ამას მაშინ
შევეურები, ოდეს დღე და ღამე გაერთდეს. მისითა იმედითა
ვირემდის ვსთმობდე? რადგან მე სხუისა ცოლსა ვსდევდი,
თუ ერთსა წელიწადსა მზეცა სთმობდეს, პირი მასცა გაუშავდე-
ბის. მე მისითა მოლოდინითა წამივიდა სიყმე დ ამას ვტირ,
ვაი ცუდად წასრულნო დღენო ჩემნო! ვაი, რომე ჩემი სიყმე
წავდა და აწ ჴელთა ნანვისაგან კიდე აღარა მაქუს. სიკეკლუცი-
თა ფარშამანგსა გვანდა სიყმე ჩემი, სიმაგრითა კლდესა და
სიყმაწურილე ჩემი გაზაფხულისა ყუავილსა; სილაღითა ყუა-
ოდა მიჯნურობა ჩემი და აწ სთველთა ფურცელსა გავს ჩამო-
ცვივნითა, ჭირისა ჴლსა მიეცა მიჯნურობა ჩემი და ლხინი
ჩემი. ყოველთა გაზაფხულთა აყუავდების ქუეყანა, მაგრა ჩემი
სიყმე აღარ აყუავდების! თუ შემოდგომისა ბუნება გაზაფხული-
სა ბუნებასა გავს, მეცა თურე იგივე ბუნება მიძს, რომელ გა-
ნახავს. ნუ ჩაიჭრები საეჭუსა, ბერსა ყმისა ბუნება აღარ ჩაი-
დების. წადი აწვე, ვისსა უთხარ ჩემაგიერ, თუ ცოლსა ქრმი-
საგან უკეთესი არავინ უვის, შენთუის ღმერთსა კარგი ქმარი

მოუცემია. შენ თუ ბედნიერი და კარგი ხარ, მას შეაგუე, მის-განმცა კიდე სხუა ყუელა კაცი უპატიოდ გიჩნს, და თუ შენ ესრე ჰქნა, რომელ მე მისწავლებია, ყოველთა დედოფალთაგან უფრო-სი და უფრო სახელოანი იქნები. მოაბად შენი ქმარია და მე ძმა ვიქნები, ქუეყანა შენი მონა და მსახური იქნების, ამა სა-წუთროსა შიგან სახელოვანი იქნები და მას საუკუნოსა ღმრთი-საგან წყალობიანიო.

ესე რამე ქუშად შესთუალა, წყრომით ცხენსა მათრაკი ჰკრა და წავიდა. ძიძა დარჩა ადგილსა ზედა დაღრეჯილი და გაწბილებული. რამინის საუბრისაგან სიამოვნე არა მოისმინა და არცა მისითა ნახვითა სიხარული რა მიხუდა. გარე შემოი-ქცა ბრმა-სინანულიანი, წყლული სული მისი მალამისაგან უიმე-დო ნახა, და რადგან ძიძა ესრე გაკლდა რამინის საუბრისა და უპატიობისაგან, ვისი ვითარა გაკლდებოდა, რომელსა ესეთი მოყუარე უგრძნეულოდ დაემტერა? სიყუარული დაეთესა და მტე-რობა მოიმკო, კარგსა მოელოდა და ავი ნახა. მივიდა ვისის მოციქული ძიძა მტირალი, ბაგე მტუერიანი და გულ კუამლია-ნი. შეთულილობა ჰქონებოდა შაქრისაებრ ტკბილი და პასუხი მოიღო ნაღულისაებრ მწარე და ჴრმლისაებრ მკუეთი. შავმან ღრუბელმან ვისის გულსა ზედა მოწამლული ისრის პირი სწვი-მა რამინისთუის აბეზარ ქნილობისათუის და უპატიობისა წვი-მამან ვისის ტალახი დაასხა მტერობისა, მახვილითა დაკოდა ტანი მისი და ფათერაკისა ტოილოთა დაება. სული მისი შე-ჭირვებისაგან დასნეულდა და საგებელად მივარდა.

მვ

ვისისაგან შეჭირვებით დასნეულება

ზე ადგომისა ძალი აღარა ჰქონდა, შეჭირვებითა საგებელი მისი გატენილიყო და სასთაული პირისა მისისაგან ყუითლითა ვარდითა ავსილიყო. ჴელმწიფენი და მათნი ცოლნი, დიდებულნი და მათნი ცოლნი შვილითა მოვიდიან კითხვად და მიდამო უსხდიან. ზოგმან ზაფრა და სხვა სითქუის და ზოგმან გრძნეულთაგან მოჩხიბულობა. სადაცა რაცა ქუეყანასა შიგან კარგი აქიმი და მუნეჯიბი და მკურნალი იყო, ხუარასნით და ერაყით, ყოველგნით მოასხნეს. შეიჭირვებდეს, და ზოგმან ვერავინ შეატყუა, ზოგმან ზოგი თქუა და ზოგმან ზოგი. მთუარისა სასწორსა შინა ყოფა თქუის, ეტლსა ავსა ზედა; ზოგმან—ქუეყანისა უნასავსა მას შეჭყუარებია და მით სჭირსო. რაცავის მიხუდებოდა, იტყოდა და მათ რომელ სჭირდა, იგი სჭირდა და არ მირიდებოდა გონება. ვერავინ შეატყუა მიზეზი ეგრე ძალ-მიღებულობა-სისუსტისა. გული მისი რამინს სადაღველითა დაედაღა და თმობა უქონლობითა შფოთობდა, თავისა საქმეთა და გულსა ზედა ტიროდის. ზაფრანასა ზედან ხუავრიელად მარგალიტსა ასხმიდის.

რა მოაბად გარე გავიდის, კულა მოიჭარბის, რომელ სასთაულისაგან ღუარად გავიდის ცრემლი და სახლსა შიგან ტბა დადგის. ესრე საბრალოდ მოსთქმიდის, რომელ მსმენელ-

ნი მისებრვე არ დადუმდებოდეს; ეგრე იტყოდის: «მიჯნურნო, მნახეთ საბრალო ჯავრისა ღუარისაგან წალებული ⁊ შეშინდით. მიჯნურნო, ზენაარ, მოისმინეთ ჩემი შეგონებას! ნუვინ მისცემთ გულსა მოყურისაგან გაუწირაობასა, ნუვინ დაისკუნით, ნუვინ მიენდობით. მე შორით მჭურეტდით, მიჯნურნო, რომე არ დამეახლნეთ, თუარა დაიწვებით. მე გულსა ცეცხლი მით მედების, რომე რამინის გული კუესია და ჩემი აბედი,—ნუვინ გამიკუირვებთ ზახილსა. მოყურად საგონებლისა გულისა წამღებელისაგან დიდად უსამართლო წამკიდებია. გულწყლულობა ჩემი მას უჩუენე, ჭირი ჩემი გავაგონე, მისგან მალამასა მოველოდდი, და ნაცვლად ძმარი და მარილი დამასხა. საბრალო დიაცისა გული ნუ მიენდობის მამათა და ნუ მოღორდების მათითა ენითა! ჰაი, ჰაი, ვინ იცის თუ რაზომნი ჭირნი მომიმატნა: ერთი ჭირი ასად გამიკადა. მე მან მოყუარემან გამკადა უსულოდ, რომელ აწ დამესისხლა. რა კარგი უყოფია ჩემთუის, რომელ მე ნაცუალი ვერ შემეგუენოს. ვაი, ცუდად ეზომნი ჭირნი ჩემნი! გულისა დაფარული მან გამაცხადებია. ლხინი დავსთესი, ჭირი რად მოვიმკე; ქება შევასხი, წყევა რად მოვისმინე? დიდად ჭირი ვნახე ბედისა უბედურისა შეგუებისათუის, მაგრა ჭიქა და ქუა ერთგან ვერ შევაერთენ. აწ ბედისაგან აბეზარ ქნილვარ და ყოვლისა ლხინისაგან ჩაქი აბეზარობისა მიმიცემია. ამა უბედურისა საგებელსა ზედა დაწოლილვარ მიჭირვებული და მიწყით სიკუდილისა მონატრე. სხუა ღონე აღარაა ჩემისა სიკუდილისაგან კიდე, რადგან რამინ ჩემგან კიდე სხუა მოყუარე ვისცა გამოირჩია; სიცოცხლესა რასაღა ვაქნეო.»

მზ

ვისისაგან მიშქინის საუბარი

მერმე უკმო მიშქინ, მისი მწიგნობარი, რომელმან მათი ხუაშიადი ადრიდგან იცოდა და გულისასა არას დაუმალევდა. კულა გამოუცხადა და შესჩივლა ესე საქმე; ეგრე უთხრა:

— ვინ გინახავს, ანუ ოდეს ვინ გასმია რამინისგან უფრო უხანო მოყუარე? ნუ თუნდა ფრჩხილსა ზედა თმისა ამოსვლასა დავიჯერებდი, მაგრა მისგან ამას არაოდეს მოვე-ლოდდი. არ ვეჭუდი, თუ ცეცხლისაგან წყალი ამოედინების, ანუ უგულოვნებისაგან გულისა ნაღველი იქნების. შენ მე პირვე-ლადცა მიცნობდი, როგორი მოღმრთე, პატიოსანი ქცევა წყო-ბილი და კელმწიფური ვიყავ? აწ ყოველსა საკამსოსაგან კიდე-გან ქნილვარ, მტერთა და მოყუარეთა სწორად მოვჴსძულვები-ვარ. აწ აღარა არა ვარ. მე კელმწიფურად, პატიოსნად და წყო-ბით ქცევა მმართებს და ამის ყოველსა დამგდებსა დღე და ღა-მე რამინის გონებისაგან არ მომეცლების და მისთა საქმეთა უკანა მდგომი ვარ. ამისთჳს სული, თავი, საქონელი, სახლი და ლაშქარნი ყოველა გამიწირავს. ზოგჯერ მისისა ნახუისათჳს მოსწრაფე ვარ და ზოგჯერ გაყრისათჳს მტირალი. თუ ათა-სიცა სული მიდგს, ერთიცა მისისა გონებისაგან ვერ მოიცლის. რამინ უმეცრობითა მრავალჯერ დამამძიმა და მე ყოველა დავსთმე მისისა გულისათჳს. აწ სრულად ზურგი გარდამწყუიდა. წი-

ნას, ოდესმე ჩემისა ხისაგან რტო მოკაფის, მაგრა აწ ძირითურთ ჴე ამომწყუიდა, დამწუა და თმობა სიშორითა წამიღო. მე აწ რამინ არ ესეთი საქმე მიყო, რომელმცა თმობა მისი შემეძლოდა. მისისა სიშორისა კრმალმან თავი მომკუეთა, უსანობისა ლახუარმან გული გამიპო და თავ მოკუეთილისა და გულ გაპობილობისაგან თმობა უღონოა. ამისგანმცა უარესი რაღა მიყო? პირველ წავიდა გამწირა და ცოლი შეირთო და ამა საქმისა სამასხრობლოდ, ვითა სასურო, წიგნი მომიწერა. მერმე რა ძიძა გავგზავნე, ქუშად დახუდა, აგინა და მუნვე ნადირობით გარე შემოაქცია ისრითა გულ და ღვიძლ დაწყლულებული, ვითამცა დღეთა მისთა შიგან ძიძა არაოდეს ენახა, არცა ოდეს ამას მისთუის ჭირი გარდაეკადა. აწ ამა საქმითა სულსა სასიკუდილო ლახუარი მცემია და ასრე დახნეულებულვარ, ვითა მხედავ. აწ, მიშქინ, შენ ფრთხილი და სიტყუა მიმხუდარი ხარ, გონებიანი და საუბარ ამო, წიგნის დაწყობით დამწერელი, მიუწერე რამინს ჩემაგიერ წიგნი. ნახენ ჭირნი ჩემნი და გააგონენ სჯანი ჩემნი. შენ თუით სიტყუათა ერთგან შეურა კარგად იცი, ცნობა და მეცნიერობა უყელა ერთგან შემიკრიბე, რა გუარნიცა სიტყუანი კამდენ, ეგეთნი დაუწერენ. თუ შენ შენითა ენა-სიკეთითა რამინ აქა მოიყუანო, სიკუდილამდი შენი მსახური და მკევალი ვიყო. შენ მეცნიერი ხარ და მეცნიერისა კაცისა ენითა ყმა კაცისა გული მალე მოლბებისო.

რა მიშქინს ესე საუბარი ვისისაგან ესმა, მიშქინ მეცნიერმან და ფრთხილმან მისითა ენოვნობითა შეამკო რამინის წიგნი.

მც

პირველი წიგნი ვისისი რამინს თანა

მიუწერა წიგნი ვისის დაღრეჯილისა მაგიერ რამინს მხიარულსა და ნებიერსა. ქაღალდისა ნაცვლად ჩინური პეტრატიკონი მოიღო, მელნად თუმბუთური მუშკი, კალამი ეგუიპტური, ვარდის წყალი ნისიბური და საწერელნი სამინდორულისა ალვისანი, თუით მწიგნობარი, ქაჯისაებრ სიტყუა მოპოვებული, სიტყუანი შაქარსა და მარგალიტსა თანა გარივნეს. პეტრატიკონი ვისის პირისაებრ თეთრი და ელვარე იყო, მელანი მისთა თმათაებრ შავი და სურნელი, კალამი მისისა ნაკუთისაებრ მართალი და აწ მეტადრე სიმჭლითა მსგავსი, მწიგნობარი გრძნეულივითა, რომელ სიტყუასა პირსა შიგან შაქრისაებრ ატკბობდა. ქება შეასხა რამინს და აგრე მიუწერა ვისის მაგიერ:

«ესე წიგნი გამკმარისა ნაძვისაგან—ამწვანებულსა მხიარულად მოზრდილსა კუიპაროზსა წინაშე, მთუარისა დაბნელებულისა და მილეულისა — ცათა დამამშვენებელსა ელვარესა მთუარესა, აოკრებულისა და გამკმარისა ვენაკისა—ახალშენსა სამოთხისაებრსა წალკოტსა, ცარიელისა და ბედითისა სადაფისა —გაუპობელსა თუალ-მარგალიტიანსა სადაფსა, მზისა ჩასულისა დაღრეჯილისა—აღმოსავლეთით ახლა აღმოსრულსა მზესა, დამჭკნარისა და წაკდომილისა ფურცლისა—ახალ ამოსრულსა წითელსა ვარდსა, დამშრალისა ზღუისა—თუალ-მარგალი-

ტიანსა ჭომაინისა ზღუასა, გაუბედურებულისა და დასაწყლე-
ბულისა—ყოველთაგან სანატრელსა ბედნიერსა, სიყუარულსა
სიკუდილისა დღემდი მიმტანებელისა—გამწირავსა და უსანოსა,
პირისა კეკლუც ყოფილისა და აწ დადუსჭირებულისა—წამის
წამ მამატებელსა პირსა წინაშე, და გულისა ცეცხლითა და-
მწურისა—ჩინურის სტავრისა მსგავსსა, თვალთა დღე და ღამე
უძილოთა ცრელიანთა—თუალთა ნებიერად მხედავთა, კარგისა
მოყუარისა საკუთრისა გულ მკურვალისა—ავის მქნელსა და
დამმტერებელსა, დასაწყლებულისა და გაბეჩარვებულისა—ყოვლი-
სა ქუეყანისა მორჭმულსა კელმწიფესა წინაშე დამიწერია ესეთი
წიგნი, ესეთსა ყოფასა შინა მყოფსა, რომელ ტანი სულისაგან
და სული ტანისაგან აბეზარ მქნია.

«მე კიდეგანობისა ცეცხლითა ვიწვი, და შენ სმასა და
სიხარულსა შინა ნიშტიანობ. მე სიყუარულისა საჭურჭლისა
მეჭურჭლე ვარ, და შენ მტერობისა კლდისა უფალი. აწ ამას
გაფიცებ ჩემსა სიყუარულსა და შეყრასა, და თუით დამბადე-
ბელსა ცისა და ქუეყანისა ღმერთსა გაფიცებ, რომელ ესე წიგ-
ნი სრულად წაიკითხო, ჩემნი ჭირნი სცნნე და რაცა მომიხსენე-
ბია, გაიგონო.

«იციცა რამინ, რომელ საწუთრო მბრუნავია? კაცი ზოგ-
ჯერ სნეულია, ზოგჯერ მრთელია; ზოგჯერ ჭირვეულია და
ზოგჯერ ლხინიანი. ზოგისათუის სიცოცხლეა, თუ ავად თუ
კარგად, ბოლოდ ეგრეცა სიკუდილია; ზოგისათუის სიკუდილი
შემდგომად განკითხვაა და ნაცვლისა მოზღვევა. ამას სოფლი-
სა ამბავი ოდენ დარჩების. ჩუენი ამბავი ავთა და კარგთა უუე-
ლათაგან იცნობვის, თუ რას მოქმედნი ვართ. შენ თუით იცი,
თუ ჩუენ ორთა შუა რომელი უფრო აუგიანი ვართ, რომელსა

უფრო უწრფელობითა თავისა ნება გვიმებნია. მე იგი წმიდა ვიყავ, რომელ გინახავ ყოველსა ქუეყანასა ზედა, რომელ სიწმიდითა ცისა ცვარსა ვგვანდი და სიტურფითა ვარდისა ფურცელსა; ვერა რომელსა მამაცსა ჰპოვნა ჩემთანა გულის ნება და საწუთროსა არ დაედვა ჩემზედა აუგი. ჭანჯარსა ვგუანდი მინდორად მაღალსა, ყუელასაგან გაუვლენელსა; არა რომლისა მონადირისა პირი მენახა. შენ იყავ ჩემი მკლველი და მამაყივნებელი, შენ დამიდგი გზასა უწრფელობისა ბადე და დამაბი. აწ მარტო ორმოსა შიგან ჩავიგდივარ და წამსვლიხარ! მამაღორვე, მომაცთუნვე და აწ გამწირე... უზენარო! შენი ფიცი ქარსა ჰგავს უხნოსა, შენი ზენაარი წყლისაებრ მდინარე და წამავალი არის. ეგრე გითქუამს: «მიფიცავს და ვისის აღარ შევეყრებიო!» მაშ, არ ჩემდაცა შემოგეფიცა, რომელ ვირე სულნი მედგნეს, არ გამწირო? აწ რომელი დავიჯერო? შენი ფიცი, რომელი უფრო მტკიცედ მიჩნდეს? შენი ფიცი ბუქსა ჰგავს და ჩემი შეყრა საჭურჭლესა. ქუეყანასა ზედა ამა ორთავე სახელი დიდად ითქმის. შენ ჰაერსა ჰგავ, მრავალ ფერად იქცევი; ოქრო ხარ, ავთა და კარგთა მისუდები. არ ჩემებრ ხანიერი მოყუარე, თუ შენ ჩემსა გუერდით არა ხარ, სხუასა დიდხან ვის გუერდით ხარ?

«ნახენ თუ რაზომნი ავნი ნაქმარნი გიქნიან: უპატიოდ გამკადე მეცა და შენიცა თავიცა, დიდისა კელმწიფისა ცოლი მომაცთუნვე, თავისა გუარი და ნატამალნი აუგიან ქმნენ, ცრუ ფიცად გაჰკე, გაუწირავი და ზენარიანი მოყუარე გასწირე, წასუე ჩემგან შეუცოდებლად და დაუმძიმებლად, და ესეთისა მოყურისა აუგნი მოსთუალენ, რომელ მას შენგან კიდე არავინ უყვის... მე იგი ვისი ვარ, რომელ მზეა ჩემი პირი და თმა

მუშკი; მე იგი ვარ, რომელ პირისა სისავსე თხუთმეტისა დღისა მთუარესა მიგავს და ბაგე უგულდავებასა; მე იგი წყლიანი ვარ, რომელ სიყუარული ჩემი ხანგრძელთა; მე ტურფათა დედოფალი ვარ და გრძნეულთა კელმწიფე. მე შენგან უკეთესსა კელმწიფესა დია ვჰპოვებ, მაგრა შენ ჩემებრსა ვეღარავის. მე ოდესცა გამწირო და წამიხვიდე, შემოქცეული გუიანადღა მპოებ.

«ნუ იქმ რამინ,—რა ინანდე, ვისისგან კიდე წამალსა ვერას ჰპოებ; ნუ იქმ რამინ, რა გულისაგან გასძღე, ჴაზუკობითა ვისის ვეღარ შოიკლებ; ნუ იქმ რამინ,—აწ შენ მთურალი ხარ დ სიმთურალითა გაგიტეხია ზენაარი; ნუ იქმ რამინ, რა მოიფხიზლდე, რომელ უცოლო და უმოყურო დარჩე! გნახავ ესეთსა, რომელ ჩემსა წინა სტიროდე და პირსა ჩემისა დარბაზისა კარსა დასდებდე; მტერობა სიყუარულად მოაქციო, მე მეძებდე და ვეღარა მომხუდე. რადგან ჩემგან და ჩემთა ბაგეთაგან გასძელ, გულისაგან ულონიოდ უმალ გასძღები. რა შენ მე არა მმორჩილობდე, ჩემ გვერდით არ გაიხარნე, სხუასა ვის მორჩილობ? მიჯნურნი კმა მალად ყივიან: ვისცა ვისი არა აშუნია, მას სიკუდილი შეემინების.

«უბედურობისა ნიშნად გეყოფის, რომელ ღმერთმან ვარდი მოგცა, მაშინღა მოშენებული წალკოტი წაგიღო; გიჩვენა დაბნელებული მთუარე და წაგიღო ელვარე მზე. იქადი ერთისა ხისა პოვნასა და არ იცი, რომელ ვენაკი აღარა გაქუს. ნუთუ დაგვიწყებია ჩემითა სიყუარულითა თუ რას ჭირსა და დაუთმინობასა შინა იყავ. რა სიზმრივ მნახი, გაკელმწიფებდა გეგონის; რა სული ჩემი გეცის, მკუდარი გაჰსცოცხლდი.

«კაცისა სირეგუნე აგეთი არის, რომე ჭირსა და ლხინსა ადრე დაივიწყებს. ეგრე გითქუამს: «მას უგანა სიყმე ჩემი და-

მიგარგავს, ვინანი და ამო საწუთრო დამამწარაო.» მაშა მე ეგრე მეგონა, შაქრისა ლერწამი დავრგე და უკანა ნაყოფისათვის გაგედგებოდე და ნაყოფად ნაღველი გამომესხა.» მე რა შენგან ჭირნი მოვიგონნე, ცეცხლი ტუინამდის გამიკდების და თუალთა ჯეონი მდინდების. რაზომი ჭირი ვნახე შენთვის და ბოლოსა ესრე მომიკდა, რომელ ჭა შენ მითხარე, მისმან შიგან ჩამაგდო და ორნივე ამოდ დასხდომილხართ. შენ შუშა მოიღე, მისმან ცეცხლი შეაგზნა და ორთავე უნებლივ შიგან ჩამწვით. არ ვიცი, შენგან ვჩიოდე თუ მისგან, ჩემისა ჭირისა სათავნო ორთაგანვე იქნა. რაზომცა შენგან მტერობა ვცან, კიდეგანობისა ბორკილითა დამჭედე და გულსა ცეცხლი ჩამიგზნე, თუალთა სისხლი მადინე, სისხლისა ტბასა ჩამაგდე და ჯეონსა შიგან ჩამრჩევ. მე გული არცა ეგრე მეტყუის შენსა წყევლასა და შენგან ღმერთსა წინა ჩივილსა. ღმერთმან შენი ჭირი მე ნურა მომასმინოს, —მე შენი ჭირი შენგან უფრო მეტკივნების; თუარა მუნამდის ეგრეცა ვსწერ წიგნსა, ვირემდისცა კალამმან სისხლითა წერა არ დაიწყოს და ვირემდინცა არ გნახო, რომელ ღმერთმან ნუთუმცა შენი უნახავი არ მომკლაო.»

მთ

მეორე წიგნი ვისისი რამინს თანა

თუ შვიდნივე ცანი ქაღალდად მქონდეს, სრულად ვარსკვლავნი მწიგნობრად მყუეს, ღამისა ჭაერი მელანი იყოს, ასონი ფურცელთა, ქვიშათა და თევზთაებრ სშირად სწდენ,—ალსასრულამდის იმედი და ნატრა ჩემისა მოყურისა ნასუისათვის მქონდეს,—შენმან მზემან, ნასევარსა ვერცა მაშინ დავსწერ სურვილსა.

«მე შენისა სიშორისაგან კიდე ვერა შემაშინებს, მე უშენობისა კიდე ვერა შემაწირვებს. შენვან შორს დარჩომილსა არა მაქუს გამოსვენება, არ მომივა ძილი, და თუ დამეძინოს, შენივე სახე მიდგს თუალთა წინა. მე უშენო საბრალო ვარ, ესრე რომელ მტერთაცა ვეწყალვი. რომელი ჩემად სალხინოდ მიჩანს, რა მას ვიქმოდი, თუალთაგან ღუარად ცრემლთა ვიდენდი; ამას მიგავს, ვითამცა ცეცხლსა ცეცხლითა ვავსებდი და ჭირსა ჭირითა ვჰკურნებდი. მე უშენობისათუს მგლოვიარედ ქუე ვზი და შენ ჩემსა მტერსა გუერდით მსიარულობ და იშვებ. ატირდების თუალი ჩემი, რა ნასოს მოყუარისა სადავე მტერისა ჴელთა შიგან. ვითამცა კიდეგანობა შენი ცეცხლი იყო, რომელ თმობისაგან კიდე დასწუავს. ხიცხესა შიგან ვერავინ დაიძინებს და მე ცეცხლსა შიგან მყოფსა რა გამოვისვენო?

«მე იგი ძველი ნაძვი ვარ, რომელ შენმან კიდეგანობამან

წამაქცია, გამაკმო, დამწვა. შენ რომელ ჩემსა ნაკუთსა ისრისაებრ მართალსა იცნობდი, შენმან გონებამან გაამრუდა, საგებელსა ზედა დაცემულარს. ჩემად წყალობად, ნახუად და კითხუად რა მოვიდენ, რაზომცა ჩემსა მიდამოსა დასხდენ, ასრე დასაწყლებულვარ, რომელ ვერ მნახვენ, ზრახვით და კიცხვით ესრე იტყუიან: ნუთუ ჩუენი სნეული ნადირობად წასრულა რომე აქა აღარ არის? შენისა ნახუისა ნატრასა ასრე გაუკდია ჩემი ტანი, რომე თუალ ხილულნი კაცნი ვეღარ ნახუენ. კუნესითა ოდენ შეიგებენ ჩემსა სიცოცხლესა და აწ უსუსურობითა არცაღა კუნესა შემიძლია. შენითა კიდეგანობითა ამისგან კიდე სარგებელი არა დამრჩომია, რომელ თუ სიკუდილი მოვიდეს და წელიწადსა ერთსა მეძებდეს, ესრე დალეულვარ, შენმან სურვილმან, რომელ საგებელთა შიგან ვერცა იგი მპოებს. თუცა უშენობისაგან მენატრების, ამით სიკუდილისაგან უშიშვარ; ვირე ესრე ვარ, შენი შეჭირვება მოთათაებრ გამდიდების და თმობისა გზა გამმნელების. ამა ჭირისაგან ნუ მიხსნას ღმერთმან, თუ უშენობისა გაძლება მაქუსცა! და ვით ჰქონდეს მას გულსა გაძლება და თმობა, რომელ ჯოჯოხეთისა საკმილსა ჰგუანდეს და არცაღა თუით მისი სისხლი არის მას შინა, არა თუმცა სხუაა? ასრე ტყუილია, თუ სული სისხლითა ცოცხალაო. მე სისხლი აღარ მიდგს და ჯერეთ ცოცხალვარ.

ჵმე, საყუარელო, ვირე შენ გახლვიდი, ტანი ჩემი ხე იყო, რომელსა ნაყოფად ჯარდი ჰქონდა. აწ ამით კამს ჩემი წუევა, რომელ უნაყოფოსა მტოსა ყოველი კაცი დასწუავს. რა წახუედ, წამივიდა თმობა, რადგან ვერ გნახავ, აღარცარას ვილხენ. უშენობითა ნება ჩემი წამსვლია და ვირე შორს ხარ,

არცაღა იგი შემოიქცევის. საწუთრო ესრე ამშვოთებია, ვითამცა ეტლთად შებმულვიყავ; საწუთრო ესრე ამშლია, ვითა უთავო ლაშქარი; შეჭირვებასა ქუეშე ესრე შემიღამდების დღე, ვითა ველურსა თხასა ავაზისა შიშითა. თუ ესეთისა ყოფისაგან ვტიროდი, ნუ გიკუირს, ნუვინ მიაუგებთ. მე ვარ უმოყურო და ჭირთაგან მოყურიანი, მე ვარ უსაქმო და მიჯნურობისა საქმეთაგან დაბნეული. ვერას გავისვენებ უშენოდ. ნუთუ შენ იყავ ჩემი სიცოცხლე, რომე უშენობითა გულსა შიგან ჩემსა დასთესე შენი სიყუარული და აწ ზენაარ მორწყე სიხარულისა რუთა.

«ნახე ერთხელ კულა ჩემი პირი, რომე არა ვეჭუ თუმცა მისებრი ანუ ყუითელი ოქრო გენახა. თუცა მტერი ხარ და მესისხლე ჩემი, ეგრეცა შეგებრალები, რა მნახო. თუმცა გამწირავი და უსანო ხარ, რა ჩემნი ჭირნი ნახნე, გეწყინების და დაგიმძიმდების.

«ეგრე მეტყუიან, სნეული ხარ და მკურნალი ძებნე, რომელ გარგოს რამე. მე თუით ჩემისა აქიმისა და მკურნალისაგან მკუდარი ვარ, ჩემმან მკურნალმან მიმუხთლა და მიღალატა, მისისა მუხთლობისაგან დასნეულებულვარ! მე ვირე ესრე საწულად ვარ, შენ გქმებ ღონედ. შენისა ნახუისაგან კიდე ჩემი რგება არას შეუძლია, ვერცა გულსა შევიჯერებ შენისა სიშორისათუის. არა ვარ ღმრთისა და ბედისაგან იმედ გარდაწყუედილი, რომელმცა ჩემი ელვარე მზე კულა არ მიჩუენა. თუ შენისა პირისა მზე მოვიდეს, ჩემისა შეჭირვებისა ღამე განათლდების. შეგებრალდები აღრინდელსა მტერსა და ნუთუმცა შენცა შეგეწყალე: არა მტერთაგან რამე უფრო სამტერო შემიცოდების და თუ ამა წიგნსა წაიკითხავ და არცა აწ შეგეწყალები,

რა ჩემთა ჭირთა სცნობ, სრულად უზენარო და გამწირავი თურე ხარ.

ნ

მესამე წიგნი ვისისი რამინს თანა

მიუცილვებლად ჩემო საგონებელო, რა წასვედ და მოგშორდი, გული და ცნობა ჩემი თანა წაგიტანია. მით გვედრებ, გარნა მას ვიკითხავ, რადგან წამიხვე, ჩემგან მძვალი რადღა გინდოდა? მე შენთუის უზიაროდ მომიცემია სული, გული, გამოსვენება დ თმობა. მე უამისოდ ლხინისა მძებნელი ვითღა ვარ? ჩემი გული წამსა მოუშორვებელი ესრე შენი მნატრელია, ვითა სნეული სიმრთელისა. მას სხუისა ვისსაცა სიყუარულისა ძებნა არ შეუძლია; რომელსა გულსა სიცოცხლე შენგან უნდა, მას გულსა შენ ვითა დაავიწყდები? რაზომცა შენგან ჭირნახულია, ეგრეცა სულთაებრ უყუარ. თუცა შენ ჩემზედა რეგუნობითა უღმრთოდ იყავ და გამწირე, მე ვერცა ეგრე მოგიშორებ. აწ უფრო მეგონები, აწ უფრო მიყუარ და რაცა ავი გიქნია, ვერ დავაყუედრებ. მუნამდის გდევ და გემუდარები, ვირე ჩემი სიმართლე და შენი უსამართლობა არა სცნა. რადგან შენი საქმე უხსნობაა, მე გულმაგრობასა რად მაყუედრებ? ჩემი გული წყალსა შიგან რვალივითაა და შენი შეუძრავად მეს სიყუარული-

სა სანიერობისათჳს. მით არ მოიკოცების გულისა ჩემისაგან სიყუარული, რომელ ქუისა და რკინისაებრ მაგრად მაქუს, და თუ ესრე შეუწონელი არსა, მაშა ვითა გლახ გავსძლე ეზომი შენი ჭირი და ჯავრი, რომელ შენისა ულმრთოობისაგან სიცოცხლე მამწყენია,—ვითავე შენი სიშორე; სიყუარულისა ღჳნო, შენთა ბაგეთაგან რომელ ვსვი, მითცა ესრე მოუქარვებელითა სიმთრვალითა მთრავს.

«რა მზე ანუ მთუარე დავინახო, შენი პირი მამეგონების და რა ისარი ანუ სარო დავინახო, ათასჯერ თაყუანის-ვსცემ შენისა ნაკუთისა მიმსგავსებისათჳს. ხადაცა ვარდსა ვპოებ, მოვკოცნი ღაწუთა შენთა სახებისათჳს. ცისკრისა ჟამსა მტირალსა და მკუნესიარესა რა ნიავმან იისა და ვარდისა სული მომართუას, ამით მოვილხენ, რომელ ეგრე ვიტყჳ: ნუთუ ჩემი საყუარელი მოვა და მისი სული მეცემის? რა მიმელულნეს, შენსავე სახესა ვსჭურეტ; ამით ვისარებ: ზოგჯერ შენთა საქმეთაგან შენთანავე ვჩივი, ზოგჯერ შენისა სიშორისათჳს შემოგტირ. მძინარესა დამემოყურები, რა ჭირი ჭირსა მომემატოს და გამეღვიძოს, რადღა დამემტერები? თუ მძინარესა სიყუარულსა მიჩუენებ, რა გამეღვიძოს, რადღა დამამძიმებ. სიზმარსა შინა მოწყალე ხარ; საცხადოდ ეგრე უწყალო და სულთა წამხმელი რადღა ხარ? მღვიძარე დაღონებული გეაჯები, გიკმობ და არ მოხუალ, ამით რომელ ვიზასდე და ვტიროდე. და რა დამეძინოს, უმადლოდ მოხუალ და მნახავ, ამისთჳს რომელ უფრორე უთმინოდ მომესურვოს შენთჳს. ოდეს გიახლე, იგი ჟამი და აწ სიზმრისა თუცა წამია, სწორად მალხენენ. ოდიდგან წასრულხარ, ბნელი და ნათელი ჩემთჳს გასწორებულა, დღე და ღამე გამერთებია; შენგან გულსა შენი სახე ოდენ

დამრჩომია და სიშორისაგან სნეულსა შეჭირვება. ესრე დიდად მსურიან, რომე, რა მეზმანო, მასცა დავსჯერდები ჲ ღმერთისა ვმადლობ.

«მაგრამ ჩემი დაჯერება მფრინველსა, მასე შებმულსა, გავს, რომელ აღარა ღონე აქუს. მშობელთაგან დაწყეულსა ჰგავ თუ, «ღმერთმან გაშოროს, რასაცა ეძებდეო.» მიჯნურობასა ესრე გაუკდივარ, რომელ შენი ოცნებაცა სისარულად მიჩანს. ასრე გლას დაჭირვებულია გული ჩემი, რომე ესეცა სასელად უჩნს და ძილსა ინატრისვე. მე ოდეს გესელ, მაშინ ვნაზობდი ამა ჭირისა მოულოდენელი, ამით არ მეძინის და აწ სიშორისაგან თუალთა სისხლისა დენითა არ მძინავს. ნასე. თუ ძილისაგან გამოსვენება ოდეს მამხუდებოდა მაშინ ნებიერობითა და აწ შეჭირვებითა ესრე მყოფსა? აწ შენსა მიჯნურობასა შიგან დავლიენ ცუდად დღენი ჩემნი! შენი მიჯნურობა რა დავსთესე, უძილოთა თუალთაგან ეზომი ვრწყე, რომე გულისაგან თავამდი გამსულია. გული ჩემი სადაფსა ჰგავს, რომელ შენი სიყუარული შიგან დამთესლებია და მისი ამოღება ადვილად აღარავის შეუძლია. ნუთუმცა არ გამწირა ღმერთმან და შენსა ნასვასა შიგან შენ ჩემგან რცხვენილი იყავ და მე ხანიერებისათუის ურცხვენელი და ენა გრძელი, შენზედა ეზომთა ჭირთა არ ცუდად გარდამკდელი.»

ნა

მეოთხე წიგნი ვისისი რამინსა თანა

შითხარ, ორისა კუირისა მთუარეო, რად გამწირე, რომელ ჩემისა მესისხლეობისათუის მოსწრაფეობ? თუცა შენ თავისა წადილითა ყოველთაცა გშვენის, მე არა თუმცა ამა საწუთროსა, შენგან კიდე ლხინი აღარცარა მას საუკუნოსა მომინდების. ეგრე მეტყუიან: «ვისო, ნუ ჭკუნესი! ერთისა უსანოსა მოყურისათუის ეგრე გასულა რად უნდა? კაცსა მიჯნურობასა სხუისა სიყუარულისაგან კიდე არა დაავიწყებს და შენ მის უკეთესნი არა დაგელევიანო.» მე ამას რომელნი მეტყუიან, ესე არ იციან, რომე ვარდის წყალი რაზომცა წმიდაა, წყურვილსა წყაროსა წყალი უკეთ არგებს; რომელსაცა ღვიძლსა გველმან უცეს, მას ტაბარაზისა თერიაყი უფრო დაშვენდეს: შაქარი რაზომცა ტკბილია, მოწამლულსა წამლისა წამალნი უჯობს. მე რადგან შენ აღარ გხედავ, მოშორნეთა ჩემთა უშენო მნახეს. სხუამცა სათავისოდ ლხინი რადღა ვძებნე, ანუ შენად ნაცულად გული ვისცა მივსცე, რომლისაგან მე ნაწილი აღარა დამრჩომია და ესრე შენთუის გამისაკუთრებია. მე შენად ნაცულად არავინ მომეკერების და სხუისაგან გულსა სარგებელი არ მომხუდების. თუ კლდი აღარ მედგას, რაზომცა თუალ-მარგალიტსა მოვისხმანო, ჩემთვის უსარგებლოა. შენ მზე ხარ და ჩემი დღე უმზეურად არ ნათობს.

«ჵ ლაშქართა თავო, ოდეს შენ გიხლე, სადაფი ვიყავ და შენ მარგალიტი: გამოელოს,—არცაღა პატივი აქვს; ეგრე ვეღარავინ ჩაუგდებს. მაშ კამს ჩემგანცა ეზომი ცოდნი, რომე მე შენგან კიდე სიყუარული გულსა არავისი ჩავიდვა. კაცსა სოფელსა მყოფსა ყველასა ნაცუალი ექნების სულისაგან კიდე, და შენ ჩემი სული ხარ. უშენოდ მე შენი ნაცვალი რა ვქებნო, და თუ ვქებნდეცა, რა ვპოვო ეგეთი მთუარე, მზისაებრვე რომელსა ყამსა ნათობს? მე რა შენთუინ გაყრილვარ, პირი არ დამიბანია და ტანისამოსი არ გამომიცულია: ვითა მისთუის ხლებულვარ და მისი სული მეცემოდესო.

«მე ვირე შენი სიყუარული ასრე მტკიცედ მაქუს, სხუამანცა ჩემგან ვინ გაიხარნა? ჩემი გლახ საწყალი გული საქარავნოსა ფუნდუკსა გავს, შენისა სიყუარულისა ქარავანი მიწყით შიგან დგას, და თუ მან ადგილი არ დასცალოს, სხუა მოქარავნე ვინ დაეტევის? ვისსა ტანი შეჭირვებითა თმისაებრ დამწლობია, გული ქვისაებრ გამმაგრებია თმობითა. ქვასა შიგან ნერგსა არავინ დარგავს, მით რომელ ჭირი და ნერგი ორნივე არ გაცუდდეს. რაზომცა აწ მაშორავ, ეგრეცა !სიცოცხლისა ჩემისა მიზეზი და თუალთა ჩემთა ჩენა შენ ხარ. ნუ ქმებ უმეცრობითა ჩემსა კიდეგანობასა! ჩემგან კიდე საშენო სხუა აღარავინ იპოების და შენგან კიდე საჩემო. მე მაისი ვარ და შენ გაზაფხული. განაღა, ურთმანერთოდ არ ეგების?! შენ კავაბი ხარ და მე მჭირნე კლდე; მე ზღუა ვარ ცრემლთა დენისაგან და შენ თევზი. რადგან ესე ურთმანერთოსოდ არ ეგებიან, მიკუირს თუ ეზომსა ხანსა ჩემგან კიდე ყოფა ვით გასძლე? შენ წითელი ვარდი ხარ და მე ყუითელი, შენ სიხარულითა გაფურჩვნილი და მე ჭირითა. მრავალ ფერობა

ვარდთა მიწყით ერთსა წალკოტსა შიგან ვამს. მოე, ჩემო, შენითა სიწითლითა ჩემი სიყვითლე დაფერე! უშენოდ სულნი-ცა უპატიო იყოს, საწუთროსა უშენოდ რაღამცაღა პატივი ჰქონდა? თუალნი უშენობისათუის მიწყით უძილნია და გული ნიადაგ მძინარე, რომელ თავისა გზა აღარა ვიცი.

«ეგრე მეტყუიან: «რადგან მას მოყურად ვარსკულავი დაუ-ჭირავს, შენ მთუარე დაიჭირე. ნუ ჰკუდები უსნოსა მოყური-სა გონებითა. პირველ მისგან გამოჩენილა უზენარობა, იგი ცრუებულა შენგან და ნუღარცარა შენ გაგვა მისიო.» რაზომცა მას მართალან და ღმერთი ჩემზედა შენ უარ-ქენ, შენმან მზემან, ამისი ღონე არა მაქუს. არცა ჩემსა გულსა სხუისა ვისიცა შენგან კიდე სიყუარული შეუძლია. და რადგან მოყუარეთაგან ბედი ეგზომი მაქუს, რაღმცა რაღა ვქმნე? მე რაცა აქამდინ ჭირი და მიჯნურობა გარდამიკდია, მეყოფის. სხუასა ეზომსა სასჯელსა ვეღარ გავსძლებ და არცა დავებმი. მე ეგრე ტურფად ველნი ვერ შემილებვან, თუმცა ესრეთვე ფერკთა მომინდა. მე მიჯნურობითა არა რა სარგებელი მინახავს, რომელმცა ველთა ჭირსა შიგან შევიღე თავი; მე ყოვლისა სამიჯნუროსა და მეკლუცთათუის აბეზარ ქნილვარ, მტკიცე სიგელი დამიწერია, ვისისაცა საგონებელისათუის ცეცხლი დამივსია ჩემისა გულისა და ბედისათუის მინდობილვარ.

«მე იგი მფრინველი ვარ, რომე სიფრთხილითა ზირაქად სახელ სდებდეს და აწ ორითავე ფერკითა მახესა დაბმულვარ. გაჭრისებრ ზღვასა შეველ, რომე ცოცხალი გამოსვლასა აღარ მეჭუდა და საკელმწიფოსა თუალ-მარგალიტსა ემებდა. გრძელია ჩემი ამბავი, უყელასა ვიტყოდე და ზღუასა შიგან ჩავირჩო-სიარულსა შიგან ზურთისაგან მეშინიან. გამოსვენება არ მი-

ნახავს და სათავნო წამკდომია. აწ ღმერთსა კელ აპყრობით ამას ოდენ ვეაჯები, რომელ ამა საშინელისა ღელვისაგან მიხსნას და ვირე ცოცხალვიყო, ზღუასა აღარ შევიდე. მე შენისა ჯავრისა და სიყუარულისაგან ესრე გასრულვარ, რომე მიფიცავს, უხნოთა კაცთა აღარა დავესხლო, აღარცარა ვისგან იმედი მქონდეს. მართ ჩუმად მწედ და მარგებლად ღმერთსა ვიგონებ და მას ვევედრებიო.»

ნბ

მეხუთე წიგნი ვისისი რამინსა თანა

მოყურისა კიდეგანობა და მოლოდნა მაშინ დიდად ამოა, თუ უხნობა და გამწირაობა არ ერთოს; თუცა თუ კიდეგანობა მწარეა, ნუვისა მომლოდეობა მას დაავიწყებს; სიმარტოვისა გაძლება ამოა, თუ შეყრისა იმედი ჰქონდეს. მიწყით ერთგან ყოფა მოყუარეთა აუგიან ჰყოფს პირველ თუით სხუათაგანცა შემოსახედავად, მერმე ერთმანერთსა თანა რაზომცა უყუარდეს, ცოტა რამე დაუმძიმდების ერთმანერთისაგან. ზოგჯერ ეგუშტვიან ერთმანერთსა, ზოგჯერ უწყრებიან, ზოგჯერ იმდურვიან და ქუშობენ, ზოგჯერ აყუედრებენ სხუასა რასმე და ყუელასაგან უარესი, ზნე მიჯნურობასა შიგან ესეა, თუ გაძღენ ერთმანერთისაგან და ბოლო შექნას მათსა სიყუარულსა. გულისად ესრე ვერ შეჯერებულვარ,

რომე ოდესცა ჩემსა გულსა სიმარტოვე მოეწყინოს, მოყურისა კიდეგანობისათუის შემამჩიოდეს, მე ეგრე ვიტყუი: «დასთმე, ჭირი გინახავს და ჭირისა ბოლო მიწყით ლხინია; ზამთრისა წამლითა შემდგომად მიწყით ზაფხულია; ნუთუმცა ჩემგან მისისა შეყრისა ბოლოცა ასრევე მოჰკლდა? აწ მოიჭირვე წელიწადი ერთი, რადგან მისისა ნახუისა წამსა მოელი. თუ ერთსა დღესა მას გუერდით სიხარული მოგხუდეს, ორისა წლისა ჭირი დაივიწყებს. შენ გულო, მეწალკოტესა არა უარე ხარ, არცა იგი შენი საგონებელი ვარდისა ხესა უარეს. მას ხედავ თუ, რა დარგოს—რაზომსა ჭირსა ნახავს მოკრეფამდინ? დღე და ღამე ჭირსა და გაზმასა შიგან არის, ეკლსა ეკალი ესობის ამისითა იმედითა თუ, ვარდი ოდესმე გამოესხმისო. აგრევე იადონსა კაცი შეაგუებს, აჭმევს და ასმევს, დღე და ღამე მას სჭურეტს, გალიასა ძვალითა და მძივითა მოკაზმავს, ალამაზებს, და ამისთუის იჭირვის წელიწადსა შიგან—ამო ჴმა ამოიღოსო, რომ მე გავიგონო და გული გამიმხიარულდესო. ხედავ მასცა, რომე ზღუასა შიგან შევლენ, ეზომსა ჭირსა და შიშსა გარდაიკდიან მოუსვენებელნი, არცა ძილითა მორჭმული იქნების და არცა მკლავითა. ზოგჯერ სიცოცხლისათუის მოიშიშობენ და ზოგჯერ საქონლისათუის, მაგრა იმედისათუის გასძლებს ყუელასა: ნუთუ სარგებელი რამე მამხუდესო. ეგრევე ფეროზისა და ლალისა მძებნელი დღისით მიწყით კლდესა სთხრის, ქუა და წერაქუი აქუს, კლდთა იტკივნებს ამისითა იმედითა, ნუთუ კარგი თუალი ვჰპოვო. დღისით თხრისაგან არა სძინავს და ღამით შენახუისაგან.»

«საწუთროსა სიხარბე და მოლოდნა ყოველსა ადამიანსა.

სჭირს და მეტადრე შენისა ნახვისა. გირეცა მზე და მთუარე აღმოვალს, მუნამდინცა მე შენგან იმედ გარდაწყუედილი არა ვარ. ჩემსა გულსა შიგან სიყუარული ბზისა ხესა გავს, ზამთარსა და ზაფხულსა მიწყით მწუანეა და შენსა გულსა შიგან სიყუარული ზამთრისა ხესა გავს, ნაყოფი და ფურცელნი დასცვივიან და ჴმელი ხე ოდენ დაგრჩომია. გარნა ამისი მომლოდე ვარ, რომელ ესეთი გაზაფხული მოვიდეს და გაახედლოს, ფურცელი გაუწირაობისა გამოისხას და ნაყოფი სიყუარულისა, და გაწირვისა ნანა სამი ეგზომი მისცეს, რომე მე ღმრთისაგან იმედიანი ვარ, თუცა შენ ყოლა აღარ მოიგონებ ჩემსა გულსა.

«მე ჴმელი შტო ვარ და შენ მხიარული გაზაფხულისა ჭაერი; მე გლახ უღონო საბრალოდ გასრულვარ და შენ მდიდარი, უწყალო, ძვირი და გაუკლენელი ხარ. ვტირ დღე და ღამე, სხუა აღარაა ჩემი ღონე ტირილისაგან კიდე. უღონო და საბრალო ვარ ასრე დამწვარი გლახ, რომელ ლხინისა ღონედ ტირილი ოდენ მაქუს. ვგავ სნეულსა მიჭირვებულსა, რომელ მისჭირვებოდეს დ̃ სიცოცხლისა იმედსა არავე გარდასწყუედდეს. მას ვაცსა ვგავ მარტოსა, სნეულსა, გაბეჩარებულსა, გამოვარდნილსა, რომელ სახლისა და ნატამალთა სურვილი ჰქონდეს დ̃ ღონე აღარას. მისებრვე ყოველთა ჟამთა ვზი გზასა ზედა და შენსა ამბავსა მომავალთაგან ვკითხავ; ეგრე მეტყვიან: «რას იკითხავ? მისგან იმედი გარდაიწყვიდეო.» მაგრა მე უგუნისამდი იმედიანი ვარ და არცა გარდავიწყუედ იმედსა შენგან,—რომელ სულნი დამრჩომიან, თუ იგი სრულად არ დამელივნენ,—შენისა ნახუისა მომლოდნეობისათვისცა. მიჯნურობითა თმობა წამსვლია. შენისა ჯავრისაგან სრულად ამით უფრო დამწუარვარ, რომელ გულა ნახვისა იმედი წყალსა მაპკურებს, და თუ უგულავ

გიქმნა, ვაი ჩემნი დღენი, რომელ წამსაცა დარჩომა ჩემი აღარ მგების!»

ნგ

მეექუსე წიგნი ვისისი რამინს თანა

მინახავ ერთხელ რამინ, რომელ არ იყავ ესრე დიდის გემო და ამპარტავანი, არ იყავ ესრე თავისა კელთა მქონებელი და ესოდენ მწვავეთა სიტყუათა მთქმელი, არ იყავ ესრე კუშტი და დაუკარავი. მინახავ ესრე, რომელ, რა სულთქმნი, შენმან სულთქმამან აერი გაამავის, შენისა გულისა კუამლმან მთუარე დააბნელის. ბედითობითა გზის პირისა მიწასა გვანდი, შენთა მტერთა და მოშურნეთა წადილისაებრ იყავ და მე მაშინ განაღა აწ ვითა შენ ჩემთუის ხარ? ათასჯერ მე უფრო შენი გაუკუირვებელი და ბედითად მხედველი ვიყავ. ჯოჯოხეთსა გუანდა შენი სული კუამლისაგან; ზღუასა გუანდეს თუალნი შენნი ცრემლითა; რომელსაცა დღისა უმცროსი იტირი, დიჯლისა ოდენი წყალი ეგრეცა გარდმოკიდის შენთა თუალთაგან.

«აწ ჯიმშედისაგან უფრო გადიდდი, გემოებულხარ და ცად გასრულხარ, უღონიოდ იგი ჟამი დაგვიწყებია, რომელ მიჯნურობისაგან თმობა აღარ გქონდა. ვაი, რომე შეიგენ ჩემი გულის პასუხი და ჩემგან საშენო სიყუარული და მით დამი-

მაბუნე. ესრე რად ხარ საჩემოდ ნავღლისაებრ მწარე, რადგან სასხვაოდ უკუდავებისაებრ სიტკბო იცი. საყუელაოდ ლმობიერი ხარ, ჩემთუის ოდენ რად კუშტობ? შენ ათასი საჭურჭლე ტურფითა სავსე გიპოვნია, რა საკურველი, თუ მაგით გლახასა ექადოდე? რა გაგვა, თუ შენ შენითა თავითა იქადდე და მე შენითა შენგან უფრო ვიქადდე? რადგან ეგეთი საქადული ხარ, დამემორჩილე, რომელ გმორჩილობდე. რაზომცა შენი პირი გაზაფხულია და შენთა ღაწუთა ზედა მიწყით წითელი ვარდი ყუავის, ეგრეცა ესე მოიგონე, რომე ზაფხულისა ყუავილი სთულამდი დარჩების. საწუთრო მიღმართ-მოღმართია. ნუ მოზიდავ მოყუარეთა ზედა მტერობისა მშვილდსა, ნუთუ ანაზდა გატყდეს და შენვე გეცეს. თუ შენი კაპარჭი ისრითაცა სავსეა, მუნით ერთსაცა შენსა მოყუარესა ნუ შესტყორცებ.

«ჩემი გული მწვადსა გავს კიდეგანობისა ცეცხლთა ზედა წვითა; რადგან უცეცხლოდ არ მიმიშვებ, ბარე ნელადრე ნთება მათნიე. ნუ მიზამ, რაცა შენთუის არ მიყოფია და ნუ გინდი უპატიოდ. ნუ ხარ საჩემო ეგრე უსამართლო. ერთხელ ოდესმე მეცა ვიყავ შენებრი სანდომ-საყუარელი, და ეგზომი ნაზობა არ მიქნია და არცა ეგზომი ნებიერობა, აწ ვითა შენ ნებიერობ. სიამოვნე არ დარჩების მოყუარეთა, რა ერთმანერთისა უყამოდ ნებიერობდენ. ამპარტავნებითა თავი ცამდი გაგიღია და დიდის გემოობითა კულა თავი გაგიბედითებია. ჩემებრვე კაცი ხარ ანგელოზისაებრ დაუკარაობა რად გინდა? თუ მზისაებრცა მაღალი და ელვარე ხარ, სალამოსა ჟამსა ეგრეცა დამდაბლდები და ქუე ჩამოხვალ. მე შენისა გულისაებრ გაუვლენელსა გულსა ვნატრი დაუკარავს, უსაროს და უმეცარსა მისთა გამვლენთასაცა. ეგეთისა გულისა უფალი ყოველთა ჭირთაგან მკსნელია დ

ყოველი კაცი ეგეთისა გულისაგან მიეცემის ჭირსა. ზირად მჭურეტელთაგან სანატრელხარ და გული ალმასსა გიგავს. მე მეჯავრების, რომელ აგეთივე მაგარი გული მიძს და არ შენებრი უხსნო, გამწირავი და უზენარო ვარ. თუმცა შენითა გონებითა არ ვკვდებოდე! თუ შენ შენისა სიავისა მქებნელი ხარ და საჩემოდ ავისა სიტყუისა მთქმელი, მე ამა ერთისაცა მდომი არა ვარ. მე სიყუარულსა ვმატებ, თუცა შენ—მტერობასა; მე ცეცხლსა ვაძლიერებ და შენ წყალსა ასხამ. რა მე დედამან ჩემმან მშობა, ჩემთანავე ჩემგან გაუწირავობაცა შობა, და რა შენ დედამან შენმან გშობა, გამწირაობაცა თანა დაგებადა. მე თუით ჩემსავე ბედსა თანა ჩემმანვე გულმან მიმცა ჭირსა, რომელ უსანოსაგან ხანიერობასა ქმბდა. აწ ამით მათ ზედა, ვითა მტერთა, შურთა ვიგებ, რომელ შენთა გზათა უკანა დგომისაგან თუით აღარსად რაა. მითცა აწ სანიშნოდ გაგიკდია, ვითა სასავნო ასაბადი და მუნამდის ესროდი, რომელ სიბრალული და ნანვა შენვე შეგექნას და ეგრე სთქუა: «ვინცა თვათერაკი იყიდოს, ესე მას მართებსო.» რაშს ამისთუის აქებენ, რომელ სიარულითა მარავს ისარი გამოუგდია და მას მით ჯაანგირი ჰქვიან. შენ მე წამსა და წამსა ათასსა პირ ალმასსა გორაბით მარავს გულსა და სულსა დამასობ. ესე სახელი ჭაბუკობისა საქებრად შენ გმართებს, არ რაშსა, რომელ ასითა ქჯითა უშორე სტყორცებ ჩემად საკლავად ისარსა და ეგრე შორით აწყენ შენთა მოყუარულთა.

«რა რაიმე უწყალი და მაგარი გული გიძს! ეზომისა შენისა წყენისაგან პირი ჩემი დაგიყუითლებია და გული ჩემი დაგიწვავს. ამისაგან კიდე არა მიკვირს, რომელ შენგან ეზომსა ჭირსა და ნაღველსა მოუსვენებლად ვარ და ვერცა ეგრე გელე-

ვი. თუ რკინა არა ვარ ანუ ქუა, ამისი გაძლება საკჳრველია, რასაცა შიგან ვარ. ეგრე მეტყუიან თუ, ნუ სტირ, მეტითა ტირილითა დასნეულებულხარ და ვითა თმა გაწლობილხარ. ეგრე მას მართებს, რომელ მოყურისა ნასხუისაგან ხმელ გარდაწყუედილი იყო! გარნა ესე არა იცი მოყუასასა, ნუთუ ჩემისა წვიმისაგან მოვიდეს ნაყოფი, ჩემთა ცრემლთაგან მოყუარეცა მოვიდის. რა გაზათხული მოვიდეს, წალკოტი ვარდსა მოისხამს. ნუთუ საყუარელი ჩემი მოვიდეს და მე სიცოცხლესა ჩემსა მას ვანაცვალებ, და რა მაშორვიდეს, ლხინისა ნაცვლად თვალთაგან მარგალიტსა ვაყრი, ოქროსა და ანთრაკისა ნაცვლად თვალთა და სულთა გარდავაყრი, ნუთუ ღმერთმან შემიწყალოს და ერთსა დღესა ჩემი საყუარელი ვნახო.»

ნდ

მეშვიდე წიგნი ვისისი რამინს თანა

მშვენიერო საგონებელო ჩემო! უგრძნეულოდ წამიხვე. მიბრძანე, რა სთქუი, რა გააგე საჩემოდ, რა დაიურვე სულისა ჩემისა საქმე, რომლისა უშენოდ დაურჩომლობა იცოდე? შენ ცხენი გააჴენე და მე უცხოთა შიგან ღარიბად[1] დამაგდე სნეული, უაქიმო. არ გაივლინე ღარიბობისა ჩემისა და აწ თუით ვიცი, რომელ უკალა არ მომიგონებ; მით რომელ უზენარო და გამწირავი ხარ. არ გეწყალვი, ღმრთისაგან არ გეშინიან, შენგან დაკოდილსა წყლულსა მალამასა არ დამდებ, არ იტყუი ამას თუ, უჩემობითა დაღონებული ვით არის, რომელ გულისა სისხლისა ზვირთსა შიგან ირჩობისო? ასრე კამსა სიყუარული და ლმობიერობა, რომელ უშენობითა ვკუდები და შენ არცა თუ იგრძნობ? შენ გიჩიოდე ანუ შენგან ვჩიოდე საბრალო? ვით გეტყუის გული, საყუარელო, რომე მოყუარეთა მტერთაებრ აჭირვებდე? მე ესე ჭირად არ მეყოფოდა, რომე წამიხვედ, კულა სხუა ჩემზედა რაღა ვინ გამოირჩიე და ცოლი შეირთე? მე ამა ჭირთა მგონებელი ვარ და შენ იგი, რომელ უჩემოდ სხუასა ცოლსა თანა იხარებ; მე იგი ვარ, რომელ აწ შენთან გაბედითებულვარ და შენ იგი, რომელ აზეზარ გიქნივარ, აღარ იხარებ, რომელ ჩემი მიჯნური

[1] ღარიბი—ესე იგი ყარიბი, უცხოობაში მყოფი.

იყავ, ჩემისა ნახუისათუის ასრე გსურდა, ვითა წყაროსათუის ირემსა. აღარ იგი ვარ, რომელ შენად მზედ გიჩნდი და ამა საწუთროსა შიგან შენად ლხინად, სიხარულად და იმედად მხედვიდი, და შენ აღარ იგი ხარ, რომელ საჩემოდ მკუდარი იყავ და ვითა დანქრეული ფურცელი დამჭკნარიყავ? მე არ იგი ვარ, რომელ სიცოცხლე მოგეცა და ბედნიერობასა შეგამეც-ნიერე?

«აწ, რად მე იგი ვარ და შენ აღარ იგი ხარ?

«შენგან მტერობა არის და ჩემგან სიყუარული. რასათუის გამიორგულდი, რას ავის მოქმედი მცან, რომელ აბეზარ მქენ? მოგიადვილდა ჩემი მიჯნურობა, დაგვიწყდა ჩემი სიყუარული, აგისუბუქდა იგი ტუირთი, რომელ შეჭირვებისა ზღუასა შიგან ჩამრჩვალიყავ და მისი ღელვა მიდამო გაგდებდა. შენ სხუა ცოლი მით შეგირთავს, რომელ მრჩვალი კაცი, რაცა მისუდეს, ყუელასა მოეკიდების. ამით ესე საქმე შენგან აღარ მიკუირს. მრავალი კაცი ტაბლასა ზედა შაქრიან-თაფლიანსა ზედა დააგებს, და ძმრიანსა სჭამს. მაშინ ღვინისა სმა გიამებოდა და აწ მას-მურობითა ღვინო აღარ გინდა. მაგრა რა ღვინო ნახო, იგივე მოგინდების, — და მასმურისა წამალი ღვინისა კიდე აღარა არის.

«სულისაებრ საყუარელია წინანდელი მოყუარე; შენ მას ზედან სხუასა ნუვის გამოირჩევ; ძველი გზა უფათერაკოა, მას ზედან ნუ დააგდებ. თუ ახალი გყავს, შეინახე; მაგრა ძველსა ნუ გასწირავ. გულითა სიყუარული, თვალითა პატიოსანი თვა-ლი რაზომცა ძველი იყოს, ეგრეცა სჯობს, მით რომელ ახალ-სა თვალსა ფერი ადრე ექცევის და ფერ ნაქცევი თვალი ქუასა დაემსგავსების. ათასი ვარსკულავი ერთისა მზისაებრი არაა და

არცა კაცისათუის ყოველნი ასონი ერთისა თავისა ოდნად საკმარნი. ათასი მოყუარე პირველისა მოყუარისა ოდნად სანდომნიარაა კაცისათუის. ვითა მე შენებრსა უხსნოსა ვერ ვპოებ, ეგრევე შენ ჩემებრ ხსნიერსა მოყუარესა სიყუარულსა. შენ მზე ხარ და მე მთუარე და ესე ორნივე ერთგან ჭკამნან უკუნისამდის. ნუ მინდობიხარ ამას, რომელ ეგრე მამშორებიხარ და მზისაებრ ნათობ. შენი სინათლე ეგრეცა ჩემგან იქნების და რაზომცა სადა იარო, ბოლოდ ეგრეცა ჩემს გვერდითვე მოხვალ.

«ჭე გულ მაგარო, ადეგ და წამოდი, ნუღარა მაჭირვებ აქათგან დ̃ ნუცაღა თავსა იწყებ. რომელიცა კაცი ბოლოდ მოგინდებოდეს და დაგაკლდებოდეს, ნუ მოიმდურვებ; ნუცა ამისთუის შეაფრობ, რომელ უშენობისათუის მისგან სიცოცხლეგამწარებულობა იცოდე. თუით იგი უფრო გეწყალებოდეს, ვინცა შენი უფრო საკუთარი იყოს. მოდი, რომელ ესრე ამოდ ვიყუნეთ აქათგან, ვითა სულსა თანა ცნობა და თვალთა შინა სინათლე. შენი ვიდეგანობა მაგრა კლდე არის და შენისავე ნახვისაგან კიდე არა დალეწს. ვერ გავსძლებ უშენობასა. აღარ ვახსენებ გარდასრულსა და ნუღარცა შენ ახსენებ სამიზეზოდ. არა გამვა, თუ გამწირე და სიყუარულისა ხე მოჭკუეთე,— ფულა გულისა შეერთებითა დაამყენ, ზედა ნაყოფი თუით დამყნილისა უკეთ გამოესხმის. სიყუარულისა ქებნა თავითგან დაიწყე და ნუ ეცრუები გულსა ჩემსა, რომე ღმერთსა თანა ბრალად არ მოგხუდეს.»

ნე

მერვე წიგნი ვისისი რამინს თანა

ჰაზავთხულისა მტირალნო ღრუბელნო, მოდით და ტირილი ჩემგან ისწავლეთ. მაგრა თუ ერთხელ ჩემთა ცრემლთაებრ იწვიმები, ქუეყანა აოკრდების. მე ესრე ღვარი მიწყით ცრემლთა მდის და ამად მრცხვენიან, რაზომნი მინდა, ეგზომი არა მაქუს. მე ამა შეჭირვებისაგან ასისა ეზომისა ტირილი მმართებს. მაგრა სულად დავიცლები; რა ზოგჯერ სისხლსა ვიდენდე და ზოგჯერ წყალსა, რა ესე ორნივე აღარა მქონდეს, სხუითა რათა ვიჭირვოდე თვალთა ამოყრისაგან კიდე, რომელ თუალნი თუით შენისა ნახუისათუის მინდან, ენა შენისა მოუბრობისათუის და ყურნი შენთა სიტყუათა სმენისათუის. რადგან ესე ერთიცა არა მაქუს, რასაცა რას კელსა ვჰკდი, ანუ თუით სიცოცხლესა ტირილიმცა რად მეჭირვებოდა? ეგების, რომელ ქუეყანა ზღუად შექმნა, ვიგუნესებ, რომელ ქუა დავფშუნიტო. მადრიელვარ ჩემთა ცრემლთაგან, რომელ მიჭირვებულსა არ გამწირვენ, არ თმობისაებრ წამსულიან, არ გულისაებრ დამმესისხლებიან. ესეთისა ჟამისათუის უნდან მოყუარენი კაცსა! თუცა მე ყველასაგან აბეზარ ქნილვარ, თუ ჩემი თმობა იგი არაა ერთკეცი და თუ ბედია, ჩემია[1] არცა იგი, მე თუით მან მომკლა. ჩემი გული

[1] ვარიანტი: «თუ ბედია, ჩემი არცა იგია, მე».

ფათერაკსა დაჰყრობილა და თმობასა მისთვის შეუთვალავს თუ, მე სამოთხისა შტო ვარ, შენ ჯოჯოხეთისა რად დანერგო? გულო, შენ ჯოჯოხეთისა ჭკავ ცეცხლითა და კუამლითა სავსესა, მე შენგან მით ესრე ფიცხლა გაქცეულვარ. გულო, შენ სიცოცხლე მოგიძულებია, მე უთმობლობისაგან რად მაჩივლებ? ყოველსა ჟამსა თმობა სახელია, მაგრა ესრე მიჯნურობისაგან მიჭირვებულისათვის დათმობა აუგი უფროა. ვითა არა მაქუს ღონე თმობისა, ეგრე არცა ვეცდები და არცა მწადიან. მიმიშვით, რომელ უთმობლობასა შიგან მოვკუდე.

«ჭე ლხინო, შენ ჩემგან წასრულხარ, ჩემგან უშენოდ თმობა რასა ჰქვიან ანუ რა სახელია? მე უშენოდ გაძლება მაქუს. მაშა უხსნობა და გამწირაობა ჩემგან იქნების. მე შენდა მიახლებია სული და თავი, და შენ იცი და შენმან ღმერთმან, რაცა გწადიან, იგიცა ქმენ სამათოდ. მას მიჯნურსა, რომელსაცა ვინ უყვარდეს, ათასი სული და სიცოცხლე არა უჩნს. სიყუარული კაცისა ესრე კამს და მიჯნურობისა დაწყება, ჩემი ჭირი შენისა ჯავრისაგან იმატებდეს? სიბრალული კამს, არ შურობა. რა დია სანატრელად მიჩნს იგი ჟამი, ოდესცა ერთგან ვიყუნეთ და ვიხარებდეთ, სიხარულისა ჩემისა ბედსა ეღვიძოს და მტერთა ჩემთა იმედი დაუმცრდეს! საწუთროსა კელი ნიადაგ ესე არის, რომელ სიამოვნესა მტერობისა კრმლითა გაჰკუეთს. რა ანასდა მოეშორა თუალთაგან სინათლე, მუნითგან ჩემნი თუალნი სისხლსა ტირან, კუნესა ლხინად მაქუს და შეჭირვება გულსა დამმკვიდრებია. ჩემისა ტირილისა და კუნესისაგან ჩუენვე დაგიწვავთ. გვილხინე სულ დალებულობითა. მიჯნურნი გვინახვან ქუეყანასა შიგან, მაგრა ჩემებრ დაჭირებული საბრალო და თავისა მოუსვენებელი არავინა. მე რად მოუ-

სცენო თავსა, რადგან მოყუარემან ტურფამან ესრე გამწირა, რომელ მარტო დამაგდო საბრალოდ, ვითა მინდორსა შიგან მეცხოვრეთა ცეცხლი? აღარ მომივლო მე აქა, მარტო უპატიოდ დამაგდო, ვითა მოქარავნენი ფუნდუკსა დააგდებენ; არ მაყოფინა დაგდება და წასულა. ცოლი შეირთო და მე გამწირა.

«აწ თუ ვგუნესოდე მართალ ვარ, რადგან ესე წამეკიდა მოყურისა საიმედოსაგან. ზენარობით გული შემოგვედრე და შენგან უზენარობისაგან კიდე არა მინახავს. თუით გულმან ვით მოგცა ჩემი ეზომი წყენა და მიჭირვება? ამა ჩემსა მამასა არ ჩემსა დედასავითა უყუარდი? არ ყოველსა ქუეყანასა შენზედა ხედვიდა? არ შენი ნაკუთი უჩნდა საროდ? არ შენითა მხიარულობდა? არ შენი ნახუა უჩნდა იმედად და ღონედ? იგიცა გააბედითე ჩემითა მიზეზითა. შუენიერო, თუით ესე საყუედური გეყოფის ყუელასაგან საცოდნელად, რომელ სახელი ავკაცობისა გერქუას. რასავინ იტყუის, ვინცა ესე ჩუენი წიგნი წაიკითხოს და ამისგან ჩუენი საქმე ცნას? არ ამას იტყუიან, თუ ეზომ კარგი და გამწირავი იყო, რომელ მან ეზომი სიყუარული მებნა უხანოსა კაცისაგანო? და შენსა ულონიოდ ამას იტყუიან, თუ ეზომ ავი კაცია და ავისა მოქმედი, რომელ მისთუის შემკუდარი და მისი საკუთარი ესრე გაწირაო?

«ესე წიგნი გამისრულებია, თუცა ჩემისა საჩივრისა არცა ნაასალი მითქუამს. საწუთროსაგან დიდი საჩივარი მიძს, რომელ ათასისაგან ერთსაცა ვერ ვიტყუი,—ჩემსა საჩივარსა ბოლო არ მოელების და ამის საუბრისაგან ნება ჩემი არ გასრულდების. ვირემდისცა შენ გეუბნები, ცუდი სიმაშურალე მომხუდების. წავალ მას შევეხვეწები, რომელ თუით ხედავს, მივალ მისისა დარბაზისა კარსა, რომელსა არცა ეჯიბი უნდა და არცა

მეკრე, სინათლესა მისგან ვითხოვ, არ შენგან, და ლხინსა მისგან ვეძებ, არ შენგან. იგი კარი რომელ მან დამიხშა, მანვე გამიღოს. ჟუელსაგან იმედსა გარდავიწყუეტ ჲ მისგან არა, მით რომე მისგან კიდე ჩემი ღონე არ არის.»

ნვ

მეცხრე წიგნი ვისისი რამინს თანა

გული ცეცხლითა სავსე მაქუს და სული კუამლითა, ტანი თმისაებრ დამწუარი ჲ პირი ოქროსაებრ შეღებული. ყოველთა დამეთა ღმრთისა წინაშე პირსა მიწასა ზედა დავსდებ და ეგრე ჩემითა საქმითა ვჩივი: ზახილი ჩემი ცამდის გავა, კუნესა ჩემი ვარსკულავთა მიესმის. ვტირ, ვითა გაზაფხულისა ღრუბელი, ყუივი ვითა კლდისა კაკაბი; ცრემლითა ჩამოვრცხი ღამისა სიბნელესა; მიწასა დავათიკებ[1] თევზისა ზურგამდის, რომელსა ზედა ქუეყანა დგას და ვშფოთებ ვითა ზღუა ქარისაგან; ვთრთი ვითა ტირიფი ნიავისაგან. ეზომსა სულთქუამ მტკივნეულისა გულითა, რომელ გზასა დაჰკარგავს ცასა ზედა მთუარე ჩემითა სიბრალულითა; ეზომი კუამლი ამოვა დაღრეჯილისა გულისა

[1] ვარიანტი: «მიწასა დავსთხრი თევზისა».

ჩემისაგან, რომელ მთით მთამდის ზნელი კუამლი და ღრუბელი დადგების.

«ესე უპატიო შეფრობილი, ბედითი, შემჭირნე, თუალ ცრემლიანნი და პირ დაყუითლებული, ბაგე დამტუერებული და დაღონებული ვექქენები და ვიტყუი: ჰე დამბადებელო, დაუსაბამო, მოწყალეო, ნებიერო, მაღალო და მდაბალო! შენ ხარ ულონოთა ღონე, შენ ხარ გლახაკთა და ჭირვეულთა მწე და მარგებელი! ჩემსა სუაშიადსა შენგან კიდე ვერავის თანა შევიწამებ. შენთუის შემოსვეწილვარ,—იცი თუ ვით დამჭირებია, იცი თუ ვით ენა დაბმულვარ. შენ გკადრებ და შენგან ვეძებ ლხინსა. შენ დახსენ სული ჩემი პირთაგან, შენ აღე კიდეგანობისა ბორკილი გულისა ჩემისაგან. მის გულ-მაგრისა გული მოაქციე სიყუარულისათუის; მოაგონე მას წინანდელი ჩემი სიყუარული, მოალმობიერე საჩემოდ. მე რომელ მჭირს, ამისთანა ერთი ტყირთი მას მიეც, რომელ თვითოისა მთისა უმძიმეა. ანუ იგი ამა საქმითა აქა მოიყუანე, ანუ შენითა მოწყალებითა მე მუნ მიმიყუანე. დახსენ ჩუენ შუა უხანობისა გზა, შეჭირვებისა გზა თუით მაშინ შეიკურის, რა იგი ვნახო. შენ დაიცევ, ღმერთო, იგი ყოველთა ფათერაკთაგან და ჩემისა მიჯნურობისაგან კიდე ჭირსა ნურას მისცემ, საწყინოსა მას ნურას გამოაცდევ და თუ მე მას ვეღარაოდეს მაჩვენებ, მე აქამდისცა სიცოცხლე მეყო უმისოდ. აწვე დღენი ჩემნი მას შემატენ: სიშორესა შინა მე უსულო ვჯობ და იგი ორითა სულითა.[1]

«ჩემო სასურველო, ვირემდის მოვსთქუმიდე, ვირემდის ვკუნესოდე საბრალოდ, ვირემდის ვტიროდე? ვეღარ გავსძლებ,

[1] ვარიანტი: «და იგი ეგოს ორითავე სულითა».

ველარ ვსწერ წიგნსა. მე დაულევნელი მიძს სათქმელი შენთანა, მაგრა რაზომცა ვაგრძელებდე, ველარასვინ მაბრალებს, მით რომელ გულ დამწუარი ვარ შენგან. თუ შენი ნაქმარი კლდეთა შევსჩივლო, ჩემებრვე ტირილსა დაიწყებენ, ქვათა შევეწუალები და შენსა გულსა არ ვეწუალვი; ქუათაცა უფროსი ლმობიერება აქუს შენისა გულისაგან.

ფესეთი ვლას ჩემი საბრალო გული ამით გუანდა ქუასა, რომელ შენისა გულისა სიბასრემან დალეწა. ესე სალამსა მოახსენებს მას კარგ ნაგუეთსა, რომელსა გული ბასრისა უძს; სალამსა მოახსენებს მათ იაგუნდთა, რომელთა ოცდათორმეტი მარცვალი მარგალიტი დაცმული აქუს, სალამსა მოახსენებს მათ ნარგისთა, რომელთაგან მიწყით მილ-მკრთალი ვარ, სალამსა მოახსენებს მას ხესა გუიპაროზსა, რომელსა ჩემისა დათმობისასახელი აუოგრებია; სალამსა მოახსენებს მას გავსებულსა მთუარესა, რომელსა ჩემისა ბედისა მთუარე დაუბნელებია; სალამსა მოახსენებს მას ნაყოფიანსა ხესა, რომელსა ჩემისა ბედისა შტო გაუხმია; სალამსა მოახსენებს მას ვარდსა მოცინარესა, რომლისაგან მე ნიადაგ მტირალი დ თუალ-ცრემლიანი ვარ; სალამსა მოახსენებს მას მორჭმულსა კელმწიფესა, უსამართლოთა მოქმედსა მზესა; სალამსა მოახსენებს ცხენოსანთა გუირგუინსა და გმირთა სიქადულსა; სალამსა მოახსენებს ზღუისა ქუიშათა, ცისა წვიმათა დ ყოვლისა სოფლისა ნივთთა უმრავლესსა. და შენ მოახსენე—თუცა ჩემი გამწირავი—შენსა გულსა, ჩემისა საბრალოსა და მისგან დაღრეჯილსა გულისაგან ეზომი სალამი, სურვილი და თაყუანის-ცემა. და შენ ღმერთმან საჩემოსა სიყუარულისა გული მოგცეს და მე—შენი ნახუა ჩუეულისაებრვე ჩემისა მოყუარულისა.»

ნზ

მეათე წიგნი ვისისი რამინს თანა

ვისმან კულაცა უბრძანა მწიგნობარსა რამინს თანა წიგნისა დაწერა. აგრევე საბრალოსა მისისა მიჯნურებულობისაებრ მწიგნობარმან დაწერა წიგნი. თუით გონება უკლები და ენა კეთილი იყო და რაცა იმისი მეცნიერება იყო, ყუელა მოიკმარა და დალია.

მერმე ვისმან წიგნი თმათა და პირსა მოისვა და ესრე გაასურნელა, რომელ ნახევარ დღისა სავალსა მუშკისა სული მის წიგნისაგან კაცსა ეცემოდა. მერმე უკმო ადინა[1] და ეგრე უბრძანა:

— ადინა, შენ ჩემგან სჯულისაებრ საყუარელი ხარ. აქანამდის ჩემი მსახური და ყმა ყოფილხარ, მაგრა ასლა საყუარელი ძმა იქნები ჩემი და ჩემსა თავსა თანა გასწორებული, რომე ერთ სულ და ერთ კორც ვიყუნეთ. რამინს წინაშე წასულა შენ გინდა, რომელი ჩემგან ჩემთა სულთა უსარჩევესია და უფრო მიუცილებელია. ზენაარი ვარ შენზედა, რომე არ დაიყოვნო, ელვისაებრ მალე წასვიდე. მე მიჯნურებული გლახ ვარ, ესე ჩემი წიგნი მიართუა და ჩემი შეთულილობა დაუკლებლად მოახსენო, სისწრაფესა მოიჭირვო. მე აქათგან შენი მომლოდ-

[1] ადინა — სახელი.

ნე კარ, ყოველთა დღეთა და წამთა შენისა მოსლვისა ჟამისა მთვალავი. ესრე ვითამე იქმენ, რომე სულიერმან კაცმან არავინ გნახოს. ჩემაგიერ ცისა ვარსკულავთა და ზღვისა ქჳშათა და ყოვლისა ღმრთისა დაბადებულისაგან უფროსი სურვილი, ნახუის ნატრა და სალამი მოახსენე ჩემისა გულისა წამღებსა რამინსა და ეგრე მოახსენე:

«ჰე არამო, არამო! ხიარმითა ბედითო, ზენაარისა გამტეხელო, უღმრთოო და ცრუო! მე შენ ავისა მოქმედისაგან ეზომნი ჭირნი გარდამიჴდიან, რომელ ათასჯერ სიკუდილი დამნატრებია და სულთა შერჩენა არავე მგონებია. რად დაგვიწუდა ეგზომი ფიცი, ჩემთანა რომელ გარდაგიჴდია და ზენაარ განაღა რომელ [1] სათვალავი არ მოიგონების, რაზომჯერ შენ ჩემთჳის შემოგიფიცავს? შენი ფიცი და ქარი სწორია, შენი ზენაარი და ღრუბელი სწორად მდგომ ხანიერნია. უხანობითა ამას ჩემისა გლახ საბრალოსა გულისა, შენგანვე უჭკუოსა, იგი უყავ, რომე მტერი მტერსა არ უზამს, რაცა ჩემთჳის გიყოფია. მონაცვალე ღმერთი იყოს. მაგრა ჩემთჳის ოდენ ავის მოქმედობა ნუ გგონია. ღმერთმან იცის, რომელ სათავისოდ კულა უფრო გიყოფია, საარაკოდ და მისახედავად გასრულხარ. ოდიდგან შენ მაგა საქმესა შიგან ხარ, მუნითგან ჩუენად შედეგადცა ამასვე დასწერენ წიგნთა შიგან შენთჳის თუ, მკელი მოყუარე გაწირა, ფიცი გატეხა და მტერი დაიმოყურაო. ასპიტისაებრი ისარი მოსაკლავი [2] მით მეცა შენგან გულსა, რომელ სხუა კაცი ირჩიე ჩემსა და ცოლი შეირთე. ჩემებრსა უკლებსა

---

[1] ვარიანტი: «და ზენაარი რომელ».

[2] ვარიანტი: «მოსაკლავი და მოწამლული ისარი მით მეცა».

მოყუარესა სადა ჰპოებ, ანუ მშობლურებ ღმობიერსა მოაბადისებრ კელმწიფესა; სიამოვნითა ხუარასნისაებრისა ქუეყანასა და სიმაგრითა მარავისაებრისა ქალაქსა? დაგვიწყდა ეზომი კარგი და ჩემგან რომე მოაბადს წინაშე ყოველი საწადელი აგისრულდა? მოაბად სახელად ოდენ იყო კელმწიფე,—სხუა ყუელა შენი იყო. საჭურჭლეთა მისთა ზედა კელი მე მქონდა და შიგან რაცა კარგი იდვა, ყუელა შენი იყო. ცხენთა უკეთესთა, რომელნიცა გწადდეს, არავინ გიპატიმრებდა და თუითო ფერსა აკაზმულობასა. აგრევე სანადირონი ავაზანი, ქორნი დ მაღლნი შენსა ბძანებასა ქუეშე იყუნიან და ლაშქარნი განაღამცა. სახელმწიფოთა სარტყელთა ირტყემდი, თუ ოქრო ქსოვილი ჩინური არ იყუის,—ტანსა არ ჩაიმოსი. შენნი მსახურნი მთუარეთაებრ მშვენვარენი დაკაზმულნი წინა გიდგიან და შენსა გუერდით მწოლი, თუალ მარგალიტიანსა ოქროსა ტახტსა ზედა, პირმზე შენი გულ-გაყუოფელი ვისი იყუის. ესეთი ადგილი, ესეთი ყოფა და ესეთი მოყუარე დაგდე, სანატრელი და სანდომი ყოვლისა კორციელისაგან! ვინ ჰქმნას ეგე გონებისა უფალმან, რომელ შენ თავსა უყავ? არ ვიცი თუ ეზომისა ნაცულად რა სარგებელი მოგხუდა? სარგებელი ვერა ჰქენ, სათავნო გაანქრიე, აწ უსარგებლო—უსათავნო ბედითად დარჩომილხარ. შენითა კაცობითა ათასი საჭურჭლე თუალითა პატიოსნითა სავსე წაგელო და აწ დანგსა ერთსაცა ათასითა ჭირითა ეძებ. აზომ უმეცარი ხარ, რომელ ყოვლისა კაცისაგან ცარიელი დარჩომილხარ და არცა ესე იცი, თუ ნაცვალი რა გაქუს. ესრე მოუცემია ღმერთსა, ვითა ამოზრდილისა წმიდისა ოქროსა ნაცულად, ტყუია მერალი დ სპილენძი. მიკჳრს, თუ ცნობანი გაქუანდა, სათავისოდ რად ჰქმენ ეგე? ეგეთისა კარდისათუს, რომელ დიდ-

ხან შენთანა ვერაა, მისთვის ესე ყველაი ვით დაივიწყე? ერთი ვარდი რად გამოირჩივე ერთსა წალკოტსა, უეკლოთა ვარდითა ნათლითა სავსესა?»

რა ადინა მოციქულობა მოისმინა, წიგნი აიღო და მაშინვე ჯოგი მოასხმევინა; გამოირჩივნა მსუქანნი, მალე მორბედნი, საკედრად კარგნი, მინდორთა შიგან თხათაებრ მალენი, ქუიანთა შიგან არნთაებრ მავალნი და წყალთა შიგან თევზთაებრ მცურავნი. კაცნი თანა მყოლნი მალენი და დაუშრომელნი წაიტანნა, წავიდა და არ გამოისვენა არცა ერთი წამი. ესრე ფიცხლა იარა, რომელ ორკვირა მარავით გორაბს მივიდა.[1]

რა გულისა წამღებელმან ვისმან ადინა გაგზავნა, გულითა დამწვრითა ესრეთ საბრალოდ მოჰსთქმიდა, რომელ ვინცა მას მოისმენდა, თუ ასიცა გული ედვა, ეგრეცა უგულო დარჩებოდა. ესრეთ იტყოდა:

«სადა წარვიდა იგი ჩემი სვიანი საწუთრო, სადა დამემალა იგი მზე, რომელი მიწყივ მიასხლის, მით არღარა მინახავს, რომელ მზემან და მთოვარემან განმსწირა. რადგან დღესა მზითა აქვს სინათლე და ღამესა მთვარითა, მე განაღამცა ავად ვი-

[1] აქედამ დაწყებული ამას შემდეგი ადგილი, 317 — 320 გვერდზე, ნწ კარამდის, ოთხის ხელნაწერისაგან (რომელთ შემოწმებით იბეჭდება ეს გამოცემა), იპოვება მხოლოდ ორს ხელნაწერში. თუმცა ამ უკანასკნელებს ეტყობა მრავალს ადგილს წვრილ-წვრილი გადასხვაფერება ენისა და აზრებისა, მრთლად ეთანხმება დანაშთენს ხელნაწერებს. რადგანაც შესაძლოა ვიფიქროთ რომ ეს მოხსენებული ადგილი ჩამატებული არ იყოს გადამწერისაგან, არამედ რაოდენისამე შეცვლით გადმოწერილი ძველის დედნითგან, ამიტომ აქ ჩართულ იქმნა.

ყო„ თვით მით ვჰკვნესი და დაუსუსურებულ ვარ, რომელ დამისა სიბნელე არა ოდეს გამითენდების. მით ვადენ ზღვასა დაბნელებულთა თვალთაგან, რომელ განმჰსწირა თვალთა ჩემთა ჩენამან და გულისა სიხარულმან. ავი მით არავისთვის მექმნა, რომელმცა ავი არა წამკიდებოდა. აწ ბედმან ჩემმან რად მიმცა ესრეთსა ყოფასა, რომელ ვითამცა წამსა და წამსა ქარავანი მამივიდოდა დაშნისა დამცემი. მეშინიან რომელ ჭირთაგან ავსებულობითა ნუ თუ გამეპაროს გული, რადგან ბროწეული სისავსითა დალპების, ეზომსა ჭირითა დაპყრობილსა გულსა არცა ლხინისა ნიავი შეუვა და არცა სინათლისა მზე. მიწყივ ღრუბლიანია და ნამიანობასა ვერ გაჰსძლებს. და მე ამისგან მოსვენება არა მაქვს. ჩემსა მიჯნურობასა მწიგნობრობა უსწავლია, მით ამა გაყჳთლებულსა პირსა ზედა სისხლითა ჰსწერს მისთა ჭირთა და პატიჟთა სიმრავლესა. რა ეტლია, რომელ ესრეთ გააქროს ფერადობა, რა ბედია ესე თმობა-უქონებლობა!? მიჯნურობამან გულსა ცეცხლი ჩამიგზნა და გული გულისა ნებითურთ დამიწვა. გებრალებოდეთ ჩემისა ამბისა მსმენელნო! დამჭირებია და მით ვიზახი ურიდოდ. რა საქმე საზომსა გარდასდეს, ღონე ფარვისა აღარაა. თუ ჩემსა გულსა უმეცრობითა წაეკიდა ეზომ დიდი საქმე, მაშა რად ყოვლისა კაცისაგან მე ვარ შესაბრალებელი. ხადა მპოვა ესრეთ უსაზომოდ სიყვარულმან, რომე ტანისა ჩემისაგან სიყმე, სიხარული და სული წამიღო? თუ ჩემ ზედა დაკლებულა მიჯნურობისა ქმნა, თვით ესე დალი მეყოფის. კიდეგანობისა მეტი არა ვისგან გარდამეხდევის, რომელ ვირე ვჰსცოცხალვარ, სულსა მიჩნს. ხადა ხარ ჩემო ისრისაებრ მართალო, მნასე შენისა სურვილითა მშვილდისაებრ გამრუდებული! რა სიმორე შენი და ჩემ ზედა ნაქონი

მოვიგონნე, გული დამენასკჳს. მე იგი აღარა ვარ, რომელ
შენ გინახავ; ვერღარა მიცნობ და შენ ჯერეთცა არა გე-
წყალვი. ვირემდის ვიცემ პირსა, ვირემდისცა არა დავაისფერებ
ბროწეულისა ყვავილსა. ვჰკვნესი ყოველსა წამსა, ვითა ჩანგისა
მუტრიბი. გული ჩემი მტერია და ნიადაგ მტრისა სისხლე
ვით გავჰსმლო? ამევსო გული ცეცხლითა!.. ჰკვნესოდე სულო,
რადგან ამისი ღირსი ხარ და ამასვე სოფელსა ჰნახე ჯოჯო-
ხეთი. ესე თურეა ნება ღმრთისა, რომელ მე მიწყივ ვჰკვნესო-
დე და შენ იწოდე. რა სიამე აქვს ესეთსა ყოფასა, რომელ
ცრემლთაგან მიწყივ წყალსა შიგან ვიყო და შენ ცეცხლსა? სა-
წუთროსა ზღვად შევიქმ თვალთა ჩემთაგან, ხვამალდსა შევალ
და თევზთა თანა ავერევი სისხლიანსა ტანისამოსსა შიგან წა-
ხვეული. ჩემსა საგონებელსა თანა გამიგზავნია წიგნი, ნეტარ
წარიკითხავსცაა, ანუ არა? ნეტარ შეიგებსცაა ჩემისა გულისა
ნადებსა, ანუ არა!? ნეტარ შევებრალებიმცაა, პასუხსა მამწერო-
მცაა, და გულსა დამიამებსმცაო? აჰა, რა ვჰქმნა? მიჯნურსა ამის
უარესი რა დაემართების, რომელ დღე და ღამე წიგნისა ოდენ
მოლოდნა მქონდეს ლხინად! და მე არცა ამას ვეჭვ ჩემისა
გამწირავისაგან... აჰა, წამივიდა ნაზობისა და სიამისა ჟამი,
რომელ ვნებიერობდი და ვნაზობდი! მოყვარემან აწ ჩემი საქმე
გაასრულა, ესე რომელ წიგნი ლხინად მიჩნს და თუ ოდეს მე
ვიძინო, სიზმრად ნახვა სისრულად მიმაჩნია. ვაჲ იგი ჟამი,
ოდესცა მოყვრისა საუბარი წიგნსა ზედა მოიყაროს და ნახვა
სიზმარსა! მე ამითცა უსაბრალოე ვარ სხვათა ყოველთა მი-
ჯნურთაგან, რომელ შენისა გონებისაგან არა მაქვს ძილი, თუმცა
მეზმანე. თუარა წიგნსა უსამართლოდ ჩემისა გამწირავისაგან
აბეზარ ქმნილობისათჳს აღარა მოველი. ჵე ზენაარ საწუთროო!

რად დავრჩი ესრეთ, რომელ ესრეთისა ნებიერობისაგან ესრეთი უნებლობა მოყვრისაგან დამემართა და ამპარტავნობისა ნაცვლად სიმდაბლე? ყველასა გაუკლებლობისა ნაცვლად და სიყმისა სიხარულისა სანაცვლოდ რა დამემართა? ესრეთ უთმინო მიჯნურობა; რად არა ასპიტისა გველისა ზარი შევსვი? რად არა ნადირთა-სამე მივეცი შესაჭმელად? თუმცა ესრეთი ყოფა და გულსა ზედა კლდის-უქონლობა დამემართებოდა, რად არა კარგსა ყოფასა შიგან მყოფი არა მოვკუდი!? სიხარულისა ჟამსა სიკუდილი უამეა ბოლოდ ესეთისა უპატიოებისა მონახვასა. ვაი საწუთროო! შენი კელი მიწყივ ეს არის, რომელ უგულოთა ჭირსა უმატებ. თავისსა და შენსა სიამოვნესა ამით გააბედითებ; რომელ მოყვარეთა გაჰყრი, არ გაუსრულდები დ̃ უიმედო ჰყოფ. იგი ღრუბელი რომელ უგულოთა ზედან ჰსწჳმს, ქვათაცა ზედა იგივე დასწჳმს. ქარი რომელი ნიადაგია, იგი კაცთა ვარდისა სუნსა მოართმევს, მაგრამ მე მოყვრისა სუნსა არაოდეს მომართვამს. ეზომ დიდი ავი არა მიქმნია, რომელ ქარნი და ღრუბელნიცა მე მემტერებიან; რომლისა ღრუბლისაგან მაისური წჳმა მას ზედა მივა, მე იგი არცა თუ სატირლად მჰსწჳმს. აქა ქვეყანა მხიარულია და ხენი აღჰყვავდებიან, მიწა მრავალფერთა ყვავილთა და მდელოთა შემოსილია, მაგრა ჩემი ყვავილი და ლხინი ჩემგან მოშორებულა, ვითა სიცოცხლისა იმედი, მე აწ მიწაცა მსჯობს,—მისი გაზაფხული და შვენება მოსრულა და ჩემი არღარა.» ესე ვარსა რასმე მოჰსთქმიდის და მიწყივ ჰსტიროდის.

ნე

რამინისაგან ვისის მოგონება

ვა რამინ სანი დაჭყო გულსა თანა, მისებურად გამღა; მოასლეობითა მისითა მოეწყინა, მისებური უხსნობა მოუნდა. რა გამღა და დაითრო, მათისა სიხარულისა ვარდიცა დაჭკნა; მათისა სიყუარულისა ქარი დადგა, მათი ნავი—უტაროსობითა. რა სიყუარულისა მათისა მშვილდი გატყდა, მიჯნურობისა მათისა ისარიცა დაილეწა, მათისა სიხარულისა შესამოსელსა ალმასიცა დაუმკვლდა, მათისა სიამოვნისა წყარო დაშრა. რამინის გორაბს ყოფა ამას გვანდა, რომელ კოკა რა ახალი იყოს, წყალსა კარგად დაიჭირავს; რამინის მიჯნურობა ხარბსა კაცსა გვანდა, გულისაგან ღვინო მხიარულად და კარგად სუა. ვირე ფხიზელი იყო, უნდოდა; მერმე სიმთურალითა მისი სიყუარული წავიდა. რა კაცსა ღვინო ზადსა შეაყოლებს, თუ უკუდაებაცა არის, აღრე აღარ მოუნდების. აგრევე რამინ ცოტად გარემამღარიყო გულისა მოასხლეობითა. არცაღა აღრიდგან ვისი ენახა და მისი რამე გონება და მოასხლეობა კულა საგონებელად შექნა.

გაზაფხულისა პირსა კელსა თამაშად გავიდა და ნახა ახალ ამოსული ყუავილი მრავალ ფერი; მიწა, ხენი, კელი და წალკოტნი ყველა აყუავებულიყო და დაშვენებულიყო. ერთსა ვისმე კაცსა, მას წინაშე მყოფსა, იისა კონა ჰქონდა კელთა და რა-

მინს მოახსენა.[1] რამინ რა ისი კონა ნახა, იგი დღე მოეგონა, რომელ როგორითა ფიცითა შეეფიცა ვისისდა უცრუებლობა, ოდეს შაჰინ-შას ტახტსა ზედა სხდეს და პირველისა ფიცისა შედეგად ვისი იისა კონა მისცა და ეგრე უთხრა: «ეს ჩემგან ნიშნად დაისწავლე, სადაცა ახალსა იას ნახვიდე, ამა დღესა და ფიცსა მოიგონებდი! ასრე ლურჯი და თავ ჩამოგდებული ხარ და დღე მოკლე, თუ ჩემი ფიცი გასტეხო და შეცრუოცა; და ნიშნად ვარდსა დავისწავლი, რომელ აგრემცა დღე მოკლე ვარ და ღმრთისაგან აბეზარ ქმნილი, ოდესცა შენი ფიცი გავსტეხო!»

რამინს იგი ჟამი და დღე მოეგონა, ასრე გაკდა, რომელ სწუთრო დაუბნელდა. გაზაფხულისა ღრუბელი შავია და ეზომსა აწვიმებს, რომელ ღუართა ადენს; აგრევე მას, რა გული დაუბნელდა, ეზომი თვალთაგან ცრემლი იდინა, რომელ ახალნი ზღუანი დააყენნა. რა მოეგონნეს პირველ მისგან ვისისთუის ჭირ-გარდაკდილობანი, ვისისგან მისი სიყუარული და მის ჟამისა გულ-გაუტეხლობა მისთუის და რამინისგან მის ფიცისა გატეხა, ეგრე თქუა: «რა მიქნია! ღმერთი, სჯული, ფიცი და სული ყუელა გამიწირავს ვისის გაყრითა!»

ქულა გაუძნელდა მიჯნურობა და გაუახლდა სამისო სიყუარული. რა მზე ღრუბლისაგან გამოვიდეს, სიცხე მაშინ უფრო აქუს; ეგრევე რამინს გაუახლდა სიყუარული. პირველისაგანცა უფროსი მიჯნურობა მოერია. თავი ემრუდებოდა და მოყუარე ეზენარიანებოდა, სიყუარულისა გასხლებულობა და მოსურვებულობა რქუდა, სიარულისა ძალი არა ჰქონდა და ფე-

[1] ვარიანტი: «რამინს მოართვა».

რი ჰკრთებოდა. გზასა გარდაუქცია, ლაშქარნი დაყარნა, მარტოდ გარდაჰკდა ცხენსა გულ-გატეხილი და ფერ-მკრთალი; თუალთად სისხლისა ცრემლსა ადენდა, მოსურვებულობითა და ნახუის მონდომულობითა, ვითა ცხროიანი, თრთოდა და იწუდებოდა; სწყევდა საწუთროსა და თავისა გულსა, რომელ ამათგან გამოსვენება არაოდეს ჰქონდა:

«ზოგჯერ თავისა ქუეყანასა მიჯნურობა დამასნეულებს, ზოგჯერ ამხანაგთაგან მამაშორებს, მოყუარესა შემაცოდებინებს და უმოყუროდ გამხდის; ზოგჯერ სიშორე არად მომეფარების, გამახელებს და მატირებს. ჰე გულო საწყალო და დაბნელებულო! ვირემდის ულონო მთურალსა ჰგავ, ჭირსა და ლხინსა კიდეს-კიდე ვერ გამოარჩევ? შენ ზღუა და ჴმელი სწორად გიჩანს, ზაფხული და ზამთარი ერთი გგონია. თუ სტავრასა ზედა სჯდე და თუ მიწასა, სირეგუნითა ყუელა სწორად მოგეწონების; რასაცა ნახავ, სისუბუქითა ყუელა სწორად მოგინდების, ერთსა საქმესა ზედა არა დაიდგამ, უმეცრობითა მრავალფერად იქცევი. ქუეყანისა ფათერაკისა სასრავო ხარ და ლაშქართა ჭირისა სადარნო ადგილი, ფათერაკისა სადგომი ხარ და ამით ყუელათა იმედისა კარი დახშულა შენთუის. გორაბს მოხუე, ფიცი და ზენაარი გასტეხე, შემაჯერე ვისის დახსნა და ვერ დაეხსენ. რეგვენი მე ვარ, რომელ შენითა ქარითა ზღუასა შევედ; ეგრე მითხარ, ცოლი შეირთე და ვისი გაწირე, ჩემგან ნუ გეშინიან, სიშორესა ველტვი და აღარ მინდა, დათმობისა ჭირსა მოვიჭირვებო.[1] აჰა, შენითა იმედითა სულთაგან მოვსწყდი, მისად ნაცულად სხუა ვმებნე, ფიცი გავტეხე და უსა-

[1] ვარიანტი: «ველევი და დათმობისა ჭირსა».

ნობისაგან უიმედო გავკე. აწ ზღუაშიგან მრჩვალი დავიგდივარ და კიდეგანობისა ცეცხლსა ზედა დავისვამ. შენ იტყოდი თუ, დამთმო ვიქნები; მაშა აწ უთმინობამან რად გაგახელა? ვინანი, რად მოვისმინე, რად მოგეც სადავე კელთა, რად მოვენდევ შენსა მეცნიერობასა, რომელ თავიცა და შენცა უპატიოდ გა-გვადენ? და აწ ვხედავ, რომელ უფრო შებმულხარ ჭირსა. გუ-ლო, შენ უმეცარისა მფრინველისაებრ მარცვალი ჰპოე და მახე ველარა გაიცადე. გულო, სულისა და მოყურისა ზენაარი გა-სტეხე და ჩემთა მტერთა წადილისაებრ გამკადე. რად მოვღა-ფლდი, რად მოვისმინე შენი სათქმელი? ჯამს, რომელ ესრე ვი-ჭირვოდე,—ჭირი ჭირვეულთაა და რეგვენი ჭირისა ღირსია. მე მმართებს ესრე დაღრეჯილობა, რადგან გულისა სანთელი თავისა კელითა დამივსია; მე მმართებს ესრე გაბედითებულსა სიხელე, ვინათგან ჩემისა სიხარულისა შტო თავისა კელითა მომიკვეთია, თავისითა კელითა თავისათუის ორმო მითხრია და ჩემისა ლხენისა იმედი შიგან ჩამიგდია. აწ მე რაღა ვქნა, რაღა შენდობა ვითხოვო ჩემთა სულთა წამღებელისაგან? მის-განვე დადაღული გული ვითაღა უჩვენო, რომლითაღა სირცხვი-ლითა მივმართო, რა საუბარი მოვიგონო, რა მიზეზი მოვიღო მისისა გაყრისა, ანუ სულდგმული ვითა ვეცრუო? თუცა აწ უსირცხვილობითა ჩემითა ავჰკედები ამას, და გაყინულსა სიყუა-რულსა კულა გავაკურვებ, მაგრა არა მაქუს თმობისა ღონე, აღარა ვარ გულსა ზედა პატიოსანი, რომლისაგან ეზომნი ჭირ-ნი გარდამსვლიან და ჯერეთცა ამასვე შიგან ვარ. საკურველი რამე და ბოლო შეუქმარი, ეტლი, დღე და ჟამი თურე იყო, ოდეს გავმიჯნურდი და სიყუარული ჩამედვა გულსა და თავისი-თა კელითა ჩემისა სიამისა სიხარული თუით მოვჰკალ. ჰაი,

ჰაი, ოდიდგანის ჩემნი ჭირნი, ოდიდგან დამიძაბუნა მიჯნურობამან. აჰა ვიცი, რომელ წესია მიჯნურთა ძაბუნობა, მაგრა რად ყუელასა მეტი ჩემზედა მოიწია? ოდიდგან აღარ მახსოვს თავი მხიარული თავისა საქმესა ზედა: ზოგჯერ ღარიბობისაგან უცხო ვარ, ზოგჯერ მიჯნურობისაგან ხელი და ცუდ მაშურალი; გაჭრა სალხინოდ მიჩნს და სიკუდილი—ჭირთაგან მჴსნელად. სვემან სვიანობისამან გამწირა და ბედი უბედური ჩემი გამოსვენებად არ მიმიშვებს. ღმერთმან ჩემითა ბედითა სხუა კაცი ნუ დაბადოს და ჩემსა ქტლსა ზედა დედასა სხუა შვილი ნუ აშობინოს; ნუღარცავინ ესრე უწყალოდ თავ უწევარ ჰყოსო.»

ამას და ესე გუარსა გრძლად მოსთქმიდა რამინ და ტიროდა. ლაშქარნი მორეშორდეს, იგიცა გონებასა მოვიდა და შინა წამოვიდა. პირსა შეჭირვებისა მტუერი დასდებოდა, ცრემლითა იკოცდა.

მას უკანა სიმამრი მისი რათვედ მოვიდოდა, ამა მისისა სიმისა მოთქმასა და ტირილსა ყურსა უპყრობდა. ვითა გულწადებული და შმაგნი სწორნია, ეგრე რამინ ესე არ იცოდა თუ, ამა ჩემსა სათქმელსა ისმენს ვინმეო. რათვედს ყუელა გაეგონა, შინა მოვიდეს, რამინს ჰკითხა და ეგრე მოახსენა:

— ჰე ცხენოსანთა გუირგუინო, რად ჰგავ მიწყით მგლოვიარესა? რა არის ეგეთი გულისა საწადელი, რომელ ღმერთსა არ მოეცეს შენთუის? დაღრეჯა თუით რად ოდეს მოგეგონების, რად იქცევი უმეცრად და ბედნიერობისა და კარგის ყოფისაგან სჩივი? შენ იგი რამინ ხარ, რომელ ყოველთა მოყმეთა თავი და სანატრელი ხარ და შენი ძმა ყოველთა ჴელმწიფეთა ჴელმწიფეა. შენ ჯერეთ სიყმითა თუცა ტახტსა ზედა არა ჰზი,

ეგრეცა ყოველთა ჴელმწიფეთაგან უფრო საპატიო და სასახელო ხარ. სიყმე გაქუს და უსწორო ჭაბუკობა, ჴელმწიფე ხარ და ჴელმწიფეობისა მომლოდე, და ამისგან უკეთესი თუით რაღა გინდა? ნუ სჩივი ცუდად ბედისაგან. უსამართლო ჩივილი არ სვიანია. ვინცა სტავრისა საგებელსა სწყუნობს და ღმერთსა არა მადლობს, მას ღმერთი მიწისა საგებელსა ზედა დაასწვენსო.

გულისა მატკივნებელმან რამინ ეგრე უპასუხა:

— მრთელი კაცი სნეულისა ჭირთაგან კიდეგანია და შენ მით არა გებრალების მაგის თქმა. ჩემი ჭირი არ იცი და რა მკუნესდე, მით მგმობ: არა რომელი სიამე ჰგავს მეცნიერობასა და ერთგან ყოფისაებრ არა არის და არცა რომელი ჭირი სიშორესა და ღარიბობასა უარეა.

«არაკი: სამოსელსა რა დასჭკედენ, დაიზსახებს, და კაზ-სა რა შტოსა მოჰკუეთდენ, ატირდების.

«მე აღრიდგან მით უუმეცრე ვარ, რომელ მოყუარეთა და ნატამალთა ჩემთა კიდეგანობა არ მიმძიმდეს. გორაბი შენი ქალაქი და სამშობლო არის: ვისცა ნახავ, ყუელა შენი მოყუისი და ნატამალია. შენ მიწყით შენთა მოყუარეთა და მეყუისთა გუერდით ჰზი, არ ჩემებრ ღარიბი სხუისა ქალაქსა და ქუეყა-ნასა შინა ხარ. ღარიბი რაზომცა გაჴელმწიფდეს, ეგრეცა დაი-ღრეჯს, რა მეცნიერი ვერავინ ნახოს. კაცსა საწუთრო თავისა-თუის უნდა დ̃ ყუელა რამა თავისა სამეცნიეროსა უფრო იამების. თუცა სიხარული კარგი არის, ათასისა სიხარულისაგან ერთი მოყუარე უამეა. რაცა კარგია, ვითა თავისათუის მომინდების, ეგრევე მოყუარეთათუის. მე შენთუის მრავალჯერ შემშურდების. სითცა მოსვიდე გზით ანუ ნადირობით, ნატამალნი მზასხალნი,

ცოლი და შვილნი ზედა მოგესხმევიან მხიარულად, ვითა ტოი-
ლო ერთმანერთზედა გამობმულნი ხართ. მე აქს არცა ნატამა-
ლი მივის და არცა მოყუარე, არცა გულისა წამლები, არცა
შვილი. მეც ვიყავ ერთხელ შენებრ ნებიერი, ნატამალთა და
მოყუარეთა სიახლითა ამო ყოფა მქონდა. მაშინ, ოდესცა თა-
ვისასა სახლსა ვიყავ, ჩემთვის იგიცა ამო იყო; ოდეს მიჯნუ-
რობისაგან ფათერაკი რა წამეკიდის და მოყუარენი მაყუედრებ-
დიან, იგი საყუედურისა წყენა მიამებოდა, ამით რომე ნარგისი
მთრვალი იყუის და ვარდი ნებიერი: ზოგჯერ ნარგისთაგან
გულ-მტკივნეული ვიყუი და ზოგჯერ ვარდთაგან დაღრეჯილი.
რა ამო იყო იგი ნაზობა მისი და რა ამო იყო მისი წყრომა
და ნებიერობა მისი! თუ კუირასა ერთსა პირი დამიმალის,
ტყუე მქნის საბრალოდ და მეამებოდის ერთისა შენდობისათვის
ათასი ფიცი; რა ამო იყო იგი, რომელ მისისა ჯავრისაგან
დღივ ათასჯერ ვჩიოდი, მერმე ნაქმართაგან ვინანდი და ათასისა
ქებისა შესხმა და პირისაგან პირისა უკმოულებლობა; რა ამო
იყო მრავალ-ფერად რამე ქცევა ჩუენი: ზოგჯერ ღმობიერება და
ზოგჯერ სიქუშე, ზოგჯერ წყრომა და ზოგჯერ ყმაწვრილობა,
ზოგჯერ სიცილი და ზოგჯერ ტირილი, ზოგჯერ თმათ მო-
კიდებით მოხუევა და ზოგჯერ მისისა ჯავრისაგან სჯულისაცა
დაგდების ნდომა! თუ მისთა ნარგისთა კუშტად მხედაობისაგან
სასჯელი მივეცი, შედეგად მისთა ვარდთაგან ნაცვალი ლხინი
მოვიღი. მიჯნურობისაგან კიდე არა დამჭირებოდა. რომელსა-
ცა მოყურისა სიახლე ჰქონდეს და ნებიერობა აგეთი, ვითარი მე,
მაშინ მას გულსა კუნესა არ მართებს, არცა ზურგისა ტკივი-
ლი. ცირე ვიყავ ნებიერი, ესრე ვიყავ, რომელ ყოველთა მო-
ყუარეთათვის მეჯობნა ნებისაებრ ბურთისა წაღებითა. მოყური-

სა პირისაგან ვარდი საპალნითა მქონდა და ჩემისა საყუარელისა თმისაგან მუშკისა აკუმი მედგმის. მე ნებიერობისაგან ვჩიოდი, მე ნაზობითა ვიტყოდი ამას თუ, სნეული ვარ და უსუსურად მყოფი, მიჯნურობისაგან დამაბუნებული, კიდეგანობისა შეჭირვებითა დასაწყლებული და გაბედითებული; მაგრა ესე ყუელა აწ მჭირს, რომელსა იგი მაშინდელი ბედითობა არა მაქუს; ბედითი და საწყალი აწყა ვარო.»

ნთ

რაფედ მისსა ასულსა რამინის გამწირაობა უამბო

და რაფედ ნადირობით შემოვიდა თავისსა ასულსა გულსა თანა, რამინის ხუაშიადი გამოაცხადა და უამბა ვითა, რამინ გამტერიანდა, თავისა უხნობა და გულის ნადები გამოაცხადა, შენი სიყუარული დაავდო; იმას თუ უკუნისამდისცა შეაგუებ და მსახურებ, იგივე ზაჭრიანი გულია; ოდესცა კბენა დაემართების, იგივე მტაცებელია. მწარე ხე მწარესავე ნაყოფსა გამოიღებს, რაზომცა ჩუენ შაქრითა ვრწყვიდეთ. რკალი და ტყვია თუ ათასჯერცა დასწყვა, ოქროს ფერად არცა ეგრე იქნების, და თუ სპილენძი ათასჯერ ცეცხლსა შინა გამოადნო, სძის ფერობა არცა ეგრე აქუს. რადგან რამინ ვისის გული არ შეინახა და მას ვერ შე-

აგუა, შენმცა რა გაგახარა? მისი ამბავი რადგან გასმიოდა, ავი და საკჳირველი ქმენ მის ქრმად შერთვა. უხსნოსა კაცისა მინდობა არა კამს. რა მის გული მიწყით გამძღომია,[1] მეტისა სიამაყითა და ავკაცობისაგან ღომისა ბუნება არის; მისგან სიმართლისა მებნა და მლაშისა მიწისაგან ნაყოფისა მოლოდნა სწორნია. რად შეეყარე უხსნოსა კაცსა, რად მიენდევ უზენაროსა, რად მოელოდდი ნავღლისაგან შაქარსა? მაგრამ რადგან განგება ღმრთისა შენზედა ესრე იყო, აწ ბედითი საუბარი და სინანული უსარგებლოა ჩუენთჳსო.»

ამაზედა შემოვიდა რამინ ნადირობით; დაკოდილსა ნადირსა გუანდა დაბრუტებულსა, თავისა გზა გაუღებელსა. თუით დაღრეჯილი იყო, გული სისხლითა[2] ავსოდა და ცრემლითა პირი დაებანა. სასიხარულოსა სმასა შინა ესეთი იყო, ვითა მკუდარი.

მისი ცოლი გულ წინა უჯდა, რომელ ყოველი ტურფა მისისა პირისაგან დადუხჭირდებოდა, ნავუთი სიმართლითა ისარსა უგუანდა და პირი სისავსითა—მთუარესა, რომელსა ზედა ვარდი უუაოდის. ვინცა ნახის, გული საკუთრად მისცის და მისისა ჭურეტისაგან გულსა ცეცხლი მოედვის.

მაგრა მისი აგეთობა რამინს თანა ასრე უსარგებლო იყო, ვითა მკუდრისა კაცისათუის მუშკი. ტანი ოდენღა იყო მისი და გული აღარა. წამსა და წამსა სულთქმიდის და თუალთა ცრემლი ადგებოდა, გული უთრთოდა, საუბრისა ძალი არჰქონდა და ყოველი სიხარული გაარმებოდა ვისის მოსურვებუ-

[1] ვარიანტი: «რამინის გული მიწყით გაუმაძღარია».

[2] ვარიანტი: «გული ცეცხლითა».

ლობისათვის. არცაღავისი შესედვა შეემლო და ეგრე ეგონა, ესე ჩემი გულისა ნადები არავინ იცისო. შესტიროდა გული და ეგრე ეტყოდა:

«რა უამეა მოყუარეთა ერთგან შეყრასა! მე ესე სიხარული და საკელმწიფო სმა ესრე დამნალულებია, რომე თავი ცოცხალი აღარა მჩანს. აწ ჩემსა ცოლსა[1] ეგრე ჰგონია თუ, მე სიხარულად ვზი, და ესე არ იცის, თუ უვისოდ რას ყოფასა შინა ვარ ანუ როგორ ვიწვი და გულსა ესეცა საგონებელად მევე მომმატებია: ვისსა მე მისი დამვიწყებელი ვგონივარ. ეგრე ჰგონია, რამინ უჩემოდ ვარგად არის, ჩემი მიჯნურობა მისცილებია, ისარებს უჩემოდ, დავიწყებია ჩემი ფიცი და უკსოვნელ უქნივარო. მას ამისსა მგონებელსა საჩემოდ გავლენა რაღადღა ჰქონდა, ანუ მე რაფაღა პირითა მივმართო, რომელმან სული, სულთა მომცემი სიყუარული და სჯული დავივიწყე? რაზომცა ცოტასა ხანისა იყო, მას ჩემსა ესრე მყოფობასა ვინღა შეაჯერებს? ანუ მე ღმერთსა და მას რაღა პასუხი გავსცე, ვინათგან მისი გასაკუთრებული გული სხუასა ვისცალა მივეც?

«დამქოლეთ მიჯნურნო და დამემესისხლენით! შესუქენით ჩემნი სისხლნი ასრევე, ვითაა, თუით ჩემნი მე შემისმან, რადგან მონდობილისა გულისა მოღალატედ გამოვჩნდი და ყოვლი გულის მომცემი დავაშინე უზენარობითა ჩემითა. აწ თავისა მანანებელი საბრალო შემიბრალეთ, ზენაარ, რადგან ამან ეჭუს თუ, ჩემი რამინს აღარა ჰგავაო. არ იცის ჩემი აწინდელი მეჭირვება და გულისა ჩემისა კუნესა უვისობითა, რომელ ყოველთა სიხარულთაგან კიდე ქნილვარ, გული მისთა თუალთა-

[1] ვარიანტი: «ჩემსა ვისსა ეგრე».

ებრ გამშვებია და რა მისგან მოშორებულვარ, მისთა სურნელთა ტომათაებრ დავრესილვარ.

«ნეტარ ჩემისა გულისა წამლები ტან-სარო და პირ-მზერას მიზამს?!.. მისისა დამძიმებულობისათვის მართ მესისხლე მექმნების: გამწირავს, მიწასა ჩემისა სისხლითა შეღებავს, სრულად გამაბედითებს. რომელ თვით მიწასა ჭირნახულობითა ვგავ და რვინასა გამძლებობითა, დალეული ვარ მეტისა მიჭირვებულობისაგან, ვქებ ლონესა ჩემისა სიცოცხლისასა. არ ვირი ვარ, რომელ სიკვდილამდი მიწასა ვზიდვიდე. წავალ, მარგალიტთა თვისა სადაფისაგან გამოვქებ, წავალ ჩემისა სიცოცხლისა იმედსა ჩემთა სულთაგან ვქებ.

«ვინ იცის, თუ რაზომნი ჭირნი მინახვან მოყვრისა სიშორისაგან. სხუა ესეთი ჭირი ვის უნახავს ქვეყანასა ზედა, რომე ნახუა წამლად ერგებოდეს? აწ ჩემი სიხარული და დაღრეჯა მისგან არის, რომელ სულისა და სიცოცხლისაგან უფრო სანდომია ჩემთვის. მე მისი ნახუა გამაცოცხლებს, მე მისი საუბარი გამახარებს, მე მისი ხუეჟა ყუჟდავ მიქს და მისი ღმობიერება ყოველთა დამავიწყებს.

«რად ვმალავ ჩემსა ჭირსა ესეთისა აჭიმისაგან და ვითაცა ვმალავ, ეგრეცა უარე და უარე ვარ ამა ჭირისა მალვასა შიგან. ამის მეტად ვერცაღა ჩემსა გულსა ვემდურვები, მისსა ხუაშიადსა გამოვაცხადებ ყოველგან. ჭიდგანობისა მორევსა შიგან ვირჩობი. ესრე მიჭირვებულისაგან გულისა მედგრა გარდასრულია. მივალ, ჯისსავე შევეხვეწები, ნუთუმცა მომილმობიერდა და ჯანგი მოიკოცა მისისა გულისაგან.

«მაგრა მეშინიან, რადგან უგისობისაგან ესრე დასნეულებულვარ, ნუთუ მოვკუდე მისად ნახვამდის. მაგრა ესე სი-

ხარულად მიჩანს, რომელ მისისა მძებნელობისათუის მგუდარი გზასა ზედა დამმარხოს და ყოველმან კაცმან სცნეს ჩემნი საქმენი და მიჯნურობისათუის მიჭირვებულობანი. ვინცა მგზავრი ანუ ღარიბი გარდაიარდეს ჩემსა სამარესა ზედა, ცოტასა მოიჯდომებდეს და შეებრალებოდე. რა ჩემთა ამბავთა სცნობდეს, ღმრთისაგან შენდობასა ითხოვდენ ჩემთუის. ეგრე თქუან: «ღარიბი იყო, მოკუდა მიჯნურობისაგანო.» ღარიბი ღარიბსა შეებრალების და იგინივე მოიგონებენ, ამით რომელ ერთმანერთისა იედიგარნი არიან. ღარიბნი ყოველგან საბრალონია და მათი მომგონებელი არავინაა. მე მტერმან მამკლას, იგი სიკუდილი სააუგოა ჩემთუის. მაგრა რადგან მოყუარისა ნატრისათუის მოვკუდები, დიდად მესახელების ესე.

«ომნი და ბრძოლანი დია გარდამიკდიან, მრავალგან დიდნი ლაშქარნი გამიქცევიან, მრავალნი ჭაბუკნი თავისა კრმლითა ჩამომიყრიან; მრავალნი პილონი, ლომნი და მჴეცნი დამიკოციან; მტერნი წინა ვერ ამდგომიან; ჩემისა შუბისა წუერსა მზე აქებს, ჩემსა სადავესა მიწა აკოცებს, ეტლნიცა გავაბედითენ მტერნი ვითა,—და მოყურისა სურვილმან ამა ყუელათა გამაბედითებელი ესრე გამაბედითა, რომე საწუთრო დამანაღულა. ეზომთა მტერთა მშვიდობით დავეხსენ და მოყურისა სიყუარულსა ესრე დავები, ვითა ტყუე. ნუთუ უკუნისამდის არცა სიკუდილი მამერევის? თუმცა მე გისის წყრომისაგან არ მეშინოდა, მაგრა ეგრეცა თავისა დადებისაგან კიდე არა ღონე მაქუს.

«არ ვიცი აქათ რის ღონითა წავიდე ამისგან კიდე, რომელ მარტო გაპარვით წავიდე, რომელ არცა ლაშქარნი, არცა ყმანი, არცა ყოლამზი არა მყუეს. ამით რომელ ცხადად წასულა არ მომიკდების. ვინცა სცნობს, საყუედურსა დამიწყებს.

ვისის ნახუა არ მომხუდების და ვერას გავიხარებ, და თუ კულა მარტო წავიდე, გზა საშიში და შორი არის: მთანი თოვლისაგან შეკრულნია და წყალნი წვიმისაგან უფონონია, ნადირნიცა ზამთრისა სიძნელისაგან დაკოცილან, მარავი თუითო თოვლიანი, აწ ჭაერი ქაფურსა წუიმს. ესდენ გრძელსა გზასა მინდა წასულა და ამა ყუელასაგან ესე უფრო ძნელი საგონებელი მჭირს, რომელი იგი ჩემი სულთა წამღებელი ქაჯის პირი მიწყრების და არ შემინდობს ჩემთა ნაქმართა. არცა მზისაებრ ნათელსა მისსა პირსა მიჩუენებს, არცა ბანთა ზედა გამოვა, არცა შუენიერსა სახესა მისსა გამაცდევს, არცა კარსა გამიღებს, არცა შემეწყალები.—ესრე მისთუის ჭირნასულსა საყუედურსა დამიწყებს, დავრჩები გართა გარეთ, საბრალო სული ჩემი უიმედოდ გაკდების და ჭირი ჩემი უნაყოფოდ. მე მომკლავს სიცივე და ყინვა მისისა სურვილისა მისგან შეუბრალებელსა, მისთუის ჭირნახულსა.

«ვაი ჩემი სიყმე და ჭაბუკობა, ვაი მაღალი სასახელო სახელი ჩემი, ვაი ცხენი და აბჯარი ჩემი, ვაი ურიცხუი ლაშქარი, საჭურჭლე და სასალუქო ჩემი, ვაი რომელი ესეთსა საქმესა შიგან ვარ გულისა კლდეთა ჯდარა მქონებელი, რომელ ამა ყუელასა ქონება უკმარ მქნია და აღარას მერგების!

«არ მეშინიან კრმლისა და აბჯრისაგან, არ გავაკუირვებ ლაშქართა სიმრავლესა და პირ-მედგრობასა, მაგრა ვისის მზისა მგზავსისა პირისაგან მეშინიან და მისისა გურდემლისაებრ მაგრისა გულისაგან! მე ამასთანა ჭაბუკობა რას მერგების, ანუ რასაცა ოდენ გულსა ვეტყუი: გულო, ვირემდი იბრძვი, ვირემდინაა შენი შეუჯერებლობა და სიხელე, ვირემდის იდენ ცრემლთა ზღვათა წუესას? ყოველი გული მხიარული

არის, და ჩემი გლახ მიწყით დაღრეჯილი და შეჭირვებული ზოგჯერ ცეცხლსა შუა და ზოგჯერ მყინვარსა; და კუამლი ქგრე ამდის, არცა დღისით მაქუს მოსვენება და არცა ღამით ძილი, არცა ლაშქარნიდა მეამებიან და არცა სიმარტოე, არცა წალკოტი, არცა მოედანი, არცა დარბაზი, არცა სამსმელონი, არცა ცხენთა თამაში, არცა ჭაბუკობა, არცა სმასა შიგან უხვობა, არცა არიფთა თანა საუბარი, არცადა გუარიანი ცოლი და არცადა უვისოსა თვით სიცოცხლე და ვისისაცა შეხედვისა წამალი მაქუს.

«სიმღერისა და ქებისა ნაცულად დღე და ღამე საყუედური მესმის ქოისტნით, ხუზისტნით, ქირმანით, ტაბარისტნით, გურგანით, ხუარასნით. ჩემი ამბავი ჰთქმის ყოველგან და ჩემი ხსენება არს ყოველსა ქუეყანასა შიგან. ქალაქთა შიგან ჩუენსა სიმღერასა იტყუიან, ველთა ზედა მეცხოვრენი ჩუენსა უბნობენ, დედანი—კართ უკანა და მამანი—ვაჭართა შუა, ყმაწვრილნი ოვოლოცთა შიგან ჩუენსა ამბავსა იტყუიან და იმღერიან.

«მე პირი სიბერით მიქნია და გული ჩემი ჯერეთცა მიჯნურობისაგან ვერ გამაძღარა. არაოდეს[1] გულისა წამღებელი ვისი მაშორავს, თმობასა შიგან სიშორისა შეჭირვებითა ესრე დაუძლურებულვარ, ვით დრაჰკანი და მეტითა უსუსურობითა ნასნებავსა ვგავ; ვერცა ოთხისა ბიჯისა წარბენა შემიძლია, არცა ჩემისა მშვილდისა მოზიდვა. რომელსაცა დღესა ცხენი გავაჭენო, წელნი გარდაწყუეტილსა მგავსან. ნუთუ ცვილად შეიქნა რკინისა ზურგი ჩემი, ნუთუ მატყლად შეიქნა ქუისაებრი მჯილვი

[1] ვარიანტი: «გამაძღარა, რა გულისა».

ჩემი; ცხენი ჩემი, რომელ განჯარსა აჯობებდა, ასორსა ზედა ჩემებრ ჲგიცა დაუსუსურებულა; არცა ავაზათა თხათა განადირე-ბინებ და არცა ქორთა კაკბთა მოუტეობ, არცა მორკინალთა ვერკინები და ძალსა ვიცდი, არცა მსმელთა თანა ვიხარებ.

«ჩემნი სწორნი ყუელანი ბედისა და სიყმისაგან იქადიან, ზოგჯერ ცხენს ჰკაზმენ და ზოგჯერ აბჯართა, თავისა ცოლსა და საყუარელსა გვერდით იხარებენ; ზოგჯერ ველსა და ზოგ-ჯერ შინა, ვითარცა სწადიან, თამაშობდენ; მეცნიერობასა ისწა-ვლიან და ზოგნი ნიშატსა და სიხარულსა უკანა უდგებიან;—და მე ყუელასა საკამსოსა და კარგისა ზნისაგან უცხო ქნილვარ ვითამცა ბედი და ცნობა ორნივე წამსვლოდეს და ორთავე და-სმინებოდა. ჭისა წყალსა ვჰგავ და გულა გონებითა შიკრიგსა, რომელ დღე და ღამე ვმგზავრობ მოუსვენებლად; თავსა სა-სთაულსა ზედა არ დავსდებ და ტანსა საგებელსა. ზოგჯერ დევთა გვერდით ყოივა გარდამიკდია და ზოგჯერ ლომთა გვერ-დით სიარული. ამა საწუთროსა ჩემის გულისა შესწორობითა არა გამიხარებია და მას საუკუნოსა ჩემისა ფიცისა გამტეხლო-ბისათუის ასრევე ლხინსა მოველი?[1]

«ვაი გულო, ვირემდის მიგზნებ ცეცხლსა და ჭირისა გო-ჭობსა შიგან მადუღებ. მეტითა უმეცრობითა მე მოვიკლავ და შენ არა შეგწონს. უგუნურობითა ნავღელსა ვგავ და ლხინისა სიხარულისაგან უნაწილო ვიქნივარ. ღმერთმან შენებრი გული ნუვის მისცეს, რომელ სიყუარულითა მთურალი ხარ და უმეცრე-ბითა რეგვენი.»

---

[1] ვარიანტი: «გამტეხლობისათვის რასალა ლხინსა».

რამინ გულსა ესე გუარსა კუბნებოდა და აყუედრებდა. მაგრა ესე არს ერგო: გულისა წადილმან ცნობისა ძალი განაღამცა მიუღო, გულსა ვეღარ მოერია და ამა გულისა შეგონებასა შიგან, ვითა ქათმისა გული, ეგრე უბადოდ უკრთებოდა და მას სმასა შიგან ეგეთი დაღრეჯილი ჯდა, ვითა თუით გული არს სიხარულსა მოსცემდა. ტახტისაგან ჩამოჴდა და დარბაზით გამოვიდა, ესრე ფიცხლად წამოვიდა, ვითა ჯაბანი ომისაგან. შეჯდა მისსა რაკსსა, მალესა მორბედსა. რა ქალაქისა კართა გამოვიდა, ვითა ფრთოსანი, მოვიდოდა ხუარასნითგე და იარებოდა მათ უგაცურთა და უდაბურთა მინდორთა შოგა ხუარასნისა გზასა.

ჲ

რამინისაგან ადინას ნახუა

რამინს ქსეთთა გზათა სიარული ესრე ამოდ უჩნდა, რომე მუნით მომავალი ნიავიცა სალხინოდ მოუჩნდა: «ჰე აღმოსავლეთით მომავალო ნიავოო, რომე სულნელებითა სამოთხით გამომავალსა ჰგავ! ხირხიზითა, სამანდურითა და ყანურთ მოიღებ მუშკისა, ალვისა და ქაფურისა სულსა. ეგრეჲე აწინდელსა ნიავსა აქუს სიამე ჩემთუის, რომელ ჩემისა გულისა წამლების ქუეყანით მოვა ამბრისა და მუშკისა სული. წალკოტით ვარდისა ეგრე კაცსა არა ეცემის, ვითა რამინს—ვისისა.» ამა საგონებელსა შიგან იყო ვითა, «რადგან ბედნიერი სული მეცემის, ნუ თუ ღმერთმან სრულად არ მიმცეს უბედურობასა და ვნახო ვისის პირიცაო.»

ამაზედა წინა ემთხუია ვისის მოწიგნარი ადინა. რა შორს დაინახა და იცნა, სიხარულითა გული ვითა კარი გაეღო, ცხენი შეუტევა და ფიცხლად მივიდა. ადინა ცხენისაგან გარდაკდა, თაყვანისცა და მიწასა აკოცებდა რამინს წინაშე. მისგან ვისის სურნელებისა სული ეცემოდა. ვითა თუით ვისის ამბვის მდომელი, ეგრე გაეხარნეს მისი ნახუა. მხიარულად მოიკითხა და ერთმანერთისა ნახუისათუის ღმერთსა მადლი მისცეს. ცხენი კი გამოაბნეს და მწუანვილსა ზედა დასხდეს. რაცაღა მოციქულობა ჰქონდა მოახსენა, ვისის მაგიერი სალამი და სურვილი. მერმე წიგნი, ვისის პერანგი და თავ-საბურავი მიართუა.

რა რამინ ვისის ნიშანი დაინახა, ვითა ცხროიანი ათრთოლდა, დაბნდა, ცნობათა მიჰკდა, წიგნი კელთაგან დავარდა.

მერმე რა გუნებად მოვიდა, წიგნს წაკითხუა დაუწყო და ვირე გასრულებამდის სისხლ-რეულითა ცრემლითა დაასოვლა წიგნი, ვისის პერანგი და თავის საბურავი. მისითა სისხლითა დასურილიყო, ზოგჯერ პირსა დაიდვის და ზოგჯერ მკერდსა. წამსა და წამსა დაბნდებოდა. ვითა ღრუბლისაგან წყალი გამოვა, ეგრე მისთა თუალთაგან სისხლი; ვითა ღრუბელთაგან ელვა გამოვალს, ეგრევე მისის გულისაგან ცეცხლი და პირისაგან კუამლი. ზოგჯერ ტიროდის დ ზოგჯერ სულთქმიდის; ზოგჯერ ხელთაებრ დაიზასხნის და დაბნდის; ზოგჯერ უსიტყო ქნილი გატყდის; ზოგჯერ პირდაღმა დაეცის და საყელოთა გარდაიხვევდის. ამა ვისისა პერანგისა და თავისა საბურავისაგან ვისის სულისა ცემამან ესრე ცნობათა მიჰკადა მისითა სურვილითა, რომე გონება აღარისი ჰქონდა და თუით ვითამცა გულისა შეცულა აღარა, გარდასრულიყო. რა ცოტად ცნობა მოუვიდა, მისებურად ქსასა მეცნიერობა აკმარა; ეგრე თქუა:

«ვაი ჩემისა ბედისა და ჯავრისაგან, რომელ ჭირისა თესლი დასთესა და მამწყუიდა შუენიერისა მოყურისაგან, რომელ ყოველთა ტურფათა საპატრონო არის. მე მის ელვისაგან მომაშორვა, რომლისა დარბაზი ცა არის. ჩემთა თუალთაგან კიდე-ქნა მისისა სახისა სიტურფე, არცალა მისისა კმისა სიამოვნე მომასმინა; მისისა ჭურეტისა ნაცულად პერანგი მოუცემია და მისისა საუბრისა ნაცულად წიგნი მოუწერია. სულისა გამოსვენება ამა პერანგისაგან იქნა და ბედისა ჩემისა წაღმართვა ამა წიგნისაგანო.

ჟა

რამინის წიგნი ვისისთანა

დაწერა წიგნისა თავსა ზედა ვისის სახელი, მზისა მგზავსისა, მთუარისაგან უტურფესისა, ვარდითა სავსისა, ბროლისა სუეტისა და გუირგუინისა დამაშუენებელისა, დარბაზისა განმანათლებელისა, უკუდავებისა წყლისა, სამოთხისა სურნელისა, თუალისა პატიოსნისა, თუითჴელმწიფისა და საჴელმწიფოსა მნათობისა, ერანისა და ხუარასნისა მზისა რომელ, «ღმერთმან მე უშენოდ წამსაცა სიცოცხლე ნუ მომცეს და შენ შენისა წადილისაებრ ბოლო შეუქრმად გულს. შიში მაქუს შენისა პირისა მზისა მგზავსისა ნახუისათუის; მოსურვებს და გონებს მიუწდომელია, რომელსა ამისი შიში დაუვიწყებია. მეშინიან შენისა უკუდავებისა მგზავსისა საუბრისათუის, შეცოდებული ვარ. მეშინიან, ნუთუ იგი მიყო, რაცა მმართებს და მტერთა ჩემთა გაახარნე! თუ ბრალი თავსავე ზედავე არ ჩემი იყო ამისისა მოქმედობისა, არცა შენი ბრალობა მესაკამსებისა. მტრობისა ქმესა პირველ შენ უკმე. ოდეს კიდე გამაძე, მოვეწყინე ადრე და აღარ შეგეძლო ჩემი სიახლე, შენ შემამგულვანე შეცოდებისა შემართებასა.

«მე შენისა გულისა და სიყუარულისაგან არა მქონდა ამისი საეჭუი. ჩემი საეჭუი ცა იყო, შენ მიწად შემქმენ. შენ იცი

თუ, კითა სამკუიდრო დარბაზი ავაგე შენისა სიყუარულისა, მაგრა მას პირველ შენ დაუწყე რღვევა. რაზომცა შენ დამამძიმე, მე არცარა კადრებისა ღონე ეგრე მაქუსო. პატრონი ხარ, რაცა გწადიან მიყავ, გარდამაკდევინე; გული დამიძს და შენთუის სა-კუთრად მომიცემია. შენისა ბრძანებისა მოსმენისათუის არა გრი-დობ თავსა, შენგან ბრძანება და ჩემგან მოსმენა. რაზომცა შორს ყოფილვარ შენგან, გული ჩემი მძევლად ეგრეცა შენს წინაშე დამეგდო. ჩემი მძევალი შენთა კელთა შიგან ყოფილა. მე ბძა-ნებისა შენისაგან გამოსვლა არაოდეს მიკადრებია. ოდიდგან შენდა მოშორვებულვარ, შენმან მზემან, კითამცა ვეშპისა პირსა შიგან ყოფილვარ პატიმრად და გული უშენობისა ჭირითა ამევსია. ჩემისა საქმისა მოწამე ჩემნი ღაწვნია ყუითელნი. თუ მა-ღირსო და გამიკითხო, ვეჭუ რომელ შეგაჯერო. რაცა ჭირი მჭირვებია, მოწმად ღაწუნი მეყოფიან და მოფიცრად ცრემლიანნი თუალნი. ოქროთა შეღებულნი ჩემნი მოწამენი და სისხლითა დასურილნი ჩემნი მოფიცარნი, რა გიჩვენნე მოფიცარნი და მოწამენი, მაშინ დაიჯერებ ჩემსა მოხსენებულსა. ჩემგან მართლი-საგან კიდე არა ითქმის და სიმრუდითა გაწბილებული არაოდეს დავრჩები.

„გამწირე და მეცა მოკსცეთ. აწ ნაცულად მაქე და გაქო. აწ რადგან პირველ შეცოდებისა შენდობა მითხოვია შენსა არა-ოდეს გამწირავსა, აწ თავიდგან დავიწყებ შენსა შეგუილსა და სამსახურსა. სხუასა არავის ვიცნობ, შენგან კიდე არავისი შეგუილი შემიძლია. შენგან კიდე არცა სიცოცხლე მომინდების და არცა თუალთა ჩენა. ამოვიკოც გულისაგან შენისა წყენისა ჯანგსა, თუალით ვიყიდი შენისა ფერკისა მტუერსა, არ და-ვაგდებ შენსა სიყუარულსა და მომატებით თუით აღარ გაი-

ძლების. გულსა გონებითურთ შენ მოგცემ უზიაროდ. მიბრძანებ ეგრე, და თუ არა, ეგრეცა არ ვეძებ შენისა პირისა კიდეგანობასა; არ მოვაწყუედ მზისაგან მეცნიერობასა ჩემსა, ვერ გავსძლებ სურნელთა თმათა შენთაგან თუმბუთურისა მუშკისა სულისაგან,—უკეთესსა ვერას ვჰპოებ.

«კაცი ღმრთისაგან სამოთხესა სიამოვნისათვის ითხოვს. შენ ჩემთვის ქსეცა სოფელი ხარ და სამოთხეცა. ამით არა გამკა, თუ შენისა მიჯნურობისათვის ჭირი ვნახო: ლხინსა უჭიროდ ვერვინ ჰპოებს. აწ დავივიწყოთ გარდასრული და თავითგან შეგული სიყუარული და სიხარული დავიწყოთ. შენ ჩემთანა იყავ, ვითა სიყუითლე ოქროსა თანა, და შენთანა ვიყო, ვითა სინათლე მზესთანა. შენ ჩემთანა იყავ, ვითა სული მუშკსა თანა, და მე შენთანა ვიყო, ვითა ფერი ვარდისა თანა. შენი სიხარული უჩემოდ არა კამს და ჩემი ნებიერობა უშენოდ არ ეგების. ჩემი მახვილი კრმალი ნავღლისა გემო არის კაცთათვის არ დამარჩენელი, და შენი წამწამისა ისარი—გულთა მამკულელი. რა შენი ისარი და ჩემი კრმალი ერთგან შეიყარნენ, ჩუენი მტერი ცოცხალი ვერ დარჩების. ვითა თუ უშენობა გამიგრძელდების, მის სიცოცხლისაგან უიმედო ვარ. რაზომი მდინარეთა და ზღუათა შიგან ცუარია, ეზომსა სურვილსა და თაყვანისცემასა მოგახსენებ.

«შენი წიგნი,[1] ჩემი სულთა მომქცევი, გზასა ზედა მომართვეს და პასუხი მეცა მუნითვე მოგახსენე მოკლედ. თუ ათასითა-ვინ ტოილოთა დამაბას, მისი გაუწყუედელი არ დავდეგები. ამა წიგნსა მეცა უკანა მოუდეგ სწრაფით, ვითა უტკა-

[1] ვარიანტი: «შენი როარტაგი, ჩემი».

ნი ისარი. ნუთუმცა ღმერთი მოწყალე მექმნა და შენი უნახავი არ მოვკუდე.»

დაუწერა რამინ წიგნისა პასუხი და შემოიქცა სწრაფით ადინა და რამინ მას უკანა ფიცხლა მოვიდოდა. ხუარასნისა გზისა სიგძე და სიძნელე დავიწყებოდა. რამინ და ადინა ერთმანერთისა დღისა ერთისა სავლითა აშორვიდეს.

თუცა მიჯნურობა თავით ბოლომდი საჩიანოა და ყოველი ჭირი ტანისა და წყენა სულისა, ორი სიხარული ეგრეცა სდევს მიჯნურობასა: ერთად წიგნის მოსულისა და ამბვისა ცნობისა ჟამსა და მეორედ ნახვისა ჟამსა. იგი სიხარული უჭიროდ არავის მისუდების. არცა მიჯნურისაებრ საბრალოსნეული ვის უნახავს, მეტად მაშინ რა აშორვიდეს მოყუარესა, დღე და ღამე მისისა გონებისაგან გატეხილი ჯდეს და გზასა ზედა უჭვრეტდეს მომლოდე მოყუარისა წიგნისა და ამბვისა.

გულისა წამლები ვისი ქარე იყო ყოველთა დღეთა, მოელოდა რამინის ამბავსა და ადინასა მოსულასა. რა შორით დაინახა ადინა, სიხარულით პირი აუყუავდა და ეზომ დიდად გაიხარნა, ვითამცა თუით პირისპირ რამინ ენახა. რამინის ამბავი წვრილად მოახსენა: მისითა სიყუარულითა ვით გახელებულა, ანუ მისისა ნახვისა და სურვილისათუის ვით გამოჭრილა, რომელ არა რომლისა ჟამისა მიჯნურობასა ასწორვიდა აწინდელსა,—და მოწმად თვით რამინის წიგნი ჰქონდა. რაცა რამინს ვისის წიგნისათუის ექმნა, იგივე ვისმან რამინის წიგნსა ზედა ქმნა: ზოგჯერ პირსა ზედა დაიდვის, ზოგჯერ მკერდსა. რამინის მოსვლამდინ მალხენელად იგი წიგნი ჰქონდა და ჭირის მაქარვებლად ადინა ჰყუა.

მერმე მეორესა დღესა აბანოსა შევიდა, შეეკაზმა, თუალ-

მარგალიტიანი შესამოსელი შეიმოსა, თავსა გვირგვინი დაიდგა და მზისაგან უფრო დაშვენდა. მთვარე ცასა ზედა დაბნელდა მისისა სიტურფისაგან, მისნი თმანი ზანგთა ლაშქარნი იყვნეს და მისნი ბაგენი ათასისა ქალაქისა სნეულისა წამალნი დ პირი მისი ყმათა კაცთა სულისა მომმატებელი და გონებისა წამღებელი მიჯნურთა. თმანი მისნი მუშკისა ტოილოსა გვანდეს. ვითა თვით მშვენიერი იყო, ეგრე ტურფად შეკაზმულიყო სამოთხისაებრ ყოვლისა ადამიანისაგან სანდომი და სანატრელი. იგი, ესეთი უებრო მნათობი, მიჯნურობისაგან ტყვე ქნილიყო და ვერცხლის ფერი ტანი მისი ოქროს ფერად გასრულიყო; სანდომი ტურფა და გულის წამღებელი იყო. მაგრა მიჯნურობისაგან მოუსვენებლად ცეცხლითა იწოდა და მოყურისა ნახვისა სისწრაფითა თმობა წასულოდა. ბანთა ზედა მყოფი ყოველგნით თვალსა უგებდა და ვითა მარცვალი ცხელსა კეცსა ზედა ქვე სლტებოდა; ერთსა ადგილსა ზედა ველარა დგა. მოსწყენოდა სიმარტოვე და მოყურისა სიშორესა გაესხლა. ჭირსა ლაშქრისა სადგომად შექმნოდა გული. მოაბადის კოშკსა ბანთა ზედა განიადაგებულიყო. შეღამდა და მისი მოსალოდნელი არ მოვიდა. მილის-პირ იქნა და არავე დაეძინა, ვითამცა საგებელი მისი მას ქვეშე ეკალი და ბირკი ყოფილიყო. ქათმისა ყივილისა ჟამსა ცოტად მიეძინა. მასვე წამსა გაეღვიძა და ვითა მტერიანმან დაიზახნა. ძიძა მოეკიდა და ეგრე მოახსენა:

— რად მოგერია ეგრე უთმობობისა ეშმაო?

ვისი ესრე თრთოდა, ვითა წმიდასა წყალსა შიგან მზე. ეგრე უთხრა ძიძასა:

— ჩემისა მიჯნურობისა მსგავსი მიჯნურობა ვისი გინახავს ანუ ვისი გასმია? მე ამას ღამის უსაკურვლესი არაოდეს

დამმართებია. ათასჯერ სულნი ბაგემდის მომსვლიან დ̃ ვითამცა-
რიყესა და ჯალსა შიგან ვწევ, საგებელი ესრე მეჩუენების. ჩემი
ბედი დაღრეჯილი, ღამისაებრ შავი, ზანგთა მეფესა, პილოს-
ზედა მჯდომსა, გავს და ჩემისა ბედისა განმანათლებელი რამინ.
სიშავე ჩემსა ღამესა მაშინღა წაუვა, რა ჩემისა ბედისა მთუა-
რემან პირი მიჩუენოს. აწ სიზმრივ ვნახე პირი მისი, მზისა
მგზავსი, ქუეყანა სურნელი, და მისისა ამოსა სულისაგან ქუე-
ყანა გასურნელა. ჴელსა მომკიდა და მეუბნებოდა მით იაგუნ-
დის ფერითა ბაგითა და ამოთა ენითა მისითა. ეგრე მეტყო-
და: «შენად მოვითხუად მოსრულვარ მალვით მით, რომელ
შენთა მტერთაგან მეშინიან. საცხადოდ მით არ მოველ, რო-
მელ გმალვენ ჩემგან და გცუენ ესრე, ვითა ფათერაკისაგან სულ-
სა;[1] მე შენგან ასრე გასრულსა მარგე რა! მიჩვენე შენი პირი
ღმობიერად და ნულარ მიწყრები. შენებურად ამოდ მომეხუიე,
შენთა თმათაგან გამასამბრიანე და შენთა ბაგეთა კოცნითა უკუ-
დავ მექმენ. მოილმობიერე გული და ნუ მკუშტვი, —უკამსია
შენისა სიტურფისაგან: საჩემოდ ღმობიერება უფრო გშუენი-
სო.» მე სიზმრივ ესეთითა სიამითა მინახავს ჩემთუის და
ესეთნი საუბარნი მომისმენიან მისგან და აწ საცხადოდ ესრე
ვშორავ. ამა ეზომთა ხანთა მისი უნახავი ვყოფილვარ. აწ
რად რადმცა ესრე უთმინოდ ვიყავ? რად რადმცა ესრე დაღრე-
ჯილი და მიჭირვებული ვიყავ? ვირემდინცა ჩემი ბედი ჩემისა
გულისა წამლებელისაგან კიდე მამყოფებს, ესრე შეჭირვებული
თუ დაუთმობელი ვიყო, ყუელასაგან შემენდობისო.

---

[1] ვარიანტი: «ფათერაკისაგან ჴელსა. მე».

ლბ

რამინის მარავს მოსვლა

რამინ შორით მარავი ქალაქი დაინახა, ესრე გაეხარნეს, ვითა თვით ეგრე მიჭირვებულისა წესია ნახუსა მომლოდეობასა შინა. ღმერთსა მადლი მისცა და ქალაქსა ყუავილი. დაუწყო ქება ვითა: «ამოო მარავო, ყელმწიფეთა საჯდომო, დაღრეჯილთა გამამხიარულებელო, გლახათა გამამდიდრებელო, მჭირვებულთა ნუგეშინის-მცემელო, ამოო მარავო, ზამთრისა და ზაფხულისა ყუავილ-დაუჭკნელო, რომელთა შენთა მნახავთაგან უშენოდ სიცოცხლე არ ეგების და მეტად მისგან, ვის ჩემებრ გულისა წამლები აქა ეგონების! ამოო მარავო, ქალაქთა ყოველთა უთავადესო, მტერთაგან შეუვრობელო, გამცდელთაგან სანატრელო, მზისა საყოფო, მთუარისა სადგომო, და ჩემისა ყელ-მქნელ-მომკულელისა დარბაზო!» რამინ უვისობითა და უთავისობითა ესეთსა ყოფასა ყოფილიყო, რომე ხორასნელნი თავადნი ერაყელად ვარდად უჩნდეს და მარგული ქუა გორაბულად თუალად. თავისა ქუეყანისაებრ კაცსა სხუა ქუეყანა არ იამების და პირველისა მოყურისაებრ გულსა ვერავის მისცემს. ესრე იამა მის ქუეყანისა ნახუა, რომელ თოვლი მუნებური ქაფურად უჩნდა, ფურცელი ღალიად, ხენი სამოთხედ და მიწა უკუდავებად. შუაღამისა ჟამსა შემოვიდა მარავს; ვითა მკუდარი გაცოცხლებულიყო, ეგრე გალხინიანდა. რამინ მაშინვე, ვისი სადა იყო, მის კოშკისა

მირსა მივიდა. ვისის გუშაგი დაეყენა რამინის მოსვლისა მჭვრე-ტელნი. რა გუშაგმან დაინახა და იცნა, მასვე წამსა ჩამოვიდა და ძიძასა აცნობა. მან დია გაიხარნა და ვისის მოახსენა:

— მოვიდა შენთა ჭირთა მაქარვებელი, მოვიდა შენი მიწყით საგონებელი ლამაზი კელმწიფე, ტახტისა დამამშვენებელი, აბჯრი-სა მასახელოვნებელი. შენგან ნიავი სამახარობლოსა ითხოვს, გაზაფხული შენი მოვიდა, ნაყოფი გამოიღო შენისა სიხარუ-ლისა შტომან, შენისა იმედისა სადაფმან თუალ-მარგალიტი გაჰოვნინა სვიანობისა. ხედავ, რომე ღამე განათლებულა, ხე-დავ რომე შენი ჭირნი არ ცუდ იქმნნეს! აწ ნაცვალი სიხარუ-ლი მიეც გულსა შენსა, აწ შენ მიერ ქუეყანა სიხარულითა აყუა-ვებულა, ქარი ამბრისა სულსა მისთა მთათაგან აბნევს. თუით შენ შენითა თუალითა ნახე შენი სიხარული და სასურველი. ხაშენო დარია. აქამდინ ღამე სიბნელითა შენთა თმათა გუანდა და აწ შენისა პირისაებრ განათლებულა. ცამან ალ-მული მოი-კადა და აწ შენცა გულისა შენისაგან ჟანგი მოიკოცე. მთუა-რეო, მისისა მოსულისაგან შენებრ მოხარულობენ მთანი და ბარნი, სუიანსა ეტლსა ზედა მოსულა შენი რამინ. შეყრასა ღამიან მზე და მთუარე, მისი ტურფა პირი კარსა ზედა დგას და ბრძანებასა ითხოვს შენგან, შენისა მწყრომობისაგან ზენარსა მოაჯეობს. შენ მისგან მდურვით ხარ და იგი შენგან გულ-გატეხილია. გულისა შენისა კარი გაუღე შენისა გულისა გამა-მხიარულებელსა, იმედიან იქმნენით ერთმანერთისაგან და დაივი-წყე აქამდინ დამძიმებულობაო.

ვისმან მოხარულ-ქმნითა, ყოველთა ჭირთაგან ხსნილმან, ეგრე უთხრა:

— შაჰინ-შაჰს ქუე სმინავს, ფათერაკთაგან დაშინებული ვარ;

ანაზდეულ თუ გაეღვიძების, იგრძნობს. მე რამინს ვეღარა ვნახავ და სიცოცხლე გამიცუდდების, თუარე თუით დარჩენასს აღარა მოველი მისსა; თუარა მე რაღა გინდა წამეკიდოს, თუ-ცა ერთხელ რამინ ვნახე. აწ, ზენაარ ღმრთისათუის, შენ რა მარგე, ძილი შეუკარ, რომელ არ გაეღვიძოს და ჩუენი საქმე ვერა ცნასო.

ძიძამან სწრაფით შეულოცა რამე ესრე, რომელ თუ ქუე-ყანაცა დაიქცეოდა, ვერ იგრძნობდა, ვირე მათ არ მოსწადდებოდა. მერმე ვისი მოვიდა მდურვით გუარად, სარკმელთა ზედა და-ჯდა.

რამინ დაინახა, სიხარულითა პირი აუყუავდა, გულმან ღება ვითა ვარმან დაუწყო; მაგრა მოიჭირვა და დასთმო, გული თროთოლისაგანცა დაიწყნარა. რამინ ქუე დგა და მას არა შეუ-ზრახნა. ცხენსა ეგრე უთხრა:

— ჰე საკედარო, მთისაებრ მაგარო დ პილოსაებრ ძლიერო! შვილივითა მიყუარდი და გექცეოდი, ოქროსა ბაგა შეგიქმენ, აბრეშუმის აგშრითა მკევ, განებიერებდი; რად წამისვედ, რად გამწირე და დამიგდე ბაგა და აღარ მოიგონე ახორი ჩემი? წასუედ სხუა ბაგა და ახორი იშოვე, მაგრა თუით შენ კარგი არა მოგიკლდების. აგეთი თურე ყოფვა სჯობს, თუ ვითარი გი-ნახავს? შენ თუით იცი, მე რაზომნი ჭირნი მინახვან.

რა რამინ შორით მნათობთა მზე ვისი დაინახა, უზომო რამე სიხარული მიეცა. გარნა რა ესე ცნა, რომე სწყრებოდა, დია ეწყინა და ათასითა მუდარითა ქნება დაუწყო, ეგრე უთხრა:

— მზეო, გულისა და გონებისა ჩემისა წამლებო, მთუა-რეო გავსებულო, მთიებო ცისკრისაო, ლაშქართა სანთელო,

კელმწიფეთა სანატრელო, კეკლუცთა მანათლობელო და შვენებაო, ვარდო კოკობო, სოსანო სურნელო! რად ისწრაფი მონისა სისხლთა დალურისათუის, რად ისწრაფი ჩემისა სიკუდილისათუის, რად მიმალავ პირსა, რად მოგნდომიას ჩემი კელად გაჭრა, რად არა იქ პირსა ჩემკერძ? მე **რამინ** ვარ შენი საკუთარი და შენ **ვისი** ხარ ჩემი სულთაებრ სანდომი, მე რამინ ვარ შენი უმცროსი მსახური და შენ ვისი ხარ ჩემი პატრონი, მე **რამინ** ვარ მიჯნურთა მეფე შენითა მიჯნურობითა და სიყუარულითა ქუეყანათა შიგან არაკად გასრული, შენ ხარ ვისი მზე მზეთა პირისა შენისა უებრობითა და თუალთა და თმათა შენთა სიტურფითა, ჩემი ესრე შესვეწით აქა მომყუანელი. მე იგივე ვარ, რომელ გინახავ და შენ აღარ იგი ხარ? **ნუთუ** ჩემთა მტერთა სიხარულისათუის იჭირვი? **თუ** ყუელასაცა ჩემსა სიკუდილსა იჭირვი, ნუ მიწყრები, დაიამე გული, დამეზავე, ამოსა ლხინსა ნუ დაიმწარებ, ნუ იქნები ფიცისა გამტეხელი და უზენაარო, ნუ შეერთებულხართ შენ და ჩემი გული ჩემისა სიკუდილისათუის, ნუ მწვავ უწყალოობისა ცეცხლითა! **ვაი** ესდენი იმედიანობა ჩემი, რომელ თავი გავსწირე შენისა მიჯნურობისათუის. **დავსთესე** მიჯნურობა სიყმისა ბაღსა შიგან, ჩემნი სულნი ვამეზურენ, ჩემთა თუალთა ცრემლითა ვრწყუიდი, ერთსა ღამესა ვერ დავიძინი და ერთსა დღესა ვერ მოვისვენი, და დავლიე მისთა უკანა დგომითა. **რა** გაზაფხული მოვიდა, შიგან ია, ვარდი, სოსანი და ნარგისი აყუავდა, ხეთა ნაყოფი გამოვიდა მრავალი ფერი, ბაღი აშენდა ვითა ბედნიერთა ბედი, შიგან მფრინველთა ყივილი დაიწყეს, წყაროსა შიგან იბანებოდიან, ზღუდე აუგე მაგარი. **აწ** მოვიდა გაწირვისა ზამთარი, უხანობისა ქარი და გუალვისა ღრუბელი, უბედურობისა წელიწადი;

აოჴრდა იგი წალკოტი: არცაღა იგი ნაყოფი, არცა იგი ვარდი, არცა წყარო, არცა სათიბე და არცაღა ზღუდე! მტერთა და მეშურნეთა ამოსწყუიდეს, დაგლიჯეს, დაჭრნეს ხენი, დაარღუივნეს ზღუდე და დააფრთხუნეს მფრინველნი. ვაი ესეთსა ჟამსა, რომელ კეცისა ჭურჭელსა გავს ჩუენი სიყუარული, არ ოქროსასა, რომელ რა გატყდების, ცუდად წაჴდების! რა გული გულისაგან მოშორდა და მოყუარე მოყურისაგან,—სიყუარული მოჰქარდა და ჭირი ჭირსა მოემატა. აწ გაიხარნენ ჩუენთა მტერთა, რომელ ღმერთმან ჩუენი მტერი ჩემებრ ყოს. აწ მზრახავნი ჩუენნი იხსნნეს ჭირთაგან, აღარა საზრახავი უმსთ. ჩუენ არცაღა შუა მოციქული გუინა, არცა ხუაშიადისა შემნახავი, ნუცა მიძა ჭირსა ნახავს და ნუცა შენ, ნუცაღა მე გული მტკივის და ნუცა მოაბად იმდურვის. ჩემგან კიდე შეცოდებული არავინაა; ამით არავისი ბედია ჩემისა ბედისაებრ, მით ვჩივი ამისგან რომე მიწყით ძაბუნი ვარ. მისგან კიდე თუმცა ესრე უბედური არ ვიყავ, მე გული ესრე ვერ დამიმონებდა დ ვერ მომაღორებდა. ვინცა ეშმასა მომსმენია, მიწყით ჩემებრ ბრმა და დაღრეჯილი იქნების. ალვისა ნედლისა ნაცულად ტირიფისა ხე ამოედო და მუშკისა ნაცულად—ქუიშა, თუალისა პატიოსნისა ნაცულად, ეტლთა და ფილაქთა მოქცევისაგან კაცისა ნალეწსა დაჯერებულ ვიყავ. აწ შენდობასა ვითხოვ, მოილმობიერე საჩემოდ გული: მე ავი მიქნია და შემიცოდებია; შენ კარგი ქმენ და შემინდევ! შეცოდებული ვარ და ვინანი. ვირე ცოცხალვარ, შენ პატრონი ხარ და ჴელმწიფე, შეგიძლია გარდასდევა ჩემი; თავსავე ზედა დამამძიმებელი ჩემი შენ ხარ და ბოლოსა ნუ უშველასა მე გარდამაკდევ! თუ არ შემინდობ, კარსა ზედა მეკრედ დავდგები და მუნამდის მოვიჭირვებ სამსახურისათვის,

ვირე თავსა არ მოვიკლავ. მე ერთხელ შეგცოდე, არ მე ოდენ ვარ ქუეყანასა ზედა მცდარი. აწ მისად ნაცულად ათასსა შენდობასა ვითხოვ, მუნამდინ გემუდარები და გექენები, ვირემდი გულისა შენისაგან წყრომა არ გაქარდეს. ვირე ცოცხალვარ, ჩემი თავი მიჩნს შეცოდებულად და მას ვაბრალობ. ამისისა თქმისაგან არ მოვისვენებ, შეცოდბული ვარ და ჩემსა საქმესა ვინანი. ვირე ცოცხალვარ, შეცოდებულსა შემინდევ. თავისა მანანებელსა ზედა კელმწიფობა გაქუს და პატრონი ხარ: რაცა გწადიან, გარდამაკდევინე; მაგრა სადაღაა მოწყალება, პატრონობა და შემანდობელობა!?.... რა ჩემი შეცოდება მოვიგონო, შენდობისაგან უიმედო ვიქნები და გული დამელევის. თუ ჩემი ქნება და მუდარა არ მოისმინო, აქა შენსა კარსა ზედა მოვკუდები; მუნამდის საბრალოდ ვტირ, ვირე სულნი არ დამელივნენ. სხუაგან წასულა აღარსად შემიძლია. რადგან „შენ უწყალო მექმენ, სხუა ვინღა ვმენო? ნუ მიზამ, მთუარეო, ნუ მომიმატებ ჭირსა ჭირზედა! ბერნი სიბერითა და ფილოსოფოსნი სწავლულობითა მოუცთომელნი არ დარჩებიან, მალი ცხენი წაიქცევის, მკუეთი კრმალი დაბლაგუდების და მე ერთხელ ფათერაკად მოვცდე. აწ შენდობასა ვითხოვ, ნუ დამსჯამ კიდეგანობისა ზორკილითა. მე მონა ვარ შენი, შეგიძლია ყუელასა პატიჟისა მოპყრობა, მე მოგითმენ ყუელასა ჭირსა, ამისგან კიდე, რომელ აბეზარობასა შენგან ვერ გავსძლებ. ვერცა შენგან ეგრე ჭურეტასა მოვითმენ, სიბრმე მირჩევნია შენსა უჭურეტლობასა და სიყრუე მირჩევნია საყუედურისა მოსმენასა. მე ღმერთმან უშენოდ წამსა ნუ მყოს და შენ უჩემობისა თმობა ნუ მოგცეს. ოდიდგან ეგრე მიწყრები, სიცოცხლე მომწყენია. თუით მიწყით უსამართლოსა ქნისათუის გულმძიმედ ხარ, ყოველივე ქუა და რკინა საცეცხლესა

ზედა მოესხვევის. აწ შენისა გულისა სიმძიმე ჩემისა გულისა ცეცხლიანობასა მოუმატე, რომე თუ ზღუაცა დაასხა ჩემსა გულისა ცეცხლიანობასა, ვერცა იგი დაავსებს. ესე ქუეყანისა ალ-მური ჩემისა ცეცხლისა კუამლისაგან დგას, ჭაერმან გულისა შენისა ნადები იცის და მით მტირის, ბედისაგან გაშავებულა, ღამე მით ასრე მთოვს, ესრე საკუირველად ტანი ჩემი მიჯნურობისაგან რომე ნახევარი ცეცხლსა გავს და ნახევარი მყინვარსა. კაციმცა რად ეგებოდა ესეთი, გარნა არცა ანგელოზი და არცა ეშმა ესდენ შეუწონელი არვის უნახავს. ვინ ნახა მყინვარი ცეცხლისაგან დაუდნობელი, ანუ ცეცხლი წყლისაგან დაუშრეტელი ჩემგან კიდე? ვისცა ესრე მიჯნურობა სულთა შიგან შეზელია, მისი თოვლთა შიგან მოკულა აუგია. მე ეგრე ვეჭუდი შენგან თუ, ცეცხლისაგან მიხსნასო, არა თუმცა ესე მგონებოდა, თუ თოვლთა შიგან მომკლავს. ნუვის ათქმევ, თუ მეტი მუდარა ძაბუნიაო. მე შენი სტუმარი ვარ, ყოველი კაცი სტუმრისა პატივისათუის მოიჭირვებს, არ ესრე ველსა გასდევნის. და თუ სიკუდილი ჩემი გწადიან და გეადვილების, ესრე საბრალოდ ნუ მომკლავ, სტუმრისა მოკლვა თოვლითა ბილწი საქმეაო.

დვ

ვისისგან პასუხი

ვისმან, ვითა ლომმან განმძვინებულმან, წყრომით ეგრე უთხრა:

— წავედ, რამინ იმედი გარდაიწყვიდე ჩემგან; გული დაიამე ვითამცა არცა მიცნობ და არასოდეს მარავი ქალაქი გინახავს, ვითამცა ორნივე ჰყოფილვართ, — აგრე დაიჭირე. მე იგი მტკივის, რაცა ჩემსა თავსა ზედა შენგან გარდამხდარა; აწ ნუღარას მემდურები: ერთხელ მამაღორე, მამკალ და მომაყივნე, აწ გულს მასვე ჴლამი და აღარ ეგების. წაიღე შენი კუამლი! რადგან ცეცხლი წაგიღია, კუამლიცა წაიღე; რადგან ზენაარი დაივიწყე და ფიცი გამიტეხე, ჩემი მოცთუნვება აწ აღარას შეგიძლია. წავე, გულსა ეუბნებოდი, მას აღორებდი და მისისა მიჯნურობისათვის ხელობდი. თუ შენ ფრთხილი, გონიერი და ენად კარგი ხარ, არცა მე უენო და რეგვენი ვარ. შენ ეგე გუარი დია იცი კაცისა ღორებას და ხლათვა, გიცნობ და მრავალჯერ მომისმენია შენგან ეგე გუარი ცქაფვა; გარნა მომწყენია ზენართა შენთა სმენა. მე აღარას ულაღატებ მეფესა მოაბადსა, ველარ გავსწირავ ჩემსა არ გამწირავსა, მას საქმესა აღარა ვიქ, რაცა გულსა მიქნია და შემიცოდებია. საჩემო იგია, რომელ ეზდენ ავითა ზნითა უყუარ, ეგრეცა არცა წამსა მომაკლებს წყალობასა და სიყუარულსა, არცავის

სხუასა გამოირჩევს ჩემსა; ნიადაგ გულ-მართლად მოყუარულია ჩემი, არ შენებრ უზენაროა და არცა შენებრ რას მეტყუის და მიბრძანებს. აწ გულ-მართლად სუმად ზის, რომელსა სიხარული ნუმცაოდეს მოაკლდების და შენგან ამისი შური, რაცა მას ჩემთა სჭირს! აწ ამის მეშინიან, რომე შაჰინ-შაჰ საწოლს შემოვიდეს, თავისა წალკოტსა შიგან ვარდი ვერ ნახოს, მე საგებელსა ზედა მძებნოს და ვერ მპოოს, და კულა რათამე გავაწყრო. აგეთიმცა იყო საყოფი მისი მიწყით ვითარი არის, და შენთუის როგორიცა იყოს—ყუელა ადვილია! ამა გაყინულისა სიყუარულისა მიზეზითა კულა აღარა მწადიან მისი შეცოდება; კმა არის აქამდისი ჩემი ჭირი, რომე შენითა გზითა ვიწყრობდი შაჰინ-შასა და ღმერთიცა შენითა მიზეზითა დავივიწყე.

ათასჯერ სიცოცხლისაგან იმედი გარდამიწყდა და ამა ყოვლისა ჭირისა ნაცულად ბოლოდ შენგან ზენაარისა და ფიცისა გატეხისა, იმედ-გარდაწყუედილობისა და მოყივნებისაგან კიდე არა დამრჩომია. ჩემი პატრონი მომდურავია და ღმერთი დამბადებელი ცისა და ქუეყნისა განაღამცა არათავე მომემადლა! სიყმე შენისა მიჯნურობისა, სიყუარულისა და მიუცილებლობისათუის ხელსა ცუდადრე წამიკდა და უხარელად შენისა ჯავრისაგან კელნი შევიტკბულენ.... და კელთა ქარისაგან კიდე არა დამრჩა. რაზომსაცა ვუბნობდე, სათქმელი არ დამელევის. ამა ხისაგან ნაყოფი არ მოგხუდებოდის, არცა ამა გზისაგან სიხარული. შეიქეც, წადე კიდე, ცუდი ჭირი გინახავს აქა მოსულითა! შუაღამე გარდასრულა, ფიცხელი ქარი ქრის და ორი მტკაველი თოვლი დაუძს. ცუდად ნუ ჰკრეკ ამა კარსა—რკინასა ცივსა. შეიწყალე შენი თავი და წადე კიდე, რომე არ მოჰკუდე

ამა თოვლთა შიგან ყოვნითა. მილი გაამოს ღმერთმან და ღამე და დღე სვიანმცაა შენთჳის გულ, ვარდ-სახელი და ვარდ-ღაწვი.»

გულის ნადები არცა ეგრე გამოაცხადა.

ხრულსა ღამესა რამინ თოვლთა შიგან დგა და აერი მისსა თავსა წვიმდა, ღრუბელი მისსა ცხენსა ზედა ქაფურსა თოვდა, ცა ცრემლსა ასხმიდა და ქარი რამინს ზედა სულთქმიდა. ცისკრამდი ეგეთსა ყოფასა იყო, რომე თავით ფერკამდის რაცა ტანსა ეცვა, ყუელა გაჭყინვოდა და თუით ვითა რკინა შექნილიყო.

ჳისი შიგანით ეგრე მტირალი და მკერდ დალებული იტყოდა:

«ესევითარი თოვლი და ყინვარი არის, რომელ მისგანვე სახლად მყოფი ვკუდები?! ჰე ღრუბელო, რამინის თავსა ზედა ტირილისათჳის შეირცხვინე! მისი ვარდის ფერობა ზაფრანად გაგიკდია და მისნი ფრჩხილნი ლილის ფერად. მაგრა ორნივე გებრალებით და მით სტირ. რადგან მას ეგნების, ნუ სთოვ, ღრუბელო, მოისვენე ცოტად, ნუ მიმატებ ჭირსა! ჰე ქარო, ვირემდის ქრი, ცოტად დასწყნარდი. შენ არ იგი ქარი ხარ, რომე მისითა სულითა ყოველსა ქუეყანასა სურნელობდი? აწ რად არა გებრალების მისი ტანი ესეთისა სიცივისათჳის, რომელ მისისა ტანისაგან სისურნელესა ითხოვენ ნარგისნი და სოსანნი? ჰე მდიდარო ზღუავო, რაზომცა მდიდარი ხარ, ეგრეცა რამინის მონა ხარ. თუცა თუალ-მარგალიტი დია გაქუ, რამინისებრ უხუი არცა ეგრე ხარ. აწ დარი ჭჳოე მას ცხენოსანთა პატრონსა ზედა ღრუბლისა კლდითა, მით გამოგზავნე წყიმა. შენი აბჯარი წვიმა და თოვლია, და მისი აბჯარი მკუეთია.

თუ ამას ღამე არ დაეხსნები, მისთა ლაშქართა მტუერითა გა-გაკმობს. ჵაი, ჵაი! რა შეუწონელი და უსირცხუილო ვარ, რომე ნებიერად დარბაზთა შიგან დაჯდომილვარ და ნაზუქი ტანი მისი თოვლთა და ბუქთა შიგა მიმყოფებიას! რამინის პი-რი და ტანი აწ ყუითელ-თეთრი ვარდია, და ვარდისა ხისა მუხი მიწყით სიცივეა.»

მერმე კულა ვეღარ გაუძლო გულმან და მივიდა სარკუმელთა ზედა,—მისთა შუქთაგან სრულად ქუეყანა განათლდა.

ამა თოვლთა შიგან ყოვნითა. მილი გაამოს ღმერთმან და და-მე და დღე სვიანმცაა შენთუის გულ, ვარდ-სასხლი და ვარდ-ლაწვი.»

გულის ნადები არცა ეგრე გამოაცხადა.

ხოლოლსა ღამესა რამინ თოვლთა შიგან დგა და ვერი მის-სა თავსა წვიმდა, ღრუბელი მისსა ცხენსა ზედა ქაფურსა თოვ-და, ცა ცრემლსა ასხმიდა და ქარი რამინს ზედა სულთქმიდა. ცისკრამდი ეგეთსა ყოფასა იყო, რომე თავით ფერხამდის რა-ცა ტანსა ეცვა, ყუელა გაჭყინვოდა ჴ თვით ვითა რკინა შექნილ-იყო.

ვისი შიგანით ეგრე მტირალი და მკერდ დალეწული იტყოდა:

«უსკეთარი თოვლი და მყინვარი არის, რომელ მის-განვე სასლად მყოფი ვგულები?! ჴე ღრუბელო, რამინის თავსა ზედა ტირილისათვის შეირცხვინე! მისი ვარდის ფერობა ზა-ფრანად გავიკდია და მისნი ფრიწოლნი ლილის ფერად. მაგრა ორნივე გებრალებით და მათ სტირ, რადგან მას ეგნებს, ნუ სთოვ, ღრუბელო, მოისვენე ცოტად, ნუ მიმატებ ჭირსა! ჴე ქარო, ვირემდის ქრის ცოტად დასწყნარდი. შენ არ იგი ქარი ხარ, რომე მისით სულითა ყოველსა ქვეყანასა სურნელობდი? აწ რად არ გებრალების მისი ტანი ესოდისა სიცივისათვის, რომელ მისისა ტანისაგან სისურნელესა იისოვენ ნარგისნი და სოსანნი? ჴე მდიდარო ზღვაო, რაზომცა მდიდარი ხარ, ეგრე-ცა რამინის მონა ხარ. თუცა ფუალ-მარგალიტი დია გაქუს, რამინისებრ უსყო არცა ეგრე ხარ. აწ ლარი ჭჭოე მას ცხე-ნოსანთა მატრობისა ზედა ღრუბლისა ელდითა, მით გამოგზავნე წვიმა, შენი აბჯარი წვიმა და თოვლია, ჴ მისი აბჯარი მკუეთია.

თუ ამას ღამე არ დაეხსნები, მისთა ლაშქართა მტყუერითა გაგაკემობს. ვაი, ვაი! რა შეუწონელი და უსირცხვილო ვარ, რომე ნებიერად დარბაზთა შიგან დაჯდომილვარ და ნაზუქი ტანი მისი თოვლთა და ბუქთა შიგა მიმყოფების! რამინის პირი და ტანი აწ ყუითელ-თეთრი ვარდია, და ვარდისა ხისა მუხნი მიწყით სიცივეა.»

მერმე გულდა ვეღარ გაუძლო გულმან და მივიდა სარკუმელთა ზედა,—მისთა შუქთაგან სრულად ქუეყანა განათლდა.

ჲდ

კულაცა საუბარი ვისისაგან

უთხრა ვისმან რამინსა: «შენ ჩემი, შვილურად, საყუარელი ხარ, არ მინდა საშენოდ ესე თოვლი და წვიმა, გარნა ავისა ამხანაგისა მოასლე ხარ და მით გჭირს ყუელაი. თუმცა ეგეთისა ამხანაგისად არ შესწრობილიყავ, თუალთამცა ჩემთა ზედა ადგილსა ვიპოებ შენთუის. მეწყინების შენი ესრე ყოფნა: რად სძებნე ამა მგზავრობაშიგან და ავსა მოყუასსა შეესწარ? არ იცოდი, რომელ კარგთა თანა კამს გამოსვენება და მგზავრობა? აწ ცუდად წაგვდომია ჭირი: არცა ქუე დაგაყენებ, არცა რად გაგაგუირვებ, არცა პირად მიგიშუებ. წაე, ასორი და საკუები მუნვე მებნე, რომლისათუის დაგიგდივარ!»

ეგრეთვე რამინს უთხრა:

— წაე, რამინ, შეიქეც გარე! მრავალჯერ შენსა კარსა მდგომივარ და ასრევე შენ არ შეგიშვივარ, მრავალჯერ ზენაარი მითხოვნია და არ მოგისმენია, მრავალჯერ სისხლისა ცრემლითა მტირალსა მიმასია ჩემნი სასჯელნი და არ შეგბრალებივარ

და არცა ჩემი კაცი გინახავს, არცა წიგნი წაგიკითხავს. მახსოვსან მრავალნი ჟამნი, რომე შენ ამოდ გამოგისვენებია და კარგად გძინებია ჩემისა საქმისა გაუვლენელსა და მე უბულოაშფოთებული და შეწირვებული ცრემლ-დენით ყოფილვარ. აწ, რაცა ჩემდა გიქნია, ეგე მისი ნაცვალია; ავისათუის ავი ნაცუალი მოუცემია ღმერთსა. რაზომცა შენ ჩვილი და ნაზუქი ხარ, ჩემგან უფრო არა ხარ. თუ საშენო ოდესმე ვიყავ, აწ გაგდებასა რას მემართლებოდი? აწ გარდაიწყუიდე ჩემგან იმედი, ვითა მე შენისა გულისაგან გარდამიწყუეტია. ამისი შეწირვებული ჯდომილვარ. მე იგი ვიყავ, რომელ იმედოვნობისა ნახვითა ზღუასა შიგან ვიარებოდი,—აწ ზღუისა ღელვათა დახსნილვარ, გული უსარგებლო შეჯერებისა იმედითა გამირცხია. აწ, რადგან ძველისა მოყურისაგან არა გაქუს ბედი, წაედ დ ახალი მოყუარე შეინახე. ძველი დრაჭკანი და თვალი კარგია, თუარა ახალი უფრო საყუარელია! რა ჩემსა სიყუარულსა გაწირვითა თავი მოჭკუეთე, მაშ მეორედ ვინღა დაიდგნეს მოკვეთილმან თავმან ყელსა ზედა? რა ჩემსა სამარესა ზედა ბალახი ამოვიდეს, იგიცა შენგან მომძიმარი და წყენილია პირველ მიჯნურობისა ჭირთაგან და მერმე გაწირვისა ჯავრთაგან, და თუითოსა ფურცელსა ზედა ასი ათასი «ჭაი, ჭაი,» სწერია. რაზომცა თათბირიანი ვიყავ, ესე არ ვიცოდი, თუ გულსა სიყუარული დაუბერდებისო. აწ ნუღარ ეძებ ჩემგან სიყუარულსა,—ბერნი მეორედ აღარ გაუმდებიან!

«არ გახსოვს, ოდეს წიგნი მოგეწერა და ათასი საგინებელი და სათრეველი ეწერა, ეგრევე საყუედურისა მოციქულობა შემოგეთვალა და არა დაგრჩომოდა აუგი, რაცა არ მოგეთვალა? მე შენისა სიყუარულისაგან კიდე არას გავეხე-

ლე; თუ სიყუარულიცა გამომეცადა, მე შენისა სიყუარულისა სწორი არავისი გარდამიკდია. ჩემი გული შენგან კიდე არავის ეცნა და არცვის ნება შენგან კიდე ეპოვნა; შენსა არავინ გამო-ვირჩიეენ, არცარათ შენ გეცრუე და არცავინ სხუა მოყუარე ვძებნე შენგან კიდე,—და შენცა ბედისაგან აგრე გაჭკე! მას უბედურსა დედასა ჰგავ, რომე ერთი ასული ესვა და იგიცა ბრმა. გული ჩემი მშვილდისაებრ მრუდია, სიტყუანი ჩემნი ისრისაებრ მართალნია; რადგან გული შენი საგანია, საყუე-დურსა ვერ გასძლებ. აილე შენი საგანი, რომე ვერ ეცეს ისა-რი. წაედ, რომე არ გესმის სიტყუა გულისა დამბნედელი, სიმწარითა ნაღველი და გამკუეთელი ჴრმლისაებრ.»

დე

რამინისაგან პასუხი

რამინ დაღრეჯილმან პასუხად ეგრე გამოსცა:

— მაგა საუბრითა ცად ნუ გასრულხარ, მთუარეო! შენ მაგა სიტყუასა ვერ გაასრულებ, დათმობისა ბარითა თიკასა ვერ აიღებ. შენი ენა და გული არ ემოწმების ერთმანერთსა; რასაცა შენ უბნობ, შენი გული მაგისგან აბეზარია. არავინაა სიყუარულისაებრ მპარავი, რომე გულისაგან თმობასა წაუღებს და ლაწუთაგან ფერსა ასრე ადვილად, ვითა მთურალისაგან ოქროსა ტრიალი. თუ მე დაბერებულვარ, მიჯნურობა ჩემი არ დამბერებია; ახალი ჯმა ძველისა ძალისაგან ჩამოივრვის. მე შენი სიყუარული ყოვლისა სოფლისა სისრულად მიჩნს, — რად უნდა სიბერესა კსენება? ეხომსა ნუ მეკიცხევ, ნუ მაყუედრებ; მრთელსა სნეულობა არაოდეს მოუნდების! აწ თუ შენ მრთელი ხარ, მე ბედისაგან სნეული ვარ და არ მიაჯავს ესე ჭირი: იგრძენ ჩემი ესრე მიჯნურობა და გაამაუდი! თუცა ტურფათა უხუცესი ხარ, თუით შენ იცი, რომე საჩემოდ მბმ ერთიცა არა გმართებს. თუმცა მონათა შეცოდება არ გამოჩნდებოდა, მოწყალეობისა სახელსა სად ჰპოებდით? რაზომცა გამდიდრებულხარ, გლახათა მოიგონებდი. მე რაზომცა დია

შეგცოდე, აგრე უბრალო პატიჟი არცა ეგრე მმართებს. სამოთხესა შიგან მყოფმან ადამ ღმერთსა შესცოდა, და მე მისიტომი ვარ; თუ შეგცოდე, შენდობას გთხოვ. ღმრთისა განგება კაცსა თავსა უწერია, შეცოდება მასცა გუარსა თანა შეუზელია; არცა მეცნიერობა შეაქცევს ღმრთისა განგებასა და არცა ჭაბუკობა მოერევის ფათერაკსა, არცა ცნობილობა და არცა სიხელე. თავისათუის კაცი უბედურობასა არ გამოირჩევს.

«ნუღარ მეკიცხვა, ნუღარ მაყუედრებ; ნუთუ უცნობო უქნივარ შენსა მიჯნურობასა დ შემიცოდებია, თურე შენ იცი რომე ნებით არ შევიდოდი შენსა შეცოდებასა. თუ რა შემიცოდებია, არა არის წამალი შენდობისაგან კიდე; კმა არის ჩემთვის ესე რაცა გიქნია.

«მე თოვლთა და წვიმათა შიგან ოდიდგან ვსდგა და შენ წამსა და წამთა თუალთა მაცილევებ? უწყალოდ, უცრემლოდ და უზენაროდ ხარ ჩემზედა, ენითა ვითა კრმლითა მკუეთითა მჭრი, და ეგრე მეტყვი: «არაოდეს მინახვიხარ და არცა გიცნობ, და თუ მინახვიხარ, არცა უიმედოდ გასრულვარ და მიჯნური ვარ შენგან.» ნუ ეძებ ჩემგან კიდეგანობასა და ნუ მოგიცლია ჩემად საკლავად. გუშინდელი შეცოდება გუშინდელსა დღესა თანა წავიდა, შენ აქათგან მნახე თუ ვით შეგაგვრო და ვათა გმსახურო სვალითგან. თუ იგი ფიცი გამიტეხია, აწ შენდობასა ვითხოვ. თუცა შენდობისა თხოვა კარგი და საკამსოა, პატრონთაგან შენდობა უფრო სახელია. დასტურობით იცოდე კარგისა ქნა არ წახდების, მე ჩემი მუქაფა ესრე გაწბილებით გარდამიხდია,—მეყოფის, თოვლთა და ბუქთა შიგან ვდგა და შენ კაცობისა თუალნი დაგისუჭვან. უწყალოსა გულისაგან რაცა გწადიან, ყუელასა ზედა ჴელი გაქუს და იქმოდი, ჩემისა

კიდეგანობისაგან კიდე. მაგრა ამა გულითა ნაღველსა ვერა ვჭამ და ამა სულითა ტუირთსა ვერა ვზიდავ; თუ გული ჩემი ქვაცა არის, შენსა კიდეგანობასა ვერა გავსძლებ. შენისა სიშორისაგან მეშინიან და სხუისა არას ჭირისაგან, არა რომე ღმერთი შენ გთხოვს მისთა სისხლთა!»

ჲვ

ვისისაგან პასუხი

ჰე რამინ, უმეცრობითა ფათერაკისათუის დაპყრობილხარ. პირველ გაწირვა ბოლოსა ყამსა გულსა ესრე დაესობის, რომე უკუნისამდე დაჰჩნდების კაცსა. მე შენი ჯავრი გულსა დაღად დამჩენია და ესრე ღრმად ჩაუწუავს მას სადაგველსა, რომე შენი სიყუარული ესრე გაუძია, ნაკუალევიცა აღარ მიუშვია. არ დაგეტევის ერთსა კაცსა უსჯულობა და მოღორება, არცა ერთსა გულსა მტერობა დ მოყურობა; თუმცა გული გლახ ჩემი რკინისა მთა ყოფილიყო, ეგრეცა დაილეოდა უსამართლოდ შენისა გაწირვისა გონებლობითა.

«რა ათასფერი შენგან ჩემი დამძიმება მოვიგონო, შენი სიყუარული ვითაღა ეგების? თუით შენ იცი, თუ შენზედა რაზომი ზენარობა ვიკმარე, რაზომი კარგი ვქენ და რაზომი ჭირი გამიძლია შენისა იმედისა მომლოდეობითა,— და შენ ჩემზედა იგი ჰქმენ, რომე ღმრთისა უარის მქნელსა

მართებს; და თვით მე ვიცი, რა ნაცვალი მომაგე! რაცა დავი-თესავს, შენვე მოიმკი. ჩემსა სხუა გამოირჩიე და საშენო ჰპოე; თუით სამისოდ ჰკამ და იგი საშენოდ; ჰპოეთ ერთმანერთი. წახვე და ვითა ორბმან მძორი სჭამე, და რა გასძეღ, აქავე მოხვე!?.. უსხნო! ცხენი გაჰყიდე და ნაცვლად ვირი იყიდე,— კარგად ივაჭრე!

«თუით შენ ჩემებრი სით გფერობდა? საშენო საყოფი მლაშე ქვიანი და უმდელო არის, რასალა ეძებ მწვანვილიანსა წალკოტსა და საყოფსა? მე ლომი მეგონე, ირმის მონადირე,—ეს თურე ბერი მელი ხარ, ათასითა ხრიკითა კურდღლისა მლივ შემპყრობელი! რადგან ტანი წმიდად გებანა, თავსა ნაცარი რად დაისხი? რად დასდგი ღვინისა ჭიქა და კელთა ძრმისა აიღე? რად დასდგი მუშკიანი უკდური, და ნიორისა ჯამი დაიჭირე? რად ასდეგ საკელმწიფოსა საგებლისაგან და დასჯექ ფლასსა ზედა? არ კმა იყო იგი შეცოდებად, რომე წახუე, დამაგდე, ცოლი შეირთე და შენი მგონებელი გამწირე; ყუელასა ჩემი გაბედითება აცნობე და ჩემთა მტერთა გაახარე? არ კმა იყო, რომე ჩემი სათრეველი წიგნი მომწერე და საგინებელი, და სისხლი ჩემნი მას წიგნსა შიგან დაღვარენ? არ გახსოვს, ოდეს ძიძა გამოგიგზავნე და ავი ავსა მომიმატე, აგინე და გამოითრიე, ათასი გრძნეულობა, ავის მოქმედობა, ძაღლობა, ჯადეგობა შეჰყიველ? შენ ხარ ჯადეგი და უწრფელო,—არ ძიძა! რაცა მას უთხარ, აწ ყუელა შენთანა მიპოვნია.

«თავსავე ზედა იგი გლახ მოაღორე და მეც, რომე ყოველი საქმე კელოვნად იცი. უსხნო! უზენაროდ შენ იყავ ჩუენზედა: წახუედ გორაზს, ვირე გწადდა მუნ იყავ და იხარებდი, აწ მოსულხარ თუალ-ცრემლიანი და გულუბნები. სიტყუანი მოგიგაზმან

გარეთ ოქროთა და შიგნით რკინითა, და მე იგი წალკოტი ვარ ათასფერად აყუავებული, რომე შენგან მაგა ერთისაცა თქმა არ მეკადრებოდა; მე იგი ვარდი ვარ, რომელ ყოველნი ველმწიფენი ნატრით თავს გარდაიყრიან; შენთა თუალთა წინა ვით გავჭკნე ესრე საუგოდ, რომე დევისაგან უფრო გედუხჭირებოდი? მე წმიდა წყარო ვარ, რომე რა სუი, მიწა ჩააქციე; აწ გულს მოგწყურვებია და სწრაფით მოსრულხარ: თუმცადათ გნდომოდა, მიწასა არ ჩააქცევდი შიგა!»

ლზ

მაშინ ეგრე უთხრა:

— ჰე უყავილო ჩინელთა, ბარბარელთა! ნათქვამია, საწუთრო წისქვილისა ქუისაებრ მბრუნავია; ღმერთისა ესრე დაუწესებია, რომელ ზოგჯერ[1] ცხელია და ზოგჯერ ცივი, დ ჩუენ საწუთროსა შვილნი ვართ. ეგრევე კაცი ზოგჯერ მრთელია და ზოგჯერ სნეული, ზოგჯერ ბედნიერი, ზოგჯერ უბედური და ზოგჯერ გლახა. კაცისა ბედი სუსტია, რომე ცოტა კორცი და ცოტა ძვალი ვერას მოიჭირვებს; ზაფხულსა სიცივეს მოინდომებს, ზამთარსა—სითბოს; თუცა საჭამადისაგან ცოცხალა, ეგრეცა ჭამა დაასნეულებს; რაცა საწადელი მოუნდების, სანამდის აღარ უნდა,[2] ვითა პირველ, რა ნება მოვიდა; წავიდა კუშტობა, და რა ნდომა მოვიდა—წავიდა სიზანტე! არა საწადელი უარეა მიჯნურობასა: რა მზისა მგზავსი

---

[1] ერთს ძველს და უკეთესს ღედანში «ჯერ-ის» ნაცვლად ხმარებულია უფრო ხშირად «ჯირ».

[1] ვარიანტი: «უნა».

გიყუარდეს და შენ მას უყუარდე; ასრე მიჯნურობს კაცი, რომელ წამსა თმობა აღარ შეეძლოს. ნდომისა კელსა ქუეშე გული ძაბუნია, ამოსა გამოსვენებასა და ძილისაგან უნაწილოდია ჭირსა ნახავს ძებნასა შიგან, და რასაცა ქნა და ნება მიხუდეს,—მასვე წამსა გაძღების დ მოეწყინების; ვერცა ერთგან ყოფასა გასძლებენ, ნაზობენ და ვერცა სიშორესა მოიჭირვებენ.

«მეცა კაცი ვარ და ერთსა საქმესა ზედა ყოფად ჟამმან არ მიმიშვა. ვითა მფრინველი, გონებითა ეგრეცა შენსა მიდამოსა ვფრინვიდი, ამით რომელ შენისა მიჯნურობისა ლაგამი ამდებია პირსა. მაშინ შენი ზნე ყუელა აგრე მეკეთებოდა, ვითათუით საკეთო ხარ; მერმე რა შენ გამიწყერ, კუშტობა დაიწყე და მტერობისა ახალი კარი გააღე, წავედ, რომელ არამცა მეჭურიტა შენისა წყრომისა და ნაზობისაგან. წავიღე სიყუარულისა კავაბი შენისა ნაზისა ქორისა შიშითა; იგი გული, რომელ შენგან სებიერი იყო, შენგანვე ბედითობასა ვერ მოითმენდა; მეგონა, წასულისა ჟამსა, ნუთუ უვისობა მოვითმინო. ვძებნე კეკლუცი გულისა მისაცემელი, მას გული ამად მივეც, რომემცა შენისა ჯავრისაგან დასხნილვიყო. მითხრეს: «მიჯნურობასა სხუისა მიჯნურობისაგან არა დასწყუავსო, ვითა რკინასა რკინისაგან კიდე არა დალეწს; რა კაცსა ახალი მიჯნურობა გულსა ჩაუვარდების, ძველსა მალე დაივიწყებს; რა ახალი სიქა მოჳოდეს, ვაჭრისა ძველი სიქა უპატიოდ გავდების ქალაქსა შიგან.»

«მე რა მოყუარეთა შემაგონეს, მათითა მივმართე გორასს. თუარა ესე შენცა იცი, რომელ ჩემი თვალთა ჩენა შენი ჭურეტა არის; ვითა წყურვეული წყალსა, ეგრეცა მე შენისა პირისა ნიშანსა ვეძებდი. ზოგჯერ შენისა ჯავრისაგან დასხნასა ვეცდე-

ბოლი; ვარდი ვარდ-სახელი ვპოვე გზასა ზედა, ეგრე მეგონა — ქლვარე მთუარე და მისისა სესნასებრ სურნელი და ლაწუ-წითელი. ეგრე ვიტყოდი: «გული მივსცე ამა მზესა, დავეხსნა ვისის ჭირსა!»

«გულსა სისხლითა ვრცხიდი. ცხადად და იდუმალ მევაგონებდი საბრალოსა გულსა ჩემსა და არა მერგების მისთა მუდარითა; შენგან სიძუმილსა და ნაზობისა ჯავრისაგან ვეძებდი ამა ღონესა, — შენისა სისხლისა მოწყენილი არცა მაშინ ყოფილვარ; გარნა[1] რაზომნი რამე საქმენი მაშინ ჩემზედან იქმნნეს, სხუა ღონე არცაღა ეგრე მქონდა და აწ ასე მომდებია გულსა ცეცხლი, ვითა თუით იცი. მაშინ შენითა გამოთხოვითა წავედ, ცოლი შევირთე ეგეთი, ვითარი გასმია, და აგრე დიდად შევეწყალე შაჰინ-შას. დღივ და ღამე ვტიროდი, ნადირობასა ვიყავ თუ სმად ვჯდი, — ჩემნი ცრემლნი შემშრალნი არვის უნახვან. შენისა სიყუარულისათუის ცოლი დავაგდე და იგი ეზომ დიდი დიდება; ჩემგან შენსა სიშორესა შიგან გაძლება აღარ ეგებოდა; ესეთი ორგულობა იქნა ჩემსა ტანსა შიგან, რომელ, რა ტანი სიხარულითა იყუის, — გული ეგრეცა მოზრუნავთაებრ შენისა სიშორისათუის ტიროდის, დაილეოდის უშენობასა შიგან. არცა მძინარესა და არცა მღვიძარესა უშენოდ წამიცა არ დამიყოფვია ამოდ. აწ შენ ხარ ჩემი ღონე, ავი და კარგი, ჭირი და წამალი, სიტკბო და სიმწარე, სიცივე და სითბო; შენ ხარ ჩემი ნება და ფავთერაკი, ჭირი და ლხინი, დაღრეჯა და სიხარული, სიგლახე და სიმდიდრე; შენ

[1] გარნა — საგულისხმოა რომ ხმარებულა ზოგჯერ როგორც «რადგან».

ხარ ჩემი სიცოცხლისა მიზეზი, შენ ხარ თუალი და გული, სული და საწუთრო, ჩემი მზე და მთუარე, ცა და ქვეყანა; შენ ხარ ჩემი მტერი და მოყუარე, რომე ნუთუ ბედი ხარ და ყუე-ლა შენგან მით მჭირს. შენ მიყავ რაცა გწადიან, კელმწიფე ხარ ჩემზედა!.... მე შენგანვე შენთანა მით ვჩივი გულ მკურ-ვლად და შემოგეხვეწები, რომე გულსა ზედა პატრონი ხარ. მე ესე რა შენითა კმობითა მოსრულვარ და ნულარ უწყალო მექმნები!»

ვისმან ეგრე უთხრა მტირლმან და ეგრეცა მჯდომმან, რომე მისისა პირისაგან ხანნი განათლებულიყვნეს. რამინის ეგრე დგომის დ მიჭირვებისათვის გული სტკიოდა, მაგრა ქვისა მსგავსი გული მისი არცა ეგრე მოლბა. ქვასა ზედა ნახატი ადვილად მოიკოცების, მაგრა იგი ადრინდელსა შურსა იგებდა. რა გული გაუკვირდის, შურმან მისმან ცეცხლსა ზედა წყალი დაასხის. ეგრე არქვა რამინს:

— ჵე მაღორჭებელო, ენად სიკეთისა მინდობილო! ენოვნობისა მოედანსა შიგან ბურთი ჩაგიგდია.... წადილითა ქარი არ შეიპყრობის, არცა ტალახითა მზისა შუქი დაიკოდების. თუ წასულედ ჩემისა სიყვარულისაგან გორაბს, ვითა წყურვეული წყალსა ეძებდი, ზოგჯერ ჩემისა კიდეგანობისათვის ჭირისა

მავიწყებელსა აღარა ღონე გქონდა სხუისა ცოლისა შერთუისა-თუის კიდე; შეირთე, რომელ ჭირი დაგავიწყოს და უჩემოდ არას ჟამსა გქონების გამოსვენება და სიამე,—აჰა, ვითამცა ესე ყუელა მართალი გითქუამს, დამიჯერებია....

«მაგრამ ესრე სათრეველი და სააბეზარო წიგნი რასთუის მომიწერე? რად მომითვალე ეზომნი ზნენი და აუგი? მიძა-გლახ ჩემი ესრე ბედითად რად გამომიცორვე?[1] ვისითა ბრძანე-ბითა გაჰკადე მისთა მტერთა წინა, ვითა ძაღლი უპატიოდ? აწ ერთსა შეგაგონებ და გულის-ყურითა მოისმინე: ვისცა წაეკიდე-ბოდე, გულსა შიგან საზავოსა ადგილსაცა დაუგდებდი; მეცნიერი კაცი ომსა შიგან საზავოსა ადგილსაცა დააგდებს, შენ ეშმამან ვით გაგასხელა, რომე ძირითურთ სიყუარულისა ხე შენისა გუ-ლისაგან დაიგლიჯა?

«არ გასმია,—რომე ორნი ეშმანი მტერობისათუის მიწყით ნიადაგ კაცსა უგანა დგებიან: ერთი ეგრე ეტყუის: «ესე რამე საქმე ქმენო, სარგებელი მოგხუდების.» და რა ქნას, მეორე ეგრე ეტყუის: «რად ჰქმენო? წასწყმდიო.» შენ პირველ-მან ეშმამან ესრე გაგხადა, რომელ უგანანდელი განანებს. ავისა უქმარობა უადვილეა. შენისა შენდობისა და ზენაარისა თსოვა-სა, ესრე ვითა უმაშნოთა შეჭამადთა ჭამასა მაშუნეთა სჯობს და უადვილეა უგანის ზედა წამალთა სუმასა. თუმცა ეგე ცნობა მაშინ გდებოდა, აწ ენა ჩემი უმოკლე იქნებოდა; და თუით-თუმცა მე ცნობანი მსხდომოდეს პირველვე, რა საჩემო იყავ?

[1] ვარიანტი: «გამოიცრუე».

ვითა შენ დამაგდე და ინანდი, ეგრევე აწ მე ვინანი და მე ვარ მას თავისა ბრალობასა შიგან: თუით რად გნახე და თუ გნახე, რად საყუარელად შემიყუარდი, რად მოგისმინე? აწ შენ წყალი ხარ და მე ცეცხლი, და წყალი და ცეცხლი ერთგან აღარ მოჴკდებიანო.»

ძთ

ამინ ღმობიერად ეგრე უთხრა გისსა:

— შენმან ამას ღამისა წყრომამან სიკუდილსა მიმწყრა!.. ჩემთუის ორი ღამე არის: ერთი ჯვარისა სიბნელისაგან და ერთი შენისა წყრომისაგან. რა დიდსა თურე მიჭირვებასა გასძლებს კაცისა გული! თუარა შენსა საჩემოდ ეგრე ხედვასა შიგან ვითალა გლახ ცოცხალვარ? ამის ღამის სიძნელისაგანცა სულნი პირად მამსულიან. ჩემმან რასსმან რაღა გლახ შეგცოდა? დია თუ მე შეცოდებული ვარ და თუ ჩემთუის გშურს საჯდომი და საგებელი, ამისთუის ეგრეცა ცოტა ბზე და ქრთილი ნუ გშურს, ვითამცა თუით ყოლა არ მიცნობ და სტუმარი ვარ; ყოველი კაცი სტუმართა მასპინძლობისათუის იჭირვის და შინა უნებლივ აწვევს. ამა ცხენისა სიყუარულითა გაასარე სულსა ჩემსა, თუარე მე თოვლსა შიგან თუ მოვკუდე, სახელად მიხსნ შენითა მიზეზითა სიკუდილი და არცა უშენოსა სიკუდილი და სიცოცხლე მინდა! აქა სიკუდილი მიჯობს და მირჩევია ამა საწუთროსა ჯვარისა ზიდვასა და შენისა წყრომისა სმენასა. აჰა, ვითამცა არცაოდეს სახელი გა-

სმის ჩემი, არცაღა შენდობისა-რას მთხოველი ვარ, ნუღარა აგრძელებ ჩემსა საქმესა, ნუ მიზეზობ. აწ ყოველი კაცი ნაჯომარდობით გიკმობს; თუ ეგრე მითხრობ: შეიქეც გარეო, უიმედოო,—ვისცა ესმის, სიმჭირესა გიზრახვენ, არ წყრომასა იტყუიან.

«ჩუენსა შუა არცა სისხლი ქნილა და არცა ძველი მტერობა, —ეს ნაზობით არის, და არ გულის გამოღმართი რამე მტერობა. სიკუდილითა ლაღობა არა კამს. აწ შენ მონასა სულითა რას ჰლაღობ? მე არ ესეთი ვარ, თუმცა სიცივემან გამაქცია ანუ ეს მიდამო დამაგდებინა. ვირე სულნი მიდგან, აქა ვდგა შენსა წინაშე; არა გამვა, თუ თოვლსა შიგან მოვკუდე; არცა-რად მეაუგების შენთუის სიკუდილი. უშენოდ ყოფაცა გამომიცდია და მკუდრისათუის ცოცხალსა მინატრია, და თუ უშენოდ ვცოცხალვიყო, რადმცა სისარულად მიჩნდა?! ჰე საზარო ზამთრისა ბუქო, მოიმატე ფიცხელი ყინვა და თოვლი, რომე უმალე დამილივნე სულნი! ჩემთუის სიკუდილი თოვლსა შიგან დია უამეა საწუთროსა მაბუნობასა დ მოყური-სა დამტერებულისა; ხედვასა. ტანი ქვისა და სული რკინისა ვერ გასძლებს ამა ყოფასა, რასაცა შიგან მე ვარო!...»

ო

ვისმან ეგრე უთხრა:

— ჴე გამწირაო რამინ, ბოლოსა ყამსა შენისა გონებისაგან ჩაიჭერ ფათერაკსა. ავისა მოქმედთა და შემცოდეთა წესი ეგრე არის, რომელ განაღა ოდესმე აგეთსა ჭირსა ჩაცვივიან, ვითარსა აწ შენ ჩავარდნილხარ. წასრული მფრინველი მახესა არ შეებმისღა? შენ აწ ამას ქალაქსა მარავს შიგან უსახლო ხარ და ეზომთა მოყუარეთაგან უცხო; არცა ოდეს ჩემგან ნებასა ჰპოებ და არცა მარავშიგან სადგომსა. ესე სჯობს, რომე ცუდად არა სდგე, ბედითად არ უბნობდე და რიყესა შიგან კარდსა ჰ სოსანსა არ ეძებდე. რა წინანდელი მოყუარე კელთაგან წაგივიდა, ესე სჯობდა რომელ უკანანდელსაცა გუერდით ამოდ ჯდომილიყავ. გულ—შენი ცოლი არის და მისებრი მალხენელი შინა გიჯდეს, შენ სხუაგან რად იყო ასრე გულ-გატეხილი?

«ესე დარბაზი შაჰინ-შაჰს მობადისია და მისისა სტუმრისათუის ბედნიერიმცა, მაგრა არ ეგეთისა მომაყივნებელისთუის, ვითარი შენ ხარ. ნუგინ მეჭმანი გიყოს ღმერთმან, რომე არცა მასპინძლისათუის გრცხვენიან და არცა ღმრთისაგან გეშინიან! ჵ შენ არცა მანდა დგომასა ჵ ჩემსა საუბარსა ღირსხარ, პირად ვით მიგიშვა ანუ მობადის დარბაზსა შიგან ვით შემოგიყუანო? მე აქათ კიდე გაგაწყევ, და შენ ეგრე იტყუი: «სტუმარი ვარო!...» მას გლეხსა გამებულსა ჰგავ, რომე სოფლად არ შეუშვებდეს და იგი ეგრე იტყოდა: «სოფელი ჩემის კლდისა არისო.» ოდეს სახლით გამოხუე, მაშინვე არ იცოდი, რომე ზამთრისა თოვლი და წვიმა იყო და ბუქი შეიქნებოდა? ესე გზა სალაღობლად რად გიჩნდა, რადგან ესე იცოდი, რომელ მარავს არცა სახლი გიდგს და არცაღა ვისი შენი მოყუარე იყო? რად დაიწყე ზამთრის უბარგოდ სიარული? შენი უმეცარი გული შენი მტერია; შენი საყუედური მე არადღა დამაჩნდების.

«კარგად მოახსენა ჯიმშედ მეფესა მისმან ვაზირმან თუ, «უმეცართასა ნუცა სიხარულად მისუალ, ნუცა ზრუნვადო.» ჯერეთ ოდეს არცა კელმწიფედ იყავ და არცა სპასალარი, მაშინ დღივ და ღამე ჩემისა შეგონებისაგან არ დასდგებოდი; და აწ, რა გასდიდდი, შენი ალამი და დროშა ცად გაიწია, საყუელაოდ შეუპოვარ იქმენ და მე აბეზარ მქმენ; გამკიცხე და გამაბედითე და აწ კულა ჩემგან სამასპინძლოსა ქებ,—ზამთრისა ზაფხულსა ინატრი.[1] რა ნებიერი იყო და მოხარული, მაშინ არ ჩემი

[1] იგულისხმება: ზამთრისა ყამსა ზაფხულს ინატრი.

ხარ; და რა თოვლმან და ბუქმან გაწყინოს, მაშინღა მო-ხუალ?!...

«გარდაიწყუიდე ჩემგან იმედი, დამეხსენ შენისა ღმრთისა-თუის და გამაazატე შენისა საუბრისა და სიახლოისაგან!»

ოა

რამინ გულ-გატეხილმან ეგრე უთხრა:

— ნუ მიზამ მთუარეო, ნუ მაყუედრებ ეგზომსა დაურიდებლად, ნუ დამამძიმებ! არ მეყოფის ეგზომი გინება და ეგზომჯერ პირის-წყლისა წაღება დ̃ აუგი-სა ყუედრება?.. ჭულა ზედა საყუედურისა ისრითა მესური გულსა, ველარ გავძლებ ამის მეტსა. სული დ̃ გული დაგი-წყლულებია ჩემი, ამის უარესი რაღა წამეკიდოს, რომელ ეგრე მეტყუი: «ეგე ადგილი მშურს, სადა სდგაო?» რად გშურს ფოლორცი ჩემად სადგომად? არ მოაბადისა დარბაზია. ჯამს, თუ მტერად და მესისხლედ მიჩნდე, რადგან ყოვლისა კაცისა სავალი შარა გზა ჩემთუის სადგომად გშურს. მტერთა და მოყუარეთა ყუელათა სავალია და შენგან თუით არ პირიანია შური. არ თუით შენ მითხარ თუ, ფრთხილნი კაცნი წავიდე-ბისა ჟამსა გულსა შიგან საზაოსა ადგილსა დაავდებენო, აწ შენ რად არ გახსოვს იგი? ნუთუ არა თიკისაგან დაბადებულია შენი გუარი? აწ თუ არ შემინდობ! წავიდა სიყუარული, რაცაღა საქმარია—იქნა!

«აქათ წასვლა მინდა უღონიოდ, მაგრა უგულოსა, უმოყვროსა, ულხინოსა და უთმობელსა შენისა თმისაგან იადიგარი მიბოძე; შენისა თავის საბურავისაგან ჭირისა დამავიწყებელი მომეცი; შენისა ტოილოსაგან ერთი ალყა წამატანე მის ყმისა, ბერისა, ყუელასა გულისა დამდებელისაგან. ნუთუმცა დაეხსნა სული ჩემი ჭირთაგან, რადგან შენისა ისრისაგან ესრე დაიკოდა! ნუთუ ვირე სული ჩემი გასძლებდეს ჭირთა, შენცა გასძლე ჩემთა კიდევანობით! მასმია თუ, ღამე ყუელა მავნე არის და არვინ იცის, თუ დილა რასა შობსო. შენცა რა იცი? ნუთუ აღარ მაგა ბუნებასა ზედა იყო, რა გაიენდესო?»

ობ

ვისმან ეგრე უთხრა:

— ეგე რასაცა იტყუი, — ვიცი; გარნა სიყუარული შენი ქუე აროდეს დამცემს და შენი ძალი ვერ შემძრავს. ნავღელსა შაქრისა გემო არაოდეს მიეცემის; ქაღალდი ქუისაგან არაოდეს შეიქნების და არცა ღვინო — ლიმოსაგან. ცუილი რკინად არ გამოიღნობის; ძველი მტერი კაცსა გულ-გაწმედით არაოდეს დამოყურდების. მე შენითა სიტყუითა არაოდეს განვმართლდები, ვერცა შენითა ნასხუითა შეჭირვებისაგან ვიხსნები.

ამე შენი საუბარი ბედითი ჩემთუის მტკივის, რომე აქამდის ვისითა ყოფილვარ მომცდარი და ვისდა უკანა ვდგომილვარ, დიდნი ხანნი დამიყოფიან შენისა სიშორისათუის მტირალსა და ეგრევე სიასლისათუის მქონების სიხარული; და აწ არცა მეცინებიან და არცა მეტირებიან. მე შენგან არ ეგრე მტკივის გული, რომე შენმან ენა-მაგალითად-საუბარმან გამიკურნოს. აღარ აქუს გულსა ჩემსა სიყუარულისა მონობა: აქამდინ მელი იყო და აწ ლომად შექნილა. შენი ავი ნაქმარი ყურსა შიგან

ასრე გამჯდომია, რომე სხუისა საუბარი სიტყუისა სასმენელად გზა შეუკრავს. ყურნი ჩემნი შენ დაგიყოფიან, შენთა სიტყუათა მოსმენა აწ ვითარღა მქონდეს? დაივსო იგი სიყუარულისა სანთელი, გავქრე; შენებრთა მოყმეთაგან[1] აღარცა თუალით შორით ჭურეტა შემიძლია.

«დამაგდო მან გულმან, რომელ მემტერებოდა და მაჭირვებდა. ყუელაი რამე გამომეცვალა: იგი თუალნი, რომელ შენ მაშინ დაგინახი და ყურნი, რომელთა შენი საუბარი ესმოდის, ესრე გამოცვალებულან, მაშინ რომელსა მზისა ჭურეტა ეგონის, აწ ვითამცა ფიცარსა ხედვიდა; რომელსა სამახარობლოვითა ჴმა უხაროდის, აწ შენისა ჴმისა სმენა ვითამცა მახვილი რამე დამესობის. არ მეგონა სიყუარული ეზომ ბრმა-ვითა! აწ ვიცი, მიჯნურსა ყოფა მიწყით დანაღულდების. მე აწყა ვარ გამოსვენებული, გულ-მხიარული და თუალ-უცრემლო; აქამდის ცუდად დამილევიან დღენი და აწ ველარ დავებმი შენითა საქმითა მასვე ჭირსა. ამას სოფლისა სიამესა და საუკუნოსა შუებასა ერთ ავკაცად[2] და უხანოდ ვერ გავსცული.»

---

[1] ვარიანტი: «მოყვარეთაგან».
[2] ვარიანტი: «ერთ კაცად».

ოვ

რამინ კუალადცა ეგრე უთხრა:

— გული ჩემი შენ გყავს, მისი წამალი შენ ხარ და ღონედ შენვე გქებ; შენ რაზომცა შორს მდევნი, მე ვერცა ეგრე მელევი. ვიცი, რომე მოგძულებივარ და მოგწყენივარ, ჩემისა მტერობისა თესლი დაგითესავს, მაგრა მე შენითა სიყუარულითა ვერაოდეს გავძღები და შენის გაყრისათუის ვერაოდეს ვგულოვნობ. მე თუით მეტსა არას ღირს ვარ: შენგან გინება და ჩემგან ქება, შენგან კუშტობა და ჩემგან ლმობიერება, შენგან წყრომა და ჩემგან შეგუილი და სიყუარული ძველებრივვე. მე აქათ ვეღარა შიში წამიყუანს და შენებრსა ვერსადა ვჰპოებ. თუ ერთსა თუალსა ამომიგდებ, მეორესა თუალსა წინა მოგიპყრობ; ეგრე რაცა გიგინები და მწყრალხარ, ყუელა წყალობად და ლოცვად შემიწირავს. შენგან წყევა კურთხევად მიჩნს და შენგან გინება და აუგთა მოთულა ესრე მიამების, ვითამცა ნებიერსა მუტრიბთა ჴმა მესმოდა; რომლითა ენითა მაწყევ, მითვე მალხენცა. მე ეგრეცა შენისა

ღმობიერებისაგან მოკვლი ჩემსა სიწყალულსა.[1] მე იგიმცა კაცი არ ვიყავ, რომელ ლომი წინათ აშინებდა და პილო უკასნით? თუ აქა ვიყო, ნუ შენსა ეგზომსა წყრომასა ვერ გაუძლო; და წავიდე, ვაი თუ ამა თოვლმან და ბუქმან მოსამემკლას![2] მე ამა ფათერაკთა ორთა შუა დაპყრობილვარ, ამა ორთა საქმეთაგან უღონო ქნილვარ. თუცა სიკუდილი ძნელია, ამათ ყამთა სან-დომია, რომელ ჭირთაგან იხსნების კაცი. საწუთრო თუალთა ვითა ალყა მჭიშნედ მიჩანს და გული ჩემი შენთა შავთა თმათა ალყით დაბმული; მე ესეთი აქათ სადაღა წავიდე!»

---

[1] ვარიანტი: «შენსა სიწყალულსა».

[2] მოსამემკლას — თუ მომკლას.

ოდ

ვისმან ეგრე უთხრა:

— ეგე რომე ენასა ათქმევ, გულსა ერთიცა არა გიძს. გულსა ზარსა შიგან[1] აგროებ და ენასა შაქარსა. ღმერთი ცათა შიგან მყოფიცა ნუ მისთუი ღმერთი![2] და თუ შენი გული ჩემთუის მოყუარული არისცა, შენი კელი[3] თუით იგია, რომე შენსა ენასა ვინცა არ იცნობს, ასრე მოიღორების, ვითა მე მაშინ მამაღორე. აწ, რამინ, დადევ გული, სიშორისა თმობისა წყალი დაასხი ცეცხლსა ზედა. რაზომიცა საუბარი დაიმოკლო, გიჯობს; რაზომცა მეცა მოკლედ გიწურეტდე, მეცა მიჯობს.

«კაცი თავსა ჭირსა მისცემს, ოდესცა გამოცდილსა კულა

---

[1] ვარიანტი: «გულსა ნაღველსა აგროებ».

[2] თარგმანი: ღმერთი, ცათა შინა მყოფიც, არ არის შენის ენისათვის ღმერთიო.

[3] შენი კელი—შენი ხელობა, შენი ქცევა.

გამოსცდის; მეყო იგი წყარო, რომე თუალთაგან მდინე. თუ ათასსა წელიწადსა ცეცხლის მსახური ცეცხლსა მსახურებდეს, ბოლოდ ეგრეცა ცეცხლითა დაიწუის. უგუაროსსა შვილი და მგლისა ლეკვი წურთითა არ გაკეთდების. აწ ამას წინათ დია გამომიცდიხარ, ზოგჯერ მუდარითა და ზოგჯერ მუქარითა, და რაცა იყავ, ბოლოდ გამოიჩინე. ნახევარნი დღენი ჩემნი შენითა ბედითა მოყივნებასა და აუგსა შიგან დავლიენ, და აწ ბარე რომელი დამრჩომია, ამას ბედითად არ წავაკდუნვებ; მის პირველისა მიჯნურობისაგან სარგებელი არა მაქუს კელთა, რომე აწ სიყუარულსა დავება. აღარა შემიყუარდებიან ჩემნი უყუარულნი და აღარ მივსცემ გულსა უზენაროსა კაცსა,—არა ვარ თავისა მტერი, დედამან არ შენთუის მშობა და არცა ღმერთმან თავი ჩემი შენ მოგცა.

«ჰაი, ჰაი, რა დია მეყოფიან უსარგებლოდ და ცუდად ათასისა წლისა ეზომ დიდნი ჭირნი, რომე მინახვან და მუნითგან აუგნი! ამის მეტი აღარცავისგან შეგუება ეგების, რომე შეგაგუებდი და შენი გაუწირავი ვიყავ, და მით გული ესრე მომიკალ. რასდონიცა კარგი ვქმენ შენზედა, იგიცა სინანულად გამიკადე! მიჯნურობამან ჩამაგდო ჭირსა ძნელსა, უგუდავება დამანაღულა და მოყუარენი დამამტერნა. ერთმან გულმან ვირემდის გასძლოს სიყუარულისა და სიძულილისა ჭირი! თუმცა რკინისა მთა ყოფილიყო, ეგრეცა ბეწუისა ოდნად დაილეოდა. თუ მიჯნურობა გწადდესცა, შენ ამას არ იტყუია თუ, ერთხელ შიშისა და ჭირისაგან დახსნოდა და აწ გულა სირეგუნითა ბადესა რადღა შეებაო?!...»

ოე

რამინ ეგრე უთხრა:

— ნუ გამწირავ, ვისო! გული და ენა შენი არ ემოწმებიან ერთმანერთსა. შენსა გულსა ვერ უგრძნია,[1] თუ ენა შენი რას უბნობს. შენი საუბარი დუმბულსა ჰგავს, რომე კმა საზარო უძს, და შიგან წმიდა ქარი დგას. შენი ენა იტყუის გაძლომასა ჩემსა, მაგრა გული შენი ვერ შემმართებს. ღმერთიმცა ჩემი ნუა მისი მწე, თუ შენ არ დია გიყუარ და არ დია გინდა ესე, რომელ მანდა, შენს გუერდით ვჯდე. მაგრა აწ ბედი ჩემი ესრე მომქცევია, რომე დამმესისხლებია და შენ უგულოთა საუბრითა გაუბნებს.

«აწ მე თოვლთა შიგან გაყინული ვკუდები და ამის მეტი აქა გაძლება ყოფისა აღარა მაქუს. აწ იგი არაკი გამართლებულა თუ, «უმეცარი მოყუარე მესისხლესა უარესო.» თუ თავისა შვილიცა უმეცარი იყოს, მისგან გარიდება კამს. მე აქა თოვლთა და ყინვათა შიგან ვდგა, და შენ ნებიერად თბილსა

[1] ვარიანტი ძველი: «შენსა გულსა ვერ იგრძნა».

სახლსა ფოცხურისა უპითა ხარ და ათასი რამე ბედითი საუბარი დაგიწყია.

«არაა აწ ჟამი ნაზობისა და სებიერობისა! შენ იგივე და იგივე საუბარი არ დაგელევის და ლამაზობა, და მე სიკუდილი ჭაერისა სიფიცხისაგან მამწყრვია. ჩემი სიკუდილი ომსა შიგან კამს, რომე ლაშქარნი თავის თავ შემომრეოდეს,—არ ქსრე უნაცულოდ და ბედითად თოკლთა შიგან. აწ რადგან არ გინდი, არცა მე გემასტიყები. რა ცოცხალვიყო, მე მოყუარე არ დამელევის; მე შენგან ჩემსა დათმობასა არ ვეჭუ, შენ მოაბადისი იყავ და მოაბად შენი იყოს; მე წავედ, ღმერთმან თქუენ ერთმანერთისანი გყუნესო.»

ოე

ვისმან ეგრე უთხრა:

— ეგრემცა არის, ვითა სთქუი! ღმერთმან მშვიდობა მოგცეს, მილი და სიარული ორივე გაამოს, დღე სვიანი და გული მხიარული მოგცეს, და მე, ვისი—საკამსოსა; მეცნიერი და სანატრელი მოყუარე ვარ და ჩემებრი არა გინახავს და არცა გასმია. მე იგივე ღაწუთა სინათლითა კაცისა განმანათლებელი მზე ვარ და ლამაზითა სიტურფეთა მეფე ვარ ზანგეთისა. ჩემთა ღაწუთა სიახლითა ვარდთა პატივი ასრე აჭკნდების, ვითა ვარდისა სიახლითა კმელთა ნართა; მე რომე გენახე, მასზედა არა მამკლებია, მატებისაგან კიდე; ჯერეთ ელვარეობა არ დაბნელებულა, არცა მუშკისა ფერი თმა ჩემი არ გაქაფურებულა, არცა კბილთა ჩემთა მარგალიტობისა ელვარება მოჭკლებია, არცა სიმართლე ნაკუთისა ჩემისა გამრუდებულა. თუ მაშინ ახალი მთუარე ვიყავ, აწ სრულა მზე ვარ, სიტურფითა კელმწიფეთა კელმწიფე ვარ; მძინარეთაგან ოქროსა ტარალი ესრე ვერ წაიღებს, ვითა მე მღვიძარეთაგან—გულსა;

ღომი ირემსა და ავაზა თხასა ეგრე ვერ შეიპყრობს, ვითა მე ჩემთა მიჯნურთა გულსა!

«თუცა მე შენთანა უპატივო, ძაბუნი და ბედითი ვარ, სხუათაგან არა მჭირს. აწ იგიცა მოიგონების და მეცა. ვარდიცა ვინდა და იაცა. ასეთი დღე მამხუდა ასეთისა თათბირისაგან. ადრე აოხრდების ქალაქი, რომე ორნი ამირანი დგენ. სად გინახავს ორნი ხრმალნი ერთსა ქარქაშსა შიგან ჩაგებული, ანუ დღე და ღამე ერთგან მყოფი? უმეცრობასა მე მაყუედრებ, და შენ თუით უმეცრობისაგან გასრულხარ მტერთა სამეროდ.

«შენ თუმცა უმეცარი და შლუი არ ყოფილიყავ, ერთიმცა ეგე არ დაგემართებოდა; რადგან მე უმეცარი და გონება ნაკლული ვარ, მადლობდი ღმერთსა, რომე შენ ესეთისა უმცოდნელოსა მოასლეობისაგან აღარ დაპყრობილხარ, და ეზომ დიდისა კელმწიფისადა და თუით მისებრ უმეცრისა, ვითა შენ ბძანებ, შენისა პატრონისა ცოლი და მოასლე ვარ, და აღარ შენიო!»

რა ვისმან ესე საუბარი გაასრულა, არცა ეგრე მოიდმობიერა გული, სარკმელთაგან გარე შეიქცა და მაღლად გუშაგთა ეგრე უთხრა: «ფრთხილად იყუენით, ამას ღამე ნუ დაიძინებთ; ავი ღამეა, ნუთუ ჭაერობისაგან ციხესა რა ევნოსო!» ესე ამად თქუა, რომე რამინს სრულად იმედი გარდაუწყდეს.

რამინ მუნით წავიდა სიცივისაგან გაყინული, სულთა და მოყურისაგან გაწირული, მიეფლვოდა თოვლთა შიგან გახელებული ვისის ჯავრისაგან. თავის თავსა თუით გულსა უდებდა და ეგრე ეტყოდა:

«ნუ შეიჭირვებ, გულო, თუ მოყუარემან გაგწირა,—მიჯნურობასა შიგან ესე დიდად იქნების, მიჯნურთა უპატიობა

დია დაემართების. და თუ აწ ცოცხალი დარჩე, დაეხსენ ესე გუარსა საქმესა. აქათგან აზატი ხარ ყოვლისა ჭირისაგან, და აზატი კაცი მონისაგან ჭირსა და ჯავრსა ვერ გასძლებს უსამართლოდ. არ ეგების გუარიანი კაცი უსამართლოსა მოქმედი და გონიერი კაცი—უპატიობისა დაუხედავი. შენ აქათგან მიჯნურობასა დაეხსენ და ვირე ცოცხალი იყო გარდასრულთა დღეთა ტიროდი, ვისის ნაქმართა იგონებდი და ამასა იტყოდი: ვაი, ცუდად დალევნულო დღენო ჩემნო, რომე იმედისაგან კიდე ვაების მეტი კლთა არა დარჩა! ვაი ბურთსა უგანა ცხენისა ცუდად მოკულა, რად ჴელოი ვერ წავიღე. გულო, ბეტყოდი თუ, შეიქეც გზასა,—აჰა, ორმო დაგხუდებისა!.... ენაო, შენცა შეგაგონებდი თუ, ხუაშიადსა ნუ გამოაცხადებ! უსაეჭვოდ ვხედვიდი ჩემსა გაბედითებასა, რომელ, რა შენსა გულის ნადებსა ვისსა აცნობებდი, იგი მუხამდის გააგრძელებდა მისსა ნებიერობას და ნაზობასა, რომე საამოვნო აღარ დარჩებოდა. გულო, გიჯობდა სულისა დალევა,—აჰა, აწ გითქუამს და არა გერგო?!... მართალი თქუა კაცმან ვინმე თუ, დათმობა მფრინველთათვისცა კარგიაო.»

საწუთრო ასრე მაღორებელია, ვითა ვისი და რამინ მიჯნურობამან დაიმაბუნა. საწუთრო ეკიცხევს ყოველსა კაცსა, მომზიდაობასა და ბუნებასა კაცთასა ესრე აბრუნვებს, ვითა თვალთა-მქცეველი’ მძივსა: ზოგჯერ მოხარულია და ზოგჯერ შეჭირვებული, ზოგჯერ მოყურიანი და ზოგჯერ მტერიანი და მეშურნეთაგან შეფრობილი. თუმცა ამისი ღირსი არ იყო კაცი, დიდის გემოდ ვერცავინ ნაზობდა, არცავინ ვისთუის გამიჯნურდებოდა და არცა თავსა ჭირისა და სიკუდილისათუის დასდებს. და თუმცა ამა საქმისაგან დაღალატებულნი არ იყუნენ,

სწუთირო ეგრე ვერმცა აბრუნებდა, ვითა ვისის და რამინს დაემართა,—სიყუარულისა უარაკოსა შედეგად უარაკოსავე საერთმანერთო უწყალო გამწირაობა მიხუდა.

რა რამინ იმედ-გარდაწყუედილი წავიდა და ვისი ზე უკუმოდგა, შექნა სინანული და შეჭირვება ვისის რამინისა შინა არ შეშვებისა; ტიროდა, პირსა, თავსა და მკერდსა უწყალოდ იცემდა; მოიტყუდა, ვითა ჭირისა-უფალი მოსთქმიდა, თავსა უმცრობასა ემდურვოდა, თუალთაგან "სისხლისა ცრემლთა იდენდა და ნაკადად გასდიოდეს; ქუითა გულსა იცემდა, თუით მასცა გაქუაბულსა პირი განაცრისფერებოდა, ჩანგისაებრ კუნესოდა და იტყოდა:

«რად მოჰკალ თავი თავისითა კლდითა? რად ჰქენ, რად მოიწყინე სიცოცხლე ჩემი? რად ვიყიდე თავისა ჭირი უმეცრობისა ჩემისაგან? აწ ვინღა დაავსებს გულისა ჩემისა ცეცხლსა? რაღა მიჴსნის მე ჩემთა ჭირთაგან? რასაღა ყამსა მოველოდე სულთა ჩემთა დგმისა მიზეზად, რომე ბედისა ჩემისა უსულოსაგან არაოდეს მაქუს გამოსვენება? ვაი და ვაგლახ მე! რა ვქნა, სხუა ჩემგან კიდე ვინ დამტერებია თავსა თავისა საკლავად ანუ თავისა ნაქმარსა რა ვისგან ეწამლების?»

მერმე მიძასა ეგრე უთხრა:

— ხედავ, თუ რა წამეკიდა!... ვის დამართებია ადამისობითგან ესე, რომე კაცსა ესრე უცნობო ქმნით და გასხლებით მისთუის სანატრელი საქმე ღმერთსა კაცისათუის მიეცა, და მან თავისითა უბედურობითა თვით დაიკლო? ვინ დაბადებულა ჩემსა ეტლსა ზედა სხუა კაცი? კარსა ზედა მოვიდა სუე-ბედნიერობა ჩემი და უმეცრობითა ჩემითა გავადევნე; უკუდავებისა ჭიქა მქონდა და მისგან სილაღითა მთურალმან კლდთა-

გან დავაგდე. შავისა ბუქისა გრიგალისაგან მტუერი ადგა ჩემთუის, ლურჯისა ღრუბლისაგან ივათერაკი წუიმდა ჩემთუის; რაზომი თოვლი და წუიმა ამას ღამე ცისაგან ჩამოსრულა, ასი ეზომი შეჭირვება ჩემსა გულსა ზედა დადგომილა. სიხარულისაგან დავგლახავდი და თავისა სანთელი თვით დავავსე. აწ ამისგან კიდე ჩემი ღონე არა ვიცი, რომე შენვე მიშველე, ძიძაო, ადეგ და სწრაფით მოეწიე, სადავეთა მოეკიდე, დააყენე ჩემი სულისა წამღებელი, და ესრე მოახსენე: «ჰე გამწყრალო, რად კამს მიჯნურობა უნაზო!? კაცი მიწყით იმედისა მომლოდნეა, დ მიჯნური კაცი მოყურისაგან დია ნებიერობასა გასძლებს. შენ რაცა საჩემოდ ჰქონ, საგულისო იყო და ჩემგან ესე სათქმელი, შენი სალაღობელი და საცდელი იყო. არ იქნებიან მიჯნურნი, ესრე თუმცა მათ შუა ეს-გუარი რამე არ გარდაკდეს. ვის შეყუარდების ესეთი მოყუარე, რომე ერთსა სიტყუასა ნაზსა ვერა გაუძლებდეს? თუ მე საუბრითა დაგამძიმე, შენ რაზომ ნაქმრითა დამამძიმე, იციცა? თუ შენგან იგი ნაქმარი საკამსო იყო, ჩემგან ესე საუბარი რადღა არა? თუ შენგან მისი ქმნა კამდა, ჩემგან თურე სულისა დალევა კამს?» და თქუა: «ვირე მე მოვიდოდე, შენ დააყენე, ძიძაო, დ მერმე მე ვითხოვ შენდობასაო.»

ძიძა წავიდა სწრაფით და ვისი უკანა წაუდგა, მიჯნურობისა და შეჭირვებისაგან გასელებული და თმობა უქონებელი. მას მისითა სიყუარულითა არცა ბუქისა ჰგაოდა და არცა სიცივისა; გზა-გზა თოვლი კარდის ფურცლად უჩნდა.

რამინ ძიძასა დაეყენა და ეუბნებოდა; მერმე ვისა მივიდა, სიცივისაგან თრთოდა და ტანისა მისისა სითეთრითა თოვლი დაღლიბრდა, ღამისა სიბნელე მისისა პირისაგან განათლდა და

თმათა მისთაგან ქუეყანა გასურნელდა,—ვითამცა ახლად რამინისთუის მზე ამოსულიყო. მოვიდა რამინის წინა, თუალთაგან მარგალიტსა ჰყრიდა, ვითა ცა თოვლსა. ეგრე მოახსენა:

— ჰე ჭაბუკთა სანთელო, იცი თუ შენ ჩემთუის რა გიქნია ანუ რაზომ-ფერად მოგიკლავ, მოგიყივნებივარ? იგი არ კმა იყო, აწ კულა ლამი ჩემსა მოყივნებასა! ვიცი, რომე ჩემგან არა გრცხვენიან, მაგრა ღმრთისაგან რად არ გეშინიან? გაბრჭე თავისა თავსა ზედა, რომე ყოვლისა კაცისა გული შენებრ ნაზუქია. ყოველსა კაცსა ეწყინების, რა მოყუარე აწყენდეს და დაამძიმებდეს; ყოველსა კაცსა ნება თავისათუის უნდა; რაზომცა უფრო მიხუდეს, ეზომცა უფრო მოუნდების. ვითა აწ შენ ჩემგან გწყენია, აგრევე და კულა უფრო მე შენგან მიმძიმდა; რაცა სათავისოდ მოგეწონოს, იგივ სხუისათუის გინდეს. საწუთრო ესეთია, რომე ერთსა ზედა არ დაიდგამს: ერთხელ შენკერძი, და ერთხელ ჩემკერძი. თუ მტერი ესრე გაკლდეს, ვითა შენ გწადდეს,—მაშა ნუთუ შენცა ასრე გაჰკლე, ვითა მას სწადდეს. ვინცა შენებრ ავისა მოქმედი იყოს, ერთისა სიტყუისა სალაღობელისათუის რად გაწყრეს? ნახე, თუ შენ ჩემზედა რა ჰქმენ ანუ რა მიყავ, რაზომნი აუგნი მამითუალენ! შენგან ავისა მოქმედება რომე ვიცოდე, ამისთუის მგმობდე! ტუირთსა ზედა გამწირაობისა ტუირთი მამიმატე, არ იყოფინე იგი, რაცა ჰქმენ და წახუედ, ფიცი გამიტეხე, სხუა ცოლი შეირთე და მას გუერდით იხარებდი.

«თუ ღონე არ იყო ცოლისა შერთუისაგან კიდე, ისეთი წიგნი რად მომწერე, რომე ჩემი და ჩემისა ძმისა საბეზარო იყო და გინება? რა მოგემატა მით, რომელ გუიყავ? თუ შენისა მოყურისაგან არ შეგრცხვენდა, ფიცისაგან რად აღარ

შეგრცხვენდა, რომელ შემოგეფიცა თუ, «ვირე ცოცხალვიყო, ფიცი არ გავტეხო?» თუ კამდა შენგან ფიცი და ფიცისა გატეხა, ჩემგან რად აღარა კამდა მის ყამისა შენი დაყუედრება? რად ქმენ ესეთი საქმე, რომელ მისი ხსენება სააუგოდ გიჩნს? არ გასმია, რომელ ავისა ქმნა საყუედურითა უფრო მოყივნდების? მით ავია ავისა ქმნა, რომელ უკუნისამდე ახსენებენ. რადგან საყუედურსა ვერ გასძლებ, მშვიდობასა რად არ გამოირჩევ? გასინჯევდი ყოველსა საქმესა და ხუალისასა დღეს ნუ იქმ. თუ შეება ვისმე და დასცემდე, განაღა !რამე მისგანცა გეცემის; თუ ჯამი შესტყორცო, კუტალსა შემოგტყორცებს; თუ ავი დასთესო, ავსა მოიმკი; ავი სთქუა, ავიცა გესმისო; რაცა გითესავს, ნაცვალი გინახავს და რაცა გითქუამს, პასუხიცა გასმია. უნაცვლო შეცოდება არვისგან ქნილა საშენოდ.

«მაგრა ესე არ პირიანია, რომე შენსა შეცოდებასა მე გარდამაკდევ! ნუ სწყრები, შენ ხარ ბრალისა უფალი და დამამძიმებელი, შეცოდება არა ვიცი, შენდობასა რასა გთხოვო? ამას რად არ მითხრობ თუ, ესეთი ამირაობა ვინ მოგცა ჩემზედა?

«შენ ბრძე იყავ და გამოარჩიე ჩემი ბრალეულობა. ამასაცა ვიკითხავ თუ, ჩემსა თავსა, ტანსა და პირსა ზედა რა არის სააუგო და არ კარგი? მე ჯერეთ იგივე ვარ, რომელ მიცნობდი: იგივე პირი, იგივე თუალ-წარბი, იგივე ბაგე-კბილი, იგივე ნაკუთად კარგი, რომე საროსა ვგავ; პირი სისავსითა თხუთმეტისა დღისა მთუარესა მგავს, რომელ სინათლესა მზესა მოუღებს; ვარდი ღაწუთა ჩემთა სიახლითა დაყუითლდების; მარგალიტი კბილთა ჩემთაგან გაწბილდების, თმანი მუშკობისაგან არ

შემცვალებიან და თუ გაზაფხული პირსა ჩემსა ნახავს, ხისა მწვერვალთათ ფურცელსა ჩამოჰყრის სირცხვილითა.

«რა იცი ჩემთანა მიზეზი შენისა მიჯნურობისა და გაუწორაობისაგან კიდე? არ შენი მოყუარული ვარ, არ შენგან კიდექნილობისაცა შიგან შენი მომდურებული ვარ, არ ყოვლითა საქმითა შენი საკუთარი ვარ, არ ადამისობითგან ცუარიანი და უზადო ვარ, კეკლუცთა დამადუსჭირებელი და ჴელმწიფეთა დედოფალი? რაზომი თმა მასხია,- მისგან უმრავლე არიან ჩემნი მიჯნურნი! ჩემგან კიდე ვის შუენის სიკეკლუცე ანუ ვინ ზნეუკლები, რომელ სულთა და ოქროსაებრ ყოველსა კაცსა უნდი? ჩემსა სიყუარულსა შიგან ჰქმენ ჯომარდობა და აწ ცოტად მუდარა მექმენ; თუ სრულად აბეზარ გიქნია ჩემი სიყუარული, აწ გულსა ეგრეცა მოერიე.

«ნუ გამოაცხადებ, ამა მოყუარესა ნულარ მოაყივნებ, კმაა, რაცა აქამდის შენგან აუგი დამმართებია! ფრთხილი კაცი მას უფრო აქებს, ვინცა თავის ხვაშიადსა შეინახავს, რომე მისი გულის ნადები ვერცა მისმან პერანგმან სცნას და ვერცა მისისა თავისა თმამან: შენცა ჩემსა დამტერებასა ნუ გამოაცხადებ, სრულად ნუ გამწირავ; რა ვიცი, ნუთუ ოდეს მოგეკმაროს ჩემი სიყუარული!?... საწუთრო ერთ კალიბად არაოდეს დაიდგამს,—დღესისა შემდეგად სხუა დღე მოვა: თუ სიმულვილი მოგემატა მეტისა სიყუარულისაგან, მაშა ნუთუ მტერობისაგან სიყუარულიცა მოგემატოს; ვითა სიცივისა შემდეგად სიცხე მოვა, აგრევე სიცხესა სიცივე მოუდგს. აწ მოისმინე ჩემი სათქმელიო.»

ოზ

ჰამინ გულ ტკივნეულმან ეგრე უთხრა:

— უკლებო ვისო, რაცა ქმენ—ვნახე, რაცა სთქუი—მოვისმინე. ვაი მას კაცსა, რომელი თავისა უპატიობასა ვერ შეიგნებდეს, სირეგუნითა გაბედითდეს; და მე ესე საქმე თუით ეშმამა მაქნევინა და ვინანიცა დია, თუ რად მომაცთუნვა! დიდი გზა ვიარე და ღმერთმან იცის, თუ რაზომნი ჭირნი ვნახენ გზათა სიძნელისა და სიცივისაგან. მე არ ესეთი კაცი ვარ, რომელ თავისა ბედითობასა ვერ შევიგნებდე. მაგრა მემართლები, რასაცა მიზამ და კულა უარესსა, თუარა ჩემი დიდება ვისთვის დავაგდე ანუ ორსა თუესა დღე და ღამე ვისთუის ვიარე? მე ამა გზისაგან სარგებელსა მოველოდდი და ეს-თურე ცუდსა ჭირსა ვნახევდი!

«ქოისტანს ვჯედ გამოსვენებული, ნებიერი და მხიარული; გული საგონებელთაგან აზატი მქონდა და ესე უკულა თავისა ნებითა დავაგდე.... მე ამის უკულასა ღირს ვარ, რაცა შენგან მჭირს. უმეცარი გული თავისა ნებასა სდევს. ვისცა გამოსცდიდე, თუალი პატიოსანი მიეც, თუ იგი არ უნდეს,—ნაბერწკა-

ლი მიეც. ჩემთუის საწუთროსა თუალი პატიოსანი მოეცა და რა იგი დავაგდე, ნაცვლად ნაბერწკალი და კენჭი მამცა მე ბოლოდ; და განაღამცა ესე უსვეობა დამემართა. რა საწუთროსაგან უიმედო ვიქმენ, მანცა გამაუმადლოა და ეგრე თქუა თუ, «რადგან ეგრეა, თუით არ გიცნობო!...» კარგი ქმენ, რომელ გამომდევნე; ათასი ტრელობა და აბლაობა შემამაყუედრე. მე თუმცა ეგეთი რეგვენი არ ვყოფილვიყავ, ესეთსა ადგილსა, ესეთი მიჭირვებული შენადმცა მოქენედ არ ვიყავ. აწ წავედ, ნუ მოკიდებულხარ ჩემთა სადავეთა [1] და შეიქეც; ერიდე ჩემსა სიყუარულსა.

«ვითა სთქუი, მე აგრე არას ვპატიჟობ, მე დასტურ აბეზარ ქნილვარ შენგან და უკუნისამდის ერთგან მყოფად არ ვეგებით. მე თუით ესე არაოდეს მითქუამს თუ, არ მზე და მთუარე ხარ, ყოველთა კეკლუცთაგან უტურფესი ხარ, შენნი თუალნი გრძნეულთა სათავნონია, შენი პირი ყოვლისა კაცისა გამამხიარულებელია, შენნი თმანი მუშკისა ტოილონია, ყოველთა შუენიერთა შუენებისა თავი არ დასაწყისი [2] ხარ და შენი ჭურეტა სამოთხისაგანცა უფრო სანდომია; ყოველთა მნათობთა უნათლესი ხარ, ღამისა შემამკობელი მთუარე ხარ. დამაგრა თუ მზეცა და მთუარეცა,—არ მინდა რომე შენითა ნათლითა ვნათლობდე, აბეზარი ვარ შენგან. თუ უკუდავებისა წყალიცა ხარ, არა გსუამ; შენგან დარჩენასა სიკუდილი მირჩევნია. რაზომცა უებროდ ტურფა ხარ, უგულოთა მკურნალი და მიჯნურთა წამალი, რომე რგება შენგან კიდე არვინ იცის, ჩემთუის

---

[1] ვარიანტი ძველის ხელნაწერისა ყველგან: «სადევე».
[2] ვარიანტი: «დასავიწყისი».

შენი წამალი ნუ მარგებლობს; აქათგან რაზომცა დიდად ჭირვეული ვიყო, კურნებად შენსა არ მოვალ!

«ვიცი, რომ ბაგეთა უკუდავებისა წყალი გიდგს და ვინცა გაკოცებს, არ მოკუდების, მაგრა მე, რაზომცა წყურვილმან და სიკუდილისა შიშმან მიმაჭირვოს, მას საკურნებელსა წყალსა აღარა ვსუამ. და თუ ჩემი მიჯნურობა ცეცხლიცა არის, შენ აქათგან მგზებარესა ველარა ნახავ; კუამლიანსა ცეცხლსა ერთობით განაცრება სჭობს.

«მე რაცა არა მჭირს, ათასი საქმე ესეთ შემამყივლე, რომე მისთანასა ერთსაცა ჩემი მტერი ვერ მეტყოდა. აწ იგი ყუელა დაგვიწყებია და ჩემგან სიყუარულსა ეძებ!... მას მშობელსა ჰგავ, რომე ასული ბრმა ესვა, მისსა სიბრმესა ვერ ხედვიდა და სიძესა გუარიანსა და უმიზეზოსა ეძებდა. შენ თავისა აუგსა ვერა ხედავ და მოყუარესა უაუგოსა ეძებ. ამისი მდომი ხარ, თუმცა ყოვლისა კაცისა ზნესა და აუგსა შენ ეძებდი და უზრახვიდი. ჩემთანა ესეთი აუგი რაოდეს გენახა, რომე ყუედრებისაგან არ მოისვენე? გამაძე, შენ მოგძულდი და უსანობასა მე მაყუედრებ. უსანობისა და გამწირაობისა ნიშანი აწ შენთან უფრო ჩანს, რომელ არცაღა ფიცი მოიგონე, თუით არცაღა მიცნობდი და ჩემი სახელიცა არ გასმიოდა. ვითა კამდა ესრე უწყალობა და გაბედითება ჩემი? აჰა, ვითამცა არა შენითა, არ თუ სურვილითა ნახვისა შენისა მოწდომილი, გამოჭრილვარ, ადრინდელი შენთუის თავ-გაწირული მოყუარე, მაგრა ერთი ღარიბი კაცი, ღამესა ბნელსა უსახლო და დანქრევისა მომლოდე.

«და თუ შემცოდეცა ვიყავ, ათთავე თითთა გაქნევით ზენაარისა და შენდობისა მთხოველი, რად არ შემიბრალე, რომე

პირველ თოვლთა და ბუქსა შიგან მადგომე და მერმე უპატიო-გაბედითებით გამომდევნე? მეტისა უზენარობისაგან ვეღარ მო-ალმობიერე გული, ჩემი სიკუდილი იგი თოვლთა შიგან გწად-და, მტერთაებრ უწყალოდ მქნოდი. თუ შემეცოდა რა ესეთი, ეგრეცა არა, რომე საკლავად არ გეწყალვოდი. შენ ეგზომ უზენარო ხარ, რომელ მოყუარეთა სიცოცხლესა სიკუდილი გირჩევნია. აჴა, ვითამცა მოგეკალ, შენ რა გერგებოდა ანუ რა სიხარული დაგრჩებოდა?

«ნუთუ შენი საეჭუი არ ასრე იყო, ვითა მოგიკლდა; თუ-არა მე ულონიოდ მიჯობდა, რომელ ვცან მტერობა მოყურისა! დაჭირებასა ესე ოდენ სჭირს კარგი, რომელ გამოაჩენს მტერ-სა და მოყუარესა კიდის-კიდე.

«აწ რადგან შენი საქმე ვსცან, უმალავად მტერი ვარ შე-ნი შენისა უწყალოსა გულისაგან დამესისხლებული, ვინათგან მკეცთა და მფრინველთაგანცა უფრო გული ულმობელი გიძს და თუალი უზენარო. შენისა სიყუარულისათუის თავსა ჭირსა ნუვინ ჩაიგდებს, მით რომე არა სარგებელია.

«აწ ამისთუის მადლი ღმერთსა, რომელ ესეთი საქმე მეჩვენა შენგან, რომე მიჯნურობისაგან მიხსნა და გული ჩემი გააზატდა უწყალოთა და უზენაროთაგან. მე ვირე ვცოცხალვარ, ჩემი პირ-მთუარე, სასელ-ვარდი გულ მეყოფის საყუარლად და მე—მას, რომე სიკუდილისა დღემდინ ჩემისა. ვინათგან ღმერთ-მან და ჩუენმან ბედმან ერთგანვე შეგუყარნა, ერთმანერთისა დაჯერება გუმართებსო.»

ოც

ვისმან პასუხად ეგრე უთხრა, საყელო გარდახეულმან და ესრე მტირალმან, რომე თუალთაგან სისხლისა ნაკადი გასდიოდეს:

— ჴე, გულისა ჩემისა სიხარულო, სულთაებრ საკმარო და საყუარელო, შენ ხარ ჩემისა ბედნიერობისა ბედი! თუ ავი და დასამძიმებელიცა რა გითხარ, შენცა ეგრე მიზამ. ნუ ამკდი შენსა საფარველსა, ნუ დამაგდებ და ნუ დამანაღულებ ჩემსა სიცოცხლესა!... ეჭუსსა თუესა შენისა კიდეგანობისაგან ესრე მიჭირვებულმან და სიკუდილად მიწურვილმან თუ ვთქუი რამე, რა საკურველი იყო? მე შენითა სიყუარულითა ვთქუი; კიდეგნობა უჭიროდ არ ეგების და არცა მიჯნურობა უნაზო. ვისიცა გული მიჯნურობისაგან დამწვარია, მას მოყურისა ნებიერობა იამების. რადგან მე ჩემითა ეზომ ცოტათა ნაზობითა ესრე დია გაწყინე, თუ მოღარამემატების,[1] ღმერთმან ესე ჭირი გარემიძნელოს, რო-

---

[1] ვარიანტები: «თუ აღარ მომეტევების» ან «თუ აღარ მემატების». — მოღარამემატების ესე იგი — მომემატების-ღა რამ.

მელ უფრო და უფრო ვიჭირვოდე. თუით რადგან შენი გული
საჩემოდ გაუვლენელი დამისკუსნია, რასაღა განებიერებდე ანუ
გულისა მოუცემელითა სიტყუითა რასაღა გცდიდე?

«ვით მეგონა, არ ეგრე მომიკდა. არ მეგონა, თუ მე-
სისხლეყვითა შემცოდელ გამოჩნდებიო ჵ თუ მაშინ იგი ვთქუი და
დაგამძიმე, აწ ნახე, თუ ვით ქენებით გძებ! ცუდი ჩაუქობა
ვიკმარე შენთანა და მით ესრე ჩავიჭერ. თუ სიხარულისა ყამ-
სა გიახლე, აწ ჭირსა შიგან არა ვარ კიდეგანი. ასე რა თოვლთა
შიგან ჩაფლული შენს წინა ვდგა, მე რადგან შენისა სიშორი-
სათვის ეზომნი ჭირნი მინახვან, გარე აღარა შეჰიქცევი, არცა
დაგაგდებ, შენთა სადავეთა კიდე არ გაუშვებ და მუნამდის ესრე
საბრალოდ ვტირ, ვირე აქა არ მოვკუდე და ამით შენცა მოგა-
ყივნო და თავიცა აღარ შევიწყალო.

«თუ აწ ჩემი შეხვეწა მოისმინო და შენდობასა ზედა სი-
შჴმე იჴმარო, სიკუდილისა დღემდინ შენი ნასყიდი მჴევალი
ვიყო; შენისა ბრძანებისა ასრე მომსმინარი ვიყო, ვითა პატრო-
ნისა, და თუ ესე არ ჰქმნა და არ შეგაგუო, ოდესცა გწად-
დეს ჩემზედა, მაშინცა შეგიძლია ესევე. ხე ჭირთა ადრე მოი-
კვეთების, მაგრა მოკვეთილი გვიანად იზრდების და აგრევე
შენგან მაშინ ადვილად ეგების ჩემი გაწირვა, თუ დამამძიმებელი
შენი ვიყოდა.»

ღთ

რამინ ეგრე უთხრა:

— სულდგმული აღარ გავმიჯნურდები და არცაღა უპატიობასა ჩემსა მოვინახავ, არცაღა ამა ბედითსა საქმესა უკანა უდგები. რად კამს აზატისა თავისა მონად გაკდა ანუ სიხარულისა ყამსა დაღრეჯილობა? მრავალჯერ მინახავს ჩემი თავი ესრე გაბედითებული მტერთაგან სიხარულად, და მე ესე აწყალა დამმართებია შენგან; კულა არაოდეს ეგების, რომელ დავივიწყო აწინდელი გულის ტკივილი. ჯოჯოხეთისაგანცა კიდე ადგილი ნურა მაქუს ჩემად საყოფად, თუ მე გამოცდილსა კულა გამოღამცდი.[1] თუ შენისა პირისაგან აქუს მზესა სინათლე, აღარცა მისგან მაქუს იმედი. თუ ლიტრა ერთი ქუა სამ ლიტრად თუალ-პატიოსნად ღირდეს, ასსა ლიტრასა ქუასა მას სიძვირესა შიგან ეგრეცა ვიყიდი და გულსა დავიდებ, ნუთუმცა ამით დავეხსნე ამა აუგიანობასა, რომელსა შიგან ვარ.

«თუ შენსა სამებნელსა გზასა ზედა ათასი საჭურჭლე

---

[1] გამოღამცდი — გამომცდი-ლა.

ძეს, არცა ეგრე ღირს ამა ჭირად; გულსა ტანისაგან გამოვიკუეთ, თუ აქათგან შენდა ვქმნდეს ანუ სხუათა მოყუარეთა! თუ უგულო დავრჩე, დია მიჯობს, რადგან ესეთია, რომელ ყოველი კაცი უყუარს და მე ვსძულ და მაჭირვებს. თუით ნუთუ ბედნიერობა იყო ჩემი? ამასღამე შენი ჩემთუის ესეთი სიქუშე დიადი საქმეა, ესეთი რომე თავსა ზედა დია ძნელსა ჰგავს და ბოლოსა ადვილად მოჰკვდების. ღმერთი ზოგჯერ ესეთსა საქმესა მოავლენს კაცისათუის უზაროდ, რომელ მიღმა სააჯო იყოს.

«აწ ჩემი საქმე აგრე მოჰკვდა, დავჰხსენ ეზომსა ჭირსა: მე აქამდინ მონა ვიყავ და აწ გავჴელმწიფდი, მიწა ვიყავ და ცად შევიქენ. ასრე ვმხიარულობ, რომე გულსა შეჭირვება ბეწვისა ოდენიცა აღარაა. მთურალი ვიყავ და გავფხიზლდი, აწ უჭირველად დავჰყოფ, რომელნიცა დღენი მისხენ. სირეგუნისა ძილისაგან აწღა გამღვიძებია, უმეცარი სული ჩემი აწღა გამეცნიერებულა.... რა უბატიოსა ბედსა ჩემსა დავჰხსენ, ფერხნი ასრე ამსუბუქებიან, რომე ჩემისა ფერხისა მტუერსა მფრინველნი ვერ ეწევიან. მე ეგეთსა ველარ მნახავ, ვითარი აქამდის გინახავ მიჯნური. ვინცა საწუთროსა გონებასა დაეხსნების, ჭირთაგან გააზატდების და მოილხენს მრავალფერისა ჯავრისაგან, სადაცა იყოს, სარგებელსა არ ეძებს ზიანსა შიშისაგან.

«შენცა ესრევე ქმენ, თუ ცნობანი გისხენ, ჩემებრ იყავ, ნუღარცარას შენ შეიჭირვებ. სიბრძნე და გონიერება იკმარე, მით რომელ სიბრძნე ჴელმწიფობა არის. თუ ას წელსაცა უდგები მიჯნურობასა უკანა, ბოლოდ ოდენ დასხედნე: მისგან: ქარისაგან კიდე, არა დაგრჩების ჴელთა სარგებელი.»

ჳ

ვისსა რამინის კელი კელთა ჰქონდა და მიჯნურობისაგან უჭკუო უბნობდა, მისისა სიყუარულისაგან და თუით სიცივისაგანცა თრთოდა, ნარგისთათ სისხლსავარდსა ზედა ღურიდა და ეგრე ეტყოდა:

— შენ ხარ ჩემისა სიცოცხლისა მიზეზი, ჩემთა თვალთა ჩუსა და გულისა სიხარული! ვიცი გაგაწყრვე და არ კარგი ვქმნ: ერთ კერძ ჩემგან სიყუარული და მეორედ მეფედ სახენელი, სასახელო კელმწიფე! უშენოდ არ მინდა სიცოცხლე დ სასწუთროსა შიგან ყოფა. რომელ გაგაწყრე და ჩემგან ნათქუამითა ეგრე გამიკუშტდი, მითცა ამისისა ნაღულისაგან ჩემითავე კბილითა გარდამიჭამიან მკლავნი. ნუ შემამტყორცნი მტერობისა ისარსა, ნუ მაწვევ უპატიოდ კიდეგანობასა. აწ ვესხლნეთ მხიარულნი ორნივე ერთმანერთსა, გარდასრულსა ნუ ვისსენებთ, ნუ გიმძიმს ჩემგან მაშინდელი შენი უპატიობა:

ეგრე სწორისა და მტერისაგან დასამძიმებელი არის, არ ჩემებრ მოყურისა. რომელ რაზომცა ვინ დიდი და მორჭმული ყოვლისა ქუეყანისა მპყრობელი კელმწიფე იყოს და გავისთჳს-მიჯნურდეს,[1] მისთჳს ეგრეცა დამდაბლდების, რომელ ფერკთა ეგების. მოყუარეთა ნაზსა წაკიდებად ვინ იტყჳს? არცა მათგან დათმობა აუგად ითქმის.

«აწ დასთმე ნაზობა ჩემი: შენვე წაგიღია ჩემთჳს გული, შენვე დაგიალაფებია. მიმიჴდარე! შენგან ვარ ესრე უცნობო-ქმნილი; შენ შენსა თავსა აბრალებდი ჩემსა ესრე გასჳლასა, თუარა მე შენი დამძიმება არაოდეს მწადებია. რას ჰასუხს გასცემ ღმერთსა ჩემთა სისხლთა მოკიდებისათჳს, ანუ მე ამის უარესი რაღა წამეკიდების, რომელ არცაღა გული მქონდეს და არცაღა მოყუარე მყუეს? ვისთჳს გული დამეკარგოს, მას ჩემი სიყუარული ასრევე აღარ ჰქონდეს, ვითა მე გული?! მაგრა თუ ღმერთი უვის მსაჯულად სოფელსა, არ დაარჩენს ჩემთა ბრალთა. ნეტამცა ჩემი გული ჩემთა საქმეთა მთნებელი იყოს! და თუ გული[2] არა, ბარე მოყუარემცა ჩემი გულსრულად მოყუარე იყო.

«თუით გული ვით გეტყჳს ჩემსა მოშორებასა? შენ არ იგი ხარ, რომე ხანიერსა გიტყოდეს? ვაი, რომე ბედისა ჩემისაგან შენცა აბეზარ მქნიხარ! რა იქნა ეზომი ფიცი შენი, რომელ აწ ერთიცა არ გახსოვსღა? ამისთჳს შევაგუებდი ამა რეგუენსა გულსა ჩემსა, თუ ნუ გამიჯნურდები ამა უხსნოსათჳს, რადგან რამინის გულისა დაუდგრომელობა იცი მეთქი.

---

[1] გავისთვისმიჯნურდეს — ესე იგი, ვისთვისმე გამიჯნურდეს.

[2] აქ იგულისხმება რამინის ცოლი — გულ.

მაგრა არ მოისმინა, შეგონება ცუდად წამიკდა და აღარ ვიცი, თუ ბოლოსა ჟამსა ვით იქნების ჩემი საქმე? აქაცა ეზომსა რას მაყოვნებ და თვალთაგან სისხლისა ცრემლსა ვირემდი მადენ?

«თუ შემოიქცევი, ზენაარ შემოიქეც. მე აქა სიცივემან მამკლა და შენ თუ არ შემოიქცევი, მე თანა წამიტანე სადაცა წახუალ, არსად არ დაგაგდებ. რაზომცა ძნელი გზაა, შენსა მოახლეობასა შიგან მეადვილების; რაზომცა შენგან უსაფარველ მყო და არ გინდე, თუ ანუ კელსა არ მომკუეთ, ანუ კალთასა არ მოიკვეთ, მომიწყუედ ვერა. წამსაცა უშენო სიცოცხლე არ შემიძლია. თუ გული ჩემი სიმაგრითა კლდეცაა, შენსა კიდეგანობასა ვერ მოითმენს. აჰა ღამე წასულასა ჩემთა სულთა სარჩევი, და მე მომცდარსა და დაღონებულსა ველთა ზედა დამაგდებ! წახუალ და წაიღებ ჩემისა პირისაგან ფერსა და ტანისაგან ძალსა, და თმობასა და ცნობასა. რად ხარ საჩემოდ ესდენ უწყალო და გულ მაგარი, რომე ეზომისა ქენებისათუის არ შეგებრალეო!»

ექნებოდა გულისა წამღებელი ვისი, მაგრა რამინის გული არცა ეგრე მოულბა. ეგიდა ვითა ალმასი სამისო; ვითამცა რამინის ულმობისა გულისა წყრომა, ცათაგან თოვლი და მთათაგან ქარი დანაძლევებულიყუნეს გაუყრელობისათუის, აგრე გათენებამდის არცა იგი დასცხრა და არცა იგი. ვისმან რამინ ვერ დაიჭირა და მისგან უიმედო ქნილნი ვისი და მისი ძიძა გარე შემოიქცეს სიცივისაგან დამძრალნი და მტირალნი.

მოვიდოდა მთუარე, ღამისა დამაშვენებელი; გული მისი უკუამლოსა ცეცხლისაგან იწოდა, თუალნი ცრემლთაგან სისხლად გარდაქცეოდეს, ტანი სიცივისაგან, ვითა ცხროიანსა, უთრთოდა

და რამინისაგან იმედ გარდაწყუედილობისათჳს ღმრთისაგან ათასჯერ სიკუდილსა იაჯდა. ეგრე იტყოდა:

«ვაგლახ მე, ჩემისა ბედისა უბედურისა შესწრობილსა! მე ამა ჯავრსა ვით გაუძლო? მე ჩემი ბედი მებრძვის მტერობით, ვირე უგრძნეულოდ რამე არ წამაგებს. ძიძაო, ჩემგან უფრო ბედითი და საკლავი ნუვინ იცი სხუა, თუ აქათგან ვისიდა რა გამივიდოდეს ანუ მიყუარდეს. და თუ წალმა გამიჯნურებული მნახოდა, ორნივე თუალნი შენითა ჴელითა ამომიყარენ. ასრე უღონო ქნილა ჩემსა ტანსა შიგან ჩემი სული, ვითა უსულო სამარესა შიგან. მე თუ ამა ბედითობასა და აქანამდისებრ გულ-წყლულობასა შიგან მოვკუდები, ქუეყანასა ზედა არა რომლისა მიწისაგან ვარ ჩასაშვებელი. რამცაღა წამეკიდა ამის უარესი, რომელ მოყურისა და სულისა და სულთაგან მოწყუედილვარ! ანუ მიჯნურობისაგან ამის უძნელესი რაღა ეგების? აწ ვიცი, რომე შავი სხუა ფერად არ შეიღებვისო.»

პა

რამინისა და ვისის ერთგან შეყრა

და გულისა წამღებელი ვისი წამოვიდა რამინის ჯავრისა და იმედ გარდაწყუედილობისაგან საბრალოდ გულ დადაღული, რამინს თავის ბრალობა შეექმნა. შეჭირვებითა ჴაერი გამწყრალისა ვეშპისაებრ ქჴენა, ბუქისაგან თუალთა წინა აღარა ჩნდა; ჴაერისა სიფიცხესა და ქარსა ესრე მოემატა, რომელ პილოსა წააქცევდა. რამინის გზა თოვლმან შეკრა, თოვლთა შიგან ოდიდგან მოუსვენებლად დგა, ტანსა ჴყინვიდა და გული ცეცხლთა შიგან ეწოდა, თუ რასათჳის გაუკუმტდი ჩემსა გულისა წამღებელსა და სიცოცხლის წამღებ-მომცემსა ვისსა. ანანდა თავსა და სწყევდა თავისა გონებასა, თუალთაგან ცრემლისა ნაცულად სისხლსა ადენდა, კმა მაღლად ეზოში იტირა და იზახა, რომე სული ამოსულად მიეწურნეს, შემოიქცა, გამოაჭენა ცხენი, გარდაიჭრა, ვისსა წინა დაეცა; მუკლნი ჩაიყარნა, შეესუეწა, ეძნებოდა ზენაარსა და შენდობასა ითხოვდა. და ეგრე უთხრა:

— ჩემითა უმეცრობითა აწ შეცოდება გამიორკეცებია და თუით სირცხჳილისაგან არა ვიცი, თუ რა ვთქუა. გარნა ღო-

ნე შენდობისავე თხოვაა; შემინდევ დიდად შეცოდებულსა, რომელსა პირი არა მადგს შენად საუბრად. ვითა მეტი ხარ ყოველთა ადამიანთაგან შვენებითა, აგრე მეტი ქენ ჩემზედა შენდობითა. მე ჩემითა სირეგუნითა ორჯელ პირის წყალი წავიღე შენს წინა. აწ თუალნი არ მასხენ შენი სირცხვილითა შემოსახედავნი, არცა ენასა ჩემსა შენდობისა თხოვა შეუძლია; გული ჩემი შენისა სირცხუილისაგან დაბნეულა, ენა ჩემი შენისა შიშისაგან გამონასკულა: არცა შენდობისა თხოვა შემიძლია, არცა უშენოდ ჩემი სიცოცხლე ეგების! ჩემისა თავისა გზა აღარა ვიცი, დავრჩომილვარ აწ საბრალო, ულონო და უმოყურო.... გული ჭირთაგან ავსია, თმობა წამსვლია, სიტყუა აღარა მაქუს და სული შემმცირებია! სიცოცხლისა იმედი არა მაქუს და შენდობისა სიტყუა. შენისა სიყუარულისა თესლი გულისა ჩემისაგან წამსაცა არ ამოქარვებულა, მან ღმერთმან, რომელმან დამბადა, აწ შენ ჩემი შეცოდება უხსოვნელცა[1] გაქნევინოს. მაგრა აწ ჩემმან ბედმან და ეშმამან მაქნევინა და მამიღო გონება შენი შესაგუარი. აქათგან თუ არ შემინდობ[2] და მაგასვე გულსა ზედა ხარ, აწვე თავსა მოვიკლავ და არცადა შენ გწყალობ, შეგიპყრობ კელთა და შენცა მოგკლავ და ეგრეღა თავსა მოვიკლავ, რაზომცა შენოდნად არავინ მიყუარს. რა მე არ ვიყო, ნუღარცამცა შენ ხარ! მოყუარე სიკუდილისა ყამსა მინა, რომე აღდგომასა ერთგან ვიყუნეთ. მე რა შენებრი მოყუარე მასლვიდეს და კელთა მყუეს, სიკუდილისა სიძნელე მომიადვილდების.... შენ ჩემი სამოთხეცა ხარ და სოფლისა შვე-

[1] ყველგან ვარიანტები: «უხსოვნელსაა».
[2] ვარიანტი: «თუ შემინდობ».

ნებაცა. ჭის უნდა ამა ორისაგან კიდეგანობა! მას საუკუნესაცა შენი სიასხლეა ღმრთისაგან ჩემთუის თხოილი და აქს ამისი გონება ნუგეშინის-მცემელი ჩემი და ჭირთა დამავიწყებელი: აწ ესე ვთქუა, რომელ თუ მაშინ ჩემგან მის ავისა ქნა არ გკეთებია, ეგეთსა ავსა ნუცა შენ იქ ჩემზედა. თუ მე ავმან ავი ვქმენ, შენ კარგმან ამად მგზავსად კარგი ქმენ ჩემზედა. შენითა მოლმობიერებითა თუით შენთა ფერკთა ქუეშე მომიგე; რომელ აქათგან ბრძანებისა შენისა, ვითა მონა ნასყიდი, ეგრე მომსმენი ვიყო და მიწათაებრ მდაბლად გმსახურებდე. მომმადლე ჩემი შეცოდება! ნუ მამაკლევ თავსა და ნუ მიისხამ სისხლთა ჩემთა. მე შენი ვარ და შენ ჩემობასა ნუ ინანი. მე მიწყივ იმედიანი შენისა სიყუარულისა გაუყრელობისაგან ვარ.»

რამინ გულ-წყლული ესრე გუარსა უბნობდა და დაუდუმებელად ტიროდა და გულსა მჯიღითა იცემდა. რაცა რამე ქნილიყო და ერთმანერთისაგან დამძიმებოდა, კულავ დაუწყეს ერთმანერთისა საუბარი, და ყუედრება გაგრძელდა ასრე, რომე საწუთროსაცა გაუკვირდა მათი საქმე. ვისის გული მთასსა გუანდა და პირი მისი მაზედა ყუავილსა, რომელ რამინის საუბრისაგან მის მთისა თოვლი არ მოლბა და არც მის სიცივისაგან ყუავილი დაჭნა.

რა ცისკარმან მისი დროშა გამოაჩინა, ორნივე შეშინდეს გათენებისა და გამჟღავნებისაგან. და სიტყუა დაუმოკლდა, მომცდარი გული მათი გზად გამოვიდა და მტერობისა ეშმამან უკურიდა. ჴელი ერთმანერთსა მოჰკიდეს და ზე კოშკსა გავიდეს. გული შეჭირვებისაგან ნატანჯი ჭირისაგან გაასზატეს. დარბაზისა კარი დახშეს. სისარულისაგან ახალ აყუავებულსა წალკოტსა დაემსგავსნეს, დაწუნეს მაშურალნი და სიცივისაგან

დამზრალნი, ფოცხურისა უპესა ტყავსა შიგან და ერთსა საგებელსა ზედა, ვითამცა ორსა ტანსა შიგან ერთი სული სდგმოდა, ეგრე შეიერთნეს. იყუნეს ვითაცაღა მათ სწადდა. მათი საგებელი ვარდისაგან სავსე და მათი სასთაული მზისა და მთუარისაგან ელვარე; მათისა პირისა და თმათაგან სახლი სურნელებითა სავსე იყო. ვითა ორთაგანვე ერთგან შეყრა სანატრელი იყო, აგრე დაუამდა ერთგან ყოფა. თავით ფერკამდის წამსაცა ერთმანერთსა არ მოეშორვებოდეს, არცა მათ შუა ბეწვი გაიარებდა.

თუესა ერთსა იყუნეს ესრე, რომე არავინ იცოდა მათი საქმე. არ მოისვენეს სიხარულისა, ლაღობისა, ყმაწვილობისა და ერთმანერთისა ხვევნისა და კოცნისაგან. რა მოსწადდის, მათთა წადილთაებრ საჭმადი და ღვინო მიაღებინიან. არა იყო მათი საწყენელი. თუცა ადრიდგან ერთმანერთისა სიშორისა და დამძიმებულობისაგან გულწყლულნი იყუნეს, აწ კოცნისა სიმრავლითა და წილთა მიყოლითა ჰკურნებდეს ერთმანერთისა გულსა, ემალამებოდეს ერთმანერთსა.

შაჰი მოაბად ჯდა საკელმწიფოთა საჯდომთა ზედა მორჭმული და მხიარული. აზრადცა არ იცოდა რამინის საქმე, არცა ამას ეჭუდა, თუ ჩემსა ძმასა რამინს მისი ქუეყანა დაუგდიაო და აქა ჩემსა ცოლსა მოუშორვებლად დღივ და ღამე გუერდსა უწევსო, ერთგან იხარებდენ და ჩემზე იცინიან და ამა ორსა თუესა სიხარულითა დაუვიწყებია მათი ექუსისა თუისა კიდეგანობისა სიძნელე და შეჭირვებაო, რომელსაცა საწუთრო ესრე გულისა ნებასა მიახვედრებს, მას მიჯნურისა ჭირითა ხსენება რად უნდა ანუ თავისა რიდება?

რა ორსა თუესა ერთგან ყოფითა გაიხარნეს და საწუ-

ტროსა სიხარულისაგან თავისი ნაწილი აიღეს, მოვიდა გაზაფხული. რამინ ეგრე უთხრა ვისსა:

— აქათგან აღარ პირიანია ჩუენი ესრე ყოფა.[1] აწვე სჯობს გამოცხადება და შაჰი მოაბადის ნახვა, ვირე არ გამჟღავნებულვართ.

მოიგონა გონიერმან რამინ თავისა ღონე. შუაღამე ციხისაგან ჩამოვიდა და ნახევარ დღისა სავალი იარა. მერმე რა გათენდა, შემოიქცა და მოჰმართა მარავს ქალაქსა. ცხადად მოვიდოდა შარისა გზასა და მარტო შემოვიდა ქალაქისა კართა; ვითა შორით მომავალსა მართებდა, ეგრე დამაშურალ გუარად და მტვერიანად აჩვენა თავი ყუელასა. მოვიდა მგზავრად დარბაზისა კარსა ზედა. მაშინვე მოახსენეს შაჰინ-შასა: ქუეყანისა დიდებისა მზე გამოვიდა, ქუეყანისა დამამშვენებელი რამინ მოვიდა პირად მთუარისაებრ გავსილი და ნაკუთად საროსა მსგავსი; გზათა სიგრძისა და სიცივისაგან წყენილი და ესერა კარსა ზედა დგასო.

გაიხარნა შაჰინ-შა, ვითა მართალიყო, უბრძანა და შევიდა მას წინაშე რამინ. თაყუანისცა და პირი მიწასა დასდვა, დალოცა, შაჰინ-შაჰ ამოდ მოიკითხა და მოჰკოცნა. მერმე რამინს ამბავი ჰკითხა. მან გზისა სიშორისა ჭირნი მოახსენა და ესე ვითა:

— მაღალო, სახელოვანო და მოსამართლეო მეფეო! ყოველთამცა კელმწიფეთა და მეფეთაგან უფროა სახელი შენი და მტერნი შენნი ქუეშე ფერხთა შენთა! სახელიმცა თქუენი ცამდის მაღალია დ̃ სახელოვანადმცა გამარჯვებულია ბედი თქუენი! ანდა-

---

[1] ვარიანტი: «ყოფნა».

მატისა მსგავსი სიმაგრე და მაღნიტისა მთისაგან უფროსი გული კამს, რომელ შენსა უნახაობასა გასძლებდეს და თქუენისა სამსახურისაგან კიდეგანობასა. ცოტა თქუენთა უბეთა შიგან გაზრდილვარ, სულნიცა თქუენგან მიდგან და დიდება ეზომ დიდი თქუენგანვე მაქუს, რომელ ცად გაგიწევივარ. თქუენსა უნახაობასა ვერ გავსძლებ და უთაყუანებლობისა თქუენისა მიჭირვებული ვარ. ესე არ იცი; არ თურემ[1] თქუენისა გუარისა ვარ, თქუენსა კარსა ზედა ჩემი მეკრედ დგომა ღმრთის წყალობას ჩემთუის. თქუენისა სამსახურისაგან კიდეგანობასა ვერაოდეს დავსთმობ. თქუენითა ბრძანებითა წავედ გურგანს და კრძალითა მთა და ბარი მტერთაგან დავსცალე. ქოისტანი ესრე გამიკდია, რომე თხისა ბრძანებასა ლომი მოისმენს. მუსლით, არანით შამამდინ ერთი თქუენი მტერი არა ჩანს. მე თქუენსა მონასა ღმრთისა და თქუენისა ბედითა ყოველი გულის ნება მქონდა თქუენისა სიშორისა და უთაყუანებლობისაგან კიდე. დამბადებელი ცისა და ქუეყნისა რაზომცა უსუიას, ერთსა კაცსა ყოველსა გულის ნებასა არცა ეგრე გაუსრულებს. ასრე, ვითა მე, რომელ დღივ და ღამით თქუენსა ნახუასა ვინატრიდი და აწ ველარ დავსთმე წამოყუანლობა. წამოვედ ესრე სწრაფით, ვითა ღვარი მთისა თავისაგან; მოვალ მარტო, მინადირების გზასა და ვითა ლომსა უმგზარი კორცი მიჭამია. აწ რადგან ღმერთმან შემიწყალა, თქუენ მშვიდობით გნახე და თაყუანის-ვეც, ბედისა ჩემისაგან ვპოე იმედი, რომელ არ თურე უბედური დამბადა ღმერთმან. გული ჩემი გამხიარულებულა და ერთი სული ჩემი გაათასებულა სიხარულითა, გვირგვინი

[1] არ თურემ, ესე იგი — არა თუ.

ჩემი ცამდი მიმწუდარა, სამსა ჭიქასა ღვინოსა მხიარული ვსვამ.[1] თქუენსა ბოძებულსა ქუეყანასა წავიდე თუ არა, რაცა მიბრძანოთ, იგი ვქნა. მე მის უკეთესი არა წამეკიდების, რომელ თქუენისა ბრძანებისა მოსმენისათუის თავი არ შევიწყალო. თუით ცოცხალი დ̃ უკუდავი მაშინ ვარ, რა თქუენისა წადილისა ასრულებისათუის სული ჩემი გავწირო.

რა შაჰინ-შას ესმა ესე ამო რამინისაგან საუბარნი და შეწყობილნი სიტყუანი, მოეწონა, დაიმადლა და ეგრე უბრძანა:

— მომეწონა შენგან ეგე, რომელ გიქნია, გამოგირჩევია მართლის მეტყუელება და ჭაბუკობა შენი გამოგიჩენია. მე შენი ნახვა გულსა გამამხიარულებს, ერთსა დღესა ნახვა შენი არ მეყოფის და ვერცა გავძღები მოკლედ ნახვითა შენითა. აწ ჯერეთ ზამთარია, სხუა რა ეგების სმისა და გასარებისაგან კიდე? მუტრიბითა ვამღერებდეთ და ერთგან ვიყუნეთ. რა გაზაფხული მოვიდეს, დღენი დათბეს და ჰაერი დაამდეს, მუნ მიმავალთა მგზავრთა დიდად იშოვებენ; ასრე რომელ სადამდისცა გწადდეს, თუით მეცა თანა წამოგყუები გურგანამდის: ნადირობად მინდა წამოსულა, გაზაფხულ სახლად ყოფა საწყინოა. აწ წადი აბანოსა იბანე, ტანისამოსი გამოიცვალე და მოისვენე.

რა რამინ მხიარული წავიდა აბანოსა, შაჰინ-შაჰ მრავალი

---

[1] სიტყვა «ვსვამ» მხოლოდ ერთს ხელნაწერში იყო, რომელსაც ეტყობა რომ გადასწორებულია. სხვებში არცერთში არა რომელიმე ზმნა არ მოსდევს სიტყვებს «სამსა ჭიქასა ღვინოსა მხიარული».

ტანისამოსი გაუგზავნა. და სამი თუე მას წინაშე დაჰყო რამინ სიხარულითა და არა ნახა გულის ნებისაგან კიდე სხუა დამძიმება. ბედმან ყუელა ესრე მოუვლინა, ვითა მას უნდოდა: მალვით ვისსა ნახვიდა და გულის ნებასა ჰპოებდა მისგან. სიხარულით იყუნიან ერთგან, ხვაშიადი მათი დაიმალა. ესეთსა ადგილსა შეიყრებოდიან ერთგან, რომელ მოაბადის აზრი მუნ არ მივიდოდა და არ გამოცხადდა მათი საქმე და ვერცავინ უგრძნა.

ჰბ

მოაბადის ნადირობად წასულა

რა გაზაფხული მოვიდა, მთათა და ბართა სიმშვენვარე დაიწყეს, მინდორნი აყუავდეს, საწუთრო და ჭვერი სამოთხესა დაემსგავსა, მიწა შუენებითა — ცასა, ბერი ქუეყანა გაყმდა ვარდისა, იისა და მრავალ ფერთა ყუავილთაგან; ჴელმწიფეთა საჭურჭლესა დაემსგავსა ქუეყანა, მფრინველთა ჭიკჭიკება დაიწყეს და იადონი ვარდთა ზედა მრავალთა ფერთა ჴმათა იტყოდეს. ქუეყანა მრავალ-ფერობითა ჩინურისა სტავრისაებრ გასრულიყო; ცამან ჭვერი განდაიწმიდა და ქუეყანა ნამისაგან მოცინარობდა; ნადირთა მინდორს სიარული დაიწყეს და ხეთა მტომან ჴმელმან სინედლე დაიწყო და ყუავილისა გამოღება; ნარგისმან თრობა დაიწყო. ბაღნი და წალკოტნი შვენებითა კეკლუცთა ქალთა დაემსგავსნეს და ქუეყანა საჴელმწიფოსა მეჯლიშისაებრ გაჴდა გულ მხიარული. ვინ იყო თუ შეჭირვებული, ყუელასა თამაში მოუნდა ჴელსა; ფეროვანისა ღვინითა ჭიქასა ქსრე არ გაუშვებდეს, ვითა ხუასრავ-შირინისა ჴელსა. ოდეს წალკოტსა იყუნიან, ოქროსა და

გუარსა აყრიდეს ნიავი თავსა და მოყუარეთა სიხარულად მოყუარეთა სულსა მიართმიდის. წვიმამან მდელოსა და მდელომან კაცთა გულსა ჯანგი მოჰკოცის. მარავის მიდამო ესრე შვენოდა და ელვიდა, ვითა სამოთხე. მიწა დამბალიყო, ვითა შუშთარი.

ამა ქუეყანისა სიმწვანისაგან შესწრაფებითრე მოუნდა მოაბადს ველსა თამაში და ნადირობა. სწრაფით უკმნა დიდებულთა და აწვივნა ლაშქარნი და უბრძანა ვითა, «ჩუენ ნადირობად გურგანისა ქუეყანასა წავალთ და დავეკაზმენით. ნადირთა და მკეცთა სიმრავლე დიადი არის მუნ.» ლაშქართა კაზმა დაიწყეს და ვისმან რამინის მუნ წასვლა იგრძნა და, ვითა ხელსა, ცნობა და გონება წაუვიდა, თმობა და ჭკუა აღარ ჰქონდა. ძიძასა ეგრე უთხრა:

— ამის უსაკუირველესი რაა, რომელ ცოცხალსა კაცსა სიცოცხლე აღარ უნდეს! აწ იგი მე წამეკიდების, რომე თუ ამას გავსძლებ, ულონიოდ სიცოცხლე მომწყენია. თუით ათასჯერ კრმლითა საკუდავად დავკოდილვარ მისგან. აწ გურგანს ნადირობად წასვლასა ლამის შაჰი მოაბად, რომელ ღმერთმან ყორანი დაასხედროს, ეტლი უბედური და ყამი არ სვიანი მოიგებოს! ვითა გავსძლო რამინის კიდეგანობა? ანუ ამა ეშმასა სამულველისაგან ვითა ვიხსნა? თუ ხუალე რამინ წაჰყუების, ჩემი გული დასტურ ველარ მიჰყუების, მით რომელ მოვჰკუდები მისისა წამავლობისა მგონებელი. აჰა ვაგლახ მე, რომე მისი ცხენი ჩემთა თვალთა ზედა ლუსმრიანსა ფერკსა დასდგამს და რაზომსაცა ბიჯსა წასდგამს, ეზომსაცა დაღსა დამსუამს ჩემსა გულსა ზედა. მოყმეთა მეფისაგან მე დღე და ღამე გზათა

ზედა გავგუშაგდები[1] და თვალთაგან წყაროსა ვადენ და მისგან ღარიბთა წყალსა ვასვამ. ნუთუმცა ღმერთმან ჩემი ლოცვა შეისმინა და ჭირთა და ფათერაკთაგან მიხსნა, რომე ჩემი ჭირი მოაბადისაგან კიდე არავინაა, რომელ ავისა მოქმედი და მთქმელი იგია. ნუთუმცა ღმერთმან მიხსნა და წამითი-წამ არ მივცემოდე ჭირთა. აწ წადე, ძამო, და მოახსენე ჩემაგიერ რამინს თუ, უმისოდ მე რას ყოფასა ვარ. სცან მისი გულის სიტყუა საჩემოდ, თუ რას მიზამს: კვლა გამწირავს და გაახარებს ჩემთა მტერთა და თუ არა; ხუალე წაჭყუებისცა მოაცლის? მოახსენე ჩემაგიერ, შენად მოსვლამდის ვინ დარჩების ცოცხალი? ვის უძს გული ესრე შეუწონელი, რომელ უშენო ცოცხალიყოს? თუ წახუალ, რა შემოიქცე, შენმან მზემან, ცოცხალსა ველარ მპოვებ. თუ ჩემი სიკუდილი გეწყინების, თანა ნუ წაჭყუები, შინა დგომისა მიზეზი რა მოიგონე. ჩუენ აქა მხიარულნი ვიყუნეთ და იგი დაღრეჯილი და ჭირვეული სადა-გინდ იყოს თქო.

წავიდა ძიძა და მოახსენა რამინს. წყლულსა ზედა კვლა ამა სიტყუათაგან მარილი დააყარა. თუით რამინს გული შეჭირვებათაგან უფეთქდა და გაალმასებული ჯდა. ამა მოციქულობასა ზედა ტირილი დაიწყო და მოშორებისა გონება გულსა ისრად ესობოდა. ცოტასა ხანსა მოიტირა, მერმე გული დაიწყნარა, ამით რომელ სიყმე მისი შიშსა და შეჭირვებასა შიგან იყო მიწყით და ყამსა სრული სიხარული არაოდეს მიეცა. მერმე ძიძასა ეგრე უთხრა ვითა:

---

[1] ვითომც—მოყმეთა მეფისაგან დადგენილთა უფრო მე გავგუშაგდებიო.

— თვით ამისთანა მოაბადს ჩემთუის არა შემოუზრახავს და არცა უბრძანების. ნუთუ დავვიწყებივარ? და თუ მიბრძანოს და მაწყინოს, მაშინ ეგების მიზეზისა შემოღება; აწვე ფერკთა ატკივნებასა ვიტყუი. რა ესე ესმის, უღონიოდ არ მაწყენს. ამას მოვახსენებ: «თქვენცა იცით, ვითა მე ნადირობა მიყუარს; მაგრა უფერკოდ მგზავრობა არ ეგების. აწ უღონიოდ თქუენცა გესმის, რომელ ფერკთა ტკივილისაგან ქუე წოლილვარო.» რა ესე ესმის, წყევა აღარ ეგების. აქა მარავს ქუე დავდგები უშაჯინ-შაოდ. თუ ღმერთი შემიწყალებს და ესრე იქნების, სხუა უკეთესი რა წამკვიდებისო.

რა ძმამან ესე ამბავი ვისსა მოახსენა, ესრე გაეხარნეს, ვითამცა ორნივე უკუდავ ქნილიყუნეს და მეფობა ეხარა. ფერი მოუვიდა და გონებად მოვიდა.

დილასა შაჯი მოაბადის და მისთა ლაშქართა ბუკმა ზა-ხილი დაიწყო და ზრიალი შეიქნა ლაშქართა აყრა-გადენისა. დაულევნელი ლაშქარი მიდიოდა. მოაბადის წინაშე მივიდა რა-მინ შეუკაზმავი. შაჯინ-შა შეხვდნა, დიდებულთა წინა ეგრე უბრძანა:

— ეგე კულა რაღა ბიჭობა მოგნდომია და მიზეზი, რო-მელ ეგე შეუკაზმავი მოსრულხარ? ნუთუ კულა შენებურად და-სნეულებულხარ? აწ წაე, აიღე საჭურჭლით რაცა გინდა. მე უშენოდ არსად წავალ, არცაღარად უშენოდ ჩუენ ვუიამე-ბისო.

დონე აღარა იყო, უნდოდა თუ არა, საგურგანოდ კაზმა დაიწყო. ვისსა მაშინვე გულმან უგრძნა და შეჭირვებასა მიეცა; რა თუით დაიდასტურა სრულად, გული გაუსქდა. რამინ უნე-ბლივ გამგზავრდა პირ ალმასითა ისრითა გულ დაკოდილი და

ლხინთაგან აბეზარ ქმნილი. ვისსა მისითა წასულითა თმობა წაუვიდა და უჭკო ქუე იდვა. გული სიხარულისა დაჩვეული ესრე გაუხდა, ვითა ქორისა ჭანგთაგან კოკობი დანაყილი. ტიროდა და ეგრე იტყოდა:

«ვერა ვპოებ პირველისაებრსა მოყუარესა და ვერ ვსთესავ მიჯნურობასა პირველისა მიჯნურობისაებრ! უმოყუროდ მყოფისა ჩემგან სულდაღებულობა არ ეგების. არა თუმცა სხუად რად სარგებლად მიჩნდა, მაგრა მართ შეაუგების ტირილი და ზახილი, კაცისაგან ასრე დაჭირებისა ჟამსა მოგონებული. და თუ ამა ჩემსა გულის ნადებსა, სიცოცხლე მოუწყენილობასა ჩემსა არ ჯერხარ, ძიძაო, ნახე გულისა ჩემისა მოწამე ჩემი გაყუითლებული პირი და ზედა წითელნი ცრემლნი. მე აღარა მოყურისათუის ვსტირ, ჩემისა სიცოცხლისათუის ვსტირ, რომელ რადგან რამინ წამივიდა, ჩემნი სულნიცა მას უკანა წავლენ. მე ერთითა გულითა ეზომი ჭირი ვით დავიტიო! მიწყითისა ჭირისა და მოუსვენებლობისაგან დამდნარვარ და გამძლებისა ღონე არა მაქუს რა.»

რამინ კომშიდალმან უნებლივ გამგზავრებული დაინახა, აბჯარ შერტყმული მოაბადს გვერდით მოვიდოდა თვალცრემლიანი, პირდაყუითლებული, ვისის გამოუსალამებელი, დაუთხოველი. ვისის გული ესრე აშფოთდა, ვითა ზღუასა შიგან მრჩვალისა კაცისა.[1] მერმე გულსა საუბარი დაუწყო:

«ნასურველსა მიჯნურსა, ღმობიერსა მოყუარესა ჩემსა, გულისა წამღებელსა, ტურფათა ამირასა, კეკლუცთა პატრონსა, შვენიერთა ჴელმწიფესა, მოყმეთა დამაშვენებელსა აწვე დიდსა

---

[1] ვარიანტი: «მრჩვალსა კაცსა».

სალამსა მოვახსენებ და გაუმლებელად საზომ-უთქმელისა სურ-ვილსა. ჩემად უნახავად წავიდა და უღონოდ კვლავცა გამწირა. წავიდა ლაშქარსა და ჩემსა გულსა შეჭირვებისა ლაშქარი გა-მოუზახა.... გული დავაბი ათასითა ბასრითა ტოილოთა, ყუე-ლა გაწყუიდა და შენთანა გამომგზავრდა. რამინ! მე თუ და-ვრჩები უშენოდ, შენად მოსულამდინ ვტირ სიშორისათუის. ჩემისა გულისა კუამლსა ღრუბლად გამოვგზავნი და ჩემთა ცრემლთა მისად წვიმად დავსწუიმ შენსა სადგომსა ზედა, მტუერსა ჩამოვრეცხი ღირსისა პირისა შენისაგან. შენი პირი გაზაფხულისა ყუავილი არის და მას გაზაფხულისა წუიმა და ნამი ამშვენიან.»

დღისა ერთისა სავალი რა იარა, რამინ ქსრე გავლდა, რო-მე თავისა გზა არ იცოდა და გზა-გზა კუნესოდა. არა საკურ-ველი იყო კუნესა, რადგან ესე სნეულისა საქმეა. ვითა გული მოსცემდა, ეგრე მოსთქმიდა და ამას იტყოდა:

«წუხანდლისაებრ ღამე ჩემთუის საჭირო არ მინახავს, რომელ კოცნა ისარსა ჰგვანდა. აწ ესეთსა დღესა ვხედავ, რო-მელ სული ჩემი თხა იყო და მიჯნურობა ავაზა. სად წამივიდა ამა დღეთა სისარული? გული ადრინდელთა შეჭირვებათაგან მომეცალა. ჩემი საგებელი მზითა სავსე იყო და ხასთაული ვარდითა, მე რომელსა ეგეთი ჟამი გარდამეკადა, აწ ესეთსა დღესა ვით გაუძლო ანუ რომლითა თუალითა ვჭურეტდე უმი-სოსა ადგილსა! ესე არ დღე არის, ცეცხლი არის სულისა და ფათერაკი მიჯნურობისა. ღმერთმან ნუ რომელი მიჯნური და-აპყრას ესეთსა უნებელსა ყოფასა გულ დამწუარი და დაუთმო-ბელი! თუ საწუთრო სწყუიდეს, ამა ერთისა დღისაგან ასსა წელიწადსა გამოსწყავსო.»

რა შაჰინ-შაჰ გარდაკდა სადგომსა, მას წინაშე უგულო რამინ მივიდა. პირსა ზედა ათასი მოწამე ჰყუანდა, თმობა მისისა გულისაგან გაპარულიყო. მას წინაშე არცა ღვინო სუა და არცა გაიხარნა. ვითა ცეცხლსა ზედა ცეცხლი მოემატა, აგრე უძნელე იყო ყოვლისა ჟამისასა. არა ჰქონდა ტანსნეულსა გამოსვენება და გულმტკივანსა.

ჰგ

ვისის რა მისგან სანდომი რამინ მოეშორა, სიხარული და ნიშატი მისგან აბეზარ იქნა. მიწყივ ვარდი მზე იყო და აწ გამთვარებდა, მისებრვე დაყუითლდა ჲ ეგრე უსმელ-უჭმელად შეიქნა, წამსა არ მისცალდებოდა რამინ და მისნი ამბავნი. პირი დაეხოჭა უჭკუოსა შე-ჭირვებითა; ძიძასა ეგრე უთხრა:

— მებნე ჩემისა სიცოცხლისა ღონე ჩემისა და რამინის შეყრისათუის, ნუთუმცა შემოიქცა წასრული მოყუარე. გეწყა-ლოდე, ძიძაო, ესრე უთმობლობისათუის; ჩემი სიყმე და შენ-გან გაზრდილობა მოიგონე. ვერ გავძლებ უმისობასა, მოისმი-ნე ჩემი ამბავი ჲ მე ყუელასა დაუფარავად გითხრობ და გესმო-დეს. მე ოდეს რამინ მიჩვენე, მაშინ მოაბადის სიძულვილითა და მისგან ჩემზედა ავის ქნითა გული სამისოდ გამყინვოდა, და რამინს გული ასრე მივეც სიყმაწვრილითა და რეგუნობითა, რომელ მე ჯერეთცა კელთა აღარა მაქუს. აწ ხელი და უჭკუოდ

ვარ. უგულობისაგან მთურალსა ვჰგავ; ნუ გიკვირს ჩემი საქმე, ნურცა მეკიცხვი. მე მისისა სიშორისაგან სიკუდილი უფრო მიამების. მაშინ იგი ერთი იქნების და აწ სიკუდილი და სიშორისა გონება ორივე მჭირს. ერთი ცეცხლი მოგუედვა მე და შენ, ძიძაო, მაგრა მე გულსა, რომელ ვეღარა დავავსე, და შენ—კალთასა. წყალსა თანა ცეცხლი მაბუნია, მაგრამე ცრემლთა ჩემთაგან დავსებისა ნაცვლად, უფრო და უფრო მომემატების; ვასხამ გულისა ცეცხლსა ზედან წყალსა. ვის უნახავ წყალი ცეცხლისა მგზებელი?! წუხანდელსა ღამესა კითამცა ქვალსა და რკინასა ზედა წოლილვიყავ, ესრე არ მქონებია გამოსვენება. და აწ დღე არის, სადილობისა ჟამი, მაგრამე ღამისაებრ მებნელების. ჩემი სინათლე, ჩემისა სიყუარულისა პირისა ჭურეტა, ასრე ვითა სიცოცხლისა წამალი მისგანვე მაქუს და მალამა მისთა ბაგეთაგან. გირე რამინს ვაშორავ, ვერცა ნათელსა ვნახავ დ არცა წამალსა ვჰპოვებ. არ ვიცი, რა წინა მიძს ბედისა ჩემისა საქმე? შეუგურად რამე წავალ, გავიჭრები, მეცხოვრეთა თანა ვიარები და მიჯნურსა აღარავის ვნახავ. ჩემისა ტირილისაგან ქალაქსა ღვარი წაიღებს და კლდეთა დალეწს. ჩემი საბრალო კუნესა! რა ვქნა, ვის გუერდით დავჯდე, რამინის ნაცვლად ვის შევხედნე? აღარ უჭურეტ საწუთროსა, დავიხუჭავ თვალთა, მით რომელ რასაცა ვნახავ, არა მომეწონების. რა მერგო ნახულისაგან ამისგან კიდე, რომელ ძილისა, სიცოცხლისა და გამოსვენებისაგან მოწყუედილვარ. თავისა ყოფასა ვიმწარებ, ოდესცა გამოცდილსა ვცდი. აწ უქელა გასმია ჩემი საქმე და ამბავი, და ღონე მებნე, რომე შემრჩენ სულნი და მარტე რა.—ტირილით ეუბნებოდა.

მიძამან ეგრე უთხრა:

— თავისა საქმისაგან შეჭირვება არა კამს, არცა რა სარგებლია; მაგა ტირილისა-შეჭირვებისაგან არა გერგების, მართ ჭირი ჭირსა მოგემატების. შენნი სწორნი მიწყით მხიარულობენ და თავისა ნებისაგან მიწყით თავ ალებულნია. შენ მიწყით სჩივი და სტირ. გაგისელებივარ ეგზომითა შენითა შეჭირვებითა. სწუთროსა სიამოვნე კაცსა თავისათვის უნდა და მალამა წყლულისათვის. შენ მალამაცა და წყლულიცა ჴელთა გაქუ. შენნი კელნი ღონისაგან რად შეკრულან? ღმერთსა შენთვის მოუცემია კელმწიფობისა სისრულე და დიდება; მაჯროსებრი ქებული დედა გივის, ვიროსებრი მოყმე უკლები ძმა; რამინისებრი მიჯნური, შენთვის თავ გაწირული მოყვარე, მეფობისა მომლოდე; კელმწიფე უკლები კელთა გყავს. დიდება და ნებისაებრ ყოფა ღმერთსა უბოძებია, შენ რასაღა მიზეზობ, რომელ მიჯნურობისაგან კიდე თავისა ღონისა მძებნელი აღარას აღარა ხარ? მაშა, რომელ მიწყით მაგა ჭირსა შიგან ხარ, ესრე მიჯნურისათვის ძებნე ღონე; და რომე უშიშად იახლნეთ ერთმანერთსა, აწ ყუელასა ღონე და ჟამი გაქუს: საჭურჭლე საქონლითა გატენილი გიდგს და ზურგისა მამაგრებელი უამრავი ლაშქარი გყავს. მოაბადის საქმე დია და მრავალჯერ დია დაგმძიმებიაცა. აწ მთისა ოდენი წყრომა მისი არ დამცრობილა, არცა ქმმა მისი დაშვენებულა. რაცა იყო, იგივე და იგივეა, და შენცა იგივე ხარ. მართ უკუნისამდის მაშიგან იქნებით, რაცა აქამდის გარდაგივლია. აწ თუ კაცი ხარ, ძებნე შენისა სიცოცხლისა ღონე. მიწაცა არის და თესლიცა. და რეცა ვირე პირველ მოაბად სცნობდეს და სამთავე დაგვკოცდეს, — რომელ ჩუენისა მტერობისათვის მალულსა ზის ლომსავითა, ჩუენთა

სისხლთათუის სწყურიან, რომელ ოდესცა ჟამი აქუს, უღონიოდ სამთავე დაგუკოცს, — აწვე იურვე საქმე, რომელ ერთმანერთისანი იყუნეთ. რამინისებრსა საკელმწიფოსა არცა ეგრე ჰპოებ! დაარქუი საკელმწიფო გუირგუინი თავსა, დასხედით ორნივე ტახტსა, ვითა ცასა ზედა მზე და მთუარე. არავინაა ქუეყანასა ზედა ეგეთი კელმწიფე და დიდებული, რომელ არ თქუენ გნატრიდა და მერმე არ გიშველეს. შენი ძმა ვირო გიშველის, სხუად ყუელა ამირანი და კელმწიფენი თქუენისა სამსახურისათუის მსახურისაებრ სარტყელსა შეირტყმენ. სრულად ლაშქართა და დიდებულთა მოაბადის ყმობა მოსწყენია, ემტერებიან და მისსა ადგილსა კელმწიფედ ანუ ვირო უნდა და ანუ რამინ. შენ მათზედა დიდი წყალობა გიქნია და მათისა გულისათუის დიდად გიმუდარებია. იგინი უღონიოდ შენისა სამსახურისათუის დია მოიჭირვებენ. შენისა სიყმისაგან მიჯნურობითა ვერა გაგიხარებიან; აწ ბედი გამოგიჩნდა და მიჯნურობითა შენი ჭირი ლხინად შესცვალე. თათბირისაგან თავსა სიხარული მიახვედრე და ჰქმენ, რასაცა საქმისა ქნასა ჰლამი. საოდესოდცა მოკლვა გაგიგია, ამის უკეთესსა ჟამსა ვერაოდეს ჰპოებ. მარავს შიგან არცა შაჰი მოაბად არის და არცა მისნი ლაშქარნი. ერთმანერთისა მტერობასა არა მალავთ და შენ ვითა მესისხლე გიჩნს და მრავალჯერ იგი შენსა და რამინის სიკუდილსა ცდილა. რასაღა სდგას? საჭურჭლე ყუელა შენთა კელთა შიგანაა. მას დიდნი ჭირნი უნახვან საჭურჭლეთა შეყრისათუის და ღმრთისა ყუელა უჭიროდ შენთუის უბოძებია. მისითავე ოქროთა იყიდე თავისა კელმწიფობა. ვირე კახშამსა ჭამდეს, შენ მიუსწარ და სადილი სჭამე. თუ ამა თათბირისა ქნასა ჰლა-

მი, წიგნი მიუწერე რამინს, გამოეზრახე და უთხარ ესე საქმე, რომელ შემოიქცეს და წამოვიდეს ქარისა და მოაბადის უმალე. რა იგი მოვიდეს, სხუა ღონე ვძებნოთ და მოაბადს ყოვა დავანაღლოთო.

რა ესე ვისსა მძისაგან ესმა, იამა და სიხარულისა ყუავილი აყუავდა პირსა ზედა,

ჯდ

ვისის წიგნი რამინთანა

სიშორითა გულ-ტკივნეულმან ვისმან წიგნი მიუწერა რამინს ესრე საბრალო, რომელ ასოთა მისთა სისხლი დიოდა და მელნად მას იკმარებდა:

ჰე მიჯნურო, სიყუარულისა მზრდელო და სიშორესა შიგან ლხინთა მნასებელო! რა წიგნსა მიუწერდე მოყუარესა, ასრევე საბრალოთა გულითა მიუწერდი, რომელ ამას წიგნსა თუ კლდესაცა ზედა წაიკითხავ, კლდისაგან კუნესა, ვითა ჩანგისაგან ხმა, გესმის. მოყურისა არ გამწირავისაგან—გულ-მაგარისა, სიყუარულისაგან აბეზარ ქნილისა—უგულოსა; მონისა უძილისაგან—ჴელმწიფეთა მზესა, მთუარისა მგზავსისა თანა; სნეულისა მიჯნურისა, მტერ გახარებულისა, მოყურისა მოშორვებულისაგან დაჭირებულისა, დამწვარისა, ბედ წასრულისა, საწუთრო დანაღულებულისა, მტირალისა, საბრალოსა მისქინისა, თუალ-ცრემლიანისა, გულ-სისხლიანისა, გულ-წყლულისა, გონება წასრულისა, ჭაერთაგან წაღებულისა, ღაწუ-დაყუითლებული-

სა, დაღრეჯილისა, ჭირვეულისა რომელ თმა მისი საგებელია მისთვის, დაუთმობელისა წიგნი—სასურველსა მისსა წინაშე, ასრე მყოფისაგან, რომელ ქვეყანაზედა ჩემგან უფრო საბრალო არავინაა.

«გული ჩემი ტანითურთ შენისა კიდეგანობისა ცეცხლითა იწუის, სანთლისაებრ ვენთები, მისგანცა ამით უარე მყოფი, რომელ იგი თუცა იწვის, სრულადცა დაილევის; და მე მიწყით ვენთები, ვიწვი და დაულევნელობითა ვიჭირვი. ყოველთა წამთა ცრემლითა ვიბანები და მისგან ჩემი დავსება არ ეგების. ბნელთა ღრუბელთაებრ გულ-კუამლიანი ვარ, ფათერაკისა ნადიმი და ჭირისა არიფი ვარ. კიდეგანობისა ზღუასა შიგან ვიშთვები, საბრალო, მიწყით მტირალი. ერთი ჴელი გულსა ზედა მიძს და ერთი თავსა. ბაგეთა ჩემთა ლალობა გაფეროზებულა დ ყოველი კაცი ჩემისა სიბრალულითა იწვის. ერთი თვალი და ათასი ღრუბელი წუიმრიან,[1] ერთი გული და ათასი ფერი შეჭირვება. კიდეგანობამან გამიმჟღავნა ხუაშიადი ჩემი, სისხლითა და ცრემლითა სწერს ყუითელსა ღაწუსა ჩემსა ზედა. გულისა ჩემისა ასეთი ცეცხლი აეგზნა, რომელ თმობა და სიხარული ორივე დამიწვა. ზღვასა დაემსგავსნეს თვალნი ჩემნი მეტად წყლისა დენითა, რომელსა შიგან თვალთაგან ძილი დამეკარგა. რა საძილი ადგილი წყლითა სავსე იყოს, მუნ ძილი ვითღა ეგების? მე ამით ჴელითა, რომლითა ესე წიგნი დამიწერია, მითვე სიხარულისა საგებელი დამიკეცია. გული ჩემი გაიქცა მეტად ჭირვეულობისაგან და ტანი ჩემი დაილია სასჯელთაგან!

«რად მომაშორვე მზისა მგზავსი პირი შენი, ჩემი სულ-

---

[1] წვიმრიან—ესე იგი სწვიმს, სწვიმავენ (სწვიმ-არიან).

თავანცა უფრო საყუარელი? ქუეყანისა გულის ნება და სისარუ-
ლი ვითღა ესმებნო, რადგან ტანსა შიგან არცა გული დამრჩო-
მია და არცაღა სული? ანუ ვით შემეძლოს სიცოცხლე, ვინათ-
გან უსულოსა და უგულოსა სიცოცხლისა მიცემა ღმრთისაგანცა
ურგებია. მე უამისო ვით დავრჩე, თუით ოდიდგან შენგან გა-
მოუსვენებელი, რომე აქამდი სიკუდილისა ნატრა დღეს დამვი-
წყების ჭირთა მომატებისაგან? მე ოდიდგან პირისა შენისაგან
ჭურეტასა მოვშორდი, შენისა თმისაებრ დაწლობილვარ. დღი-
სით მზესა ვჭურეტ შენისა მსგავსებისათუის და ღამით სიბნე-
ლესა შენთავე თმათა სასებისათუის. თუ ჩემოდენნი ჭირნი
მთასა დაემართნენ, წყალისა ნაცვლად მასცა სისხლი გამოეცე-
მის.

«შემავონებენ მოყუარენი და მაყუედრებენ მტერნი და ქუეყა-
ნასა შიგან არაკობასა იტყუიან. მაგრა შენისა სიყუარულისა
და მიჯნურობისათუის ვერცა ეგრე მოწყუედილვარ. ნუ თუ
თუით მიჯნურსა შეგონებით წყრომა, ცვა და წურთვა უფრო
გასხელებს ვით მე? დღითი დღე უარე ვარ. ესე რაცა მე მჭირს,
არ სიყუარულია, დღითი დღე მომატებული ღრუბელია მწუიმე-
ლი. ესე არ კიდეგანობაა, მაგრა მოწამლული დაშნა არის
გულსა და სულსა! თუით გონებიანი კაცი რად გამიჯნურდების,
თუ ღონე აქუს; რად მიეცემის ეზომსა ჭირსა; რად მოეწონე-
ბის თავისათუის ეზომი მოუსვენებლობა და ნავღელი? ვინ
იცის თუ მე შენსა სიშორესა შიგან რაზომნი ჭირნი გარდამი-
ხდიან! და თუ ყოველი მიჯნურნი ამა ჭირსა შიგანა და ჩე-
მებრ საბრალოა, ნუთუმცა დარჩების მიჯნურობისა ნიშანი?
მრავალჯერ მივიცხევია და მიცინია მიჯნურთა ზედა და აწ ნა-
ცულად მითცა მიტირია და სინანულად გამსულია. ვიცინოდი

მათზედა ვითა მტერი მათი, აწ იგინი ჩემითა სიბრალულითა ტირან ჩემზედა. ასრე მე უსაბრალოე ვარ ყოველსა მიჯნურსა!

«ვენახე წინასცა, რომელ მზისაებრ ელვარე ვიყავ,—აწ სისავსე ჩემი დამჭნარა ჲ ლაწვისა ჩემისა ფეროვნება გაზაფრანებულა. ნაყოფიერი შტო თუ სისავსისაგან დადრკების, მე ჭირისა სიმრავლისაგან მოდრეკილვარ, მშვილდისაებრ გამრუდებულვარ საროსა მსგავსი და მშვილდისა საბლისაებრ დაჭკნობილა ტანი ჩემი. აქა ასრე დამაგდე საბრალოდ და კიდეგანობისა ცხენი გააჭენე. შენისა ცხენისა მტუერი თვალთა შიგან ვითა ლუსმარი მასვია და შენი სახე თვალთა შიგან დამრჩომია და სახელი ენასა. სული მიბნელდების და გული მიბნდების შენისა ნატრისა და სურვილისაგან. მეტყვიან: «ვირემდის ჰკვნესი? დაღეულხარ გოდებითა. გარდასრულსა დღესა გავს მოყვარე წასრული ჲ ნუ შეიჭირვებ, თუ გული გაქვს და გონება.» მაგრამ; მე გული არა მას მემოწმების, რასაცა იგინი მეტყვიან. ღვინო ჩემი დაიღვარა, მაგრა სული არ წავიდა. მისი ღამე არის და აწ მზე წასრულა; ჩემი ქვეყანა ერთობ დამბნელებია. იმედისა მომლოდე მე ამით ვარ, რომე დილასა ჟამსა მომავალია. ყოველი ყვავილი და ვარდი გაზაფხულ გამოჩნდების; ნუთუმცა ჩემიცა ვარდი გამოჩნდა.

«შვენიერო ტან-გრძელო, პირ-მთვარეო, სულ-ამოო, სურნელო, წყლიანო, თმა-გრუზო, მე შენი ასეთი უზიარო მოყვარე ვარ საკუთარი! თვით შენ იცი; მე არა თუ ამა ერთსა, მაგრა ათასსა სულსა შენთვის გავსწირავ. ერთი შენი თმა ასრე საყვარელია ჩემთვის, რომელ ათასჯერ სულთა მირჩევია. შენ მინდი, რომელ არ მინდა წამსა სიცოცხლე ჩემი უშენოდ.

შენ გძებ მიწყით, არ გძებ უშენოსა ლხინსა. გამოგიცდივარ მრავალჯერ და ხანიერობა გიცნია, რომლისაგან არცა შენ უმადლო ყოფილხარ. აწცა იგივე შენი მოყუარე შენთუის ხელი და მოუსვენებელი ვარ, რომელ მოწმად მყუანან სისხლისა მადენებელნი თუალნი.

«მოედ, ნახუენ ჩემნი მოწამენი, რომელ შეგაჯერონ ჩემი საქმე! მოედ, რომელ ღაწუნი ნახენ ჩემნი წითელნი—ყუითელნი, ათისა წლისა სნეულისა მსგავსნი! მოედ, გაიცადენ ცრემლნი ჩემნი, ჯეონისა მგზავსად ნადინებნი და ქუეყანა ჩემი ჯეონისაგან სისხლითა შეღებული! მოედ, რომელ ნახო ტანი ჩემი მარტოობისა და შენისა გონებისაგან მოდრეკილი, რომელ სიხარული—ჩემგან და მე კაცთაგან დამფრთხალვარ, ვითა გული ჩემი შენგანვე კიდე სხუისა რასაცაღა გონებისაგან! მოედ, რომელ ნახო მიჭირვებული ჩემი ყოფა! აღარაა ჩემთანა კაცობა და გამოსრული ვარ ყოველთა სიხარულთაგან, ვითამცა წამითი წამ ორთავე თვალთა დანითა ვინმე მჩხულეტდა! მოედ, რომელ ჩემი საშენოდ სიყუარული და მიჯნურობა დღითი დღე ესრე მომატებული ნახო, ვითა თუით შენი შვენება!

«თუ არ მოისწრაფებ, მე ცოცხალი აღარა დაგხუდები. თუ ჩემი მოსწრაფება გწადიან, ნუღარ დაიყოვნებ წამსაცა. ქუე ზი, ზე ადგა; და ზე სდგა, ნუღარ დასჯდები. წამსაცა ნუღარ მოისვენებ. რა ესე წიგნი წაიკითხო, წამოედ დღივ დ ღამე იარე. შენად მოსულამდი უცნობოსა მიგონებდი დ თმობა უქონებელსა; შენთა გზათა თვალისა მგებელი ვარ ვითა გუშაგი. და თუღა მიმჭირდების შენი კიდეგასრობა, გაუშმაგებელი უღონიოდ არ დავრჩები. შენად მოსულამდინ ამისი მთხოველი ვარ ღმრთისაგან, რომელ გამძლება მომცეს და შენი უნახავი არ

მოვკუდე და ნუთუმცა მანვე მისითა მოწყალებითა ესეცა ქნა, რომელ გულის ნება გაგისრულოს და უშიშად ერთმანერთისა სისხლუ მოგხუდეს, ეზომნი ჩუენნი ჭირნი მოიწყინნეს და ფვა-თერაკთა მომლოდეობანი.

«მაგრა აწ თუმცა ღმერთმან შენისა პირისა ნახუა მომცა და მერმე მოვკუდე, აღარა მგამს! მე თუ ამა მეჭირვებასა შიგან მყოფი მოვკუდები, ჩემისა გულისა კვამლი ქუეყანასა და-აბნელებს და ცასა დააჭუარტლებსო.»

რა ვისმან წიგნი გაასრულა, მაშინვე სწრაფით ჯამაზითა აქლემითა თავისა მისანდობელი ყმა გაგზავნა ფიცხლა.

ჰე

ყმა გულოვანი დ მისი ერთგული მისთა წადილთაებრ ფიცხლა, ვითა მფრინველი, წავიდა დ გისის წიგნი რამინს მიართუა.

რა ნახა, გულმან მგერა დაუწყო და ვითა ცხრო-იანი ათრთოლდა. თუით მისთუის მოსურვებულმან რა მისგან დაწერილი ნახა და წაიკითხა, სრულად შმაგთაებრ თავისა გზა კვლარა გაიღო. დაიდვა მრავალჯერ პირსა ზე-და წიგნი, თვალთა და მკერდსა ზედა ედვა, აკოცებდა, უთმი-ნოებისაგან თუალთა ცრემლსა ვერ იჭირვიდა და გულისა მისი-სა კუამლი ცამდის აღვიდოდა. ესეთნი კარგნი სიტყუანი მრა-ვალნი თქუნა, რომელ არ გაიგონების:

«გულო, ვირემდის ითმენ ესეთსა ყოფასა, რომელ თუ შენი მიწყით ჭირსაა და წელიწადი ფათერაკისა?!.... გულო, თა-ვისა ნებისა მმებნელი არ ესრე კამს. რასა იქმ, უნდო, რომელ ბოლოსა ჟამსა იგონებდეს და არ შეშინდეს ჩემებრ უგულო მკუეთისა კრმლისაგან, პილოსა გამწყრალისაგან, ლომისა მში-ერისაგან? არცა სიცივისა და არცა სიცხისაგან არ შეშინდების,

არცა ბუქისა და არცა ზღუისა ზუირთისაგან შეშინდების. რადგან მიჯნური ხარ და ყოველთა მიჯნურთა გარდასრულთა და მომავალთაგან უსაბრალოესი და უფრო მიჭირვებული, რასა სწყალობ თავსა? ესრე სიჯაბნე რა საშენოა? რად არ ეძებ ღონესა რგებისასა? ვირემდის იკითხავ შენ ეტლისა საქმესა, ვირემდინ სჩივი და სტირი? რასა ვინ გარგებს სხუა, თუ თავისა თავსა შენ არას არგებ? რად ვინ რას მოიჭირვებს შენთუის, რადგან თუით მიჯნურობა ძაბუნია? შენვე დაუმდაბლდი მიჯნურობასა. დამცრობა მტერისა სიმაღლეა.

აწ გარდაიგდე სრულად გულისაგან სიმძიმე ტუირთისა. კაცსა ყოველი უბედურობა შეფრობილისაგან ეკიდების: სრული სიხარული და სიამოვნე მალვასა შიგან ოდეს იქნების დ̃ რადღა ესრედ უბოლო მალვა ჩუენ გუჭირს.[1] ყოველთა მოყუარეთაგან უფრო ჭირ-გარდანაკადობაა და ესრეობასა შიგან ერთსა სარგებელსა ათასი ზიანი სდევს დ̃ ერთისა დღისა სიხარულსა— ერთისა წლისა შეჭირვება. აწ ანუ, ღმერთო, დავდვა თავი საკლავად და სრულად წავკვდე, ანუ აქამდინ ნასკუი გავხსნა და დავხსნა თავი ჭირთაგან! მე ჩემისა კრმლისაგან უმაგრესი მეშველი არავინ ვიცი და არცა ჩემისა მგლავისაგან უკეთესი ძმა მივის!

არა თურე ჩემისა, ჩემთუის თავ გაწირულისა, ვისის მიჯნური და საკუთარი ვარ და არცა მამაცი, თუ აქათგან ვისიცაღა მუდარა ვიყო! გამჟღავნდეს ჩემი საქმე, და რაცაღა სწადდეს, იგიცა მოჰკლდეს! სიკუდილისა უარესი რა წამეკიდების,

---

[1] ვარიანტი გადაუსწორებელ ხელნაწერში ასრეა: «ოდეს იქნების და ზადალარე ესრე უბოლოოსა მალვასა რომელ ჩუენ».

ანუ კრმლისაგან უმახჳილესი რა მეცემის?!... მე რა გისის ვაშორავ, ვკუდები; და რა ვიასლო, უსაკუთრობისა მისისათუის გული კრმლითა მეჭრების. სახელისა მძებნელი მტერსა არ ერიდების და მარგალიტისა ვაჭარი—ზღვასა. სიხარულისა გზისა მცველი ლომია და ნებისა ღვინისა ჭიქა—კრმალია.[1] გარდაიარე ლომისაგან უშიშად და გამოისვენე ურიდად. ზამთრისა სიცივე რა გარდაჴკდეს, ზაფხულისა სიამოვნე მაშინღა მოვა. ნუთუ შეიბრალა ღმერთმან ჩუენი საქმე და ჩუენისა ჭირისა დღე დაილია და სიხარულისა ჟამი მოგუივიდა, წავიდა ზამთრისა სიძნელე და ზაფხულისა მოგუეახლა!»

რამინ ამა გულისა საუბარსა შიგან ერთსა ადგილსა ველარა იდგა, იწუდებოდა; ზოგჯერ გაასცივის და ზოგჯერ გააცხელის გონებამან. ტიროდის და ოხრევდის. გულისა ფიცართა ზედა გისის სახე გამოესახა და თვალნი გზასა ზედა ჰქონდეს, შეღამებასა მოელოდდა, ცისა ჴაერსა უჭვრეტდა შეღამებისათუის, რათამცა უმალე გაეხსნა გზა მისი.

---

[1] ვარიანტი: «ღვინისა ჭიქა და კმალია».

პვ

ა დღისა ცეცხლისაგან ღამისა ჯუამლი დარჩა და ჭკერი დაბნელდა, წამოვიდა თმობა უქონებელი რახსოსანი მჩქეფრამინ ხუარასნისაკენ და ვერავინ ნახა მთუარისა და ვარსკულავთაგან კიდე. მოაბადის ლაშქართა თანა მან ვერავინ ცნა. თუით იგი და ვისის მოციქული ორმოცითა დარჩეულითა უმითა ზოგჯერ ცორვითა და ზოგჯერ რბევითა მოვიდოდეს სწრაფით. ერთ კვირა მარავს მოვიდეს გურგანიდაღმა. რა მინდორი მშვიდობით გარდმოიარეს და ერთისა დღისა სავალი დარჩა მარავამდის, მაშინ ვისის მოციქული წინათ გამოგზავნა და გულისა მონაცემთაებრ დიდი სალამი და სურვილი შემოსთვალა. და ამა საქმისა ყამად გაუმჟღავნებლობა შეავონა, კაცსა ესე დაავედრა:

— ვისის და მიმას მეტსა ნუვის უთხრობ ჩემსა მოსვლასა და ესე ხუაშიადი შეინახე, მით რომე ჩუენი სათავნო და სარგებელი მიმა ოდენ არისო და ჩუენი საქმე ესრე გაასრულა, რომელ აქათგან აღარ დაიმალვის. ვერცაღა მოაბადის პირსა ვნახავთ და თუ ვნახოთღა, რაზომცა ავი წამეკიდოს, მე მმარ-

თებს. ხვალე ღამე ციხეს ზედა ფრთხილად იყავ, შუაღამე მომელოდდი და ესეთი რა ღონე ქმენ, რომელ ერთგან შე-ვიყარნეთ. მერმე რაცა კამს, მისი თათბირი ვქნათ და ჩუენი საქმე ვიურვოთ. და ჩემად მოსულამდინ ესე საქმე დამალე, რომე არავინ ცნასო.

წავიდა მოციქული; ვითა მახარობლისა წესია, ეგრე ფი-ცხლად მივიდა. მაშინ ვისი მას მარავისა ქალაქისა ძველსა ცი-ხესა შიგან იყუის, რომელ ქუაჰნდეზი ჰქუიან და ერთობით ძველი და ახალი პაპის-პაპეული მოაბადის საჭურჭლე ყუელა მას ციხესა შიგან იდვა. და ზარდი, მოაბადის ძმა, ციხის მცველად იყო და ვისისაცა, რომე საჭურჭლისა და ციხისაგან-ცა იგი უფრო დაეჭირებოდა. თუით ზარდის საჭურჭლეცა მუნვე იდვა, რომე მოაბადის საჭურჭლისაგანცა უფრო იყო. მის[illegible]უმდიდრესი კაცი მიწასა ზედა არ იყო, ამით რომე მოა-ბადის ძმა იყო, მისი მისანდობელი სახლისა უხუცესი და თუით ერთგული მისი.

და ესე ვისის გაგზავნილი მალვით ქალაქს შევიდა და მერმე დიაცურად ზეწარი ჩაიცვა და ვისსა წინაშე ეგრე მივიდა. ყოველთა დღეთა ვისის წინაშე დედათაგან დარბაზობა იყუის. ესეთი დღე არ გარდაკდის, თუმცა ხათუნნი, დიდებულთა ცოლნი არ ეწუივნიან და მათთუის არ გაეხარებია და მაქმანი არ ექნა. ესე ყმა, მოციქულად გაგზავნილი, ზეწარითა ესრე მივიდა, რო-მელ ვერცა თუით ვისმან შეიტყო მისი შესვლა. მერმე გა-მოეცხადა და რამინის ამბავი წურილად მოახსენა შეთულილობა და გაავგონა ვითაცაღა იყო ვისსა. ვით ესე ამბავი იამა ვისსა და გაეხარნეს, თვით მისისავე გულისაგან კიდე მიწთომა ვისმცა ჰქონდა?! მოეწონა რამინისაგან ამისი ქნა, დაიმადლა ურიცხვად,

რა დაისკუნა მისგან მისი ულევრობა. და ღონესა მებნა დაუ-
წყო მისისა შეყრისა.

მერმე მასვე წამსა ვისმან ზარდის კაცი მიუგზავნა ვითა, ჩემი ძმა გირო აგად ყოფილა, მესმა და მზმანებია, რომელ მოუჯობინებია. აწ მისთვის სამღთოსა ქნასა ვლამი, მუნ დია რამე შეწირვა გამიგია და გლახათა მიცემაო. ზარდმან ეგრე შე-მოუთვალა, აგრე, ღმერთო ქმენ, ნეტამცა მიწყით საღმრთოსა და სასჯულსა საქმესა იქმოდეო. რაცა სჯობს, ღმერთმან იგი გაქნევინოსო.

მაშინვე ციხისაგან ვისი ჩამოვიდა და ჯიმშედის აგე-ბულსა საცეცხლესა მივიდა ლოცვად. დიდებულთა ასულნი და ცოლნი ჰყუეს თანა. შესაწირავი გასცა დია უამრავი, და ზრო-ხა და ცხუარი მრავალი დაკოცეს გლახათათვის; და სტავრა-ოქრო წაავო შეწირვით და გაცემით დიადი. ღამე რა კარგად დაბნელდა, რამინს აცნობდეს და მივიდა რამინ მალვით. გა-ახალვათეს ადგილი. ერთმანერთისა სიხარულითა გაიხარნეს, თათბირი ქნეს რამინის ზე გასულისათვის. რაზომცა ძნელი და საჭირო საქმე იყოს, რა ღმერთი და ბედი შესწევს კაცსა, ყველა მოუადვილდების. ვითა მით ვინცადა დიდებულთა ცოლნი იყუნეს, თავის თავის გაიყარნეს. გარეგანნი კიდე ყველა წავი-დეს. და მათ მათნი მისანდობელნი კარგნი ყმანი დაიჭირნეს. რამინ და ვისმან ორმოციოდენ კაცნი ზეწრებითა შეასხეს და თვით რამინცა ეგრევე შეეკაზმა. წინათ გულა მსახურნი სან-თლოსან-მაშხლოსანნი მივიდეს, ხოჯანი და ჩაუშნი. ამით ღო-ნითა ქალაქს შევიდეს, რომელ ვერავინ უგრძნა. კაცსა სცემდეს გზასა ზედა და ჯალაბსა აყენებდეს ვისის კრძალვისათვის. ამით უაზროთა საქმითა ვერავინ უგრძნა მათი ხვაშიადი და

ორმოცითა კარგითა აბჯრულითა ყმითა ჭაბუკითა ციხეს გავიდეს.

ციხოვანთა ციხისა ჯარი გამოხშეს, ზღუდეთა ზედა გუშაგნი დააყენნეს წესისაებრ და ესე არ იცოდეს, თუ მოაბადის ციხე-დარბაზი მტერითა სავსეაო. გუშაგთა ციხისა ცვა დაიწყეს და ყივილი. ღამე სრულად დაბნელდა დაღრეჯილისა გულისაებრ, ჰაერი შეიღება მძივთითა და ფისითა, ცა აივსო ვითა ზღვისა ფსკერი მარგალიტითა. ამა დაკაზმულმან ლაშქარმან გამოდენა დაიწყო, ვითა ალექსანდრეს ლაშქარმან ბნელეთით. მათი ომი მოედვა ციხესა ცეცხლისაებრ. სრულად ციხოვანთა ჭრა დაუწყეს. რამინ მძინარესა მძასა ზარდსა ზედა მივიდა. ზარდი გულოვანი და ფიცხელი იყო, აიჭრა და შემოფრინდა ვითა ვეფხი რამინს, ვითა თუით ბედსა მისსა სიკუდილი და მოაბადის წაწყმედა.

ჳზ

რამინისაგან ზარდის სიკუდილი

რამინ ზარდსა მუდარით ეგრე უთხრა:

— ჩემისა მტერობისა და სიკუდილისათუის ნუ ხარ მიწყით გაფიცხებული. ჩემგან შენი ვნება ღმერთმან იცის, არ მწადიან. დაავდე კრმალი და მიმიშვი. მე შენი უმრწემესი ძმა ვარ, ჯვსა ნუცავის სხუასა უზამ და ნუცა თავსაო.

რა ზარდსა რამინის კმა ესმა, მტერობისაგან დაუბნელდეს თვალნი, ვერა გაიგონა დ დაუწყო რამინს გინება დ ავთა ზნეთა უშედრება. შემოუტევა თავსა კრმლისა საკრავად. რამინ დარაკა ივარა; დარაკა სრულად გაკუეთა. მერმეღა რამინ ჰკრა ზარდსა, თავი და კელი მოჰკუეთა და შეიღება ციხე მისისა სისხლისაგან. თუითოსა ბანსა ზედა ათ-ათი კაცი მოკლული იდვა და თუითოსა უბანსა ზედა მკუდრისა გორი იდვის. მრავალნი სიკუდილისა შიშითა ციხით ჩამოხლტიან და სიკუდილისაგან ვერცა ეგრე იხსნიან; მრავალთა მოიჭირვეს სიცოცხლისათუის დ ვერცა ეგრე დარჩეს. დღე იყო და მისთა მჭურე-

ტელთათუის ღამე და ღამისაგან უბნელესი. ჯერეთ ქათმის ყივილი არ იყო და ზარდი სრულად დაილია. რამინის საწუთრომან და ეტლმან რაზომცა გულის ნება მისცა, მუნამდი ვერცა ეგრე, ვირე ძმისა წაგურითა, არ დაწვა. საწუთროსა რასდონჯერცა გამოსცდი, მიწყით ასრეა, რომელ ლხინი მისი უჭიროდ არ იქნების. ვარდი მისი ეკლიანია და ლხინი ჭირიანი, მიჯნურობა ფათერაკია და სარგებელი მისი ზიანია.

რა რამინ თავისა ძმა მოკლული ნახა, გულსა შეუკდა, და სისხლი აუდუღდა; საყელონი გარდისივნა, თავსა იცემდა და მოთქმა დაიწყო: «ვაგლახ მე, ჩემო ძმაო სვიანო და სულთაებრ საყუარელო! რაზომცა შენ დამმტერებოდი, რად არ აუდეგ გულსა წინა? რად მოგკალ?... კელნიმცა-ვინ გარდამჭრნა და თავნიცა-ვინ მომკუეთა! ვით მოვკალ შენებრი ძმა, რად ამოვიყარენ თავისითა კელითა თვალნი?! რაზომცა დიდი სიხარული ვპოვო და დიდება მომხუდეს, შენებრ ძმასა ვერცა ეგრე ვჰპოვებო.»

მოთქუა რამინ ძმისა საქმესა ზედა; იტირა, მაგრა არა ჭირისა-ყფლობისა ყამი ჰქონდა,—ჭირისა და შუღლის ყამი იყო. რა მეცხოვრე მოკუდა, ცხვარნი მგელსა უმეცხოვრეონი დარჩეს. რამინის კრმალი მის ღამისა სპარსთა სატებისაებრ მამბარსა ზედა მაღლად ჩნდა, რომელ მისთა მტერთა ბედისაებრ მას ღამესა ბნელი იყო. ეტლნი და ფილაქნი რამინის კელმწიფეობასა თურე ინატრიდეს, რომელ მისთა წადილთაებრ უმარჯვებდეს საქმესა.

რა გათენდა, რამინის ბედი ნათლად გამოჩნდა, ქუეყანასა ზედან მზემან ამბავი მოჰფინა მისისა კელმწიფობისა. დილასა დარბაზთა ზედა დაჯდა ვისის გურდით გამარჯუებული და

ვისის გვერდით ყოფისათუის მხიარული და მოკლესილი, ყოველთა შიშთაგან უშიშ ქნილი და შეუჭირვებელი. მისი წინა აღმდეგი არავინ იყო. დაჰყო ორი დღე შინა ციხეთა და ლაშქართა საქმე დაიურვა. მერმე რაცა მარავს შიგან ჯორი და აქლემი იყო, თუ პილო, ყველა შეყარა და რაცა მოაბადის საჭურჭლე იყო, ყველა ასრე აჰკიდა ათასსა აქლემსა, ჯორსა და პილოსა, რომე საჭურჭლესა შიგან ერთი სტავრა და ერთი დრაჰკანი არ დააგდო. დატვირთა ყველა თუალითა, მარგალიტითა, ოქროთა და სტავრითა; გამომგზავრდა მისითა მოყუარითა და ლაშქრითა. ჩასვა თუალითა და მარგალიტითა მოკაზმულსა კუბოსა შიგან ვისი. მოვიდოდა! ესრე საჩინოდ, ვითა ვარსკულავთა შიგან მთვარე. მივიდოდეს ფიცხლად დღე და ღამე, ორისა კუირისა გზა დღივ გაიარეს. გარდაიარნეს მთანი და მინდორნი.

ოდეს რამინის ამბავი შაჰი მოაბადს მოახსენეს, რამინ ყაზმინს მისრულიყო და ყაზმინით დელამთა ქუეყანასა. დიდი და მაგარი და ლაშქარ მრავალი დელამნი და გელანელნი; ეზომ კარგნი ყმანი, ბნელსა ღამესა არ დააცდუნებენ, თმასა მაზარაკითა გააპობენ და ნავქსა შესტყორცებენ, გურდემლსა გაარბენენ, შუბსა უტევნისაგანცა უფრო შორს გასტყორცებენ, დიდროანი და კარგი დარაკები აქუსთ. თავ-თავიანთ შინა ერთმანერთისა მებრძოლნია; კრმალსა, შუბსა და ისარსა კარგად იკმარებენ. ესრე კარგნი ყმანია, რომელ რაზომცავინ დიდნი და კარგნი სპარსეთისა ჴელმწიფენი ყოფილან, მათთუის კერცავის ხარაჯა დაუძს და კერცავის წაუღია. დღესამდინ იგი ქუეყანა ამით ქალწული არის, რომე ვერა რომელსა ჴელმწიფესა აუღია და მისგან გულის ნება ვერ უპოვნია.

რა რამინ მუნ შევიდა საჭურჭლითურთ დაუკლებლად, ოქრო აკუმად დაასხა და ჯამითა გაყოფა და გაცემა დაიწყო,—მტერმან და მოყუარემან მიმართა. რა მისთა ჴელთაგან ოქრო წუიმდა და ბედი უყუაოდა, ლაშქარი ზღუის ქუიშისაგან და ხის ფურცლისაგან უფრო გაუმრავლდა, დროშა მისი ცად გაიწია. მომართა ყოვლისა ქუეყანისა ლაშქარმან; მაგრა არ მას მომართა,—ოქროსა და ლარსა. რაცა დიდებული იყო, ყუელა მისად სამსახურად მოვიდა ქსეთთავითა: ამიამ და ქიშარ, ვირო და ბარამ, რაჭამ და გელო. და სხუანი ჴელმწიფენი იყუნეს, რომელნი სიშორითა და ყამისა უქონლობითა მაშინ ვერ მოვიდოდეს, ყუელათა წინათვე ლაშქარი გამოგზავნეს; მერმე თვით მოვიდეს. ესრე გამრავლდეს რამინის ლაშქარნი, რომე მიწასა ზედა არ ეტეოდეს. ამირ-სპასალარი მისი და ვეზირი ვირო იყო და მსახურთ უხუცესი და ეჯიბი—ხამი და გულო.

რა ესე ამბავი მოაბადისა ლაშქართა შიგან მივიდა, შიშითა მოაბადს ვერ აცნობეს, მით რომე ავცნობობა და წყრომასა შინა დაუბუნებელი იყო. ჴელმწიფეთა შიგან ავცნობობისა უარესი ზნე არაა. ყუელამან ამის საქმისა დამალვა გამოარჩია, სამსა დღესა ვერავინ მოახსენა და ვინცავინ მისი იყო, ყუელანი თავის-თავ გაიყარნეს. რა მოაბად ამბავი ცნა, გაშმაგდა, ცნობანი წაუვიდეს, ბედსა შეება და მისისა თავისა გზა და ღონე ვეღარ შეიგნო, თუ სთქუა წინათ და უკანით გზა შეეკრა. ზოგჯერ ამასა იგონებდა, წავიდე ხორასანს რომე ნუმცაა ქუეყანასა ზედა ვისი, და ნუცა რამინ, და ნუცა გურგანი, რომე წამოვედ! ზოგჯერ ამას იტყოდა, თუ აქათ წავიდე, ქუეყანასა შიგან საუგოდ დავიდები, ამას მიზრახვენ, «შეშინდა რამინისაგა-

ნო, თუარა ხუარასანს არა მოვიდოდაო.» ზოგჯერ ამას იტყო-და, წავიდე რამინისა საშუღლად, ნუთუ ჩემი ბედი თანა აღარ დამადგეს! ჩემნი ლაშქარნი მემტერებიან, მეფედ ყუელასა რამინ უნდა, ყმა კაცი არის და ბედიცა მისი ყმაა. ამას ვეჭუ, რომე გამარჯუება მისგე იქნას, ჩემი საჭურჭლე ყუელა მას აქუს. მე გლახა ვარ და იგი მდიდარი. ვერ ვჭამე იგი და ვერ ვიკმა-რე, ყუელა მისთუისვე მედვა. მე დედამან ჩემმან მიყო, რომე რამინს შემანდობინა და მართლად წამკიდა. თუარა რად გისი-სა სიტყუასა უკანა უდგებოდი?

ერთსა კუირასა დარბაზობა არ შექნა ამისის გონებისაგან, თუ რა ვქნაო. მისმან გონებამან ზღუა და კმელი ყუელა მოი-არა, მერმე ბოლოსა ყამსა ესე დაასკუნა, რომე რამინის ომად წავიდეს და შეებას. გაქცევა ქაუგებოდა და გურგანით ამულს მიმართა და დადგა ლაშქარი მისი ამულის ველსა და აივსო ქუეყანა ლაშქრითა და კარვითა სიმრავლითა დაშვენდა.

ჳც

შაჭი მოაბადის სიკუდილი ტახისაგან

რაზომცა ვინ საწუთროსა სცდიდეს, მისსა მალულსა ხუაშიადსა ვერცავინ ეგრე სცნობს. მისისა გულისაგან უფრო დამალული არაა და არცა მისის გონებისაგან უმასვილესი. საწუთრო მკლეია და ჩუენ შიგან სიზმართა ვგავთ. რად მოველი შიგან დაყოვნებასა? არ არის ერთ ფერად მდგომი, არცა დაემორჩილების კაცსა, არცა სიყუარულსა მტერობისაგან გამოარჩევს, და არცა მოყურობასა ვის გაუსრულებს, ვინც მისგან სიყუარულსა მოელის; ასრე ვითა ბრმისა [1] გუშაგობასა საქმე უჩვენებს კაცსა მრავალ ფერად: საქმე შიგნით სხუაა დ გარეთ სხუაა; თვალთ-მაქციერსა გავს. მრავალ ფერნი მეკვებანი მივლენ, მაგრა შიგან დიდხან ვერავინ დაჭყოვს. მას მშვილდიანსა ჰგავს, რომელ ბნელსა ღამესა ჰგავს, რომე ისროდეს: ისარი მისთა კელთაგან

[1] ვარიანტი: «ვითა ბარამის გუშაგობასა».

წავა და არ იცის, სად დაეცემის ⁊ ჰქებთ მისგან სარგებლისა და არაა. თუმცა მისგან დაგურჩა, არცა თუით დავრჩებით. ასრე სიმძაფრისა შიგან ვართ. რა ერთი დღე გარდავიდეს და მეორე მოვიდეს, იგი პირველი დაავიწყდების და მისიცა შედეგი სხუა გააკუირვებს კაცსა. **ხაწუთროსა** მრავალ ფერობა ერთსა გაადიდებს და მეორესა დაამცრობს. მოაბადის უკეთესი კეთილმწი-ფე ქუეყანასა შიგან, ვით მზე, გაცხადებული გაბედითა და წაავკდუნვა. ბოლოსა ყამსა დაღრეჯილი და ნება გაუსრულებე-ლი დარჩა.

რა ლაშქარნი ამულს დააყენნა, მას ღამესა გათენებამდინ სმად დაჯდა. **სრულად** დიდებულნი დამოსნა, სხუათა ლაშქართა აბჯარნი, ცხენი, ოქრო და ლარი უბოძა, აავსნა საბოძვრითა; მათისა მომადლობისათუის იჭირვოდა. თავისა მორჩილო-ბასა იურვოდა და ესე არ იცოდა, თუ ღმრთისა განგება-სა მის ღამისა შედეგად რა გაეგო მისთუის. **მას** ღამესა მხია-რული და მთურალი ქვე დაწვა; მერმე მისისა უბედურობისა დილა გათენდა.

მოაბად დარბაზობა გამართა და დიდებული ყუელა მის წინაშე მისულიყო და საურავი ჰქონდა. თუით მოაბადის კა-რავნი და მისთა ლაშქართანი ტყის პირსა დგეს.

ანაზდეულად ტყისაგან დიდი ტახი გამოვიდა. ლაშქართა ნახეს, დევნა დაუწყეს. ღორმა მიდამო ბრუნვა და სირბილი დაიწყო. კარავთა შიგან შემოუკდა. მოაბადს კმა ესმა ლაშქარ-თაგან ღორისა დევნისა, ჭარმაგსა ცხენსა შეჯდა, კელთა სა-თხედი აიღო და მანცა დევნა დაუწყო. ტახსა შემოსტყორცნა სათხედნი და დააცდუნვა. მერმე ღორმან შემოუტევნა, ეცა ცხენსა და წააქცია, შაჰინ-შაჰ თავ-დაღმა დაეცა. ცხენსა ასწრო-

ბასა ლამოდა; კულა მოუხდა ღორი, მოჰკრა ეშვი მკერდსა და უპემდინ გაუპო. დაეცნეს ცხენი და შაჰინ-შა, ორნივე ერთ-გან.

ესრე დიდი ჴელმწიფე, ვითა შაჰი მოაბად იყო, ისრე საბრალოთა საქმითა მოკუდა. დაილივნეს დღენი შაჰინ-შასნი, დაივსო მოაბადის სახლისა სანთელი. მისნი ერთგულნი და დაჩრდილნი მიეცნეს შეწირვებასა, და ორგულთა და მტერთა გაეხარნეს.

აჰა საწუთროო, არაა შენი ხანიერება! სხვათათვის ვნახო და გავიცადო შენი მონდობა,—სიყუარული გულისაგან ამო-მეკოცების. არა მაქუს მონდობა შენისა ღმობიერებისა! ჩუენი-სა მტერობისათუის მიწყით მალულსა გუიჩი, შეცოდებასა წი-ნა არ დაგვიდებ. რაცა მოგვეცეს ყუელათავე მოგუთხოვ. ორსა დღესა მიმასპინძლებ და მერმე მისად მუქფვად სულთა მთხოვ. რად დაღური ესრე უწყალოდ ჩუენ უბრალოთა სისხლსა! თუ-ცა საცხადოდ ნათელი ხარ, დაფარულობასა შიგან საბნელე-დია გაქუს. წისქუილისაებრ მბრუნავი ხარ; წყლითა, ქარითა და ტვერითა გატენილი ხარ. რა ბედი ჩემი ორმოსა ჩააგდო, შენი სიმაღლე მე აღარას მერგების. რაზომსაცა ვინ გამოგცდის, იგივე და იგივე უხსნო, უჩენარო, მუხთალი და გამწირავი ხარ. ვინცა ზნეთა შენთა სცნობს, ნიადაგ გგმობს!

ჟთ

რამინის გაკელმწიფება

რა რამინს აცნობეს ჱსრე დაფათერაკებით სიკუდილი და ჱსე რომე საწუთროსა მზე ჴემაჰმან უგრძნეულოდ ჩანთქა, ზეპირ დია შეჭირვება დაიჩინა; ტირილი და ჭირის-უფლობა გარდაიკადა. გარნა ღმერთსა მალვით დია მადლი მისცა, რომელ იგი ჱსრე იქმნა და არა ომი დაემართა, თუმცა გლახათა სისხლი დაღურილიყო. მოაბად მოკუდა, რამინს მისი საწადელი გაუსრულდა. ღმერთსა თაყუანისცა და ქება შეასხა. ეგრე თქუა:

«ჵე ღმერთო მოწყალეო და სახიერო! განაღამცა შენ იყავ დამბადებელი ცისა და ქუეყნისა, რომე იჴსნი ფათერაკთაგან კაცთა! აწ აღთქმასა დავსდებ შენსა წინაშე, რომე ვირე ცოცხალ ვიყო, შენს ბრძანებასა არ გარდავკდე; მოსამართლე, მდაბალი, ღმრთის მოშიში, მართლის მეტყუელი, სიმართლის მძებნელი, გლახაკთა დაუჭირველი და მოწყალე, შენთა დაბადებულთა და მონათა მშველი ვიყო, და შენ მოწყალე მექმენ და დამიცევ, უფალო, მტერთა და მეშურნეთაგან მიხსენო.»

სამადლობელად გლახაკთა ზედა გასცა და მერმე მაშინვე შეეკაზმნეს წამოსვლად იგი და ვისი. საწუთროსა და მტერთაგან უშიშ ქმნილნი და მხიარულნი იყუნეს. გამოემართნეს დიდითა ლაშქრითა, ასაყრელთა ბუკთა სცემდეს; ქოს-ალამნი ჯეონისებრ მოდიოდეს. ლაშქართა ზრიალი იყო სიდიდისა, ვითა ქარისაგან ხევნართა შიგან შეიქნების კმა, აგრევე მათისა მეტად სიდიდისაგან ისმოდა. საუკუნოსა ჰგუანდა იგი გზა ჯალაბისა სიდიდისა და ზეიმისაგან.

დელამთა მთით ამულამდინ მოვიდა რამინ მისით საყუარელითურთ მხიარული და ნება აღსრულებული. შაბათსა დღესა სვიანითა ეტლითა და მხიარულითა გულითა შემოვიდა მოაბადის ლაშქართა შიგან, გარდაკდა ნობათთა კარავთა. მივიდეს მოაბადისეულნი დიდებულნი და ლაშქარნი, თაყუანისცეს, ოქრო, თუალი და მარგალიტი გარდაჰყარეს და შაჰინ-შაობასა ზედა დალოცეს. ყოელსა კაცსა გაუკვირდა მისი ეგეთი სვიანობა და მოსამართლეობა მისისა აღთქმისათუის. მაისისა დრუბელსა ჰგვანდა კელი მისი და მისისა კელისაგან ოქრო და ვერცხლი წვიმდა.

კუირე ერთი ამულს დაჰყო ლაშქართა გუერდით. ყოელთა დღეთა დიდებასა ემატებოდა, იხარებდა, გასცემდა, სუმიდა, კელმწიფეთა და დიდებულთა საკარგავი მოუმატა და მათგან სათავისო ერთგულობა და სამსახური მოიმატა. რომ დიდი და გვარიანი კაცი იყო როსტომისი ტომი, ტაბრისტანი მას უბოძა ბასანელსა როჰამს, და რე ქალაქი ბეგოს უბოძა; ადრინდელი მოყუარე იყო მისი. თუით რამინ და ვისი ოდეს გარდაიხვეწნეს მოაბადისაგან ცეცხლისა ფიცებისა შიშითა, მაშინ მისსა მივიდეს რე ქალაქს და მან კარგად უმასპინძლა და ხვაშიადიცა კარგად

შეუნასა. და ამისად მუქფად თუით იგი რე ქალაქი უბოძა. კარგის მოქმედობა კაცისა ესრე არ წაკდების. გურგანი ადინას უბოძა და გაადიდა. იგიცა ძველი მოყუარე იყო და მოკჭირვა მათისა სამსახურისათუის. ამირ-სპასალარობა ვიროს უბოძა და მსახურთ-უხუცესობა—შეროს. გუარიანნი იყუნენ და ორნივე ტანნი ვისის ძმანი იყუნენ და ვისის სიყუარულითა კარისაგან აღარ გაუშვნა.

რა ესე საქმე დაიურვა, თუძთო ქუეყანა თუითოსა აზნაურსა მისცა და თუითო ქალაქი თუითოსა ყმასა. მოირჩუნა და გამომგზავრდა ხვარასანისაკენ, მით რომე მათი საკელმწიფო საჯდომი მარავი ქალაქი იყო. სრულად ხორასანის ქალაქები და ქუეყანა შეჰკაზმეს, ყოელი კაცი, დიაცი და მამაცი, მათ უჭვრეტდა. ყოველნი გზანი სამოთხისადა დაემგზავსნეს, ყოელი კელი თვალსა და მარგალიტსა მათ ასხმიდა, და ყოელი ენა ვისის და რამინს აქებდა. მათ ულოცვიდეს და ყოვლისა კაცისა გული მათ სჭვრეტდა სიყუარულისა თვალითა.

რა მარავს შევიდა მან-შა, სამოთხისაებრ უჩნდა ქალაქი მხიარულად, და სიამოვნითა მათსავე ბედსა გვანდა და სიტურფითა ვისის პირსა. ათასფერნი მუტრიბნი სხდეს და აგრე მრავალ ფერთა კმათა იმღერდეს და მათი სიმღერა უყელა რამინის საქებარი შაირი იყო. აკუმევდეს ყოველგან ალვასა და ამბარსა, აყრიდეს ყოლგნით ოქროსა და ვერცხლსა, თვალსა და მარგალიტსა; ცხენსა მისსა ფერკთა ქუეშე უფენდეს სტავრასა საპატიოთა. სამსა თვესა ასრე შეკაზმული იყო ქალაქი. დღივ და ღამე სიხარულისა და ნიშატიანობისაგან არ დასცხრებოდეს.

და არაოდენ მარავა ქალაქი იყო ასრე შეკაზმული, გარნა მართ სრულად ხორასნისა ქალაქნი მაშიგანა იყუნეს.

მოაბადისაგან დია მისჭირვებოდა ქუეყანასა და მისითა სიკუდილითა ყველა დახსნილიყო ჭირთაგან. მოაბადის უსამართლობისაგან იხსნეს და რამინის მოსამართლეობისაგან გამხიარულდეს, ასრე ვითამცა ყველა ჯოჯოხეთისაგან ხსნილიყო. ავისა მოქმედთა მიწყით ავი წაკვიდების და უკუნისამდის წყევა დარჩების. მართალი არაკი თქუა ხუასრომან თუ, «ღმერთსა ავნი ამისთუის დაუბადებიან, რომელ ჯოჯოხეთი არ დაცარიელდეს; რომლისა მიწისაგან დაბადა, ბოლოსა ყამსა მუნვე მიიყუანნს.»

რა რამინ ესეთი მოსამართლეობა დაიწყო, ფათერაკმან დაიძინა ქუეყანასა შიგან, დამშვიდებამან გაიღვიძნა. სითაც ლაშქარნი გაგზავნნა, ყოველგნით გამარჯუებულნი შემოიქცნეს. ჩინით ბარბარამდის ყოველი ქუეყანა დაიჭირა, თუითოსა ქალაქსა შიგან თუითო დიდებულნი გაგზავნა და შევედრა, და თვითოსა ციხესა შიგან თვითო ციხის-თავი გაგზავნა და დააყენნა. რაცა ქუეყანანი აოკრებულნი იყუნეს, მისითა ბრძანებითა აშენდეს. ათასი ქალაქი უფრო აშენა და სოფელი. გარნაღამცა ავის მოქმედნი ამოსწყუიტნა და დაკოცნა. ყოველთა გზათა ზედა თვითო ფუნდუკი საქარავნო აგო და სოფლები შესწირნა მგზავრთა მადლისათუის, და დასცალა ქუეყანა ავის მოქმედთა და გზის მლეწელთაგან. ეზომი ოქრო და საქონელი გასცა, რომე მტერთა სისხლი ამოჰკოცა. ყოველსა ქუეყანასა დაავიწყდა პირველი ჭირი და უსამართლობა, ყოველნი გალხინიანდეს. მთხოვლნი გამდიდრდეს, მცხუარნი მგელთა თანა ძოვდეს. კვირასა შიგან ერთსა დღესა დარბაზობა შექნის, დავედრის ლა-

შქართა და ჴელის-უფალთა მოსამართლეობა, შეაგონებდის და სწურთიდის. დარბაზისა კართა ზედა კაცნი დააყენნა მოჩივართა გამკითხავნი; ბრჭობისა ჟამსა მას წინაშე სწორად იყვის ჴელმწიფე და მთხოელი, მდიდარი და გლახა; სწორად უკერძებდის სამართალსა შიგან ძლიერსა და უსუსურსა. ბერი, დიაცი და მამაცი პატივით დაიჭირნის, მეცნიერთა კაცთა, მლოცავთა და მეღმრთეთა ერცასხე პატივსცის და ეკრძალვოდა. ცოდვისა ყუელასაგან უცხო იქმნა. მეცნიერნი და ფრთხილნი კაცნი საახლოდ უყუარდეს. ვითა მზე მოეფინა ქუეყანასა არანისა. ჴელმწიფენი ყუელანი მისგან ისწავლიდეს მოსამართლეობასა.

ას და ათი წელიწადი დაჰყო რამინ, ოთხმოც და სამი ჴელმწიფეობასა შიგან დაყუეს მან და ვისმან. ბედნიერი დ~ სუიანი იყო თავისა ქუეყანისათჳის: ზოგჯერ სმასა, სიხარულსა და გაცემასა შექცის, ზოგჯერ სამეცნიეროთა წიგნთა და სასულიეროსა საურავს შექცის, ზოგჯერ ხორასანს ინადირებდის, ზოგჯერ ქოისტანს, ზოგჯერ დარბისტანს იყვის და ზოგჯერ ხუზისტანს და ბაღდადსა. რაზომნიცა ციხენი დ~ ქალაქნი ააშენნა, ყოველგან წყაროს თვალნი გამოადინნა. მისთა აშენებულთა ქალაქთაგან ერთი აჰვაზა-ქალაქია და მაშინ რამინ-აჰვაროუქმია დაარქუა და აწ ავაზობით უკმობენ. რამინისებრ გამარჯუებული ჴელმწიფე არ ყოფილა და არცა ეგრე გონიერი. მოსარული ესრე იყო, რომელ პირველ ჩანგი მან მოიგონა, რომე მუნით აქამდის სასიხარულო სხუა ეგზომ ამო არავის მოუგონია. და მისგან მოგონებულობითა პირველ თუით რამინს ჩანგობით უკმობდეს. იყო ესრე მორჭმით რამინ, რომე არავინ ჩნდა მისი მეუნებლე.

მიეცნეს ორნი ძენი ვისისაგან, დედისა და მამისებრნი

ტურფანი, და გონიერნი ჭაბუკნი შეიქნნეს. ერთსა სახელად ხორშედ უქმეს და მეორესა ჯიმშედ. ყოველთა კელმწიფეთაგან სანატრელნი და უკლებნი კარგითა ზნითა შეიქნნეს. ხავარის ქუეყანა ხორშედს უბოძეს მშობელთა მისთა და ბზოთრისა ქუეყანა—ჯიმშედს. ერთსა ხუარასანი და ხვარაზმი გაუსაკუთრეს, და მეორესა შამის ქუეყანა, ეგუიპტისა და ყიროანი მისცეს. არანი, ხომხითი და სრული აღრაბადაგანი თავისთუის დაიჭირა.

რამინ დიდხან მორჭმულობასა შიგან კელმწიფობდა და ყოველნი საწადელ-სათხოელნი აუსრულდეს ღმრთისაგან. ესრე გრძლად ცოცხალიყუნეს, რომელ შვილის შვილნიცა მოესწრნნეს.

რა ვისმან რამინის გუერდით ოთხმოც და ერთი წელიწადი დაჰყო, სიბერითა ძალი მოელო, სიკუდილად მიეხარნეს, რომე სხუისა მომლოდეობა აღარასა ჰქონდა. მისვე აუკდელისა საქმისაგან კიდე მშვილდისაებრ მოდრკა და დაჭნა და დადუხჭირდა. გისცა მტერი არ ესვას, რა გაიცადოს, მტერად თუით საწუთრო ეყოფის. საწუთრო რაზომცა კაცისათუის კრძობდეს, ბოლოსა ეგრეცა მას იქს, რომელსა მტერი ვერ უზამს. რაზომცა საწუთროსა კაცმან ზურგი მიაყუდოს და მიენდოს, ბოლოდ ეგრეცა უიმედობითა ზურგსა მოსტეხს. თუცა ვისი საწუთროსაგან გულის ნება ჰპოა, ბოლოსა ჟამსა ეგრეცა ესე წაკკიდა და იძაბუნა საწუთრომან, რომელ შუიდნი ასონი მისნი ბძანებასა მისსა ველარ მორჩილობდეს უსუსურობითა. ინატრა ღმრთისაგან, რომელ რამინის შედეგად იგი არ დარჩეს, რამინ უჭირველი დააგდოს. ამისად შედეგად გალეული მთუარე მოკუდა. რამინის გული მისისა სიკუდილისაგან ჭირთა სადგომად

შეიქნა და თუალთა მიწყით შეუშრობლად ცრემლთა ადენდა. ტიროდა და ესრე მოსთქმიდა:

«ჱჲე საყუარელო მოყუარეო, სულთაგან უსარჩევესო! წახვედ, სრულად გამწირე და დამაგდე გულ დადაღული, დამწუარი, საწუთრო გაარმებული!... არავის ოდეს სმია შენებრი მოყუარე! აწ რად აბეზარ მექმენ, განა მრავალჯერ შემოგეფიცა ჩემი გაუწირაობა! აწ რას შეცოდებისა მიზეზითა უწყალო მექმენ, რად გამიტეხე ფიცი შენი? ოდიდგან სულ-შეერთებით მოყუარული რად გამკადე სავაგლახოდ? მაგრა მე ვითარსა შენსა გულსა ვიცნობდი, უღონოდ არ მეცრუვებოდი. საწუთრომან თურე მიმუხთლა, თუცა მისგან არა საკვირველია. მუნით აქამდის კარგი ვის გაუსრულა! ქუეყანა სიხარულისაგან შენითა წასულითა დაცარიელე, ყოველი სიკეთე თან წაიტანე. მე სიბერისა ჭირი და უსუსურობისა კულა უშენობისა დაღრეჯა ვით შემიძლია, ანუ ცოცხალმან ამისა გონებასა ვით გაუძლო? ჭირი ჭირსა მმატებია! მე ტახტსა ზედა მწოლი და შენ მიწასა შიგან მყოფი ჩემგან ვერ იგონები!

«განა მიბძანებდი, სულთა შენთუის გავსწირაო?! შენ უღონოდ გაგისრულებია შენი სიტყუა, მაგრა მე ჩემი თავი უშენო არმად მიჩნს სიცოცხლისათუის. ნეტარმი ჩემთუის, თუმცა ჩემსა სამარესა ზედა შენ იყავ ტირილად და ჩემად საურავად! მე უბედური ვით ვიგონებდე წმიდასა ტანსა შენსა მიწათა ქუეშე მყოფსა! რომელსაცა მიწასა შენისა პირისა სინათლე და ტანისა შვენება დაუფარავს, მას მიწასა ზედა ფერკი ვითღა დავდგა?! მე კელმწიფობა შენითა მიამებოდა, მე სიხარულიანი შენგან ვიყავ, მე დიდებიანი თავი შენითა მინდოდა, არ საჭურჭლისა და ლაშქართა სიდიდისაგან.

«აწ უშენოდ არცა დიდება მინდა, არცა ჴელმწიფობა, არცა საჭურჭლენი და არცა ლაშქარნი. ჰარამ ჩემზედა სიხარული! აწ ვირემდისცა ცოცხალვარ, თავსა მიწასა ვისხამ და საყელო გარდახეული ვზი. აწვე სრულად თავსა ამითა არ მოვიკლავ, რომე ვირემდისცაღა ვიყო, სიკუდილისაგან უძნელესსა ყოფასა ვიყო. არცა ზერისაგან შეფრენით ავისა ქნა კამს. გული ჩემი ჭირთაგან სავსეა და თვალნი ჩემნი სისხლთაგან..... დათმობა ზერისაგან ქებაა. მეტად ასრე მიჭირვებულსა ყამსა მოთმინებისა მისულა იგი დიდება... ყოველნი ჭირნი მოთმინებითვე გაკეთდებიან, თუმცა მე აღარას ლხინისა მომლოდეობა მაქუს. შენი სევდა საყელოთა მაგრად დამიჭირავს და სიყუარულსა ვერ მოვითმენ, შენსა გონებასა ვერ მივრიდებ და ჴელთა შენისა სამსახურისაგან არ დავიწყნარებ; არცა თვალითა ჩემითა უშენოდ ლხინისა გამცდელი ვეგები. ვირე ცოცხალვარ, ვიწვი შენითა გონებითა. რაღა ვთქუა შენი სამართალი[1] ქება, თუ გონება აღარა მაქუს ჲ ენა დამბმია. მოშორება შენი არცა აწ შემიძლიაო!...»

მოსთქმიდა საბრალოდ და ტიროდის დაუცხრომელად ვისსა ზედა. სამარხავი ააგო მისადვე შესაფერად კარგი ოქროსა და ლაყვარდისა და თავისათვისცა. ეგრე თქუა მისად შედეგად დარჩომისათუის: «მკუდარიცა ვიგლოვ ამა დღესაო.» მისსავე სიახლესა საცეცხლე სახლი ააგო სალოცავად, რომელ თავი მისი ღრუბელთამდის მიუწუდებოდა და მაგარი, უკუნისამდის არ დასარღვეველი. დღე და ღამე მუნ შიგან ღალიასა და სურნელსა აკუამლოდის.

---

[1] სამართალი—ესე იგი შესაფერი, რაც გემართლების.

თავისა უხუცესი შვილი ხორშედ უსმო, დიდებულნი და ლაშქარნი. და ხორშედ საჴელმწიფოსა ტახტსა ზედა დასვა, თავისა გუირგუინი დაარქუა, წელთა კრმალი შეარტყა, მეფედ დალოცა და სახელად ხუასროვ უკმო. ეგრე უთხრა:

— ოთხმოც და სამი წლიწადის რომე სვიანი ჴელმწიფე ვარ. აწ შენთუის ამით მომიცემიან ჩემნი საყოფნი და ტახტი, რომე ჴელმწიფობა გშვენისცა და გმართებსცა. ხვიან გყოს ღმერთმან, ყმა კაცი ხარ დ̃ ბედიცა შენი ყმა არის! ნუ არცხვენ ვისსა დედასა შენსა და ნურცა მე. რაცა ჩემგან მოგინახავს, მას იქმოდი, რომე მე შენა არა გკითხო, როცა მას საუკუნესა ღმერთმან მე მკითხოს. გაუფრთხილდი საღმრთოსა, მოსამართლეობისათუის იჭირვოდიო.—

შეკედრა თავის გვირგვინი, ტახტი, სა-
მეფო, ლაშქარნი და საჭურჭლენი. იგი
ვისის შედეგად სიკუდილისა მისისა
სამარხავისაგან არ გამოვიდა
და არცაღა კარი გაალო,
არცავინ ნახა.

ვისრამიანის ლექსიკონი

ვისრამიანის ლექსიკონი

ა

ა ბ ა შ ი, აბისსინია, აფრიკის ქვეყანა ეგვიპტეს სამხრეთ; აბისინიელი.

ა დ ა რ ბ ა გ ა ნ ი, ადირბეჟანი, სპარსეთის ჩრდილოეთი ნაწილი, კავკასიის მხრის მოსამზღვრე.

ა დ რ ა ბ ა დ ა გ ა ნ ი, ნახე ადარბაგანი.

ა დ რ ა გ უ ნ ი, ფერშვენიერი ყვავილი ერთგვარი.

ა ვ ა ზ ა, ვეფხვი, პანტერა.

ა ვ ლ ი, ფერფლი.

ა ვ ც ნ ო ბ ო ბ ა, ანჩხლობა.

ა ზ ა ტ ი, თავისუფალი, დახსნილი.

ა ზ ო მ, ამოდენად, ამოდენი, იმდენი.

ა კ უ მ ი, გროვა; თვალ-მარგალიტთა და სულნელთა გროვა.

ა ლ ა ვ ა, პირუტყვის საჭმელი ბალახეულობა; აქედამ ალაფი, გამყიდველი ხორაგეულობისა.

ა ლ ა ვ ე რ ტ ი, ალავერდი, ბალახი, რომელსაც ცხენი და ვირი ძალიან ეტანება; იონჯა.

ა ლ ა მ ი, დროშის ნიშანი, დროშა.

ა ლ ვ ა, ალვის ხე.

ა ლ ი ზ ი, გამოუმწვარი აგური.

ა ლ მ ა გ ი, იალმაგი, სამოსარ ჯაჭვის პერანგს ზემოდამ საცმელი.

ა ლ ფ ა, ძაფი, აბრეშუმის ძაფი.

ა მ ა დ, ამიტომ.

ა მ ა რ ტ ა, მძივი ქვათაგანი; იაშმა, იაშმი, ძვირფასი ქვა.

ა მ ი რ ა, ემირი, უფროსი, ბატონი, მთავარი, გამგებელი.

ა მ ი რ ა ო ბ ა, უფროსობა, ბატონობა.

ა ნ დ ა მ ა ტ ი, ალმასი.

ა ნ ა ს დ ა, ანაზდა, ანაზდად, უეცრად, მოულოდნელად.

ა ნ თ რ ა კ ი, ძვირფასი თვალი ცეცხლის ფერი.

ა რ ა-თ უ რ ე, არ თურე, არა თუ.

ა რ ა ნ ი, ნახე ერანი.

ა რ ე, მხარე, რაც ადგილია გარსა; ატარე.

ა რ ი ფ ი, ამხანაგი, მეგობარი, მოზიარე.

ა რ ნ ი, გარეული ცხვარი; ჯიხვი.

ა რ ტ ვ ა ზ ი, არტოზი, გრძნების მოქმედთა მთავარი.

ა რ ჯ ა ლ ი, ურცხვად ანჩხლი; აგრეთვე არჯალი ანუ ჭარჯალი, ბედის წერა, ბედი.

ა ს ა ბ ა დ ი, სასავნო, ნიშანი, მიზანი.

ა ს ა ბ ი ა, მტერზედ მიმყოლი, ამხანაგი, თანა მებრძოლე.

ა ს დ ე ნ, აზდენ, ამოდენი, ამოდნად, ესრეთი, ასრე.

ა ს პ ა ა ნ ი, ისპაანი, ძველი ქალაქი სპარსეთისა.

ა ს პ ა რ ე ზ ი, მეიდანი სათამაშო.

ა ს პ ი ტ ი, გესლიანი, შხამიანი გველი.

ა უ გ ი, სირცხვილი, შესარცხვენი.

ა ფ თ ი, მახვილი ბრტყელი ლ ტარიანი ცულსავით; ალებარდა.

ა შ ქ უ ფ თ ი დ ე ვ ა ნ ი, სახელია ციხისა.

ა წ, ეხლა; აწინდელი, ეხლანდელი.

ა ხ მ ა, აღხმა, ახსნა, გახსნა, გაღება, ახილვა.

ა ხ ო რ ი, ბაგა.

ა ჯ ა, ხვეწნა, მუდარა.

ბ

ბ ა ზ მ ა, სანათი ნივთი.

ბ ა ლ ა ვ ი, იქნება ნიშნავდეს ბაალს, ასურელთა ღმერთსა მპყრობელსა.

ბ ა ლ ს ა მ ო ს ი, ბალაზინი, ხე რომლის მოსაკვეთთაგან ჩამოიწვეთება სულნელი წვენი.

ბ ა რ ბ ა რ ი, (ბერბერი) აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარე, ეგვიპტის ასლომდებარე.

ბ ე ბ ლ ი, გრძნების მოქმედი, თვალთ-მაქცი, კუდიანი.

ბ ე დ ი თ ი, ცუდი.

ბ ე ყ მ ე დ ი, მწვანე თვალი.

ბ ე ჩ ა რ ა, გაშტერებული, ბეჩავი.

ბ ი ჭ ო ბ ა, ვაჟკაცობა, მხნეობა, თავის მოწონება.

ბ რ ჭ ე, მოსამართლე; ბრჭობა გასამართლება, განსჯა.

ბ უ თ ი, კერპი; ქვისა ანუ სხვისა რაიმე მადნეულისა გამოჭრილ-გამოქანდაკებული სახე, კერპისა.

ბ უ კ ი, საყვირი.

გ

გ ა გ ე ბ ა, განგება, განგებულება, განწესება, გაჩენა რიგისა.

გ ა გ ვ ა, გგავა, გენაღვლება.

გ ა ვ ა ზ ი, შავარდენი.

გ ა ვ ლ ე ნ ა, ჩაგონება, შესმენა, შემეცნება.

გ ა მ ვ ა, მგამს, მენაღვლება.

გ ა მ ჟ ღ ა ვ ნ ე ბ ა, გაცხადება, გამოჩენა, გამხელა.

გ ა ნ ა ღ ა, თუმცა, იქნება.

გ ა ნ ც დ ა, ცქერა, შესედვა, დაკვირვებით ყურება.

გ ა რ ე, გარეთ; გარეთგან; უკან.

გ ა რ დ ა ს ვ ე წ ა, გადაკარგვა, სხვა ქვეყანაში წასვლა.

გ ა რ ე ვ ა ნ ი, გარის მყოფი; გარეული, არ შინაური.

გ ა რ ც ხ ა, განბანა, გარეცხა.

გ ა წ ბ ი ლ ე ბ ა, შერცხვენის დამართება.

გ ე ლ ა ნ ი, გილანი, სპარსეთის ჩრდილოეთი ნაწილი, კასპიის ზღვის დასავლეთ-სამხრეთის კუთხესთან.

გ ე მ ო ო ბ ა, ამპარტავნობა, მედიდურობა, თავ-მომწონეობა, თავ-აღებულობა; გემო—თავაღებული.

გ ე ო ნ ი, თვისება მაღალი კაცისა, გენიოსობა.

გ ე ო ნ ი, ხელ-შუბი.

გ ე ხ ა მ ს ე ბ ი ს, შეგფერის.

გ ვ ა რ ი ა ნ ო ბ ა, სიკეთე, პატიოსნება, ჩინებულობა.

გ ვ ი ნ ა, გვინდა.

გ ვ რ დ ე მ ლ ი, გრდემლი, დაზგა რკინისა, რომელზედაც მჭედელნი საჭედსა მუშაობენ.

გ ზ ე ბ ა, ანთება.

გ ლ ა ხ, კაი, საწყალი, საბრალო.

გ ი ა, ყვავილი, ტვია.

გ ო ლ ი ა თ ი, გმირი, ბუმბერაზი, ღონიერი კაცი.

გ ო ნ ე ბ ა, ფიქრი, აზრი.

გ რ ი ვ ი, ძველებური წონა, გრივი ძველებური 55 ლიტრაა; ზოგის ანგარიშით ნაკლებია; მესხეთში (ახალციხის მხარეს) ათს საწყავს ერთ გრივს ეძახდენ.

გ რ უ ზ ი, ხუჭუჭი, თმა დაგრეხილი.

გ უ ა რ ი, გევჰარი, მარგალიტი, თვალ-მარგალიტი.

გ უ რ გ ა ნ ი, ჩრდილოეთ სპარსეთის (ხორასნის) ნაწილი ადირბეჟანთან ახლოს მდებარე.

გ უ შ ა გ ი, მცველი, დარაჯა, ყარაული.

დ

დ ა ა ვ ლ ე ბ ა, დაფერფვლება.

დ ა ბ ა კ ი, ტაბაკი, სინი.

დ ა ბ ლ ა გ ვ ე ბ ა, დაჩლუნგება.

დ ა გ რ უ ზ ე ბ ა, დახუჭუჭება.

დ ა კ ს ე ბ ა, გაქრობა.

დ ა ზ ა ვ ე ბ ა, შერიგება.

დ ა ზ მ ა, დარჩენა, მოცდა; დაზამს, დაჭყოფს, დარჩება.

დ ა ლ ე ბ ე ბ ა, დალურჯება.

დ ა ლ ი ბ რ ე ბ ა, ჩალურჯება.

დაონავრებული, არეული, აგლებული.

დარაგა, ფარი.

დარაჯა, მცველი, ყარაული.

დარბაზი, დიდი ზალა; აგრეთვე სამეფო სასახლე.

დარბაზობა, დიდი კრება, მეჯლისი.

დარი, დასი, გროვა.

დარქმა, დარქვმა, დასურვა.

დასტურ, დასტურობით, სწორედ, მართლად, ნამდვილად.

დაუბუნებელი, დაუდერაგი, უხასიათო.

დაურვება, ზრუნვა; გარიგება; აგრეთვე ზღვევა.

დაღება სულისა, დაჩუმება.

დაშნა, ხმლის მსგავსი სწორი იარაღი ძველებური, წელზე ჩამოსაკიდი; მახვილი, დიდი დანა; (შპაგა).

დაწინდული, დაგირავებული.

დაწლობილი, დაწვრილებული, გამხდარი.

დაწყევა, დაწყევლა; დასწყია — დასწყევლა.

დაჭირებული, ჭირის, მწუხარების მნახველი.

დელამი, გილანის ახლოს მდებარე ნაწილი სპარსეთისა.

დეჰისტანი, დაჰისტანი — ჩრდილოეთ სპარსეთის ნაწილი, კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხესთან.

დია, დიად, დიაღ, დიდი.

დიადი, დიდი, დიდებული.

დიაცი, დედაკაცი, ქალი, მანდილოსანი.

დილაჯი, დიჯილა, წყაროა.

დილეგი, საპყრობილე.

დიჯილა, ნახე დილაჯი.

დოლაბი, წისქვილი.

დოსტაქანი, დიდი სასმისი ჭურჭელი.

დრამა, წონა $^{2}/_{3}$ მისხლისა; აგრეთვე დრაქმა — ძველი ბერძნული ფული ესლანდელ ჩვენებურ ფულად თითქმის აბაზ-ნახევარშაური, ანუ $22^{1}/_{3}$ კაპეიკი.

დრაჰკანი, ფული ძველებური; წონა 24 კარატისა ანუ 96 ქრთილის (შემოდგომის ქერის) მარცვლისა.

დუმბული, მცირე ნაღარა.

დუხჭირი, ავი სანახავი, ავი შეხედულობისა, გონჯი.

ე

ეგების, შეიძლება იყოს; იქმნება; შეიძლება იქმნეს.

ეზომ, ამოდენი; ამდენად, ეგზომ მაგოდენი.

ემუდა, ცალის ფეხის ბორკილი სატყვეობოდ.

ერანი, არანი, ირანი—სპარსეთი და იმის მონათესავე ხალხის ქვეყნები, რომელნიც ძლიერების დროს სპარსეთს ეჭირა.

ერაყი, ირაყ-აჯემი, შუა სპარსეთის ნაწილი ქალაქებით ისპაანით და ყაზვინით.

ერთსახე, ერცახე, ერთი ბეწო, ძალიან მცირე. (ცახე, მარცვალი მტევრისა).

ესრონი, (თუ ხუსრან, ზიანი).

ეტიკი, გზის მცოდნე, გზის მჩვენებელი, ყულოუზი, ბელადი.

ეტლი, ბედის ვარსკვლავი.

ეჯი, სამი მილი, ანუ ექვსი ათასი ბიჯი.

ეჯიბი, კარის კაცი, ხელჯოხიანი.

ეშმა, ეშმაკი.

ვ

ვაზირი, მრჩეველი, ხელმწიფის წინა კაცი.

ვაზირობა, რჩევის მიცემა.

ვალსამო, ბალსამო, ბალაზინი.

ვამანი, ვჴამანი, (თუ ბაჴმან—ვინმე-რამ).

ვაშა, ნიშნის მოგებას, შურის გებას და საწადლის ასრულებას ნიშნავს.

ვედრება, ჩაბარება, მიბარება, აგრეთვე ხვეწნა.

ვეჭვ, მგონია, ვეჭობ.

ვირე, ვიდრე.

ზ

ზადი, მცირე შერყვნილება, პატარა შინჯი, ნაკლულევანება; ლაქა.

ზავი, შერიგება.

ზანგი, შავი კაცი, ხალხში არაბს რო ეძახიან.

ზარი, დიდის ყოფით, აკლადიდებით გარდასვლა, დღესასწაულობა; აგრეთვე შიში.

ზარი, შხამი.

ზეანდანი, (თუ ზიადან—სხივითგან აღმომბრწყინვალე.)

ზეიმი, დიდებული ყოფა და ამბავი, დიდის ყოფით გამოსვლა; ზარი.

ზეინკალი, აბჯრის ანუ კლიტე-გასაღების და მისთანათა მკეთებელი.

ზენა, ზეციერი.

ზენაარ, **ზენაარ**, ღმერთმანი, ღმერთს ვფიცავ; გაფიცებ.

ზენარი, ზენაარი—უმაღლესი, ზეციერი; ფიცი.

ზირაქი, მფრინველი დიდი ფრთხილი, რომელიც შვილებს რო გამოჩეკს, გულს გაიპობს და შვილებს საზრდოდ აძლევს.

ზრახვა, ძრახვა, გაკიცხვა; ფიქრი.

თ

თავადი, უფროსი.
თათბირი, რჩევა, რიგის მიცემა.
თაჯი, გვირგვინი.
თერიაყი, თეირაყი, თერაყი, საწამლავის წამალი საკურნებელი.
თვარა, თვარე—თორემ.
თმობა, მოთმენა, გაძლება, თავის დაჭერა.
თობა, (თოვბა) — უარობა, ჯმნა; ხელის აღება.
თუმბუთური, ქალაქი თუმბუქთუ ჩრდილოეთ აფრიკაში.
თურე, თუ, თურმე, თორემ.
თურქისტანი, კასპიის ზღვის აღმოსავლეთ მდებარე ქვეყნები, ხორასნის ჩრდილოეთ.

ი

იადგარი, ნახე იედგარი.
იავარი, აკლებული, გაცარცული.
იალმაგი, იხილე ალმაგი.
იალქანი, ქალების თავსახურავი მაღალი თავსაკრავის მსგავსი; გემის, ხომალდის და ნავის აფრა, ტილო.
იასპი, მოწითლო დ ჭრელი თვალი.
იედგარი, იადგარი, იედიგარი, სახსოვარი, დამხსომებელი.
ილათი, ღონისძიება, საშუალება.
იშვა, იშობა.

კ

კაბიწი, კაპიწი, საწყაო სამი კოდი, ხალვარი, ორი სომარი.
კადრება, გაბედვა.
კალიბი, მხარე.
კანჯარი, გარეული ვირი.
კაპარჭი, ისრის ქარქაში; საფრთე.
კაჩა, კაჩხა.
კეკლუცი, ლამაზი, კოხტა.
კიდე, გარდა.
კიდეგან, შორს, მოშორებით.
კიდეგანი, განშორებული, მოშორებული.
კისკისი, კისკასი—მარდი, მარჯვე, სწრაფი.
კლიტე, გასაღები.
კოლაუზი, კულაოზი, ყულაოზი, წინამძღვარი, გზათა მცოდნე, ბელადი.
კუბო, ტასტრევანდი.
კულა, კვლავ, კვლავად, კიდევ.
კუტალი, ხის ხელადა, ლი-

ტრა, ხის ლულეინი; აგრეთვე ციცხვი.

კ უ მ ტ ი, მოწყენილი, არა რისხვით მწყრალი, გაჯავრებული, ავგულად მყოფი, უმძრახად მყოფი.

ლ

ლ ა რ ი, განძი, განძეულობა.

ლ ა მ ი ს, აპირებს; ჳლამი — აპირებ.

ლ ა ფ ა ნ ჩ ა, ქორწილის შესაწირავი ტანთ-საცმელი, რომელსაც უწინ სანიჭარს უწოდებდუნ.

ლ ა შ ქ ა რ ი, სპა, ჯარი, მხედრობა.

ლ ე ბ ა, დალურჯება.

ლ ი მ ო, სჯა.

ლ ი ბ რ ი, ჩალურჯებული.

ლ მ ო ბ ი ე რ ი, შემწყალებელი, შემბრალებელი, გულ-შემატკივარი.

ლ უ ლ ი, თვლემა, მცირე ძილი, თვალის მოტყუება.

მ

მ ა ე მ ა ნ ი, წვეულობა.

მ ა ზ ა რ ა კ ი, მაზრაკი, შუბი.

მ ა მ ბ ა რ ი, კვარცხლბეკი, სადგმელი ძირი, საფეხური მეფის საჯდომ ტახტისა.

მ ა ნ შ ა უ რ ი, მანშური, სიგელი, წერილით ბრძანება.

მ ა რ ა ვ ი, ძველი ქალაქი მდებარე კასპიის ზღვის აღმოსავლეთ, თურანის ქვეყანაში, ახალთექის ახლოს. ძველად განთქმული და მდიდარი ქალაქი იყო მეშვიდე საუკუნიდამ, და მეთორმეტე საუკუნეში ისე გავრცელდა, რომ სპარსები უწოდებდნენ ქვეყნის ხელმწიფედ (მარავშაჰი-ჯან). გათქმული იყო ვაჭრობით, სწავლა-განათლებით; აქ სცხოვრებდნენ ისტორიკოსები და პოეტები (ანვარი), აქ იყო მდიდარი წიგნთ საცავი არაბების დროდგანვე, სასწავლებლები, ობსერვატორია. ძველი ნაქალაქარი მარავი მდებარებს ახლანდელის მერვიდამ 45 ვერსტზე. წინათ მარავი ეჭირათ სხვა და სხვა ხალხებს; არაბებს 650 წ., თურქებს, სპარსებს, ხივის და ბუხარის ხანებს და ბოლოს თექელებს. 1884 წ. რუსეთმა დაიპყრა.

მ ა რ თ, მართლად, სწორედ; მხოლოდ, მარტოდ.

მ ა რ თ ა ლ ი, სწორი; სწორედ ამართული; სიმართლე, სისწორე.

მ ა რ თ ვ ე, ბარტყი; სხვა პირუტყვების ნაშენადაც იგულისხმება; ლეკვი.

მ ა რ ო, მარონინა, მატარა.

მ ა ღ ნ ი ტ ი, მაღნინტი, რკინის მიმზიდველი ქვა.
მ ა შ ვ ნ ე, შესარგი.
მ ა ხ ვ ი ლ ი, მკვლებური საომარი მჭრელი იარაღი, ხმალსავით, დაშნასავით, ანუ ხანჯალსავით.
მ ა ს მ უ რ ო ბ ა, მთვრალობა, მასმურობა.
მ ა ჯ ნ ა, მუქთი, უსასყიდლო.
მ ა ჯ ნ ა დ, უფასურად; მაჯანი, უფასური, ფასდაკარგული, მუქთი, უბრალო, უსასყიდლო.
მ გ ბ ა რ ი, მოსარშული.
მ გ ო ს ა ნ ი, დამკვრელი საკრავისა.
მ ე ც ნ ი ე რ ი, მცოდნე; ნაცნობი.
მ ე ჭ ა რ ი, მეჭრა, ურვათი, საცოლოს ფასი, რომელსაც საქმრო თვის საცოლოს მამეულს აძლევს მზითევსავით გადასახადსა, როგორც მაჭმადიანებში იციან წესად.
მ ე ჭ მ ა ნ ე, მაწვევარი.
მ ზ ა ხ ა ლ ი, მძახალი.
მ თ რ ა ვ ს, მათრობს.
მ ი დ ა მ ო, გარეშემო.
მ ი ნ ა, მინდა.
მ ი ს ქ ი ნ ი, მიშქინი, არაბულად ძალიან ღარიბი, უქონელი, გლახაკი.
მ ი ღ ე ბ ა, წაღება, მიტანა.
მ ი წ ყ ი ვ, ნახე მიწყით.
მ ი წ ყ ი თ, მუდამ, მარად.
მ ი ჭ ი რ ვ ე ბ ა, გაძნელება.
მ ი ჯ ნ უ რ ი, მოტრფიალე, საყვარელი; (ნამდვილად, მეჯნუნ—შმაგი, გახელებული, გიჟი).
მ კ ე დ ი, მსხვილი ძაფი.
მ ნ ა ს ე ბ ე ლ ი, ვერ კეთილის მქნელი, დამნავსებელი.
მ ო ა ხ ლ ე, ახლოს მყოფი, დაახლოვებული, ხლებული.
მ ო გ ვ ი, ჩქმა; აგრეთვე კერპთა და ცეცხლის მსახურთა მღვდელნი, მეცნიერნი.
მ ო ვ ლ ე ნ ი ლ ი, გამოჩენილი, დიდებული.
მ ო ვ ც ე თ, მოვცეთი, შევცდი.
მ ო ზ ი დ ვ ა, მოწევა.
მ ო გ ა რ თ უ ლ ი, მოტკვირთული; კირთება—მონებისაგან გამოუხსნელობა.
მ ო რ კ ი ნ ა ლ ი, მოჭიდავე.
მ ო რ ჭ მ უ ლ ი, დიდებული, ძლიერად შემძლებელი; გამოჩენილი; მდიდარი.
მ ო ს მ უ რ ი, მასმური, ღვინის მსმელი.
მ ო ქ ე ნ ე, მახვეწარი, ესე ქმენო.
მ ო ღ ო რ ე ბ ა, მოტყუება.
მ ო ყ ი ვ ნ ე ბ ა, შერცხვენა, შეურაცხყოფა; დამცირება.
მ ო ყ მ ე, ჭაბუკი, ახალგაზდა.
მ ო შ ა ი თ ი, მუშაითი, ჯამბაზი, გაბმულ თოკზე მოთამაშე.
მ ო ჭ ი რ ვ ე ბ ა, შრომა, ამაგი, ღვაწლი.

მრწემი, უმცროსი.

მტერიანი, ეშმაკისაგან დაჭრილი, ეშმაკისაგან გადარეული; გაგიჟებული, გახელებული.

მუდარა, დიდი ხვეწნა, სახვეწარი.

მუზარადი, საომარი თავსასურავი თითბრისა ან რკინისა.

მუნეტიკი, ამბის მიმტანი და მაცოდინებელი; მოამბე.

მუნეჯიმი, მუნეჯიბი—ასტრონომი, ასტროლოგი, ვარსკვლავთ-მრიცხველი.

მუნი, სენი ტანისა და ხელების კანისა ქავილით.

მურავაყიანი, ნახე მურავი.

მურავი, მყავე დუღილით შესქელებული.

მუსლი, (მუსული) ქალაქი ტიგროსის და ევფრატის შესართავთან, სპარსეთის ზღვის პირას.

მუტრიბი, მომღერალი ქალი, მეჩანგე (ჩანგის დამკვრელი) ქალი.

მუქასარი, ნიფხვის უბე.

მუქაფა, სამაგიერო, საპასუხო, სანაცვლო.

მუშავაზი, ძველი ვაზი, რომელსაც ხალხი შავს უწოდებს.

მუშთარი, ვარსკვლავის სახელი; ზევსი, იუპიტერი.

მუშკი, სურნელოვანი ნივთიერება ერთის პატარა ოთხფეხისა, მუსკუსი.

მუხთალი, მოღალატე, ორგული.

მღერა, თამაშობა.

მყვარი, ბაყაყი; ჯოჯო; ქვეწარმავალი.

მყინვარი, ყინული.

მჩხიბავი, გრძნებით მოქმედი.

მჩხიბაობა, გრძნებით მოქმედება.

მძივთი, კუპრი.

მწდე, ღვინის დამსხმელი. მწდეობდე—ღვინო დაასხი.

მჭიშნე, მეტად დართული, დავრეხილი.

მჯიღვი, მუშტი.

ნ

ნადიმი, მეჯლისი, წვეულება, კრებით დიდი სადილი ანუ საუბარი.

ნადიმიანი, ნალხინარი, ლხინ-გადახდილი.

ნავროზი, ახალწელიწადი, დღესასწაული მაჰმადიანებისა.

ნაზუქი, ნაზი, ნარნარი, განებიერებული, სათუთი.

ნაკვთი, ტანადობა, სკულპტურაში შეხედულობა, გამოსახულება; აგრეთვე ნაკვე-

თი, ჩათალი, თლილი.

ნაკრტი, მფრინვლის ბუმბული.

ნასი, ვერ კეთილი. ჩავსი, გონჯი.

ნასნებავი, ნასნებარი, დასნეულებული.

ნასრანი, თეთრი ჴ წვლილი ვარდი; ნასარი — მირონის სულნელი.

ნატიფი, მოხდენილი, ლამაზი, ნაზი, ჩჩვილი, სუფთა და კარგი, თლილი, ჩათალი (თვალი ანუ ჭიქა).

ნაღვთევი, საღმრთოდ შეწირული.

ნაჯომარდი, ჯომარდად ყოფილი.

ნება, ნება-ნება, ნელა, აუჩქარებლად.

ნისიბური, ნისიბი, გეოგრაფიული სახელია ქალაქისა, ნიზიბი.

ნიშატი, მხიარულება; ხასიათი, ძალი ბუნებითი, ენერგია; ნიშატიანი — მხიარული.

ნობა, საყვირი, დაფდაფი.

ნობათი (ნამდვილად ნოვბათ) — ჯერი, საჯერო, სარიგო, ჯერით საკუთვნელი.

ნოშრევან, ნუშირვან, ანუშირვან — სახელი სპარსეთის გამოჩენილის მეფისა, გამეფდა 531 წ.

ნუთუ, ვაი თუ, ეგების, იქნება.

ნუკვა, სვეწნა, თხოვნა.

ო

ოდიდვან, რას დროთვან; დიდის ხნითვან.

ონავარი, გარეული ფუტკარი ამკლები; ამრევი, ამშლელი.

ორბი, არწივი.

ორმალი, საკრავი, ჩონგურსავით ანუ ფანდურსავით. მალი — სიმი.

ოტება, გაქცევა.

ოქსინო, ოქსიონი — ოქრომკედით ქსოვილი, ოქროქსოვილი.

პ

პაემანი, ვადა, ყავლი; პირობა.

პატიმარი, ტუსაღი, დამწყვდეული, დაჭერილი.

პატიჟი, რისხვა, სასჯელი, გაუპატიურება.

პაშტა, პატარა, მცირე.

პეტრატიკონი, (თუ ეპეტრატიკონი) წმინდა ტყავის ქაღალდი.

პილო, სპილო.

რ

რ ა ხ ს ი, შავ მოწითლო ცხენი, წაბლის ფერი, ქურანი.

რ ე ც ა, ვითამ, თუ.

რ ვ ა ლ ი, ბრინჯაო, კალასნარევი სპილენძი; წმინდა სპილენძი.

რ ვ ე ნ ა, ჭიდაობა, ჭიდილი.

რ ო ა რ ტ ა გ ი, მეფეთაგან წერილით შეუცვალებელი ბრძანება.

რ ღ ნ ო ბ ა, წარღვნა.

ს

ს ა ა ჯ ო, სახვეწარი, სამუდარო.

ს ა ბ ა ტ ი ო, საპატივო, პატივსაცემი, ღირსეული.

ს ა გ ა ნ ი, ისრის სასროლი ნიშანი, მიზანი.

ს ა გ ნ ო ბ ა, ვარჯიში მშვილდოსნობისა.

ს ა გ რ ო ბ ა, პირმიძმა მიხდომა საბრძოლად; მგზავრობა.

ს ა დ ა რ ნ ო, შესაფერი, სახამსო.

ს ა თ ვ ა ლ ე, მოთვლილი, მოწყობილი.

ს ა თ ი, შავი ქვა; გიშერი.

ს ა თ ხ ე დ ი, მომცრო შუბი, პირბრტყელი და მოკლე ტარიანი.

ს ა კ ა ნ ი, საპყრობილის ძირში ბნელი ხარო; ფსკვერქვეშ ქვითკირის ნაგები საპყრობილე.

ს ა კ ა რ გ ა ვ ი, გასარიგებელი, განკარგულებისა, გამგეობისათვის ჯამაგირი, ჯილდო.

ს ა ლ უ ქ ი, შემკობის, მორთულობის მოყვარე.

ს ა მ ი ზ ი, მსუქანი (?)

ს ა მ ი ნ დ ო რ უ ლ ი, სამანდური — სახელწოდება გეოგრაფიული.

ს ა მ ს ა ლ ა, საწამლავი.

ს ა რ ა-ფ ა რ დ ა, კედელ-ფარდა, დიდი ფარდა სასახლეში.

ს ა რ ვ მ ე ლ ი, სარკმელი, ფანჯარა, სანათური.

ს ა ს ა ლ უ ქ ო, ტანთა მორთულობის შესანახი, საწყობი სახლი.

ს ა ს თ ა უ ლ ი, თავქვეშ სადებელი რამე, ბალიში ანუ მუთაქა.

ს ა ს თ უ ნ ა ლ ი, სასთაული.

ს ა უ რ ა ვ ი, გასამგებლო; გამგებლობისათვის საკუთვნელი.

ს ა წ უ თ რ ო, წუთი სოფელი.

ს ა ჭ ი რ ო, სამწუხარო, ჭირად, მწუხარებად მოცემული; ძნელი.

ს ა ჭ უ რ ჭ ლ ე, ხაზინა; სადაც ინახება განძეულობა დ სიმდიდრე; სალარო.

ს ა ხ ა მ ს ო, რაც უნდა, შესაფერი, საჭირო.

ს ა ხ ე ბ ა, გამოსახვა, გამოხატვა, გამოხატულება.

ს ა ხ ი ე რ ი, კეთილი.

ს ა ხ მ ი ლ ი, ცეცხლი; გახურებული ქურა; კაცთა დასაწვავად ცეცხლი.

ს ა ხ ე ლ ო, საგანი ხელობისა; გასაგიჟებელი; აგრეთვე საგანი, რომელზედაც უფლება მიგიწვდება.

ს ე ფ ე, საპატიო, სამეფო, დიდებული.

ს ე ფ ი ს პ ი რ ო ბ ა, სეპისპირობა—მშვენიერება, დიდებულთ ჩამომავლობა, კეთილშობილება.

ს ვ ე, ბედის წერა, ხვედრი, ბედი აუცილებელი, იძულებითი. (ბედი - შემთხვევითი ხვედრია).

ს ვ ი ა ნ ი, ბედნიერი.

ს ი ა ხ ლ ე, სიახლოვე.

ს ი მ თ რ ვ ა ლ ე, სიმთვრალე.

ს ი ქ ა, ბეჭედი, გამოსახულება ფულზე ან მისთანაზე; მოჭრილობა, გამოსახულება.

ს ი ქ ს უ ე, გარეულობა, უწვრთელობა, არ გაშინაურებულობა. ქსუ, გარეული; ქსუვი, მფრინველი შეუჩვეველი.

ს ი ქ უ მ ე, ქუმობა, მწყრალის მსგავსება, რომ კაცმან ადვილად სიტყვა ვერ შეჰკადროს.

ს ი წ ლ ო, სიწვლილე.

ს პ ა, ჯარი, ლაშქარი, მხედრობა.

ს პ ა რ ს ე თ ი, სახელის სახელმწიფოსი და არა რომელისამე ტომისა. თვით ერს ეწოდება ფარსი. იგი ძველს დროში გაძლიერდა, დაიმორჩილა თავის გარს მოსახლე და მონათესავე თემები, დააფუძნა ძლიერი სახელმწიფო ერანისა (ირანისა), რომელსაც უცხო ტომნი უწოდებენ სპარსეთს (პერსიას). სპარსეთმა დააფუძნა აზიის უძლიერესი სახელმწიფო ძველის ძველ დროებში და დაიპყრო მთელი წინა აზია საბერძნეთამდე. უკეთესი წარმართთა სარწმუნოება ქრისტიანობამდე, ზოროასტრისა დაფუძნდა სპარსეთში და იქიდამ მოიფინა საქართველოში და სომხეთში. სპარსეთის მწერლობა აღუვავდა და გონების წარმატებას დაეხმარა მთელის წინა აზიისასა.

ს პ ა რ ს უ ლ ი ენა და მწერლობა სამ წყობად იყოფება. ძველის ძველი სპარსული; ამ ენით არის დაწერილი ცეცხლის მსახურთა სადმრთო წერილი ავესტა-ზენდა. შემდეგ მეორე ენა ჩნდება ფაჰლაური, ძნელი გამოსარკვევი მეცნიერთათვის. ეს

ორივე ენა და მწერლობა არსებობს სასანიდების დროს (220 ქრისტეს წინათ —650 წ. ქრ. აქეთ). შემდეგ მაჰმადიანობის შემოტანისა არაბებისაგან, სპარსეთში არსდება ახალი სპარსული, რომელიც ფრიად მდიდარია პოეტურის მწერლობითა და დიდი ზედ მოქმედება აქვს აზიის ყველა მწერლობაზე და ამათში ქართულის მწერლობის წარმატებაზე მომატებული, ვიდრე ბერძნულისა (ბიზანტიისას).

ს პ ა ს ა ლ ა რ ი, ჯარის უფროსი; მხედართ მთავარი.

ს რ ა, მეფის სასახლე, პალატი.

ს რ ბ ო ლ ა, სირბილი.

ს ტ ა ვ რ ა, ოქრო ქსოვილი ფარჩა.

ს უ მ ბ უ ლ ი, ყვავილი ერთგვარი.

ტ

ტ ა ბ ა რ ა ზ ი, თუ ტაბრაზადი, მაქარი წითელი გამხსნელი.

ტ ა ბ რ ი ს ტ ა ნ ი, სპარსეთის ნაწილი მდებარე მაზანდერანის სამხრეთ. მაზანდერანი კასპიის ზღვის სამხრეთ ნაპირთან ჩრდილოეთის საზღვარია სპარსეთისა.

ტ ა ლ ი, კაჟი; კბილის ანახეთქი ჭუჭყი ქვასავით.

ტ ა რ ა ლ ი, ტრალი, მპარავი ხელოვანი, საკვირველი.

ტ ა რ ი, თათრულად ვიწრო.

ტ ე ვ რ ი, დიდი ხშირი ტყე.

ტ ი ლ ი ს მ ი, თილისმა, ჯადო.

ტ კ ჩ ე რ ა, კვნეტა.

ტ რ ე ლ ო ბ ა, საშოვრისათვის მიმოვერებლობა; აგრეთვე გულის აცრუება, ტუება, გადადგომა ცუდლუტობით.

ტ ო ი ღ ო, ცხენის საბმელი; საბელი.

ტ უ ღ ლ უ რ ბ ე გ, დამფუძნებელი სელჯუკის თურქების სულთნის გვარისა, იყო პირველად თავადი ხორასანისა, წაართვა სპარსეთის ხალიფას ხორასანი, ხვარაზმი, დაიპყრა ჭერატი და 1039 წელს სულთანობის სახელწოდება დაირქვა. ამას შემდეგ აიღო ისპაანი დ გამეფდა მრთელს ირანზე (სპარსეთზე) 1051 წ.; დაიპყრა ბაღდადი, მესოპოტამია დ სირია 1059 წლამდე; შემდეგ შემოვიდა სომხეთში დ საქართველოში. მოკვდა 1063 წ. 70 წლისა. (ნამდვილი სახელია ისტორიაში — ტოღრულბეგ; ქართლ. ცხოვრებაში — დუღლუბეგ. გვ. 227, 1 ნაწ.)

უ

უ ა მ რ ა ვ ი, უმარა, ურიცხვი.

უ ა რ ე, უმეტესი, აღმატებული.

უ ბ ა დ ო დ, ცუდად, ავად.

უ ბ ა ნ ი, ნაწილი სოფლისა ან ქალაქისა.

უ ბ ნ ი ს მ ი წ ა, ქუჩის მიწა.

უ ზ ა დ ო, უშინჯო, უნაკლულო.

უ ლ ე ვ რ ო ბ ა, ულეველობა.

უ მ ა შ ნ ო, უმაშვნო, შეურგებელი, გაუწყობელი.

უ მ გ ბ ა რ ი, უხარშავი, უმი.

უ მ რ წ ე მ ე ს ი, მერმე შობილი, უმცროსი.

უ ნ ა ს ი, არა ნასი (ნასე ნასი).

უ პ ე, ჭიპი; შიგნეულობა; მუცელი.

უ პ ო ვ ა რ ი, უქონელი.

უ რ ვ ა, მოვლა, გამგებლობა, მზრუნველობა; სვედა, ფიქრი, მწუხარება.

უ ტ ა ლ ო, უზადო.

უ ტ ე ვ ა ნ ი, საზომია. ერთი უტევანი ასი მხარი.

უ დ ო ნ ი ო დ, უეჭველად, უთუოდ, უცილებლად.

უ ხ ა მ უ რ ი, უსამლური, ფეხჩაუცმელი. ხამლი, ფეხსაცმელი.

უ ხ ა ნ ო, უმტკიცო, ცვალებადი, ორგული, მოღალატე.

უ კ დ უ რ ი, საურწყო, რძეული: რძე, ყველი, კარაქი დ სხვა.

ფ

ფ ა თ ე რ ა ვ ი, მოულოდნელი და უნებური ცუდი შემთხვევა.

ფ ა ი ქ ი, პაიკი, შიკრიკი, შატირი, მალე მოსიარულე.

ფ ა ლ ა უ რ ი, ფაჴლაური, ძველი საიდუმლო სპარსული ენა, რომელსაც სიტყვათ ფესვი ქალდაურ-ასსურულის (სემიტიურის) ენისა აქვს და გრამმატიკის ფორმები ფარსულისა (ერანისა). სასანიდების დროსვე გადავარდა. ძნელი გამოსარკვევია მეცნიერთათვის. (ნახე სპარსული ენა).

ფ ა ნ დ ი, დარიგება, წვრთა.

ფ ა რ ა ნ დ ა, მივრინველი, მივრინველივით სწრაფი, მკვირცხლი; აგრეთვე სახელი.

ფ ა რ დ ა გ ი, ფარდა დიდი სასახლეში.

ფ ა რ მ ა ნ ი, ბრძანება სიტყვით ან წერილით.

ფ ე რ ა მ ი, ძველი ქალაქი და სამეფო მცირე აზიაში, გათქმული ვაჭრობითა.

ფ ე რ ო ზ ი, ფირუზი.

ფ ი ლ ა ქ ი, ფილაქა, ფილაგი, მრავალი, კრებული შვიდთა ვარსკვლავთა ჩრდილოეთის მხარეს.

ფ ლ ა ს ი, ძაძა.

ფ ო ლ ო რ ც ი, მეიდანი.
ფ რ ქ ვ ე ვ ა, დაღვრა, დაყრა.
ფ ს კ ე რ ი, ფსკერი, ძირი.
ფ უ ნ დ უ კ ი, ყოველთა შემწყნარებელი სახლი, სამგზავრო სახლი, ქარვასლა.

ქ

ქ ე ნ ე ბ ა, ხვეწნა, მუდარება, ასე ჰქმენო.
ქ ვ ე, ქვეით; უკვე, კიდევ, კი.
ქ ი რ მ ა ნ ი, სამხრეთი ნაწილი სპარსეთისა.
ქ ო ი ს ტ ა ნ ი, აღმოსავლეთი ნაწილი სპარსეთისა.
ქ ო ს ი, თითბრის დაფდაფი; დოლის ანუ დიმპლიპიტოს მსგავსი საკრავი.
ქ რ თ ი ლ ი, შემოდგომის ნათესი ქერი.

ღ

ღ ა ლ ი ა, სურნელი ზეთი.
ღ ა რ ი ბ ი, ყარიბი, უცხო ქვეყანაში მყოფი.
ღ ა რ ი ბ ო ბ ა, ყარიბობა— უცხო ქვეყანაში მარტოდ ყოფნა.
ღ ა ფ ა ლ ი, განუკრძალველი, მოცდუნებული; ღონე დაკარგული, ზარმაცი.
ღ ა წ ვ ი, ლოყა.
ღ ვ ლ ა რ ჭ ვ ნ ა, კლაკვნა, მიგრეხ-მოგრეხა. ღვლერჭი, წნელი.
ღ ო რ ე ბ ა, მოღორება, მოტყუება, შეცდენა.
ღ რ ე ჯ ა, დაღრეჯა, მწუხარება, ნაღველი.
ღ რ ი ა ნ კ ა ლ ი, მორიელი.

ყ

ყ ა ზ მ ი ნ ი, (ყაზვინი) ჩრდილოეთ ერაყის (ირაყის) ქალაქი.
ყ ა ლ ბ ი, ნამდვილის სახისა, გარნა არა ნამდვილი.
ყ ა ლ ი ბ ი, სახის მიმცემი ბუდე ჩამოსასხმელთა ლითონთა; ფორმა ჩამოსასხმელის ნივთისათვის.
ყ ა ნ დ ი, შაქარი.
ყ ა რ ი ბ ი, უცხოობაში მყოფი კაცი.
ყ ა რ ყ უ მ ი, თეთრი ბეწვი ქრცვინისა (გორნოსტაისა).
ყ ვ ა ნ ჯ ი, ყვანჭი, ჩოგანი ანუ კავ-ჯოხი საბურთალი.
ყ ვ ი რ ო ს ტ ვ ი რ ი, საყვირი, მომცრო საყვირი.
ყ მ ა, ყრმა, ჭაბუკი, ახალგაზდა.
ყ ო ვ ნ ა, დარჩენა.
ყ ო ლ ა, ყოლე, ყუალა—ყველა; ყოვლად, სრულად, სრულებით.
ყ უ ა ლ ა, ნახე ყოლა.

ყულაოზი, ყოლაოზი—ნახე კოლაუზი.

შ

შაბაშ, მოწონების სიტყვა, როგორც ბარაქალა, აფერუმ, ღოჩაღ.

შანთი, დაღი, გახურებულის რკინით დადაღვა.

შართქუნა, დოშაკი, ქვეშსაგები.

შარი, წმინდა ბამბეული, ნარმა, წმინდა მიტკალი.

შარუხი, საკუთარი სახელი კაცისა.

შაჴინ-შა, მეფეთ მეფე. იწერება ხოლმე ქართულად შან-შა, შაჴნ-შაჴ. სპარსეთის (ირანის) ხელმწიფეთა წოდებაა.

შეავება, დაშავება; შეავდები—დაშავდები, ცუდად შეიქნები.

შეგუვილი, შეთვისებული, გულით შეერთებული.

შეტკველება, ტკვერა—კვნეტა.

შეუფრობელი, შეუჭირვებელი. შეფრობილი (შეფლობილი)—დაპყრობილი.

შეფრობა, შეჭირვება.

შექცევა, უკან დაბრუნება, უკუქცევა.

შეწამება, ხსენება, სიტყვის ჩამოგდება.

შვება, მწუხარებისა ან სატკივრისაგან შემსუბუქება; სიამოვნება, გულის დაამება.

შთვება, რჩობა, დახრჩობა.

შლუ, ჭკუა-ნაკლები, სულელი.

შმაგი, გონება დაკარგული, თავზე ხელაღებული, გიჟი.

შუღლი, შებრძოლება, შეცილება.

შუშპარი, სამაია, ცეკვა, თამაშობა.

ჩ

ჩანგი, არფა, საკრავი.

ჩაუქი, ცქვიტი, მარდი.

ჩაუში, იასაული, თავსმდგომი კაცი.

ჩაქი, კალთის შენაჭერი, რომელიც ქვემოთა გვერდებზე აქვს კაბას ან პერანგს.

ჩახიბი, (თუ ჩახი—შეკრული კონა რისამე, ან ბალახის კლერტოებისა.)

ც

ცვილი, წმინდა სანთელი, თაფლის სანთელი.

ცქაფვა, სიჩქარე, სიმარდე.

ცქაფი, ხელ-სწრაფი, ფეხ-სწრაფი, მარდი, ცქვიტი, მარჯვე, მოხერხებული.

ცხრო, ციებ-ცხელება, ცხროიანი—ციებიანი.

ძ

ძ ა ბ უ ნ ი, სიმტკიცესა, სიმყარესა მოკლებული, მოშლილი; მოშიშარი, ჯაბანი.

ძ ა ლ ი, სიმი საკრავისა, ან თვით საკრავი ჩონგურსავით.

ძ ო ღ ა ნ, სამი-ოთხის დღის წინად და შარშანდელს აქეთ.

ძ ო წ ე უ ლ ი, წითელი მარჯნის ფერი, ბროწეულის ყვავილის ფერი. სამეფო წამოსასხამი, პორფირი.

ძ ო წ ი, წითელი მარჯანი.

წ

წ ა გ ვ რ ა, წაყვანა.

წ ა ლ ი კ ა, ბალახი, ყვავილი უბრალო.

წ ა რ მ ა გ ი, ნახე ჭარმაგი.

წ ა წ ყ მ ე დ ა, გაფუჭება, წახდენა.

წ ა ხ მ ა, წართმევა.

წ ე ლ ი, ნაწლევი.

წ ვ რ თ ა, წვრთნა.

ჭ

ჭ ა ნ გ ი, მონადირეთა ოთხფეხთა და მფრინველთა ფრჩხილი.

ჭ ა რ მ ა გ ი, თეთრზე შავი დაწინწკლული (ცხენი).

ჭ ვ რ ე ტ ა, მზერა, ცქერა, ხედვა.

ჭ ი ნ ო, მფრინველი, პატარა კაკაჩა, პატარა სირცუდა.

ხ, ჴ

ხ ა თ უ ნ ი, პატივცემულის კაცის ცოლი.

ხ ა მ ა რ ი, ხამმარი, სირაჯი, მეღვინე.

ხ ა მ ლ ი, ფეხსაცმელი მკვლებური.

ხ ა მ ს, ჴხამს—უნდა, უნდა იყოს, შეჴფერის, შეშვენის.

ხ ა ნ ი ე რ ი, მუდმივი, მტკიცე, შეუცვლელი.

ხ ა რ ა ბ ა თ ი, სალხინო ადგილი, სალოთო ადგილი.

ხ ა რ ა ჯ ა, გარდასახადი, ხარკი, ხარჯი.

ხ ა ს ა გ ი ა ნ ი, სასახლისა, კარისა, სამეფო; ქალი დიდებული.

ხ ა ს ი, სამეფო; კაცი სასახლისა; პირშემდებელი, გამბედავი.

ხ ე ლ ი, გიჟი, ჭკუაზე შეშლილი.

ჴ ე ლ ი, ხელ-მკლავი.

ჴ ე ლ მ წ ი ფ ო ბ ა, უფლება, თავისუფლება.

ხ ვ ა ი შ ა ნ ი, ხოიშანი—შველა, მოხმარება, შეამავლობა.

მეხოიშნე — მომხმარე, მუამავალი, მეშველი.

ხვანჯი, ხრიკი და ხლათი.

ხვასრავ-შირინი, გამოჩენილი მეფე სპარსეთისა.

ხვაშიადი, საიდუმლო, დაფარული, გულის პასუხი.

ხირხიზი, გეოგრაფიული სახელი ადგილისა.

ხოვრიელად, ხვავრიელად, ვრცლად, ბევრად, ბლომად.

ხოსროვი, ხვასროვი — სახელი სპარსეთის მეფის ანუშირვანისა, (ნახე ნოშირვან).

ხორასანი, ხვარასანი — ვრცელი ნაწილი ჩრდილოეთ აღმოსავლეთის სპარსეთისა და აგრეთვე ავღანისტანის ჩრდილოეთის საზღვრის ზემოთ მდებარე ადგილი.

ხორტუმი, ხორთუმი — სპილოს ცხვირი.

ხორშა, მსურვალი მშრალი ქარი.

ხოჯა, მასწავლებელი; საჭურისი, კაცი დაკოდილი, მოდარაჯეთ დაყენებული არამხანაში, სადაც მრავალ-ცოლიანობა იციან; აგრეთვე ნასწავლი კარის კაცნი.

ხუარაზმი, ხვარაზმი — კასპიის ზღვის აღმოსავლეთის ~~ახლოს~~ მდებარე ქვეყანა,

ხუზისტანი, სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი სპარსეთისა, მდებარე მდინარე ტიგროსის შესართავთან სპარსეთის ზღვის პირასა.

ჯ

ჯაბანი, მოშიშარი, ძაბუნი.

ჯავარი, ძვირფასის თვლის წყალი, ბრწყინვალება და ფერი.

ჯავრიანი, წყლიანი, მარილიანი, გულის წამღები.

ჯალაბი, ოჯახი; კრება ხლებულთა.

ჯამა, ფაშატი აქლემი.

ჯამაზი, ჯამაზ, სატახტრევანდო აქლემი.

ჯანგირი, რაში, (ჯან-სული, გირ-მპყრობი) საკუთარი სახელი.

ჯეონი, მდინარეა.

ჯიმშედ, ჯემშიდ, სპარსეთის ძველის ძველი ზეპირგადმოცემითი მეფე, განთქმული სიბრძნითა.

ჯომარდობა, ქველობა; სიკეთე, მარდობა, სიმარჯვე.

ჯორჯანი, ნახე გურგანი.

ჯუფთი, ცალი წყვილისა, ტოლი.

ჴ

ჴ ა რ ი ლ ი, ორპირად მოქნილი, მოთელილი ტყავი.

ჴ ა რ ი რ ი, აბრეშუმი, აბრეშუმეული.

ჴ ა რ ჯ ა ლ ი, არჯალი, ბედისწერა.

ჴ ა ქ ი მ ა თ ი, განგება, განგებულება, ბრძანება; სიბრძნე, ზნეობითი სწავლა, მოძღვრება, შეგონება.

ჴ გ ა ო დ ე ს, ზრუნავდეს, ენაღვლებოდეს.

ჴ გ ი ა, არის.

ჴ ე ლ ა, ჴელო, ბერა, მიჯნა ადგილი ასპარეზზედ ორთა მხარეთა დასასვენებლად დანიშნული ბურთაობასა ანუ ჯირითობაში.

ჴ უ ქ უ მ ა თ ი, ნახე ჴაქიმათი.

ზ ა ნ დ უ კ ი

კარი | პირი

ვისრამიანის გამოცემისა გამო. V

ა. დასაწყისი ვისისა და რამინისა 1

ბ. ამბავი ვისისა და რამინისა და უხუცესისა ძმისა მისისა შაჰი მოაბადისი 4

გ. ჭაქიმათი—განგება ღმრთისა და შეგონება 8

დ. აქა ვისის ძიძისა წიგნი შაჰროს, ვისის დედასთანა მიწერილი 11

ე. აქა ხუზისტანით მოიყუანეს ვისი ჭამიანის ქალაქსა. 13

ვ. აქა ქორწილი ვისისა და ძმისა მისისა ვიროსი და მოაბადის ძმისა ზარდის მოციქულად მოსულა 16

ზ. აქა შაჰი მოაბადისაგან საომრად გამართვა ვიროზედა 26

ჱ. აქა ომი შაჰი მოაბადისი და ვიროსი დიადი . . 28

კარი		პირი
თ.	აქა მოაბადისაგან ვიროს ცისის გარ შემოდგომა და ვისის საუბარი	34
ი.	მოაბადის წიგნი შაჰროსთანა	44
ია.	ცნობა ვიროსაგან ცოლის წაგვრისა და ტირილი .	48
იბ.	რამინისაგან ვისისთუის გამიჯნურება.	50
იგ.	აქა ქორწილი მოაბადისი და ვისისი	54
იდ.	ძიძისაგან მოთქმა და ტირილი ვისის წაყუანისა-თუის.	56
იე.	ვისისა და ძიძისაგან მოაბადის მამაცობის შეკრვა.	64
ივ.	ამბავი რამინის მიჯნურობისა	68
იზ.	ძიძისაგან რამინის გაყრა და ვისის წინაშე მი-სულა	82
იჱ.	ძიძისაგან მეორედ რამინისთანა მისულა	91
ით.	ძიძისაგან ვისის გაყრა და მესამედ რამინის ნახვა.	100
კ.	ვისისაგან რამინის ნახუა მოაბადის დარბაზთა შიგან და მისთუის გამიჯნურება. . . .	105
კა.	ძიძისაგან რამინის გუერდსა მისულა	108
კბ.	რამინისა და ვისის ერთგან შეყრა	113
კგ.	ცნობა მოაბადისაგან რამინის და ვისის მიჯნუ-რობისა	119
კდ.	მოაბადისაგან ვისის წამოყუანა და მარავს მოსულა და ხუარასანსა	128
კე.	მოაბადისაგან ვისის გაშვება	131

კარი | პირი

კვ. რამინისგან ვისისთანა წასულა. 136
კზ. ცნობა მოაბადისაგან რამინის ვისთან მისულისა . 138
კჱ. მოაბადისაგან საცეცხლის აგზება ვისის საფიცრად. 146
კთ. მოაბადისაგან გალაშქრება ვისის სამებრად 155
ლ. მოაბადისაგან მარავს მოსულა და ვისის ამბვის ცნობა. 158
ლა. რამინისაგან ვისის მოყუანა მარავს და მოაბადისაგან გამხიარულება და მეჯლიში . . . 165
ლბ. მოაბადისაგან საბერძნეთს გალაშქურა და ვისი და ძიძა ძმასა ზარდსა შევედრნა 177
ლგ. ვისისაგან ტირილი რამინის მოშორებისათუის . 186
ლდ. რამინისაგან მარავიდამან აშქაფუთიდევანს ვისის შესაყრელად წასულა 190
ლე. მოაბადისაგან ცნობა ვისისა და რამინის ერთგან შეყრისა 199
ლვ. შაჰროსაგან ვისისთუის მოთქმა და ტირილი . . 210
ლზ. ცნობა მოაბადისაგან ვისისა და რამინის ერთგან შეყრისა. 226
ლჱ. მოაბადისაგან შაჰროსა და ვიროს წვევა და ნადიმის ქნა 233
ლთ. ბეგოსაგან რამინის შეგონება კარგი 236
მ. შაჰი მოაბადისაგან ვისის წურთნა, შეგონება და მცნება. 242

კარი		პირი
მა.	ვისის და რამინის ერთმანერთის წყრომით გაყრა .	247
მბ.	რამინისაგან გულისათუის გამიჯნურება	256
მგ.	აქა ქორწილი რამინისა და გულ-ვარდისა	263
მდ.	რამინისაგან გამწირაობის წიგნი ვისისთანა . . .	266
მე.	რამინის წიგნი მოუვიდა ვისის	270
მვ.	ვისისაგან შეჭირვებით დასნეულება	280
მზ.	ვისისაგან მიმქინის საუბარი	282
მჱ.	პირველი წიგნი ვისისი რამინს თანა	284
მთ.	მეორე წიგნი ვისისი რამინს თანა.	289
ნ.	მესამე წიგნი ვისისი რამინს თანა	292
ნა.	მეოთხე წიგნი ვისისი რამინსა თანა	295
ნბ.	მეხუთე წიგნი ვისისი რამინსა თანა	298
ნგ.	მეექუსე წიგნი ვისისი რამინს თანა.	301
ნდ.	მეშვიდე წიგნი ვისისი რამინს თანა	305
ნე.	მერვე წიგნი ვისისი რამინს თანა	308
ნვ.	მეცხრე წიგნი ვისისი რამინს თანა	311
ნზ.	მეათე წიგნი ვისისი რამინს თანა	314
ნჱ.	რამინისაგან ვისის მოგონება	321
ნთ.	რავედ მისსა ასულსა რამინის გამწირაობა უამბო .	328
ჲ.	რამინისაგან ადინას ნახუა	337
ჲა.	რამინის წიგნი ვისისთანა.	339
ჲბ.	რამინის მარავს მოსვლა	345
ჲგ.	ვისისგან პასუხი	352

კარი		პირი
ჟდ.	კულავცა საუბარი ვისისაგან	356
ჟე.	რამინისაგან პასუხი	359
ჟვ.	ვისისაგან პასუხი	362
ჟზ.	რამინ ეგრე უთხრა	365
ჟჱ.	ვისმან ეგრე უთხრა მტირალმან	369
ჟთ.	რამინ ღმობიერად ეგრე უთხრა ვისსა	372
რ.	ვისმან ეგრე უთხრა	374
რა.	რამინ გულ-გატეხილმან ეგრე უთხრა	377
რბ.	ვისმან ეგრე უთხრა	379
რგ.	რამინ კულავცა ეგრე უთხრა.	381
რდ.	ვისმან ეგრე უთხრა	383
რე.	რამინ ეგრე უთხრა	385
რვ.	ვისმან ეგრე უთხრა	387
რზ.	რამინ გულმტკივნეულმან ეგრე უთხრა	395
რჱ.	ვისმან პასუხად ეგრე უთხრა, საყელო გარდახეულმან.	399
რთ.	რამინ ეგრე უთხრა	401
პ.	ვისსა რამინის კელი კელთა ჰქონდა	403
პა.	რამინის და ვისის ერთგან შეყრა	407
პბ.	მოაბადის ნადირობად წასვლა.	415
პგ.	ვისის რა მისგან სანდომი რამინ მოეშორა. . .	422
პდ.	ვისის წიგნი რამინთანა	427

კარი | პირი

ჟე. ყმა გულოვანი და მისი ერთგული წავიდა და ვი-სის წიგნი რამინს მიართუა 433

ჟვ. რა დღისა ცეცხლისაგან ღამისა კუამლი დარჩა, წა-მოვიდა რამინ ხუარასნისაკენ 436

ჟზ. რამინისაგან ზარდის სიკუდილი 440

ჟჱ. შაჰი მოაბადის სიკუდილი ტახისაგან. 445

ჟთ. რამინის გაჴელმწიფება 448

ვისრამიანის ლექსიკონი 459

შესასწორებელნი შეცდომანი

პირი	ტრიქონი	დაბეჭდილია	უნდა იყოს
25	16	მუნ	მუნე-
—	17	ეტიკმან	ტიკმან
193	8	სიუარულითა	სიყუარულითა
212	11	დაწვუ	დაწვ
229	9	მფინველი	მფრინველი
230	2	კრმალთა	კრმალითა
—	13	მოჰლავ	მოჰკლავ
236	5	მიზემი	მიზეზი
278	1	თობასა	თმობასა
369	2	მტირლმან	მტირალმან
382	3	დ	და
383	1	ო	ოდ
417	9	მოადს	მოაბადს
423	16	შეუგურად	შეუგუარად

[illegible] „[illegible]"-ში

IX. X

გვ. გვ. 212, 151, 141, 145 (142), 193, 136.
476, 468, 430, 416, 415
203, 97, 93, 91, 32, 20

[illegible]
[illegible] !! ? | ??

T. 5 [illegible] „[illegible]" – [illegible]

894.63
3586